

675-ა/2

1996

ISSN-0132-6066

12

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

1-4. 1996

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

Известия Академии наук Грузии

---

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ  
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ

თბილისი  
ТБИЛИСИ

1—4. 1996



ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს,  
Журнал основан в 1971 году,

სარედაქციო კოლეგია: გ. ციციშვილი (რედაქტორი), ზ. ალექსიძე,  
თ. გამყრელიძე, ა. გვახარია (რედაქტორის მოადგილე), გ. თოფურია

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Цицишвили Г. Ш. (редактор),  
Алексидзе З. Н., Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (зам. редактора),  
Топурия Г. В.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია  
1996, № 1—4

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

---

გადაეცა წარმოებას 4.11.96; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.VI.97;  
ანაწყობის ზომა 7×12<sup>3</sup>/<sub>4</sub>; ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭდვა;  
პირ. ნაბეჭდი თაბახი 122,40; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 21,39;

ტირაჟი 400;

შეკვეთა № 615;

ფასი სახელშეკრულებით

საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19

შინაარსი

წერილები

ა. გვახარია, „მაცნე“ — 25 წელი	5
ი. ლორთქიფანიძე, არჩილ ჯაჯანაშვილი — ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიიდან	7
დ. ინწკირველი, სიკვდილის თემა ქართულ მითოსში და ძველ ბერძნულ ეპოსში	31
მ. ქავთარაძე, ქართველ მწერალთა და მეცნიერთა შეხედულებები მოსწავლე ახალგაზრდობის სამომავლო საქმიანობის არჩევანის თაობაზე	50
ნ. ჩიკვატია, ეფთვიმე მთაწმიდლის „წინამძღურის“ შედგენილობა და მისი წყაროები	63
მ. მაჭავარიანი, ქრისტეს სიმბოლური სახელების განმარტება გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართულ თარგმანებში	80
ნ. სულავა, არსენ ბულმაისიმისძის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობიდან (მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები)	97
ქ. ელაშვილი, ხე-მცენარის სახე ქართულ საისტორიო პროზაში (V—XII სს.)	124
ნ. ჩხიკვაძე, ქართულ-ბიზანტიური სალიტერატურო ურთიერთობების ისტორიისათვის (ავგაროზის ეპისტოლე ქართულ სამწერლობო ტრადიციაში)	127
მ. შირაქაძე, ლექსიკონთა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საკითხისათვის (ლექსიკოგრაფიის თეორია და პრაქტიკა)	143
გ. ცოცანიძე, ქორბეღელა — თუშური დიალექტის ლექსიკიდან	149
მ. ქურდიანი, საერთო-ქართველური ლირიკული (ლაპიდარული) ლექსის სტრუქტურა და ზოგიერთი მყარი სალექსო ფორმის გენეზისის პრობლემა	155
მ. მელიქიძე, მრავლობითი რიცხვის სახელობითში მდგარი ობიექტი ფუძემონაცვლე ზმნებთან	163
დ. ჟღენტო, მყოფადის ხოლმეობითის ფუნქციურ-სემანტიკური მნიშვნელობანი მარტივ წინადადებაში	171
დ. გრიგორაშვილი, 'ხოლო' 'კი' კავშირების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი (რთული თანწყობილი წინადადებების მიხედვით)	175
ა. ქორდანი, წესიერი ზმნა ჩადისა და სულანის არაბულში (ეგვიპტის დიალექტთან შეპირისპირებით)	187

მეცნიერის იუბილე

ი. მეგრელიძე, აკადემიკოსი გ. წერეთელი	190
---------------------------------------	-----

გამოსათხოვარი

გაიოზ იმედაშვილი	199
იოსებ მეგრელიძე	201
ა. დლონტი, ა. თოფურია, იოსებ მეგრელიძის ნათელ ხსოვნას	203
გულნარა ნინუა	205

ბიბლიოგრაფია

ჟურნალ „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სერიაში 1971—1995 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომთა ბიბლიოგრაფია	207
---	-----





## СОДЕРЖАНИЕ

### Статьи

А. А. Гвахария, «Мацне» — 25 лет	5
И. П. Лордкипанидзе, Из истории грузинской литературной критики — Арчил Джаджанашвили	7
Д. Д. Инцкирвели, Тема смерти в грузинской мифологии и в древнегреческом эпосе	31
М. Г. Кавтарадзе, Взгляды грузинских писателей и ученых на выбор молодежью будущей профессии	50
Н. В. Чикватия, Композиция «Cinamzgvagi» Ефимия Мтацмидели и его источники	63
М. Д. Мачавариани, Толкование символических имен Христа в грузинских переводах слов Григория Назианзина	80
Н. В. Сулава, О гимнографической деятельности Арсена Булмаисмидзе	97
К. З. Элашвили, Образ древа-растения в грузинской исторической прозе (V—XII вв.)	124
Н. Ш. Чхиквадзе, Из истории грузино-византийских отношений («Послания Авгара» в грузинской письменности)	127
М. Г. Чиракадзе, К вопросу типологической классификации словарей (теория и практика лексикографии)	143
Г. Цоцанидзе, Корбегела — из тушинской диалектной лексики	149
М. Е. Курдиани, Строфика общекартвельского лирического (лапидарного) стиха и проблема генезиса некоторых устойчивых стихотворных форм	155
М. Л. Меликидзе, Объект, стоящий в именительном падеже множественного числа с корнезаменяемыми глаголами	163
Д. Г. Жгенти, Функционально-семантические значения форм многократного в простом предложении	171
Д. А. Григорашвили, Функционально-семантический анализ союзов 'ХОЛО', 'КИ'	175
А. Г. Жордания, Правильный глагол в чадском и суданском диалектах (в сопоставлении с Египетским диалектом)	187

### Юбилей ученых

И. В. Мегрелидзе, Акад. Г. В. Церетели	190
Прощание	
Г. И. Имедашвили (некролог)	199
И. В. Мегрелидзе (некролог)	201
А. Глонти, А. Топурия, Светлой памяти Иосифа Мегрелидзе	203
Г. А. Ниуа (некролог)	205

Библиография трудов, опубликованных в журнале «Мацне», серия языка и литературы, за 1971—1995 Годы	207
--	-----

## „მაცნე“ — 25 წელი

1971 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „სახოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე“ სამ დამოუკიდებელ სერიად დაიყო. ენისა და ლიტერატურის განყოფილებას თავისი დამოუკიდებელი რეკლამით ორგანო — „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია — გაუჩნდა!

პირველი სარედაქციო კოლეგია ასეთი შემადგენლობით დამტკიცდა: ალ. ბარამიძე (რედაქტორი), ა. გუანაძე (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, მ. შიშიგური (რედაქტორის მოადგილე), გ. წერეთელი. ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი გ. დლოტი.

პირველ ნომერს წინ უძღოდა მოკლე წინასიტყვაობა „რედაქციისაგან“, სადაც ჩამოყალიბებული იყო ჟურნალის ძირითადი მიზნები და ამოცანები: «„მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიაში დაიბეჭდება უმთავრესად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების — ქართული ლიტერატურის, ენათმეცნიერების, აღმოსავლეთმცოდნეობისა და ხელნაწერთა ინსტიტუტების თანამშრომელთა ნაშრომები. შესაძლებლობისდაკავარად, ჩვენი ჟურნალის ფურცლები დაეთმობა აგრეთვე რესპუბლიკის სხვა სამეცნიერო-სახსწავლო დაწესებულებების თანამშრომლებსაც. ჩვენს სერიაში გამოქვეყნდება მეცნიერული გამოკვლევები და ნარკვევები, კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილები, მეცნიერული თარგმანები, სარქივო მასალები. დასაბუჭდად უპირატესობა მიეცემა აქტუალურ თემებზე დაწერილსა და თანამედროვე მეცნიერულ დონეზე შესრულებულ ისეთ ნაშრომებს, რომლებიც ასახავს ქართული ფილოლოგიური მეცნიერების მიღწევებს. ხელს უწყობს მეცნიერული პრობლემების კოორდინაციას სამეცნიერო დაწესებულებებს შორის, ემსახურება სადისკუსიო საკითხების დამუშავებასა და გადაჭრას. გაძლიერდება ჟურნალის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება».

ვინც ქვემოთ წარმოდგენილ გამოქვეყნებული მასალის ნუსხას გაეცნობა, ვუიქრობთ, დარწმუნდება, რომ ამ ოცდახუთი წლის მანძილზე სარედაქციო კოლეგია ცდილობდა ამ მიზნების განსორცხვას. „მაცნე“ ცდილობდა აესახა ჩვენი



განყოფილების ოთხივე ინსტიტუტში მიმდინარე ინტენსიური სამეცნიერო კვლევა-ძიება, აგრეთვე სშირად აქვეყნებდა სხვა სამეცნიერო ცენტრებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე ავტორთა, მათ შორის უცხოელ მეკვლევართა, ნაშრომებს „ძაცნე“, თუნდაც საკრძნობლად შემცირებული ფორმით (1994 წლიდან წელიწადში ოთხის ნაცვლად ერთი ნომერი), აგრძელებს თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულებას. ამჟამად სარედაქციო კოლეგია ასე გამოიყურება: გ. ციციშვილი (რედაქტორი), ზ. ალექსიძე, თ. გამყრელიძე, ა. გვახარია (რედაქტორის მოადგილე), გ. თოფურია. პასუხისმგებელი მდივანი გ. ღლონტი.

სამწუხაროდ, მცირე ხანს მოუხდა სარედაქციო კოლეგიაში მუშაობა ბესარიან ჯორბენაძეს.

საკანგებოდ უნდა აღინიშნოს „ძაცნეს“ უცვლელი პასუხისმგებელი მდივნის გალაქტიონ ღლონტის თავდადება და საქმისადმი მართლაც რომ პასუხისმგებლური დამოკიდებულება, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა და განაპირობებს ჟურნალის დროულ მომზადებასა და გამოქვეყნებას. ამაში მას ეროგულად ეხმარებიან მისი თანამშრომლები, ლიტმუშაკები — ლეალა სიხარულიძე და ლია ჩაკანავა. მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ჟურნალის ყოფილი ლიტერატურული თანამშრომლები — დალი სონღულაშვილი, თამაზ გუჯაბიძე, ვანდა ანთელავა და სილვა ლაბაძე. აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერების“ კოლექტივის გულისსმადირი დამოკიდებულება ჟურნალის გამომცემისადმი.

დღეს დამოუკიდებელ საქართველოში ბევრი რამ იცვლება, ახალ იერს იძენს, ახლებურად წარიმართება უძველესი ქართული ენისა და ქართული მწერლობის კვლევა. იმედია, „ძაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერია ღირსეულად ასახავს ამ ისტორიულ მოვლენებს.

იოსებ ლორთქიფანიძე

ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიიდან\*

არჩილ ჯაჯანაშვილი

ა. ჯაჯანაშვილი პატარა წერილებით გამოეხმაურა არაერთ ცალკე გამოცემულ წიგნს<sup>24</sup>, მშობლიური ენის მტკივნეულ საკითხებზე გამოქვეყნებულ წერილებს<sup>25</sup>, ქართველთა მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ გაზეთებსა<sup>26</sup> და საბავშვო წიგნებს. იგი წერდა: „ყველაზე ცუდად ჩვენში საბავშვო წიგნების გამომცემლობაა დაყენებული... მარტო ჟურნალს ვერ შეუძლიან დააკმაყოფილოს მოთხოვნილება პატარა ქართველი მკითხველისა. დღეს ეს მოთხოვნილება უფრო გაიზარდება... საჭიროა მთელი რიგი წინასწარი ზომებისა. ერთი ამისთანა ზომათაგანი უნდა იყოს საბავშვო საკითხავი წიგნების გავრცელება. ქართველი საზოგადოება ყოველთვის ჰგრძნობდა ამ დანაკლისს, ცდილობდა ეშველა საქმისათვის ... ჩნდებიან ჯგუფები, რომლებიც მიზნად საბავშვო წიგნების გავრცელებას ისახავენ. მაგრამ მათ მოღვაწეობას, რაღაც მიზეზების გამო, ფრთები ეკვეცებოდა ... ამყამად გარემოება არსებითად შეცვლილია ღვთით, ჩვენი ეროვნული გათვითცნობიერება წინ მიდის და რიცხვი ისეთი ოჯახებისა, რომელთათვისაც ქართული საკითხავი წიგნი უკვე არსებით მოთხოვნილებად არის გადაქცეული თანდათან იზრდება... საქმე თავიდანვე კარგს ნიადაგზე უნდა დადგეს...“<sup>27</sup>.

კრიტიკოსი აღუშფოთებია გაზეთ „ტალღაში“ გამოქვეყნებულ ვინმე ყადის სახუმარო ფელეტონს: „არიან ადამიანები, რომლებსაც სრულიად დაკარგული აქვთ უნარი ავისა და კარგის გარჩევისა, დაკარგული აქვს გრძნობა ზნეობისა. რანაირ იდეურ სამოსელშიც არ უნდა გაეხვიოს ასეთი ადამიანი; იგი მაინც ზნეობა დაცემულ ადამიანად დარჩება. ამისთანა პიროვნებისადმი ყველა, ვისაც კი ზნეობრივი სიფაქიზე არ დაუჟარგვია, მხოლოდ ერთგვარ უსიამოვნო განცდას იგრძნობს. ეს გრძნობა ისეთივეა, რანაირსაც იწვევს ზოგიერთ ქვეწარმავალთა დანახვა. წაიკითხეთ „ტალღაში“ სახუმარო ფელეტონი ვინმე ყადისა, რომელსაც თავისი უკბილო ოხუნჯობისათვის პოეტის ავადმყოფობა აუღია საილუსტრაციოდ (დამოწმებულია სტროფები. — ი. ლ.). ამნაირი წერა დაავადებულ, დასნეულებულ პოეტის შესახებ მხოლოდ ბოროტგამზრახველებს შეუძლიათ“<sup>28</sup>.

აკაკის და მის ღვაწლს არჩილ ჯაჯანაშვილმა ორი წერილი მიუძღვნა, ორივე წერილი აკაკისთან გამოთხოვების დღეებშია გამოქვეყნებული გაზეთის

\* დასაწყისი იხ. „მაცნე“, ელს, 1995, № 1—4.

<sup>24</sup> H o m o, „ჩემი ცხოვრებიდან“, „ამირანი“, 1908, № 119; გ. ბარელი, ლექსები ქანერხეთლიძისა, „სახალხო ფურცელი“, 1914, № 12, 15, 29; არ. ჯაჯანაშვილი, გამოსწორებული დოგმატიკოსები, „სახალხო გაზეთი“, 1911, №№ 265, 266, 267, 268, 269\*.

<sup>25</sup> შინაური, ქართული ენა, „სახალხო გაზეთი“, 1910, № 220; იქვე, 1911, № 268; იქვე, 1913, № 833.

<sup>26</sup> შინაური, ქართველების რუსული გაზეთები, „სახალხო საქმე“, 1911, № 326.

<sup>27</sup> შინაური, საბავშვო წიგნები, „სახალხო ფურცელი“, 1915, № 287.

<sup>28</sup> გ. ბარელი, ზნეობრივი ატროფია, „სახალხო ფურცელი“, 1914, № 13.



ერთ ნომერში: ერთი არ. ჯ-შვილის, მეორე გ. ბარელის ხელმოწერით. დიდი მოკრძალება იგრძნობა ესეიში — „აკაკი წერეთელი“, რომელშიც ავტორმა მალალი შეფასება მისცა აკაკის განუზომლად დასაფასებელ ღვაწლს: „მთელ საქართველოში არ მოიძებნება არც ერთი ანბანის მცოდნე ქართველი, რომელსაც მკაფიოდ არ ჰქონდეს გათვალისწინებული, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აკაკის პოეზიას ჩვენთვის ... თამამად შეიძლება ითქვას, რომ დროთა მიხედვით, როდესაც აკაკის ხანას დავშორდებით, როდესაც იგი მოგვევლინება არა როგორც არსებული ფაქტი, არამედ როგორც ისტორიული პიროვნება, როდესაც შორიდან ისტორიული თვალსაზრისით შევხედავთ და დავაფასებთ მის მოღვაწეობას, იგი უფრო გაიზრდება ჩვენ თვალში და ბუმბერაზ მოვლენად მოგვეჩვენება. აკაკი ორნაირად შეიძლება დაფასდეს, როგორც პოეტი შემოქმედი და როგორც პოეტი რეფორმატორი. ძალა მისი პოეტური შემოქმედებისა ერთნაირი იქნება ყოველთვის... შეიძლება გარეგნული სახე მისი პოეზიისა სხვადასხვანაირი ყოფილიყო, შეიძლება ფორმები, რომლებშიაც ჩამოისხმებოდა მისი პოეტური შემოქმედება, ადგილისა და დროის მიხედვით სულ სხვანაირი ყოფილიყო, ვიდრე ესლა, მაგრამ ის ღვთიური ნაპერწკალი ნიჭისა, რომელიც თანდაყოლილი აქვს პოეტს მაინც თავისას გაიტანდა და თავს იჩენდა.

მაგრამ აკაკი მარტო ასეთი პოეტი არ იყო, იგი ამასთანავე ერთად იყო პოეტი რეფორმატორი. იგი დაიბადა და თან მოიტანა არამარტო უნარი პოეტური შემოქმედებისა, არამედ ძველი ფორმების გარდაქმნისაც. ქართველ ხალხს უწინაც ჰყოლია დიდი პოეტები. განა დიდი პოეტი არ არის ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი? თითოეული მათგანი დიდ შემოქმედ ინდივიდუალურ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ ამასთანავე ერთად თითოეულ მათგანს საპატიო, მაგრამ მაინც განცალკევებული ადგილი უჭირავს ჩვენს მწერლობაში.

აკაკი წერეთელი ამ მხრივ ზემოხსენებულ პოეტებს არა ჰვავს. მან მოგვცა არა მარტო მხატვრული ნაწარმოებები, რომელთაც თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ უ დ ი დ ე ს ი მნიშვნელობა აქვთ, არამედ მან გარდაჰქმნა ძველი ფორმები და შეჰქმნა ახალი ფორმები პოეტურ სურათების ჩამოსაყალიბებლად. აკაკის წყალობით პოეზია ხალხურ ენას ეზიარა და ამით საუკუნო განუყრელი ძაფი გააბა ხალხურ ენასა და პოეზიას შორის. ამიტომაც მოხდა, რომ არც ერთ პოეტს არა ჰხდომია ჩვენში ისეთი პოპულარობა, რანაირიც აკაკის ერგო. პატარა ქართველი აკაკის ლექსით ეთვისება მშობლიური ენის ტკბილ ჰანგებს... ერთი სიტყვით, აკაკი ღრმად ხალხურ პოეტად გარდაიქცა. ეს კი განსაკუთრებით მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც პოეტის ენა ხალხის ენაა და ხალხის ენა პოეტის ენაა... პროგრესი ენის კულტურაშიც არის აკაკი წერეთელიც ამ კულტურის ერთი უკვდავი მუშაკათგანი იყო“<sup>29</sup>.

აკაკის შთამბეჭდავ დამსახურებას კრიტიკოსმა მეორე შესანიშნავი წერილიც მიუძღვნა — „ოცნება და სინამდვილე“, სადაც ღრმა განცდილთა ახსნილი და განმარტებული, თუ რა ნაყოფი გამოიღო აკაკის მიერ „ნასროლმა თესლმა“: „აოხრებული ოჯახის კერას ჰვავდა ჩვენი ქვეყანა. „არსიდან ხმა, არსით ძახილი“... დადგება დრო, იმ შავბნელ დროსაც გამოუჩნდება მემეტიანე და მაშინ ცხადი გახდება ყველასათვის, რანაირი მოღუწებული იყო მაჯისცემა ჩვენი საზოგადოებისა მაშინ, როდესაც ახალგაზრდა აკაკი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. თუ ჯერ ესლაც, ნახევარი საუკუნის შემდეგ, როდესაც გარემოება არსებითად შეიცვალა, არიან ჩვენში სასოწარკვეთილნი, რომელნიც ცოცხალ ერს ანდერძს უგებენ, რა იქნებოდა მაშინ, როდესაც მთელ საქართველოს შავბნელი ზეწარი გადაჰფარებოდა და შუქი, ერთი მანათობელი შუქი მაინც არსაი-



დანა სჩანდა?! საჭირო იყო დიდი ნებისყოფა და დაუშვრეტელი წყარო იმედინობისა, რომ ამისთანა დროს თქმულიყო სიტყვა, რაინდული სიტყვა იმედით აღსავსე. სიტყვა მომასწავებელი ერის სიცოცხლისა და ეს სიტყვაც ითქვა: „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს“<sup>30</sup>—ო. აკაკი, სხვებთან ერთად, კოცხალი მაგალითი იყო იმისი, რომ ერი არ მომკვდარა, რომ მასში არ დაშვრეტილა ნიჭი შემოქმედებისა, ნიჭი განვითარებისა.

გაჩნდა პოეტი საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზე და თვალი გადაავლო საქართველოს, მკვდარს ჰგავდა იგი, სიცოცხლის ნიშნები არ ემჩნეოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა მან გაჰბედა და თამამად დაუყენა თვალწინ წარმტაცი ვარსკვლავი საქართველოს ბრწყინვალე მომავლისა. იგი დაეწაფა მდიდარს წარსულს, ისტორიულ წარსულიდან მკვდრებით აღადგინა მშვენიერი სურათები ეროვნული ცხოვრებისა და გაბედულათაც უთხრა ხალხს, თუ ასეთი იყავი წარსულში, იმედი უნდა იქონიო, მომავალში შენ იქნებიო. მაგრამ პოეტის სურვილსა და სინამდვილეს შორის ისეთი დიდი უფსკრული იყო გათხრილი, რომ პირველი ოცნების სახეს იღებდა. პოეტი ჰგმობს თანამედროვეებს, ებრძვის ეროვნულ გულგრილობას, მწარედ დასცინის ანგარებით სავსე პირთ, მაგრამ ამასთანავე ერთად ეძლევა ტკბილს ოცნებას — რომ გაივლის შავბნელი დრო და ოცნებასაც ხორცი შეეხსნება. ამ ოცნებით აღტაცებულ პოეტსა და ისტორიულ საქართველოს შორის იბმება სიმი, რომელიც საშუალებას აძლევს პოეტს, ერთი მხრით, მხატვრული სურათებით განჭვრიტოს იგი და, მეორეს მხრით, თანამედროვეთა შორისაც აღძრას ტკბილი იმედები.

განვლო ხანმა, გაიზარდა საქართველო. აკაკის და მის თანამედროვეთა მიერ ნასროლმა თესლმა ნაყოფი გამოიღო... ერმა ერთდ იგრძნო თავი. იგი მეტოდურის თანდათანობით სჭედავს თავის ბედს და თამამად უტყერის მომავალს. გაივლის ხანი და აკაკის ოცნებაც, ალბათ, ფრთებს შეისხამს და სინამდვილედ იქცევა. დღევანდელი მოზვირთებული, ერის ფიქრთა გრძნობით გატაცებული საქართველო ამის საუკეთესო თავმდებია<sup>30</sup>. ასეთია აკაკის მომხიბლავი პიროვნებით შთაგონებული კრიტიკოსის აზრი მადლმოფენილი პოეტის ღვაწლისა.

ქართულ პრესაში მიმდინარე ერთი კამათის გამო საბასუხოდ გამოქვეყნებულ წერილში — „მეცნიერება და მამულიშვილობა“ კრიტიკოსი არ იზიარებს ს. კაკაბაძისადმი წამოყენებულ ბრალდებას, რომ მეცნიერი აღიარებს სომხური კულტურის გავლენას ქართულ კულტურაზე: „ეს ბრალდება, — წერს კამათში ჩაბმული არ. ჯაჯანაშვილი, — სრულიად შეეფარდება სინამდვილეს, ქართული კულტურა, როგორც საზოგადოდ ყოველი ერის კულტურა, ისტორიულ პროცესში ბევრნაირ გავლენას განიცდის... რა გასაკვირველია, რომ ქართულ კულტურას რამდენადმე სომხური კულტურის ზეგავლენაც განეცადა და პირიქით, რა გასაკვირველია ისიც, რომ სომხურ კულტურასაც განეცადა ქართული კულტურის ზეგავლენა? აქ ეროვნული თავმოყვარეობის შემლახველი სრულიად არაფერია. ამისთანა ზეგავლენა ქართულ ისტორიას თავის კულტურულ ღირებულებას ოდნავაც კი ვერ მიაყენებს ჩრდილს, როგორც ვერავითარი ზეგავლენა ვერაფერს ვერ დააკლებს საბერძნეთისა და რომაელების კულტურას... გავლენის საკითხი მეცნიერებამ გაარკვიოს, მაგრამ რანაირიც არ უნდა იყოს მსჯავრი პირუთვნელი მეცნიერებისა, ამით ეხლანდელ ქართველობას არაფერი დააკლდება. თვით დღევანდელი ვითარება ქართველებისა სრულიად საკმარისი თავმდებია იმისა, რომ ერს თავისი საკუთარი კულტურა ჰქონია, კულტურა, რომლის ღირებულებანი შთამომავლობას გადა-

30 გ. ბარელი, ოცნება და სინამდვილე, „სახალხო ფურცელი“, 1915, № 205.



სცემია და დროთა მიხედვით განვითარებულა და ახალი ღირებულებანი შეუქმნია...“ წერილის ავტორის მტკიცებით, ძალიან ცუდი აზრისა უნდა იყოს ქართული კულტურის შესახებ ის, ვინც ფიქრობს, რომ ამა თუ იმ მეცნიერის მტკიცება სომხური კულტურის გავლენის შესახებ ქართულ კულტურაზე რამეს დააკლებს ქართული კულტურის ღირსებას. ამიტომ უმჯობესი იქნება, ნუ შევიტანთ არასასურველ ტონს იქ, სადაც სიტყვა მიუდგომელ მეცნიერებას ეკუთვნის. გარეშე კულტურულ ღირებულებათა კრიტერიუმისა არ შეიძლება არსებობდეს ისტორია, როგორც მეცნიერება. ისტორიის დიდ სამსახურს უწევს დამხმარე მეცნიერებანი, როგორცაა არქეოლოგია, ნუმისმატიკა და სხვა. რომელთაც წმინდა ემპირული ხასიათი აქვთ. ეს ძვირფასი მასალა საფუძველია ისტორიისა. „ბ-ნი ს. კაკაბაძე ძალიან ხშირად სცოდავს ხოლმე ამ ჭეშმარიტი მეცნიერების მოთხოვნის წინაშე, — აღნიშნავს მოკამათე, — მას გაუგონია, რომ მეცნიერი ობიექტური უნდა იყოს, მეცნიერი მამულიშვილური გრძნობების ზეგავლენის გარეშე უნდა იდგესო, გაუგონია და მისდგომია ყველაფრის უარყოფას. თამარ მეფის ხანისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ ახალი შეიძლება ითქვას, რა თქმა უნდა, შეიძლება გამოითქვას მოსაზრება დიამეტრულად წინააღმდეგი იმის, რაც ასე ვთქვათ, ოფიციალურ ისტორიაში არის მიღებული. მაგრამ, როდესაც ადამიანი ასეთ მძიმე ტვირთსა ჰკიდებს ხელს, საკმაო მასალაც უნდა ჰქონდეს. ბ-ნი ს. კაკაბაძისთანა მეცნიერისათვის კი საკმარისია ერთი რომელიმე მჭლე აზრს წაავლოს ხელი, რათა დიდი ხნის მუშაობის შემდეგ მოგროვილი მასალა ყირამალა დააყენოს. ეს მეცნიერება კი არა მეცნიერული ჩხირკედლობაა“<sup>31</sup>.

არ. ჯაჯანაშვილი საბავშვო ლიტერატურის, ამ სფეროში მომუშავეთა დიდი გულშემატივარი გახლდათ. იგი ყურადღებას არ აკლებდა მწერლობის ამ მონაკვეთს. წერილში — „შოი მღვიმელი“ იგი გულისტკივილით მიუთითებდა, რომ „ჩვენში, როგორც საზოგადოდ ყველა ქართული საქმე, საბავშვო ლიტერატურის საქმეც ძალიან დაქვეითებულია... მთელი საბავშვო ლიტერატურა ორი უტრნალით განისაზღვრება. ქართველის ბავშვის გარეშემო ათასნაირი არაქართული, ხშირად ანტიქართული ცხოვრების პირობები ახვევია. ოჯახი, სკოლა, საზოგადოება. — აი სამი ფაქტორი, რომელიც შესამჩნევ ზეგავლენას ახდენს ბავშვის აღზრდაზე და თავის გავლენის ქვეშ ამყოფებს, ხშირად მშობლების სურვილის წინააღმდეგაც“. წერილის ავტორი ხაზგასმით მიუთითებს იმ გარემოებაზეც, თუ რა ზიანი მოჰქონდა, როცა ბავშვი იძულებით იწყებდა რუსულად ტიტინს, რასაც განაპირობებდა მთელი გარემომცველი პირობები, რომელიც შეუძლებელს ხდიდა სამშობლო ენის... ფრთების გაშლას. ასეთ პირობებში გარკვეული მნიშვნელობა ეძლეოდა საბავშვო ლიტერატურას. ბავშვის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად აუცილებლად საჭიროა პატარა საკითხავი დასურათხატებული წიგნაკები, „რომელთა რიცხვი სხვა ერში აუარებელია, ჩვენში კი — არც ერთი, სწორედ არც ერთი“, — შენიშნავს უკმაყოფილო ავტორი და იქვე მიუთითებს: „ამისთანა პირობებში ერთი ორად უფრო იზრდება მნიშვნელობა იმ მწერლებისა, რომელთაც თავის მიზნად ბავშვი და მისი აღზრდა დაუსახავთ“. ერთ ასეთ მწერლად თანამემამულეთა შორის მას მიაჩნდა: „შოი მღვიმელი (შოი ქუჩუკაშვილი), რომელიც დიდი ხანია სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა და განსაკუთრებულის სიყვარულით ზრდის ბავშვებს, თავის მშვენიერი საბავშვო ლექსებით დაუშრეტელ სულიერს საზრდოს

31 არ. ჯ-შ ვ ი ლ ი, მეცნიერება და მამულიშვილობა, „სახალხო ფურცელი“, 1915, № 252. ს. კაკაბაძემ მოკამათეები უპასუხოდ არ დატოვა („სახალხო ფურცელი“, 1915, №№ 257, 260), რამაც გამოიწვია ივანე ჯავახიშვილის წერილი „იძულებითი განმარტება ბ-ნი ს. კაკაბაძის წერილის გამო“, „სახალხო ფურცელი“, 1915, №№ 267, 277, 278.



ანიჭებს მათ. რამდენიმე თაობა აღიზარდა... შიოს ლექსებზედაც. მრავალი იმა-  
თაგანი, რომელიც ეხლა უკვე ფართო საზოგადოებრივ-სამწერლო ასპარეზშია  
გართული, ბავშვობაში, უეჭველია იზეპირებდა შიოს ლექსებს, კითხულობდა  
მის ნაწერებს... შიო მღვიმელი მთელი თავისი სამწერლო მოღვაწეობის დროს  
ბავშვებს ეალერსებოდა, ბავშვებს ესიყვარულებოდა და დღესასწაულის დრო-  
საც უფროსებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა მათი შვილების ერთგული მეგო-  
ზრის დიდი ხნის შრომა და ამაგი დაფასდეს, მით უფრო შიო მღვიმელი თავი-  
სი ოჯახით დატვირთული, ქონებრივ ხელმოკლეობას განიცდის“<sup>32</sup>.

უკვე ცნობილმა ჟურნალისტმა, ლიტერატორმა და კრიტიკოსმა არ. ჯაჯა-  
ნაშვილმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა სპეციალური წერილი მიუძღვნა ქართუ-  
ლი ჟურნალისტიკის ისტორიაში ისეთ მნიშვნელოვან პერიოდულ გამოცემას,  
როგორც იყო გაზეთი „დროება“ და რა დამსახურება მიუძღოდა მის გამოცე-  
მასა და რედაქტორობაში სერგეი სიმონის ძე მესხს, რომელიც გ. წერეთლის  
ორწლიანი რედაქტორობის შემდეგ წარმოადგენდა ამ ორგანოს „სულსა და  
გულს“.

„დროება“ და მისი დახასიათება, — გვაუწყებს წერილის ავტორი, —  
შეუძლებელია გარეშე სერგეი მესხისა. სერგეი მესხი ბურჯი იყო „დროებისა“  
და ამიტომ ვისაც „დროების“ დახასიათება ჰსურს, იმან სერგეი მესხის ნაწერე-  
ბი უნდა გაიცნოს.

საგაზეთო წერილში ძალიან ძნელია სრული დახასიათება ისეთი ადამიანის  
სამწერლო მოღვაწეობისა, როგორც სერგეი მესხი იყო. მაგრამ თვალის ერთი  
კადავლებითაც კი ცხადი გახდება რამდენად დიდმნიშვნელოვანი და მრავალ-  
ფეროვანი იყო სერგეი მესხის სამწერლო მოღვაწეობა.

უმწეო და უნუგეშო იყო მდგომარეობა გაზეთისა, „დროებას“ სამასამდე  
ხელის მომწერი ჰყავსო, სჩივის სერგეი მესხი 1870 წელს... საქმეც ის არი, რომ  
გაზეთი ორ კაცსაც ვერ აძლევს იმდენს, რომ შემოსავალი გაზეთის ხარჯსაც  
აუვიდეს და იმათაც... მიუხედავად გარეგნული სახის ამ სიღუხჭირისა. „დროე-  
ბაში“ ცოცხალი სული ჰფეთქავდა. გაზეთი დიდს დაკვირვებით ანგარიშს უწევ-  
და ყოველ საჭირობოროტო საკითხს, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ თა-  
ვიანთი სიმწვავე... სერგეი მესხი წმინდა წყლის პროგრესისტი იყო. მას საჭი-  
როდ მიაჩნდა ქართული ცხოვრება მოსშორებოდა ძველებურ ფორმებს და  
დასწავებოდა ახალს, რომელიც ევროპული კულტურის სახით ევლინებოდა —  
აი, ის ბერკეტი, რომლის გარშემოც უნდა შემოტრიალებულიყო ერის ცხოვ-  
რება... სერგეი მესხი... დარაჯად ედგა ქართულ ენას და ერთნაირის თავდადე-  
ბით და პირდაპირობით ებრძოდა, როგორც სამოსწავლო ოლქის მაშინდელ  
მზრუნველს ივანოვსკის, ისე პატარ-პატარა მოხელეებს, სერგეი მესხი თავგა-  
მოდებით ებრძოდა ძლიერ გამართლებელ პოლიტიკას.

სერგეი მესხი მთელ თავის იმედებს ხალხის გათვინცნობიერებასა და კულ-  
ტურულ ზრდაზე ამყარებდა, ამიტომ იგი ნამდვილი დემოკრატი იყო.

მას მოსწონს იდეალები საფრანგეთის რევოლუციისა, მხარს უჭერს რუ-  
სეთის პროგრესულ მოთხოვნილებებს. ჩვენშიაც მთელი მისი გულისყური  
ჩქითკენ აქვს მიპყრობილი, რათა ხალხმა გაინთავისუფლოს თავი ბატონყმობის  
ნაშთისაგან და კულტურულ განვითარების გზას დაადგეს.

სერგეი მესხი იყო კეთილშობილი მამულიშვილი. მამულიშვილური გრძნო-  
ბის საუკეთესო მატარებლად და ერის აღორძინების საფუძვლად ხალხი მია-  
ჩნდა. იგი მოითხოვდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა სამეურ-  
ნეო და სპეციალური ცოდნის გავრცელებას. საჭიროდ მიიჩნევდა ჩვენი ქვეყნის

<sup>32</sup> შინაური, ჟურნალისტის დღიური. 181. შიო მღვიმელი, „სახალხო ფურცელი“,  
1916, № 503.



ეკონომიურ წარმატებას. ეკონომიური წარმატების საქმეში დიდს მნიშვნელობას აძლევდა და ანიჭებდა არა მარტო ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებას, არამედ ხალხის ეკონომიური ძალის განვითარებას.

ამ მოკლე მიმოხილვითაც კი ნათლად ყალიბდება ჩვენთვის სალიტერატურო ფიზიონომია სერგეი მესხისა... იგი გულწრფელი და თავდადებული მამულიშვილია. როგორც ერისა და სამშობლოს მოჭირნახულე, იგი იცავს საქართველოს მთლიანობას ... იცავს საქართველოს უცხო ელემენტებისაგან, რომლებიც არღვევენ საქართველოს მთლიანობას. იგი ყველგან, სადაც კი ხმა მიუწვდებოდა, იცავდა ქართულ ეროვნულ ინტერესებს, ებრძოდა მოხელეთა გამარჯვებულ ტენდენციებს, ებრძოდა რუს შოვინისტებს, ებრძოდა თვით ქართველთა გაუტანლობასა და გამყიდველობას, ამხელდა ეროვნულ ღალატს»<sup>33</sup>.

მშვენიერი ესეი, მკვეთრად გამოხატული პირადი სიმპათიით, მიუძღვნა არ. ჯაჯანაშვილმა გარდაცვალებიდან სამასი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით მსოფლიოში სახელდებულთ — შექსპირსა და სერვანტესს. ავტორი მკითხველს აწვდის ამ პირთა ბიოგრაფიულ ცნობებს. ლონდონში დასახლებული შექსპირი დაუახლოვდა თეატრს. „ეს დრო ინგლისის თეატრის აყვავების ხანაა, — აუწყებს ავტორი მკითხველს, — მართალია, სცენა მეტად განუვითარებული იყო, დეკორაციები სრულებით არ იცოდნენ, ქალების როლებს მამაკაცები ასრულებდნენ, მაგრამ დრამატიულ ხელოვნებას ბევრი შესანიშნავი განმსახიერებელი ჰყავდა და თეატრი დიდ როლს თამაშობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში... თეატრის გაცნობას და დაახლოვებას მოჰყვა ის, რომ შექსპირმა დაიწყო პიესების წერა და მალე გაითქვა სახელი მთელ ინგლისში. შექსპირის კალამს ეკუთვნის ორმოცამდე კომედია და დრამა, გარდა ამისა რამდენიმე პოემა და ლექსები. მის ნიჭს თანამემამულენი დიდს პატივს სცემდნენ...“<sup>34</sup>.

გამოჩენილი ესპანელი მწერლის მიველ სერვანტესის ბიოგრაფიას, მის მძიმე თავდადასავალს მოკლედ აცნობს მკითხველებს. „1604 წელს იბეჭდება სერვანტესის უკვდავი ნაწარმოების „დონკიხოტის“ პირველი ნაწილი, რომელიც მთელი მაშინდელი ევროპის ყურადღებას იპყრობს... 1604—1616 წლებში დაიბეჭდა „დონკიხოტის“ მეორე ნაწილი, მრავალი დრამატიული ნაწარმოები, პოემა „მოგზაურობა პარნასზე“ და რომანი „პერსილესი და სიგიზმონდი“. მწერალს უკანასკნელ დღემდე არ მიუგდია კალამი ხელიდან... უმთავრესი ნაწარმოები სახელგანთქმული მწერლისა „დონკიხოტია“. ამ ნაწარმოებში გამომჟღავნდა გენიოსობა სერვანტესისა. მშვენივრად დაახასიათა ყალბი და სასაცილო მხარე იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. მსოფლიო ლიტერატურაში სერვანტესს თავისი უკვდავი სატირული ნაწარმოებით „დონკიხოტით“ პირველი ადგილი უჭირავს...“<sup>35</sup> ცალკე მსჯელობის საგანია „ჰამლეტი“: „რა არის ჰამლეტი? რამდენს მოსურვებია ამ საკითხზე სწორი პასუხის გაცემა. უთვალავია ჰამლეტის ტიპის გამოსარკვევად დაწერილი შრომა... „ჰამლეტი“ ისეთი ნაწარმოებია, რომელიც განუსაზღვრელ შთაბეჭდილებას სტოვებს ადამიანზე და ბუნებრივად ებადება სურვილი, აღნიშვნა იმისი თუ რანაირია ეს შთაბეჭდილება.

ჰამლეტი არის მსხვერპლი უდროობისა. მის კამკამა, ნაზ ბუნებაში მოგროვდა უდიდესი ღირსებანი, როგორც შესაძლებლობა. მაგრამ ეს ნაზი ბუნების

33 არ. ჯაჯანაშვილი, სერგეი მესხი და „დროება“, „სახალხო ფურცელი“, 1916, № 518.

34 გ. ბარელი, ორი დიდებული ადამიანი. 1. შექსპირი, 2. სერვანტესი, „ჰამლეტი“, „სახალხო ფურცელი“, 1916, № 557.

35 იქვე.



ადამიანი დაიბადა იქ და მაშინ, სადაც და როდესაც მისი გაგება ვერავის შეეძლო. არც თვითონ იცის, რომ იგი უღროოდ დაიბადა. სწორედ ეს უცოდინარობა იწვევს მასში სულიერ ტრაგედიას, ტანჯვას, რომელსაც არ შეუძლიან უძლიერესი შთაბეჭდილება არ მოახდინოს ადამიანზე. სინამდვილე, მახინჯი სინამდვილე, შავი ბურუსივით შემოვლებია მას და ისიც თრთის, თრთის მისი ნაზი ბუნება საშინელი სინამდვილის წინაშე. და აი, სასოწარკვეთილების უმაღლესი განვითარების დროს მას გულიდან აღმოხდება საბედისწერო სიტყვები: „ყოფნა, არ ყოფნა!“ რა არის მისთვის ყოფნა? ის ბოროტებაა... ამ საშინელ სინამდვილის ჭკრეტაში ჩაიფერფლა ნაზი ბუნება ჰამლეტისა... ჰამლეტი არ მოკვდება იმიტომ, რომ ჯერ არ მომკვდარა სული გარემოცული ბოროტებისა“<sup>36</sup>.

უაღრესად საინტერესოა თავისი სპეციფიკით. კრიტიკულ-მეცნიერული დონით თუ თვალსაზრისით 1916 წელს გამოქვეყნებული — „ორიოდე სიტყვა დიდი საკითხის შესახებ“, რომელსაც მთლიანად დავიმოწმებთ: «„ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი სალიტერატურო სალაროს ძვირფასი განძია. ამ ნაწარმოებს ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს. არა მარტო როგორც მხატვრული ნაწარმოები, მას მორალური მნიშვნელობაც აქვს. იგი გვაძლევს იმედს, საბოლოებს. ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“ და ვამაყობთ, რომ ასეთი ნაწარმოები ქართული ნიჭის შექმნილია. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ქართული საზოგადოება რაღაც ავადმყოფური შიშით შესცქერის „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკულად ახსნა-განმარტებას. ბრმა მორჩილება ტრადიციებისა ამ შემთხვევაში ისევე მავნებელია, როგორც უცერემონიო თითხვნა დიდებული ნაწარმოებისა. ჩვენ არც კრიტიკისა უნდა შეგვეშინდეს და არც ფუქსავატურად უნდა მოვექცეთ იმას, რითაც სამართლიანად ამაყობს ქართველი ხალხი.

ამ უკანასკნელ ხანში ფრიად საყურადღებო კამათი გაიმართა ბ-ნ პეტრე მირიანაშვილისა და გიორგი გვაზავას შორის. ამ კამათს დიდი სალიტერატურო მნიშვნელობა აქვს. მე პირადად ჩემი თავი ამ სფეროში იმდენად მომზადებულად არ მიმაჩნია, რომ გავბედო და დაწვრილებით განვიხილო რამდენად მართალია ან ერთი ან მეორე. „ვეფხისტყაოსანს“ სპეციალური შესწავლა უნდა და დაკვირვებული მუშაობაა საჭირო. ყველაფერი ეს საგანგებო მეცნიერული შრომის საგანს უნდა შეადგენდეს, მაგრამ მე მაინც გავკადნიერდები და როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველი, ჩემს პირად შთაბეჭდილებას გავუზიარებ მკითხველებს.

პეტრე მირიანაშვილისა და გიორგი გვაზავას შორის გამართული კამათის დედაძარღვი ისევ ისეთია, რანაირიც დიდი ხანია არსებობდა ჩვენს მწერლობაში, სახელდობრ, ქართული ნაწარმოებია „ვეფხისტყაოსანი“ თუ ნათარგმნი. ის, ვინც დარწმუნებულია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ნაწარმოებია, ცდილობს თავისებურად ახსნას ტიპები „ვეფხისტყაოსნისა“. თვით ამბავი, რ.ი.მელიც მოთხრობილია „ვეფხისტყაოსანში“ რომელიმე ისტორიულ ფაქტს დაუკავშიროს და ამით დაამტკიცოს, რომ პოემა ქართული ნაწარმოებია.

ამისთანა შემთხვევაში მაგონდება ხოლმე სიტყვები ერთი პროფესორისა, რომელიც ქრისტიანული ეკლესიის ისტორიას გვიკითხავდა. ამ პროფესორს ძალიან ვინტერესებოდა, რა ეროვნებისა იყო ქრისტე. ლოდიკით იგი ებრაელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ პროფესორი, როგორც შეუთრეგებელი ანტისემიტისტი, ამნაირ დასკვნას ვერასგზით ვერ ურიგდებოდა. იმიტომ მას მოჰყავდა სხვადასხვა ისტორიული საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ შესაძლებელია იესო ქრისტე ებრაელი არ იყო. ამას სხვათა შორის იმითაც ამტკიცებ-



და, რომ იმ დროს იქ ბევრი შეხიზნული ტომი იყო და სწორედ ამითი ჩამომავალი უნდა იყოს იესო ქრისტეო. მაგრამ უფრო საინტერესო იყო მისი მეთოდი მსჯელობისა. ეს რომ ასეც არ იყოს, ჩვენ აუცილებლად უნდა დავამტკიცოთ, რომ ქრისტე ებრაელი იყოვო. თუ ეს არ დავამტკიცეთ, ვერასგზით ვერ ავხსნიოთ, როგორ დაიბადა ებრაულურ ნიადაგზე ქრისტიანული მოძღვრებაო. როგორც ჰხედავოთ, არაფერი მეცნიერული ამნაირ მსჯელობაში არ არის. აქ ჩვენ საქმე გვაქვს წინასწარ განზრახვასთან. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ქრისტე ებრაელი არ იყო და ამიტომ როგორც და რანაირადაც არ იყო, უნდა გამოვძებნოთ ფაქტები მისი არაებრაელობისა.

სწორედ ასევე ემართებათ იმაოთ, ვინც „ვეფხისტყაოსანის“ ქართული წარმოშობის დასამტკიცებლად მიმართავს არა თვით ნაწარმოებს. როგორც ერთადერთ წყაროს და უტყუარ საბუთს, არამედ წინასწარ განზრახვას. ნამდვილად კი მუშაობა სულ სხვანაირი წესით უნდა სწარმოებდეს. თვით ნაწარმოების დაკვირვებულ კვლევას უნდა შევუდგეთ და მხოლოდ მაშინ დავრწმუნდებით, ქართული ნაწარმოებია იგი თუ ნათარგმნი. უნდა მეცნიერულად შესწავლილი იქნას „ვეფხისტყაოსანი“ მრავალის მხრით. მაგალითად, უნდა კარგად და დაბეჯითებით ვიცოდეთ რანაირი ტანისამოსი აცვიათ გმირებს, რანაირი იარაღს ხმარობენ, როგორი ავეჯი უწყვიათ, რანაირია ცერემონიული სასახლეში, როგორი შეხედულებებია შემუშავებული ამა თუ იმ საკითხის შესახებ. მერე ყველაფერი ეს უნდა სისტემატურად დალაგდეს და გამოირკვეს, შეეფერება თუ არა ნაყოფი ჩვენი კვლევისა ქართულ ისტორიულ სინამდვილეს, რომელსაც, საუბედუროდ, ასეთივე გამორკვევა ესაჭიროება. მხოლოდ ამნაირი სისტემით, ხანგრძლივი მუშაობით მოვახერხებოთ ჭეშმარიტი აზრის შემუშავებას „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ.

ბ-ნ პ. მირიანაშვილისა და გ. გვაზავას შორის შემთხვევით გამართული კამათი „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ იმ მხრით არის საინტერესო, რომ საკითხს სწორედ ამ მხრიდან უვლის.

პ. მირიანაშვილმა ერთ წერილში სხვათა შორის განაცხადა: „ვეფხისტყაოსანის“ გმირები ნამდვილი მაჰმადიანები არიანო. ეს არ მოეწონა ბ-ნ გვაზავას და კატეგორიულად განაცხადა, ისინი მაჰმადიანები კი არა ქართველები არიან და, როგორც ქართველები, არ შეიძლება ნამდვილი მაჰმადიანები იყვნენო. მე მგონია ერთიცა სცდება და მეორეც, ყოველივე ეჭვის გარეშეა, რომ შოთა რუსთაველს თავისი ნაწარმოების გარეგნულ ჩარჩოდ უცხო ქვეყანა, უცხო წრე აქვს აღებული. მომქმედნი პირნიც, თვით შოთა რუსთაველის წარმოდგენით, არა ქართველები უნდა ყოფილიყვნენ. მხატვრული მთლიანობისათვის, მხატვრული ჭეშმარიტებისათვის საჭირო იყო „ვეფხისტყაოსანში“ გამოყვანილი გმირები უსათუოდ... ნამდვილი მაჰმადიანები ყოფილიყვნენ. შოთა რუსთაველიც, როგორც მხატვრული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი, მხატვრული სისრულის შესაქმნელად, ცდილობდა ეს უპირველესი მოთხოვნილება არ დაერღვია. ამიტომ ჩვენც არც უნდა გვეუცხოვებოდეს თუ „ვეფხისტყაოსანში“ ეს გარეგნული სახე პედანტურის სიწმინდით არის დაცული. მაგრამ საქმე იმაშია, რომ პედანტიზმს პოემაში ადგილი არა აქვს, ხშირად „ვეფხისტყაოსანში“ გამოჰკრთის არამაჰმადიანური სულისკვეთება. შოთა რუსთაველი ჰალალატობს თავის თავს არა მაშინ, როდესაც მასში არამაჰმადიანური სულისკვეთება იჩენს თავს. მაგრამ სწორედ ეს გარემოება ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წმინდა ქართული ნაწარმოებია და არა ნათარგმნი. ასეთი დარღვევა მთლიანობისა მხოლოდ იქ შეიძლება, სადაც ავტორს ნაწარმოების გარეგნულ ჩარჩოდ აუღია არა ის წრე, სადაც სცხოვრობს და მოქმედობს, არამედ უცხო. სული ერთია და ჩარჩო კიდევ სხვა. ქართველს, რაც უნდა გენიოსური ნიჭით



იყოს დაჯილდოვებული, არ შეუძლიან აბსოლუტურად აღმოფხვრას თავისი არსებიდან თანდაყოლილი და ცხოვრებაში მსაღებელი თვისებანი და მთლად უცხო ქვეყნის სული შეითვისოს. ამ მხრით ყოველთვის სული უფრო ძლიერია ხოლმე, ვიდრე ფორმა. ამიტომაც „ვეფხისტყაოსანში“ გარეგნული ფორმა ხშირად ირღვევა და თავს იჩენს ავტორის ნამდვილი სახე, ჩამოყალიბებული განსაზღვრული წრის ზეგავლენით. ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს, თუ პოემის რომელიმე გმირში, რომელიც გარეგნულად მაჰმადიანად გვევლინება, ჩვენ ნამდვილ ქართველს დავინახავთ ხოლმე. არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ „ვეფხისტყაოსნის“ მრავალრიცხოვან ტიპთა შორის საქართველოს სხვადასხვა პროვინციის წარმომადგენლები ვიპოვეთ. შეზღუდვა ქართველი მკვლევარისა ამ მხრით ჩვენ არ შეგვიძლიან, პირიქით, ამნაირ კვლევა-ძიებას ფართო ასპარეზი უნდა მიეცეს. მხოლოდ ამნაირი კვლევა-ძიებით შესაძლებელი გახდება არა მარტო ქართულ გარეგნულ ფორმაში ჩამოსხმულ წმინდა ქართულ სულის აღმოჩენა<sup>37</sup>... ვფიქრობ, ყველა ვინც კი ამ წერილს ვაეცნობა, დამეთანხმება, რომ ის ნამდვილად ადასტურებს, რომ ამ წერილის ავტორი ფრიად განათლებული პიროვნებაა და არასოდეს და არსად არ კადრულობს თავის გამოჩენას იქ, რაც მის ავტორიტეტს შელახავს. ის არ არის რუსთველოლოგი, მაგრამ აღძრულ საკითხში მისი მსჯელობა დადებით შთაბეჭდილებას სტოვებს, განსაკუთრებით როგორც კრიტიკოსისას.

ქართული გიმნაზიის მეექვსე კლასის მოსწავლის ცნობიერებაში ღრმა დამაჯერებლობით აღბეჭდილა დუშეთის მაზრის სოფელ არანასის მკვიდრის სანიკა ზანდუკელის მტკიცება, რომ ყაზბეგის გვარით გამოქვეყნებული მხატვრული თხზულებანის ავტორი იყო დიმიტრი და არა ალექსანდრე. არჩილ ჯაჭანაშვილი უკვე ცნობილი ლიტერატორი ბრძანდებოდა, როცა წერილში — „ალ. ყაზბეგის ნაწერების გამო“ აღნიშნავდა: „ბ-ნმა ლ. ყიფიანმა გაზეთ „სლოვოში“ განიხილა ერთი საკითხი, რომელიც კარგა ხანია დავიწყებას იყო მიცემული, საკითხი იმის შესახებ, მართლა ალ. ყაზბეგია ავტორი იმ ნაწერებისა, რომელსაც მთელი ქართველი საზოგადოება იცნობს, თუ სხვა ვინმე. ალ. ყაზბეგის ცხოვრება და მისი ნაწერები, მართლაც ისეთს საშინელს კონტრასტს წარმოადგენს, რომ ძალაუვნებურად აღეძვრება ადამიანს ეჭვი და უნდობლობა. ნაწერები ამქალაქებს ავტორის ეპიურ სიმშვიდეს, ბუნებისა და ცხოვრების დარბაისლურ განჭვრეტას, ბიოგრაფიული მასალა კი გვიშლის სულის მოძრაობას ანჩხლი, დაწვრილმანებული ადამიანისას... როდესაც ჩვენ საზოგადოებაში პირველად გაისმა ხმა ეჭვისა, გამოჩნდნენ მრავალნი მოწმენი იმისა, რომ ალ. ყაზბეგი თითონა სწერდა თავის ნაწერებსაო... მე პირადად ეს გარემოება მიმაჩნია ეჭვის აღმძრელად...<sup>38</sup> წერილის მომდევნო ნაწილში კრიტიკოსი ცდილობს ჭეშმარიტებად მიიჩნიოს სანიკა ზანდუკელის „დამარწმუნებელი“ მტკიცება, რომ ნამდვილი ავტორი დიმიტრი ყაზბეგი იყო.

„საუბედუროდ მის შემდეგ ბევრმა ღრმად განვლო, — წერს დასკვნაში ავტორი, — თვით ზანდუკელიც კარგა ხანია ცოცხალი აღარ არის. ბევრი ცოცხალი მოწმე წუთისოფელს გამოესალმა; მაგრამ სახე უცნობის, რომელიც შესაძლებელია მთელს თავის ფიქრსა და ნაზს გრძნობას მხატვრულ ნაწერებში აქსოვდა, ჯერ ისევ თან დამდევს და მოსვენებას არ მაძლევს. კავკასიის მთებში გადაკარგული კეთილშობილი ადამიანი განმარტოებით სჭვრეტდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას და ბუნებას, ამიტომაც ისტორიამ უნდა აღადგინოს

<sup>37</sup> არ. ჯ-შვილი, ორიოდ სიტყვა დიდი საკითხის შესახებ, „სახალხო ფურცელი“, 1916, № 608.

<sup>38</sup> არ. ჯაჭანაშვილი, ალ. ყაზბეგის ნაწერების გამო, „სახალხო საქმე“, 1919, № 695.



მისი უფლება თუ იგი მართლაც შესაძლებელია“. ხაზგასმული სიტყვები გარკვეულ ეჭვს ბადებს ავტორის პოზიციის გამო. ვინ მიაჩნია მას რეალურ ავტორად — გამოჩნდა 17 წლის შემდეგ, მაშინ, როდესაც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ეს საკითხი ვახტანგ კოტეტიშვილის ნაშრომში — „აღ. ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი“ (ტფ., 1925 წ.) საბოლოოდ იყო გარკვეული. თავის რეცენზიაში „საინტერესო მემუარები“ (მას ქვევით შევხებით) არ. ჯაჯანაშვილი წერდა: „ჩვენი აზრი ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის შესახებ, რამდენადაც არ უნდა გვაწვდებოდეს..., მაინც არ შეგვიძლია განსაკუთრებული ყურადღებით არ მოვეპყრათ ელისაბედ ყაზბეგის „მოგონებებს“, როგორც თავისთავად საინტერესო ლიტერატურულ დოკუმენტს. იაკობ მანსვეტაშვილი კი ასეთი ჭირვეული პოლემიკური ტონით (ხაზგასმა ჩვენია — ი. ლ.) ეკამათება განსვენებულის აჩრდილს?“<sup>39</sup>.

იაკობ მანსვეტაშვილი კი თავის „მოგონებებში“ წერს: „წინადაც ბევრისგან გაიგონებდით და ამ რამდენიმე წლის წინად ხომ ერთი განგაში იდგა სანდრო ყაზბეგის სახელის გარშემო, მეტადრე მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ელისაბედ ყაზბეგის, სანდროს ბიძაშვილის ნაწერები, სადაც ეს ქალი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სანდრო ყაზბეგის სახელით ცნობილი მოთხრობები დიმიტრი ყაზბეგისაა და სანდრომ მხოლოდ მიიჩიემაო. თუმცა, გულახდილად ვიტყვით: ამ უკანასკნელ ნაწერებში ისტერიკა და ჯალაბური ჭორიკანობა, მითქმამითქმა უფრო მეტია, ვიდრე დამჯდარი მსჯელობა და ნამდვილი ამბები, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთი გულუბრყვილონიც, რომელთაც სინამდვილეთ მიიღეს ელისაბედ ყაზბეგის შინაურ ჭუჭყიან სარეცხის ჭეჭყვა. წარმოიდგინეთ, ლიტერატურის მკვლევარი ზანდუკელიც აპყვა ამ ქალის ფეხის ხმას. ამათი გონების სილატაკის და სიბეცის განხილვა აქ უადგილოა და არც საჭიროდ მიმაჩნია. ყველა ეს ხელოვნურად და საქმის ცოდნით შეასრულა ვ. კოტეტიშვილმა თავის საფუძვლიან გამოკვლევაში“<sup>40</sup> და მემუარების ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს ამ საკითხს.

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ არჩილ ჯაჯანაშვილი 1936 წელსაც თავის აღრინდელ პოზიციაზე იდგა და სხვებსაც უკიჟინებდა, მათ შორის იაკობ მანსვეტაშვილსაც „გარდაცვალებულის აჩრდილთან“ გაუმართლებელ კამათს.

წერილში — „ჩვენი მიმდინარე მწერლობა“ ავტორი ლოგიკურად მსჯელობს იმ პროცესზე, რომელიც ესოდენ გამოკვეთილი იყო ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში: „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი დიდი კულტურული საუნიჯეა. ... ეს კულტურული საუნიჯე თვალს უსწორებს თანამედროვე სინამდვილეს, პილატესავით ხელს არ იბანს, „ტკბილ ხმებისათვის“ არ იცლის, იკრებს მთელ თავის სულიერ ძალებს „ისტორიული უღელტეხილის“ გადასალახავათ. ეს უნდა იყოს და იქნება კიდევ დასაყრდნობი წერტილი ჩვენ მიმდინარე მხატვრული მწერლობისათვის.

მეშინია, ეს არ ჩამითვალონ პროპაგანდათ. მხატვრული მწერლობა, ხელოვნება არ ითმენს პროპაგანდას, მისთვის ეს სრულიად საჭირო არ არის, იმისთვის საჭიროა „უკვდავების წყარო“ და ამას ის ვერ იპოვნის სინამდვილის გარეშე. რაც უნდა „შუალამის რკალებში“ იყოს გამომწყვდეული ეს სინამდვილე. ერთი მაჯისცემა ისმის მიმდინარე მწერლობაში იმედში, რწმენაში, „სულის ანთებაში“, „ფოლადის განცდაში“, „ახლის მოლოდინში“ გადმოცემული მისი ფესვები. ამითაა გასხვივსნებული მისი სული, „სული, რომელსაც შეუძლია ეზიაროს: შოთას, ნ. ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას და ჩვენი კულტურის

<sup>39</sup> არ. ჯაჯანაშვილი, საინტერესო მემუარები, „ლიტერატურული საქართველო“, 1936, № 18.

<sup>40</sup> ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ტფილისი, 1936, გვ. 210—215.



სხვა დიდებულ მოღვაწეთა მადლს“. ამ ზიარებაშია მის „უკვდავების წყარო“. ჩვენი მწერლობა წარსულისაგან კავშირის გაუწყვეტლად მოგვეცემს ახალ მიღწევებს, იტყვის ახალ სიტყვას. მაცდურია თანამედროვე ხანა. ის აცდენს ახლანდელ მწერალს: სასწაული გვიჩვენეო, დაგვანახე ჯერ არ ნახული, გაგვაგონე, ჯერ გაუგონარი. მოგვეცი ისეთი სიახლე, რომელსაც არა აქვს წარსულთან არავითარი კავშირიო. ეს იქნებოდა კლდეზე გადავარდნა მიმდინარე მწერლობისათვის. ვინც ახალ მიღწევებს ეძებს წარსულისაგან ზურგის შექცევით, ის ვერაფერს მიაღწევს. წარსულისაგან, ჩვენი დიდებული აზრდილისაგან ნაანდერძევი კვერთხით მოახდენს ნამდვილ სასწაულს მიმდინარე მწერლობა. ამ კვერთხით გადააქცევს ის სიმახინჯეს სილამაზედ... მართალია ერთფეროვნება ვერ დაამშვენებს ვერც ერთ მწერლობას. ერთი მაჯისცემა, მართალია, ქმნის ჩვენი მიმდინარე მწერლობის ერთფეროვანებას, რის გამოც სახეების, ფერების სხვადასხვაობას ვერ ვამჩნევთ. აქ ჯერ კიდევ დიდი ნაკლია, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს არის დროებითი ნაკლი. მიმდინარე მწერლობა ჯერ ძირს იდგამს, ფესვებს იმაგრებს, კვერთხს იმარჯვებს ხელში. გამაგრებულ ფესვებზე ამოვა ტანმაგარი მცენარე, რომელიც ფართოდ წაილწამოიღებს თავის შტოებს. მაშინ აღარ იქნება ასეთი ერთფეროვნება, ასეთი შეკუმშვა სხვადასხვა მწერლების სახეებისა. თვითოეული მათგანი გამოამკარავებს თავის მწერლურ პიროვნებას და გამოჩნდება ერთ ძირზე ამოსული სხვადასხვაობა“<sup>41</sup>.

საინტერესო რეცენზიებით გამოეხმაურა არ. ჯაჯანაშვილი ახალ წიგნებსა და ჟურნალ „ხომალდის“ მორიგ ნომერს (№ 4—5).

კნუტ ჰამსუნის „Соки земли“-ს რეცენზიაში იგი აღნიშნავდა: „ეს ახალი ნაწარმოები საქვეყნოთ ცნობილი ავტორისა დიდი შენაძენია თანამედროვე მსოფლიო მწერლობისათვის. მხატვრული ღირსებით ის დგას ადრინდელი ნაწერების სიმაღლეზე. იგივე შესანიშნავი უბრალოება, იგივე ფერები, საღებავები. სავანიც არ არის კნუტ ჰამსუნისათვის უჩვეულოდ. მოქმედება ქალაქს გარეთ, ახლანდელ კულტურა-ცივილიზაციისაგან მოშორებით ხდება. განმარტოვებული ადამიანის შრომა, სადღაც მივარდნილ მთა-კლდეებში, ჯერ კიდევ დაუბუზავარ მიწაზე. მიწა აჯილდოვებს ამ შრომას, უხვათ აძლევს თავის წვეს. ადამიანი მოთმინებით, დაულალავი შრომით ქმნის უზომო სიმდიდრეს. მთავარი მოქმედი პირი ისაკი — ეს საოცარი განხორციელებაა სასწაულებრივი შრომისა“. რეცენზიაში მიმოხილულია რომანი. „დაპირისპირება ქალაქის კულტურის და სოფლის ცხოვრებისა მთავარ ხაზით არის გატარებული რომანში, — ვკითხულობთ რეცენზიის დასკვნაში. — ერთი კრიტიკოსი საყვედურის კილოთი აღნიშნავდა რუსულ გაზეთში, რომ ჰამსუნს ომის დროს აქვს დაწერილი ეს წიგნი და არაფერს ამბობს ომზეო. რუს კრიტიკოსს ვერ გაუგია, რაც წაუკითხავს, მართალია ნაწარმოებში არ არის... ფრონტზე შეჯახების სურათები, ომს ავტორი არ ეხება, მაგრამ მთელი მისი წიგნი მჭერმეტყველური პროცესია ომის წინააღმდეგ... სამარადისო სიცოცხლის პოეზია დაუპირისპირა დიდმა მხატვარმა იმ უნაყოფო სიკვდილის პროზას, რომელსაც ომი წარმოადგენს. ლახვარით ხვდება მისი შესანიშნავი კალამი ომის იდეოლოგიას“<sup>42</sup>.

ასეთივე პირდაპირობით მიმოიხილავს იგი რენე მარინის — „ბატუალას“. „ამ ნაწარმოებს აქებენ. იყო მისი ქება რუსულ პრესაშიც, იყო ქართულშიც, — წერს რეცენზენტი, — არ შემძლია გავიზიარო ასეთი დაფასება. ვერაფერს ვხედავ აქ ისეთს. ვერ ვხედავ ვერც ე. წ. „წყეულ“ კითხვებს, ვერც მკაფიო სახეებს. ავტორი ცდილობს ჩაგვახედოს იმ საწინელ უფსკრულში, რომლითაც

<sup>41</sup> უცნობი, ჩვენი მიმდინარე მწერლობა. კულტურული საუნჯე, „ლომისი“, 1923, № 24.

<sup>42</sup> უცნობი, ახალი წიგნი კნუტ ჰამსუნისა „Соки земли“, „ლომისი“, 1923, № 26.  
2. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1996, № 1—4.





გაპოზილია ორი ქვეყანა — თეთრებისა და შავებისა, მაგრამ უბრალო ქრონიკალური ხასიათის ცნობებიდან მეტი წარმოდგენა გვაქვს ამ უფსკრულზე, ვიდრე ეს ნაწარმოები გვაძლევს. საგნათ აღებულია ზანგების ცხოვრება. ეს შავი ქვეყანა დაპირისპირებულია თეთრ ევროპასთან. ეს ბრალდებითი ოქმია ევროპის ცივილიზაციისადმი — ოქმი სუსტი შინაარსით და მკრთალი მხატვრული გამომეტყველებით. თანამედროვე ცივილიზაცია მიჯაჭვულია სამარცხვინო ბოძთან დასავლეთ ევროპის და რუსულ მწერლობაში. აქ დიდი ხანია „კვაზიმოდო“... ეს მახინჯი სახე უკვდავ ბრალმდებლად დგას თეთრი ქვეყნიერების წინაშე. ასეთია, ვიმეორებ, მთელი ევროპის მწერლობა მას აქეთ, რაც არსებობს ევროპის ცივილიზაცია. ზანგების ქვეყანა ეს ახალი საბრალდებულო მასალაა. და საჭირო იყო ვ. ჰიუგოსა ან ლ. ტოლსტოის ძლიერება, რომ მხატვრული სისხლ-ხორცი შესხმოდა ამ მასალას. „ბატულას“ ავტორმა კი ეს ვერც საშუალოდ ვერ შესძლო... ევროპის კულტურა ანადგურებს ზანგების კულტურას. ეს არის საუკუნის ამბავი... ძნელი გასაგებია რაო დასჭირდა ავტორს ასეთი გაშიშვლება... იქნებ ის აკმაყოფილებს „ახალი“ ჰკითხველის გემოვნებას?... საშინელ კრიზისს განიცდის ეს მწერლობა“<sup>43</sup>.

ვრცელი მიმოხილვით გამოეხმინა კრიტიკოსი ყურნალ „ხომალდის“ მორიგი ნომრის № 4—5 გამოსვლას. ყურნალის მორიგი ნომრის გაცნობისას მას ახსენდებოდა მ. ლერმონტოვის პოეტური სტრიქონები, რამდენად ახლოს ეცნობოდა იგი „ხომალდის“ ახალ ნომერს მით უფრო უჩნდებოდა სურვილი კარგად გასცნობოდა „იქ შეჯგუფებულ მეზღვაურებს“, რომლებიც ისევე გამოხატავდნენ სულიერ მარტოობას, როგორც ლერმონტოვის გახსენებული სტრიქონები, იქნებ იმიტომაც, რომ ეს ჯგუფი „მეზღვაურებისა“ მშათ არის შეებას სინამდვილით აზღვევებულ სტიქიას, მაგრამ როგორც ავტორი წერს: „ხომალდის“ არ ეტყობა ლერმონტოვისებური ვაბედულება... ის არ აპირებს ზღვის ტალღებთან ბრძოლას, ის შედის საშინელ სტიქიაში თვალახვეულათ, წინ უნდა ხედავდეს სინათლეს, ან შუქს... ამაშია „ხომალდის“ ძალაც და სისუსტეც, ის არ დაკარგავს გზას, არ დაიმსხვრევა სადმე ნაპირზე, არ ჩაიძირება უიმედობის უფსკრულში. ხელოვნება კი ამას ვერ დასჯერდება... შემოქმედებას აქვს თავისი სტიქია, რომელიც არ ითმენს ლაგამს არსაიდან და არაფრისგან. „ხომალდი“ ისაზღვრავს ძალაუფლებურად თავის თავს და ამ განსაზღვრით ასუსტებს თავის შემოქმედებით ძალებს...“<sup>44</sup>.

ავტორი მიმოიხილავს ს. აბაშელის, ხ. ვარდოშვილის, ობოლი მუშის, ვ. რუხაძის, გ. ქუჩიშვილის ყურნალის ამ ნომერში წარმოდგენილ პოეზიას და სათანადო შეფასებას აძლევს მას. დასკვნაში იგი წერს: „ხომალდის“ პოეზია არა ვავს ისეთ გაელვებას, რომელიც კნუტ ჰამსუნის თქმით გადის — „В безплодное сверкание“.

„ხომალდის“ ამ ნომრის „მწვერვალად“ რეცენზენტს მიაჩნია ჭოლა ლომთათიძის მოთხრობა „პირველი მისი“, რომლის სილამაზე არ იჩრდილება ხელოვნური შემოხაზულობით, ბრჭყვიალა წინწყლებით და მოგონილი ფერადფერადობით: „ჭოლა ლომთათიძის ბუნებრივობა არა აქვს მიხეილ ბოჭორიშვილს. არ ვარვა ნალამაზევი დანაფერუმაბრილვეი სილამაზე. მიხ. ბოჭორიშვილი გარეგნობიდან ცდილობს სილამაზის შექმნას... თითქმის სულ იკარგება სული და გული ნაწარმოებისა. მის „მწუხროში“ აღარ სჩანს მწუხრო... მიხ. ბოჭორიშვილს კი შეუძლია თავიდან აიცილოს ასეთი საფრთხე...“.

დადებითადაა შეფასებული დემნა შენგელაიას „ალმატური ღამე“.

43 უ ც ნ ო ბ ი, რენე მარან — „ბატულა“, „ლომისი“, 1923, № 27.

44 უ ც ნ ო ბ ი, ბიბლიოგრაფია, „ხომალდი“, № 4—5, „ლომისი“, 1923, № 29.



კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული წერილების ნაკლად მას მიაჩნია, რომ მათში არ არის, ან ვერ არის ნაჩვენები მხატვრული მწერლობის გზები.

რეცენზენტი სამწუხაროდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ჟურნალი იშვიათად გამოდის.

ფრიად საინტერესოა, აქტუალური და პრობლემატურია კრიტიკოსის წერილი — „ჩვენი გზა“, რომელშიც განზოგადებულია მეტად რთული პრობლემა ქართული მწერლობის ხვალისდებლობისა. წერილში ვკითხულობთ: „ეხლა ყოველგვარ ღირებულებათა ხელახლად გადაფასების ხანაში, როდესაც უდიდესი ომისა და რევოლუციების ზეგავლენით შეირყა საფუძვლები საზოგადოებრივი არსებობისა, ხელოვნება საზოგადოდ და მწერლობა კერძოდ ერთ მთლიან განუყოფელ ორგანიზმად ვერ დარჩება და იგი აუცილებლად სხვადასხვა სახესა და მიმართულებას მიიღებს. ქართული სინამდვილე, რა ბქმა უნდა, ამ საერთო მოვლენების ზეგავლენას ვერ ასცილდებოდა და ჩვენშიაც სხვადასხვა სალიტერატურო მიმართულებანი უნდა გაჩენილიყო. ასეც მოხდა. არავითარი საჭიროება არ მოითხოვს რაიმე ხელოვნური ზომებით ამ მიმართულებათა თავისუფალ განვითარებას ფრთები შეეკვეციოს. პირიქით, თითოეულმა მათგანმა უნდა მოიპოვოს სრული შესაძლებლობა თავისი სულიერი ენერჯის აღმოჩენისა და განვითარებისა. დოგმატიზმი და სექტანტიზმი ისე არც ერთ სფეროში არ არის მავნებელი, როგორც მწერლობაში, სადაც ხშირად ნაწარმოების შინაგანი უბედურება დოგმატური მოსაზრებით იჩრდილება და იფარება... რა ნაირიც არ უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება სხვადასხვა მიმართულებისადმი, ერთი რამ მაინც უცილობელ ჭეშმარიტებად უნდა იქნეს მიჩნეული. მწერლობას უსათუოდ ეპოქის ბეჭედი ახის. ზოგჯერ მწერალი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთლიანად ეპოქის შვილია, თავის ნაწარმოებში ამჟღავნებს ისეთ სულიერ ენერჯიას, რომელიც ეპოქის შედარებით ვიწრო ფარგლებს სცილდება. ამისთანა შემთხვევაში გენიალობის მოვლენასთან გვაქვს საქმე. სწორედ ამიტომ ეპოქას გენიოსები არა ჰყავს. ძალიან საეჭვოა, შოთა რუსთაველი ისეთ ბუმბერაზ პიროვნებად მოსჩვენებოდათ მის თანამედროვეებს, რამდენადაც ამჟამად ჩვენ მიგვაჩნია. ... მაგრამ თვით მწერლობა თავისთავად უაღრესად ეპოქალურია. იგი შედგება განსაზღვრული საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ამ ფარგლებს ვერ გასცილდება, ეპოქას ვერ გადაახტება... მესამოცე წლებიდან დაწყებული იმ დრომდე, როდესაც ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი რუსეთის ახლად ჩასახული რევოლუციის ტალღებმა ჩაითრია, ქართულმა სინამდვილემ წარმოშვა მთელი პლეადა შესანიშნავი მწერლებისა, რომლებიც განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში იყვნენ აღზრდილნი და განსაზღვრული ისტორიული მოვალეობაც შეასრულეს...

დასახელებული ხანის შემდეგ კი ქართული ლიტერატურა თითქოს გაიყინა. პოლიტიკურმა ინტერესმა ყველა სხვა ინტერესები სავსებით დაჩრდილა. სარევოლუციო მოძრაობა, ომი, რევოლუცია, ყველაფერი ეს ისეთი სისწრაფით ხდებოდა და საზოგადოების ისეთ დიდს ენერჯიას იწირავდა, რომ მწერლობა თითქმის აღარავის ახსოვდა. ნამდვილად კი ამ ხნის განმავლობაში საზოგადოების ფრიად თვალსაჩინო გარდაქმნა მოხდა, წარმოიშვა სრულიად ახალი სოციალური კლასები და საზოგადოებრივი ჯგუფები. სამოქალაქო ცხოვრება განვითარდა, ძველი, პატრიარქალური დამოკიდებულებანი, ისპობოდა და მის ადგილას ახალი დამოკიდებულებანი იქმნებოდა. დაიბადა ახალი სოციალური ტიპი, ახალი სოციალური მდგომარეობის ღვიძლი შვილები, ახალი სულიერი განცდით, ახალი მიზნებითა და ფსიქიკით.

ამ ეპოქამ, რომელიც ჩვენ დრომდე გრძელდება, მწერლობაში მკვეთრი გამოხატულება ვერა პოვა, ისტორიული ძაფი ქართული მწერლობის განვითარ-



რებისა თითქოს გაწყდა და იქ, სადაც ფართოდ გამოიღო შემოქმედებას უნდა წარმოეშვა მთელი რიგი ისეთი ნაწარმოებებისა, რომელნიც ეპოქის სარკედ გადაიქცეოდნენ, ცარიელი, შეუვსებელი ადგილი დარჩა. ორიოდ-სამიოდ ნიჭიერ პოეტს, რაც უნდა დიდი პატივისმცემელი და დამფასებლები ვიყოთ მათი ნიჭისა, რა თქმა უნდა, ვერ შეეძლო შეევსო ის სიცარიელე. რომელსაც საშინელის გულისტკივილით თვითოეული ქართველი განიცდის. არც მოთხრობა, არც რომანი, არც დრამა, არც ერთი მათგანი არ განვითარდა ჩვენში იმდენად, რამდენადაც ამას თვით სინამდვილე მოითხოვდა...

ამნაირი შეხედულების განმტკიცებამ შეიძლება უდიდესი ვნება მოუტანოს ქართული ლიტერატურის აღორძინებას. მან შეიძლება ავადმყოფური მიდრეკილება მისცეს ჩვენ მწერლობას და კარგა ხანს მისი განვითარება შეაჩეროს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულ მწერლობის გაწყვეტილი ისტორიული ძაფი უნდა აღსდგეს, ე. ი. მწერლობა ეპოქალური უნდა გახდეს... ჩვენ ვთხოვლობთ, რომ ქართული მწერლობა მშობლიურ ნიადაგზე დადგეს და ვერავინ გაბედავს გვითხრას, თითქოს ასეთი მოთხოვნა ქართული შემოქმედის ლატერატურულ ძლიერებას ოდნავ მაინც ძირს დასწევს.

ჩვენ ქართულ სინამდვილეს ისე არ გავამასხარავებთ, რომ იგი დიდი ნიჭისათვის მცირე ასპარეზად ჩავთვალოთ... ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართული მწერლობის და, მაშასადამე, მისი ორგანიზაციების დანიშნულებაც სწორედ ამ გაწყვეტილი ისტორიული ძაფის აღდგენაში მდგომარეობს. საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანიზაციამაც, ჩვენის აზრით, სწორედ აქეთკენ უნდა მიმართოს თავისი ნავი და ქართველ მწერლებს შემოქმედების სურვილი და იმედი შთაუწეროს. ქართველ მწერალთა კავშირი ერთგვარ დარაჯად უნდა დაუდგეს ქართულ მწერლობის ინტერესებს და მკლავის ერთი მოქნევით ჩამოაცილოს ჩვენს სხეულს ის ელემენტები, რომლებიც სათავეშივე მოისურვებენ ქართველ მწერლებს შთაგონონ უნდობლობა საკუთარ ძალებისადმი.

დავით კლდიაშვილს რომ თავისი გულისყური ამერიკისაკენ მიეპყრო და არა მათხოჯისაკენ, იგი ვერც იმ ნაწარმოებებს შექქმნიდა, რომლებიც ძალიან მაღე კლასიკურ ნაწარმოებებად გადაიქცევა. დავით კლდიაშვილი სადად, მარტივად, უპრეტენზიოდ შეუდგა თავის სალიტერატურო მოღვაწეობას და აი, ამჟამად იგი ჩვენს წინაშე დგას, როგორც დიდი მწერალი.

ჩვენი სურვილია, ქართული მწერლობის განვითარებამ ის მიმართულება მიიღოს, რომელიც სალიტერატურო ძალთა გამოცოცხლებასა და მოღონიერებას ხელს შეუწყობს. ღრმად დაარწმუნებული ვართ, ამ სურვილის განხორციელების დროს მთელი შეგნებული საზოგადოების სიმპატიები ჩვენს მხარეს იქნება<sup>45</sup>. ასეთ თეორიულ ასპექტში განიხილავდა ქართული მწერლობის მტკივნეულ პრობლემურ საკითხებს თავის წერილში ავტორი, რომლის მოსაზრებანი და სურვილები უთუოდ პროგრესული ხასიათისანი არიან.

კრიტიკული წვდომის მრავალფეროვნებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ არჩილ ჯაჯანაშვილს სალიტერატურო კრიტიკის მიღმა არა რჩებოდა ისეთი სერიოზული თემა, როგორცაა ფორმა და შინაარსი. თავის წერილებში იგი არაერთგზის ეხება ამ თემას. მხატვრული ლიტერატურის ფორმა და შინაარსი ლიტერატურათმცოდნეობითი ცნებებია და ეყრდნობა მათ ფილოსოფიურ განმარტებას. ფორმა მხატვრულ ლიტერატურაში არა მარტო შინაარსის ობიექტივაციას ახდენს, არამედ შინაარსის მოწესრიგებისა და ორგანიზაციის ფუნქციაც აკისრია. ერთ-ერთი პირველი ამ საკითხს, თეორიულ საკითხს ქართველ

45 არჩილ ჯაჯანაშვილი, კრიტიკული შენიშვნები, ფორმა და შინაარსი, „ქართული სიტყვა“, 1924, № 22, იოსებ ლორთქიფანიძე, ქართული მხატვრული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიიდან, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XVIII, 1989, გვ. 16—17.



ავტორთაგან 20-იანი წლების დასაწყისში შეეხო არ. ჯაჯანაშვილი წერილში — „კრიტიკული შენიშვნები (ფორმა და შინაარსი)“, მასში განხილულია ფორმისა და შინაარსის ერთიანობისა და ევოლუციის საკითხი. ნაშრომში ვკითხულობთ: „არის შეხედულება, რომელიც ამ ორ ცნებას (ფორმა და შინაარსი. — ი. ლ.) ერთმანეთს უპირისპირებს და ზოგჯერ იმ უკიდურესობამდისაც მიდის, რომ შესაძლებლად მიმაჩნია არსებობა ნაწარმოებისა, რომელსაც ფორმა აქვს და შინაარსი კი არა. „უშინაარსო“ ნაწარმოები! ეს ერთი იმ აფსურდთაგანია, რომელიც ხშირად „დიდი სიბრძნის“ სახით ვრცელდება. ფორმისა და შინაარსის განცალკევებულად წარმოდგენა ისევე შეუძლებელია, როგორც ცოცხალ არსებაში განცალკევებულად წარმოდგენა სულისა და იმ სასიცოცხლო მოვლენათა კომპლექსისა, რომელიც ფსიქიურ სამყაროს ჰქმნის. შემოხსენებული უკიდურესობის გავრცელებას ხშირად ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მხატვრული ნაწარმოების შინაარსი თავისი ზოგადი გამოხატულებით მარადიულობის ნიშანს ატარებს, ფორმა კი მუდმივ ცვალებადობის პროცესში იმყოფება. მხატვრული ნაწარმოების შინაარსი თუ მის ზოგად განმარტებას მოვისურვებთ, არის ადამიანი და მისი ურთიერთდამოკიდებულება გარემომცველ სინამდვილესთან. ცხოვრება უკვე მთავარი დებულების გამრავალეროვნებული გამოხატულებაა... მხატვრული ნაწარმოების შინაარსი მარადიულობის ბეჭედს ატარებს, ფორმა კი, რომელშიაც ეს შინაარსი ისახება, მუდმივ ცვალებადობის პროცესში იმყოფება. ლიტერატურის ისტორია ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. კლასიციზმი, ცრუ კლასიციზმი, რომანტიზმი, ნატურალიზმი, რეალიზმი, იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, ნეორომანტიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურისმი — ყველა ეს... მოსახლებანი მხოლოდ ფორმის ცვალებადობის ნიადაგზეა აღმოცენებული. თავისი წმინდა დოგმატური ხასიათითა არც ერთი ეს მიმართულება არ არსებულა. თითოეული მათგანი ყოველთვის ერთიმეორის ელემენტებს შეიცავდა... ფორმით ცვალებადობა უფრო ხშირად სუბიექტური მიზეზების გამო ხდება... ეპოქა ქმნის უდიდეს ნიჭებს, ხშირად გენიოსობასაც, რომლებსაც განსაზღვრული მიმართულება განვითარების უმაღლეს მწვერვალამდე მიჰყავთ... ახალი მიმართულების შესაქმნელად ნიადაგი ყოველთვის ნომზადებულია. მოძრავი, შემოქმედების მუდმივ დულილში მყოფი ადამიანის გონება ერთ წერტილზე ვერ ჩერდება და ძველის ნიადაგზე ახალი სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებს. ამიტომ იგი თავის შემოქმედებისათვის ახალ ფორმებს ეძებს, ახალი მიმართულებაც სწორედ ამ ნიადაგზე იბადება და ვითარდება“<sup>46</sup>. ავტორის მსჯელობა სავსებით დამაჯერებელი და გასაზიარებელია. საკითხის არსი მას კარგად ჰქონდა გააზრებული და გადმოცემული, მისი ეს ნაშრომი ერთ-ერთი სანიშნუთაგანია ამ საკითხზე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

წერილში — „კრიტიკული შენიშვნები. საზოგადო მოსაზრებანი“ ავტორი დღისწესრიგში მეტად საპასუხისმგებლო საკითხს აყენებს. მწერალი მაშინ ცოცხლობს, თუ მისი ნაწარმოებები იცემა, ასეთია ძირითადი თემა წერილისა თუ „შენიშვნებისა“, როგორც მას ავტორი ასათურებს. ავტორი კარგად გრძნობს, რომ „საქართველოს სინამდვილე ქართული ლიტერატურის გამოცოცხლების გრძნობითაა გაყენებული“ და თითოეული ჩვენთაგანი ძალიან კარგად ხედავს და უშუალოდ განიცდის, რომ ამ განვითარებისათვის სრულიად უმნიშვნელო ხელსაყრელი ობიექტური პირობების შექმნაა საჭირო“. ამ ობიექტურ პირობებად, — შენიშნავს ავტორი, — ჩვენ მხოლოდ ნაწარმოებთა გამოცემის შესაძლებლობა მიგვაჩნია. ჩვენ... ობტიმისტურად ვუცქერით...



ჩვენ ლიტერატურის მომავალს და სადარდელად მხოლოდ ისლა დაგვრჩენიბ, რომ გამომცემლობის საქმე, მიუხედავად მისი შედარებით დიდი ზრდისა, აბსოლუტურად მაინც ვალვიძებულ მოთხოვნილებებს საქმაოდ ვერ აკმაყოფილებს<sup>47</sup>.

მწერლობის განვითარების პირველ და უმთავრეს პირობად წერილის ავტორს მიაჩნია კონკრეტულ პირობებში „მწერალთა გაცოცხლება“. მისი ასეთი გამოთქმა ნურავის გააკვირვებს, რამდენადაც მწერალი მხოლოდ მაშინ აღწევს თავის პირდაპირ დანიშნულებას, ის მხოლოდ მაშინ ცოცხლობს, როდესაც მასსა და მკითხველ საზოგადოებას შორის განუწყვეტელი კავშირი არსებობს. „დღეს ეს კავშირი გაწყვეტილია, — აღნიშნავს წერილის ავტორი, — გაწყვეტილია იმიტომ, რომ ნაწარმოებთა გამოუცემლობის გამო მკითხველს სრულიად დაკარგული აქვს წარმოდგენა მწერლის ინდივიდუალურ სახეზე; არ იცის, რანაირი იმედები უნდა დაამყაროს ამა თუ იმ მწერალზე და რა უნდა მოსთხოვოს... ძველი მწერლების გამოცემა ძალიან კარგი საქმეა. მე არ მეგულება არც ერთი ისეთი ადამიანი, რომელიც ყაზბეგისა ან შექსპირის ქართულად გამოცენას უდიდესი ზნეობრივი კმაყოფილებით არ შეხვდეს. მაგრამ გამომცემლობის ამ წერტილზე გაყინვა დიდი შეცდომა იქნება“. სიმძიმის ძირითად ნიშნად ავტორს მიაჩნია ის მდგომარეობა, რომ გამომცემლობის მონოპოლიური მდგომარეობა მთელს ტექნიკურ საშუალებებს სახელმწიფოს უგდებს ხელში, რაც ხელსაყრელ პირობებს მხოლოდ ერთი მხრისათვის ქმნის, მაშინ, როდესაც მეორე მხარისათვის იგი შეიძლება სამარედ გადაიქცეს, კერძო გამომცემლობა აღიკვეთოს.

წერილის ავტორის მტკიცებით: „სახელმწიფო გამომცემლობა, როგორც ქართული ლიტერატურის სადარაჯოზე მდგარი... ობიექტივობის სრულ სიმაღლეზე უნდა დადგეს და ობიექტიურობის დასაცავად ხელმძღვანელად ისეთი ადამიანები მოუვლინოს, რომლებსაც ამის ზნეობრივი ძალა და ნებისყოფა შესწევთ...“.

„მე პირადად, — შენიშნავს ავტორი, — დიდ ნაკლად მიმაჩნია, რომ დღემდის გამოცემული არ არის თხზულებათა სრული კრებულები შემდეგი მწერლებისა: ნიკო ლორთქიფანიძისა, ლეო ქიაჩელისა, კოტე მაყაშვილისა, შალვა დადიანისა, სიკო ფაშალიშვილისა, სანდრო შანშიაშვილისა, გიორგი ქუჩიშვილისა, ვალაქტონ ტაბიძისა, ნ. შიუკაშვილისა, იოსებ გედევანიშვილისა, გრიგოლ რობაქიძისა და სხვებისა. ამ უკანასკნელის ლიტერატურულ მიმართულებას პირადად მე არ ვიზიარებ, არც შემდეგში ვავიზიარებ, მაგრამ ეს გარემოება პირადად მაინც ნებას არ მაძლევს სრულიად გულწრფელად არ ვუყურო, რომ გრიგოლ რობაქიძეს, რომელსაც შემოქმედების დაუცხრომელი წინსვლის ნიშნები ემჩნევა, ყოველგვარი საშუალება მიეცეს თავისი შემოქმედების უნარის გაშლისა...“ ავტორს მიაჩნია, რომ „ახალ ნაწარმოებთა გამოქვეყნების საქმის მოწესრიგებას მეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეს“. ახალ ნაწარმოებების გამოქვეყნებაში, ავტორის აზრით, თვალსაჩინო სამსახურის გაწევა შეუძლია „დიდ სერიოზულ სალიტერატურო ჟურნალის არსებობას“. ავტორის ეს სურვილი სულ მოკლე ხანში აღსრულდა, დაარსდა და გამოიცა ჟურნალი „მნათობი“.

1928 წელს დაბეჭდილ წერილში — „თანამედროვე ხელოვნებისათვის“ ფილოსოფიური ასპექტითაა მიმოხილული ხელოვნების რაობა, მსჯელობის საძირკველია ი. მანდელშტამის 1914 წელს გამოცემული — „ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საკითხები“. წერილის ავტორი დაწვრილებით მიმოხილავს

<sup>47</sup> არ. ჯაჯანაშვილი, კრიტიკული შენიშვნები, საზოგადო მოსაზრებანი, „ქართული სიტყვა“, 1928, № 1, გვ 109—115.



ხელოვნების სტრუქტურის მანდელშტამისეულ ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას. მანდელშტამის აზრით, ხელოვნება, ან უკეთ რომ ვთქვათ, ხელოვნური ქმედობა მიზნად სახავს, ხელოვნურ საშუალებათა დახმარებით ზეგავლენა მოახდინოს ადამიანზე და აღძრას მასში ისეთი ემოციები, რომელთა განცდის საშუალებას იგი სინამდვილეში მოკლებულია. წერილის ავტორი ასევე იმოწმებს რიხარდ ვაგნერის, კონრად ლანგესა და ფ. სოლოგუბის მოსაზრებებს და ცდილობს მათი გამოყენებით პროგნოზირება მოახდინოს ხელოვნების შესახებ მათი ნაზრებისა დღევანდელი მდგომარეობის შესაბამისად. წერილის ავტორის აზრით, „თანამედროვე ფსიქიკა ვეღარ ურიგდება ხელოვნებას, როგორც ცხოვრებასთან დაპირისპირებულს, იდეალში მყოფ რეალობას, რამდენადაც ასეთი რეალობა ობიექტურად სოციალიზმის წინააღმდეგ მიმართულ რეალობად გადაიქცეოდა. მოქმედ სინამდვილეს კი სურს ხელოვნება თავის საზოგადო ამოცანებს დაუტყვეპროს. ჩვენ ვიცით რაც შეადგენს ამ ამოცანების მთავარ ბუნებას. ეს არის სოციალიზმი, არა თეორიული, არა საპერსპექტივო, არამედ მოქმედი, მებრძოლი სოციალიზმი. ეთიურის სფეროში მის დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს სიხარული შემოქმედებისა და პათოსი მოქმედებისა“<sup>48</sup>.

გამოძახილში — „მწერალი და მკითხველი“ ავტორი, უკვე ახალ პოზიციაზე, უფრო გარკვევით, ახალ იდეოლოგიურ პოზიციაზე მდგომი კრიტიკოსი, მიზანშეწონილად მიიჩნევს მკითხველის ყურადღება გაამახვილოს ანბანურ ქეშმარიტებაზე, მით უფრო იმიტომ, რომ ეს თავისთავად გასაგები დებულება ავიწყდებათ სწორედ იმათ, ვისაც უნდა ახსოვდეთ — მწერლებს: „როდესაც მწერალი ხელში კალამს იღებს, — გვიზიარებს თავის შეხედულებას წერილის ავტორი, — მისი გონების წინ უკვე დასახული უნდა იყოს მკითხველის განსაზღვრული კონტინგენტი თავისი ზნეჩვეულებებით, გემოვნებით, ესთეტიკური აღზრდით და მსოფლმხედველობით. ბურჟუაზიულ ლიტერატურას თან ახლავს კარგი წიგნის ყველა გარეგნული ნიშანი. თემა, სიუჟეტური ოსტატობა, დახვეწილი სტილი, მშვენიერი ქაღალდი, ლამაზი ყდა და კორექტორის ვირტუოზობა, მაგრამ ახლანდელი... ლაბორატორიიდან გამოსული წიგნი მაინც კულტურულ ღირებულებას არ წარმოადგენს, რადგანაც მისი სოციალური დანიშნულებაა, დააკმაყოფილოს „ობივატელთა“ ყველა ქვენა მოთხოვნილებანი. იმიტომ მდიდრულად მოკაზმული და დიდი ოსტატობით შესრულებული წიგნი უხემ ბულვარულ ელემენტებსაც შეიცავს. ყალბი ეგზოტიკა და სნეული სექსუალობა ამგვარი წიგნების მუდმივი თანამგზავრია...“

მწერლის დანიშნულება ჩვენს ქვეყანაში სულ სხვანაირია.

ჩვენმა მწერალმა ახალ სოციალურ პირობებში მოქცეული ადამიანი უნდა აღზარდოს და მთელი მისი ფსიქიკაც გარდაქმნას... ჩვენშიც მწერალი მკითხველისთვის სწერს, მაგრამ ისეთი მკითხველისათვის, რომელიც შეუჩერებელი გარდაქმნის პროცესშია მოქცეული და რომელიც აღზრდას საჭიროებს. როდესაც ჩვენში მწერალი ხელში კალამს იღებს, მისი გონების წინაშე უკვე დასახულია მკითხველის კონტინგენტი. ეს კონტინგენცია სოციალურ გარდაქმნის პროცესში მოქცეული მუშა, გლეხი, ინტელიგენტი და სხვა.

ჩვენი მწერალი მასიური მკითხველის შეგნებისა და გემოვნების დონემდე კი არ უნდა დაეშვას, არამედ ეს შეგნება და გემოვნება უნდა ამაღლოს ახლის შეგნებისა და გემოვნების მწვერვალამდე“<sup>49</sup>. ავტორი მოუწოდებს: „ეს

<sup>48</sup> არ. ჯ ა ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, თანამედროვე ხელოვნებისათვის. „ქართული მწერლობა“, 1928, № 1, გვ. 109—115.

<sup>49</sup> არ. ჯ ა ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, მწერალი და მკითხველი, „ლიტერატურული გაზეთი“, 1934, № 19.



მოვალეობა ჩვენს მწერლებს არც წვრილმანში უნდა დაავიწყდეს“, რამდენადაც „ახალი დროის მწერალი თავის დიდაქტიკურ, აღმზრდელით მისი ასრულებს არა მარტო იდეოლოგიური ზეგავლენით, არამედ წერის სიფაქიზითაც. მხატვრული სურათები, ენა, სტილი, ყველაფერი ეს იქითგან უნდა იყოს მიმართული, რომ გამოიბრძმედოს არა მარტო მასიური მკითხველის იდეოლოგია, არამედ მათი ესთეტიკური გემოვნებაც; ამისათვის კი საჭიროა მწერლის საკუთარი კულტურის ამაღლება და სამწეოლო პრაქტიკიდან განდევნა ყველაფრისა, რაც ხელს არ უწყობს მასიური მკითხველის კულტურის ამაღლებას. ზოგიერთი ქართველი მწერალი ხშირად მკითხველის დაბალი გემოვნების ცდუნებას ემორჩილება“. თქმულის დასადასტურებლად კრიტიკოსი იმოწმებს რამდენიმე ნიმუშს ასეთი „ცოდვებისას“, ცდუნებისას და ვულგარული ეროტიზმის მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებებიდან: „ჯაყოს ხიზნები“, „მუსუსი“, „ოქროს კბილი“ და „პატარა დედაკაცი“, რომლებშიც ავტორი „ცუდი გემოვნების უკულტურო მკითხველის შეგნების დონემდე დაეშვა“. ასევე უკმაყოფილოა წერილის ავტორი მეორე ნიჭიერი ბელეტრისტის დემნა შენგელაიასი, „რომელიც ეტყობა ცუდმა მაგალითმა წაიტყუა და თავის „ბათა ქექიაში“ მსგავსი სურათები დაგვიხატა“. იგი დასკვნაში მოუწოდებს მწერლებს, რომ „უკეთესი იქნება თუ ასეთი უკეთესი არც მოვინებთ არც მათსა და არც სხვა მწერალთა ნაწერებში აღარ განმეორდება“. ფაქტია სოციალისტურმა იდეოლოგიამ თავისი დალი დაამჩნია უაღრესად თავისუფლად მოაზროვნე კულტურულ მოღვაწეს, რაც ბუნებრივიც იყო.

არჩილ ჯავახიშვილმა რაფიელ ერისთავის შესანიშნავი პორტრეტი დაგვიხატა პოეტის თხზულებათა პირველი ტომის გამოცემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ რეცენზიაში, რომელშიც ვკითხულობთ: „რაფიელ ერისთავმა მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. თავისი ცხოვრების გრძელ მანძილზე (გარდაიცვალა 77 წლის მოხუცი) მისი მხატვრული გემოვნება და შემოქმედებითი მოტივები ბევრნაირად იცვლებოდა. რ. ერისთავი დაეაყვაცებას უკვე გადასული იყო, სამწეოლო ასპარეზზე რომ გამოვიდა მიუხედავად ამისა, დასაწყისში მის შემოქმედებაში მაინც ძველთაგან მემკვიდრეობით მიღებული სატრფიალო მოტივები სჭარბობდა, ყანწი, ღვინო, ქალები. რ. ერისთავის სალიტერატურო მოღვაწეობის პირველი პერიოდის ძირითადი მოტივები ალ. ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის შემდეგ მკითხველს ახალს ველარაფერს მისცემდა. მხატვრული ხარისხის მხრივაც ამ ტიპის ლექსები შედარებით დაბალ დონეზე დგანან და შორეულად თუ გვაგონებენ „სამშობლო ხევსურისა“, სოფლური და საბავშვო ლექსების მომავალ მძლავრ ოსტატს.

რაფიელის პოეტური ინდივიდუალობა მხოლოდ შემდეგ პერიოდში აღმოჩნდა, როცა პოეტის შემოქმედება სოფლურ ცხოვრებას დაუახლოვდა... პოპულარობა და დიდი პოეტის სახელი სწორედ ამ ლექსებმა მოუპოვეს. ხალხურ, გასაგები ენით დაწერილ, დახვეწილ ლექსს, შესანიშნავი ლიტერატურული სიფაქიზით დაცულ სტილს რაფიელის პოეზია ჩვენი კლასიკური მემკვიდრეობის მწვერვალებზე აჰყავს. სოფლის პეიზაჟები, გლეხის გასაჭირი, მისი დარდები და შრომის პროცესები არც ერთ ჩვენ კლასიკოსს არ მიუყვანია ისეთ ვირტუოზობამდე, სანამდისაც რაფიელ ერისთავმა მიიყვანა. აქ ჰპოვა რ. ერისთავმა თავისი ნამდვილი მოწოდება.

რ. ერისთავი კარგად ხატავდა გლეხის გაჭირვებასაც და მის ექსპლოატორებისაც. მამასახლისი, მევახშე, მეურნეობის ტექნიკური უსუსურობა და უმწეობა ბუნების სტიქიონთა წინაშე — ყოველივე ეს ცხადლივ ისახებოდა პოეტის თვალში, მაგრამ ხანას კი ვერსად ხედავდა. გლეხის ბედი თითქოს გა-



ყინულიყო მარადიულ ტანჯვაში და პოეტიც თავის დანიშნულებას მხოლოდ იმაში ხედავდა, რომ თავის შემოქმედებაში ეს თითქოს უპერსპექტივო ცხოვრება აესახა... დიდი პოეტური ექსპრესიით და რეალისტური ოსტატობით დაწერილ ლექსში, რომელთაგან ზოგიერთები ლიტერატურულ შედეგებს წარმოადგენენ (მაგალითად, „აღზევანს წასვლა“, „თინას მამითადი“, „ღმის მეხრე“, „სესიას ფიქრები“ და სხვა) აღარა სჩანს ილია ჭავჭავაძის „კაცოს“ პროტესტანტული სულისტემა და ბრძოლის ხალისი. პოეტი ხედავს გლეხების ტანჯვას, მაგრამ სახსენლად ვერავითარი წამალი ვერ გამოუძებნია, გარდა ნუგეშისა:

ღმერთი დიღია, ღარიბო,  
გული ნუ შეგიშინდება...

ეს სიტყვები შემთხვევითი და პოეტური გატაცებით არ არის წამოძახილი. მოთმინება, მორჩილება, ღვთის ნუგეში — აი რას უქადაგებს საზარელი ექსპლათაციის მსხვერპლს თავისი შემოქმედების გრძელ მანძილზე პოეტი, რომელმაც თავისი საკუთარი თავის წინააღმდეგ ველარ წავიდა და ვერ უღალატა იმ სოციალურ სამყაროს, რომლისგანაც იგი წარმოიშვა. მხოლოდ ერთხელ შეფიქრებინდა რაფიელის გლეხი („ბერუას ჩაფიქრება“):

ე, როგორ არი, ვერ მივხვდი,  
როგორი განაჩენია?  
მიწა სხვისია, ვჭირავობ,  
შრომა კი მართო ჩემია?!

ვინ იცის ეგება ბერუას ჩაფიქრება თვით პოეტის ჩაფიქრებაც იყო? ჩვენებ პოეტმაც იგრძნო სიმწვავე იმ ძირითადი უკუღმართობისა, რომელიც გლეხის... ტანჯვის სათავედ უნდა ჩაითვალოს — კერძო საკუთრება მიწაზე? მაგრამ ეს პატარა ლექსი და თვით მისი შეკითხვითი კილოც რაფიელ ერისთავის პოეზიის საერთო კოლორიტს ფერს ვერ უცვლის.

რ. ერისთავმა საკმაო წვლილი მიუზღო პატრიოტულ თემასაც, მაგრამ აქაც იგი პასიურია, უპერსპექტივო. რაფიელ ერისთავის პატრიოტიკა მოკლებულია იდეალის იმ კონკრეტულობას, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ილიასათვის და აკაკისათვის. ცნობილი ლექსი „სამშობლო ხევსურისა“, რომელიც თავისი ექსპრესიითა და ლიტერატურულ-მხატვრული ხარისხით უდიდეს ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს, არსებითად მასში ჩაქსოვილი სულიერი გამეზობით აპოლოგია კარჩაკეტილობისა, უმოძრაობისა. რაფიელის ხევსურს სამშობლო მხოლოდ თავისი სტატიკური გაყინული სახით ევლინება. დღეს, როდესაც წერაქვმა და დინამიტმა ხევსურეთის „სალი კლდეები“ ააფეთქა და „თოვლიან-ყინულიან“ გზაზე ავტომობილმა დააგუგუნა, ხევსურეთის კარჩაკეტილობისა და კულტურული განკერძოების აპოლოგია მკითხველში ძველებურ გამოხმაურებას ველარ პოულობს და ეს შესანიშნავი ლექსი, როგორც სოფლურ მოტივზე დაწერილი, მოთმინების მორალით გაჟღენთილი თხზულება, დარჩება მხოლოდ როგორც კარგი, იშვიათი ოსტატობის ლიტერატურული ნიმუში<sup>50</sup>. დასკვნაში დადებითადაა შეფასებული შ. რადიანის დამსახურება ტომის გამოცემის საქმეში.

1936 წელს ლ. ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით გამოიცა ცნობილი ყურნალისტიკისა და ლიტერატორის, ილიას „ივერიის“ უახლოესი თანამშრომლის იაკობ მანსვეტაშვილის „მოგონებანი (ნახული და

<sup>50</sup> ა. ჯ., ბიბლიოგრაფია, რაფიელ ერისთავის ლექსები, ტ. I, შ. რადიანის რედაქციით და წინასიტყვაობით, „ლიტერატურული საქართველო“, 1936, № 13.

გაგონილი)“. წიგნმა იმავითვე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება და მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

გამოცემას რეცენზიით — „საინტერესო მემუარები“ გამოეხმინა ან. ჯანაშვილი. რომელმაც ყოველგვარი მორიდების გარეშე აღნიშნა „მოგონებანი“ დადებითი და ნაკლოვანი მხარეები. „მემუარული ნაწარმოები ყოველთვის სუბიექტური ხასიათის დოკუმენტია, — გვაუწყებდა რეცენზენტი, — ავტორს ვერ მოვთხოვთ ვერც ისტორიისათვის და ვერც მეცნიერული კვლევა-ძიების ობიექტურ მეთოდებს. მიუხედავად ამისა, მემუარები მაინც მკითხველისათვის საყვარელ საკითხავ წიგნად არის გადაქცეული. ისტორიული მოვლენების პირადი მონაწილის ან უშუალო მოწმის ნაამბობი მკითხველის ყურადღებას, ინტერესს ამახვილებს მაშინაც კი, როცა ეს ამბები, მოვლენების მონაწილის ჩვეულებრივი და დამახასიათებელი ჭირვეულობით არის გადმოცემული. პირადი ვანცდები და შეხედულებანი, ზოგჯერ შემთხვევით და გაკვრით გადმოსროლილი ფრაზა ან პატარა ხაზი, ხშირად მემუარების ავტორის უნებურადაც, ადამიანებსა და მშრალ ფაქტებს აცოცხლებენ და ისტორიულ პიროვნებებს თავიანთი ყოველდღიურობის ინტიმურობით გვიჩვენებენ. მაგრამ, მეორე მხრით, ამ სუბიექტურობაში დაფარულია მემუარული ნაწარმოების სისუსტეც. პირადი ემოციებით დატვირთული მოგონებანი არ შეგვიძლიან უკრიტიკოდ მივიღოთ. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს დღეს, როცა წარსულსა და აწმყოს შუა ისტორიული ზღვარი დაიდო და როცა მკითხველის გამახვილებული ცნობის-მოყვარეობა და ინტერესი ისტორიულ ფაქტებისადმი ახალ, ჩვენი დროისათვის შესაფერ გაუშუქებს მოითხოვს. იაკობ მანსვეტაშვილის „მოგონებანი“ ამ მხრით ტიპური მემუარული ნაწარმოებია — თავისი დადებითი და სუსტი მხარეებით. დახელოვნებული ოსტატობით დაწერილ წიგნში იაკობ მანსვეტაშვილს — ჟურნალისტს, ლიტერატორს და საზოგადო მოღვაწეს, რომლის მთელი ცხოვრება მჭიდროდ არის გადაწული ჩვენი მახლობელი წარსულის საზოგადოებასთან, შესანიშნავი მოხდენილობით, ჭკუამახვილობით და ექსპრესიით აქვს გადმოცემული ამ წარსულის ფაქტები, დიდის სიყვარულით აქვს აღდგენილი ბევრი, ზოგჯერ საზოგადო მოღვაწის პორტრეტი, და ამასთან ერთად პოლემისტის შესისხლხორცებული გატაცებით. იქნებ ზედმეტი ნერვიულობით და ტენდენციურობითაც კამათობს. ამ ექსპრესიას, გატაცებას და ტემპერამენტს სიცხოველე შეაქვს მშვენიერი ენით და სტილით დაწერილ წიგნში, რომელიც დიდის ხალისით იკითხება და ბევრს ადგილას მხატვრული ნაწარმოების სიმაღლეს აღწევს, მაგრამ აქაც ამ მემუარულ ნაწარმოებშიც მოხდენილი გადაცემის გადაღმა ბევრი რამ სუბიექტური ცალმხრივობით და პრიმიტიული უბრალოებითაც არის გაშუქებული და ახსნილი...“<sup>51</sup>.

მემუარების მეტად საინტერესო ნაწილად რეცენზენტს წიგნის ის ნაწილი მიაჩნია, რომელშიც ავტორი ილია ჭავჭავაძეზე გვესაუბრება. ილიასთან სხვებზე უფრო დაახლოებულ პირს, სხვებზე უკეთესად შეეძლო უდიდესი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის დახასიათება, მაგრამ, როგორც რეცენზენტი შენიშნავს, „ილია ჭავჭავაძის პირადი, ასე ვთქვათ, ინტიმური ცხოვრება მკრთალად არის გადმოცემული, ხოლო იმდროინდელი ზოგიერთი საზოგადოებრივი მოვლენების, ცოტა არ იყოს, ობივატელური გაშუქება კი გვაფიქრებინებს, რომ იაკობ მანსვეტაშვილი ახლაც კარგად ვერ გარკვეულა“. რეცენზიის ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს და დასაბუთებულად არ იზიარებს მოგონებათა ავტორის არაერთ მონაყოლს ილიას მიმართ, რაზედაც ჩვენ სპეციალურად გვაგამახვილეთ ყურადღება წინამდებარე ნაშრომის იმ ნაწილში, რომელიც ილიასადმია დათმობილი.

51 ა. ჯ., საინტერესო მემუარები, „ლიტერატურული საქართველო“, 1936, № 18.



ასევე პირადული ხასიათის მატარებლად მიაჩნია მემუარების ავტორისეული შეფასებანი აკაკის მიმართ: „აკაკის პოეზია ი. მანსვეტაშვილისათვის გაუგებარი დარჩენილა. აკაკი რომ შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე შედგა, — სწერს იაკობ მანსვეტაშვილი, — დიდი მანძილი მიიზომა გასაუგებლად, მაგრამ თავის ღონე ვერ თანაშეუწონა ამ მანძილს, საგზალი მალე შემოაკლდა და შედგა შუა გზაზე, ველარც წინ წავიდა და ველარც უკან დაიხია. ჭურჭელში რაც ჰქონდა, სავსებით გაგვიზიარა, მაგრამ ეს ჭურჭელი არც ისე დიდი აღმოჩნდა და არც ისე პირთამდე ყოფილიყო სავსე. ერთი სიტყვით, აღასრულა ყველაფერი რისი შეძლებაც ჰქონდა, შექმნა სიმღერა მესტივირული, მწუხარების შესავსი და სულიერად სამუდამოდ განისვენა. ჩვენი შესანიშნავი ლირიკოსის, მხებილი პამფლეტისტის და უდიდესი პოეტის მესტივირის ღონემდე დაყვანა მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ „მოგონებათა“ ავტორი ძველთაგან მემკვიდრეობით მიღებული ბრძოლების უნიანობისაგან ჯერაც ვერ განთავისუფლებულა და ობიექტური შეფასების საზომი ხელიდან გასცლია. ასეთივე ტენდენციურობას და პოლემიკურ უნიანობას იჩენს ავტორი სხვა უფრო წერილმან საკითხშიც...“, ერთ ასეთ საკითხად რეცენზენტი მიიჩნევს ი. მანსვეტაშვილის მიერ „მოგონებების“ 210—215 გვერდებზე გადმოცემულ პირად პოზიციას ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის თაობაზე, რაც ეწინააღმდეგება პირად რეცენზენტის პოზიციას, რაზედაც ჩვენ ზემოთ სპეციალურად გავამახვილეთ ყურადღება მის წერილთან „ალ. ყაზბეგის ნაწერების გამო“ დაკავშირებით და სათანადო შეფასება მივეციეთ მას.

რეცენზიის დასკვნაში ვკითხულობთ: „ტენდენციურობა და ცალმხრივობა იაკობ მანსვეტაშვილის წიგნში წითელი ზოლივით გადის. არაფერი დასაძრახი აქ არ არის, მაგრამ მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ობიექტური კრიტიკული საზომი... ბევრ მის შეხედულებას თავდაყოლა დააყენებს. მიუხედავად ამისა ი. მანსვეტაშვილის წიგნი ერთი საუკეთესო მემუარული დოკუმენტთაგანია... მკვლევარები ბევრს, მეტად საინტერესო ცნობებს ამოჰკრეფენ ამ მოგონებებიდან, ხოლო მასიური მკითხველი სიამოვნებით წაიკითხავს წიგნს, რომელიც დაწერილია მეტად მხატვრული და მიმზიდველი ენით“.

1936 წელს ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით გამოიცა ავქსენტი ცაგარელის „კომედიები“, რომელსაც უაღრესად გულთბილად გამოეხმინა არ. ჯაჯანაშვილი, იოსებ გრიშაშვილის მოსიყვარულე და მეგობარი. იგი გვამცნობდა: „როგორც მუდმივი ქართული თეატრის წარმოშობა განუყრელადაა დაკავშირებული გიორგი ერისთავის სახელთან, ისე ნიჭიერი დრამატურგის ავქ. ცაგარელის სახელია მჭიდროდ გადაწნილი ქართული თეატრისათვის იმ ბრწყინვალე პერიოდიდან, როცა სცენაზე მოღვაწეობდა შესანიშნავ არტისტთა მთელი პლეადა: ვ. აბაშიძე, ვლ. მესხიშვილი, ნატო გაბუნია-ცაგარელი, მ. საფაროვა-აბაშიძე და სხვანი... ა. ცაგარელი თავის შესანიშნავი პიესებით დიდხანს ბრძანებლობდა ქართულ სცენაზე და ასაზრდოვებდა იმ დროის თეატრალურ კულტურას... ა. ცაგარელის შემოქმედებითა ნიჭმა ერთბაშად იფეთქა და მალე ჩაიფერფლა. თავისი პირველი ნაწარმოები („რაც გინახვს, ველარ ნახავ“) 21 წლისამ დაწერა. „ხანუმა“ 25 წლისამ და „ციმბირელი“ 29 წლისამ. ამის შემდეგ ცხოვრების სიმძიმით გატეხილმა ცაგარელმა ღირსშესანიშნავი ვერაფერი შექმნა... ა. ცაგარელის პიესის სიუჟეტები და ტიპაჟი ლოკალურია. იგი უმთავრესად თბილისის მეშჩანურ ყოფაცხოვრებას უტრიალებდა: ვაჭრებს, მაჭანკლებს და ყარაჩოღელებს. კარგა და ცუდს ავტორი უმთავრესად ამ წრეში ეძებდა. მისი დაკვირვების არე თბილისის სპეციფიკური კინტოურ-ყარაჩოღლური საზოგადოებით იყო შემოზღუდული. რეალისტ მწერალს ამ საზოგადოების ტიპები გასაოცარის სიმ-



კვეთრით აქვს ჩამოქანდაკებული და მათი დიალოგები დრამატურგიული შედეგებზე ვითარდება, მაგრამ ა. ცაგარლის მხატვრული თვალი მაინც ცხოვრების ზედაპირზე დასცურავდა და ღრმა კოლიზიები მისთვის შეუძენველა რჩებოდა.

სარეცენზიო წიგნი ი. გრიშაშვილის ჩვეულებრივი მუყაითობით, სიფაქიზით და სიყვარულით არის გადმოცემული. წიგნს დართული აქვს მოკლე ბიოგრაფიული ხასიათის წინასიტყვაობა, რედაქტორის მდიდარი შენიშვნები და ა. ცაგარლის ნაწარმოებთა ლექსიკონი<sup>52</sup>.

ასეთია საერთო სურათი არჩილ ჯაჯანაშვილის, როგორც ქართული სალიტერატურო კრიტიკის წარმომადგენლისა 1911—1937 წლებში. იგი თავისი დროისათვის განათლებული, მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში კარგად ჩახედული, ჩინებული გემოვნების, ევროპული ყაიდის კრიტიკოსია. მან თავისი კრიტიკული წერილებით, შენიშვნებით, ესეებით, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვებით საკუთრი სიტყვა თქვა 910—920-იანი წლების ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში. იგი ყურადღებას ამახვილებდა ლიტერატურულ მიმდინარეობათა შემოქმედებით პრინციპების გამოვლენაზე, კლასიკური ლიტერატურის მემკვიდრეობის ინტერპრეტაციაზე, თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ვანგითარების პროცესებზე და მათ შეფასებაზე. მისთვის ლიტერატურული კრიტიკის ობიექტი ყოველთვის იყო ლიტერატურული სინამდვილე. ის მსჯელობდა ლიტერატურისა და ხელოვნების თანადროულობის პრინციპებზე, თეორიის ისეთ სერიოზულ თემაზე, როგორცაა — ფორმა და შინაარსი. მისი შეხედულებანი ეფუძნებოდა მისი თანამედროვე მსოფლიო სალიტერატურო კრიტიკული აზროვნების მონაპოვრებს. საერთოდ არ. ჯაჯანაშვილმა და მისი თაობის სალიტერატურო კრიტიკის წარმომადგენლებმა (ა. პაპავა, ალ. წერეთელი, გ. ქიქოძე, ვ. წერეთელი, გ. ჭუმბურიძე, დ. ონიაშვილი, მ. წულუკიძე, ს. დევდარიანი, კოკი აბაშიძე, ვახტანგ გარბიკი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ვლ. ბაქრაძე, დ. კასრაძე, გრ. რობაქიძე, ივ. გომართელი, კ. გამსახურდია და სხვები) ახლებურად წარმართეს სალიტერატურო კრიტიკის არეალი, მისი მიზანსწრაფვა, კრიტიკული აზროვნება, რითაც ქართული სალიტერატურო კრიტიკა იმ დროის მსოფლიო დონემდე აამაღლეს. სამწუხაროდ ამ პროცესის სრულყოფილი, ნთლიანი ობიექტური სურათი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში საფუძვლიანად, სრულყოფილად არ არის გამოკვლეული და შესწავლილი, რასაც უპირველეს ყოვლისა განაპირობებდა სოციალისტური იდეოლოგია, რომელსაც ყოვლად უმართებულო განაჩენი ჰქონდა გამოტანილი კრიტიკოსთა ამ თაობის მრავალი წარმომადგენლის მიმართ, აცხადებდა რა მათ აპოლიტიკური ფრთის წარმომადგენლებად, სამშობლოს გამყიდველებად. ტოტალიტარულმა რეჟიმმა ქართული მწერლობის, კულტურის უამრავი უერთგულესი მოღვაწე შეიწირა, მათ შორის არჩილ ჯაჯანაშვილიც. მათი მემკვიდრეობა დღემდის თაობებისათვის უცნობია და მივიწყებული.

დადგა დრო წარსულის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებისა. ქართული კულტურისა და მწერლობის უანგარო მოღვაწემ არჩილ რაყდენის ძე ჯაჯანაშვილმა, თავისი დროისათვის საყოველთაოდ ცნობილმა ყურნალისტმა,

52 ა. გ., ბიბლიოგრაფია, ავტ. ცაგარელი, „კომედიები“, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით, „ლიტერატურული საქართველო“, 1936, № 22.



პუბლიცისტმა, პროზაიკოსმა, დრამატურგმა, სალიტერატურო და თეატრალური კრიტიკის გამოჩენილმა წარმომადგენელმა თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიმკვიდროს ქართული ეროვნული კულტურის ისტორიაში.

ЛОРДКИПАНИДЗЕ И. П.

## ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРНОЙ КРИТИКИ — АРЧИЛ ДЖАДЖАНАШВИЛИ

### Резюме

Тоталитарный режим лишил жизни тысячи безвинных, в том числе и тех, которые всю свою сознательную жизнь посвятили культуре, литературе своего народа; смыслом их жизни была бескорыстная любовь к своему идеалу.

Одним из таких был Арчил Ражденевич Джаджанашвили (1885—1937), который, будучи студентом Новороссийского университета, в 1903 году опубликовал первую статью и последующие 34 года преданно служил любимому делу как видный журналист, публицист, автор замечательных рассказов, романа, драматург, литературовед, литературный и театральный критик, переводчик. Пользуясь 20-ю псевдонимами и криптонимами, он публиковал свои литературные произведения в периодических изданиях.

В труде впервые в грузинском литературоведении рассмотрен и научно охарактеризован вклад А. Джаджанашвили в грузинскую литературную критику, как литературоведа и теоретика литературы и искусства.

Изучение и анализ его наследия вскрыли, что А. Джаджанашвили, благодаря глубокому универсальному образованию, принципам гражданской бескомпромиссности, разбирался в сущности многообразных вопросов своего времени.

В труде в научном аспекте убедительно охарактеризована его деятельность в области новейшей грузинской литературной критики и литературоведения. Выявлена весьма значительная доля, которую А. Джаджанашвили вносил в оценку разных вопросов новейшей грузинской литературы, выявление их тенденций и перспектив развития.

Показ общественной деятельности А. Джаджанашвили (его роль в национальном движении, его журналистская деятельность) — своего рода фон выявления его критической деятельности, что и является главной задачей данного труда.

P. S. გამორიცხული არ არის ვინმემ ციტატომანიობა დაგვწამოს, რამდენადაც ნაშრომში ციტატების სიჭარბე ფრიად შესამჩნევია, მაგრამ, თუ საქმეს ღრმად ჩაუკვირდებით, დაინახავთ, რომ ეს სიჭარბე მოჩვენებითია. ნაშრომში ციტატების სიჭარბე, მათი დამოწმება აუცილებელი იყო იმ გასაგები მიზეზისა გამო, რომ თანამედროვე მკითხველი და, მათ შორის, ლიტერატურათმცოდნეებიც კი ძალიან ნაკლებად ან სრულიად არ იცნობენ არ. ჯაჯანაშვილის შემკვიდრობას. უდროოდ დაღუპული მოღვაწის თხზულებათა კრებულის გამოცემა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. ჩვენი ცხოვრების დღევანდელი პირობები, ჯერჯერობით მაინც ამ მიზნის განხორციელებას გადაუღახავ სიმწელებს უქმნის, რის გამოც, რათა მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეეფუქმნათ კრიტიკოსის მსჯელობაზე, გვერდი ვერ აუარეთ „ციტატომანიას“.

В труде проанализированы циклы статей, опубликованные в печати с 1911 по 1936 год включительно: „Критические заметки“, „Старое и новое“, „Искание Бога“, „Творчество и оценка“, „Художественная литература наших дней“, „Разрушенный мост (проблема И. Чавчавадзе)“, цикл статей о И. Чавчавадзе и Ак. Церетели (восемь статей), эссе о Сервантесе, Шекспире, о поэме Ш. Руставели, очерки о Шио Мгвимели, Ал. Шаншиашвили, И. Гришашвили и др., „Патристизм и наука“, „С. Месхи и его журнал“, „Несколько слов о большом вопросе“, „По поводу сочинений Ал. Казбеги“, „Наша текущая литература“, деловые отклики и рецензии на вновь изданные книги и сочинения видных писателей Р. Эристави, А. Цагарели, К. Гамсуна, „Интересные мемуары“ (Я. Мансветашвили) и так далее.

А. Джаджанашвили — не только критик, но и теоретик литературы и искусства, что наглядно утверждает анализ его труда „О современном искусстве (проблема формы и содержания)“, статьи о театре и об искусстве.

К сожалению, имя, заслуги А. Джаджанашвили за последние пятьдесят шесть лет полностью игнорированы и забыты, его наследие почти незнакомо даже специалистам, он не упомянут в томах грузинской энциклопедии, что совершенно неоправдано.

Какой огромный труд вложил А. Джаджанашвили в грузинскую литературную критику 1911 — 1936 годов, это хорошо видно в труде, в котором автор стремится определить его место в истории грузинской литературной критики.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უახლესი ქართული ლიტერატურის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ციციშვილმა.



## დალი ინჰერვილი

## სიკვდილის თემა ქართულ მითოლოგიაში და ძველ ბერძნულ ეპოსში

„შენი არს დღე და შენი არს ღამე. შენ დაამტაცე ნათელი და მზე“ (ფს. 73,16).

ერების მსოფლადქმა მნიშვნელოვნად არის განპირობებული ამა თუ იმ ერის რელიგიური ასაკით. როგორც პიროვნების, ისე ერის რელიგიური თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სიკვდილის თემის გააზრებას. მითოსურ ხატებში წარმოჩინდება ყოფისა და მარადისობის ურთიერთკავშირი.

ჰომეროსის კვლადკვალ პეროდოტეც გრძნობდა, რომ ადამიანს შედარებით ხანგრძლივი სიცოცხლე აქვს მინიჭებული, რათა გაცნობიეროს წარმავლობის ტრაგედია. ძველი ბერძნები ვერ ურიგდებოდნენ იმ აზრს, რომ სიკვდილის შემდეგ „ფსიქეს“ აღარ შესწევდა შემოქმედების უნარი, რადგან მათი ღრმა რწმენით შემოქმედება იყო ერთადერთი მაგიური საშუალება, ანუ „ფარმაკონი“ სიკვდილისა და დავიწყების წინააღმდეგ. ამიტომ შემოქმედის ხანმოკლე სიცოცხლე განსაკუთრებული ტრაგედია იყო ბერძენთათვის, რამდენადაც ეს მოასწავებდა ინტელექტის სიკვდილს. ბერძენ პოეტს სიმონიდეს (ძვ. წ. მე-6 ს.) გონების სიჩლუნვე და ინტერესების სიმწირე სიბნელის ტოლფასად მიაჩნდა.

უკვდავება და ინტელექტი ბერძნებმა იმთავითვე დაუკავშირეს მზის ნათელს (გილგამეშისა და ეგვიპტური მზის ჰიმნების აზრს მხოლოდ და მხოლოდ ნათლის ძიებას). მაგრამ მათ გაცნობიერებული ჰქონდათ ის ჭეშმარიტებაც, რომ მზე ყოველდღე ახლად იბადება და არც სიბრძნეს იუნჯებს. ბევრი ინდოევროპულ ენაში სიტყვა „მზე“ სემანტიკურად „ჭვრეტასთან“ არის გაიგივებული. თვალი ინფორმაციას აწვდის გონებას. გილგამეშის ბაბილონური ვერსიამხეს წარმოგვიდგენს როგორც ცოდნის წყაროს და სიცოცხლის მომნიშვნელს. ბერძნულ მითოსში ინტელექტი ის შინაგანი ნათელია, რომელსაც განსაზღვრულ ვითარებაში შეუძლია სიბნელისაგან გამოიხსნას ადამიანი. ბერძნული სლენგი მოიცავს ასეთ გამოთქმას: „ღღის სინათლეს დაგიბნელებ“.

ძველ ბერძნებს პიროვნული უკვდავება გაცნობიერებული ჰქონდათ, როგორც გონის მარადისობა. იმ უკვდავ ინდივიდუალობას, რომელიც სიკვდილის შემდეგ ტოვებს სხეულს, ბერძნები უწოდებდნენ „ნუსს“, „ფსიქეს“, „ეიდოლონს“ და ა. შ. ტერმინი „ნუსი“ დამკვიდრდა ფილოსოფიურ აზროვნებაში, მაგრამ ლიტერატურისათვის ის ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. თანამედროვე „სულის“ ცნებას „ფსიქე“ უფრო უახლოვდება. „ფსიქეში“ იგულისხმება ის ელემენტი, რომელიც ადამიანის გარდაცვალების შემდეგ სუფევს ღმერთში და რჩება ცოცხალი სამყაროს ნაწილად.

ბერძნულ ჰადესში ყოველ სულს როდი გააჩნია მკაფიოდ გამოკვეთილი „ფსიქე“ ან „ეიდოლონი“. მაგრამ პატროკლეს „ფსიქეს“ თითქმის უცვლელად აქვს შენარჩუნებული ის მიწიერი სახე, რომელიც მას სიცოცხლეში ჰქონდა

მინიჭებული, და იმავე საშოს ატარებს („ოფისეა“, XXIII. 65). ბერძნული სახვითი ხელოვნება ტრადიციულად წარმოგვიდგენს პატროკლეს „ეიდოლონს“, რომელიც ტრიუმფით დაჰყურებს ჰექტორის გვამის წამებას. ხელოვანი იძულებულია ასეთ ხერხებს მიმართოს, რათა მიწიერ ადამიანში ემოციათა მოზღვაება გამოიწვიოს. ცნობილი ინგლისელი ელინისტი ემილი ვერმეილი შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს ამის თაობაზე: „არ შეიძლება ასეთი სურათები მივიჩნიოთ სულის მეტაფიზიკურ გამოვლენათა სერიოზულ განმარტებად; სწორედ ისევე, როგორც მეტაფიზიკურ ან მეტაფსიკიკურ თეორიებს არ უნდა ჰქონდეთ სერიოზულობის პრეტენზია მათი ორაზროვნების გამო“...<sup>1</sup>. ემილი ვერმეილის აზრით, ელემენტთა ანალოგიური რეინტეგრაცია ნიშანდობლივია ყველა ხალხის პოეზიისათვის და ეს რელიგიურ რიტუალებს არ უნდა დაუყავშიროთ. მაგრამ პოეტური წარმოსახვა, ისევე როგორც ინტუიციური რელიგიური ჭკრეტა, საბოლოოდ ერთ მიზანს ემსახურება: მარადიული თემების დამკვიდრებით პოეზია ერთგვარი მედიუმის როლს ასრულებს.

ადამიანური ენა მითოსური და ანთროპომორფული მეტაფორებიდან წარმოდგება, წმიდა რაციონალური ფილოსოფიის შესაქმნელად კი ალგებრული ფორმულების მოხმობა იქნებოდა საჭირო<sup>2</sup>. მითოსის შემოქმედი არის პიროვნება და მითოსური, ანთროპომორფული პროცესები უპირისპირდებიან რაციონალურ აზროვნებას. მითოსი ასულიერებს სამყაროს, იგი ადამიანისა და კოსმოსის ურთიერთობის ცოცხალი მატიანეა. ჰუმანიტარულ მეცნიერებაში გაბატონებული აზრის თანახმად ქრისტიანობა ორი მძლავრი სულიერი ნაკადის — იუდეველთა და ელინთა სულიერი მემკვიდრეობის შერწყმის შედეგია. უნივერსალური ჭეშმარიტების ფილოსოფიურ შემეცნებაში თავისი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა განმანათლებლურმა სკოლებმა, რომლებსაც ერთი საერთო მიზანი ამოძრავებდათ — ღვთიური სამყაროს შეცნობა. ეს გზა ჭეშმარიტების ძიებისა, თეოლოგიისაგან განსხვავებით, არ მოიცავს რელიგიური რიტუალების სფეროს და, მითოლოგიისაგან განსხვავებით, ის მიზნად არ ისახავს სამყაროს სიმბოლური არსის წვდომას. ფილოსოფიის ამ ზოგადსაკაცობრიო მონაპოვარში, სახელდობრ პლატონისტურ ფილოსოფიურ ტრადიციებში, ნეტარი ავგუსტინი ხედავდა იმ ჭეშმარიტების მოლოდინს, რომელსაც ქრისტიანული მოძღვრება იმარხავს. მას ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნდა ბერძენ ფილოსოფოსთა აზრი, საგანთა ბუნების შესახებ<sup>3</sup>. ცნობილია, რომ ისლამმა მთლიანად უგულვებელყო სპარსულ-ბერძნული კულტურა და თურქული ცივილიზაცია<sup>4</sup>, ქრისტიანული ინტელექტუალური წრეებისათვის კი მხოლოდ ის, წარმართული „თეოლოგიური“ ტრადიციები აღმოჩნდა მიუღებელი, რომლებსაც საფუძვლად დაედო წმიდა პირობითობა და ადამიანის დაუსაბუთებელი ფანტაზია.

წმიდა თომას აქვინელი თეოლოგიას „წმიდა დოქტრინას“ უწოდებდა და ამით განასხვავებდა მას შემეცნების იმ წყაროსაგან, რომელსაც ჩვენ „ბუნებრივ თეოლოგიას“ ვუწოდებთ<sup>5</sup>. მაგრამ თომას აქვინელი აღიარებდა, რომ ადამიანს საკუთარი ცოდნითაც ძალუძს ღვთის შემეცნების რუდიმენტულ საფეხურზე ამაღლება<sup>6</sup>. სამყარო თვითონვე გვაიძულებს, რომ ჩავწვდეთ მის იღუმალებას, რომელიც ჩვენ მიგვანიშნებს ბიბლიურ ღმერთზე და მის დამოკიდებულებაზე შექმნილი სამყაროსადმი. ეს „ბუნებრივი თეოლოგია“ საგრძნობლად განსხვავდება „წმიდა დოქტრინისაგან“ — ეს არ არის ის ცოდნა, რომელსაც სარწმუნოება იძლევა ღმერთის შესახებ და არც სამყაროს ფილოსოფიური შემეცნება. ეს არის ის, რაც ჩვენ გვწამს და ვიცით სამყაროს შესახებ, სულის ერთგვარი ნავსაყუდელი, ის საფუძველი, რომელზედაც ჩვენი რწმენა აიგება. ღვთაებრივი ჭეშმარიტების ეს ორგვარი შემეცნება შეესაბამება იმ



თეოლოგიურ დებულებას, რომლის თანახმად ღმერთი ორგზის გამოეცხადა სამყაროს: როგორც ლოგოსი და როგორც კოსმოსის შემოქმედი.

პავლე მოციქულის აზრით, ყოველივე საუკეთესო, რაც კი წარმართობას შეუქმნია, ხელს უწყობდა ქრისტიანული ჭეშმარიტების დამკვიდრებას. ამიტომაც ამბობს ის: „წარმართთა და ბარბაროთა, ბრძენთა და უგუნურთა თანამედებ ვარო“ (რომ 1.14); „რამეთუ არა მრცხუნენის მე სახარებად იგი ქრისტესი, რამეთუ ძალი ღმრთისად არს მაცხოვრად ყოვლისა მორწმუნისა: ჰურიისა პირველად და მერმე წარმართისა“ (რომ. 1—16).

ვინაიდან ყოველი მხატვრული ფენომენი პრაქტიკული სულიერი მოთხოვნის შედეგია, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბიბლიურ და ხალხურ იგავთა შედარებით კვლევას. ნაშრომში „ხალხური ლეგენდის ესთეტიკური ფუნქცია“ ნოდარ შამანაძე ეხება იმ ურთიერთკავშირს, რომელიც არსებობს ბიბლიურ თქმულებებსა და ლეგენდებში განსახოვნებულ ფანტასტიკას შორის. მკვლევარი იზიარებს ვ. პ. ანიკინის იმ შეხედულებას, რომ წიგნური ლეგენდარული სიუჟეტები და იგავური ხასიათის ბიბლიური თქმულებანი ფოლკლორში თავისებურად მუშავდებოდა, „ხალხი აღწევდა საეკლესიო „მითოლოგიისთვის“ დამახასიათებელი სოციალური განზოგადების უმაღლეს ხარისხს. ხალხის მხატვრული აზრი ყველა ბიბლიურ სახესა და სტილში გამოსჭვივის“<sup>7</sup>.

ძველ აღთქმაში ცეცხლი და წყალი საკრალურად არის დაკავშირებული შესაქმეს აქტთან. ქართულ ხალხურ ლექსში „ქალი ხვარამზე“, რომელსაც ვახტანგ კოტეტიშვილმა უწოდა „უდიდესი მითოსი მზის ამოსვლისა“<sup>8</sup>, ცხენი, ცეცხლი, მზე და წყალი ქმნის ერთ მითოსურ მთლიანობას:

„აღმოსავლეთით ამოჩნდა  
თვალად ლამაზი ქალიო,  
ამაჰყვა საყურ-ბეჭედი,  
უჭრიალებდა ქარიო,  
თან მოყმე ამიყოლა  
ნათლად ეღება ფარიო.  
— აკოცეთ ქალსა ხვარამზეს  
მე ვარ ამ ქალის ქმარიო.  
აკოცა ბიჭმა რეგვენმა  
თავს გადიმტვრია ხმალიო.

გაწყრა, გაჯავრდა ხვარამზე,  
მალლა ჩამალნა თმანიო,  
შაკაზმა მამის ლურჯაი,  
ზედ თავად შაჯდა ქალიო,  
სარბენლად არ ეყოფიან  
თრიალეთისა გზანიო,  
საძოვრად არ ეყოფიან  
დიდი ალგეთის მთანიო,  
სალოკად არ ეყოფიან  
სამნი მარილის ქვანიო,  
სასმელად არ ეყოფიან  
ალაზანი და მტკვარიო,  
მუარდა გუმბრის წყალზედა,  
ელვით ენათა თვალიო,  
დაეწაფა და ზღვა გაშრა  
გაგლიჯა მოსართავიო“<sup>9</sup>.

ზვარამზეს „მამის ლურჯაი“ ჰელიოსის ეტლზე მიგვანიშნებს. ცხენის მითოსური შინაარსი გაშუქებულია ვახტანგ კოტეტიშვილის მომდევნო ექსკურსში: „საზოგადოდ ცნობილია, რომ ცხენი (რამი) მზის ატრიბუტია. ეგვიპტურ-ბაბილონური, ბერძნულ-რომაული, სპარსულ-არაბული ძველი ეპოსი და მითოლოგია საამისო მრავალ საბუთს იძლევა. გერმანული ოდინის ცხენი სლავნი, სლავური „მზის ცხენი“ და სხვ. ჩვენს ზღაპრებშიც ხომ რამები აუარებელია. ყველგან ეს ცხენები ანათებენ ქვეყანას. ხშირად ამ ცხენებს მზე შუბლზე აქვთ. სოლოდას ლექსში ცხენს „აღმასი უზის შუბლზედა“. ეს სახე ზღაპრულია. სლოვაკურ ზღაპარშიც ცხენს მზე (აღმასი) შუბლზე აქვს. ასეთივე იყო სვეტოვიტის თეთრი ცხენი. შავი ცხენები და ეტლი კი — ღრუბელთბატონის ატრიბუტია. ჩვენი ელია ასეთი ეტლით გადაივლის ხოლმე ცის კამარას... ჩვენს ლექსში საგულისხმოა ცხენის ზღვასთან დაკავშირებაც: „დაეწაფა და ზღვა დაშრა, გასწყვიტა მოსართავიო“. რიგვედას ჰიმნებში ჰინდრას თეთრი ცხენი ღრუბლების მთაზეა... ჰელიოსის ცხენები ღრუბელთ ბაღში სძოვდნენ... ძვესის პეგასი რომელიც ქუხილისა და ელვის მზიდველი იყო, უკვდავ წყაროებს ადენდა ფეხის ოდნავ მიკარეაით, ჰესიოდეს „თეოგონიაში“ წყალი თვით პეგასისგან გამომდინარეობს. „ილიადაში“ პოსეიდონის ცხენები ოქროს ფაფრიანები არიან. ცეცხლი — წყალი ნათესავი სტიქიონები, იმავე მზის ამოსვლასთანაა დაკავშირებული“<sup>10</sup>.

მსოფლიო მითოსური ტრადიცია ცხენს წარმოგვიდგენს, როგორც ირაციონალური საწყისის სიმბოლოს. ზღაპარში შავი, წითელი და თეთრი ცხენი ხშირად ფატალურობის, კათარზისისა და განწმედის იერარქიულ საფეხურებს შეესატყვისება. „რამი“ აუცილებელი კუთვნილებაა მზეთუნახავის მაძიებელი გმირისა, რადგან ის გულთმისანიც არის, ყოვლისშემძლეც, ბრძენიც. ქართულ ფოლკლორში ასევე გავრცელებული მოტივია ცხენისა და შევარდნის შეტოლება სიმარდეში<sup>11</sup>.

ჰომეროსის ეპოქაში საცნაურია ცხენის კულტის ერთგვარი დაკნინება, თუმცა „ილიადაში“ ცხენები და ძაღლები აშკარად ფიგურირებენ და ბრინჯაოს საუკუნის არქეოლოგიური გამოკვლევებითაც დასტურდება, რომ ტროის ომების ეპოქაში აღნიშნულ ცხოველებს ნამდვილად შენარჩუნებული ჰქონდათ გარკვეული საკულტო მნიშვნელობა. პატროკლეს ერთ-ერთი ეპითეტია „ცხენთმარბიელი“, აგრეთვე „ცხენთა მხედნავი“. მაგრამ „ილიადაში“ პატროკლეს ცხენები თავისთავად არ წარმოადგენენ პოეზიის საგანს, ჰომეროსი მხოლოდ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ეს პოსეიდონის უკვდავი რამებია, ქსანთოს და ბალიოს, „ფრთაშესხმულნი, ქართუმალენნი“, ისინი „პოდარგემ შვა, პარპიამ, ოდეს ზეფიროსს/ეწვია ველზე ოკეანის შმაგ ნაკადებთან“<sup>12</sup>. პატროკლესთვის ეს ცხენები არ წარმოადგენენ რაიმე სულიერ ფასეულობას, თუმცა ისინი უსიტყვოდ თანაუგრძობენ მხედარს. ამ ცხენებმა მტრის რისხვისაგან იხსნეს პატროკლეს მებაზრე, გმირი ავტომედონტი, პატროკლე და თვით აქილეესიც. აქილეესის სიკვდილის შემდეგ ამ ცხენებს პოსეიდონი იბრუნებს.

პატროკლეს დაკრძალვის ეპიზოდში აქილეესი მეგობრის სულს მსხვერპლად სწირავს ორ ძაღლს, თორმეტ ტროელ ჭაბუკს და ოთხ ჯიშთან ცხენს. მაგრამ აქილეესს სურს, რომ პატროკლეს ცხედარი ცალკე დასწვან, რათა მისი ფერფლი სამსხვერპლოს ფერფლს არ შეერიოს. აქედან ჩანს, რომ მიკენურ საბერძნეთში უკვე აღარ იცავდნენ ცხენების დაკრძალვის უძველეს ინდოევროპულ ტრადიციას, რომლის თანახმად ცხენი სიკვდილის შემდეგაც რჩებოდა თავისი მხედრის განუყრელ თანამგზავრად. ცხენთან ერთად იკრძალებოდა ეტლიცა და მოსართავიც — ამ გზით მას სამხედრო პატივს მიაგე-



ბდნენ, როგორც ბრძოლის ველზე დაცემულს. ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში ითაკაზე და კიპროსზე დამკვიდრებული წესის მიხედვით გარდაცვლილი მოჯირითის ფერფლს ცხენის ფიგურებიან ლარნაკში ინახავდნენ. იმ ეპოქაში ტყვეები, ცხენები და ძაღლები ადამიანებთან ერთად იკრძალებოდნენ მავზოლეუმში, რათა ჰადესში გამართულ სამგლოვიარო პროცესიაზეც ხლებოდნენ თავის პატრონს. ამ საკულტო მსახურების ზოგიერთი ასპექტი დაკავშირებულია ალექსანდრე მაკედონელის ცხენის — ბუკეფალოსის ლეგენდარულ სახელთან. ასევე ხშირი იყო ცხენოსანთა მემორიალური ძეგლებიც.

ჰომეროსის ეპოქაში კი ამ ცხოველებმა დაკარგეს პირვანდელი სიმბოლური მნიშვნელობა. განწირული ცხენები ეტლებს დააქროლებენ ბრძოლის ველზე და დაკარგულ მხედრებს ეძებენ, მაგრამ პოეტის ყურადღების მთავარ საგნად მაინც ვრიფონთა ნადიმი იქცევა. ხოლო ის სახოტბო ეპითეტები, რომლებითაც ჰომეროსი ცხენებს და ეტლებს ამკობს, ტრადიციისთვის გაღებული ერთგვარი ხარკია.

მითოსური დიალექტიკა გულისხმობს სიკვდილ-სიცოცხლის, კოსმოსური და ქაოსური, შემოქმედებითი და წარღვნითი სამყაროს დაპირისპირებას. ფილოსოფიურ ნაშრომში „ფინალობის პრობლემა მითოსურ აზროვნებაში“ გიორგი მარგველაშვილი კოსმოსურ დუალიზმს განიხილავს მარადისობასთან მჭიმარტებაში, რამდენადაც მითოსური დიალექტიკა „უსასრულო სიცოცხლის დიალექტიკაცაა, ეს იმ სამყაროს ხედვაა, რომელიც სიკვდილს მომავალი სიცოცხლის მიზეზად ხედავს.. ამიტომ მითოსური დუალიზმი და მუდმივი თანაარსებობა პოლარულ ძალთა და სიმბოლოთა, ისევე და ისევე კოსმიური, სიცოცხლის, სინამდვილის დიალექტიკიდან გამომდინარე უნდა გავიგოთ და თუ იკვრება სიკვდილ-სიცოცხლის, კოსმოსისა და ქაოსის წყვილი, მის ზევით კოსმიური, სიცოცხლისმიერი, შემოქმედი ღმერთისეული დასაზღვრა და შემოფარგვა უნდა დავინახოთ“<sup>13</sup>.

მითოსური გმირები არიან თავიანთი ხვედრისა და კოსმოსური ჰარმონიის მტვირთველნი. და ისინი მარადიულად არსებობენ. მითოსში სიკვდილი და სიცოცხლე პირობითი ცნებებია და ორივე ეს ფენომენი მუდმივად მონაწილეობს სამყაროს იერარქიულ წიაღსვლებში. მითოსურ ხატებს შესწევთ გარდასახვის უნარი. ხშირად მათ ზებუნებრივი ძალა აქვთ მინიჭებული, იახსარის და კოპალას მსგავსად. ზოგჯერ რამდენიმე მითოსური ხატი ერთი სიმბოლური ნიშნით არის გაერთიანებული. მაგალითად, კოპალა, დევებთან მებრძოლი გმირი, წმიდა გიორგის ერთ-ერთი მეტამორფოზაა, დევი — ქაოსის და ხრწნადობის სიმბოლოა, ხალხური გმირი ამირანი კი (იგივე პრომეთე) ადამიანის შემოქმედებით გენიასთან აღძრავს ასოციაციებს და ეს შემოქმედებითი გენია, ბიბლიური იონას მსგავსად, სამ დღეს ვეშაპის მუცელშია დამარხული.

ეს ასოციაციები იმას მოწმობს, რომ ქაოსთან შერკინება ზნეობრივი ფენომენის სრულყოფას უფრო გულისხმობს, ვიდრე ფიზიკური ძალის გამოყენებას. ისე რომ ზნეობრივი ფენომენი ერთდროულად წარმოადგენს რელიგიისა და მითოსის საყრდენს.

ზნეობრივი აქტი მითოსის გმირისთვის მარადიული სიცოცხლის დამკვიდრების საწინდარია. როგორც რელიგიაში, ისე ხალხურ რწმენაშიც ადამიანს ორი სიცოცხლე გააჩნია — მარადიული, რომელიც გარდაცვალების შემდეგაც გრძელდება, და ინდივიდუალური, პირადული, რომელიც თვითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი მსოფლადქმით, საკუთარი, მსოფლშეგრძნებით, უნდა განვლოს და რომელიც არ არის კატეგორიულად გამიჯნული უზენაესი, ღვთაებრივი არსებობისაგან, თუმცა არც მისი იდენტურია, თვითოეულ-



მა' ადამიანმა საკუთარი ძალისხმევით უნდა მოიპოვოს ეს უზენაესი არსებობა. უპირველეს ყოვლისა ამისათვის საჭიროა რომ მას საამისოდ მძაფრი სურვილი გააჩნდეს. სილამაზის ძიებითა და მარადიულობისაკენ ღტოლვით შებყრობილი მითოსური გმირი იმარჯვებს სიკვდილზე და საკუთარ გონებაზე. იცვლება ეპოქები, მაგრამ უცვლელი რჩება მაძიებელი გმირის პათოსი.

ჰომეროსის ეპოქის ბერძნულ მითოსურ აზროვნებაში ადამიანის ბედს ქთონურთ, ქაოსური ძალები განაგებენ. აქილევის გმირობაში ა. ლოსევი ხედავს ფატალიზმისა და ჰეროიზმის ისეთ დიალექტიკას, რომელიც მხოლოდ ანტიკურობისათვის არის დამახასიათებელი. აქილეესმა იცის, რომ ტროის კედლებთან მოკვდება (საკუთარი ცხენი უწინასწარმეტყველებს), მაგრამ მაინც მიდის იქ, რადგან მისთვის გმირად ყოფნაა მთავარი<sup>14</sup>. და მაინც აქილევის გმირობის მნიშვნელობა არ განისაზღვრება მხოლოდ აბსურდული ესთეტიკური ღირებულებით, რადგან აქილეესი მხოლოდ პატროკლეს სიკვდილის შემდეგ იწყებს თანატოლის ლოგიკით მოქმედებას, ისევე როგორც გილგამეში — ენქიდუს სიკვდილის შემდეგ<sup>15</sup>. აქილევის ბედი მაინც განსხვავებულია, რადგან შურისძიება მისთვის ღირსების საქმეა და ამდენად მისი ტრაგედია არ გამოირიცხავს ფატალური და მორალური ელემენტების ერთგვარ სინთეზს. „გილგამეში“ შექმნა ოცი საუკუნით წინ უსწრებს „ილიადს“, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ „ილიადაში“ აირეკლა თუნდაც ოდნავ განსხვავებული წარმოდგენა ადამიანის ღირსებაზე. ჰომეროსის რწმენა აქილევის რწმენას ეყრდნობა.

ქრისტეანული მსოფლალქმისათვის უცხოა ბედისწერის ცნება, რადგან ქრისტეანული თვალსაზრისით ბედის ყოველგვარი ცვალებადობა მორალურად არის განპირობებული და მხოლოდ აქედან გამომდინარე მიზეზებით აიხსნება. თანამედროვე ამერიკელი მკვლევარი ნორთოზ ფრაი უკვე აღარ თვლის ტრაგედიას მორალური პასუხისმგებლობისა და ცხოვრებისეული სინამდვილის ანტითეზად. მისი აზრით, ტრაგედიის მიზეზი თვით ტრაგიკული ადამიანის შეგონებაა. არისტოტელესათვის ეს არის „ჰამარტია“ ანუ „მცდარი განსჯა“<sup>16</sup>. შესაძლოა, „ჰამარტია“ უძველეს ტრაგედიას უფრო გულისხმობდეს, ვიდრე ახალს; ანტიკურ ხანაში „მცდარი განსჯა“ გმირის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფის ერთგვარ ეფემისტურ განმარტებად რჩება, რელიგიაში კი „მცდარი განსჯა“ იდენტიფიცირებულია შეცოდებასთან. და მაინც ტრაგიკული თვალსაზრისი დღესდღეობით ყველაზე ღრმა თვალსაზრისად ითვლება, ვინაიდან ყველაზე ნათლად და უშუალოდ ტრაგედიაში აირეკლება ადამიანური სიტუაცია და მისი მოსალოდნელი ცვლილებები<sup>17</sup>. თეოლოგია ტრაგიკულ თვალსაზრისს უარყოფს იმ მოტივით, რომ ტრაგედიაში კატასტროფა წმიდა შემთხვევითობის მიზეზით კი არ ხდება, არამედ გმირის მცდარი გადაწყვეტილების შედეგია.

ნეტარი ავგუსტინეს თანახმად ირაციონალურ სამყაროსთან ურთიერთობას ადამიანი აწესრიგებს სამი სულიერი ნიჭის — მეხსიერების, ნებისა და გონების (მღვიძარე და არა მცონარე გონების) მოხმობით<sup>18</sup>. ეს ფსიქოლოგიური კატეგორიები უპირისპირდება ონტოლოგიურ კატეგორიებს: „ყოფიერებას“, „შესაძლებლობას“ და „მიზანსწრაფვას“<sup>19</sup>.

ნეტარი ავგუსტინეს აზრით (რომლის შეცნობის საშუალებასაც უხვად იძლევა დღეს. როგორც მისი თხზულებები, ისე მათ ირგვლივ არსებული მდიდარი მეცნიერული მასალა), ადამიანის სიყვარულის მთავარი ობიექტი — ღმერთია. თავის ნაშრომში „კათოლიკური ეკლესიის მორალის შესახებ“ (III—VI) ავგუსტინე ამბობს: „ადამიანი, სიყვარულს თუ მოკლებულია, ბედნიერი ვერ იქნება. ვერც მაშინ, თუ არ უყვარს ის, რაც გააჩნია, თუნდაც ეს საგანი



სრულყოფილი იყოს. ადამიანი მაშინ არის ბედნიერი, თუ ის მთავარ ადამიანურ სიკეთეს ფლობს და კიდევაც უყვარს ის. ეს მთავარი ადამიანური სიკეთე მასზე ნაკლები არ უნდა იყოს, რომ არ დაამდაბლოს იგი საკუთარ ბუნებასთან შედარებით; ის უნდა იყოს ღმერთი, რომელიც მასზე მაღლა მდგომია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადამიანის სული მისსავე სხეულზე მაღლა დგას“<sup>20</sup>.

ამგვარად, წმიდა ავგუსტინე ადამიანურ სიყვარულზე მსჯელობისას პირველად ეხება აუხდენელი წადილის ემპირიულ ელემენტს<sup>21</sup>. ის, რაც ადამიანს უყვარს, მის ღირსებასაც განაპირობებს და იმასაც, თუ რამდენად დაკმაყოფილებულია მისი წადილი. თუ ადამიანის სიყვარულის საგანი მასზე დაბლა დგას, არაარსი დაბლა ეწევა მის სულს და ასეთ სიყვარულს მოუსვენრობა მოაქვს. თუ ადამიანს უყვარს, რომელიმე სულდგმული, იგი ხილულ სამყაროს ემსგავსება და ვეღარ შეიძნობს განკაცებულ სებრძენს („ქრისტიანული მოძღვრების შესახებ“, 1.12; და „მანიქველთა მორალის შესახებ“, VII, 9).

სამყაროს ჰარმონიის საფუძველი არის წესრიგი და მშვიდობიანი თანაარსებობა ადამიანსა და კოსმოსს შორის. სამონადირეო ეპოსში ხორცშესხმული საკრალური რიტუალი ასახავს ეროსს — ადამიანის ძალადობას კოსმოსის მიმართ. ნადირობა, ისევე, როგორც ბატალური ქმედება, ბუნების ქაოსურ ძალთა გაღვივებას, კოსმოსის ჰარმონიის მსხვერვეს იწვევს და ყველა შემთხვევაში ის სიკვდილით ისჯება.

ჰომერულ ეპოსში, ისევე, როგორც ჰესიოდეს „თეოგონიაში“, ეროსის მუდმივი თანამგზავრებია ძილი და სიკვდილი<sup>22</sup>. ეროსის, ძილის, ჰიპნოზისა და თანატოსის ქმედების ველი აფროდიტეს კულტთან არის დაკავშირებული. არქილოქესთან და ალკმანთან ანალოგიურ სულიერ დაცემას შეესატყვისება „პოთოსი“ (მძაფრი უკმარისობის გრძნობა). პატროკლეს დაღუპვის შემდეგ აქილეესს აღარ იზიდავს ამქვეყნიური სიამენი, იგი სინდისის ქენჯნას განიცდის იმის გამო, რომ ჰიპნოზმა მოაჯადოვა ის ტყვე ქალის — ბრსიედას მშვენიერებით და ამ სისუსტეს მსხვერპლად შეეწირა მისი მეგობრის სიცოცხლე. პატროკლეს ხსოვნისადმი მიძღვნილი ოლიმპიური თამაშობების შემდეგ ბერძენთა ბანაკი ყოველდღიურ საქმიანობას უბრუნდება, აქილეესი კი კვლავ გლოვას ეძლევა:

„სპა დაიშალა, კარვებსა და გემებს მოედო.

ყველა ჩქარობდა დანაყრებას ნოყიერ ვახშით, საამო ძილით.

აქილეესი კვლავ ქვითინებდა,

კვლავ იგონებდა ტყბილ მეგობარს და მის თვალს რული არ მიეკარა“<sup>23</sup>.

ამგვარად, „პოთოსი“ სამგლოვიარო რიტუალის ერთ-ერთი ელემენტია. ჰომეროსი „პოთოსს“ მიმართავს იმ ცხენების სიშმაგის გადმოსაცემად, რომლებიც ბრძოლის ველზე კარგავენ მხედარს. ანაკრეონის და საფოს პოეზიაში „პოთოსი“ უნუგეშო სიყვარულის განცდის ტოლფასია.

ემილი ვერმეილის აზრით, ეროსს უდიდესი როლი აკისრია კოსმოგონიაში<sup>24</sup>. ეროსს უნარი შესწევს მტკიცე კავშირით შეკრას ადამიანები, ან პირიქით — ერთმანეთს გაჰყაროს ისინი. ეროსი, ძილისა და სიკვდილისაგან განსხვავებით, ადვილად იქცევა პოეზიისა და ხელოვნების საგნად. ბერძნულ მითოსში ეროსი მონადირის სახეს ღებულობს, რომელიც შველს ან კურდღელს მისდევს, ან ლომების გარემოცვაშია. ის ვერაგი მტაცებელია და საშიშო ბადეში ახვევს თავის მსხვერპლს. ანაკრეონის პოეზიაში ეროსი ბრძნაოს ცუდით შეიპარალებული მეომარია. არქაული ეროსი ლამაზი ბიჭუნა კი არ არის,

არამედ ათლეტური აღნაგობის ფრთაშესხმული მოძალადე, რომელიც ადამიანს გონებას უმღვრევს და სიშმაგით ალავსებს.

„ილიადას“ ბატალურ ეპიზოდებში ეროსი და თანატოსი ხშირად ერთგვაროვნად მოქმედებენ<sup>25</sup>. არც ქართული მითოსისათვის არის უცხო გმირის სიკვდილთან დაქორწინება:

- „— ზღვასა სარტყელი მოჰქონდა,  
ნეტავ, დედავ, რაო?  
— შეილო, შენი სული არი,  
ვაჰ, შენ დედასაო!  
— კაცები რა მეხვევიან,  
ნეტავ, დედავ, რაო?  
— შეილო, მაყრები მგონია,  
ვაჰ, შენ დედასაო!  
— წინ რა ღვდელი მიმიძღვება,  
ნეტავ, დედავ, რაო?  
— შეილო, მეჯვარე მგონია,  
ვაჰ, შენ დედასაო!“<sup>26</sup>.

ამ თემაზე დაწერილი ზოგიერთი ქართული ხალხური ლექსი გამოირჩევა პირქუში სახეიმო ტონალობით:

„ვაჟკაცსა თავის სიკვდილი  
თავი მიძინარე ჰგონია,  
სისხლისა ღვარი ნადენი  
სალხინო ოფლი ჰგონია,  
გაკრობა საკაცეზედა  
ცხენზე შეჯდომა ჰგონია,  
წინ რა ღვდელი გაუძღვება,  
თავის შათირი ჰგონია,  
ჩადება ბნელ სამარეში,  
ლოგინში წოლა ჰგონია,  
თავით ქვას რა დაუდებენ,  
ცოლის ბალიში ჰგონია,  
ზედ დაყრა შავი მიწისა  
საბნის დახურვა ჰგონია,  
ბაყაყ-ჭინჭველის დასევა,  
წვრილი ცოლ-შვილი ჰგონია,  
ყელზედა გველის მოხვევა  
ცოლის მკლავები ჰგონია,  
ნაწვეთი მარმარილოსი  
დედის ცრემლები ჰგონია“<sup>27</sup>.

„ილიადაში“ ომი გაიგივებულია საქორწილო ვნებასთან: შროშანივით გაფითრებული მკვდრები სიკვდილის ცეკვას ასრულებენ. განსაკუთრებით ეს ეხება არაბერძნული წარმოშობის ორ გმირს, ომის ორ უცხოელ ვარსკვლავს — ამაზონთა დედოფალს პენტესილიას და ეთიოპიის პრინცს მემნონს, რომლებიც ჰექტორისა და პარისის მხარეს იბრძვიან. ამ ორი გმირის სიკვდილი უჩვეულოა განსხვავებული სქესის, გამორჩეული კანის ფერისა და განსაკუთრებით შთამბეჭდავი „პოთოსის“ გამო. როცა აქილევესმა შუბით გაუგმირა მკერდი ამაზონთა დედოფალს — პენტესილიას, იგი სასიყვარულო ელდამ მოიცვა, რადგან სისხლმა და მტვერმა ვერ წაშალა პენტესილიას წარმტაცი სილამაზე<sup>28</sup>. პენტესილიას დაკრძალვის ეპიზოდში აქილევესს ეუფლება მძაფრი „პოთოსი“. ასევე მისტიკურია აქილევესისა და მემნონის შერკინება. ისინი თავს იწონებენ საომარი ხელოვნებით და ენამჭევრობით ამომვლენ მოწინააღ-



მდევის შინაგან სამყაროს, თითქოს ერთსა და იმავე დროს ერთუროთის ხატებს ძერწავენ და იქვე ასამარებენ.

როგორც ვერძეილი აღნიშნავს, წარმართულ ეპოქაში ბერძნები ხშირად მიმართავდნენ ძალადობას — „ეროსს“ უცხო წარმომობის მითოსური გმირების — აფროდიტეს, ადონისის, ანდრომედეს, დიონისეს, მედეას და ფედრას მიმართ<sup>29</sup>. იგივე შეიძლება ითქვას ტროელი მეფის — ტროსის ვაჟის, ზევსის ღვთაებრივი მერიქიფის — განიმედეს შესახებ. სოფოკლეს დრამებმა ჩვენ შემოგვინახა ეტიმოლოგიური შინაარსი ბერძნული სიტყვისა „მედეა“, რომელიც ნიშნავს ინტელექტუალურ და რეგენერაციულ ძალთა ერთობლიობას. ზევსი, რომელიც მიწიერი კავშირების დროს ოლიმპოს შორდება, გამუდმებით საჭიროებს ამ ღვთაებრივი ენერჯის განახლება-შევსებას. ხოლო განიმედე ღვთაებრივი სასმელით აღუდგენს მას ამ დანაკლისს და კვლავ სრულყოფს ზევსის „მედეას“. ატიკურ სურათებზე განიმედე გამოსახულია ფრთებით, რაც ბერძნულ მითოსში სიყვარულს, ან სიკვდილის ანგელოზის პრივილეგიაა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ზევსთან დამოკიდებულებაში განიმედე მოქმედებს, როგორც მისი უცვლელი და საკუთარი ეროსი<sup>30</sup>.

ჰომერულ ბატალიებში ცხოველური სისასტიკე სჭარბობს ადამიანურ გრძობებს და თხრობის მაღალი სტილი თითქმის პაროდიაზე ეცემა. იუმორი, რომელსაც მებრძოლნი მიმართავენ მოწინააღმდეგის დაკნინების მიზნით, საკმაოდ ბანალური ყაიდის არის — ოზონენტი ცხოველთან არის გათანაბრებული. „ილიადას“ ბატალურ ეპიზოდებში დიალოგი მიზნად ისახავს ფსიქოლოგიური შოკით მოწინააღმდეგის სულიერ განადგურებას<sup>31</sup>. ეს ისეთივე ტრადიციული ხერხია, როგორც მიცვალებულის დატირების რიტუალი. დაცივნის ობიექტი ხდება მეომრის ფიზიკური მონაცემები, მისი ჩამომავლობა, გონებრივი სტატუსი და ბოლოს ის შემზარავი ხვედრიც, მის სხეულს რომ ელოდება. ეს ომი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულიერი სამყაროს დასაბოზად წარმოებული ომია. „ამაყ სულს ამოგართმევო“, — ემუქრება აქილევსს ჰექტორი (XX, 436). ლიკიელთა მეფე — გლავკოსი დასცინის ჰექტორის მოხდენილ გარეგნობას (XVII, 142), დიომედე კი ოქროსთმიანი პარისის ქალწულებრივ სილამაზეს (XI, 385). ზვიადი ჰექტორი აიანტს აფრთხილებს: „შრომანასავით განაზებულ მაგ შენს სხეულს შუბის წვერზე ავაგებ და შენს ქონსა და ხორცს ძალღებს შევკაჭმევო“ (XIII, 830). დიომედე ხმამაღლა ოცნებობს იმ წამზე, როდესაც პარისის უსულო გვამს ქალების ნაცვლად ფრინველები დაეპატრონებნან.

ტროის გმირები ყოველ წამს განიცდიან კანიბალური ინსტინქტების შემოტევას. პანთოსის ძე — ევფორბოსი ნატრობს, რომ მენელაოსის მოჭრილი თავი საკუთარ მშობლებს ძღვნად გაუგზავნოს (XVII, 38), მაგრამ თვითვე ეცემა მენელაოსის შუბით განგმირული. ასევე ჰექტორს სურს პატროკლეს მოკვეთილი თავი სარზე ააგოს (XVIII, 175) — ჰეროდოტეს გადმოცემით ასე იქცეოდნენ სპარსელები. ჰექტორის გვამი აქილევსს კანიბალურ ინსტინქტებს აღუძრავს, მაგრამ შემდეგ ის ამ მისიას ძალღებს აკისრებს (XXII, 345). დედოფალი ჰეკაბე ეუბნება პრიამოსს: „რომ შემეძლოს, მკერდიდან ღვიძლს ამოვართმევდი აქილევსს და ჩემივე კბილებით დავგლეჯდიო“ (XXIV, 212). ადამიანის სხეულის დაფლეთილი ნაწილების აღწერით ჰომეროსი ღრმა ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. ამავე დროს ის ანატომიური სინუსტიტით წარმოაჩენს ადამიანის სხეულს, ყველა ნაწილის ფიზიკურ უმწყობას. ყველაზე ძღვეამოსილი გმირიც კი ყოველ წამს შეიძლება გახდეს დამცირებისა და მწარე დაცივნის ობიექტი. „ილიადაში“ სულ 243 პერსონალური სიკვდილია აღწერილი. ყველა ამ გმირს ამოქმედებს ბრძოლის ჟინი და სხეულის



ტყვეობიდან „ფსიქეს“ გამოხსნის სურვილი. მაგრამ პოეტის ყურადღების საგანს თვითონ ეს „ფსიქე“ კი არ შეადგენს, არამედ ადამიანის სხეულის განადგურება და მომდევნო სამგლოვიარო ცერემონიალი. „ილიადას“ ავტორი ცდილობს სიკვდილის ქაოსს დაუპირისპიროს, ხმაურიანი სიცოცხლე, იუმორი, ადამიანის დაუშრეტელი ენერჯია და მწარე დასკვნები ბედისწერის მისამართით<sup>32</sup>. მისი ზიზანი მოკვდავობის ნათელყოფაა და არა მარადისობაზე დაფიქრება. ტროიის ომის განსაკუთრებულობა იმით არის განპირობებული, რომ მშვენიერი ელენე იქცა იმ უამთა სიავის მიზეზად, რადგან იმ ეპოქის ბერძენთათვის სილამაზე ითვლებოდა ჰუმანურ ღირებულებათა უმაღლეს საზომად.

მითვისის ისტორია განსაკუთრებულ დამაჯერებლობას ანიჭებს მიგელ დე უნამუნოს შემდეგ გამონათქვამს: სულეერი შიმშილი გაცილებით უფრო საშიშია ფიზიკურ შიმშილზე; კაცობრიობის ისტორიაში პირველი სისხლისღვრა — კენის მიერ ახელის მკვლელობა პურისთვის კი არ მოხდა, არამედ ღვთაებრივ მეხსიერებაში დამკვიდრებისათვის<sup>33</sup>.

ნეტარი ავგუსტინეს აზრით, ადამიანური სიყვარული, ანუ ადამიანის დამოკიდებულება კოსმოსთან, მის ღირსებასაც განსაზღვრავს და ამდენად არის ნიშნველოვანი. ის სპირალური გზა, რომელსაც ადამიანის სული გაივლის „ეროსიდან“ „აგაპემდე“, ადამიანური ღირსების გრადაციულ ამღლებას გულისხმობს. ნეტარ ავგუსტინემდე საუკუნეები დასჭირდა ადამიანური ღირსების ფენომენის გააზრებას. შუასაუკუნეებში რაციონალიზმის სიძულვილს უკავშირდება რაინდული სიყვარულის აუცილებელი ატრიბუტი — სიმშაგის ფენომენი, რომელიც კათარზისის ტოლფასად აღიქმება. მაგრამ ასეთი სიყვარული შორს არის „აგაპესაგან“ და ახლოა „პოთოსთან“, რადგან ადამიანისა და კოსმოსის პარამონიული ურთიერთობის მისაღწევად თვითონ კოსმოსი უნდა გამხდარიყო ადამიანის სიყვარულის ობიექტი.

შოთა რუსთაველი პირველი პოეტი იყო მსოფლიოში, რომელმაც ადამიანური ღირსების რაინდული იდეალი გაამდიდრა ფსევდოდოინისე არეოპაგელის ფილოსოფიით — კოსმოსური იერარქიის სრულყოფილების შემცნებით. „ვეფხისტყაოსანი“ უპირველეს ყოვლისა კოსმოსიკ შემოქმედის სადიდებელი ჰიმნია. თვით პოემის სათაურშიც ვეფხვი გააზრებულია: როგორც კოსმოსის ხატი, როგორც ციკლურობის, მარადიული განახლების სიმბოლო, ციკლურობის აღქმა, როგორც კოსმოსური სამყაროს აუცილებელი კომპონენტისა, საერთოდ არის ქართული მითოსური აზროვნების განმასხვავებელი ნიშანი და ეს ტრადიცია გაღრმავებულია „ვეფხისტყაოსანში“.

პოემის დასაწყისში თავს იჩენს სოფლის მღურვის პოტივი, რომელიც საფუძვლად ედება კოსმოსურ კანონზომიერებათა შემდგომ პოეტურ ანალიზს:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გახმოს, დაამწაროსა,  
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“ (35).

სიკვდილზე ფიქრი სამყაროს სრულყოფილებაში დაეჭვებას იწვევს:

„რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?“ (36).  
„ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცივიან“ (1342).

მაგრამ სიუჟეტის შემდგომი განვითარება ადამიანურ და კოსმოსურ განცდათა ერთ მთლიან ჯაჭვად აღიქმება და პოემის ავტორი ცხადად მიგვანიშნებს, რომ კოსმოსი არ შეიძლება იქცეს მხოლოდ ინდივიდუალურ შეგრძნებათა გამოვლენის ასპარეზად. ავთანდილის მაგიური ძალა განპირობებულია კოსმოსისა და ადამიანის სულის საიდუმლოებათა ფლობით, იმის ცოდნით, რომ „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“. ავთანდილის უსა-



სრულო ლტოლვა უზეშთაესისაკენ მარადისობისათვის გაღებული მსხვერპლია. ადამიანისა და კოსმოსის ეს მჭიდრო ურთიერთკავშირი საერთო გამარჯვებით, ადამიანისა და კოსმოსის განახლებით გვირგვინდება. კოსმოსის ფერისცვალებასთან ერთად ადამიანი იბრუნებს სულიერ სიმშვიდეს:

„მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა,  
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,  
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა  
სულთქენა, რა ნახა ყვაილი მან, უნახავან ხანისა“ (1323)

ამ სიმბოლურ ასპექტში „თეთრ-ტაიჭოსანი“ ავთანდილი თავად არის პერსონიფიცირებული „აგაპე“ (ბიბლიურ კონტექსტში არაბეთი ზეციურ საუნჯეთა მფლობელი) და სხვა გმირებიც კოსმოსურ ფუნქციათა მტვირთველნი არიან.

მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რეალისტური პლანი ძალზე დამაჯერებელია და გმირის მოქმედებაც ფსიქოლოგიურად არის მოტივირებული, ადამიანის ფიზიკური სიკვდილი პოემაში სერიოზული განსჯის საგანს არ წარმოადგენს — ის კოსმოსური ციკლის ერთი საფეხურია — როგორც ვარდის ფურცლობა ან ფოთოლცვენა. ზოგიერთ შემთხვევაში სიკვდილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და საფუძვლად ედება სიუჟეტის შემდგომ განვითარებას. ზვარაზმშის მეფის ძის სიკვდილით ტარიელსა და ნესტან დარეჯანს თავს ატყდება უდიდესი განსაცდელი. სხვა შემთხვევაში სიკვდილი კოსმოსური აუცილებლობით არის გამოწვეული: ჭაშნაგორის მოკვლით ავთანდილი აღადგენს კოსმოსს, დარღვეულ წესრიგს და ამყარებს კოსმოსურ ჰარმონიას.

„ვეფხისტყაოსნის“ იგავური პლანი რომ უძველეს მითოსს ეყრდნობა, ამას მოწმობს ერთი ხალხური ლექსის შემორჩენილი ფრაგმენტი:

„ეტყობა გადამავალი,  
ვეფხო, შენ ნატოტარია,  
დაუნმავის ღრუბელსა,  
დამდგარა ნაგუბარია.  
საკრებლად წამოსულიყო  
წმიდა მარიამ ქალი“<sup>34</sup>.

ვახტანგ კოტეტიშვილის აზრით, „ეს ლექსი ფრაგმენტი არის რაღაც თქმულებისა, რომლის ნიშნები შერჩენილა, ამბავი კი — არა. რას ნიშნავს ვეფხვი და რა კავშირი არის ვეფხვსა და წმიდა მარიამ ქალს შორის? წმ. მარიამი ანუ ღვთისმშობელი, რომელიც თქმულებით თავის მადლიან კალთას ბერტყავს საქართველოში, რასაკვირველია, ბევრად გვიანი ამბავი არის, ვიდრე თვით თქმულება. წმ. მარიამი დაენაცვლა უფრო ადრინდელ წარმართულ ღვთაებას, ნაყოფიერების ქალღმერთს, რომელიც უძველეს დროიდან გადაქცეულა თაყვანისცემის საგნად. ეს არის ხეთითური მა, იგივე ბერძნული რეა, იგივე ჰინდური მათა და სხვ. საგულისხმოა, რომ ხეთითების თეშუბი, ღრუბელთ ბატონი, რომლის ატრიბუტიც არის ვეფხვი, ყოველ გაზაფხულზე ჯვარს იწერს დიდ დედა მათე. „ვეფხვის ნატოტარია“, „ღრუბლის დანამვა“ — ეს თეშუბის პირდაპირი ნიშნებია და საკრეფად წამოსული წმ. მარიამ ქალი კი პირდაპირ ზედ ემთხვევა ხეთითურ მა-ს, თეშუბის პატარძალს. ამავე ციკლის საწესო სიმღერა უნდა იყოს დიგორული „სიმღერა მადა-მარიანის“ შესახებ (მადა მარიანი — დედა მარიამი) — ეს სიმღერა ფერხულისა არის. გუნდობრივი წრისა. ტექსტი ასეთია:

„აგერ მინდვრად პატარაძალი მოდის.  
 პატარაძალი, ოი ალაი,  
 ცალ მხარეზე მზის შუქი აქვს, მეორეზე — მოვარისა.  
 პატარაძალი ოი ალაი...  
 იმას გამზრდელი ჰყავს კეთილი მადა-მაირანი... (დაძახილი)  
 იმას მაყარი ჰყავს წმიდა უხასგერგი (ნათელი გიორგი, თეთრი  
 გიორგი?)“.

ეს მადა-მაირანი ქართული ღვთისმშობელისაგვით თესლის ანუ მადლის კალთით მზიდველია“<sup>35</sup>.

ვეფხვის მითოსური ხატი მეორდება „ვეფხისტყაოსნის“ გავლენით შექმნილ ქართული ხალხური პოეზიის შედეგში „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“. ამ ნაწარმოებში კოსმოსური სიბრძნე პერსონიფიცირებულია დედის სახეში. შვილის სიკვდილით დამწუხრებული დედა კოსმოსს და შემოქმედს განადიდებს იმის გამო, რომ დიადი მოვლენის — ადამიანის და კოსმოსის შერკინების მოწმე შეიქნა. ამ ლექსშიც კოსმოსური თემაა მთავარი. სამყაროს არყვეს ადამიანის უკიდევანო სულის შეჯახება ბუნების სტიქიასთან. ამ ბრძოლაში ადამიანი ფიზიკურად იღუპება, მაგრამ სულიერად მაინც გამარჯვებულია, რადგან ბოლომდე ინარჩუნებს ადამიანურ ღირსებას. ანონიმური მთქმელი უთუოდ იმასვე გულისხმობს, რასაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი: რომ მშვენიერია ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობა და რომ ყოველივე ამის მიღმა ღრმა აზრია დაფარული.

ქართული მითოსის ეს სპეციფიკური თავისებურება — მოვლენათა კოსმოსური აღქმა და სამყაროს ერთ მთლიანობად გააზრება წმიდა ადამიანურ ურთიერთობათა სფეროზეც ვრცელდება. ქართულ ხალხურ სიუჟეტში მტრობა მუდამ იძულებითი, თავსმოხვეული აუცილებლობით გამოწვეული აქტია და არა თანდაყოლილი ლიუციფერული იმპულსი. ეს განცდა კონტრასტულ მიმართებაშია გმირის პარმონიულ სულიერ სტატუსთან, რომლისთვისაც გარე სამყაროსთან ურთიერთობის დროს კეთილმოსურნეობა, თავაზიანობა და სიუხვევა ბუნებრივი ორიენტირი. ღირსების თემაზე დაწერილი ზოგიერთი ხალხური ლექსი ისტორიულად უკავშირდება საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი ზეობის ხანას. ქართულმა ზეპირსიტყვაობამ შემოგვინახა ლექსი „შემომეყარა ყიფჩალი“, რომელიც ქართველი მკითხველისათვის ერთსა და იმავე დროს ისტორიული წყაროც არის, პეროიკული სკოლაც და ზნეობრივი ინსტიტუტიც:

„შემომეყარა ყიფჩალი  
 სამზღვარს მუხრანის გზისასა,  
 პური მთხოვა და ვაჭმიე,  
 ვურჩევდი თათუხისასა.  
 ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,  
 ვურჩევდი ხოხობისასა,  
 ღვინო მთხოვა და ვაჭმიე,  
 ვურჩევდი ბადაგისასა.  
 ცოლი მთხოვა და ვერ მივეც.  
 მიმყანდა სიდედრისასა“<sup>36</sup>.

ამ ლექსის შექმნის თარიღს ვაბტანგ კოტეტიშვილი უკავშირებს დავით აღმაშენებლის ეპოქას: „ეს ლექსი ხალხის გადმოცემით თამარ მეფემდე არსებულა. ფშავში ჩაწერილი ვარიანტებისათვის, მასწ. თამარ მაჭავარიანს შენიშვნა დაურთავს, რომ ეს ლექსი ხალხის რწმუნებითა დავით აღმაშენებლის დროინდელიაო... საისტორიო წყაროებიდან ვიცით, რომ დავით აღმაშენებელ-



მა ყივჩაღები უმთავრესად ქსნის ხეობაში დაასახლა, და ჩვენი ლექსიც სწორედ ამ ტერიტორიას აღნიშნავს“<sup>37</sup>.

კეთილისა და ბოროტის უსასრულო ჭიდილი ადამიანს ყოველ წამს არჩევანის წინაშე აყენებს და უბიძგებს მას დინამიკური ქმედებისაკენ. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების მსგავსად ამ ლექსის გმირიც იძულებულია მახვილი შეაგებოს მტერს, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სულიერ და ფიზიკურ არსებობას; ლექსის ქვეტექსტი კი გამოხატავს უაზროდ დახარჯული სიცოცხლისადმი ირონიულ დამოკიდებულებას:

„ახლა მე შემოუქნივე,  
ვენდვე მალს ლაშრის ჯვრისასა,  
გაჰჭერი ცხენი და კაცი  
წვერიც მომიხვდა ქვიშასა,  
არ იყო ღირსი, მოშორდა  
ცქერას ნათელს მზისასა,  
ცოლი სიდედრსა მიგვარე,  
ის კი იქა სჭამს ქვიშასა“.

ამ ლექსში აირეკლება ქართველი ერის ისტორიული პათოსი და მისი სულიერი პოზიცია.

ქართული ხალხური მითოსის გმირი უპირველეს ყოვლისა ღირსების, სახელის, მაძიებელი გმირია და სრულიად ბუნებრივია, რომ ის პოეტური შთაგონების წყაროდ იქცა ვაჟა-ფშაველასათვის, რომლის შემოქმედებასაც ფოლკლორში აქვს გადგმული ფესვები. ამ კუთხით თუ შევხედავთ ვაჟა-ფშაველას პოეზიას, დავინახავთ მითოსის ზეაღმავალ ისტორიას, „გავარჯარებულ ქურას, სადაც დნება, იფერფლება ყველაფერი მაგარი და გამძლე, რათა უფრო უმაგრესი ფოლადი წარმოიქმნას“<sup>38</sup>.

ვინ არიან ვაჟას სახელიანი გმირები? სამშობლოსათვის მსხვერპლად შეწირული ლელა და კვირია, კაცთა მოდგმის სიყვარულისთვის ჯვარზე გაკრული ალუდა, ჯოყოლა და მინდია... მწერალმა გიორგი ნატროშვილმა ამ გმირებს ახალი ჰუმანისტური კულტურის მაცნეები უწოდა, ხოლო ალაზა ამაყ და კეთილშობილ ანტიგონეს შეადარა<sup>39</sup>.

ერის ბედი ვაჟამ იმთავითვე ქრისტეს რწმენას დაუკავშირა და ამ იდეას ხორცი შეასხა „გველის-მჭამელში“. ამ რწმენის ქვაკუთხედად პოეტი სამართლიანად მიიჩნევს ადამიანურ ღირსებას, რომელსაც ტრადიციულ და რიტუალურ მალსა აყენებს. ვაჟას გმირი პიროვნებაა, რომელიც ყველასგან განსხვავებულად გრძნობს და აღიქვამს სინამდვილეს. ამ გამორჩეული ცნობიერების გამო პიროვნება გამიჯნულია საზოგადოებისაგან და უნებლიეთ საკუთარი თავის ტყვედ იქცევა (საკუთარი პიროვნების შეცნობა თავისთავად არ ნიშნავს სიმარტოვეს, არამედ ის განცდაა მტკივნეული, რომ ისეთი არა ხარ, როგორც ყველა). ადამიანის სულის ევოლუცია გულისხმობს ტკივილიან ბრძოლას ცნობიერების გაღრმავებისათვის. ძნელია სხვისი ცხოვრება გაიზიარო და ამავე დროს ბოლომდე შეინარჩუნო საკუთარი მეობა. ჩვენ მხოლოდ მათი თანაღმობის უნარი შეგვწევს ვინც ჩვენი მსგავსია და რაც უფრო დიდია ეს მსგავსება, მით უფრო ღრმა თანაგრძნობით ვიმსჯვალებით. მატერიალურის ტყვეობიდან ცნობიერების განთავისუფლება გულისხმობს ყველაფრის გათავისებებას, ყველაფრისათვის საკუთარი სახელის წოდებას. თავისუფლებისთვის გაჩენილ ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს ერთნაირი შინაგანი ზედვა, მოვლენათა ინტუიციური აღქმის უნარი. ისინი თითქოს ერთი ხის სხვადასხვა ტოტები არიან.

აღუდა ქეთელაური ნამდვილი სახალხო გმირია. ის პირნათელია საკუთარი თემის წინაშე, რადგან მტრის დახვედრაც იცის და მშვიდობიან საკრებულოშიც „სიტყვა მუდის გზიანი“. ჭირში აღუდა მხოლოდ საკუთარი თავის მოიხმედა. როდესაც ქისტები მას ცხენებს წაჰგვრიან, ის თემისგან არ თხოულობს შველას და ფეხდაფეხ დაედევნება მტერს. ტყუილად არა აქვს მას გუდანის ჯვრის შემწეობის იმედი. გუდანის ჯვარი მართლაც იფარავს მას და მტრის კვალსაც მიაგნებინებს, მაგრამ შემდეგ მოვლენები უჩვეულოდ წარმართება: აღუდა მწარე სინანულს განიცდის, რადგან სასიკვდილოდ დაჭრილ მუცალში სულით გაუტეხელ გმირს შეიცნობს. მუცალის სიკვდილის ეპიზოდი მართლაც დამატყვევებელია და „ილიადაში“ არაფერია ამის მსგავსი:

„მუცალს არ სწადის სიკვდილი,  
ფერს არა ჰკარგავს მგლისასა,  
მაჰგლეჯს, დაიფევს წყულულშია  
მწვანეს ბალახსა მთისასა  
ერთიც ესროლა აღუდას,  
ხანს არა ჰკარგავს ცდისასა.  
თოფიც აღუდას გადუგდო,  
ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა:  
— ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო,  
ხელს არ ჩავარდეს სხვისასა.  
სიტყვა გაუშრა პირზედა,  
დაბლა გაერთხა მიწასა“.

მუცალის სიკვდილით აღუდამ თითქოს სულის ნაწილი დაკარგა:

„აღუდას თოფი არ უნდა,  
ატირდა როგორც ქალიო;  
არ აჰყრის იარაღებსა,  
არ ეხარბება თვალიო.  
თავით დაუდგა ხანჯარი,  
ზედ ეკრა სპილოს ძვალიო,  
გულზე ძეგლიგი დაადგა,  
მკლავზედ ფრანგული ხმალიო.  
მარჯვენას არ სჭრის მუცალსა,  
იტყოდა: ცოდვა არიო:  
ვაყკაცო, ჩემგან მოკლულო,  
ღმერთმა გიცხონოს მკვლარიო.  
მკლავზედაც გებას მარჯვენა,  
შენზედ ალალი არიო,  
შენ ხელ შენ გულზედ დამიწდეს,  
ნუმც ხარობს ქაეის კარიო,  
კარგი გყოლია გამდელიო,  
ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო!  
სოგძივ გაპხურა ნაბადი,  
ზედ გადაადგა ფარიო“.

ზნეობრივი ალტერნატივა, რომელსაც ვაჟა წამოჭრის „აღუდა ქეთელაურში“, ცხოვრებისეული წინააღმდეგობებით არის გამოწვეული და ის ღრმა ფიქრის საგანს შეადგენდა თვით ნეტარი ავგუსტინესთვისაც, რომელიც გულისტყვივით წერდა თავის „აღსარებებში“: „ნუთუ არსებობს მტერი უფრო საშიში და საშინელი, ვიდრე თვით ეს სიძულვილია, ამ მტრის წინააღმდეგ რომ მძვინვარებს? შესაძლებელია განა, რომ კაცმა, ვინც მოყვასს აჭირებს და დევნის, დაღუბოს იგი უფრო საშინლად, ვიდრე თვით ეს მტრობა ლუპავს მის გულს?“<sup>40</sup>.



შატილისაკენ გამობრუნებულ ალუდას მუცალის ძმის მკლავი „ტახტზე დაუკიდებავ“, რათა ხევსურთა წესის თანახმად ისიც ქავის ციხეზე მიაკრას, სადაც „ჯღრდესავით ჰკიდია“ მისგან მოკლულ ლეკთა და ქისტთა „მარჯვენეები“. მაგრამ მას დაკარგული აქვს ადრინდელი სილალე:

„ყმა მოიღოდა გორი-გორ,  
არ ეწონება თავია;  
პირს დასწოლია ნისლები,  
გულით ნადენი შავია“.

ამ სევდის მიზეზია თემისგან ალუდას გაუცხოება. შატილელები სახელიან გმირს ზემით ეგებებიან:

„შატისს გადმოდგა ბანებზედ  
ხევსურთ ქალი და რძალია,  
მიულოციან ალუდას:  
—სახელიანიმც ხარია!“

ალუდას და თემს შორის საერთო ენის გამონახვა შეუძლებელი ხდება, რადგან ისინი ცნობიერების სხვადასხვა საფეხურზე დგანან. მათ დამოკიდებულებაში საბედისწერო ბზარი ჩნდება და პოემის ტრაგიკულ ფინალსაც ეს განაპირობებს:

„იმ ცხონებულსა მუცალსა  
რკინა სდებიყო გულადა!  
—რას ამბობ? ქისტის ცხონება  
არ დაწერილა რჯულადა“.

ალუდას სწამს, რომ მუცალი, ეს „მოუნათლავი გმირი“, მარადიული სიცოცხლისთვის არის გაჩენილი:

„ჩვენ ვიტყვი, კაცი ჩვენა ვართ,  
მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი;  
ჩვენა ესცხონდებით, ურჯულოთ  
კუბრში მოელის ქშენანი.  
ამის თქმით ვწარა-მარაობთ,  
ღთიშვილთ უკეთეს იციან.  
ყველანი მართალს ამბობენ  
განა, ვინაა ჰფიციანი!“

„თორმეტის ქისტის მამკლავი“ მინდია ქომავად მოველინება ალუდას, მუცალის მოჭრილ მკლავს მოუტანს და სთხოვს რომ ხევსურთა წესისამებრ ქავის ციხეზე დაჰკიდოს. მაგრამ ადამიანს კეთილისა და ბოროტის გარჩევა თუ არ შეუძლია, მისი თანაგრძნობა ძალადობის ტოლფასია და ალუდა უფრო მწარედ შეიგრძნობს თავის სიმარტოვეს:

„— თუ ხელის მოჭრა მდომიყო,  
გან ვერ მოვსჭრიდი თავადა?  
ვერ გიქნავ კარგად, მინდიავე,  
საქმე მოგირთავ ავადა;  
რად მინდარის, ვერ მიხმლობს,  
არ გამოდგება ფარადა;  
მთაში წავილო, არ მითიბს,  
არც მარგებს თივის კავადა.  
წაიღე, თუ გწამ უფალი,  
ნულარ მაჩვენებ თვალითა“.

აღუდა გუდანის ჯვარს შეავედრებს მოკლეული ქისტის სულს და მსხვერპლის შეწირვით უკანასკნელ ვალს იხდის მუცალის წინაშე. თემის სურვილით აღუდა ხდება მოკვეთილი, „სხვა ქვეყნის ცა-ღრუბლის შანამზირები“. ანალოგიური კონფლიქტი თავს იჩენს „სტუმარ-მასპინძელშიც“ — ქისტი ჯოყოლა და მშვენიერი, კდემამოსილი აღაზა სტუმარმასპინძლობის წმიდა ტრადიციას მსხვერპლად ეწირებიან.

ვაჟას გამირების მოქმედების აზრი სცილდება ნაციონალურ საზღვრებს და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას იძენს. თავის საყვარელ გამირებს ვაჟა ბოლომდე უნარჩუნებს ადამიანურ ღირსებას: ისინი ლამაზად კვდებიან და ფიზიკური განადგურების საფრთხე ვერ ამსხვრევს მათ სულიერ ჰარმონიას. ვაჟა-ფშაველა ყველაზე თანმიმდევრული გამომხატველია ქართული მითოსური აზროვნებისა, რომლის თანახმად ღმერთი არის სამყაროს უსაზღვრო და მარადიული ცნობიერება და ამ ცნობიერების წვდომა მხოლოდ ტკივილით არის შესაძლებელი. შემეცნება ტკივილის და სიკვდილის გზაა და ამ გზას ირჩევს პიროვნება, რომელიც განასახიერებს სამყაროს და უნივერსალურ სულს ასაზრდოებს.

#### გამოყენებული ლიტერატურა და დასახელებული წყაროები

1. Emili Vermeule, Aspects of Death in Early Greek Art and Poetry, USA, 1981, გვ. 32.
2. Miguel De Unamuno, Del Sentimiento Tragico De La Vida En Los Hombres Y En Los Pueblos, Madrid, 1912, გვ. 113.
3. იქვე, გვ. 52.
4. იქვე, გვ. 90. დამოწმებულია: Vld. Trveltach en „Systematische Christliche Religion“, de la collection „Die Kultur der Gegenwart“.
5. A. H. Armstrong and R. A. Markus, Christian Faith and Greek Philosophy, New York, 1960, გვ. 156.
6. იქვე. დამოწმებულია: A. R. Mottie, Théodicée et théologie chez S. Thomas d'Aquin, in „Revue des sciences philosophiques et théologiques“, 26 (1937), გვ. 5—26.
7. ნოდარ შამანაძე, ხალხური ლეგენდის ესთეტიკური ფუნქცია, კრებულში: ქართული ფოლკლორი, XV, თბილისი, 1985, გვ. 44. დამოწმებულია: В. П. Аникин, Художественное творчество в жанрах несказочной прозы, Русский фольклор, XIII, Л., 1972, გვ. 17.
8. ვახტანგ კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბილისი, 1961, გვ. 357.
9. იქვე, გვ. 69.
10. იქვე. დამოწმებულია: Ф. П. Буслаев, Исторические очерки Русской народной словесности и искусства I—II, 1861, გვ. 329.
11. იქვე, გვ. 373—374. იხ. აგრეთვე: ამირან არაბული, ცენ-პერსონაჟი ქართულ ფოლკლორში, ქართული ფოლკლორი, XV, თბილისი, 1985, გვ. 120.
12. ჰომეროსი, ილიადა, თბილისი, 1990. ქება XVI, 149—152, თარგმანი რომან მიმინოშვილის.
13. გიორგი მარგველაშვილი, ფინალობის პრობლემა მითოსურ აზროვნებაში, თბილისი, 1994, გვ. 41.
14. იქვე, გვ. 55. დამოწმებულია: А. Ф. Лосев, Философия, мифология, культура, Москва, 1991.
15. იქვე, გვ. 55.
16. Northrop Frye, Anatomy of Criticism. Four Essays, Princeton, 1957, გვ. 208. დამოწმებულია: John Jones, On Aristotele and Greek Tragedy, New York, 1962, გვ. 15.
17. იქვე, გვ. 205.



18. ნეტარი აგუსტინე, აღსარებანი, VIII. 8. ნაწყვეტი ციტირებული და თარგმნილია შემდეგი გამოცემიდან: „Творения Блаженного Августина Епископа Иппонийского“, Киев, 1914, გვ. 171.
19. იქვე, გვ. 180.
20. Roy W. Battenhouse, A Companion to the Study of St. Augustine, London, 1955, გვ. 372—73.
21. Anders Nygren, Agape and Eros, London, 1953, გვ. 476.
22. Emily Vermeule, op. cit., გვ. 154—178.
23. ილიადა, XXIV.
24. Emily Vermeule, op. cit., გვ. 155.
25. იქვე, გვ. 157.
26. ნაწყვეტი ქართული ხალხური ლექსიდან „სიზმარი“. ციტირებულია წიგნიდან: ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 283.
27. იქვე, გვ. 292.
28. Emily Vermeule, op. cit., გვ. 158.
29. იქვე, გვ. 164.
30. იქვე, გვ. 166—167.
31. იქვე, გვ. 99—103.
32. იქვე, გვ. 85.
33. Miguel De Unamuno, op. cit., გვ. 48.
34. ვ. კოტეტიშვილი, ხალხურ პოეზია, გვ. 84.
35. იქვე, გვ. 362—363. დამოწმებულია: „Памятники народного творчества Осетии“, ტ. II, გვ. 135-129. კავკ., 1927.
36. იქვე, გვ. 91.
37. იქვე, გვ. 363.
38. გიორგი ნატროშვილი, ვაჟა-ფშაველა, წიგნი: „ვაჟა-ფშაველა ლექსები, პოემები, მოთხრობები, პიესები“, თბილისი, 1960, გვ. VII.
39. იქვე, გვ. XVI.
40. „აღსარება ნეტარ აგუსტინეს, პიონის ეპისკოპოსისა“, წიგნი პირველი, XIV. ვ. ბურკაძის თარგმანი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985, გვ. 134.

ДАЛИ ИНЦКИРВЕЛИ

## ТЕМА СМЕРТИ В ГРУЗИНСКОЙ МИФОЛОГИИ И В ДРЕВНЕГРЕЧЕСКОМ ЭПОСЕ

### Резюме

В древнегреческом мышлении Гомеровской эпохи человеческой судьбой повелевают хтонические силы. В «Илиаде» отразилось неприятие древними цивилизациями гармоничного и упорядоченного мира. Этот необратимый процесс завершился закатом Европы, символизируемым тщетностью попыток Сизифа одержать верх над богами.

Мифологическая диалектика фатализма и героизма, построенная на стихийно-материалистическом мировосприятии, связана с понятием рока и чужда Христианскому пониманию души. С Христианской точки зрения всякое изменение судьбы обусловлено морально и объяснимо только вытекающими последствиями. Согласно Блаженному Августину; основой веры является человеческое достоинство, мера которого предопределена отношением индивидуума к космосу и трансцендентному миру и проявляется в предмете его любви.

В эпоху Гомера круг человеческих интересов слагается под влиянием визуальных впечатлений и Эрос легко одерживает над ним победу. В «Илиаде», так же как и в «Теогонии» Гесиода, неизменными спутниками Эроса являются Сон и Смерть. Возникновение Эроса Сна, Гипноса и Танатоса связано с культом Афродиты. В отличие от

Сна и Смерти, Эрос легко становится предметом поэзии и искусства. Но архаический Эрос вряд ли похож на изваянного Праксителем прекрасного юношу. Скорее всего это атлет, крылатый насильник, поражающий разум и доводящий жертву до умопомрачения. В поэтических произведениях Аркеолока и Алкмана состязанию души, угнетенной совместным преследованием Эроса и Танатоса, соответствует «потос». В древней Греции «потос» является одним из составных элементов траурного ритуала. Гомер использует «потос» для передачи безумного состояния неистовых лошадей, потерявших всадников на поле боя. В поэзии Сапфо и Анакреона «потос» равнозначен мукам безнадежной любви.

Отсутствие сверхвременного эстетического феномена в циклических процессах, связанных с культом Афродиты, понижает в «Илиаде» жизнеспособность мифа и способствует демифологизации быта. (В осаде Трои кони Патрокла вовсе лишены какой-нибудь определенной функции; когда убивают Ахилла, Посейдон забирает их обратно.)

На хтоническую сущность троянской войны указывают Данте («Божественная Комедия», «Ад». V. 64—66) и Гете (во второй части «Фауста»). Елена, заставившая человечество изменить неземным идеалам, символизирует культуру Возрождения. Обладая внешним сходством с Богами, она испепеляющим поцелуем безвозвратно уносит душу Фауста, носителя суперкультуры; оставшись без религии, Фауст обречен на гибель. Эвфорион, плод любви Фауста и Елены, олицетворяет жестокий разрыв с вечноженским началом.

Мотив обручения со смертью в Грузинской мифологии взаимосвязан с таинствами превращения человеческой души. Эта мистерия души имеет глубокие корни, уходящие в далекое прошлое. Но не каждому понятна чудодейственная сила этого древа жизни. Оживить этот волшебный мир, вдохнуть новую жизнь в эти сакральные мифы под силу только истинному народному поэту и именно таким поэтом оказался Важа Пшавела.

Что значит для Важа Пшавела жизнь и смерть? Земная жизнь заманчива, как «девичья грудь», и пьянит ароматом фиалок, но величие человеческой души недосягаемо для космоса, так как «Совершенство человека не в том заключается, что роднит его со всем сотворенным, а лишь в том, что отличает его от космоса и роднит с Творцом» (Григорий Нисский, о природе человека, Тбилиси, 1964, на груз. языке).

Высокое назначение человека воспето в древнегрузинских песнях:

«Скован грустью я твоей,  
Друг, Архангелу подобный»...

Как можно позволить себе так говорить об Архангеле? Да и вообще, кто видел ангелов? Кто может хранить в сердце образ Архангела, не ощутив в душе глубокого сходства? У Важа Пшавела нет и тени сомнения в том, что именно грусть Архангела, именно потусторонняя печаль соединяет человека с Богом, и мысль эта наполнена великим содержанием. Именно это возвышенное начало и видит Важа Пшавела в своих героях. Они обладают способностью родиться свыше, встают против ложных ценностей и таким путем заявляют о своей вере. Мир, устремленный в будущее, зиждется на идеалах прошлого. Реставрация прошлого есть не что иное, как созидание будущего. Если живой человек превращается из архетипа в механическое сооружение, если умрет Дон Кихот, это предвестит конец мира (Мигель Де Унамуно, «О трагическом сознании народов и личностей», Мадрид, 1912, стр. 235; на испанском языке). Лишь бескомпромиссная борьба в защиту собственного и чужого индивидуального начала может возвысить человека до веры.



Нестандартное понятие о достоинстве человека становится причиной трагического конфликта между общиной и личностью. Поэт ставит человеческое достоинство выше традиции и ритуалов. Для человеческого разума недоступно понимание причинно-следственных связей иерархических взаимоотношений, но каждое усилие человеческой души соответствует определенной ступени истины и поэтому Важа Пшавела глубоко чтит все национальности и вероисповедания. Он лелеет историческую миссию национализма, но отвергает национализм, игнорирующий универсальные ценности. Величие героев Важа Пшавела далеко превышает национальное значение и приобретает общечеловеческий смысл.

Исполняет ли волю Святого Духа герой Важа Пшавела? Да, исполняет, потому что он жертвует собой ради любви к ближнему. Важа Пшавела как художник усеждает нас в этом: Расправившись со своим обидчиком, Алуда плачет, как женщина. Что стало с его соколиным сердцем? Откуда берутся эти слезы? Или, может быть, сам Дух Святой прилетел и парит над ним, как голубь, даруя ему раскаяние? Поэт воочию видит все это, внемля голосу сердца, и уверяет нас в том, что жизнеспособность непреходящих ценностей всецело зависит от архетипа, от личности. Религия, лишённая живой веры, рискует превратиться в трансцендентальную метафизику.

Существуют народы и отдельные личности, которые никогда не задумывались над такими явлениями, как смерть и бессмертие. Религиозный возраст того или иного народа часто бывает помехой в познании истины, но существуют стойкие народы и стойкие личности.

Важа Пшавела является самым ярким выразителем восходящей истории Грузинской мифографии. Целью своего мифотворчества он ставит познание Бога, который являет собой безграничное и вечное сознание вселенной. Путь к этому сознанию лежит через боль и смерть. Именно этот путь и выбирает личность, которая олицетворяет вселенную и питает универсальный дух.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება.

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ციციშვილმა.

## მზინა ჰავთარაძე

## ქართველ მწერალთა და მეცნიერთა შეხედულებები მოსწავლე ახალგაზრდობის სამომავლო საქმიანობის არჩევანის თაობაზე

მოზარდი თაობის პროფესიული აღზრდა, მისი ძირითადი საქმიანობისათვის მიმართულების მიცემა, ანუ პროფესიული არჩევანისათვის მოსწავლე-ახალგაზრდობაში მზაობის ფორმირება, სწავლა-აღზრდის პროცესის ორგანიზებული ნაწილია. მას კარგა ხანია შეუწელებელი ყურადღებით იკვლევს და სწავლობს პედაგოგიკური მეცნიერება. ეს გასაგებიცაა, საქმე ეხება ადამიანის მიერ იმ საქმიანობის არჩევას, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა აკეთოს.

გარკვეული პროფესიული საქმიანობის უნარი თანდაყოლილია და, ჩვენი აზრით, ადამიანის იმანენტური სამყაროს იმ უნიკალური ფენომენის გამოვლენაა, რომლითაც ადამიანები ურთიერთთისაგან სხვაობენ და რომელსაც საზრისს უწოდებენ. ახალგაზრდის მიერ საზრისის მიგნება, მისი ძირითადი საქმიანობის სწორი არჩევანი, მთავარ როლს თამაშობს მისი პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში. სრულქმნილ, სრულყოფილ ადამიანად ვერ იქცევა თუ იგი საკუთარი შინაგანი მოწოდების მიხედვით არ იღვწის, არ საქმიანობს; ლოგიკურად სრულყოფილება აკლდება ასეთ პიროვნებათაგან შემდგარ საზოგადოებას, შესაბამისად — სახელმწიფოს. ამდენად, ადამიანის ძირითადი საქმიანობის სწორი არჩევანი ფართო სოციალური და ეროვნული უღერადობისაა; იგი რთული პროცესია, რიგი ბიო-ფსიქო-სოციალური ფაქტორებით განპირობებული, და გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანის ზნეობრივ ფორმირებაში. ქვეყანას, რომელსაც ახალგაზრდობის სწორად დასაქმების პრობლემა მოგვარებული აქვს, შეუქცევადად მიემართება ხალხის მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა ჰარმონიული შერწყმა-განვითარებისაკენ.

შეგნებულად არჩეული პროფესია ნიშნავს საკუთარი თავის მაქსიმალურ თვითრეალიზაციას, თვითგამოხატვას, რომელიც ერთფეროვანი, მომქანცველი შრომითი პროცესი კი არ არის, არამედ შინაგანი ვნებით დამუხტული შემოქმედებითი საქმიანობაა. იგი ადამიანის შინაგანი განმსჯელის—სინდისის წინაშე დიდი პასუხისმგებლობაცაა. ვინც თავისი პროფესიული საქმიანობა შინაგან უნარსა და მოწოდებაზე ააგო, მან თავისი ზნეობრივი იერსახეც განსაზღვრა ამით. გარე სამყაროსთან ადამიანის შინაგანი თანხმობა ასეთი საქმიანობაა. იგი ხელოვნებაა, შემოქმედებაა, რომლის დროსაც ადამიანი ბაძავს სამყაროს შემოქმედ ღმერთს, უმშვენიერესი და უზუსტესი კანონებით რომ ააგო ეს უთვალავი ფერით შემკული ქვეყანა, შექმნა ადამიანი, რომელსაც თან დააყოლა ახლის ქმნადობის, თავისუფალი შემოქმედების მისეული, ღვთაებრივი უნარი და საზრისი. თუ ამ უნარს ადამიანი სწორად მიაგნებს, სწორად ამოიცნობს, სწორად გამოიყენებს, იგი თავისი ქვეყნის სიცოცხლისა და ძალის მიმოცემი გახდება. სამწუხაროდ, ეს „თუ“ უმრავლეს შემთხვევაში გადაულახავ ბარიერად არის ხოლმე აღმართული ახალგაზრდობის წინაშე. დამოუკიდებლად ცოტა აგნებს ღვთისაგან ნაბოძებ თანდაყოლილ უნარს, რომელიც უკეთესად



მოერგებოდა დარგთა კალიედოსკოპური ნაირფერობიდან რომელიმეს და მთელი ამოუწურავი, დაუოკებელი ენერგია ახალგაზრდობისა კეთილის ქმნის, ურთიერთშეწვევისა და თანადგომის მაღალადამიანურ ქმედებებში დაიხარჯებოდა.

პროფესიული ორიენტაციის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეთ დაისვა ჩვენი საუკუნის დასაწყისში, როდესაც ელვისებური სისწრაფით წავიდა წინ შრომის დარგობრივი დიფერენციაცია, ადამიანის პროფესიული დასაქმების პროცესი.

ცხოვრებისა და შრომის დანაწევრებამ გამოძახილი პოვა და აისახა მეცნიერებაშიც, სადაც არ შეაღწია დიფერენცირებამ, ყველგან იზოლიაციისა და გათიშულობის კედელი აღმართა, სერიოზული საფრთხე შეექმნა ადამიანს საზოგადოების არსებობას. ამან განაპირობა მეოცე საუკუნის დასაწყისის ცნობილი ფილოსოფოსებისა და მოაზროვნეების დაინტერესება ამ მოვლენით (ე. ჰარტმანი, ვ. სოლოვიოვი, ჰ. ვუნდტი. 1, 314). საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ცნობილი ქართველი მეცნიერი და მოაზროვნე დიმიტრი უზნაძე სათანადოდ გამოეხმაურა და მეცნიერული შეფასება მისცა ამ ეპოქალურ მნიშვნელობის პრობლემას. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ფილოსოფოსი 1918 წელს ბეჭდავს ორ ნაშრომს სათაურით: „ცხოვრების რაობა“ და „ცხოვრების რაობა და აღზრდა“, მათში ხაზგასმულია შრომითი დიფერენციაციის პროცესის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ნაშრომები გამოიჩინა ანალიზის სიღრმით და, რაც მთავარია, შეიცავს აღნიშნული მოვლენის ახსნას. „ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებრივი ყოფის დიფერენციაციის ხანაში. ცხოვრება წინ მიდის და ფართოვდება. ეს წინსვლა ადამიანის სულიერი და სოციალური შინაარსის დაუმრეტელ წყაროდ იქცევა, საიდანაც გადმოსჩქეფს დღემდე უცნობი თავისუფალი ფანტაზიისათვისაც კი წარმოუდგენელი ძლიერებით აღჭურვილი ნაკადი, რომელიც ცხოვრების ზღუდედაუდებელ ველს ათითასი მხრით სერავს“. შრომა უკიდურეს წერტილამდე ნაწილდება, ამიტომაცაა, რომ საზოგადოების თითოეული წევრი იძულებული ხდება შემოზღუდოს თავისი მოქმედების ასპარეზი, რომელიც, რაც დრო გადის, მით უფრო მცირდება, ხოლო მისი ზღუდე იზრდება და მაგრდება. რად ხდება ეს? საკმარისია, ოდნავ ჩავუკვირდეთ ამ საკითხს და თქვენ მიხვდებით, რომ იშვიათი სიმდიდრე აწინდელი ცხოვრებისა, თავისი შინაარსის შესაფერი ორგანიზაციის აუცილებელ მოთხოვნილებას ატარებს (1, 312).

XX საუკუნის დასაბამს დაწყებულმა შრომითი დანაწილების პროცესმა უკიდურეს ზღვარს მიაღწია 40—50-იან წლებში. ყოველ კონკრეტულ დარგს დიდი რაოდენობით გამოეყო განხრები და შესაბამისად გაჩნდა მრავალი პროფესია. მეცნიერებაში დაისვა საკითხი მოზარდი თაობის საგანგებო მომზადებისა თავისი ძირითადი საქმიანობის ასარჩევად. ამ მიზანს ემსახურება მოსწავლეთა პროფესიული განათლება, პროფესიული კონსულტაცია, პროფესიული დიაგნოსტიკა, პროფესიული შერჩევა და პროფესიული ადაპტაცია. თითოეული მათგანი საგანგებო კვლევასა და შესწავლას მოითხოვს.

აირჩიო საქმიანობა, საქმე, რომელიც მთელი სიცოცხლე უნდა აკეთო, ეს ნიშნავს, მიმართულება მისცე შენს ცხოვრებას, მისცე საზრისი შენს არსებობას. საკმარისია ცთომილება რაღაც გარემოებათა გამო, რომ ადამიანმა ხელი მოჰკიდოს ისეთ საქმეს, რომელიც მისი მოწოდება არ არის, და მთლიანად შეიცვალოს მისი ცხოვრების შინაარსი. ცრუ საზრისს გამოდევნებული პიროვნების შინაგან სამყაროში ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ირღვევა ჰარმონიულობა, იგი ხდება პასიური ან სრულიად ანებებს თავს მუშაობას მცდარად არჩეულ დარგში, ან კიდევ შემთხვევიდან შემთხვევამდეა დაკავებული, რათა



იშოვოს მინიმალური საარსებო, თავის დასარჩენი საშუალება. უარეს შემთხვევაში უსაქმური ხდება და პოტენციურად მიდრეკილია დანაშაულის ჩადენისაკენ, ეძებს იოლ საქმეებს. მის ფსიქოლოგიაში თანდათან შემოდის ცრუ საზრისთა ნაკადი, რაც საბოლოოდ ჩამოაყალიბებს მას უარყოფით პიროვნებად, ავი საქმეების ჩამდენად. იგი არ ერიდება არანაირ ცუდ გზას, რათა შეიქმნას ნებისმიერი პირობები არსებობისათვის. უკეთეს შემთხვევაში იგი ყალიბდება ხელმოცარულ ადამიანად, რომელიც თითქმის მთლიანად უმოქმედო და მოწუწუნე ხდება. ყველა შემთხვევაში ნამდვილ მოწოდებას აცდენილი ადამიანები, კარგავენ უმთავრეს ადამიანურ ნიშანს — აქტივობას, საკუთარი თავის თვითგამოხატვის უნარს, ავადდებიან. მეცნიერებაში კარგა ხანია გამოთქმულია დასაბუთებული თვალსაზრისი, რომ ნევროზების დიდი რაოდენობა ფსიქოგენური წარმოშობისაა და საზრისმიუგნებელ ადამიანთა ხვედრია (2, 308—320).

დიდი ნაწილი ცრუსაზრისიანი ახალგაზრდებისა საკუთარ თავს რომ ვერ აგნებენ, ვერ ესიტყვებიან საკუთარ შინაგან ხმას, თავისი დაუხარჯავი ახალგაზრდული ენერგიით ადიდებული წყლის გამძვინვარებულ სტიქიას ემსგავსებიან, რომელიც წალეკვით ემუქრება ყველას და ყველაფერს. რაც მეტია ამგვარ ახალგაზრდათა რიცხვი, მით მეტი საშინელება ემუქრება იმ საზოგადოებას, ხალხს და ქვეყანას, სადაც ისინი ცხოვრობენ და, პირიქით, ძიება, შიგნება იმ შინაგანი ხმისა, რომელიც გიკარნახებს, რა საქმეს მოჰკიდო ხელი, უაღრესად ღირებულია. ასეთი საქმიანობა ადამიანის სულიერ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მის საყვარელ საქმედ იქცევა და ამ დარგში შრომა მისთვის ესთეტიკური სიამოვნებაა. სწორად არჩეულ საქმიანობას ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე სრულყოფს და უაღრესად პროდუქტიულიცაა, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოების სიკეთისაკენ არის მიმართული. ასეთი პიროვნებებისაგან შემდგარი საზოგადოება მატერიალურად უზრუნველყოფილია, სულიერად და ზნეობრივად სრულქმნილია, შესაბამისად სრულყოფილია სახელმწიფოც. თანამედროვე, და საერთოდ ყოველი დროის, გავებით პიროვნების სრულყოფილება ორი მომენტით განისაზღვრება: პროფესიული საქმიანობითა და ზნეობრივი ქცევებით. ეს, ჩვენი აზრით, საზოგადოდ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: პროფესიულობა, ანუ ძირითადი საქმიანობა, ადამიანის ზნეობრივი მოდელის არსებითი შინაარსია, მისი მთავარი მახასიათებელია. ქვეყანას, რომელსაც ახალგაზრდა თაობის პროფესიული არჩევანისათვის მზაობის პრობლემა შედარებით მოგვარებული აქვს, სათანადოდ აწყობილი აქვს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიც.

საარსებო საშუალებათა მოპოვებისას შრომის დარგობრივი დანაწილება შორეული წარსულიდან მომდინარეობს და იმ გარემოს ბუნებრივი პირობებითაა განსაზღვრული, რომელშიც ადამიანს უხდება ყოფნა. ოდითგან ქვეცნობიერად ადამიანი ხელს ჰკიდებდა ერთ რომელიმე დარგში საქმიანობას და ინტუიტურად ისეთ შრომას ეწეოდა, რომელიც მისი შინაგანი უნარისა და ნიჭის რეალიზაციას ახდენდა. ისტორიულ-არქეოლოგიური მონაცემები აშკარად მიგვანიშნებს, რომ იყვნენ პროფესიონალი ოსტატები თავისი საქმისა, თავისი პროფესიისა, ამაზე მეტყველებენ საუკეთესო ნაგებობანი, ნაკეთობანი სამეურნეო დარგის სხვადასხვა სფეროდან, სარწყავი სისტემები, მიწათმოქმედებისა თუ მესაქონლეობის დარგები. ამაზე მიუთითებს პროფესიული ტერმინები, რომლებიც საგანგებოდ მოძიებული აქვს ივ. ჯავახიშვილს (3). დავასახელებთ რამდენიმე ტერმინს: ხურო, კირითხურო, მწიდნავი, მწიგნობარი და ლხვა. ეს ყოველივე ოდინდელი ხანის მონაცემებიც, სადაც აშკარად ჩანს ხელშეწყობათა დიფერენცირება (4, 223).



ცხოვრება იცვლება და ვითარდება, მის კვალდაკვალ — მეცნიერებანი და მათი შინაარსიც, ასევე — ადამიანის პროფესიული საქმიანობაც. კონკრეტული პროფესიები, ანუ სპეციალობები, იცვლება დროისა და საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად. პროფესიების აღმოცენებას და განვითარებას განსაზღვრავს საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემები. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სისტემების შეცვლასთან ერთად ხდება ამა თუ იმ სახის პროფესიული საქმიანობის აღმოცენება, რაც თავის მხრივ მოითხოვს ამ პროფესიის სპეციალისტების მომზადებას. მეორე მხრივ კი ეს ცვლილება საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურებში იწვევს ცალკეული პროფესიების ამოვარდნას პროფესიათა სისტემებიდან. ადგილი აქვს სხვა ცვლილებებსაც, რომლებიც შეეხება პროფესიათა შინაარსობრივ მხარეს. ამგვარად, ხდება პროფესიების აღმოცენება, განვითარება-გარდაქმნა და გაქრობა საზოგადოების ინტერესებისა და მოთხოვნილებათა შესაბამისად. საზოგადოების მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ხარისხის, მისი პოლიტიკური, სოციალური, ადმინისტრაციული და კულტურული სისტემების დონის, მოთხოვნილებების მიხედვით ხდება პროფესიის როგორც აღმოცენება, ისე სახეცვლილება და გაქრობა. ეს ფაქტი ჩვეულებრივი მოვლენაა და კარგად ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში (1, 312). ჩვენს თანამედროვე ყოფაში; როგორც ცნობილია, მოხდა არნახული სოციალურ-პოლიტიკური ძვრები, დაინგრა მთელი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები და საქართველო ამ თვალსაზრისით მწვავე დილემის წინაშე აღმოჩნდა.

მართალია, ჯერჯერობით ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურა არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ გზები გამოჩნდა და ქვეყანამ მოითხოვა ახალი დარგების სპეციალისტები.

პროფესიული აღზრდის პრობლემის სათანადო შინაარსით აღჭურვა კი თანამედროვე პედაგოგიკური მეცნიერების ვალია, რათა სწრაფი ტემპით და მართებულად მოხდეს დარგების დაკომპლექტება ნამდვილი პროფესიონალი ადამიანებით. ამ ფაქტს ემატება ის დიდი ძვრები, რომლებიც მიმდინარეობს სწავლა-განათლების დარგში.

მთლიანად იცვლის სახეს განათლების სისტემა, როგორც ცალკეული საგნების შესწავლის თვალსაზრისით, ისე საგანმანათლებლო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ ახალი პროფილის ფასიანი სკოლებისა და უმაღლესი დაწესებულებების მომზადება. ჩვენ ამჯერად იმ მთავარზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომელიც ჩვენი საკვლევი პრობლემის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილია. ეს გახლავთ ახალი აზროვნების წესი, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია ლატერალურ ანუ არაშაბლონურ აზროვნებად და არსებითად ალბათური ინტუიტიური აზროვნებაა. ეს გახლავთ გაფართოებული აზროვნება, სადაც რაციონალურს ავსებს და სრულყოფს ირაციონალური წესი აზროვნებისა. თანამედროვეობის ცნობილი მეცნიერები გადასული არიან იმ ოპტიმალური გზების ძიებაზე, რომლებიც ადამიანში გააღვიძებენ ინტუიტიური და, რაც მთავარია, ხედვითი აზროვნების უნარს (5, 15—17).

თუ ჩვენ მოსწავლე ახალგაზრდობას ლოგიკურთან ერთად განვუვითარებთ ფართო ინტუიტიური აზროვნების უნარს, იგი ღრმად დაეუფლება ძირითად საქმიანობას და თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი, ნამდვილი ხელოვანი გახდება.

პროფესიული აღზრდის პრობლემა დაეუკავშირეთ ადამიანის იმანენტური სამყაროს ისეთ პარამეტრებს, რომლებიც ქმნიან სრულყოფილი ადამიანის მოდელს. ეს გახლავთ: საზრისი, განწყობა, ინტუიცია, ხედვა, წვდომა, თავისუფალი ნება, სინდისი, პასუხისმგებლობა, სამართლიანობა და, რაც მთავარია,



სპონტანურობა და რეფლექსურობა. ამ ფენომენთა ცოდნა ჩვეულებრივი უნდა გახდეს ახალი აზროვნების პედაგოგისათვის. იგივე ცოდნა პედაგოგმა უნდა მისცეს მოსწავლეებს, რადგან მიგვაჩნია, რომ მოსწავლის მიერ ამ ფენომენთა მიზანმიმართული გაცნობიერება დიდ როლს თამაშებს მოზარდი თაობის პროფესიული არჩევანისათვის მზაობის ჩამოყალიბებაში. ჩვენი მიზანია, დასაბუთებულად ვაჩვენოთ, რომ ადამიანის შინაგან სამყაროში აღნიშნული პარამეტრების ამუშავების შემთხვევაში ყოველი მოსწავლე ადვილად შეძლებს (განსაკუთრებით სპონტანურობისა და რეფლექსურობის წყალობით) მიაგნოს შინაგან უნარს და მოახდინოს მისი რეალიზაცია. თითოეული ახალგაზრდის მომზადება იმისათვის, რომ სწორად იპოვოს თავისი ამქვეყნიური მოწოდება, თავისი ძირითადი საქმიანობა, საბოლოოდ თავისი შინაარსით მიმართულია პიროვნების შინაგანი სრულყოფისაკენ, ე. ი., აღნიშნული პედაგოგიკური პროცესის პროგრამა-მაქსიმუმი ახალი სემანტიკის ადამიანისა და შესაბამისად ახალი საზოგადოების ფორმირებასაც გულისხმობს. ეს უკანასკნელი კი ერთ-ერთი უმთავრესი საკვანძო პრობლემაა არა მხოლოდ ქართული სინამდვილისათვის, არამედ საერთაშორისო მასშტაბით. კარგა ხანია ევროპელი და ამერიკელი მეცნიერები, ფილოსოფოსები მიუთითებენ, რომ ადამიანის განვითარება დასავლეთში ცალმხრივად წარიმართა. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მსოფლიო საზოგადოება მატერიალურ კეთილდღეობას დაამონა, გამოფიტა სულიერად. სიმდიდრისადმი უსაზღვრო სწრაფვამ ადამიანს გადააწიწა, რომ უნდა გაუფრთხილდეს ბუნებას, გარე სამყაროს, რომლის უშუალო ნაწილი თვითონაა. გაისმის ხმები: ადამიანი მოუღებეს ბოლოს სამყაროს არსებობას. ერის ფრომი, ოსვალდ შპენგლერი და სხვანი თავიანთ ფუნდამენტურ ნაშრომებში აღნიშნავენ: ადამიანი და მისი გარემომცველი სამყარო რომ გადარჩეს, მთლიანად უნდა გამოიცივლოს მისი ცნობიერება. პირდაპირ აცხადებენ, რომ ახალი საზოგადოება, ახალი ადამიანი გარდაუვალი პრობლემაა. ადამიანი უნდა განთავისუფლდეს ფლობის ცხოველური ინსტინქტებისაგან, უნდა განთავისუფლდეს ეგოსაგან (ეგოსისტემებისაგან), ნარცისიზმისაგან და ყველა სხვა მსგავსი თავკერძული თვისებებისაგან, რომლებიც დღეს ჩვეულებრივია ადამიანის შინაგანი სამყაროსათვის. ამიტომ მკვლევარნი ახლებურად სვამენ და მოიზრებენ ადამიანის ყოველმხრივი განვითარების, ადამიანის სრულქმნილების მარადიულ პრობლემას, ადამიანის არსებობის უმაღლეს საზრისს (5, 6). საჭიროა ადამიანში აღმოიფხვრას სიხარბე, სიძულვილი და სხვა უარყოფითი თვისებები. ეს შორეული მომავლის საქმეა, მაგრამ კატეგორიულად მოითხოვენ, რომ უკვე დროა ადამიანში დაწყებული თანდათანობითი და ნელი პროცესები გაცხოველდეს და ცხოველუნარიანი გახდეს. თითქმის მთელი დატვირთვა ამ თვალსაზრისით ნორჩი თაობის აღზრდა-განათლებაზე მოდის. ერთ-ერთი წამყვანი ფენომენი ამ გავებით სწორედ საზრისს, ანუ მისი სამოღვაწეო საქმიანობის, მიგნება და გამოვლენაა ადამიანში. ეს, აგრეთვე, აღზრდის სისტემას ევალდება. საჭიროა გამოვალვიძოთ ადამიანი.

საზრისის ძიებისას ძირითადად ვეყრდნობით დიმიტრი უზნაძის შრომებს, კერძოდ, მის ცნობილ განწყობის თეორიას; ვთავაზობთ ვარაუდებს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ წამყვან თვალსაზრისთან ერთად ემყარება მრავალწლიან პედაგოგიურ პრაქტიკას და იმ ექსპერიმენტებს, რომლებსაც ჩვენ სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის სკოლებში ვაწარმოებდით ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდებითა და ხერხებით.

პროფესიული ორიენტაცია XX საუკუნის დასაწყისის პირმშოა და გარკვეულ სოციალურ-ეკონომიკურ, ტექნიკურ-მეცნიერულ ძვრებს უკავშირდება. ისტორიულად ეს დარგი უშორეს წარსულში იღებს სათავეს და თავისი



პრეისტორიული ხანა გააჩნია. უზრუნიათ კიდევ პროფესიონალთა მოსამზადებლად. სანიმუშოდ დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს ქართული ისტორიული ყოფიდან.

ფეოდალურ საზოგადოებაში სახელოსნო შრომის დიფერენციაციისა და სპეციალიზაციის პერიოდში წარმოიშვა ხელობის სწავლების აუცილებლობა ინდივიდუალური შეგირდობის გზით. XII საუკუნის წერილობით საბუთებში ვკითხულობთ, რომ მწიგნობართუხუცეს ანტონ ჭყონდიდელს თამარ მეფისათვის უთხოვია შიომღვიმის მონასტრისათვის გლეხების შეწირვა, რათა ამ გლეხებს და შემდგომ მათ შვილებს ესწავლათ „ქუქანკობა“ (წყალსადენის გაყვანა, შეკეთების ხელობა). თამარს წერილობითი დასტური მიუცია. ჭყონდიდელი აღნიშნავს, რომ მან ამ გზით შეძლო ხელოსანთა მუდმივი შემადგენლობის შექმნა წყალსადენისათვის. უფრო მოგვიანებით შეგირდობა ფართოდ ვრცელდება XVIII საუკუნეში. ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულში მოყვანილია ამქრის შეგირდის აყვანის პირობები. პროფესიული საქმიანობის პრობლემის განხილვას თავისი საგულისხმო ისტორიული წანამძღვრები აქვს. პროფესიული ორიენტაციის საკითხის ისტორია, მკვლევართა თვალსაზრისით, სათავეს იღებს XX საუკუნის დასაწყისიდან.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თუ ამ თვალსაზრისით გადავხედავთ ქართული მწერლობის ისტორიას აღმოჩნდება, რომ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით რვა საუკუნით ადრე მიუთითა გენიალურმა შ. რუსთაველმა იმის თაობაზე, რომ ადამიანმა უნდა აირჩიოს და ხელი მოჰკიდოს იმ საქმიანობას, რომლის ნიჭი და უნარი მას თანდაყოლილი, ანუ ღვთისაგან ნაბოძები, აქვს და, რაც მთავარია, მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა აქციოს იგი თავის ძირითად საქმიანობად, უნდა მისდიოს მას და არ შეიცვალოს პროფესია: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასაჯერდეს და მას უბნობდეს, მუშა მიწყვიე მუშაკობდეს, ზემოარი გულოვნობდეს...“, XVII—XVIII საუკუნეების დიდი ქართველი მწერლები — არჩილ მეფე და დავით გურამიშვილი საგანგებოდ მსჯელობენ აღნიშნულ საკითხებზე.

არჩილი აყალიბებს თავისი დროისათვის გაბედულ პედაგოგიკურ თვალსაზრისს პროფესიის თავისუფალი არჩევანის თაობაზე და ამით იგი დავით გურამიშვილთან ერთად პროფესიული ორიენტაციის თეორიის წინასწარ მესიტყვე და მესაფუძვლე გამოდის. შეიძლება ითქვას, რომ ქართული კულტურის ისტორიაში პროფესიული საქმიანობის არჩევითობის საკითხი ორი საუკუნის წინ იღებს სათავეს.

არჩილის მსჯელობა ახალგაზრდის პროფესიული აღზრდის თაობაზე გაცილებით უფრო კონკრეტული და არსებითი შინაარსისაა, ვიდრე მეოცე საუკუნის დასაწყისის საკაცობრიო აზრი ამ პრობლემაზე. არჩილი მიხვედრილია იმას, რომ ახალგაზრდა თაობა აუცილებლად უნდა იქნეს დასაქმებული მისი უნარის მიხედვით და მას ამისთვის მოძღვარი, პედაგოგი სჭირდება, რათა უცდომელად აირჩიოს სამომავლო საქმიანობა. რა აირჩიოს? ამას უპასუხებს პოეტი თავის დამრიგებლობითს ნაწარმოებში „საქართველოს ზნეობანი“ (7,550—568). მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ არჩილი პროფესიას, ანუ ადამიანის ძირითად საქმიანობას, ზნეობას უწოდებს. ჩამოთვლის იმდროინდელ საქართველოში გავრცელებულ პროფესიებს, ანუ დარგებს — საეროს, სასულიეროს, სამხედროს. „აწ ეს მომინდა სათქმელად, რამდენი ზნეობა არის, სამღვთო და ანუ სამხედრო, მშვებლის და მოვაგლახარის, ლაშქრობის; ნადირობისა, რომელმან კაცი ახარის, საქციელ-სამსახურისა, ვინც იცის, ცოდნათაც კმარის... დია კარგია სხვებიცა, ზნეობა-საქციელები...“ — აცხადებს პოეტი და ასახელებს დარგებს: მშვილდოსნობა, ცხენბურთი, მეჯინბობა, ბა-



ზიერობა, მეთევზეობა, საომარი თუ სანადირო იარაღის დამზადება (ისრის თლა, სწორად გამართვა, ჩოგნის მოხვერეტა, მობანდვა). პატივით მოიხსენიებს პოეტი დარგებს, რომლებიც ფიზიკურ შრომას მოითხოვს: „მუშაობაც კარგი ზნეა, ზემდგომობა და სარქლობა, ბარვა-წიდვნა, ხენა და თესვა“.

დიდ ადგილს უთმობს მწერალი კულტურისა და განათლების დარგებს: ენა და წიგნი... ჩავაგდოთ თითო ზნეობად... მწიგნობრობა, მთარგმნელობა, ღრმა სიტყვის ადვილ-გამოთქმა, ხუცურის, მრგლოვანის, ანუ ანბანთმცოდნეობა, მხატვრობა, მონახაზობა. არ ავიწყდება მწერალს სამართალმცოდნეობის დარგიც: მომჩივრობა, სამართლისა და მართლის ობიექტური განსჯა, რისთვისაც საჭიროა დიდი ბჭობა, ანუ განსჯა, მსჯელობა. მწერალი ყურადღებას ამახვილებს დიპლომატიკაზე და მის შემადგენელ ნაწილებზე: ელჩობა, მოციქულობა, სიტყვისა სწორად დასწავლა.

პოემაში „საქართველოს ზნეობანი“ გატარებულია ავტორის ასეთი თვალსაზრისი: თვითონ პიროვნებამ უნდა აირჩიოს პროფესია თავისი ნიჭის, უნარისა და მოწოდების მიხედვით. არჩილი ბრძენის გუჟანით ხვდება, რომ მოზარდი ყოველთვის ვერ მიაგნებს თავის თავს, და ამდენად დიდ როლს ანიჭებს აღმზრდელს ახალგაზრდის მიერ პროფესიული არჩევანის სწორად გაკეთებაში.

დავით გურამიძე ილი ამ კუთხით თავისი დიდი წინაპრის უმუალო ზემოქმედებას, მისი თვალსაზრისის გამგრძელებელი. დავით გურამიძე ილი პროფესიას **სახმარ საქმეს** უწოდებს. სიმბოლურია დასათაურება „დავითიანის“ იმ ადგილისა, სადაც პოეტი საუბრობს ახალგაზრდის ძირითად დასაქმებაზე, ანუ საქმიანობაზე: „ათთა სახმართა საქმეთა ჩაგონება ყრმათათვის“. სათაურიც მოწმობს, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დავითი იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდებს ჰქონდეთ ცოდნა და ინფორმაცია იმ დარგების თაობაზე, რომელთა შორის ერთ-ერთი მათ უნდა აირჩიონ და გაიხადონ თავიანთ ძირითად საქმიანობად. არჩილის მსგავსად იგი პირდაპირ ჩამოთვლის იმდროინდელ საქართველოში გავრცელებულ დარგებს: მოლაშქრობა, ვაჭრობა, მწყემსობა, მხენელმთესველობა, მწიდვნელობა (ვენახის მოვლა), მწიგნობრობა, მღვდლობა, ხუცობა, მენახირობა. ჩამოთვლის რა დარგებსა და პროფესიებს, დ. გურამიძე ილი თვითონ ანდობს ახალგაზრდას არჩევანს: „ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელითა, ხუცესი წირვით, ვაჭარი შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა, მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მხენელი ოფლითა ცხელითა, გლახა კარის-კარ თხოვნითა, — **შენა გწადს აწ რომელითა?**“. ქვევით გურამიძე ილი კვლავ იმეორებს: მე ყველა პროფესიას განვიხილავ, დაწვრილებით ჩამოვთვლი მათ დამახასიათებელ ნიშნებს და შემდეგ თვითონ გადაწყვიტე და აირჩიე შენი სამომავლო საქმიანობა: „ათისავ თვითო მოგითხრა, რომელი რისაც მქნელია, რომელიც გინდა, იქონე, ერთ-ერთს მოჰკიდე ხელია!“ და მართლაც, პოეტი მთელი თავისი კეთილსინდისიერებით ახასიათებს ყოველ დარგს. მაგალითად, მწყემსობა ადამიანისაგან მოითხოვს სიფრთხილეს, მცირე ძილს, გაბედულებას და მხნეობას, ყინულისა და სიცივის შეგუებას, თავგანწირვასაც კი: „მწყემსმან კეთილმან ცხვართათვის დადვისო სული ტკბილია“.

ხელმწიფე ვერ იქნები, თუ არა ხარ მართალი, ბრძენი, უხვი, მოწყალე, ზომიერი, სამართლიანი, კანონიერების დამცველი, სამართლით განმსჯელი ერისა.

პოეტი განსაკუთრებით უსვამს ხაზს პროფესიების სიმძიმე-სირთულეებს, რათა ახალგაზრდამ არჩევანის გაკეთების დროს ყოველივე გაითვალისწინოს. ასე მაგალითად, მხენელის, მთესველის, მწიდვნელის, მზარავის, სოფლის მეურნეობის დარგებში მუშაობა რთულია, რადგან მათ დღე და ღამე გარეთ, ველზე ყოფნა და დიდი ოფლის ღვრა უწევთ: „მზის ამოსვლითგან ჩასვლამდე



შიგ არ შეხედონ კარავთა, ცხელის ოფლითა დამწვართა ჩირდილთ ქვეშ მიუ-  
კარავთა, რაც იმუშაკონ, ჭამონ და აჭამონ ქვეყნის მფარავთა“.

ასევე მოლაშქრეს მხნეობა, გაბედულება, სიამაყე, ძალგულოვნება უნდა  
ჰქონდეს, ჯაბანი არ უნდა იყოს.

ვაჭარი, — აღნიშნავს მწერალი, — მოგებისა და სარფის კაცია, მაგრამ  
„მეტად უზომოდ არამსა, ალაღში არაჲ რევედესა. სწორეს ადლსა და სასწორ-  
სა ხელში არ ამრუდებდესა“. ე. ი., ვაჭარს ყველაზე მეტად პატიოსნება და  
სიმაბთლე სჭირდება, რითაც ის უფრო მოგებულნი იქნება. ბრძენი სჭირდება  
ქვეყანას. სიბრძნე დარგია და ამ დარგის წარმომადგენელი ვერ გახდება, თუ  
ურიგოს იკადრებ. ბრძენმა უნდა გაწრთვნას და განათლოს ერი. საკმარისია,  
ბრძენი ცუდად მოიქცეს, „ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახდების ერია“.

პოეტი ვრცლად მსჯელობს ცოდნასა და სწავლაზე. „სწავლულობა მეტად  
რთული საქმეა, ბევრი შრომა სჭირდება“.

ბოლოს, როცა უკვე განიხილა ყველა პროფესია, ყველა დარგი, პოეტი  
კვლავ იმეორებს: „ათივ ეგ იყო, მოგიტხარ, სხვა არა მისგან კიდეა. რომელიც  
გინდა, ირჩიე, აიღე, ხელი ჰკიდე: გერჩიოს, გლაზათ იარე, გერჩიოს, ყანას  
მკიდეა...“ (8:65—72).

ამრიგად, არჩილი და დავით გურამიშვილი, წინ უსწრებენ რა თავის ეპო-  
ქას, შინაარსიანად საუბრობენ ყრმათა პროფესიულ აღზრდაზე. მათ მიერ გა-  
მოთქმული ყველა თვალსაზრისი ეხმიანება XX საუკუნეში შექმნილ საგანგებო  
დარგს — პროფესიულ ორიენტაციას, და მოზარდთა მიერ პროფესიული არჩე-  
ვანისათვის მზაობის პრობლემატიკას. როცა არჩილი და დავითი დაწვრილე-  
ბით ესაუბრებიან მოზარდებს, ისინი წვრთნიან მათ და უმუშავებენ პროფე-  
სიული არჩევანისათვის მზაობას, რაც თანამედროვე პედაგოგიკის აქტუალუ-  
რი პრობლემაა.

ამგვარი ტრადიციული თვალსაზრისი პროფესიულ საქმიანობაზე საინტე-  
რესოდ არის გადამუშავებული და კვალიფიცირებული დიდი პედაგოგის იაკობ  
გოგებაშვილის შემოქმედებაში (9,284—295). მან არაერთი წერილი უძღვნა  
ახალგაზრდის სრულყოფილ პიროვნებად ფორმირების საკითხს. ხაზი გაუსვა  
გონიერებასთან ერთად ქართველთა თანდაყოლილ ნიჭიერებას და განსაკუთ-  
რებულ მიდრეკილებას პედაგოგიური საქმიანობისადმი. ამ უნარს. — წერს  
ი. გოგებაშვილი, — სხვებიც, არაქართველნიც მიუთითებენო. მაგ., რუსი პე-  
დაგოგი ნევერსკი ამბობდა, ქართველები ბუნებით პედაგოგები არიანო. ამ  
სიტყვების გულწრფელობა, — წერს გოგებაშვილი, — მან იმიტაც დაამტკი-  
ცა, რომ კავკასიაში პირველად გამართული სახალხო სკოლების დირექცია  
მიანდო ქართველ ბესარიონ ლოლობერიძეს და დირექტორად დანიშნა. ი. გო-  
გებაშვილი საგანგებოდ აღნიშნავს ქართველთა თანდაყოლილ სწავლა-განათ-  
ლების ნიჭს: „ქართველნი თავიანთ სამიათასწლოვანი ისტორიული ცხოვრების  
განმავლობაში განსხვავდებოდნენ მწერლობისა და განათლების სიყვარულით“.

მსოფლიო მნიშვნელობის თეორია შექმნა დიმიტრი უზნაძემ პიროვნების  
შინაგანი მონაცემების ხასიათისა და ქცევის დამოკიდებულებაზე იმ გარემო  
პირობებთან, რომელშიც ადამიანს უხდება ცხოვრება. საკვლევი საკითხისა-  
თვის განსაკუთრებული ღირებულებისა განწყობის თეორია, რომელიც დიდი  
პოპულარობით სარგებლობს უცხოურ სამეცნიერო წრეებში და ადამიანის  
შინაგანი სამყაროს შესწავლისათვის საუკეთესო სამეცნიერო ორიენტურია. ამ  
თეორიით მრავალი ბუნდოვანი საკითხი იმიფრება პიროვნების აღზრდისა და  
პროფესიული ორიენტაციის სფეროში. ძალზე საინტერესოა მისი ერთ-ერთი  
ნაშრომი „ცხოვრების რაობა და აღზრდა“, სადაც ავტორი მსჯელობს იმ სუ-  
ლიერი ძალების აქტივიზაციასა და რეალიზაციაზე, რომლებიც ადამიანს სჭირ-



დება თანადროული ყოფის გასაუმჯობესებლად. ავტორი აყენებს ახალ დებულებას: ერთია, მიაგნო შენ შინაგან მოწოდებას, ამოძრავო შენი სულიერი ძალები, და მეორეა, მისი მისადაგება ცხოვრების პირობებთან. ცხოვრება იცვლება, ახალი შინაარსი ცხოვრებისა სულიერ ძალთა განსხვავებულ ამოძრავებას მოითხოვს, ანუ ყოველი ეპოქა ადამიანისაგან მოითხოვს სულიერ ძალთა სხვაგვარ გადაჯგუფებას და მის ამოქმედებას ცხოვრების პირობების შესაბამისად. ამისათვის უპირველესად საჭიროა ადამიანმა მართებულად მიაგნოს თავის შინაგან უნიკალურ მონაცემებს, საზრისებს და არ იცხოვროს ცრუ საზრისებით. „თუ გსურს, რომ ისტორიული ცხოვრების მიღწეულ საფეხურზე დაბლა არასოდეს ვიდგეთ, საჭიროა სულიერი ძალების მჭრელობა მუდამ ჩვენი დროის შესაფერისად იყოს“. ახალგაზრდას თავისი სულიერი ძალების გაცნობიერების საკითხში, ავტორის აზრით, გზა უნდა მისცეს სწორმა აღზრდამ. აქედან აღზრდის მიზანიც ცხადად სახიერდება, იგი ყოველ ღონეს და საშუალებას სწორედ იმ მხრივ უნდა მიმართავდეს, რომ არ დარჩეს არც ერთი მოზარდი, რომელიც თავისი უზენაესი დანიშნულების განსახორციელებლად გამოუსადეგარი აღმოჩნდება. მან უნდა გაბედულად გადალახოს ყველა დაბრკოლება, რომლებიც ცხოვრების პროცესით შემუშავებულ ღონეს ადამიანის ძალების განვითარებისას დაბლა სწევს ან იმავე საფეხურზე ტოვებს, რომელზეც იგი ადრე იმდგარა. სკოლა როგორც ორგანიზაცია აღზრდის მიზნისათვის მოღვაწეობისა, ამიტომ თავის უდიდეს მიზანს ამაშივე უნდა ჰკრეტდეს. „... სკოლა უნდა ჰყვოდეს და ლესავდეს ისეთ სულიერ ძალებს ადამიანის არსებაში, რომელთა მჭრელობაც ცხოვრების არსებულ ღონეზე ზევით აწევის პირობებს საუკეთესოდ შეეფერებოდეს“. (15,309). მეცნიერი სწორედ ადამიანის თანდაყოლილი უნარისა და შესაძლებლობის მაქსიმალურ რეალიზაციას გულისხმობს და ამ გავებით სკოლას აკისრებს უდიდეს ფუნქციას. მსგავს თვალსაზრისს, დ. უზნაძის აზრით, უცხოელი მეცნიერები და პედაგოგი იერუზალემიც ავითარებენ, მაგრამ მათ და ჩემს მოსაზრებებს შორის კარდინალური განსხვავებააო, — დასძენს დ. უზნაძე. ისინი ჩვენს სულიერ სამკვიდროში გრძნობის, ნებისა და აზრის მეტს ვერაფერს ხედავენ. ჩემი თეორიით კი, მე ვეძიებ ადამიანის დანიშნულებას ამქვეყნად და შესაბამისად ვეძიებ იმ სულიერ ძალებს, რომელთა ამოქმედება ადამიანს თავის დანიშნულებასა და მოვალეობას გაცნობიერებინებს (15,309—310).

ზემოგანხილული ყველა თვალსაზრისი ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანის მიერ თავისი პროფესიული საქმიანობის გაცნობიერებისათვის. სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში სიტყვები — სული, სულიერება, სულიერი ძალები ტაბუდადებული იყო, ადამიანის შესწავლა წმინდა მატერიალური თვალსაზრისით ხდებოდა. გამრუდდა მართებული მეცნიერული ხაზი, დაიბნა ადამიანი. საბჭოთარმა პოლიტიკამ მეტად გააღრმავა და გადაუყეტა გზა ადამიანს თავისი სულიერი სამყაროსაკენ. მასობრივი გახდა ვერ მიგნება საკუთარი, შინაგანი მოწოდებისა და მიდრეკილებისა, გამრავლდა და გახშირდა ცრუ საზრისები. ძალიან ცოტანი თუ ირჩევდნენ პროფესიას საკუთარი მოწოდებით. ამან დასცა შრომისუნარიანობა, ადამიანი ნაკლებპროდუქტიული გახდა და უინტერესო. ეს განსაკუთრებით დააჩნდა ქართველ ხალხს, რომელსაც სულ სხვა ცნობიერება და თვითცნობიერება ჰქონდა.

ბოლო წლებში ქართველმა პედაგოგებმა შექმნეს მრავალი ნაშრომი, რომლებშიც პროფესიული საქმიანობის არჩევის საკითხები სხვადასხვა კუთხითაა განხილული. მკვლევარი ნ. ზამბახიძე სავანგებო ნაშრომში განიხილავს ახალგაზრდობის პროფორიენტაციის ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. მისი აზრით, „ადამიანის პროფესიული ინტერესების, მიდრეკილებებისა და შესა-



ძლებლობის სწორად განსაზღვრისათვის საკმარისი არ არის რომელიმე ცალკე ორგანოს ან ფუნქციის შემოწმება, საჭიროა მთლიანი პიროვნების პროფორიენტაციული შესწავლა. თვითგანსაზღვრების 'აწყისიცა და საბოლოო არჩევის უნარის ჩამოყალიბებაც სასკოლო სწავლების მთელ მსვლელობაში ხორციელდება" (10,15—32). მისი აზრით, უნდა შეაუზღვედეს მოსწავლეებთან პროფორიენტაციული მუშაობის მეთოდები და ასახელებს — ანკეტურ გამოკითხვას, თხზულების, საუბრის ანუ დიალოგის მეთოდებს. იგი საბოლოოდ დაასკვნის: კონკრეტული პიროვნებისათვის შესაფერისი პროფესიის მონახვა რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან ვიცით პროფესიათა ფსიქოლოგიური მოთხოვნები, ერთი მხრივ, და ადამიანის ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობათა პარამეტრები, მეორე მხრივ, მასადაამე, ამოცანა ისაა, რომ ვიპოვოთ პროფესიული მოთხოვნილებისა და პიროვნების ფსიქიკური თვისებების ურთიერთშეთანხმების ოპტიმალური ვარიანტი (იქვე).

მკვლევარ მ. ზარანდიას ნაშრომში „პროფესიული ორიენტაცია და პიროვნების ფორმირების ფსიქოლოგიური საკითხები“ (11). თეორიული და ექსპერიმენტული ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ის გზები და საშუალებანი, რომლებიც ხელს უწყობენ აღმზრდელებს, მასწავლებლებსა და მშობლებს, მოზარდის პიროვნებაში ისეთი შინაგანი უნარისა და შესაძლებლობის გააქტიურებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებასა და ინდივიდს შორის ჰარმონიული ურთიერთობის დამკვიდრებას. დეტალურად განიხილავს აქტორი პროფორიენტაციის მეთოდებს, საქმიან თამაშს და პროფესიული ინტერესებისა და ორიენტაციის ფორმირების ფაქტორებს (სკოლა, როგორც მოსწავლეთა პროფესიული ინტერესებისა და ორიენტაციის ძირითადი ფაქტორი, მოსწავლის ინდივიდუალური უნარი, პროფორიენტაციის ეთიკური ფუნქციები, პროფესიული ინტერესების აღზრდა-ფორმირების კანონზომიერებანი და სხვა).

ამ საკითხებზე თავისი თვალსაზრისი გამოთქმული აქვს არაერთ ქართველ მკვლევარს. მკვეთრად გაიზარდა მათი რიცხვი უკანასკნელ ათწლეულში (მ. ზარანდია, რ. კალაძე, ა. ფაშაევი, მ. არანაშვილი, შ. არსენიძე, ა. ასათიანი, ა. გეწაძე, თ. ვაშაძე, ი. ვაშაქიძე, ი. ვარლამიშვილი, ვ. გრიგოლავა, ბ. გოგოლიძე, ზ. გოგობერიძე, თ. გოგოლაძე, ბ. გოგოლაძე, ბ. ბანძელაძე, დ. აბსავა, ა. ავალიშვილი, გ. ალავერდაშვილი, შ. არსენიძე, ნ. გუბი, ტ. გულავა, ა. ელიზბარაშვილი და სხვ.).

ადამიანის შრომით საქმიანობასთან დაკავშირებულ რამდენიმე არსებითი სასიათის ტერმინს შევეხებით: პროფესიული ორიენტაცია, პროფესია, საქმიანობა, ინტერესი, განწყობა, მზაობა.

„პროფესიული ორიენტაცია“ თავის მხრივ ორ სიტყვა-ტერმინისაგან შედგება და გამოთქმა მათი მნიშვნელობების უბრალო ჯამი არ არის. მას სრულიად განსხვავებული ცნებითი შინაარსი აქვს: 1. „მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია პიროვნებისა და პროფესიული შრომის თავისებურებათა და კადრებისადმი წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით დაეხმაროს ახალგაზრდას აირჩიოს თავისი უნარის, შესაძლებლობისა და ინტერესებისათვის შესაფერი პროფესია, 2. სპეციალისტების დახმარებით შესაფერისი პროფესიის არჩევის უფლება...“ ეს გახლავთ ქართულ ენციკლოპედიაში მოცემული განმარტება.

მ. ზარანდიას ნაშრომში „პროფესიული ორიენტაცია და პიროვნებად ფორმირების ფსიქოლოგიური საკითხები“ პროფესიული ორიენტაციის მხოლოდ ერთი ცნებითი შინაარსია განმარტებული: „პროფესიული ორიენტაცია“ გულსხმობს პიროვნების მიერ რაიმე პროფესიული მიმართულების არჩევას



(საკუთარი ნიჭის შესაბამისად) მომავალი შრომითი საქმიანობის ასპარეზად. სხვანაირად რომ ვთქვათ, პროფესიული ორიენტაცია არის პიროვნების შეგნებული სწრაფვა, მტკიცე გადაწყვეტილება დაეუფლოს შრომითი საქმიანობის კონკრეტულ სახეობას, ანუ სპეციალობას, რომელიც ინტერესებისა და უნარ-შესაძლებლობათა შესატყვისი იქნება. ამ ტერმინის მეცნიერული სისტემის ამსახველ შინაარსზე არაფერია ნათქვამი.

თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიაში ადამიანის ძირითადი შრომითი საქმიანობის აღსანიშნავად გავრცელებულია ლათინური წარმომავლობის სიტყვა „პროფესია“. ქართულ განმარტებით ლექსიკონსა და ქართულ ენციკლოპედიაში მოცემული განმარტებები ამ ტერმინის თაობაზე ერთმანეთს ავსებენ და სრულ წარმოდგენას გვიქმნიან მის ტერმინულ მნიშვნელობაზე, (ლათ. *profesion* — საქმიანობა, სპეციალობა): მუდმივი ხელობა, რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს, სპეციალური მომზადებისა და მუშაობის, გამოცდილების შედეგად შექმნილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების მქონე ადამიანის შრომითი საქმიანობის დარგი. პროფესიული საქმიანობა ჩვეულებრივი შემოსავლის ძირითადი წყაროა. პროფესია არის ხანგრძლივად არსებულ შრომით მოვალეობათა კომპლექსი (13,302; 14,213, 217). წმინდა ქართულ ტერმინებს „ხელობასა“ და „საქმიანობას“ ახალ ქართულში იშვიათად ხმარობენ. დასანანი, რადგან ორივე ტერმინი მშვენივრად ასახავს პროფესიის ცნებით შინაარსს. ხელობა ვიწრო გაგებით იხმარება დღეს, როგორც ტერმინი: „იგი ისეთი პროფესიაა, რომელიც ხელის გაწაფვას მოითხოვს“ — ვკითხულობთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. იქვე დამოწმებული სხვა მნიშვნელობები ხელობა-ტერმინისა — მოსაქმეობა, საქმიანობა, ნაწარმი, ნაკეთობა, თანამდებობა — იძლევა იმედს იმისას, რომ სიტყვამ უნდა გაიფართოოს შინაარსი და შესაძლებელია, იქცეს ძირითადი საქმიანობის აღმნიშვნელ ტერმინად. ამგვარი ტერმინი სოციალურ სანქციას მოიპოვებს, თუ იგი ფართო გავრცელებას პოვებს. ჩვენს ნაშრომში ვცდილობთ, პროფესიასთან ერთად ვიხმაროთ ტერმინები — საქმიანობა და ხელობა.

როგორც ზემოთ უკვე მივუთითეთ, შრომის დარგობრივი დანაწილება საარსებო საშუალებათა მოპოვებისას შორეული წარსულიდან მომდინარეობს და იმ გარემოს ბუნებრივი პირობებითაა განსაზღვრული, სადაც ადამიანს უხდება ყოფნა. უძველესი დროიდან ადამიანი ხელს ჰკიდებდა ერთ რომელიმე დარგში საქმიანობას და ინტუიტურად ისეთ შრომას ეწეოდა, რომელიც მისი შინაგანი უნარისა და ნიჭის რეალიზაციას ახდენდა. ეს ქვეცნობიერი პროცესი დროთა განმავლობაში თანდათან ითრგუნებოდა ათასგვარი მიზეზის გამო (სარგებლიანობის მომენტი, სოციალური ზეწოლა, პიროვნების უზუნეო საქციელი — იოლად შრომისა და გარჯის გარეშე მიეღწია ნივთიერი კეთილდღეობისათვის და პროფესიად ექცია არა თავისი ნამდვილი შინაგანი მოწოდება, არამედ ცრუ საზრისი, სწრაფვა ქურდობისაკენ, სხვისი ქონების მითვისებისაკენ და ა. შ.).

„ორიენტაცია“ ფრანგული სიტყვაა (*orientation*) გენეტურად ლათინური *oriens*-იდან (აღმოსავლეთი) მოდის, შემოსულია რუსული გზით. მრავალმნიშვნელოვანი სიტყვაა. 1. სივრცეში ადგილმდებარეობის გარკვევა (რაც თავდაპირველად აღმოსავლეთის მიმართ ხდებოდა). 2. გარემომცველ პირობებში გარკვევა. 3. გადატანილი მოქმედების წარმართვა გარკვეული მიმართულებით, მოქმედების გეზის აღება. ტერმინი-გამოთქმა „პროფესიული ორიენტაცია“ ასე გაიმართება ქართულად — ოფიციალური საქმიანობისადმი მიმართულება, გეზის აღება.



სიტყვა „მზაობა“ არ იძებნება არც ძველი ქართული ენის ლექსიკონებში, არც ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში. იგი დ. უზნაძის მიერ შექმნილი ტერმინია, „მზა“ ფუძიდან მომდინარე, „მზა“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასეა განმარტებული: „საბოლოოდ გაკეთებული“, „მზადყოფნა“, როდესაც ყოველმხრივ მზად არიან რაიმე მოქმედების დასაწყებად (ქგლ 59). თავის მიერ შექმნილ ტერმინს — „მზაობას“ დ. უზნაძე თვითონ განმარტავს: „განწყობა არის გარკვეული აქტივობისაკენ მიმართული მზაობა“<sup>(12)</sup>. როგორც ვხედავთ, ტოლოზის ნიშანს განწყობასა და მზაობას შორის თვითონ დ. უზნაძე სვამს. განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „განწყობის“ ტერმინული ფუნქციაა პირველივე მნიშვნელობად დასახელებული: განწყობა — 1. ფსიქოლოგიურად ამა თუ იმ განცდის თუ ქცევისათვის მზადყოფნა. 2. იგივეა, რაც განწყობილება.

რუსულ ტერმინოლოგიაში მზაობა მზადყოფნას შეესატყვისება: ГОТОВНОСТЬ, ЭТО СОГЛАСИЕ СДЕЛАТЬ ЧТО НИБУДЬ. ვფიქრობთ, ქგლ-ში განმარტება „მზადყოფნისა“ უფრო ზუსტად ასახავს სიტყვის შინაარსს, ვიდრე ეს რუსულ პედაგოგიკურ ლექსიკონშია მოცემული. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რუსულ პედაგოგიკურ ლექსიკონში შესული არ არის ტერმინი ГОТОВНОСТЬ, ძალზე გავრცელებული ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში. ქართულ „განწყობას“ რუსულში შეესატყვისება ტერმინი УСТАНОВКА, რომელიც პოლისემანტური სიტყვაა. მისი ძირითადი მნიშვნელობაა — დადგმა, დაყენება. ფსიქოლოგიაში იგი გამოყენებულია განწყობის აღმნიშვნელ ტერმინად. ტერმინულად მზაობა-განწყობა სინონიმურია. აზრობრივადაც რაიმესადმი მზაობა ანუ მზადყოფნა გარკვეული აქტივობისაკენ მიმართული მზაობაა, ე. ი. ტერმინთა იგივეობრივმა შინაარსმა ლოგიკურად მიგვიყვანა მზაობისა და განწყობის იდენტურობასთან, რასაც მხარს უჭერს უზნაძისეული განმარტებაც. ამ გაგებით განწყობის შექმნა საჭიროა რაიმე პროფესიული არჩევნისათვის. უნდა შეიქმნას მოზარდში შრომისათვის საჭირო მზაობა, ანუ განწყობა. ამ განწყობის შექმნა ძალზე რთულია, რაც უნდა გაადვილოს დ. უზნაძის განწყობის თეორიაში არსებულმა მონაცემებმა.

ჩვენ განვიხილეთ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები ისტორიულ ჭრილსა თუ თანამედროვე პედაგოგიკურ აზროვნებაში. მოკლედ შევეხეთ იმ ტერმინთა წარმომავლობას, რომელთა გარეშე პროფესიული აღზრდის პრობლემებზე მსჯელობა ბუნდოვანი იქნებოდა. განვიხილეთ პროფესიული საქმიანობის თემატიკა ქართველი მწერლებისა და მოაზროვნეების შემოქმედებაში. მათი თვალთახედვით, საჭიროა პროფესიული აღზრდის პრობლემემატიკის დაყვანა მოსწავლეთა აზროვნებამდე. ეს საკმაოდ დააჩქარებს მოზარდებში პროფესიული არჩევანისათვის მზაობის ფორმირების პროცესს და რომლითაც მოხერხდება ოპტიმალური პირობების შექმნა მზაობის ფორმირებისათვის.

#### ლიტერატურა

1. უზნაძე დ., ორგანული მსოფლმხედველობა, ფილოსოფიური შრომები, ტ. I, 1981.
2. Франкл В., Человек в поисках смысла, М., 1990.
3. ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში), თბ., 1946.
4. საყვარელიძე გ., შრომითი აღზრდა და პროფორინტაცია, პედაგოგიკა, თბ., 1994.
5. Де Боно. Рождение новой идей, М., 1976.
6. Пенглер О., Законь Европы, М., 1978.

7. ა რ ჩ ი ლ ი, „საქართველოს ზნეობანი“, ქართული მწერლობა, ტ. VI, თბ., 1989.
8. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი დ., თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1980.
9. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ი., ქართველთა სწავლა-განათლების ნიჭი (დაწერილი პარიზის გამოფენისათვის), რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბ., 1990.
10. ზ ა მ ბ ა ხ ი ძ ე ნ., ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის ფსიქოლოგიური საკითხები, აბ., 1982.
11. ზ ა რ ა ნ დ ი ა მ., პროფესიული ორიენტაცია და პიროვნების ფორმირების ფსიქოლოგიური საკითხები, თბ., 1981.
12. უ ზ ნ ა ძ ე დ., ფილოსოფიური შრომები, ტ. VI, თბ., 1977.
13. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI.
14. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VIII.
15. უ ზ ნ ა ძ ე დ., ფილოსოფიური შრომები, თბ., 1984.

М. Г. КAVTAPADZE

## ВЗГЛЯДЫ ГРУЗИНСКИХ ПИСАТЕЛЕЙ И УЧЕНЫХ НА ВЫБОР МОЛОДЕЖЬЮ БУДУЩЕЙ ПРОФЕССИИ

### Резюме

В статье в общих чертах рассмотрена одна из актуальных проблем современности — вопросы подготовки молодежи для выбора профессии.

Впервые из памятников грузинской литературы выявлен весьма значительный материал такого рода и квалифицирован по-новому (в данный момент для этой цели изучены произведения царевича Арчила и Давида Гурамишвили).

Вопросы профориентации оригинально освещены также в исследованиях Я. Гогебашвили и Д. Узнадзе.

Оказывается, грузинские мыслители рассматривали эту проблему за два века раньше, и их взгляды на профессиональное воспитание молодежи созвучны рассуждениям ученых и писателей XX века.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრა.

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. ჯვარამამ.



## ნანა ჩიკვატია

## ეფთვიმე მთაწმიდლის „წინამძღურის“ შედგენილობა და მისი წყაროები

პრობლემათა შორის, რომლებსაც წამოჭრის „წინამძღურის“ ტექსტის კვლევა, ერთ-ერთი თხზულების შედგენილობის საკითხია. ეს საკითხი არ არის მხოლოდ ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური ხასიათისა, არამედ უფრო ფართო იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი ტენდენციებით არის განპირობებული. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ „წინამძღუარი“ არის არა მხოლოდ კონკრეტული ლიტერატურული ძეგლი საღვთისმეტყველო მიზანდასახულობით, არამედ იგი გამოკვეთილად ესადაგება ეფთვიმეს მოღვაწეობის კომპლექსურ ხასიათს. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ეპოქის საზაროვნო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ეფთვიმე მთაწმიდელი მიზნად ისახავდა ქართველი ერის განათლებასა და შუასაუკუნეთა ქრისტიანული ჰუმანიზმის იდეებთან მის ზიარებას. აქედან გამომდინარე, „წინამძღუარი“, თავისი შედგენილობით, საუკეთესოდ ესადაგება მკითხველის ქრისტიანული ღვთისმეტყველებით განათლებისა და განსწავლის მიზნებს. რასაკვირველია, ნაწარმოების მხოლოდ შედგენილობის მიხედვით მსჯელობა ეფთვიმეს განმანათლებლურ-სამოძღვრო მოღვაწეობაზე სისრულეს იქნება მოკლებული. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის მთარგმნელობით-ლიტერატურული მეთოდი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ეფთვიმე. მაგრამ შედგენილობა, მასალის შერჩევა, დალაგება და გაერთიანება უდავოდ გვიჩვენებენ შემდგენლის საერთო მიზანდასახულობას, გამოხატავენ მის ლიტერატურულ მრწამსს. აქედან გამომდინარე, „წინამძღუარი“ იმდენად ინდივიდუალური და თავისებურია, რომ იგი შეიძლება ჩაითვალოს არა უბრალოდ მთარგმნელ თხზულებად, არამედ ეფთვიმეს ორიგინალურ ნაწარმოებად, რომელსაც ანალოგი არ ეძებნება ბერძნულ მწერლობაში.

ყოველ შემთხვევაში, ეფრემ მცირის ის ეჭვი, რომელიც მან გამოთქვა „წინამძღურის“ მიმართ: „ესე არა უწყი, თუ თვით მამასა ეფთვიმეს გამოუკრებია, ანუ ბერძულად ესრეთ უპოვნია“<sup>1</sup> — დღესაც ძალაში რჩება.

ძალიან „საეჭვოა „წინამძღურის“ ანალოგის არსებობა ბიზანტიურ მწერლობაში, თორემ იგი უთუოდ ეცოდინებოდა ეფთვიმე მთაწმიდლის ლიტერატურული მოღვაწეობის უბადლო მცოდნეს ეფრემ მცირეს, რომელიც, როგორც ცნობილია, საგულდაგულოდ ეძებდა და არჩევდა ბერძნულ ხელნაწერებს და მთელ რიგ მოსამზადებელ სამუშაოს ატარებდა საუკეთესო დედნის მოპოვების მიზნით<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფაეამ, თბ., 1976, გვ. 69.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 234—235; გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თ. ბრეგაძის გამოცემა, თბ., 1988, გვ. 148.

ცნობილია, რომ ეფთვიმე მთაწმიდელი რომელიმე ბერძნული თხზულების თარგმნისას შესაძლებლობას უშვებდა, რომ ამ თხზულების ტექსტი სხვა წყაროებით შეეცნო. სათარგმნ ტექსტში იგი სხვა წყაროებიდან ჩართავს ცალკეულ ციტატებს, ფრაგმენტებს<sup>3</sup>.

მეორე გზა, რომელსაც მიმართავდა ეფთვიმე, უფრო ორიგინალური იყო. იგი საკუთარ აზრებსა და შეხედულებებს ჩართავდა ორიგინალის ტექსტში. ამ ჩანართებსაც ტექსტის გავრცობის ხასიათი ჰქონდა, რადგან არ ირღვეოდა ორიგინალის სტრუქტურული პირველსახე<sup>4</sup>.

ამათგან განსხვავებით, ეფთვიმე მთაწმიდლის „წინამძღუარი“ სხვა პრინციპებით შედგენილი თხზულებაა. როგორც შემდგომ დავინახავთ, „წინამძღუარი“ ერთი რომელიმე ბერძნული ნაწარმოების თარგმანი კი არაა, არამედ იგი შედგენილია რამდენიმე ბერძნული წყაროს საფუძველზე. ისინი ერთიმეორეს აესებენ. ნაწარმოების მთლიან კომპოზიციაში ერთი წყარო აგრძელებს მეორეს.

ასე რომ, „წინამძღურის“ სახით რამდენიმე წყაროს საფუძველზე შედგენილია სტრუქტურულად შეკრული ნაწარმოები, რომლის თითოეულ ნაწილს, ნაწარმოების საერთო მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური მიზანდასახულობიდან გამომდინარე, თავისი კონკრეტულ-შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ვეცდებით ვუჩვენოთ „წინამძღურის“ შედგენილობის ეს თავისებურება.

რა წყაროებს ეფუძნება „წინამძღუარი?“ ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე საგულისხმო აზრია გამოთქმული.

კ. კეკელიძის აზრით, „წინამძღუარი“ არის შემოკლებული რედაქცია და მასკელის „გარდამოცემისა“. მასვე შენიშნული აქვს, რომ გარდა „გარდამოცემისა“, ეფთვიმეს გამოყენებული აქვს დამასკელის სხვა თხზულებებიც. კ. კეკელიძის სიტყვებით, „აქ შეტანილია ექსცერპტები უმთავრესად „გარდამოცემიდან“ და აგრეთვე შემდეგ თხზულებათაგან: „წმიდა პარალელები“, „წვალებათათჳს“, „რთულისათჳს ბუნებისა“, „სამწმიდაობისა გალობისა“ და „წმიდისა სამებისათჳს“<sup>5</sup>.

დასახელებულ თხზულებათაგან ცნობილია შემდეგი: „წმიდა პარალელები“, რომელიც, მართლაც, ატარებს დამასკელის სახელს და გამოქვეყნებულია გ. მინეს პატროლოგიაში<sup>6</sup>.

„წვალებათათჳს“ არის დამასკელის ცნობილი ტრილოგიის — „წყარო ცოდნისაჲს“ მეორე ნაწილი<sup>7</sup>.

ბოლო ორი ნაწარმოები დამასკელისა გამოქვეყნებულია გ. მინეს პატროლოგიაში<sup>8</sup>.

კ. კეკელიძის მიერ გამოთქმულ შეხედულებას იმეორებს რ. მიმინოშვილი იმ განსხვავებით, რომ კ. კეკელიძის მიერ ჩამოთვლილი თხზულებებიდან იგი ასახელებს მხოლოდ სამ თხზულებას: „წვალებათათჳს“, „წმიდა პარალელებს“

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 168. ც. ქურციკიძე, ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, თბ., 1983, გვ. 068—072, რ. მიმინოშვილი, ექვთიმე ივერი — ბერძნული რომანის ავტორი, „მნათობი“, 1979, № 1, გვ. 173.

<sup>4</sup> ნ. მელიქიშვილი, რამდენიმე დაკვირვება ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის თარგმნელობით მეთოდზე, „მაცნე“, ელს, 1987, № 4, გვ. 121. მ. რაფაეა, „თარგმანთაგანისა“ და „ზედადართულის“ გავებისათვის გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა ეფთვიმე მთაწმიდლის თარგმანის მიხედვით, მრავალთავი, 17, 1992, გვ. 85.

<sup>5</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თბ., 1951, გვ. 178—179.

<sup>6</sup> PG, 95—96 col 1070—158, 19—442.

<sup>7</sup> PG, 94, col 676—780.

<sup>8</sup> PG, 93, 9—22, col 22—63.



და „შეერთებულისა ბუნებისათჳს“<sup>9</sup>. ეს უკანასკნელი არის ის, რასაც კეკელიძე უწოდებს „რთულისათჳს ბუნებისა“.

ამრიგად, აღნიშნული მკვლევრები „წინამძღურის“ შედგენილობას უკავშირებენ მხოლოდ იოანე დამასკელის თხზულებებს. მათი განცხადებით, „წინამძღურის“ ძირითადი წყაროა დამასკელის „გარდამოცემა“. რ. მიმინოვილი უფრო დაწვრილებით შეეხო „წინამძღურის“ „გარდამოცემასთან“ მიმართების საკითხს, მანვე უჩვენა, თუ „წინამძღურში“ „გარდამოცემის“ რომელი თავებია გამოყენებული<sup>10</sup>.

ყველაზე სრულად „წინამძღურის“ შედგენილობას შეეხო თ. ჭყონია. სისრულესთან ერთად მისი დაკვირვებანი სიახლესაც შეიცავენ. წინამორბედი მკვლევრებისგან განსხვავებით, თ. ჭყონიამ გამოავლინა ახალი წყარო „წინამძღურისა“. ეს არის ანასტასი სინელის (VII ს.) ცნობილი ნაწარმოები „წინამძღური“. მკვლევარმა დამაჯერებლად უჩვენა, რომ ეფთვიმე მთაწმიდლის „წინამძღური“ ძირითადად შედგენილია დამასკელის „გარდამოცემისა“ და ანასტასი სინელის თხზულების საფუძველზე. მანვე გამოავლინა ისიც, რომ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ფრაგმენტულად გამოყენებულია სხვა წყაროებიც, კერძოდ, VI მსოფლიო კრების კანონები<sup>11</sup>.

ეფთვიმე მთაწმიდლის „წინამძღურის“ ბერძნულ წყაროებთან მიმართების თვალსაზრისით ეფთვიმეს ტექსტი ჩვენ შევეუდარეთ ყველა იმ ნაწარმოებს, რომელიც მკვლევართა მიერ დასახელებული იყო, როგორც „წინამძღურის“ წყაროები. ჩვენი კვლევა ძირითადად ეყრდნობოდა იმ მოსაზრებებს, რაც თ. ჭყონიას გამოკვლევაშია გამოთქმული. უნდა ითქვას, რომ მკვლევრის დასკვნები უმთავრესად ზუსტია და ამომწურავი, რამაც ბევრად გაგვიადვილა ტექსტის სავარაუდო წყაროებთან შედარების პროცესი, ამ შედარებამ შესაძლებლობა მოგვცა რამდენადმე დავგვეზუსტებინა ის ცნობები, რაც არსებობდა „წინამძღურის“ ბერძნულ წყაროთა შესახებ და ამდენად ზოგი კორექტივი შეგვეტანა „წინამძღურის“ შედგენილობის შესახებ არსებულ შეხედულებებში. ჩვენს მიერ გამოვლენილ იქნა ზოგი დამატებითი წყარო, რომლითაც ეფთვიმე მთაწმიდელს უსარგებლია.

ვინაიდან „წინამძღურის“ შედგენილობის საკითხი ბუნებრივად უკავშირდება ეფთვიმეს მიერ ბერძნული წყაროების გამოყენების ხასიათს, საჭიროდ მიგვაჩნია „წინამძღურის“ ტექსტისა და ბერძნული წყაროების პარალელების დეტალური ჩვენება თითოეული თავის შიგნით. სტრუქტურულ პარალელებთან ერთად წარმოვადგენთ თითოეული თავის შინაარსის მოკლე ანოტაციას.

სანამ უშუალოდ ტექსტობრივ შედგენილობას შევეხებოდეთ, აღვნიშნავთ ნაწარმოების ავტორს იმ პრინციპს, რომლითაც იხელმძღვანელა ეფთვიმე მთაწმიდელმა.

ჩვენი აზრით, ეფთვიმე მთაწმიდლის „წინამძღური“ არა მარტო შინაარსობრივად არის დასესხებული იოანე დამასკელის „გარდამოცემას“, არამედ კომპოზიციურადაც ავებულება მისი „წყარო ცოდნისაჲ“ ანალოგიით.

ცნობილია, რომ იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“ ტრილოგიას წარმოადგენს. მისი პირველი ნაწილია „დიალექტიკა“, ანუ ფილოსოფიური თავები, რომელიც ერთგვარ პროპედევტიკულ ანუ შემამზადებელ საფეხურს წარმოადგენს ძირითადი ნაწილისთვის<sup>12</sup>. მეორე ნაწილია „წვალებათათჳს“, რო-

9 რ. მიმინოვილი, ეფთვიმე ივერი-ბერძნული რომანის ავტორი, „მნათობი“, 1979, გვ. 173.

10 იქვე, გვ. 174.

11 თ. ჭყონია, ეფთვიმე ათონელის ნათამანი „წინამძღური“ და მისი წყაროები, მანქანაზე გადაბეჭდილი, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, გვ. 3—26.

12 ი. ი. დამასკელი, დიალექტიკა, თბ., 1976.

მელიც ერთგვარ ისტორიულ ფონს ქმნის. მესამე და ძირითადი ნაწილია — „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა“. ეს უკანასკნელი არის ქრისტიანული სარწმუნოების რაობისა და მოძღვრების გადმოცემა.

„წყარო ცოდნისაჲს“ ანალოგიით ჩანს შედგენილი ეფთვიმეს „წინამძღუარიც“, ოლონდ, დამასკელის შრომისგან განსხვავებით, ეფთვიმე ათონელმა ყურადღება გაამახვილა მხოლოდ ორ ნაწილზე: თეორიულ, სარწმუნოებრივ საკითხებზე და მწვალებელთა კრიტიკაზე. მისი ინტერესების სფეროში არ აღმოჩნდა ფილოსოფიური თავები.

როგორც ჩანს, ეფთვიმე მთაწმიდლისთვის ეს ნაწილი, რომელიც საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ფილოსოფიურ დასაბუთებას შეიცავს, არ იყო ისე აქტუალური, როგორც დანარჩენი ორი. ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ თარგმნილი სხვა ავტორთა თხზულებების საფუძველზე ასევე შენიშნულია, რომ ეფთვიმე მთაწმიდლის დამოკიდებულება ფილოსოფიურ და ანტიკურ-წარმართულ თემებთან ცალსახად უარყოფითია<sup>13</sup>. სხვათა შორის, ეს ფაქტი თავის დროზე შენიშნული ჰქონდა ჭერ კიდევ ეფრემ მცირეს. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ეფთვიმე მთაწმიდლისეულ თარგმანებთან დაკავშირებით ბერძენთა მიერ გამოთქმულ საყვადურებს ეფრემ მცირემ უპასუხა იმით, რომ ეფთვიმე დიდი საქმეებით იყო დაკავებული და „უკეთუ ლომი ვერ ცილამტკაველებრ ხლდებოდა კარებსა ფილოსოფოსთასა, ამას ანაცვალე ლომებრიობაჲ მისი და მეუფებრიობაჲ კრთომისაჲ“<sup>14</sup>.

ამის გათვალისწინებით გასაგები ხდება, თუ რატომ აუარა გვერდი ეფთვიმე მთაწმიდელმა ფილოსოფიურ თავებს და „წინამძღუარი“ კომპოზიციურად ააგო „წყარო ცოდნისაჲს“ ორი ნაწილის შესაბამისად: „წინამძღურის“ პირველი და ძირითადი ნაწილი (1—22 თავები) დათმობილი აქვს სარწმუნოების ძირითადი საკითხების განხილვას, ხოლო ბოლო სამი თავი — მწვალებლობათა არსის ჩვენებასა და მასთან პოლემიკას.

ნიშანდობლივია კიდევ ერთი კომპოზიციური პარალელი, რომელიც არსებობს „წინამძღუარსა“ და „წყარო ცოდნისაჲს“ შორის. ამ უკანასკნელს წამძღვარებული აქვს ავტორის, იოანე დამასკელის, ვრცელი შესავალი. ამის ანალოგიით, ეფთვიმეს მიერ შედგენილ „წინამძღუარსა“ წინ უძღვის ეფთვიმეს ორიგინალური მოკლე შესავალი.

ამრიგად, ჩვენი აზრით, „წინამძღურის“ კომპოზიციურ მოდელს წარმოადგენს ისევ დამასკელის ნაწარმოები „წყარო ცოდნისაჲს“.

ახლა ცხრილების სახით წარმოვადგენთ „წინამძღურის“ ცალკეული თავების მიმართებას იმ წყაროებთან, რომლებიც გამოყენებულია ამ თავების შიგნით. ეს წყაროებია:

1. ანასტასი სინელის „წინამძღუარი“, იხ. PG 83 col. 36—310.

2. იოანე დამასკელის „გარდამოცემა“, იხ. Die Schriften des Johannes von Damaskos, II, ბ. კოტერის გამოცემა, 1973, გვ. 3—239.

<sup>13</sup> ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ა. გამყრელიძემ და თ. ოთხმეზურმა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო თ. ოთხმეზურმა, თბ., 1989, გვ. 3739.

ც. ქუ რ ც ი კ ი ძ ე, გრიგოლ ღვთისმეტყველის XLVI ჰომილიის ეფთვიმე ათონელი-სეული თარგმანის თავისებურება, „ფილოლოგიური ძიებანი“, II, თბ., 1995, გვ. 57.

მ. რ ა ფ ა ვ ა, ეფრემ მცირის ცნობები გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების შესახებ, „ფილოლოგიური ძიებანი“, II, 1995, გვ. 123.

<sup>14</sup> გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა... აღწეილობა, გვ. 149.



3. იოანე დამასკელის, „სამწმიდაობის საგალობელი“, იხ. PG 95, col-22—63.

4. იოანე დამასკელის „მეზავებულისა ბუნებისათვის“, იხ. PG 95, col-111—126.

5. მიქაელ სუნიკელის „მართლისა სარწმუნოებისა წარმოქუმაჲ“, A 200 გვ.

6. I—IV მსოფლიო კრებების აქტები; A 266.

7. Деяния вселенских соборов, т. I, Казань, 1859, т. II, 1882.

ეფთვიმე მთაწმინდელი „წინამძღუარი“: შესავალი | წყაროები:

შესთხოვს უფალს „სარგებელისათვის მსმენელთაჲსა“ მისცეს „სული სიბრძნისაჲ“.

1. თავი ა. დაწყებაჲ წიგნისა ამის რომელსა ეწოდოს „წინამძღუარი“, თუქუმული იოანე დამასკელისაჲ.

ანასტასი სინელი, „წინამძღუარი“<sup>15</sup>: სარწმუნოებისათვის განგებულებისა ქრისტეს ძისა ღმრთისა წმიდისა მიმართ კათოლიკე ეკლესიისა ბაბილოვნელთაისა მიწერილი ითხოვეს რაჲ მისგან ესე მკვდრთა მისთა ქრისტეს მოყუარეთა და მართლმადიდებელთა ძმათა ჩუენთა<sup>16</sup>.

1. მიუწთომელობისათვის გარდამოცემა ღმრთისა და ვითარმედ არა ჯერ არს ძიებაჲ და გამოწულილვაჲ არა მოცემულსა ჩუენდა წმიდათა წინაისწარმეტყუელთა, მოციქულთა და მახარებელთა მიერ.

ღმერთი დასაბამიდან იყო. ღმერთი სამებაა, ხილული ოდენ ძისაგან. რაც საჭირო იყო, გვაუწყა; რომლის შეცნობასაც ვერ შეგძლებდით, არ გაგვიმჟღავნა.

2. თქუმულათვის და გამოუთქუმელთა და საცნაურთათვის და უცნაურთა მსჯელობაჲ ქრისტეს შობაზე, მისი ბუნების ორგვარობაზე.

2. თქუმულათვის და გამოუთქუმელთა, უცნაურთა და საცნაურთა

3. გამოჩინებაჲ და დამტკიცებაჲ ვითარმედ ჭეშმარიტად არს ღმერთი

3. გამოჩინებაჲ, ვითარმედ არს ღმერთი

ღმერთი არი არარსის არსად მომყვანებელი, სამყაროს შემქმნელი.

4. ვითარმედ მიუწთომელ არს ღმერთი

რაჲ არსობისათვის ღმრთისა, ვითარმედ მიუწთომელ არს

<sup>15</sup> ანასტასი სინელის „წინამძღუარის“ თავები მოგვყავს არსენ იყალთოელის თარგმანის მიხედვით, იხ. S 1463, 1r—39r.

<sup>16</sup> „გარდამოცემის“ თავები მოყვანილია არსენ იყალთოელის თარგმანის მიხედვით, იხ. S 1463, 54r—102v.

<sup>17</sup> თავთა სათვალავი მოგვყავს ბერძნული ტექსტების გამოცემებში არსებული არაბული ციფრებით, იხ. ანასტასი სინელის „წინამძღუარი“: PG 89, col 36—310.

იოანე დამასკელის „გარდამოცემა“; Die Schriften des Johannes von Damaskos II, Expositio Fidei, ბ. კოტერის გამოცემა, 1973, გვ. 3—239.

ღვთის არსება ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელია, რადგან იგი უხორცოა, გამოუსახველი. საცნაურია მხოლოდ საქმენი მისნი.

5. წმიდისა სამებისათს

ეფთვიმე თარგმნის გამოკრებით, ავრცობს რამდენიმე ფრაზით.

წმინდა სამება ერთარსებაა, სამი გვამით შეურევნელად შეერთებული და განუყოფელად განყოფილი. მამა მიზეზი და დასაბამი ყოველთა, იგია მამა მხოლოდშობილი ძისა და გამომავლინებელი სული წმიდისა. ძე იშვა მამისგან, მამის თანაარსია, ძის შობა მეყსეულია. არა მსგავსად შობენ ღმერთი და კაცი. ღმრთის შობა არის უჟამოდ, დაუსაბამოდ, უვნებლად, უდინებლად. სული წმიდა თანაარსია მამისა და ძისა. იგი კი არ იშვა, არამედ გამოვიდა მამისგან. სამი გვამი განეყოფა ერთმანეთს და არა სამი ბუნება; არა სამი უსრულისგან მივიღეთ ერთი სრული, შეზავებული ბუნება, არამედ სამი სრული გვამიდან — ერთი მარტივი არსება. ერთია ღმერთი, სამი ერთია. რა სხვაობაა შობასა და გამოსვლას შორის, არ ვუწყით. სამგვამოვნება გუამოვნებითი თვისებებით განიყოფება. სამგვამოვნება შერწყმულია, შეურევნელი, ერთიანებით, ერთი ძალით. სამებაში მსგავსება კი არაა, არამედ ერთობაა, სამების წევრები არ შეირწყმიან, როგორც ამტკიცებდა საბელიოზი, არამედ ურთიერთში არიან. ისინი არც განიყოფიან ბუნებით, როგორც ამბობდა არიოზი. სამება ღმრთეებით განუყოფელია, გვამთა შორის კი — განყოფილია.

- 6. სიტყვსათს ღმრთისა
- 7. სულისა წმიდისათს
- 8. წმიდისა სამებისათს

---



---



---



---



---



---



---



---

6. ვ. დაბადებულთათს

სამგვამოვანმა ღმერთმა შვა საუკუნენი, დაბადებულნი; არარსებულისა. გან არსად მოიყვანა უხილავი თუ ხილული.

- 9. ღმრთისა ზედა თქუმულთათს
- 10. საღმრთოასა შეერთებისა და განთსებისათს
- 11. ჯორციელად ღმრთისა ზედა სათქუმელთათს
- 12. მათთსვე
- 13. ადგილისათს ღმრთისა და ვითარმედ მხოლოდ ღმერთი არს გარეშეუწერელ
- 14. თვთებანი საღმრთოისა ბუნებისანი
- 15. საუკუნეთათს
- 18. ხილულისა დაბადებულისათს
- 25. კაცისათს

7. ანგელოზთათს

16. ანგელოზთათს

ეს თავი თავისებურად არის დალაგებული ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ. აღნიშნული თავის ბოლოში იოანე დამასკელი იმოწმებს დიონისე არეოპაგელისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის ციტატებს ანგელოზთა შესახებ. ეფთვიმემ ორივე ციტატა თავის დასაწყისში გადაიტანა — ჯერ ღვთისმეტყველისა, შემდეგ კი დიონისე არეოპაგელისა.

ღმერთმა პირველად დაბადა ანგელოზნი ცხრა დასად. ანგელოზნი უხილავნი, უნივთონი და უხორცონი არიან ადამიანებთან შედარებით. ჭეშმარიტად უნივთო კი მხოლოდ ღმერთია. კაცთაგან განსხვავებით, მათ სინანული არ ახასიათებთ. ანგელოზები კაცებრივი სახით კი არ ეჩვენებიან, არამედ შე-



ცვლილით. ცაში აურაცხელი ანგელოზია ღვთის მგალობლად და მის მსახურად. ბოროტების მიმართ ძნელად აღიძვრიან. ეს მხოლოდ ეშმაკის მიმართ იქმნის.

8. კაცთათუს

26. კაცისათუს

კაცი იშვა ღვთის ხატად და მსგავსად, ხორცი — მიწისაგან, სული კი ღმერთმა შთაბერა. ხატება გონიერებას მოასწავებს და თვითმფლობელობას, მსგავსება — სათნოებას, რამდენადაც შესაძლებელია მიბაძვა მისი. ადამიანში სული და ხორცი თანადროულად დაიბადა ორიგენის მტკიცების საპირისპიროდ. კაცი თვითმფლობელად დაიბადა. მის არჩევანზეა დამოკიდებული, იგი ბოროტებისადმი მიდრეკება, თუ სიკეთისადმი.

9. თ. სამოთხისათუს

24. სამოთხისათუს

ღმერთმა კაცს მიაკუთვნა ედემი, რომელიც „შეებად“ ითარგმნება. შემეცნების ძალით კეთილი სრულათათვისაა, უსრულათათვის კი ისეთივე მიუღებელია, როგორც რძით მსაზრდოებელი ჩვილისთვის ზრდასრულ ადამიანთა საკვები. ღმერთს სურდა ადამიანიც უვნებელი და უზრუნველი ყოფილიყო და ანგელოზთა მსგავსად შეება ეგრძნო. ღმერთმა უწყობდა, რომ თავისი ბუნების შემეცნებით ადამიანი მუდმივ ზრუნვასა და ვნებაში ჩავარდებოდა. შემეცნების ხის ნაყოფის ჭამისთვის ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო მზად.

10. ი. ეშმაკისათუს

17. სატანასათუს და ეშმაკთა

- 43. წინააღმდეგარ ცნობისათუს და წინააღმდეგარ განსაზღვრებისა
- 44. საღმრთოთა განგებულებისათუს და ჩუენდა მომართისა სიტყვობისა და ჩუენისა მაცხოვარებისათუს

ეს თავი საუკეთესო ნიმუშია ეფთვიმე მთაწმიდლის კომპილაციური საქმიანობისა. ეფთვიმეს აუღია მე-17 თავის მეორე ნახევარი შემდეგ ნაწილად აუღია 43-ე თავის ბოლო აბზაცი, რომელშიც ეშმაკის მიერ ადამის ცდუნებაზეა ლაპარაკი და რომელიც შინაარსობრივად მიესადაგება „წინამძღურის“ შემოხსენებულ თავს (საყურადღებოა, რომ აღნიშნული 43-ე თავი „გარდამოცემისა“ ეფთვიმეს შემდეგ ცალკე თავად არ შეუტანია „წინამძღურში“). აღნიშნული თავის მე-3 ნაწილად გამოუყენებია „გარდამოცემისა“ 44-ე თავის ნაწილი. ეგვე 44-ე თავი ეფთვიმეს ცალკე თავადაც გაუტანია, მხოლოდ იმ ნაწილს, რაც წინა ნაწილში შეიტანა, აქ უკვე აღარ იმეორებს.

ეშმაკი თავიდან ანგელოზი იყო, ბუნებით ბოროტი არ ყოფილა, მაგრამ ნებით მიდრეკა უკეთურებისაკენ, რაც სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის მოკლება. ადამის სიკეთის მოშურნემ აცდუნა იგი. ადამის ურჩობით გამხნეებულმა ეშმაკმა დაიწყო დაუცხრომელი ბრძოლა ადამიანთა მიმართ. სოფელი ცოდვით აღივსო.

იხ. თ. 6. დაბადებულთათუს

18. ხილულსა დაბადებულისათუს

- 19. ცისათუს
- 20. ნათლისათუს, ცეცხლისა, მნათობთა, მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა
- 21. ჰაერისა და ქართათუს
- 22. წყალთათუს
- 23. ქუეყანისა და მისგანთათუს





ბუნებას ღმერთის ბუნება არ მიუღია და არც ღმერთის ბუნებას მიუღია კაცის ბუნება.

12. იბ. ორთა მათთვის ბუნება-  
ათავა

46. ორთა ბუნებაათავს  
47. სახისათვის ურთიერთას მიმცე-  
მელობისა

ორი ბუნება შეუზავებლად შეერთდა ქრისტეში. მწვალებლები იტყვიან, განკაცების შემდეგ ერთი შეზავებული ბუნება იყო. თუ ერთი ბუნებაა, როგორ შეიწყნარებს იგი წინააღმდეგობ არსებებს? განა შეიძლება ერთი ბუნება დაბადებულიც იყოს და დაუბადებელიც; უკვდავიც და მოკვდავიც, გარეშეუწერელიც და გარეშეწერილიც? ჯვარცმისას ღმრთეება ქრისტეში არ ვნებულა. იგი სხვა ბუნებით იქმნა სასწაულს, სხვა ბუნებით — ვნებას. იგი ღმრთეებით მამის, სული წმიდის თანაარსია, კაცებით — დედის. ერთი გვა-მია და ორი ბუნება. ნათქვამია: ყრმაჲ ახალი პირველ საუკუნეთა. არა ყრმის ბუნება იყო „პირველ საუკუნეთა“, არამედ ღმრთეების.

13. იგ. ორთათვისვე ბუნებათა

48. რიცხუთათვის ორთა ბუნებათა-  
ასა

ერთარსი სამება სამპიროვანია. გვაძნობს განყოფილება სამი თვითებით: მამა უშობელი, ძე შობილი, სული წმიდა მამისაგან გამოშობილი. ისინი შეუტრეველად არიან შეერთებულნი და განუშორებლად განყოფილნი. ჭეშმარიტად ერთია სამება. სამება სამად აღირიცხება, მაგრამ რიცხვი განყოფას არ ქმნის. სამება ერთია. ქრისტეში კი ორი ბუნებაა ერთ გვამში. ქრისტეში კაცებას თავისი ბუნება აქვს, ღმრთეებას — თავისი. ქრისტე ერთია, რამეთუ რიცხვი არც განყოფილების მიზეზია, არც შეერთებისა.

ერთისა მისთვის გუამისა ჩუენისა იესუ ქრისტესა

49. ვითარმედ ყოველი საღმრთოჲ ბუნებაჲ ერთისა გუამისა თვისთავანისა მიერ შეერთა ყოველსა კაცობრივსა ბუნებასა და არა კერძოჲ კერძოსა

50. ერთისათვის გუამისა სიტყუსა ღმრთისა

51. მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ შეერთებულისა ანუ განსაზღვრებულებისაგან აღიყვანებიან რაოდენობად ბუნებანი უფლისანი

52. ამისსა მიმართ, ვითარმედ არა არს ბუნებაჲ უგუამოჲ, წინაგანწყობაჲ;

53. სამწმიდაობისათვის

54. სახესა და განუკუეეთელსა შინა ხილულისა ბუნებისათვის და განყოფილებისათვის აქჟმასა შეერთებისა და განჯორციელებისასა და ვითარ მოიღებვის ერთი ბუნებაჲ სიტყუსა ღმრთისა განჯორციელებული

„გარდამოცემის“ 6 თავიდან (თ. 50—54) 53-ე თავის — „სამწმიდაობისათვის“ — მხოლოდ ნაწილია გამოყენებული. ჯერ იწყებს 51-ე თავით, 50-ე შუაშია.

ქრისტე, პირველთაგან უყამო, უნივთო, უხილავი მამის წიალიდან განუშორებლად დაემკვიდრა ქალწულის საშოში. იგი ღვთის ბუნებით შეერთებუ-

ლია მამასთან და სული წმიდასთან, დედის ბუნებით — ჩვენთან. სიტყვა განხორციელდა და იგი გვამ ექმნა ხორცს. ხორცს მიეცა საღმრთო ღიღებულება და ხორცის ვნება არ შეხებია ღმერთს. იგივეა ძე ღვთის, ძე კაცის — ორი შობით: ერთი — უზეშთაეს ჟამთა, მეორე — ჟამიერი ჩვენს მსგავსად. არ იქადაგება ლიტონ ღმერთად და ლიტონ კაცად. არამედ სრულ ღმერთად და სრულ კაცად. კვირილე ალექსანდრიელი ამბობს ქრისტეზე — ერთი ბუნება განხორციელებული. განხორციელებულში იგი გულისხმობს მეორე ბუნებას ხორცისას. ჩვენ ვეთაყვანებით არა ლიტონ ხორცს, არამედ ერთ გვამში შეერთებულ ორ ბუნებას.

15. იე. წმიდაო ღმერთო მსათს

სამწმიდაობის საგალობელი  
გარდამოცემა  
55. ვითარმედ ღმრთისმშობელ არს წმიდაა ქალწული  
53. სამწმიდაობისათს

ეს თავი ეფთვიმეს შეუდგენია დამასკელის ორი ნაწარმოებიდან. „გარდამოცემა“ და „სამწმიდაობის საგალობელი“. ეფთვიმესთან გვხვდება ადგილები, რომლის წყაროდ შეიძლება მიჩნეული იქნეს ორივე ნაწარმოები (ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რაკი ავტორი და თემა ერთი და იგივეა). რომ მხოლოდ თანხვედრი ადგილები გვხვდებოდეს, ბუნებრივია, ამ თავის წყაროდ მხოლოდ „გარდამოცემას“ მივიჩნევდით, რაკი „წინამძღუარი“ ძირითადად „გარდამოცემიდანაა“. მაგრამ ეფთვიმესთან გვხვდება ისეთი ადგილი (გვ. 83—84), რომელიც სხვაობს „გარდამოცემისგან“ და მის წყაროდ გვევლინება „სამწმიდაობის საგალობელი“.

პეტროს მკაწრვალმა მე-4 პირი შემოიღო წმიდა სამებაში და ვნებულად შეარაცხა იგი. „წმიდაო ღმერთო“... არა ოდენ ძისა მიმართ არის თქმული, არამედ წმიდა სამებისა. ვგალობთ: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო, შეგვიწყალენ ჩუენ“. ასე გალობენ ანგელოზები, სერაბიმები. ეს იქადაგეს წინასწარმეტყველებმა, მოციქულებმა და წმიდა მოძღვრებმა. შეჩვენება მათ ვინც „წმიდაო ღმერთოში“ ჯვარცმა თქვან და სამებას ოთხება შეჰმატონ.

16. ივ. წმიდისა ღმრთისმშობელისათს

55. ვითარმედ ღმრთისმშობელ არს წმიდაა ქალწული

მარიამი ჭეშმარიტად ღვთისმშობელია. იესეს არა ზეციდან ჰქონდა ხორცი, არამედ დედის საშოდან. ნესტორი მარიამს ქრისტესმშობლად რაცხდა და მისგან შობილ უფალს ღმერთშემოსილს უწოდებდა. ქრისტე ღმერთშემოსილი არაა. ის განხორციელებული სიტყვაა. ღვთისმშობელი იყო მიზეზი დამბადების დაბადებისა და ღვთის განკაცებისა.

17. იზ. თუთებათათს ორთა ბუნებათა მსათს

56. თუთებათათს ორთა ბუნებათა მსათს

ქრისტე სრული ღმერთისა და სრული კაცი, ყველაფერი აქვს, რაც მამას, გარდა უშობელობისა, და ყველაფერი აქვს, რაც კაცს, გარდა ცოდვისა. მისი ნება და საქმე ორია: ღვთის თანაარსია და იქმს სასწაულებს, ასევე ჩვენი თანაარსია და ვნებულისა.

18. ორთა მათ თუთმფლობელთა ნებათათს უფლისა ჩუენისა ქრისტესთა.

57. ნებათა და თუთმფლობელობათათს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთ;  
58. უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს შორისთა მოქმედებათათს



ქრისტეს ორი ბუნებითი ნება აქვს და ორი ბუნებითი მოქმედება. სამგვაროვანი სამების ნება და მოქმედება კი ერთია. რადგან მათი ბუნება ერთია. ვინც ქრისტეზე, ერთ ნებას იტყვის, ის ორ ბუნებას ვერ იტყვის. ბუნებითი ნება არა იძულებითია, არამედ თვთმფლობელი. ქრისტეში სასწაულებრივ საქმეებს ღმერთი აღასრულებდა, კაცობრივს — კაცი.

19. ით. განღმრთობისათვის ბუნებისა მისი გორცთა ქრისტესთა-  
ელა

იესოს განხორციელების შემდგომ, მისი ბუნება უცვლელი დარჩა. ორივე ბუნება ერთ გვაში შეერთდა შეურეველად. როგორც ვაღარებთ ღმერთი სიტყვის განკაცებას უქცეველად, ასევე ვქადაგებთ მისი საუფლო ხორცის განღმრთობას. განღმრთობა ორი ბუნების გამომაჩინებელია.

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი იტყვის — ერთმა განაღმრთო, მეორე — ღმერთიქმნა. ცხადია, იგი გულისხმობს ორ ბუნებას — სრული ღმერთისა ქრისტე და სრული კაცი.

20.

---

---

---

---

---

---

20. ბუნებითთა კაცებისა საქმეთათს

59. მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ უკუეთუ ორთა ბუნებათა და მოქმედებათაგან არს კაცი, საჭირო არს ქრისტეს ზედა სამთა ნებათა და ეგოდენთავე მოქმედებათა თქუმაჲ განღმრთობისათს ბუნებასა და ნებასა გორცთა უფლისათასა

61. მერმეცა ნებათათს და თვთმფლობელობათა გონებათა და მეცნიერებათა და სიბრძნეთა;

62. ღმერთმსმაკაცებრისა მოქმედებისთს;

63. ბუნებითთა და უგიობელთა ვნებათათს;

64. უმეცრებისათს და მონებისა;

65. წარმატებისათს;

66. შიშისათს;

67. ლოცვისათს;

68. განთსუსა და განკუთვნისათს;

69. ვნებისათს გორცთა უფლისა ჩუენისათა და უვნებელობისათს ღმრთეებისა მისისა

„წინამძღურის“ ამ თავში გაერთიანებულია „გარდამოცემის“ ოთხი (თ. 63, 64, 65, 69) თავი.

ღმერთი კაცი გახდა, ყოველი მისი ბუნებრივი საქმე მიიღო, გარდა ცოდვისა. ცოდვა დამბადებელმა კი არ დანერგა, არამედ ეშმაკმა. ცოდვა იძულებითი არაა, ჩვენ ჩვენი ნებით მივიდრიკებით ცოდვისკენ. ჩვენი ნების გარეშეა ბუნებრივი და უბრალო ვნებანი: შიმშილი, წყურვილი, სიცივე... ამით ურჩებისთვის დაგვსაჯა ღმერთმა.

ყოველივე ეს თავს იღო უფალმა, რათა ჩვენი ბუნება მტრის მძლეველად გამოეჩინა.

ქრისტეს ნებით შიოდა და არა იძულებით. მან ივნო კაცობრივი ხორციით. ღვთაების შეუხებელ ბუნებას კი ვნება არ შეხებია, როცა მზით განათებულ ხეს ჭრი, ნათელს ვერას ვნებ. ასევე ვერ ვნებ ქრისტეში ღვთაებას.

21. ვითარმედ განუშორებელად ეგო ღმრთეება სიტყუსაჲ სულისა მისგან სამეუფოჲსა და ჯორცთა მათგან წმიდათა ჟამსა მასცა სიკუდილისაჲცა, რამეთუ ერთი გუამი ეგო ქრისტესი ორითა ბუნებითა (კა)

ქრისტე სიკვდილის თანამდები არ იყო, რადგან სიკვდილი ცოდვისგან შემოვიდა სოფლად, მაცხოვარი კი უცოდველი იყო. იგი მოკვდა, რათა ჩვენი თანანადები გადაეხადა. როგორც ბნელი განქარდება ნათლის შემოსვლით, ასე განიოტა ქრისტეს მიახლებით ხრწნილება და გახდა ქრისტე განმხრწნელი სიკვდილის სიკვდილი. ხოლო სიკვდილის შემდგომ მისი წმინდა სული უწინდელ ხორცს არ განუშორებია, რამეთუ ერთ გვაშში ეგო ღმრთეება და კაცება. გვაში მარადის ერთია და არც არასდროს განყოფილა ორად.

22. კმ: ჯოჯოხეთს შთასლუსათვის

70. განუშორებელად გებისათჳს ღმრთეებასა სიტყუსასა სულისაგან და ჯორცთა სიკუდილისაჲცა შინა უფლისასა და ვითარმედ ერთივე იყო გუამი

71. ხრწნილებისა და განხრწნილებისათჳს;

72. ჯოჯოხეთად შთასლვისათჳს;

73. აღდგომისა შემდგომთათჳს;

74. მარჯუენით მამისა დაჯდომისათჳს;

ოე: მეტყუელთა მიმართ: უკუეთუ ორი ბუნებაჲ არსო ქრისტე, ანუ აგებულსაჲცა ჰმსახურეთ, ვითარცა აგებულისა, თაყუანისმცემელთა, ანუ ერთი ბუნებაჲ თაყუანისცემული თქუთ და ერთი თაყუანისუცემელი.

„წინამძღურის“ ამ თავში გაერთიანებულია „გარდამოცემის“ სამი თავი. ეს თავები ეფთვიმეს თავისებურად დაულაგებია. იწყება 72 თავით, შემდეგ მოდის 71 ა ტოვებს 73 გ-ს და 74-ს; ბოლოს 75 ე თავია — მეტყუელთა მიმართ... ექვთიმე ტექსტს ავრცობს ბოლო ორი აზვაცით.

იესო ჯოჯოხეთს ჩავიდა. მორწმუნეებს ექმნა მიზეზი საუკუნო ცხორების, ურწმუნოთ — სამხილებელი ურწმუნოების. აღსდგა მკვდრეთით, რათა აღდგომის გზა გაგვისნას. აღსდგა უხრწნელად, რათა ჩვენც მოგვანიჭოს აღდგომა, რათა ხრწნადმა უხრწნელება შეიმოსოს, მოკვდავმა — უკვდავება.

აღდგომის შემდგომ კაცობრივი ბუნების ვნებანი განიშორა. კაცობრივი ბუნება სულისა და ხორცისგან არ განძრკვილა. ამიტომაც ვამბობთ, ქრისტე მამის მარჯვენით დაჯდაო, თორემ განა შეიძლება გარეშეუწერელ ღმერთს ადგილი ჰქონდეს მარჯვნივ ან მარცხნივ. და დაჯდა იესო, რათა ერთბაშად იდიდნეს და ითაყვანოს ყოველი დაბადებულის მიერ ღმერთი იესო და კაცი იესო, მოველით იესოს მეორედ მოსვლას, რათა ყოველ ჩვენთაგანს საქმეთა ჩვენთაებრ მიეზლოთ.

22-ე თავით მთავრდება „წინამძღუარში“ ის ტექსტი, რომელიც დამასკელის „გარდამოცემიდან“ არის აღებული ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ.

მომდევნო 23-ე და 24-ე თავები „წინამძღურის“ დამამთავრებელი თავებია. ეს უკანასკნელი ორი თავი ეფთვიმეს შედგენილი აქვს ანასტასი სინელის „წინამძღურის ოთხი თავიდან (4, 5, 6, 7) გაერთიანებული მასალით.



„წინამძღვარი“

ანასტასი სინელი „წინამძღვარი“

23. მართლმადიდებლობისათვის და თუ ვინაა იწყეს მწვალებელთა შემოსლვა სოფლად

4. სარწმუნოებისათვის განგებულებისა ქრისტეს ძისა ღმრთისა წმიდისა მიმართ კათოლიკე ეკლესიისა ბაბილოვნელთაჲსა მიწერილი

5. ხოლო საჭირო არს ტკივილთმოყუარისათვის ამისიკა მეცნიერებაჲ ვიტყუ უკუე წმიდათათვის და მსოფლიოთა ოთხთა კრებათა თუ რომლისა პირისა ანუ რომელთა წვალებათათვის შემოკრბეს იგი

6. უწყებაჲ თუ ვნებაჲ აღმოეცენა ერთთუალი სევეროზის სარწმუნოება

7. გამოჩინებაჲ ვითარმედ განჰკდის სევეროზ წმიდათა მამათა

იწყება ეფთვიმეს შესავლით. იგი აცხადებს, რომ აქამდე საუბარი იყო ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. ახლა კი უნდა იმსჯელოს მწვალებლობაზე. ამის შემდეგაა ტექსტი ანასტასი სინელის „წინამძღვრიდან“.

პირველითგან იყო ღმერთი. ღმერთია სამება, რომელმაც არარსისგან მოიყვანა არსნი. ადამის შეცოდების შემდეგ ეშმაკს ასპარეზი მიეცა, გამრავლდა ცოდვა. უკეთურება ვერც წარდენამ განკურნა, ვერ ღვთისგან გამოგზავნილმა წინასწარმეტყველებმა. მხოლოდ ძე ღვთისამ გვიხსნა ეშმაკთა მძლავრებისგან. ეშმაკმა გადაწყვიტა წინ აღდგომოდა იესოს. გამოჩნდა ურიცხვი მწვალებელი. სვიმონ სამარიტელი, არიოზი, საბელიოზი, ნესტორი, ევტიქი, დიოსკორე.. ისინი ამახინგებდნენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას. მსოფლიო კრებაზე მწვალებლები შეჩვენებულ იქმნენ.

შედგენილობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა, 24-ე თავი, რომლის სახელწოდებაა „წამებანი ძუელისა და ახლისა წერილისაგან, ვითარმედ არა ერთ არს ბუნებაჲ და პირი“.

ეს თავი იშვიათი ნიმუშია ეფთვიმეს მიერ ჩატარებული კომპილაციური სამუშაოსი.

აღნიშნულ თავში, წმინდა დოგმატური საკითხის გარდა, რომელიც ეხება ბუნებას და პირის ცნებებს, ჩართულია სხვა შინაარსის ტექსტებიც. ერთი არის სარწმუნოების კრედიო ანუ მრწამსი. მეორე კი წარმოადგენს ე. წ. შეჩვენებებს, ანათემებს სხვადასხვა სარწმუნოებრივ დოგმასთან დაკავშირებით.

ამ თავის სათაურში წყაროებად ეფთვიმეს მიერ, ანასტასი სინელის მიბადებით, ძველი და ახალი აღთქმის წერილებია დასახელებული, მაგრამ როგორც გაირკვა, აქ სრულიად განსხვავებული ხასიათის წყაროებით სარგებლობა იჩენს თავს.

რა წყაროებია ისინი?

თავის დასაწყისში, სადაც განხილულია ბუნებისა და პირის საღვთისმეტყველი ცნებები, წყაროდ გამოყენებულია ისევ ანასტასი სინელის „წინამძღვარი“, კერძოდ მისი მე-8 და მე-9 თავები.

## „წინამძღუარი“

24. კდ. წამებანი ძუელისა და ახლისა წერილისაგან, ვითარმედ არა ერთ არს ბუნებაჲ და პირი

## ანასტასი სინელის „წინამძღუარი“

7. გამოჩინებაი ძუელისაგან და ახლისა აღთქუმისა ვითარმედ არა იგივე არს ბუნებაი და პირი

8. ბუნებისათჳს და გუამოვნებისა წმიდისაგან კრებისა ნიკიისა

9. სახე, რომლითა განვეყვენით სხუა მადიდებელთა მიმართ ალექსანდრიასა შინა

ბუნებისა და პირის ცნებათა ანალიზს აღნიშნულ თავში მოსდევს ტექსტი, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს „მრწამსი“. მოსალოდნელი იყო, რომ მრწამსის ტექსტიც ანასტასი სინელის თხზულებაში გვევლინება. მაგრამ მსგავსი შინაარსის ტექსტი იქ არ დადასტურდა.

თ. ჭყონიას შესაძლებლად მიაჩნდა მისი დამასკელის „გარდამოცემასთან“ დაკავშირება, რადგან „მრწამსის“ ტექსტი მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც გაშუქებულია „გარდამოცემის“ მე-3 თავში.

ტექსტობრივმა შედარებამ გარკვეული ეჭვი დაბადა, რომ „მრწამსის“ ტექსტი „გარდამოცემიდან“ ყოფილიყო აღებული. და მართლაც, შემდგომი ძიებით მოხერხდა ამ ადგილის ზუსტი წყაროს გამოვლენა. ეს არის მიქაელ სვინკელოსის „მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქმუაჲ“<sup>18</sup>.

ცნობილია, რომ ეს თხზულება ეფთვიმეს ცალკეც აქვს თარგმნილი<sup>19</sup>.

სხვათა შორის ქართულ ხელნაწერებში ეს ორი თხზულება „წინამძღუარი“ და მიქაელ სვინკელოსის მრწამსი ხშირად ერთი მეორის გვერდით დასტურდება<sup>20</sup>.

ეფთვიმე მთაწმიდელმა, რომელმაც თარგმნა მიქელ სვინკელოსის მრწამსი, ამჯერად ოდნავ შემოკლებული სახით შეიტანა იგი თავისი „წინამძღუარის“ XXIV თავში ანასტასი სინელის თხზულებიდან აღებული ადგილების შემდეგ.

იგივე ტექსტი, სვინკელოსის მრწამსი, ეფთვიმეს სხვა თხზულების თარგმანშიც ჩაურთავს. ეს არის „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება“<sup>21</sup>. ამ თხზულების ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ დედანში იგი არ დასტურდება. ეს ფაქტი საყურადღებოა ეფთვიმე მთაწმიდლის მთარგმნელობითი საქმიანობის დასახასიათებლად. ერთი და იგივე წყარო მას თავისი შეხედულებისამებრ ჩაურთავს სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებების თარგმანებში. ამრიგად, გამოვლინდა „წინამძღუარის“ ახალი წყარო: მიქაელ სვინკელოსის სარწმუნოების წარმოთქმუაჲ.

ანასტასი სინელის „წინამძღუარიდან“ აღებული ადგილებისა და მიქაელ სვინკელოსის მრწამსის გარდა, როგორც აღვნიშნეთ, 24-ე თავში დასტურდება ანათემები, რიცხვით 14. არც ერთ ზემოდასახელებულ ბერძნულ წყაროში, რომლებიც გამოყენებულია ეფთვიმეს მიერ „წინამძღუარში“, ანათემათა ტექსტები არ დასტურდება. საძიებელი გახდა ის დამატებითი წყაროები, რომლითაც შეეძლო ესარგებლა ეფთვიმე მთაწმიდელს.

რა ხასიათისაა აღნიშნული ანათემები?

ცნობილია, ანათემები საეკლესიო მწერლობაში ახლავს მწვალებლების ან სხვა რელიგიის მატარებელ პირთა ქრისტიანულ მრწამსზე მოქცევის წე-

<sup>18</sup> H 28.

<sup>19</sup> K. K e k e l i d z e. Monumenta Hagiographica Georgica. t. I, გვ. 87—90.

<sup>20</sup> A 240, A 200, A 1119, H 28.

<sup>21</sup> ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია..., გვ. 179,



სებს. ამდენად ისინი საეკლესიო წესის და განგების შემადგენელი ნაწილია. მათ შინაარსს დოგმატიკური და პოლემიკური მიზანდასახულობა განაპირობებს. ქრისტიანულ მრწამსზე მოქცევის წესი და განგება, რამდენადაც სათანადო წყაროებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, სხვადასხვა სახეს ატარებდა, რასაც ალბათ საეკლესიო კანონიკა განაპირობებდა. მწვალებელთა მიღება ძირითადად ასე ხდებოდა: მწვალებელი მარხულობს, კითხულობს სახარებას, იმეორებს მრწამსს, დგება ემბაზთან, იგი აცხადებს, რომ ქრისტიანულ ეკლესიასთან მივიდა არა ზაკვით ან იძულებით, არამედ წრფელი გულით წარმოთქვამს ანათემებს, რომლებშიც განიკუთვება ის დოგმატიური ცდომილება, რომელსაც ატარებდა მწვალებელი. ბოლოს ახალმოქცეულებს ასმენინებენ საღვთო წერილებს, ნათელსცემენ.

წმინდა მამები ხშირად მსჯელობენ შეჩვენებათა დასხმის აუცილებლობაზე, რათა მორწმუნენი „განტყეცილითა გზითა შევიდოდნან ეზოსა შინა ღვთისასა“<sup>22</sup>.

საგულისხმოა, რომ მწვალებელთა მოქცევის წესი და განგება ზოგიერთ წყაროში ანათემათა გარეშე დასტურდება, ზოგიერთ წყაროში მხოლოდ ანათემებია წარმოდგენილი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მიზანი პოლემიკურია: გაკიცხოს ის ცდომილება, რომელიც ამა თუ იმ დოგმის მართლმადიდებლური გაგებიდან გადახვევას შეიცავს.

ჩვენ მიერ მოძიებული წყაროების უმრავლესობისაგან განსხვავებით, ეფთვიმეს „წინამძღუარში“ დასტურდება მხოლოდ ანათემები. 14 ანათემა მიმართულია სხვადასხვა დოგმის დამრღვევთა წინააღმდეგ. არავითარი სხვა ტექსტი, რომელშიც მოქცევის წესი იქნებოდა განხილული, „წინამძღუარში“ არ დასტურდება. ეს სრულიად კანონზომიერია „წინამძღურისათვის“, როგორც სარწმუნოების არსის გადმომცემი და დამასაბუთებელი ნაწარმოებისათვის. ეფთვიმე 14 შეჩვენებას აყალიბებს მათ წინააღმდეგ, ვინც არღვევს იმ დოგმებს, რომლებზეც ნაწარმოების წინა ნაწილებში იყო საუბარი. ანათემების მიზანდასახულობა პოლემიკურია, რადგან ისინი ემსახურებიან ქრისტიანული ორთოდოქსული დოგმების დაცვას. რას ეხება „წინამძღურის“ 14 შეჩვენებას? I, II და IV შეჩვენება მიმართულია არიოზის და საბელიოზის წინააღმდეგ. ეფთვიმე მთაწმიდლის III, V, IX ანათემა ეხება ღვთისმშობლის საკითხს, VI, VII, VIII, X, XI, XII, XIII, XIV მიმართულია მონოფიზიტების წინააღმდეგ. თვითონ „წინამძღუარი, როგორც სათაურიდანვე ჩანს, ძირითადად მონოფიზიტების წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოებია.

„წინამძღუარში“ წამოყენებულ შეჩვენებასთან რამდენიმეს დაეძებნა პარალელი“. რამდენიმე შემთხვევაში ეფთვიმეს შეჩვენება სიტყვასიტყვით ემთხვევა იმ ტექსტს, საიდანაც არის იგი აღებული.

ეფთვიმე მთაწმიდლის I შეჩვენება აღებულია მსოფლიო კრებების აქტებიდან<sup>23</sup>, XI შეჩვენებაც იქიდან მომდინარეობს<sup>24</sup>, XII შეჩვენება აღებულია I—IV მსოფლიო კრებების აქტებიდან<sup>25</sup>.

დანარჩენ შემთხვევაში „წინამძღურის“ შეჩვენებებს სხვა წყაროებთან მხოლოდ საერთო თემატიკა აახლოებს. აქაც და იქაც ერთსა და იმავე დოგმატიური საკითხის დარღვევაზე ცხადდება შეჩვენება.

არავითარი საფუძველი არ არსებობს, დავუშვათ, რომ ეფთვიმეს შეჩვენებანი ამ წყაროებში არსებული ანალოგიური შინაარსის ადგილების თარ-

<sup>22</sup> S 1463, 221r.

<sup>23</sup> იხ. Деяния вселенских соборов, т. I, გვ. 196.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 197.

<sup>25</sup> A 266, გვ. 137.

გმანს წარმოადგენს. სრული შთაბეჭდილება რჩება, რომ ეფთვიმემ 14-ვე შეჩვენება, გარკვეულ წყაროებზე დაყრდნობით, საკუთრივ შეადგინა. შესაძლებელია მან სხვადასხვა წყაროდან შეჩვენებათა თემა, ე. ი. ამა თუ იმ დოგმის დაცვა, ისესხა, მაგრამ შეჩვენების ფორმულირება, ჩვენი აზრით, მას უნდა ეკუთვნოდეს. 14 შეჩვენების ფორმულირებით ეფთვიმემ დასრულებული სახე მისცა მთლიანად „წინამძღუარს“.

„წინამძღუარი“ სრულიად შეგნებულად ისეა აგებული, რომ მისი კომპოზიცია ნათლად აჩვენებს შემდგენლის, ეფთვიმე მთაწმიდლის სპეციფიკურ მიზანმიმართულებას — შექმნას წიგნი ქრისტიანული სარწმუნოების ღვთისმეტყველების შესახებ, მიუთითოს ქრისტიანული დოგმების დამრღვევი ძირითადი მწვალებლობა-ცთომილებანი და ანათემათა სახით უჩვენოს მათთან ბრძოლის აუცილებლობა.

„წინამძღუარი“ ამით არ თავდება. სულ ბოლოს არის 25-ე თავი.

„წინამძღუარი“

25. თქმული მისივე წმიდისა იოვანე დამასკელისაა შეზავებულისა და შეერთებულისა ბუნებისათვის უთავოთა მიმართ მწვალებელთა

შეზავებულისა ბუნებისთვის.

როცა შეზავებული ბუნება იქმნება, იგი განსხვავდება მასში შემავალ ბუნებათაგან. ქრისტეს ბუნება არაა შეზავებული. ამიტომაცაა იგი სრული ღმერთი და სრული კაცი. ქრისტე რომ შეზავებული ბუნების იყოს, იგი მამის თანაარსი ვერ იქნებოდა, რამეთუ მამის არსება მარტივია. ცდებიან ისინი, ვინც ქრისტეში ერთ ბუნებას ცნობენ. განა შეიძლება იესო, რომელიც უყამოა და უამიერიც, ერთბუნებოვანი იყოს? ქრისტეში ორი ბუნება შეერთებულია განუყოფელად, შეურევნელად, უცვლელად.

როგორც გაირკვა, ამ ბოლო თავის წყაროა იოანე დამასკელის სხვათხზულება, რომელიც დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით გამოქვეყნებულია PG 95-ე ტომში, col. 111—126.

ეფთვიმეს თარგმანი საკმაო სიზუსტით მისდევს დედანს. იგი მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც ქრისტეს ერთ შეზავებულ ბუნებას ცნობენ, მთავრდება იგი ქრისტეს შესახებ ჭეშმარიტი ღვთისმეტყველებით.

საფიქრებელია, რომ ეს არის ბოლო დამავიკრივინებელი თავი, რომლითაც შეიკრა „წინამძღუარი“, როგორც სამი ნაწილისგან შემდგარი ერთი მთლიანი ნაწარმოები: 1 ნაწილი — სარწმუნოების არსის გადმოცემაა, 2 — მწვალებელთა არსის ჩვენება, 3 — მათი შეჩვენებანია. ბოლო თავი სრულდება იმით, რითაც იწყება ნაწარმოები — ქრისტოლოგიური მრწამსის ჭეშმარიტების ჩვენება.

ასე რომ, „წინამძღუარში“ კომპოზიციურად სამი ნაწილი გამოიკვეთა: 1—22 თავები დოგმატიკას ეხება, 23-ე თავი, 24-ის დასაწყისი და 25-ე — ერესებს, 24-ე თავის ძირითადი ნაწილი კი — ანათემებს.

„წინამძღუარი“ თავისი შედგენილობით სრულიად გამორჩეული ნაწარმოებია და იმდენად ინდივიდუალური, რომ თუ მთარგმნელობითი თავისებურებებით განპირობებულ ორიგინალობასაც გავითვალისწინებთ, ეფთვიმე მთაწმიდელი თამამად შეიძლება ვაღიაროთ მის ავტორ-შემოქმედად.



Н. В. ЧИКВАТИЯ

КОМПОЗИЦИЯ «Շինამշვარი» ЕФИМИЯ МТАЦМИДЕЛИ И ЕГО ИСТОЧНИКИ

Резюме

Известное в древнегрузинской письменности произведение «Շինამշვარი» («Предводитель») Ефимия Мтацмидели по составу является компилятивным трудом, основанным на следующих источниках:

1. «Предводитель» Анастасия Синаитского, см. PG 89, col 36—310.
2. «Точное изложение Православной веры» Иоанна Дамаскина. Die Schriften des Johannes von Damaskos, II.
3. «О Трисвятой песни» Иоанна Дамаскина, PG 95, col 22—63.
4. «О составном естестве» Иоанна Дамаскина, PG 95, col 111—126.
5. «О правой вере» Михаила Синкелла, A 240.
6. Акты I — IV Вселенских соборов, A 200.
7. Деяния Вселенских соборов, Казань, Т. I, 1859, Т. II, 1882.

В композиции «Շինამշვარი» выделяются три части: 1. Изложение православной веры; 2. Показ сущности разных ересей; 3. Анафемствования ересей. Названные части не являются обособленными друг от друга суждениями, а составляют единое, связанное между собой законченное произведение.

Композиция «Շինამշვარი» со всей очевидностью выявляет литературные и теологические цели Ефимия Мтацмидели: создать руководство по православной христианской вере.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება.

წარმოადგინა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა.

## ბ ა ი ა მ ა ზ ა ვ ა რ ი ა ნ ი

ქ რ ის ტ მ ს ს ი მ ბ ო ლ უ რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ის ბ ა ნ მ ა რ ტ ბ ა ბ რ ი გ ო ლ ნ ა ზ ი ა ნ ზ ე ლ ის  
თ ხ ზ უ ლ ე ბ ა თ ა ქ ა რ თ უ ლ თ ა რ გ მ ა ნ ე ბ შ ი

სამების არსის, მისი წევრების ურთიერთმიმართების განმარტება გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიებში განხილული ძირითადი საკითხია. ნიკეის პირველი მსოფლიო კრებისა და არიოზის მოძღვრების ოფიციალური უარყოფის შემდეგ კამათი მწვალებლებსა და მართლმადიდებელ ქრისტიანებს შორის არ შეწყვეტილა. ვითარდებოდა სხვა მძლავრი ერეტიკული მიმდინარეობები, რომლებიც სწორედ სამების არსის არასწორ გაგებას, მისი წევრების ურთიერთდამოკიდებულების იერარქიულ აღქმას ეყრდნობოდნენ. ამიტომ კაპადოკიელი მამებიც თავიანთ თხზულებებში ყველაზე მეტ ყურადღებას ანიჭებდნენ სამებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობას. ამ საკითხთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქრისტეს, ძე ღმერთის და მისი აღმნიშვნელი სიმბოლური სახელების თემა.

მსჯელობა სამებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გრიგოლის თხზულებებში ბევრგან გვხვდება (ორ.2, ორ.20, ორ.45, ...), ხოლო ძის რაობის განმარტებას გრიგოლი საგანგებოდ უძღვნის თავის მესამე და მეოთხე თეოლოგიურ სიტყვებს (ორ.29-30). აქ გრიგოლს მოჰყავს ძე ღმერთის სიმბოლური სახელებიც თავისი განმარტებებით და წმინდა წერილიდან იმ ციტატების მითითებით, საიდანაც მომდინარეობს ეს სახელები.

ძველი ქართველი მთარგმნელები ოდითგანვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედებასა და მისი ქართულად გადმოთარგმნის საქმეს. გრიგოლის ჰომილიების უძველესი თარგმანები გვხვდება უკვე მეშვიდე საუკუნის მრავალთავებში, ხოლო მეათე საუკუნეში დაწყებული გრიგოლის თხზულებების სისტემატური თარგმნა დასრულდა XI საუკუნეში და საბოლოოდ შეიკრა გრიგოლის ქართული კორპუსი, რომლის შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ეფთვიმე ათონელს, დავით ტბელს და ეფრემ მცირეს.

ამ მოღვაწეთა თარგმანების შესწავლისას განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის საკითხი, თუ როგორ აისახა მათ თარგმანებში გრიგოლის მსჯელობა სამებაზე, მის რაობასა და მისი წევრების ურთიერთდამოკიდებულებაზე. ჩვენი მიზანია განვიხილოთ ამ მეტად საინტერესო მასალის მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი: გრიგოლ ნაზიანზელის მეორე ჰომილიაში „მიზეზი პონტოდ სივლტოლისათვის და მოქცევისათვის მიერ კულადა“ მოყვანილი ქრისტეს სიმბოლური სახელების ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის თავისებურებანი და მისი მნიშვნელობა ქართული მწერლობისათვის<sup>1</sup>.

<sup>1</sup> თარგმანი გამოქვეყნებული არ არის. იგი დაცულია ერთადერთ ხელნაწერში—S 1696. XI ს. (163r—179v).



## 1. ჰრისტას სიმბოლური სახელების ჩამონათვალის მნიშვნელოვანების ქრისტიანულ ლიტერატურაში

ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის ქრისტეს სიმბოლური სახელებისა და მათი განმარტებების ცოდნას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ძე ღმერთი, უწმინდესი მაგალითი ყველა მორწმუნისათვის, არის გზა უფალთან დაახლოებისა. ქრისტეს მიბაძვა, მის მიერ განვლილი გზის განმეორება შეუძლებელია ძე ღმერთის სახის, მისი რაობის შემეცნების გარეშე. ქრისტეს აღმნიშვნელი სიმბოლური სახელები კი მორწმუნეს ძე ღმერთს სხვადასხვა ასპექტში წარმოუდგენენ, მოიცავენ და განმარტავენ მის ფუნქციებს და მნიშვნელობას, და ამდენად უადვილებენ მას ძე ღმერთის რაობის შემეცნებას.

თუ როდენ მნიშვნელოვანია მართლმორწმუნე ქრისტიანისათვის ქრისტეს სახელებისა და მათი განმარტებების ცოდნა, ამის თაობაზე მოგვითხრობს გრიგოლ ნოსელი თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში „არმონიოს და კესარიონ და ულუმპოს მოღვაწეთა მიმართ, ხისრულისათჳს და რაათა უწყოდით, თუ ვითარ ჯერ-არს, რაათა იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანე“<sup>2</sup>. აქ გრიგოლი მიმართავს ულუმპოელ მოღვაწეებს, რომელთაც სურთ გაიგონ, „თუ ვითარ ვინ სრულ იქმნეს სათნოდ ცხოვრებისა მოქალაქობითა“ და ეგრე სრულებით და უნაკლულოდ წარმართონ თავიანთი ცხოვრება. გრიგოლი წერს მათ: „ვითარცა საგზალი რაამე უბიწოა ცხოვრებისა საღმრთოთა წერილთაგან შეგმიზადე თქუენ ეპისტოლე ესე შენელებული ღმრთივ ბრწყინვალედ სამოციქულოთა მათ სწავლათა მიერ“<sup>3</sup> და იწყებს მსჯელობას იმის შესახებ, თუ საიდან მომდინარეობს თავად სახელწოდება „ქრისტიანე“. გრიგოლი წერს: „ყოვლად სახიერმან მეფემან ჩუენმან იესუ ქრისტემან კაცთმოყუარებითა თჳსითა მოგუანიჭა ჩუენ ზიარებად თაყუანის საცემელისა სახელისა თჳსისა“<sup>4</sup>. ვინაიდან ეს სახელი „ქრისტიანე“ მომდინარეობს არა რაიმე წუთიერი და წარმავალი დიდების, სიმდიდრის თუ კიდევ სხვა რაიმე მიზეზისაგან, არამედ საღმრთო სახელისაგან, ამიტომ მორწმუნეებმა ჯერ „ღირსი მადლობა“ უნდა მიაგონ უფალს ამგვარი თანაზიარებისათვის, შემდეგ უნდა ეცადონ „მოიგონ ისეთი ცხოვრება“, „ვითარსა ეძიებს დიდისა ამის სახელისა ძალი“.

„ხოლო ნიჭისა ამის დიდისა ძალი, რომლითა სეხნა მეუფისა ჩუენისა ვიქმნენით“, როგორც წერს გრიგოლი ჭეშმარიტ ქრისტიანებს დიდად ავალდებულებს. „ქრისტესთვის მოსწავებულნი“ სახელებით უნდა მიმართავდნენ მორწმუნენი უფალს ლოცვისას — აგრძელებს გრიგოლი, — მათ უნდა „განიცადონ“ ეს სახელები და „ესე გულისგმა-ვყოთ მერმე, თუ ვითართად ჯერ არს ყოფად ჩუენი და მოსწრაფებად და ცხოვრებად, განცხადებულად ვისწავოთ, რაჟანს მოძღურად ცხოვრებისა ჩუენისა საღმრთოთა იგი სახელი ვიკუთხოთ“<sup>5</sup>.

უფრო ჭკვემოთ, ქრისტეს სახელების ჩამოთვლის შემდეგ გრიგოლ ნოსელი კვლავ წერს: „აწ უკუე ვინაითგან პირველისა და დიდისა და უაღრესისა სახელთაჲსა სახიერებითა მეფისა ჩუენისაათა იქმნა ზიარებად ჩუენი და რაათა სეხნაობითა ქრისტესითა პატივცემულთა ქრისტიანედ გუეწოდების, საჭირო არს და თანაწარუვალ, რაათა ყოველნივე იგი სახელნი, რომელნი ძალსა ამას სახელსა განაცხადებენ, ჩუენ შორისცა იხილევბოდინ, რაითა არა-რაად ამოად და ტყუვილისა სახელი გუეწოდებოდის, რამეთუ არათუ წოდებად

2 A 55,261v —

3 იქვე, 261v.

4 იქვე, 261v—262r.

5 იქვე, 262 r.

იქმს საქმესა წოდებისაჲსა, არამედ წოდებისამის გამომაჩინებელი ბუნებაჲ<sup>6</sup>. აწდენად, როგორც გრიგოლი ამბობს, ქრისტეს სახელები მიგვანიშნებენ და განგვიმარტავენ ძე ღმერთის იმ თვისებებს, რომელთაც უნდა მისდიოს და მიზანძოს ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, რადგან ადამიანს ჭეშმარიტ ქრისტიანად გარდაქმნის არა დარქმეული სახელი „ქრისტიანი“, არამედ ნამდვილი მორწმუნისათვის შესაფერისი ბუნება და საქმეები.

ასე განმარტავს გრიგოლ ნოსელი თავის ეპისტოლეში ქრისტეს სახელებისა და მათი მნიშვნელობის ცოდნის აუცილებლობას მართლმორწმუნე ქრისტიანეთათვის. მით უფრო აუცილებელია ეს ცოდნა მოძღვრისათვის, რომლის მოვალეობაცაა შეასწავლოს და განუმარტოს ეს სახელები მრევლს. გრიგოლ ნაზიანზელის or.2-შიც ქრისტეს სახელების ჩამონათვალი მოყვანილია სწორედ ჭეშმარიტი მოძღვრის თემასთან კავშირში და გრიგოლ ნოსელის ეპისტოლე კიდევ ერთხელ მიგვითითებს ამ მონაკვეთის განსაკუთრებულ სამოძღვრო დანიშნულებაზე გრიგოლ ნაზიანზელის მეორე ჰომოლიაში.

გარდა გრიგოლ ნაზიანზელისა და გრიგოლ ნოსელის დასახელებული თხზულებებისა, ქართულ ლიტერატურაში ცნობილია ქრისტეს სიმბოლური სახელების შემცველი ნათარგმნი თხზულება — ეპიფანე კვიპრელის „ადსებისათვის“, რომელიც შინაარსობრივი და ტექსტობრივი წყარო გახდა ორიგინალური თხზულების — იოანე საბანისძის „აბო ტფილელის მარტვილობაში“ მოხსენიებული ქრისტეს სიმბოლური სახელებისა. აგრეთვე საყოველთაოდ ცნობილია სიმბოლური ღვთისმეტყველების შემცველი დიონისე არეოპაგელის „საღმრთოთა სახელთათვის“. ყველა ამ თხზულებაში უფლის სიმბოლური სახელები განხილულია საღვთო სიბრძნის შესამეცნებლად და მას ყველგან სამოძღვრო დანიშნულება აქვს. „აბოს მარტვილობაში“ იგი პირველ თავშია მოტანილი, რომელსაც „სწავლა“ ეწოდება. აქვე ჩამოთვლილია მისი წყაროები: „ესე არათუ რაჲმე თავით თვისით განგიმარტე თქუნენ, საყუარელნო და ქრისტეს მოყუარულნო სწავლის მოღუაწენო, არამედ წამებითა წიგნთაგან საწინასწარმეტყუელოთა და მოციქულთა ქადაგებისაებრ — წმიდითა სახარებითა წერილნი და ნეტართა მამათა მოძღუარებითა განსაზღვრებული სარწმუნოება“<sup>7</sup>.

## II. გრიგოლ ნაზიანზელის მეორე ჰომილიის ეფთვიმესაული თარგმანი

იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ქრისტეს სიმბოლური სახელების ჩამონათვალს გრიგოლ ნაზიანზელის მეორე ჰომილიის ეფთვიმესაულ თარგმანში, ამისათვის ჯერ უნდა მიმოვიხილოთ თავად თარგმანი მთლიანობაში.

როგორც ცნობილია, გრიგოლის მეორე ჰომილია ქართულად ითარგმნა სამჯერ: პირველი ორი თარგმანი შესრულებულია X-XI სს.-ის მიჯნაზე ეფთვიმე ათონელისა და დავით ტბელის მიერ, მესამეჯერ კი ეს ჰომილია ითარგმნა XII ს-ში გელათური სკოლის უცნობი წარმომადგენლის მიერ. ეს თარგმანები კარგად ასახავენ სამი ქართველი მოღვაწის მუშაობის სტილს: გელათური სკოლის უცნობი წარმომადგენლის თარგმანი, ახორციელებს რა თავისი სკოლის ლიტერატურულ პრინციპებს, ზედმიწევნითი სიზუსტით მისდევს ორიგინალს. დავით ტბელი, როგორც უფრო ადრეული და ათონურ სკოლას-

<sup>6</sup> იქვე, 262 v.

<sup>7</sup> ი. აბულაძე, ერთ-ერთი უცნობი წყარო იოანე საბანისძის „აბო ტფილელის მარტვილობისა“, თსუ შრომები. ტ. XXV, თბ., 1949. გვ. 221—232 (ი. აბულაძე, შრომები, III, თბ., 1985).



თან უფრო დაახლოებული მოღვაწე, მეტის თავისუფლებით თარგმნის ტექსტს, ავრცობს, აკლებს, ურთავს საკუთარ მოკლე კომენტარებს. ეფთვიმეს თარგმანი კი მნიშვნელოვნად განსხვავდება დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი ბერძნული ორიგინალისაგან<sup>8</sup>. ეს თარგმანი და მისი მიმართება ბერძნულ ორიგინალთან უკვე დეტალურად არის შესწავლილი და ჩვენ აქ მხოლოდ კვლევის ძირითად შედეგებს შევხებით<sup>9</sup>.

გრიგოლის მეორე ჰომილია მეტად დიდი მოცულობისა და რთული აგებულების თხზულებაა. აქ გამოიკვეთება ორი ძირითადი თემა—1. გრიგოლის პონტოდ გაქცევისა და შემდეგ უკან დაბრუნების მიზეზები, და 2. ჭეშმარიტი, სულიერად ამაღლებული და განწმენდილი მოძღვრის ურთიერთობა მრევლთან, — თემები, რომლებიც ძალიან მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ. ამ ორი ძირითადი საკითხის გარშემო იკვრება ყველა დანარჩენი ეპიზოდი და მონაკვეთი თხზულებისა, მათ შორის, მსჯელობა სამების დოგმატზე და ქრისტეს სიმბოლური სახელების ჩამოთვლა.

ეფთვიმეს თარგმნილი აქვს როგორც or.2, ასევე or.3-იც, რომელიც არის ძალიან მოკლე და or.2-თან თემატურად იმდენად დაახლოებული თხზულება, რომ იგი გარკვეულ წილად or.2-ის გაგრძელებადაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ჯერ კიდევ ეფრემ მცირე ერთ-ერთ თავის ანდერძში აღნიშნავდა ეფთვიმეს მიერ ამ ორი ჰომილიის გადაჯგუფებისა და კომპილირების ფაქტს. or.2-ისა და or.3-ის ეფთვიმესეული თარგმანების კვლევამ გვიჩვენა, რომ, მართლაც, აქ გრიგოლის or.2 გადანაწილებულია და ამის საფუძველზე შექმნილია ორი ახალი თხზულება, რომელთაც ბერძნულში შესატყვისი არ ეძებნებათ. ეს არის, ასე ვთქვათ, საკუთრივ მეორე ჰომილია სათაურით — „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა მამისაჲ მიმართ თუსისა და ერისა, რომელი აიძულებდეს მას და არა ინება და წარვიდა პონტოდ კერძო“, რომელიც გრიგოლის or. 2-ზე მნიშვნელოვნად მოკლეა; და მესამე ჰომილია სათაურით — „საკითხავი თქუმული წმიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ შემდგომ ხუცად კურთხევისა მისისა, ვიდრეღა იყო სახითა მონაზონებისაჲთა, რამეთუ მამაჲ მისი ეპისკოპოსი იყო ანძიანძორსა ქალაქსა, ვითარ ველნი დააცსნა მას ხუცად, მიჰვადეს მოქალაქეთა დღესასწაულსა აღვსებისასა, რაჲთა მათ თანა აღასრულოს, და ვითარ მივიდა, არა პოვნა იგინი კრებულად“<sup>10</sup>, რომელიც მოცულობით მნიშვნელოვნად აღემატება გრიგოლის or.3-ს.

გრიგოლის or.2-ის ეფთვიმესეულ თარგმანში ზემოთ აღნიშნული ორი ძირითადი თემა — გრიგოლის პონტოდ გაქცევისა და შემდეგ უკან დაბრუნების მიზეზები და ჭეშმარიტი მოძღვრისა და მისი სულიერი შვილის ურთიერთობის საკითხი, — გათავისუფლებულია ზედმეტი, შენაკადი საკითხებისაგან და წარმოგვიდგება, როგორც საოცრად დახვეწილი, სრულყოფილი კომპოზიციის მქონე, ამ ორი ძირითადი საკითხის გარშემო შეკრული ახალი თხზულება. მსჯელობა სამების დოგმატზე უფრო გავრცობილი სახითაა წარმო-

<sup>8</sup> J. P. Migne, Patrologiae Graecae tomus 35, col. 401 — 514.

<sup>9</sup> ქ. ბეზარაშვილი, მ. მაჭავარიანი, გრიგოლ ღმრთისმეტყველის II და III ჰომილიების ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის თავისებურებანი და ეფრემ მცირის ერთი ანდერძ-მინაწერი, კრებული „ფილოლოგიური ძიებანი, II“ 1995, გვ. 226—285.

<sup>10</sup> or.3-ის ეფთვიმესეული თარგმანი ასევე არ არის გამოქვეყნებული. ტექსტი დადგენილია შემდეგი ხელნაწერების მიხედვით S 1696 XI ს. (179v—199v); S 383, XI ს. (220v—241r); A 87, XI ს. (213r—228r).

დგენილი და სხვა ეპიზოდები კი გადატანილია გრიგოლის მესამე ჰომილიის თარგმანში, რის ზარჯზეც ამ ჰომილიის მოცულობა საკმარისად გაზრდილია.

გრიგოლის or.2 და or.3 თემატურადაც და ქრონოლოგიურადაც ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან. ორივე წარმოთქმული უნდა იყოს ერთსა და იმავე წელს საკმარისად მოკლე ინტერვალით<sup>11</sup>, ორივეგან საუბარია „ბრალდებისა და თავის მართლებასზე, ახსნა-განმარტებაზე გაქცევის შესახებ, ქრისტიანული ცხოვრების საჭიროებაზე, მოძღვრისა და მრევლის ურთიერთობის პრობლემებზე, სამების დოგმის შეურყვენელად თავანისცემაზე, ამიტომ მათი ერთმანეთთან დაკავშირება გასაკვირი არცაა“<sup>12</sup>, მაგრამ ეფთვიმემ თავის თარგმანებში გრიგოლის ჰომილიების გადაჯგუფებით, კომპილირებით, თავისი საკუთარი ჩანართების შეტანით or.2-ისა და or.3-ის საკუთარი ვერსიები განსხვავებული მიზანდასახულებით ააგო: ორივე ვერსია დიდაქტიკური, სასწავლო-სამოძღვრო ხასიათისაა, მაგრამ or.3-ის ეფთვიმესეულ თარგმანში, რომელიც გავრცობილია or.2-დან აღებული მონაკვეთებით, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სამების რაობაზე მსჯელობას და ერესების განხილვას (საყურადღებოა, რომ ორივე ეს მონაკვეთი ეფთვიმემ მაქსიმალურად განავრცო და თავისი საკუთარი მაგალითებიც დაურთო); or.2-ში კი უფრო მკვეთრად არის გამოყოფილი სრულყოფილი მოძღვრის თემა, რომლის, როგორც ზემოთ ვნახეთ, სრულიად ბუნებრივი და განუყოფელი ნაწილიცაა ქრისტეს სახელების ჩამოთვლა და მათი განმარტებები.

ამგვარად, გრიგოლის or.2-ის ეფთვიმესეული თარგმანის აგებულებისა და მიზანდასახულების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეფთვიმეს მიერ ქრისტეს სახელების დატოვება და თანაც მათი განმარტება or.2-ის მისეულ ვერსიაში (როცა მან განტვირთა ეს ჰომილია თეოლოგიური და რიტორიკული პასაჟებისაგან) სრულიად ლოგიკური და აუცილებელიცაა. „ამით ეფთვიმე ორგანულად უკავშირებს ამ ადგილს or.2-ის ძირითად თემას — მოძღვრის სრულყოფილებას, — ჭეშმარიტ მოძღვარს ჯერ თავად უნდა ჰქონდეს გამოკვლეული ქრისტეს სიმბოლური სახელების მნიშვნელობა, რათა განასხვავოს სახეები სინამდვილისაგან, ანუ სწორედ განმარტოს წინასახე და პირველსახე“<sup>13</sup>. ამასთან ერთად, ეფთვიმე არა მხოლოდ ჩამოთვლის უფლის სახელებს, არამედ რქვე ახდენს წმინდა წერილის იმ ადგილების ციტაციას, საიდანაც მომდინარეობს თითოეული სახელი. ეს მითითებები წარმოადგენს ერთგვარ სახელმძღვანელოს: თითოეულ სახელთან წმინდა წერილის კონკრეტული ადგილის ციტირება კიდევაც განუმარტავს მრევლს ამ სახელის მნიშვნელობას, და ამასთანავე თავიდან არიდებს ყველანაირ ეჭვს და გაუგებრობას, და, ამდენად, უმტკიცებს რწმენას.

### III. ჰრისტეს სახელების ჩამონათვალის ეფთვიმესეული თარგმანი მიორე ჰომილიაში

ქრისტეს სახელების ჩამონათვალის ეფთვიმესეული თარგმანის კვლევისას შევეცადეთ გავგერკვია რამდენიმე საკითხი: მისდევს თუ არა ეფთვიმე გრიგოლის or.2-ში მოყვანილი ქრისტეს სახელების თანმიმდევრობას; იცავს თუ არა სახელთა რაოდენობას — ხომ არ აკლებს ან უმატებს; წმინდა წერილიდან შესაბამისი ადგილების ციტირებისას სარგებლობს თუ არა რაიმე წყაროებით

<sup>11</sup> P. Gallay, *La Vie de St. Gregoire de Nazianze*, Lyon-Paris, 1943, p. 73. n. 3.

<sup>12</sup> ქ. ბეზარაშვილი, მ. შაქავარიანი, დასახლებული სტატია, გვ. 245.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 251.



და ბოლოს. იძებნება თუ არა ამ მონაკვეთის პარალელი რომელიმე სხვა ნათარგმნ ან ორიგინალურ ქართულ ძეგლში.

**1. სახელთა თანმიმდევრობა და რაოდენობა**

ემისათვის, რომ უკეთ დავინახოთ, თუ რამდენად მისდევს ეფთვიმე or.2-ში მოყვანილი სახელების თანმიმდევრობას და რას აკლებს ან უმატებს, ჩვენ ქვემოთ მოცემულ ცხრილში ორ სვეტში ერთმანეთის პარალელურად მოგვყავს ა) ქრისტეს სახელები გრიგოლის or.2-დან (გელათუოი თარგმანი, რომელიც ზედმიწევნითი სიზუსტით მისდევს ბერძნულ ტექსტს), ბ) ქრისტეს სახელები (ეფთვიმესეული დანამატების — ვგულისხმობთ წყაროებისა და ციტატების მითითების — გარეშე) or. 2-ის ეფთვიმესეულ ვერსიაში, გ) ქრისტეს სახელები or.2-ის დავით ტბელისეულ თარგმანში:

ცხრილი № 1

or. 2 G.	or. 2 E	or. 2 T
ღმრთისათა, ძისათა,	ღმერთი, ძე,	ღმრთისათა, ძისათა,
ხატისათა,		ხატისათა,
სიტყუსათა, სიბრძნისათა,	სიტყუად, სიბრძნე	სიტყუსათა, სიბრძნისათა
—	და ძალი,	
—	გზად,	ქეშმარიტებისათა,
—	ქეშმარიტებად,	—
ქეშმარიტებისათა,	ცხორებად, ნათელი	ნათლისათა ცხორებისათა,
ნათლისათა, ცხორებისათა,	ხატი,	—
—	—	ძლიერებისათა,
ძალისათა,	ბრწყინვალებად,	შობილისათა,
—	—	ბრწყინვალეებისათა,
აღმურისათა,	—	—
მიუწომელობისათა,	შემოქმედი, მეუფე.	შემოქმედისათა, მეუფისათა,
შარავანდისათა	—	—
შემოქმედისათა, მეფისათა,	მთავარი, მოძღუარი,	—
თვისათა, ჰსჯულისათა,	—	კლდისათა,
—	—	მარგალიტისათა,
—	—	—
გზისათა,	კარი,	—
კარისათა,	—	თავისათა, შჯულისათა,
—	დიდებად,	—
—	საფუძველი	გზისათა, კარისათა,
საფუძველისათა,	ლოდი,	საფუძველისათა,
კლდისათა,	მარგალიტი,	—
მარგარიტისათა,	—	—
მშუდობისათა,	დაგებად,	მშუდობისათა,
—	—	—
სიმართლესათა,	სიმართლე, სიწმიდე.	სიმართლისათა,
სიწმიდისათა,	გამოყსნა, კაცი	სიწმიდისათა,
გამოყსნისათა, კაცისათა,	—	გამოყსნისათა, კაცისათა,

or. 2 G	or. 2 E	or. 2 T
<p>მონისათა, — მწყემსისათა, კრავისათა, მლუღელმოძღურისათა, —</p>	<p>— მამა, მშვიდობა, კრავი, მწყემსი, — განსახუნებელი, მოციქული, —</p>	<p>მონისათა, — მწყემსისათა, ტარიგისათა, მღღელმოძღურისათა, —</p>
<p>მსხუერპლისათა, პირმშომასა პირველისა აღგებისა, პირმშომასა მკუდართავან აღდგომისა</p>	<p>—</p>	<p>მსხუერპლისათა, პირმშომასა მისთა წინაფთვე დაბადებულთაისა და პირმშომასა მისთა მკუდრითთ აღდგომისაგან პირმშოდ მკუდართა აღდგომისა</p>
<p>—</p>	<p>მღღელმოძღური, ანგელოზი, პირმშოდ, სასწაული, მატლი, ცხებული</p>	<p>—</p>

როგორც ვხედავთ, არც ეფთვიმე, არც დავით ობელი თავიანთ თარგმანებში არ იცავენ ქრისტეს სახელების გრიგოლისეულ თანმიმდევრობას. ისინი ადგილს უცვლიან ცალკეულ სახელებს და არღვევენ რიგს. იყო კი აზრადღებული ამ რიგის მიდევნება? ჩვენი დაკვირვებით, კაპადოკიელ მამათა მოღვაწეობის პერიოდში ქრისტეს სახელთა თანმიმდევრობა არ ექვემდებარებოდა რაიმე ერთ, მკაცრად დაკანონებულ წესს; თვით გრიგოლიც, რომელმაც თავის 29-ე და 30-ე თეოლოგიურ სიტყვებში ერთ-ერთმა პირველთაგანმა სცადა ქრისტეს სახელების სისტემატიზაცია, ჰომილიიდან ჰომილიაში ცვლის ამ სახელთა რიგს. ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი არის გრიგოლის მეოთხე თეოლოგიური სიტყვა, or. 30, სადაც გრიგოლი ქრისტეს სახელების მოცემულ თანმიმდევრობას მეტად საფუძვლიანი განმარტებებით ასაბუთებს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში გრიგოლი ქრისტეს პირველ და ყველაზე მთავარ ეპითეტად ასახელებს „ძე“-ს („რამეთუ ერთარს მამისა თანა არსებით და ბუნებით და არა ესეოდენ, არამედ მისგან არს დაუსაბამოდ და უყამოდ“)<sup>14</sup>, რათა გამოკვეთოს ძის თანაარსობა თანასწორობა მამასთან. სახელთა რიგი კი ამ ჰომილიაში ასეთია: ძე, მხოლოდშობილი, სიტყუა, სიბრძნე, ძალი, ჭეშმარიტება, ხატი, ნათელი, ცხორება, სიმართლე, წმიდა, მკვსნელი, აღდგომა, მესამე თეოლოგიურ სიტყვაში, or. 29-ში, სახელთა თანმიმდევრობა შემდეგია: ღმერთი, სიტყუა, ძე მხოლოდშობილი, უფალი, მეუფე, კუერთხი. როგორც ვხედავთ, აქ „ძე“ გადასმულია მესამე ადგილზე, პირველ ადგილზე კი დგას „ღმერთი“ და მეორეზე „სიტყუა“. ესევე or. 2-შიც პირველად დასახელებულია „ღმერთი“, „ძე“ კი მეორეზეა, „სიტყუა“ — მესამეზე. გრიგოლ ნოსელის ზემოთხსენებულ ეპისტოლეში კი სახელების რიგი შემდეგნაირია: ძალი, სიბრძნე, მშვიდობა, ნათელი, სიწმიდე, მკვსნელი, მღღელთმთავარი, ზატიკი, სალხინებელი სულთა და ა. შ. მოყვანილი ადგილები გვიჩვენებს,

14 S 1696.



რომ ქრისტეს სახელების რიგი დაკანონებული არ იყო და ამდენად, ეფთვიმეს მიერ ამ რიგის შეცვლა არ წარმოადგენდა დიდ დარღვევას.

თანმიმდევრობის გარდა ეფთვიმეს თარგმანში განსხვავებულია ასევე სახელთა რაოდენობაც. ზემოთ მოყვანილი მაჯალითები გვიჩვენებს, რომ გრიგოლს ყველაზე მეტი რაოდენობა ქრისტეს სახელებისა შეკრებილი აქვს თ.2-ში — აქ ჩამოთვლილია ქრისტეს 33 სახელი. თ.2-ის ეფთვიმესეულ თარგმანში კი მოყვანილია ქრისტეს 37 სახელი. აქედან 25 სახელი ემთხვევა გრიგოლის მიერ ჩამოთვლილ სახელებს, დანარჩენი კი არა. დავით ტბელს თავის თარგმანში მოტანილი აქვს ქრისტეს 32 სახელი და როგორც ცხრილი გვიჩვენებს, ბერძნულ ორიგინალში მოყვანილი თანამიმდევრობა არც დავითს არა აქვს დაცული.

ასევე განსხვავებული რიგითა და რაოდენობითაა ქრისტეს სიმბოლური სახელები მოტანილი იოანე საბანისძის „აბოს მარტილოზასა“ და მის წყაროებში ეპიფანე კვიპრელის თხზულებაში, თუმცა ორივეში ერთი მიზანდასახულებითა და თითქმის ერთნაირი განმარტებებითაა ისინი წარმოდგენილი<sup>15</sup>.

## 2. წყაროები და პარალელები

ქრისტეს სახელების ეფთვიმესეული თარგმანის წყაროებზე მსჯელობისას აღსანიშნავია, რომ ამ წყაროებს ეფთვიმე თვითონ ასახელებს. ეს პასაჟი მთლიანად აგებულია შემდეგნაირად: ეფთვიმეს ჯერ მოჰყავს ქრისტეს სახელი, შემდეგ წყარო, საიდანაც მომდინარეობს ეს სახელი, და ბოლოს კი თავად სახელის შემცველი ციტატა დასახელებული წყაროდან. ეფთვიმეს მითითების მიხედვით ციტაციის ძირითადი ნაწილი მოტანილია ახალი აღთქმიდან და რამდენიმე შემთხვევაში ძველი აღთქმიდანაც. ჯერ კიდევ გრიგოლ ნოსელი თავის ზემოთხსენებულ ეპისტოლეში მოგვითხრობს იმის თაობაზე, რომ „აწ უკუე მთავარ და მასწავლელ... ამის გამოძიებისა ჩუენისა (ლაპარაკია ქრისტეს სახელების გამომძიებაზე — მ. შ.). იყავნ პავლე მოციქული, რათა უცთომელ იქმნეს სლვაჲ ჩუენი და საძიებელთა ამათ გამოთარგმანებაჲ, რამეთუ მან გამოწულილვით გულისგმა-ყო. თუ ვინაჲ არს ქრისტე და თუ ვითარ ჯერ არს რაჲთა იყოს რომელი სახელ-სდებდეს სახელსა მისსა, ... და სახელთაცა ქრისტესთა სიმაღლენი გუაუწყუნა ჩუენ“<sup>16</sup>. სწორედ პავლე მოციქულის ეპისტოლეები და საერთოდ, ახალი აღთქმა არის ძირითადი წყარო ქრისტეს სახელებისა, როგორც ამას თავად გრიგოლიც მიუთითებს (შდრ. ზემოთ იოანე საბანისძე).

ქრისტეს სიმბოლური სახელების წყაროები და მისი ამ სახელებით წოდების, აღნიშვნის ტრადიცია ეფთვიმეს მოღვაწეობის პერიოდისათვის უკვე საყოველთაოდ ცნობილი, მიღებული და დადგენილი ფაქტი იქნებოდა. ჩვენი აზრით, ეფთვიმეც წმინდა წერილიდან ციტატების მოყვანისას უნდა მისდევდეს არსებულ ტრადიციას და ამ თვალსაზრისით სიახლე ამ მონაკვეთში, ვფიქრობთ, ნაკლებად მოსალოდნელი უნდა იყოს. ამდენად, ჩვენი მიზანი არის არა ეფთვიმეს მიერ მოყვანილი სახელებისა და ციტატებისა დაძებნა ახალსა თუ ძველ აღთქმაში<sup>17</sup>, არამედ გარკვევა შემდეგისა: ეძებნება თუ არა გრიგოლის

<sup>15</sup> ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 223.

<sup>16</sup> A 55, 262r.

<sup>17</sup> თუმცაღა უნდა ითქვას, რომ ეფთვიმეს მიერ მოყვანილი ზოგიერთი ციტატა მოკლეა (არის უფრო მინიშნება ციტატაზე, მაგ: „ანგელოზი: ისაიასი: დიდისა ზრახვისა ანგელოზი“), ზოგიც დროთა ვითარებაში S 169ნ ხელნაწერში გადაშლილია და ძნელად იკითხება, ამდენად მათი დაძებნა წმინდა წერილში რთულდება.

ორ.2-ში მოყვანილი ქრისტეს სახელების ჩამოთვლის ეფთვიმესეულ თარგმანს პარალელები (განსაკუთრებით სტრუქტურის თვალსაზრისით) ძველი ქართული ნათარგმნი თუ ორიგინალური ლიტერატურის სხვა ძეგლებში.

ეფთვიმეს თარგმანების კვლევისას შენიშნულია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ეფთვიმე ერთი თხზულების ნაწილს ჩართავს სხვა თხზულების თარგმანში<sup>18</sup>. ამიტომ პარალელების ძიებისას ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, შევისწავლეთ გრიგოლის თეოლოგიური სიტყვების, ორ.29 და ორ.30-ის ეფთვიმესეული თარგმანების ის ადგილები, სადაც მოცემულია ქრისტეს სახელების ჩამოთვლა და მათი განმარტებები იმისათვის, რომ დაგვედგინა, არსებობს თუ არა რაიმე კავშირი ამ ჰომილიებისა და ორ.2-ის აღნიშნულ მონაკვეთებს შორის.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ორ. 29-ის მე-17 თავში მოცემული ქრისტეს სახელების ჩამონათვალი ზედ დართული ციტატებით შინაარსითაც და აგებულებითაც ძალიან ახლოს დგას ორ.2-ის შესაბამის ნაწილთან. ამასთანავე, ორ.29-ის მე-17 თავის ეფთვიმესეული თარგმანის ორიგინალთან შედარებამ ცხადყო, რომ ამ ადგილას ეფთვიმე საკმარისად ზუსტად მიყვება ჰომილიის ბერძნულ ტექსტს განსხვავებით ამავე ტექსტის სხვა მონაკვეთებისაგან. ყოველივე ამის საილუსტრაციოდ ჩვენ წარმოვადგენთ ცხრილს, სადაც ერთმანეთის პარალელურად წარმოდგენილია ორ.29-ის მე-17 თავის ტექსტი PG-ს მიხედვით<sup>19</sup>, ამ მონაკვეთის ეფთვიმესეული თარგმანი და ორ.2-ის ეფთვიმესეული თარგმანი (ორივე ტექსტი წარმოდგენილია ხელნაწერ S 1696-ის მიხედვით). ეფთვიმეს ორ.29-ის თარგმანში ერთგან დარღვეული აქვს გრიგოლთან მოცემული რიგი ქრისტეს სახელებისა, ორ.2-ის ეფთვიმესეულ თარგმანში სახელების რიგი კიდევ უფრო განსხვავებულია, ამიტომ ჩვენ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და სიადვილისათვის ცხრილში ეფთვიმეს თარგმანები მოგვყავს ბერძნულ ტექსტში დაცული რიგის მიხედვით (მაგრამ მას ვურთავთ ნუმერაციას, რაც აღნიშნავს ამ რიგს, რომელიც აქვს ამ სახელებს ეფთვიმეს თარგმანში). (იხ. ცხრილი № 2).

ცხრილი გვიჩვენებს, რომ გრიგოლთან ქრისტეს სიმბოლური სახელების მითითება ორ.29-ში გამოირჩევა თავისი ლაკონურობით; ავტორი ჩამოთვლის ქრისტეს სახელებს და იქვე ურთავს ხოლმე ციტატებს წმინდა წერილიდან ყოველგვარი საკუთარი განმარტებების გარეშე. ორ.29-ის თარგმანში ეფთვიმე მეტ-ნაკლები სიზუსტით მისდევს გრიგოლის ტექსტს, იგი ავრცობს ზოგიერთ ციტატას, აკლებს ზოგიერთ წინადადებას და სახელს, მაგრამ საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში ეფთვიმე არცერთ სახელს არ უმატებს.

ორ.2-ის ეფთვიმესეული თარგმანის მოყვანილი მონაკვეთიც, თუმცა კი ის საკმაოდ მოკლეა, როგორც ვხედავთ, საკმარისად ემსგავსება დანარჩენ ორ ტექსტს (ორ.29-ის ბერძნულ ორიგინალსა და ამავე ჰომილიის ეფთვიმესეულ თარგმანს). განსხვავება ის არის, რომ ორ.2-ში ეფთვიმე ციტატების გარდა ასახელებს წყაროსაც; მაგ.: პ ა ვ ლ ე ს ი, ი ო ა ნ ე მ ა ხ ა რ ე ბ ლ ი ს ა გ ა ნ, მ ა თ ე, ი ს ა ი ა და ა. შ. ამ მითითებებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, ის, რომ ეფთვიმე ზოგჯერ ასახელებს არა იმ წყაროს, საიდანაც არის აღებული ციტატა, არამედ იმ პიროვნებას, რომელიც წყაროში წარმოთქვამს ამ ფრაზას. მაგალითად, გვაქვს: „მოძღუარი: ნ ი კ ო დ ე მ ო ს ი ს ა გ ა ნ: ღმრთისა

<sup>18</sup> იხ. ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, ისევ ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ, „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, VI, 1978, გვ. 23—34; მისივე, ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, თბილისი, 1983, გვ. 068—072.

<sup>19</sup> PG 36, Col. 96—97.



or. 29 PG	ur. 29 E	or. 2 E
<p>Ἡμεῖς μὲν γὰρ ἐκ μεγάλων καὶ ὑψηλῶν τῶν φωνῶν, τοῦ Ἰησοῦ τῆν θεότητην καὶ κατελείψαμεν, καὶ κηρύττομεν. Τῶν αὐτῶν; Τῆς Θεῶς,</p>	<p>რამეთუ ჩუენ მაღალთაგან და ჰემმართთა სიტყუათა გურჯამს ღმრთებთა მხოლოდობისა ძისა ღმრთისა და მეტნერ ვართ და ექდავებთ, რომელნი არიან სიტყუანი, რომელნი იგი ღმერთად ქადაგებენ მას</p>	<p>ღმერთი:</p>
<p>τῆς Λόγου ἐν ἀρχῇ, ὁ μετὰ τῆς ἀρχῆς, ἢ ἀρχῆ.</p>	<p>და პირველითგან და პირველისა თანა</p>	<p>პავლესგან: ქრისტე-ღმერთი კურთხეულ უკუნისამდე სიტყუა:</p>
<p>Ἐν ἀρχῇ ἦν Λόγος, καὶ ὁ Λόγος ἦν πρὸς τὸν Θεόν</p>	<p>და ძედ მხოლოდშობილად პირველითგან იყო სიტყუა და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თანა</p>	<p>იოვანე მახარებლისაგან: პირველითგან იყო სიტყუა და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თანა</p>
<p>καὶ Θεὸς ἦν ὁ Λόγος καὶ. Μετὰ τὴν ἢ ἀρχῆ.</p>	<p>და ღმერთი იყო სიტყუა იგი. და შენ თანა არს მთავრობა</p>	<p>—</p>
<p>καὶ Ὁ καλὸν αὐτῆν ἀπὸ γενεῶν ἀρχῆ.</p>	<p>და მხოლოდშობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამასათა მიერ გამოთქუა:</p>	<p>—</p>
<p>Ἐπειδὴ Ἰὺδαι: μονογενῆς, ὁ μονογενῆς Ἰ. ὁ δὲ ὢν εἰς τὸν κόλπον τοῦ Πατρὸς ἐκεῖνος; ἐξήγγαστο.</p>	<p>დღესა მას ძლიერებისა შენისასა ბრწყინვალეობასა წმიდათა შენთასა საშობოგან მთებისა წინა გვეც შენ. კუალად ეწოდების მას გზა და ჰემმართებთა და ცხორებთა</p>	<p>გზაჲ, ჰემმართებთა და ცხორებთა:</p>
<p>ὉὌδς, Ἀλήθεια, Ζωή,</p>	<p>—</p>	<p>—</p>
<p>Φῶς</p>	<p>—</p>	<p>—</p>





ორ. 29 PG	ორ. 29 E	ორ. 29 E
<p>Ο τω, και ο ηγ, και ο ερχομενος, και ο παντοκρατωρ.</p> <p>Σαφως περι του Υιου λεγομενχ, και οσα της ατης τουςοις εστι δυναμειωας, αυ οδνεγ επι- τητοι, οδνε στερου τω τω πρωγεγομενου, η τω Πρεσβυτη, απαρ οδνε ατω τω Πατρι, ου γαρ εκ προσβητης το τελειου. Ου γαρ ηγ, οτε οακ αληθης η ασιος, η ανιατος, η ζωης ενζης, η λαμροτητος, η αγαθωτητος.</p>	<p>—</p> <p>და ესრეთ ესეცითარნი სიმდაბლისა სახენი სიტყუანი ნუმცა მოგეყენ მიზეზსა დამდაბლებად ღმრთიებასა მას მხოლოდშობილისასა, არამედ ბუნებასა მისსა გულისგმა-გჰყოფდი საღმრთოდ, ხოლო მდაბალთა მთ სიტყუათა შეიწყნარებდი კაცებისათჳს უკუეთუ სიმ- დაბლისა ესე სიტყუანი მოგეყენ მიზეზსა ცთომისას მაღალნი იგი და დიდებულნი დაჰქსნიდენ ცთომილე- ბასა შენსა.</p>	<p>—</p>

მიერ მოსრულ მოძღვრად ჩუენდა<sup>20</sup>. აქ ნიკოდემოსში იგულისხმება იოანეს სახარების მესამე თავის სულ დასაწყისში გამოყვანილი ერთი იუდეველი მთავართავანი, სახელად ნიკოდემოსი, რომლის სახარებაში მოყვანილი სიტყვებიც ზუსტად ემთხვევა ეფთვიმეს მიერ მოყვანილ ციტატას.

მართალია, როგორც ცხრილში ჩანს, or.29-დან მოყვანილი პარალელები ემთხვევა or.2-ის ეფთვიმესეული თარგმანის საკმარისად მცირე მონაკვეთს, მხოლოდ პირველ თორმეტ სახელს, მაგრამ ეს დამთხვევა არ უნდა იყოს შემთხვევითი. ეფთვიმეს or.2-ის თარგმანში ქრისტეს სახელები მოჰყავს იმისათვის, რომ შეახსენოს ისინი მოძღვარს. მაგრამ ეფთვიმე აქ სახელებს აღარ განმარტავს<sup>21</sup>; იგი მიმართავს გრიგოლის or.29-ის ლაკონურ სტილს და მხოლოდ მიგვანიშნებს ციტატებით იმ ადგილებს, საიდანაც ეს სახელები მომდინარეობს.

ისმება კითხვა: რატომ აღარ განმარტავს ეფთვიმე or.2-ში ქრისტეს სახელებს, მაშინ როდესაც ეს განმარტებები აქ თითქოს სავსებით ბუნებრივი და მოსალოდნელიც კი იყო? ეს გაპირობებული უნდა იყოს ეფთვიმეს მიერ გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვების თარგმანის ქრონოლოგიური თანამიმდევრობით; ჩვენი აზრით, ეფთვიმეს ამ დროისათვის გრიგოლის თეოლოგიური სიტყვები, სადაც განმარტებულია ქრისტეს სახელები, უკვე ნათარგმნი ჰქონდა, ე. ი. მეორე პომილიის (და შესაბამისად, მესამისაც, ვინაიდან მათი თარგმნა და გადაამუშავება-კომპილირება ერთდროულად უნდა მომხდარიყო), ეფთვიმესეული ვერსია შეიქმნა სულ ბოლოს, ეფთვიმეს მიერ გრიგოლის დანარჩენი სიტყვების თარგმნის შემდეგ<sup>22</sup>. ამიტომ or.2-ში ეფთვიმემ აღარ მიიჩნია საჭიროდ ამ განმარტებების გამეორებით თხზულების გადატვირთვა. ეს ვარაუდი ეფუძნება შემდეგ მიზეზებს:

1. or.2-ში ქრისტეს სახელების შემცველი პასაჟის ერთი მონაკვეთი შინაარსობრივადაც და სტილისტურადაც (ლაკონურობით) ძალიან ახლოსაა or.29-ის მე-17 თავთან (იხ. ცხრილი), 2. or.2-ში ქრისტეს სახელების შემცველი პასაჟის დანარჩენი ნაწილი სტილისტურად აგებულია ისევ და ისევ or.29-ის მე-17 თავის ანალოგიით; — ეს ორი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ or.2 თარგმნისას or.29 ეფთვიმეს უკვე ნათარგმნი აქვს; 3. or.2-ში ქრისტეს სახელები მოყვანილია განმარტებების გარეშე, იმიტომ რომ ეს განმარტებები უკვე მოყვანილია ეფთვიმეს მიერ ამ დროისათვის ნათარგმნ გრიგოლის სხვა სიტყვებში, და 4. ხელნაწერ S 1696-ში or.2-ის ამ პასაჟში უფლის სახელები დაწერილია მთავრული ასოებით, რაზედაც გამახვილებულია ყურადღება or.29-შიც (დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ).

or.2-ში კი ქრისტეს სახელების ჩამონათვალის ასეთი ლაკონური სტილი საშუალებას აძლევს მთარგმნელს ერთდროულად საკმარისი ინფორმაციაც, მიაწოდოს მკითხველს თუ მსმენელს და ამასთანავე არ დაარღვიოს თხზულების დახვეწილი კომპოზიცია.

რაც შეეხება or.2-ის ეფთვიმესეულ ვერსიაში მოყვანილ ქრისტეს დანარჩენ სახელებს, უნდა აღინიშნოს, რომ მათი პარალელები აღარ გვხვდება

<sup>20</sup> S 1696.

<sup>21</sup> ქრისტეს სიმბოლური სახელების განმარტებები თავად გრიგოლს მოყვანილი აქვს თავის მესამე თეოლოგიურ სიტყვაში, or. 30-ში („ძისათვის მეორე“), რომელიც ასევე თარგმნილია ეფთვიმეს მიერ.

<sup>22</sup> იგივე სურათია გრიგოლის თხზულებათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანების შემცველ კრებულებში. ქრონოლოგიურად და სტრუქტურულადც ეფთვიმემ ჯერ თეოლოგიური სიტყვები თარგმნა ლიტურგიკულთან ერთად და მხოლოდ შემდეგ ემატება მათ ეფთვიმეს კრებულებში მის მიერ თარგმნილი დანარჩენი. არალიტურგიკული საკითხავებიც — ელ ე ნ ე მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი.



ეფთვიმეს მიერ ნათარგმნ or.29-სა და or.30-ში. or.29-ში ზემოთ მოყვანილის გარდა, ქრისტეს სხვა სახელები არა გვაქვს, or.30-ში კი ქრისტეს სახელებთან ერთად გვაქვს განმარტებები ციტატების გარეშე. ზემოაღნიშნული სახელებიდან რამდენიმეს ეძებნება პარალელი იოანე საბანისძის „აბოს მარტივობის“ (VIII ს.) იმ მონაკვეთში, სადაც მოყვანილია ქრისტეს სახელები თავისი ვრცელი განმარტებებითა და ციტატების მითითებით<sup>23</sup>. ფიქრობთ, ეს გამოწვეულია იმით, რომ ორივეგან (იგულისხმება—or.2-ის ეფთვიმესეული ვერსიასა და „აბოს მარტივობა“-ში). მოყვანილია ერთი და იგივე ციტატები ან აქ წმინდა წერილის ერთსა და იმავე პასაჟებზეა საუბარი. ამას კი განაპირობებს ქრისტეს სიმბოლური სახელებით აღნიშვნის და ამ სახელთა მნიშვნელობის საყოველთაოდ მიღებული და დაკანონებული ტრადიცია, რომელსაც მისდევენ თვით გრიგოლიც და სხვა წმინდა მამებიც. აი, ეს მაგალითები:

or. 2 E

„აბოს წამება“

ლოდი: დავითისაგან: ლოდი რომელ შეურაცხვეს მამნებელთა<sup>24</sup>

(ახლოსა ბიბლიური წყაროს გამო)

მარგალიტი: მათე მხარებელი: რაჟამს პოვის ერთი მარგალიტი მრავალსასყიდლისა<sup>26</sup>.

(მარტო დასახელების მიხედვით არის ახლოს)

მწყემსი: თუთ უფალი: მე ვარ მწყემსი კეთილი<sup>28</sup>

(ახლოსა ბიბლიური წყაროს დასაწყისით)

ლოდ საკიდურ ეწოდა წინაწარმეტყუელისა მიერ, რამეთუ ესე არს. რომელ-იგი შეურაცხ და განგებულ იქმნა მღვდელთმოძღუართა მათგან და მწიგნობართა ნათესავისა ჰურიათასა იერუსალემს, არამედ ესე თავ ყოველთა ცის კიდეთა იქმნა<sup>25</sup>.

მარგალიტ ეწოდა, რამეთუ იგი ვითარცა მარგალიტ შორის ორთა მათ ფიცართა, სულისა და ვორცთასა, ღმრთებით გამობრწყინდების, რომელსა ღმრთისმოყუარენი იგი ვაჰარნი სასუფვეელისანი, ვითარცა ღმერთსა არა შიშუელსა და კაცსა არა ლიტონსა, არამედ ვითარცა ღმერთსა და კაცსა სარწმუნოებით ეძიებენ და მიყიდიან მხოლოსა მას მრავალსასყიდელსა ყოვლისა სოფლისა წარგებითა და სისხლთა თვისითა დათხევითა<sup>27</sup>.

მწყემს ეწოდა, რამეთუ თქუა: „მე ვარ მწყემსი კეთილი“; ჰეშმარიტად ცხოვარნი შეცთომილნი მოგუაქცინა და მტერი იგი ჩუენი ლომი არგნითა ჭუარისაათა მოკლა და მისგან დავსნილი იგი გუამი პირველ შექმნულისა მის ძალითა ღმრთეებისაათა კუალად განაცოცხლა და ნაკებნი იგი გესლიანისა მის მგელისა წყლულებითა თვისითა განკურნა, და გესლი იგი მომაკუდინებელი წამლითა მით ღმრთეებისა თვისისაათა განაჰარვა და აღასრულა სიტყუა იგი წინაწარმეტყუელისა მიერ თქუმული, ვითარმედ: „იწყლა იგი ცოდვათა ჩუენათავს და წყლულებითა მისითა ჩუენ განვიკურნეთ“<sup>29</sup>.

23 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. შრომა.  
24 S 1696, 119v  
25 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 227.  
26 S 1696, 119v.  
27 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 227.  
28 S 1696, 119v.  
29 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 226.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ or.2-ის ეფთვიმესეული თარგმანის ქრისტეს სახელების შემცველი მონაკვეთი სტრუქტურულად და სტილისტურად (ლაკონიზმი) აგებულია გრიგოლის or.29-ის მე-17 თავის ანალოგიით, შინაარსით კი, ისევე როგორც გრიგოლ ნოსელი, ეპიფანე კვიპრელი და სხვა წმინდა მამები, მისდევს ქრისტეს სახელების, მათი განმარტებებისა და ციტატების მიღებულ ტრადიციას.

IV. II ჰომილიის ეფთვიმესეული თარგმანის შემცველი ხელნაწირისათვის (S 1696)

or.2-ის ეფთვიმესეულ თარგმანზე საუბრისას არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ ერთადერთ ხელნაწერს, რომელიც შეიცავს ამ ტექსტს. S 1696 ხელნაწერი გადაწერილია XI ს-ში პეტრე პეტრიკ-ყოფილის მიერ ამ კრებულში, რომლის შემდგენელ-გადაწერი ფრიად განსწავლული პირი ჩანს<sup>30</sup>. არის ცდა გრიგოლის თხზულებების ყველა ქართული თარგმანის თავმოყრისა, მათ შორის ისეთი იშვიათი, ნაკლებად გავრცელებული ვერსიებისა, როგორცაა გრიგოლის or.2-ის ეფთვიმესეული თარგმანი<sup>31</sup>. ამასთანავე, თუ გრიგოლის თხზულებათა თარგმანების შემცველ სხვა ქართულ ხელნაწერებში or.2 მხოლოდ დავით ტბელისეული თარგმანით იყო წარმოდგენილი, or.3-ის ეფთვიმესეულ თარგმანთან შეწყვილებული, ამ ხელნაწერში (S 1696) or.2-ის სამივე თარგმანი ერთადაა წარმოდგენილი შემდეგი თანმიმდევრობით: or.2 ეფთვიმეს თარგმანით (163v-179v), or.3 ეფთვიმეს თარგმანით (179v-199v); or.2 დავით ტბელის თარგმანით. ყოველივე ამის გარდა ხელნაწერ S 1696-ში შეინიშნება კიდევ ერთი მეტად საინტერესო თავისებურება.

მეოთხე თეოლოგიურ სიტყვაში, or.30-ის მე-17 თავში, იწყებს რა ქრისტეს სახელებზე მსჯელობას, გრიგოლ ნაზიანზელი ამბობს: „ღმრთებთაჲ უსახელოჲ არს. და ამას გუაუწყებენ არა ჩუენთა ხოლო გონებათაგან ზრახვანი, არამედ ძუელთაცა საწინასწარმეტყუელოთა წიგნთა განწესებანი. რამეთუ ესრეთ იყო წესი, ძუელსა მას შჯულსა და სახელსა ღმრთისასა სხვთა ასოებითა წერდეს, და არა წეს იყო ასოებითა მით, რომლითა სიტყუანი სხუანი იწერებოდეს, აღწერად სახელსა ღმრთისასა, არამედ მისთვის ხოლო განწესებულთა ასოებითა, და მოასწავებდა ესე ვითარმედ არა ზიარ არიან საიდუმლონი ღმრთეებისანი ჩუენთა თანა საქმეთა“<sup>32</sup>. თითქოს სწორედ ამ წესის მიდევნებით, S 1696-ში შემონახულ or.2-ის ეფთვიმესეული თარგმანის იმ მონაკვეთში, სადაც მოყვანილია ქრისტეს სახელები, მათი წყაროები და ციტატები ამ წყაროებიდან, უფლის სახელების ყოველი ასო დაწერილია საგანგებოდ მთავრული ასოებით სინგურით. აღსანიშნავია, რომ ამავე ხელნაწერში შეტანილი თეოლოგიური სიტყვების, or.29-ისა და or.30-ის ეფთვიმესეული თარგმანების იმ პასაჟებში, სადაც მოხსენიებულია ქრისტეს სახელები, ისინი ტექსტისაგან არაფრით არ არიან გამოყოფილი; ამ ხელნაწერში საკუთარი სახელების პირველი ასოები ხშირად დაწერილია მთავრული ასოებით, or.29-30-ის შემთხვევაში კი ქრისტეს სახელებს პირველი ასოებიც არა აქვთ მთავრული; ისინი არც აბზაცებით არ არის გამოყოფილი, როგორც ეს გვაქვს or.2-ის შემთხვევაში.

<sup>30</sup> ე. მეტრეველი, დასახ. შრომა, იბეჭდება.

<sup>31</sup> ამ კრებულში შეტანილია კიდევ ერთი ისეთი თხზულება, რომელიც სხვაგან არსად არ გვხვდება: ეს არის დავით ტბელის მიერ ნათარგმნი გრიგოლის მეცხრე ჰომილიაზე დართული დავით ტბელისეე მიერ ნათარგმნი „თარგმანებაჲ ძინად გულისჯმისაყოფელთა სიტყუათაჲ“ (აღსანიშნავია, რომ ამ თხზულების ბერძნული ვერსია ჯერ-ჯერობით მიკვლეული არ არის).

<sup>32</sup> S 1696, 131v.



ისმება კითხვა, თუ რატომ არის ყოველივე ეს წარმოდგენილი ამ სახით ხელნაწერ S 1696-ში? ამ ხელნაწერის გადამწერი არ არის კალიგრაფი, რომელსაც შეიძლება ტექსტის გამშვენიერების მიზნით ასე გამოეყვანა უფლის სახელები. კრებულის შედგენილობის შესწავლა, როგორც აღვნიშნეთ, გვიჩვენებს, რომ გადამწერი არის მწიგნობარი, ფრიად განსწავლული პირი, რომელიც ზრუნავს გრიგოლის თხზულებათა ყველა თარგმანის, მათ შორის იშვიათი თარგმანების, შეკრებაზე და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ თარგმანების ტექსტის ზუსტად გადმოწერას. საფიქრებელია, რომ ქრისტეს სახელები ასევე მთავრული ასოებით იყო დაწერილი იმ ხელნაწერში, რომლითაც სარგებლობდა ხელნაწერ S 1696-ის გადამწერი პეტრე or.2-ის ეფთვიმესეული თარგმანის გადმოწერისას (შესაძლოა, ეს ხელნაწერი ეფთვიმეს ავტოგრაფიც კი ყოფილიყო, ვინაიდან პეტრე ეფთვიმეს თანამოღვაწეც შეიძლება ყოფილიყო და ამასთანავე იგი საგანგებო ყურადღებას აქცევდა დედნების შერჩევას). ჩანს, პეტრემ, იცოდა რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ქრისტეს სახელების ასეთი სახით გამოყოფისა or.2-ის ეფთვიმესეულ ვერსიაში, მან თავის კრებულშიც უცვლელად გადმოიტანა ეს პასაჟი. ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს გადამწერის განსწავლულობაზე. ეფთვიმეს კი, ვფიქრობთ, ასეთი ვიზუალური საშუალებითაც სურდა გრიგოლის or.30-დან გრიგოლის ზემოთ მოყვანილი სიტყვების დარად გამოეყვანა or.2-ის თავის თარგმანში უფლის სახელები და მათი მნიშვნელობა, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს or.2-ის ამ ვერსიის მიზანდასახულებაზე — წარმოეჩინა სრულყოფილი მოძღვრის სახე და მორწმუნეთათვის მიეთითებინა უფლის ჭეშმარიტი გზა.

ამდენად, or.2-ის ეფთვიმესეულ თარგმანში ქრისტეს სახელების შემცველი პასაჟის კვლევამ გვიჩვენა, რომ:

1. ქრისტეს სახელების შემცველი მონაკვეთი არის ორგანული და აუცილებელი ნაწილი მსჯელობისა მოძღვრის სრულყოფილებაზე, — ნაწილი იმ ძირითადი თემისა, რის საფუძველზეც არის აგებული or.2-ის ეფთვიმესეული ვერსია.

2. or.2-ის ეფთვიმესეულ თარგმანში წარმოდგენილი ვერსია (აქედან გამომდინარე, or.3-ისაც) შექმნილი უნდა იყოს თავად ეფთვიმეს მიერ გრიგოლის თეოლოგიური სიტყვების თარგმანის პარალელურად ან თარგმნის დამთავრების შემდეგ. ამას მოწმობს შემდეგი მიზეზები:

ა) or.2-ში ქრისტეს სახელების შემცველი პასაჟის ერთი მონაკვეთი შინაარსობრივადაც და სტილისტურადაც ძალიან ახლოსაა or.29-ის მე-17 თავთან;

ბ) or.2-ში ქრისტეს სახელების შემცველი პასაჟის დანარჩენი ნაწილი სტილისტურად აგებულია ისევ და ისევ, or.29-ის მე-17 თავის ანალოგიით;

გ) or.2-ში ქრისტეს სახელები მოყვანილია განმარტებების გარეშე,

დ) ხელნაწერ S 1696-ში or.2-ის აღნიშნულ პასაჟში უფლის სახელები დაწერილია მთავრული ასოებით, როგორც ეს მითითებულია or.30-ში.

ვ) or.2-ის ქრისტეს სახელების ეფთვიმესეული ვერსია შინაარსობრივად მისდევს ქრისტეს სახელების განმარტებისა და ციტირების ქრისტიანულ მწერლობაში მიღებულ ტრადიციას, სადაც მათი რაოდენობა და თანამიმდევრობა ავტორის სურვილზეა დამოკიდებული.

საბოლოოდ კი შეიძლება ითქვას, რომ აქ აღწერილმა კვლევა-ძიებამ კიდევ ერთხელ აჩვენა და დაადასტურა ის, რომ ეფთვიმე მთაწმინდელი იყო არა მხოლოდ მთარგმნელი, არამედ დიდი შემოქმედი და მწიგნობარი, რომე-

ლიც შესანიშნავად იცნობდა ბიზანტიური მწერლობის თავისებურებებს და მხოლოდ მათი გათვალისწინებით ქმნიდა ამა თუ იმ თხზულების საკუთარ ვერსიას.

М. Д. МАЧАВАРИАНИ

## ТОЛКОВАНИЕ СИМВОЛИЧЕСКИХ ИМЕН ХРИСТА В ГРУЗИНСКИХ ПЕРЕВОДАХ СЛОВ ГРИГОРИЯ НАЗИАНЗИНА

Резюме

В статье рассматриваются особенности приведенных во второй гомилии Григория Назианзина («Слово, в котором Григорий Богослов оправдывает удаление свое в Понт») символических имен Христа в переводе Евфимия Афонского. Особое внимание уделяется также выявлению значения данного перевода для изучения грузинской средневековой церковной литературы.

Наличие целого ряда сочинений (Послание Григория Нисского, «О божественных именах» Дионисия Ареопагита, «Мученичество св. Або»), а также другого параллельного материала показывает необходимость знания этих имен и их значений для каждого истинного христианина и тем более для пастыря, так как обучение и толкование их значений пастве являются прямой обязанностью последнего. Евфимиевская версия второй гомилии, которая значительно отличается от своего греческого оригинала, имеет ярко выраженный учебно-дидактический характер и посвящается теме совершенного пастыря: В связи с этим, перечисление имен Христа и их толкование предстают в качестве естественной и необходимой части данного перевода.

Более того, изучение этого пассажа в ог. 2 в переводе Евфимия показывает тесную связь его построения и стиля изложения с 17-ой главой третьего теологического слова (ог. 29), переведенного тем же Евфимием (следует отметить, что один его отрезок близок к указанной главе и по своему содержанию). Обращает внимание и то обстоятельство, что в аналогичной части текста ог. 2, представленного в рукописи S—1696, все имена Христа написаны заглавными буквами, подобно тому как это указано в четвертом теологическом слове (ог. 30), перевод которого также принадлежит Евфимию.

Исходя из этого, следует предположить, что представленная Евфимием в переводе ог. 2 версия создана им же самим в процессе работы над переводом слов Григория Назианзина или непосредственно после его завершения. Примечательно, что и по своему содержанию имена Христа в версии Евфимия следуют традиции их толкования и цитирования, принятой в христианской литературе, где их количество и последовательность определяется обычно волей автора.

Рассмотренный в статье материал выявляет своеобразие переводческой деятельности Евфимия, характеризующейся широтой интересов, отражающих историко-культурный фон той эпохи и духовные запросы своего народа, определяя выдающееся значение его литературного наследия. Особого внимания заслуживает блестящее знание особенностей византийской литературы, являющейся основой созданных им собственных версий тех или иных сочинений.

წარმოადგინა საქართველოს მონიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოდიკოლოგისა და ტექსტოლოგის განყოფილება.



## ენისტან სულაჰა

## არსენ ბულმაისიმისძის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობიდან

(მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები)

XIII საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთმა უდიდესმა თვალსაჩინო მოღვაწემ, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა, საქართველოს კათალიკოსმა არსენ ბულმაისიმისძემ მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მის კალამს ეკუთვნის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლების ორი ციკლი, წმინდა ნინოსა და წმინდა შიო ზღვიმელისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონები და მცირე ფორმის რამდენიმე საგალობელი. მას გაუგრძელდება იოანე პეტრიწის მიერ დაწყებული მსოფლიო წმიდანთა სათვეო სვინაქსარის გალექსვა, რომელიც შემდეგ XVIII საუკუნეში გაუსრულებია ანტონ კათალიკოსს.

მართალია, არსენ ბულმაისიმისძის პიროვნებისა და შემოქმედებისადმი ყურადღება მრავალგზის გამოუხატავთ ქართველ მეცნიერებს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მონოგრაფიული შესწავლის საგანი არ გამხდარა. უფრო მეტიც, მისი მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობიდან ძალზე მცირე ნაწილია გამოქვეყნებული. მისი საგალობლები სხვადასხვა ხელნაწერშია მიმოფანტული, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მისსავე სიცოცხლეში 1233 წელს შედგენილი ხელნაწერი A-85, რომელშიც არსენის საგალობლებთან ერთად დაცულია ძვირფასი ბიბლიოგრაფიული ცნობები როგორც თვით ავტორის, ასევე სხვა ჰიმნოგრაფთა, კერძოდ ტბელ აბუსერისძისა და საბა სვინგელოზის, ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ, და H-1349, ესეც XIII საუკუნისა, რომელშიც საეკლესიო ტიპიკონთან ერთად არსენის წმიდა ნინოსადმი მიძღვნილი საგალობელია მოთავსებული. არსენის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა მეტად პოპულარული ყოფილა XVII—XVIII საუკუნეებში, რადგან მისი საგალობლები შეუტანიათ ამ ხანებში შედგენილ სხვადასხვა რედაქციის სადღესასწაულოებში. რა თქმა უნდა, ეს განპირობებული იყო საგალობელთა განსაკუთრებული ისტორიული და მხატვრული ღირსებებით.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი ინტერესი გამოხატა არსენ ბულმაისიმისძის წინამორბედმა ჰიმნოგრაფმა იოანე ანჩელმა, რომელმაც ქება შეასხა ანჩის მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს და შექმნა უაღრესად მნიშვნელოვანი ჰიმნოგრაფიული კანონი „გალობანი ანჩისხატისანი“. არსენ ბულმაისიმისძემ მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს მიუძღვნა ორი ჰიმნოგრაფიული კანონი და მცირე ფორმის საგალობლები, რომლებიც მას ვარდნიდან და აბუსერ აბუსერიძეების „შეხუეწითა“ და იძულებით შეუქმნია. ისინი აბუსერისძეთა მესამე ძმას — ტბელს მოუთავსებია A-85 ხელნაწერში, საიდანაც გადაუტანიათ სადღესასწაულოებში, ოღონდ არასრული სახით.

A-85 ხელნაწერში არსენ ბულმაისიმისძის სახელით პირველად მოთავსებულია ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული განგება წარწერით: „უფალო ღაღადყავი ხატისა უხილავისაჲ ამავე გალობითა თქუმილი არსენი ბულმაისიმისძის“.

საგან, ქართლისა კათალიკოზისა“. იგი შედგება რამდენიმე მცირე ფორმის საგალობლისა და ჰიმნოგრაფიული კანონისაგან. ეს უკანასკნელი აკროსტიქულია და ბიბლიოგრაფიულ ცნობას გვაწვდის საგალობლის ავტორისა და ქების ობიექტის შესახებ: „არსენი ვაქებ ხატსა ღმრთიებისასა დღეს“. განგებაში შეტანილ ყოველ მცირე გალობას თავისი ფუნქცია აკისრია, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

განგების პირველი სტიქარონი, „უფალო ღალადყავის“ სახელწოდებით, სამი ტროპარისაგან შემდგარი, განსაზღვრავს ანტონ მარტომყოფელის მიერ საქართველოში ჩამოტანილი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის მნიშვნელობას, გამოხატავს სამადლობელს თვით ხატის წინაშე, რომელმაც ღირსყო ქართველთა ერი, რათა აქ დავანებულებო მის გადასარჩენად, შეწევნად და სიმტკიცედ. ამ სტიქარონის შემდეგ იწყება მეოთხე გვერდის ხმაზე შესასრულებელი მცირე ფორმის საგალობლები, რომელთა ძლისპირები უმეტესად მითითებულია. მათ მოსდევს ჰიმნოგრაფიული კანონი, რომლის შემდეგ ისევ მცირე ფორმის საგალობლებია განთავსებული. როგორც ვხედავთ, ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული განგება საკმაოდ რთული კომპოზიციის მქონე მუსიკალურ-მხატვრული ნაწარმოებია.

არსენ ბულმაისიმის ეს საგალობლები ლიტურგიკული ღვთისმსახურებისათვის არის განკუთვნილი, რასაც ადასტურებს მათი შეტანა სადღესასწაულოებში. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჰიმნოგრაფიულ თხზულებათა სახელწოდებები მიუთითებენ მათ ლიტურგიკულ დანიშნულებას, ე. ი. იმას, რომ ისინი გალობით შესასრულებელი მუსიკალურ-ლიტერატურული ნაწარმოებებია. არსენის თხზულებათა სახელწოდებები — 1. „უფალო ღალადყავი ხატისა უხილავისაჲ ამავე გალობითა თქუმილი...“, 2. „თვთღისპირნი ზესთ გამოთქუმისა კელით უქმნელისა ხატისანი“, 3. „გალობანი წმიდისა შიოასნი“, 4. „გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოასნი“ — ადასტურებენ მათ დანიშნულებას ლიტურგიკული ღვთისმსახურებისათვის. თითოეულ მცირე ფორმის სტიქარონსა და ყოველ კანონს აქვს მითითება, თუ რომელ ხმაზე უნდა შესრულდეს თითოეული მათგანი; მითითებულია აგრეთვე ის ძლისპირი, რომლის მიხედვითაც არის შეთხზული თითოეული გალობა. საგალობელთა წარწერები, A-85 ხელნაწერში მოთავსებული ანდერძ-მინაწერი კრებულის შემდგენლისა გვამცნობენ, რომ პირველი ჰიმნოგრაფიული კანონი, მცირე ფორმის საგალობელთა შორის მოქცეული, არის „ვმასა დ გუჭრდსა გალობითა“ შესასრულებელი ნაწარმოები, მეორე კანონი — „თვთღისპირნი“ — „მეორის გუჭრდისა“, ანუ „ვმამბ გუჭრდი“.

ჰიმნოგრაფიაში სიმღერა-გალობა და თეოლოგიურ-მხატვრული ტექსტი განუყოფელია, ერთი მთლიანობაა. ამიტომ ჰიმნოგრაფიული თხზულების სრულყოფილად შესასწავლად აუცილებელია მისი მუსიკალური რაობისა და ლიტერატურულ-მხატვრული ფენომენის განსაზღვრა. სამწუხაროდ, როგორც მრავალგზისაა შენიშნული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, ჯერჯერობით მუსიკალური რაობის განსაზღვრა დაკავშირებულია უდიდეს სირთულეებთან, რადგან არ არის გაშიფრული, გახსნილი ნევმების მნიშვნელობები. არც „ჯმის“ მნიშვნელობაა საბოლოოდ დაზუსტებულ-დადგენილი. არის ცდა განსაზღვრისა, მაგრამ იგი უნივერსალური არ ჩანს, რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რაც შეიმჩნევა ხელნაწერებში; კერძოდ, VIII საუკუნემდე არსებობდა ოთხი ხმა და საგალობლები, რომლებიც კონტრაკონების სახით იყო გავრცელებული, ამ ოთხ ხმაზე იყო გაწყობილი; ეს ის პერიოდია, როდესაც ლოგოსს ენიჭებოდა უპირატესობა მელოსთან შედარებით შესრულებისას. VIII საუ-



ქუნიდან იოანე დამასკელის, ანდრია კრიტელის, კოზმან იერუსალიმელის მო-  
ლვაწეობის შედეგად, განსაკუთრებით იოანე დამასკელისა, შემოღებულ იქნა  
8 ხმა, რომელთაგან ოთხი ძირითადია და ოთხი დამატებითი (პლაგალური),  
რომელთაც ძველქართულად „გუერდი“ ეწოდა.

როგორც ცნობილია, ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებთა მუსიკალურ ფენო-  
მენს, კერძოდ მელოდიას ძლისპირი განსაზღვრავს. ჩანს, ამავე დატვირთვის  
მქონე უნდა ყოფილიყო „ჰმაა“. ძლისპირი მელოდიის ჰანგისა და მეტრის  
განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო, ჰმა კი, როგორც მიუთითებენ, ჰიმნოგრა-  
ფიული თხზულების შესრულების რიტმს, ტემპს, დინამიკას განსაზღვრავდა.  
ამასთან დაკავშირებით ზ. ჭავჭავაძე წერდა: „მუსიკათმცოდნეთა თეორიული  
და პრაქტიკული კვლევის შედეგად: თითოეული ჰმა არის რამდენიმე მოტი-  
ვის ჯამი; „ჰმათა“ დასახასიათებლად ყველაზე მნიშვნელოვანია ინტონაციური  
საწყისი; ერთ „ჰმაში“ დაწერილი საგალობლები აგებულია ერთსა და იმავე  
ინტონაციურ მასალაზე; კილო (იგივე — „ჰმა“) უპირველესად ესთეტიკური  
კატეგორიაა. ე. ი. „ჰმა“ ესთეტიკურ მომენტს განსაზღვრავს“<sup>1</sup>. მანვე, ე. ბრა-  
უდოს შრომაზე დაყრდნობით, სადაც განსაზღვრულია რვა ხმის საგალობელ-  
თა ხასიათი, სცადა ქართული ჰიმნოგრაფიის მონაცემთა გათვალისწინებით  
„ჰმათა“ სახელწოდებების დადგენა: „ბრაუდოს მიერ დამოწმებული ჰმათა  
სახელები განსხვავდება ტრადიციული ქართული სახელებისაგან. მათი „გაქარ-  
თულება“, საფიქრებელია, ასე უნდა მოხდეს:

- ჰმაა ა — დარბაისლური, ამალღებული;
- ჰმაა ბ — შთამბეჭდავი და ძლიერი;
- ჰმაა გ — მოზეიმე (საზეიმო);
- ჰმაა დ — ამალღებული;
- ჰმაა ა გუერდი — სიბრალულის აღმძვრელი, ელეგიური;
- ჰმაა ბ გუერდი — მშვიდი, რელიგიურ-ჰვრეტითი;
- ჰმაა გ გუერდი — მწუხარე (სამწუხარო);
- ჰმაა დ გუერდი — დარბაისლურ-თხრობითი“<sup>2</sup>.

განსვენებულ მკვლევარს საკითხის საბოლოო გადაწყვეტის პრეტენზია  
არ ჰქონია, მან მხოლოდ ვარაუდი გამოთქვა ე. ბრაუდოს კლასიფიკაციაზე და-  
ყრდნობით და იგი გამოიყენა კიდევ დავით აღმაშენებლის საგალობლის ხმის  
დასადგენად. ხელნაწერულ მონაცემთა მიხედვით, იგი უნდა შესრულდეს გ  
გუერდის ხმაზე, ე. ი. სამწუხარო თუ მწუხარე ხასიათი აქვს; ჩვენი აზრით,  
ტერმინს დაუხსტება სჭირდება, შესაძლოა სამწუხაროს სჯობდეს ტერმინი  
„სინანულის აღმძვრელი“. ამას დავით აღმაშენებლის საგალობლის ხასიათი  
ადასტურებს. ოღონდ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, დავით აღმაშე-  
ნებლის საგალობელი სინანულის, წუხილის გამომხატველია, მაგრამ იგი გა-  
საოცარი ამალღებული ოპტიმისტური დასასრულით გამოირჩევა, რაც მრავალ-  
გზის აღნიშნულა სამეცნიერო ლიტერატურაში.

ზემოთ აღნიშნეთ, რომ არსენ ბულმაისიძის საგალობლები სხვადა-  
სხვა ხმაზე შესასრულებელი ჰიმნოგრაფიული თხზულებებია. თუ ზემოთ  
მოტანილ კლასიფიკაციას დავეყრდნობით, წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ  
ძირითადად ემთხვევა საგალობელთა ხასიათი ხმათა მიხედვით განსაზღვრულ  
ხასიათს. საგალობლის წარწერიდან და ანდერძ-მინაწერიდან ცნობილია, რომ  
„უფალო ღალადყავი“ შესასრულებელია დ გუერდის ხმაზე, ე. ი. იგი დარ-

<sup>1</sup> ზ. ჭავჭავაძე, ლიტერატურისმცოდნეობა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, თარგმანი,  
თბილისი, 1993, გვ. 29.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 30.



ბაისლურ-თხრობითა. მუსიკის ხასიათის კვალი უთუოდ ვლინდება ნაწარმოების ლიტერატურული ტექსტის ხასიათში და საგალობლის ძირითადი ნაწილი; როგორც ლიტერატურულ-მხატვრული თხზულება, რომელზეც გალობა უნდა შესრულდეს, სწორედ დარბაისლურ-თხრობითა. „უფალო ღაღადყავი“, „სხუანი“ „მ სასწაულს“ ძლისპირით, წარდგომის ბოლო ტროპარიც დ გუერდისა, მთელი ჰიმნოგრაფიული კანონიც დ გუერდის ხმაზე, შესასრულებელი ნაწარმოებებია და ისინი მართლაც თხრობას შეიცავენ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ანტონის მიერ საქართველოში ჩამოტანის შესახებ. მეორე „სხუანი: დ: მენეონი“, „მჯდომარე“, „სიბრძნე“, „ედემი“, „სტიქარონნი ნათელი ნათლისაგან“, „არაჲ დააკლდი“, „დღეს ქრისტე“ — დ ჯმაზე შესასრულებელია, ე. ი. ამალღებული სტილისაა, რასაც ტექსტებზე დაკვირვებაც ადასტურებს. „კონდაკი“ დ ხმისაა, ე. ი. ამალღებული სტილისა. „წარდგომაში“ სამი ტროპარია, ერთი ბ ხმაზე შესასრულებელი, ე. ი. შთამბეჭდავი და ძლიერი ხმით შესასრულებელი, ამავე ფუნქციით დატვირთული ჩანს ლიტერატურული ტექსტიც, მეორე ტროპარი გ ხმაზე შესასრულებელია — მოხეიმიე თუ სახეიმიე; მართლაც, მასში ფერისცვალების ეპიზოდია ასახული, ქრისტიანობის ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულის შესაფერი ამალღებული სახეიმიე განწყობილებით გამოხატული. საგალობლის თემა განაპირობებს მსმენელსა თუ მკითხველში სახეიმიე განწყობილების აღძვრას. მესამე ტროპარი კი არის დ გუერდის ხმისა, დარბაისლურ-თხრობითი, რაც ტექსტსაც ემჩნევა.

კანონის შემდეგ მოთავსებულ მცირე ფორმის საგალობლებს, აქვთ წარწერა, რომ ისინი ა გუერდის ხმისაა, ე. ი. ბრალდოსა და ზ. ჭავჭავაძის კლასიფიკაციით, ელეგიური, სიბრალულის აღმძვრელი. თვით გალობებზე დაკვირვება კი აჩვენებს, რომ ისინი არაა ელეგიური ხასიათისა, პირიქით, ამალღებული სტილით დაწერილი გალობებია. ამ ფაქტმა გვაფიქრებინა, რომ ხსენებული კლასიფიკაცია ხმებისა არ არის უნივერსალური. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენ მხოლოდ ლიტერატურული მასალის გათვალისწინებით შეგვიძლია მსჯელობა, რადგან მუსიკალური ფენომენის გამოუცნობლობა და შეუსწავლელობა არ იძლევა საკითხის უფრო დეტალური განხილვის საშუალებას.

საგალობელი, როგორც მუსიკალურ-ლიტერატურული ნაწარმოები, შესასწავლია კომპოზიციური თვალსაზრისით, ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არსენ ბულმაისიმისძის ყველა საგალობელი, მაგრამ მათ შორის გამოსარჩევია ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული განგება, რომელიც იწყება „უფალო ღაღადყავის“ სტიქარონით და მთავრდება „ნათელი ნათლისაგან“ ძლისპირიანი ტროპარით: საგანგებო მსჯელობის საგნად მიგვაჩნია ჰიმნოგრაფიულ კანონს დართული ჭალობა „აქებდითასა“ სახელწოდებით, რომელსაც წინ უძღვის ერთტროპარიანი „გამოავლინე“.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „გამოავლინესა“ და „აქებდითასა“ დართვა ჰიმნოგრაფიული კანონისათვის იადგართა და თვენთა აღმოსავლურ, კერძოდ სინურ და იერუსალიმურ რედაქციებს ახასიათებთ<sup>3</sup>. „აქებდითასა“ თემატურად გალობას აგრძელებს. მისი „თემატური საფუძველია ხსენების საგანი, დღესასწაულის შინაარსი. ფუძე-ფსალმუნების მოგონებას იხსავს სახელწოდება და, რასაკვირველია, ტექსტის წიაღ-კერძო, მიღმური პლასტები“<sup>4</sup>. მის შექმნას განაპირობებს ბოლო გალობების ხასიათი — სიხარულისა და ხოტბის გამომხატველი, რითაც ისინი ერთმანეთთან ახლოს დგანან. ამავე ხასიათისაა „აქებდითასა“, რომელიც უმეტესად არასრულ გა-

<sup>3</sup> ლ. კვიციანიშვილი, ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, თბილისი, 1982, გვ. 45—46.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 47.



ლობებს ან მეორე გალობის გარეშე შექმნილ კანონს ახლავს. ხშირად მონაწილეობს აკროსტიქში, თუ გალობანი აკროსტიქულია. ან თავად ქმნის აკროსტიქს, ასეთი შემთხვევა იშვიათია. არსენ ბულმაისიმისძესთან იგი არ მონაწილეობს აკროსტიქში, რაც გვაგარაუდებინებს, რომ იგი მეორე გალობის სანაცვლოდ არ შეუქმნია ავტორს. მაგრამ კომპოზიციურად კი იგი ერწყმის რვა გალობას, ავებს და ასრულებს კანონს. ლ. კვირიკაშვილის თვალსაზრისით: „ვიდრე მიქაელ მოდრეკილი და მისი თანამდგომი გალობის-მოქმედნი ძველ ხელნაწერებში მოპოვებული თუ ახლად შეთხზული მეორე ოდებით კანონთა შევსებას დაიწყებდნენ, „აქებდითსა ზედა“ დასდებლებით მოხდა უარყოფილი (მეორე) გალობის ერთგვარი კომპენსაცია. კვლავ განხორციელდა კანონში იდეა უმაღლესი მეტრისა — რიცხვისა, რომელსაც მხოლოდ აღწევენ (არ აღემატებიან) ერთეულები, ათეულები, ასეულები“<sup>5</sup>.

როგორც ცნობილია, „აქებდითსა“ ცისკრის განგების შემადგენელი ელემენტი, ხოლო „უფალო ღალადყავი“ — მწუხრისა, კანონი კი ცისკრის განგების ძირითადი ნაწილია. აქედან გამომდინარე, „აქებდითსა“ თითქმის შეერწყა ჰიმნოგრაფიულ კანონს ამ ჟანრის განვითარების ადრეულ ეტაპზე. X საუკუნეში ქართველმა ჰიმნოგრაფებმა კანონებსა და არასრულ გალობებში აღადგინეს მეორე გალობა „მოიხილესა“, ხოლო იოანე მინჩხმა „მოიხილესას“ მთელი ციკლი შექმნა. არსენ ბულმაისიმისძისათვის ეს ეტაპები ქართული ჰიმნოგრაფიისა, ცხადია, ცნობილი იყო. მას შეეძლო არჩევანი გაეკეთებინა და კანონი შეექმნა მეორე გალობის აღდგენით ან „აქებდითსას“ დართვით. მან დაურთო „აქებდითსა“; საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკულ განგებას, ზემოთაც აღვნიშნეთ, იწყებს სტიქარონით „უფალო ღალადყავი“, რაც იმის მაუწყებელია, რომ ავტორი ყოველ მცირე გალობას თავის მხატვრულ-კომპოზიციურ ფუნქციას აკისრებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „აქებდითსა“ მეორე გალობის სანაცვლოდ შექმნილი არ არის, იგი თავისი ხასიათით, თემატიკით კანონის ერთ-ერთი შემავსებელია, ისევე როგორც მის შემდეგ მოთავსებული სტიქარონი ძლისპირით „ჰ სასწაული“. ერთი მხრივ, არსენ ბულმაისიმისძემ კომპოზიციურად სრულყო ჰიმნოგრაფიული კანონი, ხოლო, მეორე მხრივ, აკროსტიქში არ მიაღებინა მონაწილეობა „აქებდითსას“, რითაც გამოხატა თავისი დამოკიდებულება ქართულ-ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული ტრადიციისადმი, რომლის მიხედვითაც ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია ხელშეუხებელია, იქნება თუ არა მასში მეორე გალობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ არსენ ბულმაისიმისძის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ მეორე ჰიმნოგრაფიულ კანონს, ასევე წმიდანინოსა და წმიდა შიო მღვიმელისადმი მიძღვნილ ჰიმნოგრაფიულ კანონებს არა აქვთ მეორე გალობა; მათ არც „გამოავლინე“ და „აქებდითსა“ ერთვით, რაც მიგვითითებს ჰიმნოგრაფის მკაცრ დამოკიდებულებას ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიციის ურღვევობისადმი. ვფიქრობთ, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი პირველი ჰიმნოგრაფიული კანონისათვის „აქებდითსას“ დართვა ლიტურგიკული აუცილებლობით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ შიო მღვიმელისადმი მიძღვნილ საგალობელში VI გალობის შემდეგ ჩართულია „იბაკოა“ და „იკოსი“, რომლებიც, ჩვეულებრივ, სრულდება კანონის მეექვსე გალობის შემდეგ, მაგრამ ჰიმნოგრაფიული კანონის შემადგენელი ნაწილი არ არის.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ჰიმნოგრაფიული განგება საკმაოდ რთული კომპოზიციის მქონე მუსიკალურ-ლიტერატურული ნაწარმოებია, რომელშიც ჰიმ-



ნოვოგრაფიისათვის დამახასიათებელი მკვევრმეტყველური მალაღფარდოვნებით, ამალღებული სტილით, ზეაწეული ინტონაციით, ბიბლიურ-ევანგელური მხატვრული აქსესუარით, სიმბოლოებითა და ალეგორიებით გადმოცემულია ძირითადი სათქმელი: საქართველო, რომელიც ბიზანტიის შემდეგ გამოირჩა ღვთისაგან, ვახდა ღირსი უფლის ხელთუქმნელი ხატის დავანებისა; სწორედ მან მოიპოვა ანტონ მარტომყოფელის ხელით „სიმდიდრედ წარუპარველად“ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ხატი ქრისტესი, რომელიც მისმა მოწაფეებმა ღვთაებრივი სახით იხილეს თაბორის მთაზე მისი ფერისცვალებისას.

არსენ ბულმაისიმისძის მეორე საგალობელიც, „თუძღლისპირნი ზესთ გამოტუქმისა ჳელით უქმნელისა ხატისანი, ესეცა არსენისგანვე თქუთულნი, კათალიკოზისა“, ჰიმნოგრაფიული კანონია, რომლის „პიროვანნი საქცეენი“ ფსალმუნისაგან „აღმოტუფრნა“ ავტორმა. ჩვენს ნაშრომში ორივე საგალობელი ერთადაა განხილული, რადგან ჰიმნოგრაფმა ისინი ერთსა და იმავე თემას მიუძღვნა.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებს აქვთ როგორც ლიტერატურულ-მხატვრული, ისე ისტორიული მნიშვნელობა, რადგან ისინი საგულისხმო და მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი არკვევენ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში ჩამოსვენების მიზეზს. არსენ ბულმაისიმისძე საბა სვინგელოზთან ერთად ასახავს ხატის საქართველოში ანტონ მარტომყოფელის მიერ ჩამოყვანის ვერსიას, განსხვავებით იოანე ანჩელისაგან, რომლის საგალობელი „გალობანი ანჩისხატისანი“ ასახავს ხელთუქმნელი ხატის ანდრია პირველწოდებულის მიერ ჩამოსვენების ვერსიას. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ისტორიას საფუძვლად დაედო უფლისა და ედესიის მეფის ავგაროზის მიმოწერა, რომლის რამდენიმე ვერსია არსებობს და რომლებიც ქართულად ითარგმნა XI—XII საუკუნეებში. ამ მიმოწერის თანახმად, იესო ქრისტეს ვენების შემდეგ უნდა გადასცემოდა ავგაროზს მანდილი, რომელზეც ქრისტეს ხატება იყო აღბეჭდილი. არსენ ბულმაისიმისძე, ცხადია, იცნობდა ქართულ და უცხოურ წყაროებში დაცულ ცნობებს. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ევსევი კესარიელი, პროკოფი კესარიელი, ევაგრე, იოანე დამასკელი, გიორგი სინკელი, თეოდორე სტუდიელი, მოსე ხორენელი, კონსტანტინე პორფიროგენეტი.

არ შეიძლება ორიოდ სიტყვით არ აღვნიშნოთ „ანტონ მარტომყოფელის ცხოვრების“ წარმომავლობის შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისი, რომ იგი ჩვენამდე გვიანდელი და ისიც სვინაქსარული რედაქციითაა შემონახული. ე. გაბიძაშვილის გამოკვლევებს თანახმად, იგი შექმნილია არსენ ბულმაისიმისძის საგალობლების შეთხზვის შემდეგ, რადგან მას აშკარად ემჩნევა ხსენებულ საგალობელთა გავლენა. ამასთან, იგი შექმნილი არ არის ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიის მიერ, იგი მანამდეა ჩამოყალიბებული.

არსენ ბულმაისიმისძის მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს ეძღვნება. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის იკონოგრაფიული ტიპი, ჩამოყალიბებული IV—V საუკუნეებში სირიასა და პალესტინაში, არის მაცხოვრის თავის გამოსახულება უბიუსტოდ, ორ ნაწინავად შუაზე გაყოფილი თეებით და მოგრძო წვერ-ულვაშით. მას ჰიმნოგრაფიულ თხზულებებში „ხატი განკაცებისა“, „პირი ღმრთისა“. „ედესის ხატი“ ჰქვია. გადმოცემის თანახმად, იგი არის

6 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბილისი, 1968, გვ. 218—225.



ედესის მაცხოვრის განთქმული „ხელთუქმელი“ ხატი, ტილოზე, ანუ მანდილზე, გადატანილი, რომელსაც „ხატი მანდილისა“ ეწოდებოდა.

არსენ ბულმაისიძის საგალობელთა მიხედვით, რომელიც უფლისა და მეფე ავგაროზის მიმოწერის აპოკრიფულ ტექსტს ემყარება, ავგაროზს მაცხოვარმა გაუგზავნა მანდილზე, ანუ ტილოზე აღბეჭდილი თავისი ხატება. ქრისტეს ნების თანახმად, თადეოზ მოციქულმა, ზოგი ვერსიით — მასთან ერთად თომა მოციქულიც იყო, ქრისტეს ვნების შემდეგ წაიღო ედესიაში. გზად მიმავალმა ღამე იეროპოლისში გაათია, სადაც სიფრთხილის გამო მანდილი ორ კეცს შუა შეუწნახავს. მეორე დღეს ნახეს, რომ მანდილიდან კეცზეც გადასულიყო მაცხოვრის სახე. სწორედ ამ კეცმა მოაღწია საქართველოში<sup>7</sup>. ავგაროზის სიცოცხლეში მანდილს, რომელზეც ღვთის ხატება იყო აღბეჭდილი, უფრთხილდებოდნენ და იცავდნენ სხვა რჯულის წარმომადგენელთაგან, აგრეთვე მწვალებელთაგან, რომელნიც ქრისტიანობას ებრძოდნენ. ჰიმნოგრაფის ლიტყვით, „ექვნებოდნენ“. ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით მწვავედ წარიმართა III—IV საუკუნეებში, რა დროიდანაც იგი უკვე სახელმწიფოებრივ რელიგიად ჩამოყალიბდა და გამოცხადდა რომის იმპერიაში (313 წლის მილანის ედიქტი, 325 წლის ნიკეის I მსოფლიო საეკლ. კრება), მას მიჰყვნენ მცირე აზიისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული სახელმწიფოები. ეს ის პერიოდიცაა, როდესაც ბრძოლა მიმდინარეობდა სხვადასხვა ერესის წინააღმდეგ, კერძოდ არიანობისა და ნესტორიანობის წინააღმდეგ. მწვავე იყო ბრძოლა VIII—IX საუკუნეებშიც, ხატმებრძოლეობის ხანაში. სწორედ ამ რელიგიური ბრძოლის ანარეკლი გამოსჭვივს არსენ ბულმაისიძის მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებში. III—IV საუკუნეების ბრძოლისას ედესია ამ რელიგიურ წინააღმდეგობათა ერთ-ერთი ცენტრალური მხარე იყო. ედესიაში კი ინახებოდა ქრისტეს მოციქულის თადეოზის მიერ ჩატანილი მანდილზე აღბეჭდილი ხატება ღვთისა. საჭირო და აუცილებელი იყო მისი განთავისუფლება ღვთისმბრძოლთაგან. ამიტომ მოვიდა შუამდინარეთიდან მამა ანტონი, რომელმაც იერაპოლიდან (ე. ი. იეროპოლისიდან) მანდილიდან კეცზე, ანუ თიხაზე, გადასული ხატება ღვთისა გამოიტაცა ნესტორიანელთა ხელთაგან და საქართველოში წამოიღო. ასურელ მამათა „ცხოვრებების“ მიხედვით, ანტონი საქართველოში VI საუკუნეში მოვიდა. აქედან გამომდინარე, არსენ ბულმაისიძის საგალობლების მონაცემთა გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მაცხოვრის ხელთუქმელი ხატის პირველსახეს, პროტოტიპს, კეცზე დატვიფრულ ხატებას საქართველოში VI საუკუნეში მოუღწევია. ამავე ვერსიას ასახავს საბა სვინგელოზის საგალობელიც. რაც შეეხება მანდილს, მაცხოვრის ხატების პირველსახეს, დედანს, იგი კონსტანტინოპოლში მოხვედრილა და 944 წლიდან დაწესდა კიდეც 16 (29) აგვისტოს ხელთუქმელი ხატის დღესასწაული, რომელსაც მთელი მართლმადიდებლური სამყარო აღნიშნავს.

არსენ ბულმაისიძის შეუქმნია ჰიმნები, საგალობლები სპეციალურად ხელთუქმელი ხატის ედესიიდან კონსტანტინოპოლს გადასვენების დღესასწაულისათვის, ე. ი. 16 (29) აგვისტოსათვის. ამასთან, ხელნაწერში აღნიშნულია, რომ საგალობლები შეიძლება შესრულდეს ანტონ მარტომყოფელის ხსენების დღეს იანვარში და აგრეთვე ფერისცვალების დღესასწაულზე, რადგან საგალობლებში მაცხოვრის ხელთუქმელი ხატის საქართველოში ჩამოსვენება შედარებულია უფლის ფერისცვალებასთან თაბორის მთაზე, როცა იესო ქრისტე თავის სამ მოწაფეს მოსე და ელია წინასწარმეტყველებთან ერთად ღვთაებრივი სახით გამოუჩნდა; არსენი ახსნა-განმარტებას იძლევა ხელთუქმელი ხა-

7 აპოკრიფი გამოსცა ნ. ჩხიკვაძემ. იხ. ჟურნ. „გზა სამეფო“, 1996, № 1, გვ. 32—72.



ტის ადგილმდებარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ „ქალაქთა მზემან (ე. ი. კონსტანტინოპოლმა) ტილოდ, ხოლო ქართლმან კეცი დაიმკვდრა სიმდიდრედ საცხოვრებელად“. მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი სასწაულომოქმედი იყო და მასზე მოგვითხრობს ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატინე“, თუ როგორ სასწაულებრივად განკურნა ხატმა დაავადებული ულუ დავითი: „და ვითარ მოეახლა მარტომყოფსა, მივიდა ხატსა მას კელითუქმარსა, რომელი თუთ გამოისახა ტრლოსა ხატისა მიერ, კეცსა ზედა. მოყვანება ბრძანა მარტომყოფისა ხატისა, და ევედრა ცრემლითა და შეუვრდა და განკურნა, ვითარ უფლისა მიერ განკურნებული ცხედარსა ზედა მდებარე“<sup>8</sup>. მეორედაც შესთხოვა განკურნება ამავე ხატს დავით ლაშასძემ, მაგრამ, რაკი ღვთისმსახურებას არ მისდევდა და მისი მეფობისას ეკლესიურმა ცხოვრებამ რღვევა იწყო, ღმერთმა მას წყალობის ხელი ააღო და მეორედ არ აღუსრულა თხოვნა: „და მგზავრმომავალსა მეფესა შეედვა საღმობა მუცლისა, და ვითარ მკურნალთა ვერ უძლეს კურნებად, მაშინ ევედრა ხატსა მას მარტომყოფისასა, და მივიდა მის წინაშე, ვითარ ჩუეულ იყო, რამეთუ პირველ ამისსა მუცლისა სნეულებითა შეპყრობილ იყო და, ვითარ მკუდარი, იღვა უსიტყუოდ, და აღედგინა ხატსა ჯორცმუნხმულისა ღმრთისასა. ხოლო აწ არღარა პოვა ღმრთისა ამისთვის, რამეთუ მოაკლო ღმრთის მსახურება და იწყო რღუევად საყდართა და შლად, ამისთვის აღილო ღმერთმან კელი წყალობისა, და პირველ წელთა მოკუდა ძე მისი პირმშო, ვიორგი, სიკეთელმბატებული, და აქა მიიცივალა დავითცა მწუხარებითა ძისათა“<sup>9</sup>.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებში არეკლილია ბიბლიურ-ევენგელური მოტივები და ქრისტეს მოვლინების წინასწარგანზრახულებები, რომლებიც განსაკუთრებული ფუნქციითაა დატვირთული ხელთუქმნელი ხატის შესაქებად. საამისოდ მას მოხმობილი აქვს ბიბლიური ეპიზოდები მაყვლის შეუწველობის შესახებ (გამოსლ. 3, 2—6), ზაქარიას წინასწარმეტყველების შესახებ (ზაქ. 9, 9), ესაიას წინასწარმეტყველების შესახებ ქალწულისაგან მაცხოვრის შობის თაობაზე (ესაია, 7, 14).

როგორც ცნობილია, ჰიმნოგრაფიული კანონის პირველი გალობა ეძღვნება ღვთის სამადლობელს, როდესაც ღმერთმა ეგვიპტელთა დევნისაგან იხსნა ებრაელი ერი, გააპო მეწამული ზღვა და ებრაელები სამშვიდობოს გაიყვანა, ხოლო მათი მდევარი ეგვიპტელები დაანთქა მეწამულ ზღვაში. არსენის „თუთძლისპირნის“ პირველი გალობაც სწორედ ამ ბიბლიური მოტივით იწყება და იგი მთელ საგალობელს წარმართავს იდეურ-მხატვრულად. პირველივე ტროპარი ღვთის შეწვევის იმედს აღძრავს მსმენელსა თუ მკითხველში: „მოზარდმან პირველ კმელქმნილმან ცემით უჩუჭველი, კძელი მზისა რჩილველ ყო სავალად ისრაილისათს, ხოლო დამფარველმან ფარაოეთმან, დაერი ღმრთისაჲ გსნილი ღაღადებდა ესრეთ: მკსნელსა ჩუენსა ცხოველსა საუკუნოჲ გალობაჲ“ (A-85, 285r), აქ მინიშნებულია მოსეს მიერ ღვთის ნებითა და დახმარებით მეწამულ ზღვაში ებრაელთა გაყვანა.

მოსე წინასწარმეტყველს არსენ ბულმაისიმისძე ამავე კანონის მეექვსე გალობაშიც ასხენებს და მნიშვნელოვან ბიბლიურ ეპიზოდს წარმოაჩენს სახეთა პარალელიზმის გამოყენებით: „დიდმან მოსე გუჭლი რაჲ აღამალა ოდესმე საკურნებელად წამლიანთაგან კბენილთა, რომელი მიმხედველთა არა განაცრუებდა, რაოდენ ქრისტეს ხატი კმა ეყოს სარწმუნოებითა სრულითა მისდაში მიმხედველთა მრჩობლ საკურნებელად“. (289 r-v). რიცხვითა წიგნი

<sup>8</sup> ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატინე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბილისი, 1987, გვ. 142.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 156.



მოგვიხრობს, როგორ განუდგნენ ისრაელელები ღმერთს და გამოდნენ მას, რადგან უდაბნოში მძიმე ცხოვრება ხვდათ წილად, მოსეს უსაყვედურებდნენ; ყოველივე ამის გამო უფალმა დასაჯა ისინი და მოუვლინა შხამიანი გველები, რომლებიც კბენდნენ ებრაელებს და ასე იხოცებოდნენ. მალე მიხვდნენ თავიანთ შეცოდებას, აღიარეს მოსეს წინაშე და სთხოვეს, რომ ეშველა მათთვის, ეკისრა შუამდგომლობა უფლის წინაშე. უფლის რჩევით მოსემ უდაბნოში აღმართა სპილენძის (რვალის) გველი, დაკბენილი რწმენით თუ შეხედავდა მას, აღარ კვდებოდა, იკურნებოდა (რიცხ. 21, 4—9). არსენ ბულმაისიმისძე მოსესა და რვალის გველის პარალელური სახის მოხმობით ქადაგებს, რომ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი მის მიმხედველთ, ე. ი. ჭეშმარიტი ქრისტიანობის აღმსარებელთ, სულისა და ხორცის მკურნალად მოევლინება. ამ ბიბლიურ ეპიზოდს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხატთაყვანისმცემელთათვის, რადგან იგი არის დასაბამი, ერთ-ერთი პირველი პარადიგმა ხატთაყვანისცემისა. ასევე მნიშვნელოვანია გამოსლვათა წიგნის ის მონაკვეთი, სადაც გამომსახველობით საშუალებებზეა საუბარი (გამოსლ. 25, 18—22); ნათქვამია, რომ ძველ აღთქმაშიც არის დაშვებული ქერუბიმთა გამოსახვა. იგი გამოსახული იყო აღთქმის კიდობანზე. ისიც ცნობილია, რომ სოლომონის ტაძარშიც იყო ქერუბიმთა გამოსახულებები. წმიდა ღვთისმეტყველი მამები ამ ეპიზოდებს იყენებდნენ ხატმებრძოლთა წინააღმდეგ და მოჰყავდათ იოანეს სახარების სიტყვები: „და ვითარცა-იგი მოსე აღამაღლა გუელი უდაბნოს, ეგრეთ ჭერ არს ამაღლება ძისა კაცისაჲ, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ“ (იოანე, 3, 14—15). ქერუბიმთა გამოსახულებებზე მინიშნებასთან ერთად ეს იყო ერთ-ერთი მტკიცე არგუმენტი ხატთაყვანისმცემლებისა ხატმებრძოლთა წინააღმდეგ.

ჰიმნოგრაფი ყურადღებას ამახვილებს ადამის მიერ ჩადენილ ცოდვაზე: „გმაჲ ფერჯთა შენთაჲ ესმა რაჲ ადამს, მოესწავა, მჯსნელო, განკაცებაჲ შენი, აღსასრულსა ჟამთასა ცთომილთათჳს, რომელი სხუა დასაბამ მექმნა. და კუალად რაჲ უხრწნელ მყავ, მომანიჭე ხატი კაცებისაჲ შენისაჲ თაყუანისსაცემელი“ (286 v). პირველცოდვის შედეგად მიიღო ადამიანმა ხრწნადი ბუნება, ხოლო მაცხოვრის განკაცებით კვლავ უხრწნელება შეიძინა; ღმერთმა თაყვანის საცემად აჩუქა კაცთა მოდგმას თავისი განკაცების ხატი. ადამის ზსენება შემთხვევითი არ არის, ჰიმნოგრაფი მსმენელსა თუ მკითხველს შეახსენებს, რომ კაცობრიობას დაუდგა ცოდვათაგან განწმენდის ჟამი, ცთომილების ჟამი დასრულდა, განწმენდას დაედო დასაბამი, რომელიც მაცხოვრის განკაცებიდან მომდინარეობს, ვინაიდან მონის ხატით გამოჩნდა, ღმერთი დამდაბლდა, რათა ადამიანური ბუნება განახლებულიყო, გასულიერებულიყო, განღმრთობის შესაძლებლობა მისცემოდა. ღმერთი განკაცდა და განსხეულდა არა ლიტონად, უბრალოდ, არამედ კაცთა, ადამიანთა სახსნელად. ღმერთმა ადამიანს ედემში მიუჩინა ადგილი, მან კი დაივიწყა მისთვის ბოძებული საკეთე და გაიხრწნა, „გაგრამ ღმერთის სიკეთე და სიყვარული თავისი შექმნილისადმი განუზომელია, რის გამოც მიიღო მან „მონისა ხატი“ და მოევლინა ქვეყანას ადამიანის სულის გადასარჩენად: „მინებე რაჲ შენ მე მცირედ სოფლად, ედემს შინა დადგინებულმან უხრწნელად, განვხრწენ მოცემული ჩემდა, ხოლო შენ, თჳსსა მპყრობმან, უცვალელებლად მონისა მორფი შთაიცი და კუალად უხრწნელ მყავ. ამისთჳსცა მას თაყუანის-ვსცემ, ქველის მოქმედო“ (285v). არსენ ბულმაისიმისძემ თავად იტვირთა პირველქმნილი, ედემს დადგინებული ადამიანის პირველცოდვა, საერთოდ მთელი კაცობრიობის ცოდვები, რაც მის უდიდეს პიროვნულ პასუხისმგებლობას ადასტურებს. ამ მხრივ მას მეტად ღირსეული წინამორბედი და მისაბამი მაგალითი ჰყავდა დავით აღმაშენებლის სახით.



მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ მეორე ჰიმნოგრაფიულ კანონში, „თჳთღლისპირნი“, არსენ ბულმაისიმისძემ გამოიყენა კიდევ ერთი საინტერესო ბიბლიური მოტივი. ესაა ვეშაპის მუცელში მყოფი იონა წინასწარმეტყველის ვედრება ღვთისადმი, რომელმაც შეისმინა მისი და იხსნა განსაცდელისაგან. (იონა, 2, 3—10): „საკრველად ტურთულ იქმნა რაჲ დიდი იგი წინასწარმეტყუელი მუცლითა ვეშაპისაჲთა. ვმობდა: მივსენ, მ ღმერთო, მსწრაფლ განარინე იგი და მეცა გივმობ შენ, მაცხოვარო ჩემო, მივსენ ქუ-მსკენელისა ჯოჯოხეთისა მათ მწარეთა განმკსნელთა საკრველთაჲთ“ (289r). ჰიმნოგრაფს იონას თემის წამოწევით სულის ხსნის, გადარჩენის იდეა აქვს ნაგულისხმევი; როგორც იონას წინასწარმეტყველებაშია მოთხრობილი, იონა სამი დღე იყო ვეშაპის მუცელში და იგი აღდგომის პარადიგმად არის მიჩნეული წმიდა მამათა მიერ. არსენ ბულმაისიმისძისაგან მაცხოვრისადმი მიმართვა არის ავტორის სულიერი სიმადლის, ზნეობრივი სისრულის გამოხატულება. მართალია, იგი მხოლოდითი რიცხვის ფორმით მიმართავს ქრისტეს, მაგრამ ეს არის არა რომელიმე პიროვნების, კონკრეტული სუბიექტის დამოკიდებულება ღმერთისადმი, არამედ პიროვნებაში გაერთიანებული მთელი საზოგადოებისა, მთელი კაცობრიობისა. ჩვენამდე მოღწეული ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, არსენ ბულმაისიმისძე ერთ-ერთი გამოჩენილი და ფრიად ღირსეული პიროვნება იყო. თანამედროვენი მის აზრსა და ყოველგვარი საქმისადმი დამოკიდებულებას დიდ ანგარიშს უწევდნენ. ამის დასტურია რუტუდანის მიერ ჯალალედინთან მოსალაპარაკებლად აავისი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის, უპირველესი ვაზირის, და საქართველოს კათალიკოსის არსენ ბულმაისიმისძის წარგზავნა, ამის დასტურია აბუსერისძეთა თხოვნა, „შეხვეწა“ და იძულება საგალობლების შესაქმნელად. ამის თქმა საჭიროდ მივიჩნიეთ იმის გამო, რათა უკეთ წარმოგვეჩინა არსენის ზნეობრივი სახე.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული მართებული თვალსაზრისით, დავით აღმაშენებელი თავის ჰიმნოგრაფიულ თხზულებაში მოგვევლინა კაცობრიობის ცოდვათა თავსმდებად. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს და იგი ფსალმუნურ მოტივთა, უფრო ზოგადად ბიბლიურ მოტივთა განვითარებად მიგვაჩნია, რომელმაც, თავის მხრივ, სახარებებში ჰპოვა ტრადიციული გაგრძელება, რადგან ქრისტე—ძე ღმერთი იყო პირველი, ვინც შეუდარებელი სიმდაბლის მაგალითი აჩვენა. „მონისა ხატითა გამოჩნდა“, მან იტვირთა და გამოისყიდა კაცობრიობის ცოდვები. ამიტომ საგალობლებში, რომლებიც ევანგელურ-აპოსტოლურ კრადიციათა გაგრძელება-განვითარებად გვევლინებიან, სიმდაბლისა და სისადავის მოტივი უმნიშვნელოვანეს ადგილს იჭერს. არსენის საგალობელი ამ ფსალმუნურ-ევანგელურ მოტივს ასახავს: „სიტყუაო ღმრთისაო, აღმსობილნი შენდა გუაცხოვნენ, სახიერ; რომელმან სიმდაბლით ცანი მოსდრიკენ, ვიდრე სიგლახაკისა ჩუენისა შთამოსრულმან, მეუფეო, და მშუდობაჲ შენი მომეც ჩუენ“ (288v).

თავმდაბლობის საოცარ მაგალითს უჩვენებს ქრისტე, ძე ღმერთი, სიტყუაჲ ღმრთისაჲ, რომელმაც კაცქმნა, განხორციელება უღირსობად არ მიიჩნია, ადამიანური ხატის მიმღები კაცობრიობის ცოდვათა მტვირთველად გამოჩნდა და მას განღმრთობის შესაძლებლობა მისცა: „სიტყუაო, ვადიდებ ღმრთივ-შუჴნიერსა მაღალსა სიმდაბლესა შენსა, რომელი ჩემთჳს თავს-იდეგ, და კაცებაჲ არა უღირს-იჩინა, ხატისა ჩემისა მიმღებმან განაღმრთვე იგი. ამისთჳს შენსა თაყუანის-ვსცემ ხატად ქრისტეს ღმრთისა ჩემისა“ (286v). არსენ ბულმაისიმისძე, საკუთარ თავს კაცობრიობის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს და მის ცოდვებს თავადაც ინაწილებს, ამიტომ მიმართავს მაცხოვ-



რის ხელთუქმნელ ხატს, რომელიც სასწაულთმოქმედებით გამოირჩევა, რომ იხსნას ქართველთა სამეფო.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებში მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ქებას უშუალოდ უკავშირდება მაცხოვრის ფერისცვალების თემა, რომელსაც ორსავე ჰიმნოგრაფიულ კანონში და მცირე ფორმის საგალობლებშიც საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ხელთუქმნელი ხატის საქართველოში ჩამოტანა ანტონ მარტომყოფელის მიერ საგალობლებში შედარებულია მაცხოვრის ფერისცვალებასთან, როდესაც იგი მოწაფეებს თაბორის მთაზე ღვთაებრივი სახით ეჩვენა. როგორც A — 85 ხელნაწერის ანდერძი მივითითებს, „დღესა ფერისცვალებასა ვემთხუჭვით კეცსა ზედა გარდამოტუფრულსა ტილოზა მიერ“, ე. ი. არსენის საგალობლებიდან ზოგიერთი ტროპარი ფერისცვალებას დღესასწაულზე შესასრულებლადაც იყო გახუთვნილი. ტროპირი, რომლის ძლისპირია „სიბრძნემან ღმრთისამან იშენა“ (ხელნ: „სიბრძნე“), საზეიმო გუნჯობილებითა და ამღლებული სტილით გადმოგვცემს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში შემობრძანებას, რომელიც სიმბოლურად თაბორის მთაზე ფერისცვალებას ჰგავს: „დღეს სიხარულითა აღვიგნეთ, დღეს წყალობაჲ ღვთისაჲ მოგუწინიჭა, დღეს ცხორებისა წინდი მოგუწეცა, დღეს სულნელ იქმნა ეკლესიაჲ და ზეზი და ფარფირი შეიმოსა და მეუფებრივი პატივი მიიღო, რამეთუ წმიდაჲ ხატი ქრისტეს ღმრთისაჲ შე[ი]წყნარა, რომელთა თაბორს ეჩუწნა მოწაფეთა ღმრთეებისა დიდებითა განბრწყინებული და ღვთისმბრძოლთა საძაგელთა მწვალებელთაგან ანტონი საკვრველმან დავეუნჯა გოდლად საძღვევლად მტერთა და სიმტიცედ მართლმადიდებელთა მეფეთა სკობტრისა ძალად მღღელთმოძღუართა მართლმკუთხელობად და გლახაკთა სიმდიდრედ და ყოვლისა ერისა შემწედ და კელის ამპრობლად“ (279r). სხვა ტროპარებში უფრო დეტალურადაა სახარებისეული მოტივები შენარჩუნებული: „განათლდი დღეს, განათლდი შირსაწლო. გახარებთ, ღმრთისა მხილველო. შენ ზედა გამობრწყინდა დიდებაჲ ღმრთისაჲ თაბორს მოსეს თანა და ელიას ხილული მამისა ღმრთისა ხატი მარჯუენც ძალი და ბრწყინვალეობა უცვალებელი, რომელი გარდამოტუფრვით მოგუწეცა კელით უქმნელი საშინელებად მტერთაჲ გამოჯსნა ჩუენი“ (279v). პირველად ღვთაებრივი სახით მოსე და ელია წინასწარმეტყველებთან ერთად გამოუჩნდა მაცხოვარი თაბორის მთაზე თავის სამ მოწაფეს, ხოლო თავისი ხატის, ღმრთიფეშენიერ ხატის ადამიანთათვის მინიჭებით განაახლა ადამიანური ბუნება: „რომელი ეჩუწნე პირველ მთასა ზედა მოწაფეთა შენთა მოსეს და ელიას თანა განბრწყინებული ხატი შენი, ქრისტე ღმერთო, და აწ კუალად ჩუენცა, ცოდვილთა, ვჩუწნე დიდებით ღმრთიფეშენიერი ხატი შენი. მის მიერ მოგუანიჭე ყოველთა შენი წყალობაჲ, კაცთმოყუარეო, და გუაცხოვნენ ჩუენ“ (280v). სხნეთა პარალელიზმით გამოირჩევა პირველი ჰიმნოგრაფიული კანონის „უგალობდითსას“ მესამე ტროპარი, რომელშიც ბიბლიური და ევანგელური გამოცხადებებია შედარებული ანტონისაგან საქართველოში ხელთუქმნელი ხატის შემოტანასთან. როგორც სინას მთაზე, ღრუბლითა და ნისლით დაფარულზე, ღმერთი გამოეცხადა მოსეს და მისცა მცნებები, თაბორის მთაზე ქრისტეს სამმა მოწაფემ მოსესთან და ელიასთან ერთად იხილეს ღვთაებრივი სახით მაცხოვარი, ასე შემობრძანდა ჩვენში ხატი უფლისა, რომლის თაყვანისცემა უზმს ყოველ მორწმუნეს: „სინას ღრუბლითა და ნისლითა და თაბორს დიდებით განცხადებული ძისა ღმრთისა ხატი, თვით უცვალებელი იგი სახე დღეს შემოვალს ჩუენდა მეუფე, კელითა ნეტარისა ანტონისითა, რომელსაცა მივეგებნეთ სურვილით და ძრწოლით ამბორს უყოფთ“ (281r).



საღვთისმეტყველო ლიტერატურის მიხედვით, ღმერთის ხილვა შეუძლებელია, იგი თავისი ბუნებით უხილავია, არსენ ბულმაისიმისძე ღვთისმეტყველთა ნააზრევს მისდევს და აღნიშნავს, რომ ღმერთის ხილვა ღვთაებრივი ბუნებით ადამიანისათვის შეუძლებელია, მიუწვდომელია, მხოლოდ ქრისტეს განკაცებით და პირმშოსაგან მამეული („მამულისა“) ხატის ხილვით შეიძლება ღმერთის ბრწყინვალეობის განცდა: „ღმერთი არაა იხილვის ბუნებითა ღმრთეებისადათა, არამედ ჩუენ ქრისტემან მამულისა ხატისა რაოდენ დავიტევდით, ბრწყინვალეობასა ღირს გუყვნა თაბორს ხილვად მხილველნი“ (282 r). საღმრთო ხილვას უკავშირდება მაცხოვრის ფერისცვალება თაბორის მთაზე და ღვთაებრივი სახით წარდგომა; ელიასა და მოსეს ღმერთი თაბორის მთაზე, ღმერთად გამოჩნდა: „ელიას და მოსესგან ღმრთად აღსარებული თაბორს ნუფუჲ მამისა დიდებითა განბრწყინვებულ დღეს უცვალებელად ყოვლად უხრწნელსა ხატსა თუსსა მოგუანიჭებს ედესით კეცსა ზედა ტილოჲსა მისგან გარდამოტყფრულსა“ (282r). თაბორის მთაზე მაცხოვრის ღვთაებრივი ბუნებით ხილვა არის ხილვა ღმერთისა საერთოდ, სხვა ჰიპოსტასებთან ერთად — მამასთან და სულიწმიდასთან ერთად. ქრისტეს განკაცებამდე, ძე ღმერთის ხორციელქმნამდე ხატი ღვთისა ადამიანათვის უცნობი იყო, ხოლო შემდეგ კი ღმერთისა და კაცის ბუნების შერწყმით „ღმრთეებისა ბუნებითა შეუხებელი გარეშეწერილ იქმნა დამბადებული სიტყუაჲ ბუნებით ღმერთი“.

ევანგელური მოტივები არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებში წარმოჩენილია სახეტა პარალელიზმებით. „თვთლისპირნი“ ქრისტეს ცხოვრების ეპიზოდებს თანმიმდევრულად ასახავს, შობის შემდეგ მირქმის ეპიზოდს ეთმობა ერთი ტროპარი; აღწერილია, როგორ აიყვანა სვიმეონმა ჩვილი ქრისტე ტაძარში მიყვანისას, რაზეც ლუკას სახარება მოგვითხრობს (ლ, 2, 25—39). არსენის ეს თხზულება გვაუწყებს, ვინც სვიმეონმა თავისი მკლავით იტვირთა და ანნა წინასწარმეტყველმა ღმერთად იქადაგა, სწორედ მისი ხატი მოევლინა კაცობრიობას: „რომელი-იგი სვმეონ მკლავითა იტვრთა ტაძრად მოყვანებული, და ანნა ზესთ საუკუნეთა ღმერთად ქადაგა იესუ ქრისტე, მკსნელი ნათელი სოფლისაჲ, დღეს ნათელი პირისა მისისაჲ ხატი მისი თვთ დაწერილი, შიშით და ძრწოლით შევიტკობთ“ (291v). ჰიმნოგრაფის სიტყვით, ქრისტე იოანე ნათლისმცემლისაგან იქნა ნათელღებული და მისი ხატი ღმერთის ხატად უნდა ვაღიაროთ: „რომელი იორდანესა იოვანეს კელთაგან თავდადებულ იქმნა და მამაჲ ზეცით წამებდა ძედ საყუარელად, და სული სათნო-ყოფვოდა სრულსა ღმერთსა და ჩუენთს კაცქმნილსა მოწყალებით; [...] ხატი მისი ქრისტეს ღმრთისად აღვიაროთ“ (291v).

სიმბოლური აზრითაა დატვირთული ტროპარი, რომელშიც იოანე ღვთისმეტყველი „მკერდსა მკადრედ“ არის მიჩნეული და რასაც წმიდა მამები განმარტავენ თავიანთ ეგზეგეტიკურ თხზულებებში. არსენ ბულმაისიმისძის საგალობელი, ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, მოკლედ და მინიშნებებით მიუთითებს იმას, რომ „მკერდსა მკადრე“ იოანე ღვთისმეტყველი-მასხარებელი ქრისტეს საყვარელი მოწაფეა და მისივე სახარების სიტყვებს იმოწმებს: „რომლისაჲ-იგი მკერდსა მკადრემან სიტყუსა დაუსაბამობაჲ თქუა, ღმრთისათანა მყოფისაჲ, თუსთა მომართ მოსლვაჲ, რაათა თუსნი აცხოვნეს, ესე შემწყნარებელთა ჩუენ შორის მოკარვე მოგუანიჭებს თვთ ხატსა თუსსა ღმერთი იესუ“ (285v). ტროპარში იოანეს სახარების პირველი მუხლის პერიფრაზია მოცემული: „პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“ (იოანე, 1,1). ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იოანე ღვთისმეტყველი იყო ქრისტეს საყვარელი მოწაფე, რის გამოხატულებად მიიჩნევენ ღვთისმეტყველი მამები იოანეს მიყრდნობას.



უფლის მკერდზე, რაზეც მახარებელი თავად მოგვიტოხრობს საიდუმლო სერო-  
ზის ეპიზოდის ასახვისას: „და იყო ერთი მოწაფეთა მისთაგანი მიყრდნობილ  
წიაღთა თანა იესუმსთა, რომელ-იგი უყუარდა იესუს... ხოლო იგი მიეყრდნა  
იესუმსსა და ჰრქუა მას“ (იოანე, 13, 23, 25).

იოანეს ქრისტეს მკერდს მიყრდნობის სახარებისეული ეპიზოდი განმარ-  
ტა იოანე ოქროპირმა თხზულებაში „განმარტება იოანეს სახარებისა“, სადაც  
ნათქვამია, რომ მასში ღრმა და ფარული აზრია ჩადებული; ეპიზოდის მიხედ-  
ვით, იოანე ღვთისმეტყველი ორგვარად წარმოისახება, ერთი მხრივ, როგორც  
ქრისტეს საყვარელი მოწაფე, მეორე მხრივ, ღმერთის შეცნობის მოწადინებელი<sup>10</sup>.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებში დამოწმებულია მოციქულთა და  
ღვთისმეტყველთა ქადაგებები. ამ თვალსაზრისით, მოციქულთა და ღვთისმე-  
ტყველთა პერიფრაზირებით გამოირჩევა „თვძლისპირნის“ ვალობა „ღამით-  
განსა“. ჰიმნოგრაფს დამოწმებული აქვს ლუკა მახარებლის მოძღვრება ქრის-  
ტესა და ღვთისმშობლის ხატთა უბიწოების შესახებ: „მახარებელმან ლუკა  
დაგვწერა ქრისტესი ღვთისმშობელთა ხატნი ყოვლად უბიწონი, ხოლო მსახურთა  
სიწმიდისათა თაყუანისსცეს და ესრეთ გვქადაგეს ქმნად მათ მიერ ემბაზით  
შობილთა“ (288v); საგალობელში მოხმობილია იოანე ოქროპირის შეხედუ-  
ლებანი ქრისტეს ხატის მსახურებისა და თაყვანისცემის აუცილებლობის შე-  
სახებ: „იოვანემან ოქროსა სეხნამან ცულ დასხმულისა რაჲ წერილისა შე-  
ყუარებაჲ ბრძანა, ქადაგა ქრისტეს ხატისა მსახურებაჲ თაყუანისცემით, რა-  
მეთუ თუთ მის ღმრთისადმი აღიწვევის“ (იქვე); გრიგოლ ღვთისმეტყველის  
თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ხატებთან უცრემლოდ, ე. ი. სინანულის  
გარეშე, მისვლის უფლება არავის აქვს, ყველამ სრული გონებით უნდა სცეს  
პატივი და თაყვანი: „გრიგოლი ნესტუმან ღმრთისმეტყუელებისამან მიმხედ-  
ველმან ხატთა წმიდათასა თან ვერ წარსლვაჲ თნიერ ცრემლთა ბრძანა და  
დაგვწერა ჩუენ სურვილით პატივისცემაჲ მათი სრულითა გონებითა“ (იქვე).  
არსენ ბულმაისიმისძემ, დაიმოწმა მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების  
(680 წ.) გადაწყვეტილება ქრისტეს განგებულების დახატვის შესახებ „ფერთ-  
მოქმედებით“, რაც მტკიცედ უნდა იქნეს დაცული.

საყურადღებოა, რომ ჰიმნოგრაფი თავის საგალობლებში გმობს გამცემს,  
ერთ-ერთ თორმეტთავანს, რითაც ზოგადადაა დაგმობილი გამცემლობა, სულ-  
მოკლეობა, გულარძნილობა: „ნუშცა ვინ არს იუდაებრ პირითა ურცხვნო, სუ-  
ლითა გლისჲ და გულარძნილ, რამეთუ საზარელისა ამის საიდუმლოსა მიერ  
ქრისტეს ღმრთისა ხატისა წმიდისა ვითარ ღირსნი ვცხონდებით შეხებითა  
მისითა, კუალად უღირსნი საუკუნოდ წარწყმდებიან“ (292r).

არსენ ბულმაისიმისძე საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ერესთა გმობასა  
და უარყოფას, წყევლა-კრულვას უთვლის მათ. ფსალმუნური ფრაზეოლო-  
გიით კიცხავს: „აექუნ სასასა ენაჲ, რომელნი შენ არაჲ თაყუანისცემენ,  
ღმრთიებრწყინვალეო ხატო ქრისტეს მეუფისაო, დაიყავნ პირი მათი, რო-  
მელნი არაჲ აღვიარებენ პირმშოჲსა მის ღმრთიეშუჭნიერსა კორცმოსილები-  
სა თანა შეერთებულსა, ვითარცა მისგან გარდამოტვფრულსა ერთად პატივით  
და ქადაგებით და აღსაარებით“ (282r).

ისეთი ღვთისმშობლავი, განათლებული და დახვეწილი ლიტერატურული  
გემოვნების მქონე ჰიმნოგრაფი, როგორცაა საქართველოს მწყემსთმთავარი,  
ვაზირთა უპირველესი — ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი არსენ ბულ-  
მაისიმისძე, დაუნდობელი და მკაცრია არამართლმადიდებელთა მიმართ:  
„არამართლმადიდებლობით მიმხედველთა უხრწნელსა ხატსა შენსა ეწიენ ბუგ-

<sup>10</sup> იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, II, თბილისი, 1993, გვ. 197—200.



რი განმხრწნელი, ნაწლევათ ღმობაჲ გარდაედევინ თუალთა ბნელი უნათლოჲ, ნათელო და სიტკბოებათ და მკსნელო ჩემო ქრისტე ღმერთო“ (288r). ღვთისმბრძოლთა ამგვარი გმობა ჰიმნოგრაფიისათვის უცხო არ არის. აქ შეიძლება იოანე შავთელის საგალობლის გახსენება, რომელშიც დაგმობილია ერეტიკული მიმდინარეობები — ორიგენიზმი, არიანელობა და ნესტორიანობა. არსენ ბულმაისიმისძე ღვთის მგმობთ და მწვალებელთ იმ ჰურიებს აღარებს, რომელთაც ვერ იცნეს ქრისტე, ძე ღმერთი: „ურწმუნონო, დამამჯობელნი თქუენნი ვითარ ბოროტად ღმრთის მბრძოლთანი, რომელთა ეგუ აღიფრტუნვეთ საზღაური მამათაჲ ჰურიებრ“ (288r). ჰიმნოგრაფი მიმართავს მართლმადიდებელ მორწმუნეთ, რომ ჰურიათა მსგავსად კი არ დაგმონ სიმდაბლე ღვთისა, არამედ ღმრთივეგონიერ ყრმებთან ერთად ოსანნას ღაღადებდნენ. ყრმების ხსენებით მინიშნებულია სამი ყრმის გახურებულ ბრძმედში ჩაგდება ნაბუქოდონოსორის მიერ, საგალობელში გამოყენებულია სახეთა პარალელიზმი ძირითადი სათქმელის გამოსახატავად: „ნუ ჰურიებრ ჰგმობ სიმდაბლესა, არამედ ყრმათა თანა ღმრთივეგონიერთა ოსანნასა ღაღადებდი, სამოსელთა წილ მიმფენი მართლადსარებასა“ (284r). სამოსლის მიფენით ბზობის საუფლო დღესასწაულია სიმბოლურად წარმოსახული.

არსენ ბულმაისიმისძე ასახელებს იმ კონკრეტულ პიროვნებებს, რომელთა გმობას მოითხოვს ყველასაგან. მან შეაჩვენა და წყევლა-კრულვა შეუთვალა V საუკუნის მოღვაწეებს ევტიქისა და დიოსკორეს, რომელნიც იყვნენ მონოფიზიტური მიმართულების სულისჩამდგმელნი. კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი მონასტრის არქიმანდრიტი ევტიქი მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილეც კი იყო, სადაც იგი კირილე ალექსანდრიელის მომხრედ და ნესტორის მოწინააღმდეგედ ჩანდა. მაგრამ თანამედროვენი და საეკლესიო კრებების აქტები მას მოიხსენიებენ შერყეული მართლმადიდებლური რწმენის მქონედ, ხოლო მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ გამოკვეთილ მონოფიზიტად. მას, საკმაოდ ხანდაზმულს, 70 წლისას. 448 წელს კონსტანტინოპოლის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე ერეტიკოსობაში დასდეს ბრალი. კრებაზე სპეციალურად მოიხმეს, მაგრამ გვიან გამოცხადდა და თავის მართლებას შეუდგა. ერთი შეხედვით, იგი იზიარებდა კირილე ალექსანდრიელის შეხედულებებს, მაგრამ მისი თვალსაზრისი მონოფიზიტური იყო, კირილეს ნააზრევს ცალმხრივად წარმოაჩენდა, ციტატები კირილეს თხზულებებიდან აქა იქ ჰქონდა ამოგლეჯილი, რის გამოც მოძღვრება ერეტიკულად ჩანდა. კრებამ ევტიქი ამხილა ერესში, განსაჯა და განკვეთა. რამდენიმე საპატრიარქო კრება ლეგიტიმურად არ მიიჩნია და მისი გადაწყვეტილებები არ გაიზიარა, რასაც მოჰყვა 449 წელს ეფესოში საეკლესიო კრების მოწვევა, რომელიც ეკლესიის ისტორიაში „უაჩალთა კრების“ სახელითაა ცნობილი. V საუკუნის 30-იან წლებში მიღწეულ ერთიანობას, უნიას, საფრთხე დაემუქრა. მას ძლიერი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რომელსაც მეთაურობდა ალექსანდრიის ემდროინდელი პატრიარქი დიოსკორე, თავისი წინამორბედის — კირილეს შეხედულებათა მოწინააღმდეგე და გამყალბებელი. დიოსკორე მიემხრო ევტიქის და მონოფიზიტური მიმართულების აქტიური დამცველი გახდა. „უაჩალთა კრებამ“ შეაჩვენა ისეთი საეკლესიო მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქი ფლავიანე, ანტიოქიის პატრიარქი დომნი, თეოდორიტი კვირელი, ივა ედესელი, ტირის ეპისკოპოსი ირინეოსი და სხვანი. მაგრამ მონოფიზიტთა ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა, თუმცა ისინი შემდეგშიც აქტიურად იბრძოდნენ თავიანთი შეხედულებების გასავრცელებლად და განსამტკიცებლად. 451 წლის ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებამ



დაგმო „ყაჩაღთა კრების“ გადაწყვეტილებები და აღადგინა იმ პირობა პატივი, დიოსკორემ რომ აპყარა<sup>11</sup>.

ასევე გმობს არსენი ყველაზე გამოკვეთილ ხატმებრძოლს, ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე მეხუთესს, ლეონ ისავრიელის ძეს, რომელიც კობრონიმის სახელითაა ცნობილი, რაც სკორეს მოსახელს ნიშნავს ბერძნულად. იგი ხატთაყვანისმცემელთა მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. დახურა ეკლესიები, მიითვისა მათი ქონება, ებრძოდა ბერ-მონაზვნებს, შემწყნარებლობას იჩენდა მწვალებელთა მიმართ. კონსტანტინე კობრონიმს არსენ ბულმაისიმისძემ სახელგნენში უწოდა, რითაც შემორჩა იგი ისტორიას. ხატმებრძოლთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა წარმართეს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ტარასიმ და რომის პაპმა ადრიანე პირველმა, რომელთა დამსახურება იყო მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ხატთაყვანისმცემლობის აღდგენა.

ამრიგად, არსენ ბულმაისიმისძემ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებში წარმოაჩინა მართლმადიდებლური მიმართულების ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის. მან დაგმო ყოველგვარი ურესი, კერძოდ, მონოფიზიტობა და ხატმებრძოლეობა. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს პრობლემა დასმული იყო სწორედ ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებში.

არსენ ბულმაისიმისძის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებში განხილვის ღირსია საღვთო სახელები და მათზე დამყარებული წმინდანთა ატრიბუტები, ღვთისმშობლის სიმბოლოები. რომლებიც ტრადიციულად საღვთისმეტყველო ლიტურატურაში გამოიყენებოდა. აქედან გამომდინარე, საგალობლებში მოხმობილია როგორც ერთარსება სამების, განუყოფელი ღმერთის არსობრივი, ისე სამების წევრთა ჰიპოსტასური სახელები.

არსენის „თვთლისპირნის“ რვავე გალობის „დიდებამს“ მომდევნო ტროპარი ერთარსება სამებას ეძღვნება და ძირითადად მისი არსობრივი სახელებით მიმართავს მას. მაგალითად, „უგალობდითასა“ ბოლოსწინა ტროპარში ღმერთი დახასიათებულია როგორც განუყოფელი, ერთბუნება, ერთხელმწიფება, მარტივი, მიუწვდომელი: „ღმერთმთავრობითსა სამ მზესა ერთსა, სამგუამოვნად განვჰყოფ განუყოფელსა, ერთ-ბუნებასა, ერთ-ველმწიფებასა და მარტივსა მიუწვდომელად, ვითარცა თანშემოსლგაჲ მამათაჲ მ[.]ასწავებს ღმრთივ აღძრული, სიონის მსგავსი, სულ-მობერილი“ (286რ). ღვთის ერთ-ერთი სახელი „ნათელი“ ერთდროულად არსობრივიცაა და ჰიპოსტასურიც: „ნათელთა ნათელსა ნათელთ მფლობელსა ცხოველთა და ცხოველსა ცხოველთმომქმედსა ღმერთმთავრობითსა სიმტკიცესა უგალობ მამისა და ძისა და სულისა ყოვლად წმიდისა ერთბუნებად აღმსაარებელი სამგუამოვნასა თაყუანის ვსცემ“ (287რ). აქ ნათელი ერთარსება სამების არსობრივი სახელია. გალობაში „მესმასა“ სამება საოცარი ამაღლებული სტილითა და ესთეტიკური მშვენიერებითაა წარმოსახული, ერთი და იმავე სიტყვის მრავალგზის გამეორებით ღმერთის სიდიადეა ნაჩვენები. „ზეშთამთავარსა სამებასა, ზესთ სახიერსა, ზეშთ გამოუთქუმელსა, ზესთ ძალსა, ზეშთ ველმწიფესა, ზესთ დასაბამსა, ზეშთ არსსა და ზეშთა აღმატებულსა, ზეშთა ცნობისა სამგუამოვნებით და ერთბუნებად ღმრთისვემტყუტლებდეთ“ (288რ).

<sup>11</sup> Лебедев А. П., Вселенские соборы, т. III, 1896 г; т. IV, 1904 г; Поснов М. Э., История христианской церкви, Киев, 1991; Гальберг Н., История христианской церкви, Москва, Нью-Йорк, 1991; გვ. 156 — 160.



ღმერთის არსებისადმი მიმართული ტერმინები, სახელები, ფსევდოდონისე არეობაგელის მოძღვრების მიხედვით, „შეერთებული ღვთისმეტყველების“ კუთვნილებაა, რასაც არსენ ბულმაისიმისძის საგალობელი ზედმიწევნით ასახავს: „ზეშთ შემკობისა მაქუს ჩუენ დიდებაჲ ერთი, ზეშთ ჟამისა სამებისაჲ, რამეთუ შეერთებისა უპირველესვე განვჰყოფთ და მასვე შევაერთებთ სამსა გუამითა, და ერთსა ბუნებითა ერთ ღმრთეებად ვჰმონებთ, ერთ უფლად, ერთ ძალად, ვითარცა გუასწავებს მწყობრი ღმრთისმეტყუჴლთაჲ“ (290r). ამრიგად, არსენ ბულმაისიმისძე ცნობილ ღვთისმეტყველთა შრომებში გამოყენებული საღვთო სახელებით მიმართავს, ღმერთს — ერთარსება სამებას, განუყოფელს, ერთღმრთეებას, ერთ უფალს, ერთ ძალას, ერთხელმწიფეებას, სამ მზეს; საგალობლებში იგი მოიხსენიება, აგრეთვე, როგორც ღმერთმთავრობითი, რომელიც არსობრივი სახელია და პარალელურად ჰიპოსტასურბრცაა, იგი მამა ღმერთის სახელადაც გვხვდება. ბოლო ორ გალობაში — „აკურთხევდითსა“ და „ადიდებდითსა“ ჰიმნოგრაფი მიმართავს ღმერთს, როგორც განუყოფელ ერთს: „მ სამებაო მარტივო, შეუძრველო ძალო, უქცევლო საზღუარო, უთქუმელო სიმტკიცეო... ყოველთა ღმერთო ღმერთმთავრობათაო“ (292r); „მ მეფეთა მეფეო და უფალთა მფლობელო ღმერთო ღმერთმთავრობაო, სამებაო წმიდაო“ (293r). ღმერთი არის „მჴსნელი ჩუენი ცხოველი“ (285r), იგი „უხილავ არს ძალთაგან ზეცისათა ბუნებითა ღმრთეებისა თჴსისაჲთა“ (280v).

არეობაგეტიკის მიხედვით, სამების ყოველი ჰიპოსტასი თანასწორია, თანარსია, რის გამოც ისინი მოიხსენიებიან როგორც მამა ღმერთი, ძე ღმერთი, სული წმიდა ღმერთი. ჰიპოსტასურ სახელებს ღვთისმეტყველი განყოფილს უწოდებს: „განყოფილისა ღმრთისმეტყუჴელებისა“, რომლის მიხედვით, საღვთო სახელები მხოლოდ ჰიპოსტასებს მიეკუთვნება. მაგალითად, უშობელობა არის მამა ღმერთის სახელი და არ შეიძლება მისი მიკუთვნება ძე ღმერთისა ან სული წმიდისათვის; შობილი არის ძე ღმერთის სახელი და არასოდეს მამა ღმერთისა და ან სული წმიდისა; გამომავალი მხოლოდ სული წმიდაა და სხვა ჰიპოსტასი — არავითარ შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, საღვთო სახელები განყოფილიცაა, შეერთებულთან ერთად.

მამა ღმერთი არსენის საგალობლებში ტრადიციული „განყოფილი“, ჰიპოსტასური სახელებითაჲ მოხსენიებული: „მამული დიდებაჲ“, „ბრწყინვალებაჲ მამულისა მის დიდებისაჲ“, „ღმერთ-მთავრობითი დამბადებელი ყოველთა არსთა“, „ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ უხილავი ყოველად მიუწოდომელ არს“, „ღმრთეება დაუსახველი“.

სული წმიდა მოიხსენიება როგორც სული ღმერთმთავარი: „განცდად ვერ უძლავს უ[.]ცნოსა მას ძალსა მიწისა გონებასა, თუ ვითარ ძე იშვების, ვითარ სული გამოვალს და კუალად ერთ არს მარტივი სამებაჲ მამაჲ და ძე და სული ღმერთმთავარი“ (289r).

როგორც მოსალოდნელი იყო, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებში განსაკუთრებული სიუხვით ქრისტეს სახელები გამოირჩევიან. მათგან ნათელი ძე ღმერთის სახელიცაა, ამავე დროს განუყოფელ ერთარსებასაც მიემართება. ძე ღმერთი არის სჯიერი, მეუფე, არსთა ყოველთა მფლობელი, მხსნელი, სიტყვა ღმრთისა (სიტყვა არსობრივი, განუყოფელი სახელიცაა და ჰიპოსტასური, განყოფილი), სიტყუაჲ თანაარსი, ძე ღმერთი დაუწყებული, ღმერთი ხორცუმესხმული, ქველისმოქმედი, მზეებრ მზისა ღმერთი, კაცთმოყუარე, „ორთა შინა ბუნებათა ერთგუამოვნებით სრული ქრისტე ღმერთი“, „ნათელი ნათლისაგან მოვლინებული სიტყუაჲ განკაცებული მხოლოდშობილი... დიდებაჲ მამისა მომავლინებელისა და სულისა წმიდისაჲ“ (279v; 284v),



„ღმრთეებისა ბუნებითა შეუხებელი გარეშეწერილ იქმნა დამბადებელი სიტყუა ბუნებით ღმერთი“ (279v), ბუნებით სრული ღმერთი და ბუნებით სრული კაცი უცოდველი ქრისტე ღმერთი, „თაბორს დიდებით განცხადებული ძე ღმრთისა“, „ღმრთად სრულად მხილველთა განკაცებული ქალწულისაგან, კაცი სრული ქრისტე“ (283r), მხსნელი ნათელი სოფლისაჲ, თანასწორი, თანარსი, „ძე საყუარელი თვთ განმგებელი“, „ქრისტეს შორის შეკრებულთა მჩობლთა ბუნებათა და ნებათა და მოქმედებათა ერთსა გუამსა შინა დაცვულთა მიერ დაიწერა ხატი“ (289v); ძე ღმერთმა მიიღო ხორციელი თბე (საფუარი) და განკაცებული ღმერთი სიმდაბლით მოევლინა კაცობრიობას: „მ სიმდაბლესა შენსა, ქრისტე, და დიდსა სიყუარულსა ნათესავისა მომართ ჩუენისა, რომელი ყოვლითა სავსებითა ღმრთეებისაჲთა თბისა ჩუენისა მიმღებელმან ღმრთისაჲ ხატი შენი დაჰბეჭდე, უცვალებელი იგი სახე“ (284r).

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ღვთისმშობლის სახელებს, რომლებიც საღმრთო სახელთა მსგავსად, ტრადიციულია. ყველა თხზულებაში, ჰიმნოგრაფიულ კანონებსა თუ მცირე ფორმის გალობებში უმეტესად ყურადღება შეჩერებულია იმაზე, ვით მიიღო „მონისა ხატი ქალწულმებრავთაგან ჯორცთა“ და „იგი უხილავ არს ძალთაგან ზეცისათა ბუნებითა ღმრთეებისა თუისათაჲ კაცად სახილველ იქმნა ქალწულისაგან ჯორცთმესხმითა ქრისტე“ (280v). ქალწული ღვთისმშობლისაგან შობილი არის ის, „რომელი დასაბამსა მამისა და სულისა თანა მოქმედებდა“, მას ჰიმნოგრაფი მიიჩნევს „ღმრთად სრულად მხილველთა განკაცებული ქალწულისაგან, ... ვითარცა მამისა თანა მჯდომარესა ჯორცითა კაცობრივითა“ (283r).

„თვთძლისპირნი“, როგორც ეს ჰიმნოგრაფიულ კანონებშია შემუშავებული, ბოლო ტროპარი, „აწდას“ შემდგომ, ღვთისმშობელს ეძღვნება და წინასწარმეტყველებასთან ერთად ღვთისმშობლის მიმართ სამადლობელიცაა გამოხატული მაცხოვრის შობის გამო. არსენ ბულმაისიშვილმაც, წინამორბედ ჰიმნოგრაფთა კვალობაზე, იმოწმებს ესაიას წინასწარმეტყველებას ქალწულისაგან „სიტყუაჲ თვთ გუამ ქმნად ჯორცთა“ (286r), უცხოა ქალწულისაგან მოცლაღდება, უცხოა შობა და კვლავ ქალწულება, რომელიც მხოლოდ ღვთის ნებით ხდება და ღვთისმშობელი მარიამის გარდა, სხვა არავინ გამხდარა ღმრთის დედობის შემდეგ ქალწულადვე დარჩენილიყო: „უჯორცთ ზეცას შობილი უღედოდ თავსმდებელი აქა კუალად ჯორცებრსა უმამოდ შობასა სიტყუაჲ ღმრთისაჲ რაჲ ქალწულმებრავთა სისხლთაგან მაცხოვარებდის, დედად ღმრთისად ვიცნობთ მშობელსა“ (289r). ქალწულის სისხლთაგან შეისხა ხორცი ღმრთის სიტყვამ და ერთ გვამში შემოიკრიბა თვისი ორი ბუნება, იშვა ორბუნებოვანი ღმერთი, რომლის საიდუმლოს გონება ვერ მისწვდება, ზემთა ცნობისათვის უცხოა საკვირველი განგებულება ღმრთისა, რადგან არავის უხილავს „ღმერთი მუცლად-ღებული და მშობელი ქალწული“ (292r); არსენ ბულმაისიშვილმაც შეხედულებით, რომელიც, ცხადია, ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ემყარება, ამისათვის „სარწმუნოებაჲ გუაქუნდინ და ნუ გამოწულილგაჲ“ (292r). მკაცრი გაფრთხილება და გასათვალისწინებელი, რადგან შობისა და აღდგომის, საერთოდ საუფლო დღესასწაულებთან მხოლოდ რწმენით შეიძლება მისვლა და არა განსჯით, ჰიმნოგრაფის სიტყვით, „გამოწულილგით“. ქალწული ღვთისმშობელი, სძალი პატიოსანი, „უხრწნელი, ზემთ აღმატებული მიწისაგანთა“, ზეციერისა ღმრთისა დამტევნელი — ეს არის ძირითადი ნიშნები ღვთისმშობლობისა, შობის უდიდესი მისტერიისა, რაზეც არსენ ბულმაისიშვილმაც მალაღმბატვრულ ენაზე გვესაუბრება: „ზემთ წმიდასა, ზემთ უხრწნელსა, ზემთ აღმატებულსა მიწისაგანთა, ზემთ პატიოსანსა სძალსა, ზემთ გამო-



თქუმისა ზეციერისა ღმრთისა დამტევნელსა ზეცისა ძალთა თანა ვალობითა ვაქებდეთ: გიხაროდენ, მარიაჲ“ (288r).

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლების მთელი ციკლი მთავრდება ღვთისმშობლისადმი ვედრებით: „შ უხრწნელო ღვთისმშობელო, რომელმან ქრისტე ღმერთი უშუვე მაცხოვრად კაცთა, ევედრე ძესა შენსა ქრისტეანეთათჳს, რამეთუ შენდამი მხოლოდასა სასოებაჲ დაუცჳ, ყოვლად წმიდაო, და რისხუთა შენითა წარაქციენ მტერნი ჩუენნი. ამინ“ (293r). არსენ ბულმაისიმისძის მიერ საგალობლის ღვთისმშობლისადმი ვედრებით დამთავრება მხოლოდ ჰიმნოგრაფიული კანონის პრინციპებისა და კომპოზიციური აუცილებლობით არ არის განპირობებული. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და საქართველოს კათალიკოსი ქვეყანას მის მფარველს, ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს ავედრებს. ცხადია, მასში ღრმა სიმბოლური აზრია ჩადებული. მაცხოვრის ხელთუქმნელ სასწაულთმოქმედ ხატსა და ღვთისმშობელს შეავედრა განსაცდელის წინაშე მდგარი სამშობლო არსენ ბულმაისიმისძემ. მრავლისმეტყველია მისი სიტყვები: „შ ხატო ქრისტეს ღმრთისაო, მეფე, მორწმუნე შენი, შენ მიერ გვრგვინოსანი, განამხვენე ძლევად ნტერთა, ეკლესიათა და მღვდელთა ერთობაჲ ყავ და [პავ]ასაკი შენი სადიდებელი შეიწყალე და მეცა მგალობელსა ნუ დამსჯი“ (293r). მიუხედავად იმისა, ჰიმნოგრაფია პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოვლენებს არ ასახავს, არსენის საგალობელში მაინც გამოყოფა საქართველოში შექმნილმა მძიმე ყოფამ. ჰიმნოგრაფიული თხზულებების მკაცრი რეგლამენტაცია არ აღმოჩნდა საკმარისი არსენისათვის, რათა ქვეყანა და მეფე შეევედრებინა ხელთუქმნელი ხატისათვის, ასევე ეთხოვა მისთვის სასულიეროთა ერთობა.

ამრიგად, არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებში საღვთისმეტყველო ატირებუტიკის მიხედვითაა საღმრთო და ღვთისმშობლის სახელები მოხმობილი, რომელთა სიმბოლური და ალეგორიული საფუძვლები ბიბლიურ-ევანგელურია. ამიტომ უჭირავს დიდი ადგილი ბიბლიურ-ევანგელურ მოტივებსაც, რომლებიც სახეთა პარალელიზმებით გადმოსცემენ ძირითად სათქმელს, რომლითაც იქმნება მსმენელისა თუ მკითხველის ამაღლებული განწყობილება, ზნეობრივი სტიმულის მიმცემი და სულიერი აღმზრდელი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, კეცზე დეტვიფრული, საქართველოში ანტონ მარტომყოფელმა ჩამოიტანა. არსენ ბულმაისიმისძე ანტონს წმინდანისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით ახასიათებს. იგი არის ღმერთშემოსილი მამა, მამათა მზე, ღირსი, შუამდინარეთის ვარსკვლავი, ბრძენი, დიდი და სანატრელი, ღმრთივსწავლული. იგი შედარებულია მოსე, ელია და იონა წინასწარმეტყველებთან, იოანე ნათლისმცემელთან, ანტონ დიდთან.

ანტონ მარტომყოფელის შედარება დიდ იოანესთან, ანუ იოანე ნათლისმცემელთან განპირობებულია შემდეგი გარემოებით: როგორც იოანე ნათლისმცემელი იყო მაცხოვრის ამქვეყნიური წინამორბედი და მისი მოსვლის, მოვლინების მქადაგებელი, რომ იგი იხსნიდა ცოდვათაგან თვითმტვირთველი კაცობრიობის ცოდვებისა, ასევე ანტონ მარტომყოფელმა საქართველოში სულიერი გადარჩენის, ქვეყნის ხსნისათვის ღვთისმშობლთაგან გამოხსნილი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი მოიტანა, რომელმაც მრავალი სასწაული მოახდინა. მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სასწაულებზე ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატთანე“ მოგვითხრობს და მასზე ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა. იოანესთან შედარება ამიტომ სიმბოლურ ხასიათს იძენს: „ეჲა ნიჲსა ბრწყინვალესა, რომელსა ღირს იქმენ, ნეტარო, დიდისა იოვანესთა კუალთა მისდევდი, მამაო“ (279r).



საყურადღებო ფაქტია, რომ ანტონ მარტომყოფელი საგალობლებში შედარებულია თავის მოსახელესთან — ანტონ დიდთან, ეგვიპტელთან, რომლის ხსენების დღეს, 17 (30) იანვარს არსენის საგალობლებიდან რამდენიმე ტროპარა სრულდებოდა. არსენ ბულმაისიმისძე მარტომყოფელის წინამორბედად მიიჩნევს „მამათა მზე ანტონს“: „აწ დაძინებასა შენსა წინაუძღეს დღეს მამათა მზე ანტონი“ (279r). შემდეგშიც მიმართავს, რომ მის სახელსაც მიავგებენ პატივს დიდი ანტონ მეგვიპტელის ხსენების დღეს: „მ მამათ დიდო ანტონი, მოსახელესა თანა შენსა პატივგცემთ ჩუენ ქველის მოქმედსა ნათესავისა ჩუენისასა, ღმერთშემოსილო, რომლისა ველთა მიერ წმიდაჲ ხატი კელით უქმნელი დაგუჭუნჯა საცხოვრებელად“ (280r).

საგალობელში ანტონ მარტომყოფელზე ნათქვამია: „შუამდინარით ვარსკულავი აღმოჰვედ დიდისა მთიებისა პავლეს ძიებად“ (279r). ვარსკულავად ანტონის მოხსენიების საფუძველი ევანგელური სწავლებაა. მოგვებმა ვარსკულავის მეშვეობით იხილეს შობის მისტერია, საიდანაც დაედო დასაბამი ქრისტიანულ სარწმუნოებას. აღმოსავლეთიდან მოსული მოგვები კითხულობენ: „სადა არს, რომელი-იგი იშვა მეუფე ჰურიათაჲ? რამეთუ ვიხილეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანისცემად მისა“ (მთ, 2,2). ანტონი ვარსკულავთანაა შედარებული იმიტომ, რომ იგია საქართველოში კაცზე დატვიფრული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის შემომტანი. წმინდანთაგან ვერავინ ვერ შეძლო ღმრთიუქმნული წმიდა ხატის „შეძინება“, მხოლოდ ანტონმა მოიპოვა იგი და დაუუნჯა „ისრაჲლსა ამას ახალსა“, „ქართველთასა ერსა საზეპუროსა“.

არსენ ბულმაისიმისძის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები ღრმა თეოლოგიური აზროვნების შედეგია. მასში გამოყენებული თეოლოგიურ-ფილოსოფიური ტერმინები საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან მომდინარეობენ. ჰიმნოგრაფის დამსახურება ისაა, რომ თითოეულ მათგანს სწორედ მაშინ იყენებს, როდესაც თეოლოგიური სიღრმის გამომჟღავნება საჭირო. იგი ეყრდნობა უდიდეს ღვთისმეტყველთა ნააზრევს, ზოგს ასენებს კიდევ, ზოგან ისეა მათი ნააზრევი მოხმობილი, რომ დასახელებული არაჲ, მაგრამ ადვილი მისახვედრია, ვინაა ავტორი. ჰიმნოგრაფმა რამდენიმეჯერ მოიხმო ბასილი კესარიელის თვალსაზრისი პირმშო ხატის შესახებ: „თუთ პირმშოჲსა ხატისა მიმართ აღიწვევის პატივი ქრისტეს ღმრთისა ხატისაჲ“ (282r), „პატივი ხატისაჲ პირმშოდ ხატადმი აღვალს“ (287r). ამავე თვალსაზრისს ემყარებოდნენ იოანე ანჩელი და საბა სვინგელოზი. ბასილი დიდის ამ შეხედულებას უკავშირდება არსენის თვალსაზრისი ხატების შექმნის თაობაზე, მხედველობაში გვაქვს ხატი, როგორც ხელოვნების ნიმუში. არსენი ლიტერატურულ ტრადიციებში დაცულ ცნობებს ემყარება, როდესაც აღნიშნავს, რომ ტილოზე საკვირველად დაიწერა ღმრთივშუენიერი ხატი: „ღმრთებეჲა არაოდეს სადა განეშორა კორცთა მათ ღმრთივგუამოვანთა, ეგრეთვე ჟამსა მას ოდეს იწერებოდა ტილოსა ზედა ხატი ღმრთივშუენიერი, სხეულებრი დაიხატვოდა, ხოლო ღმრთებეჲა საკვრველებდა“ (288r). ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია „თუთძლისპირნის“ მონაცემი ხატების შექმნის შესახებ. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილების ასახვისას არსენ ბულმაისიმისძე იყენებს ფერწერის შესაბამის ძველქართულ ტერმინს „ფერთმოქმედებას“, რომელიც ზედმიწევნით ასახავს მასში ჩადებულ შინაარსს. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრება, გამცნობს არსენ ბულმაისიმისძე, „ძუჭლთა აჩრდილებრთა წილ ახალთა შინა დახატვად ქრისტეს განგებულებისა გვბრძანებს ფერთმოქმედებით, რომელიცა მტკიცედ დავიცვათ“ (288v—289r). ჩანს, რომ არსენ ბულმაისიმისძე არა მხოლოდ მწიგ-



ნობართუხუცესი, კათალიკოსი, მწერალი-ჰიმნოგრაფი იყო, არამედ ჩინებული მკოდნე ხელოვნებისა. არსენი აღნიშნავს, რომ ღმერთად ფიცარზე გამოსახულ ფერს კი არ აღვიქვამთ, არამედ ხატს, რომელსაც აქვს სახელი, ე. ი. ხატი ღმერთისაგან არის მოცემული არა ფერების გამო, არამედ მასზე გამოსახულის გამო: „რამეთუ ჩუენ საზღუარსა მამათასა დამცველნი გულისკმისყოფით არათუ ფიცარსა ზედა გამოსახულსა ფერსა ღმრთად ვირწმუნებთ, არამედ ხატსა, რომლისაჲ იყოს სახელი, მისდამი აღვაგულენთ პატივისცემასა და სურვილით შევიტკობთ მკურვალედ“ (289v). არსენი იმასაც გვამცნობს, რომ ხატი დაიწერა: „ქრისტეს შორის შეკრებულთა მრჩობლთა ბუნებათა და ნებათა და მოქმედებათა ერთსა გუამსა შინა დაცვულთა მიერ დაიწერა ხატი, რომელი იგი ტილოსა ერწმუნა, ამისათჳს ჩემისა ღმრთისა ქრისტეს ხატად აღვიარებ და თაყუანისვსცემ სარწმუნოებით“ (289v). ამრიგად, არსენ ბულმანისიმისძის საგალობელი ძალზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ხელოვნების ისტორიისათვისაც. მასში გამოყენებული ტერმინი „ფერთმოქმედება“ კი უთუოდ იმსახურებს სპეციალისტ ხელოვნებათმკოდნეთა ყურადღებას.

არსენ ბულმანისიმისძის საგალობლები, მიძღვნილი მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი, გამოირჩევიან ლიტერატურულ-მხატვრული და იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით. მართალია, ჰიმნოგრაფი მათი შეთხზვისას იყენებს ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს, სიმბოლოებსა და ალეგორიებს, მაგრამ ორივე თხზულება, ისევე როგორც წმიდანინოსა და შიო მღვდემლისადმი მიძღვნილი საგალობლები, ადასტურებენ ავტორის, შესანიშნავი მწერლის, მხატვრული აზროვნების მაღალ დონეს, იშვიათ ესთეტიკუო და ლიტერატურულ გემოვნებას, ორიგინალურ შემოქმედებით მიდგომას ქების ობიექტისადმი. ყველა საგალობელი მსმენელისა თუ მკითხველის სულსა და გონებაზე ღრმა, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი ყოველი საგალობელი დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოებია, ამავე დროს თითოეული ჰიმნოგრაფიული კანონი ერთიანი თხზულებაცაა, რადგან იგი ერთ თემას, ერთ პრობლემას ასახავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „უფალო ღალადყავი ხატისა უხილავისაჲ“ საერთო სახელწოდებაა მცირე ფორმის რამდენიმე საგალობლისა და ერთი ჰიმნოგრაფიული კანონისა. მცირე ფორმის საგალობლები ჰიმნოგრაფიული კანონის ერთგვარი შესავალია, -ძირითადად აქაა მოთხრობილი და გადმოცემული კეცზე დატვიფრული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში ჩამოტანის ისტორია, რა თქმა უნდა, ზოგად ასპექტში, დეტალებს გარეშე, ისტორიული დროის მითითების გარეშე. არცაა ამის საჭიროება, რადგან ფაქტს თავისთავად ღირებულებითი მნიშვნელობა ენიჭება. ცხადია, საგალობლები სიმბოლოებითა და ალეგორიითაა გაჯერებული. სიმბოლოს მიღმა უზარმაზარი სამყარო იმალება, რომლის განჭვრეტა არ ძალუძს ურწმუნო და უწვრთნელ გონებას. ალეგორია კი თხზულებაში გამოხატული აზრის სხვაგვარი ინტერპრეტაციის საფუძველს ქმნის. ამიტომაც სიმბოლური და ალეგორიული მეთოდი ყველაზე სწორი გზა ღმერთის შესამეცნებლად და წარმოსადგენად. ღმერთის ხილვა ხომ მხოლოდ სიმბოლოებითაა შესაძლებელი, ძველი აღთქმის მიხედვით. ქრისტეს, ძე ღმერთის, მაცხოვრის განკაცებამ კი ადამიანებს საშუალება მისცა ღვთის ხილვისა. ადამიანის განახლებული ბუნება ღმრთისმხილველია. არსენ ბულმანისიმისძის საგალობელში საღმრთო ხილვის შესახებ ნათქვამია: „ახალო ბუნებაო, ღმრთისმხილველო, იხარებდი, აჰა მეუფეშ შენი, რომელიცა კიცუსა ზედა წმიდად ქალაქად მჯდომარე იხილეს ერმან და აღიდეს. აჰა აწ კუალად უცვალებელად მითვე ხატითა დღეს შემო-



ვალს შენდა მშუდი, მოწყალე ედესიით ანტონისაგან. ნუ-ჰურიაებრ ჰგომბ სიმღაბლესა, არამედ ყრმათა თანა ღმრთივეგონიერთა ოსანასა ღაღადებდი, სამოსელთა წილ მიმფენი მართლადსარებასა“ (284r).

გამოსლვათა წიგნში მოთხრობილია იმის შესახებ, როგორ სთხოვა მოსე უინასწარმეტყველმა ღმერთს, რომ სჩვენებოდა, მაგრამ ღმერთმა უარი უთხრა შემდეგი მოტივით: „ვერ. ძალგიძს პირისა ჩემისა ხილვად, რამეთუ არა არს კაცი, რომელმანცა იხილა პირი ჩემი და ცხოვნდა“ (გამოსლ. 33,20). ამიტომ ხდება ღვთის ხილვა ძველ აღთქმაში სიმბოლოებით. მაცხოვრის მოვლინებით განცხადდა ძველი აღთქმის საიდუმლო. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრების მიხედვით, ადამიანებს არ სწამთ საღმრთო საიდუმლოს არსებობა, რადგან მათი გრძნობათა ორგანოები მას ვერ აღიქვამენ. ამიტომ აუცილებელია მათგან განძარცვა, რათა ამგვარი ხილვით, საღმრთო, შინაგანი ხილვით ვემსახუროთ ცხოვრების წყაროს — ღმერთს, რომელიც ჩვენშია და ჩვენგან აღმოედინება. არეოპაგეტიკით, ღმერთის სიმბოლური ჰერეტიკა, მისი სიმბოლური გამოხატვა შეიძლება „ნერგთა და ქვათა თითო — ფერობით“. სიმბოლოში ნიშანი დამოუკიდებელი ღირებულებისაგა, მაგრამ ჰიმნოგრაფიაში ამგვარი რამ თითქმის არ გვხვდება, ამის საშუალებას მისი უანრული სპეციფიკა არ იძლევა. ჰიმნოგრაფიის უანრული თავისებურებიდან გამომდინარე, აქ ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა, ყოველი აზრი სიმბოლურადაა გამოთქმული, რომლის გააზრება, წარმოდგენა ღვთაებრივი მადლითა და ნათლითაა შესაძლებელი. ამიტომ შესთხოვს არსენ ბულმაისიმისძე ღმერთს შინაგანი სახედველის ნათლით გაბრწყინებას, როგორც შესთხოვა დავით აღმაშენებელმა: „გალობანი სინანულისანში“. დავით აღმაშენებელი: „მარტო, სრულო, სამ-მზეო, ერთ ცისკროვნებო, განმინათლე მხედველობითი სულისაჲ, რაჲთა გიხილო ნათელი ნათლითა უფლისაჲთა, სულითა ღმრთისაჲთა ძე გამოგებრწყინვო მაშინ დაუსრულებელთა საუკუნეთა“. არსენ ბულმაისიმისძე: „მომეც მე მადლი, ღმერთ — მთავრობითო დამბადებელო ყოველთა არსთაო, და განმინათლე მიმხედველობითი, რაჲთა ნათლითა შენ ნათელი გიხილო საცნაურდ მგალობელმან შენდა, დიდებულ ხარ დიდებით, ღმერთო ჩემო ცხოველო“ (285r). ორივე ჰიმნოგრაფი გამოხატავს იშვიათ სწრაფვას ნათლისაყენ, შინაგანი განწყობისაყენ, ღმერთისაყენ, რომლის სიმბოლოა ნათელი<sup>12</sup>.

ღვთისმეტყველთა მიხედვით, ღმერთი მიუღწეველი და მიუწვდომელია თავისი არსისა და ადამიანის ცნობიერების დასაზღვრულობის გამო. მისი შეგეცნება შესაძლებელია (პირობითად) თავისი შემოქმედებით, იმ რეალური, ხილული სამყაროთი, რაც მან შექმნა და რაც გრძნობათა ორგანოების მეშვეობით აღიქმება. აქედან გამომდინარეობს სიმბოლოებით მეტყველება, რადგან სწორედ ისაა შუალედი უხილავის შესაცნობად, ხილულით შეიმეცნება უხილავი. ამიტომ სიმბოლოს ჰიმნოგრაფიაში უდიდესი ფუნქცია ეკისრება. სიმბოლოთა შორის გამოირჩევა ნათელი, რომელიც სხვადასხვაგვარი ფუნქციით დატვირთული გვევლინება. უპირველესად იგი ღმერთის სახელია, რაზეც ზემოთაც გვქონდა საუბარი. ცხადია არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებშიც იგი ამ ფუნქციის მატარებელია. ნათელი არის როგორც ერთარსება სამების, ისე ძე ღმერთის, იესო ქრისტეს სიმბოლური სახელი: „ნათელი ნათლისაგან მოვლინებული სიტყუჲა განკაცებული მხოლოდობილი დღეს შემოვალს ღვთის ხატითა თვისითა ჩუენდა“ (279v); „ნათელი ნათლისაგან“ გულისხმობს ერთარსებასაც და ძე ღმერთსაც. ძე ღმერთის, ქრისტეს ნათლად მიჩნევა ბუნებითი ნათლის გამოვლინებადაა აღქმული: „რომელი თაბორს ეჩუჴნა ბუნებითითა

12 ნ. სულავა, ნათლის ტროპიკა ქართულ ჰიმნოგრაფიაში, „ლიტერატურული ძიებანი“, აღ. ბარამიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1983.



შით ნათლითა მოწაფეთა“ (291v); ჰიმნოგრაფი მიმართავს ქრისტეს, ნათელს სოფლისას, გაუნათლოს გონებანი და განწმიდოს ცოდვათაგან: „განგუნათლენ გონებანი, ნათელო სოფლისაო, აღგვკოცენ ცოდვანი, აღუკოცველო ხატო ყოველთა მკსნელისა ქრისტეს ღმრთისაო“ (293r). არსენ ბულმაისიმისძის თვალსაზრისით, ეს ზოგადად ქრისტიანული მსოფლმხედველობაა, არამართლმადიდებელნი უნათლონი არიან, მათ „გარდაედევინ თუალთა ბნელი უნათლოა“. ყოველივე ამის საფუძველი კი, რასაკვირველია, იოანე ღვთისმეტყველის სიტყვებია: „იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“ (1,9); „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისაჲ“ (8,12); „მე ნათელი სოფლად მოვივლინე...“ (12,46). ქრისტეა სოფლის ნათელი, რომელსაც უნდა მიესწრაფვოდეს ყოველი ადამიანი, რათა ნათლით გაბრწყინებული, სულიერად განწმენდილი წარსდგეს მის წინაშე, იხილოს ნათელი ნათლისა, მზე სიმართლისა. ხელთუქმნელი ხატის საქართველოში შემოსვლა ნათლის დამკვიდრებადაა აღქმული არსენის საგალობელში: „განათლდი დღეს, განათლდი, მ სისრძლო ახლო, გახარებთ, ღმრთისმხილველო, შენ ზედა გამობრწყინდა დიდებაჲ ღმრთისაჲ“ (279v). ნათლის სიმბოლიკასთანაა დაკავშირებული მზე, ვითარცა ხატი ღვთისა. ნათლის წვდომა, მზესთან მიახლება განღმრთობის ნიშანია, რომლის შესაძლებლობა კაცობრიობას ძე ღმერთის მოვლინებით მიეცა, რისთვისაც მან „თბე ჩუენი ჩუენგან მიილო“, ქალწული ღვთისმშობლის წიაღში მიილო მონისა ხატი, რათა დაძველებული ზუნება ადამიანისა განეახლებინა, განეძარცვა ტყავის სამოსლისაგან და შეემოსა „სამოსლითა ნათლითა“.

არსენ ბულმაისიმისძემ მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს ორი ჰიმნოგრაფიული კანონი უძღვნა. ორივე კლასიკური სტილითაა შესრულებული და, ამავე დროს, ისინი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული თხზულებებია სტრუქტურული თვალსაზრისით. რასაკვირველია, მნიშვნელობა აქვს ამასაც, რომელი კანონი რომელ ხმაზე შესასრულებელი საგალობელია, რადგან ცნობილია, რომ ხმა, რომელზეც სრულდება საგალობელი, მსმენელისა თუ მკითხველის გულსა და ყურადღებას მიმართავს გარკვეული ლოცვითი განწყობისაკენ. კანონთა სიღრმის აზრობრივ-თემატური აღქმისათვის საჭიროა ვათვალისწინება ბიბლიურ გალობებთან არსენის საგალობლების მიმართებისა, რითაც შესაძლებელი ხდება აზრისა და განცდის განვითარების დინამიურობის გამოვლენა პირველიდან მეცხრე გალობამდე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰიმნოგრაფია სტატიკურია, რითაც იგი ძალიან ჰგავს ფრესკულ ხელოვნებას. იგი სტატიკურია, რადგან საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, ძირითადად ბიბლიაში, შემუშავებული სახე-ხატები ჰიმნოგრაფიაში მზამზარეული ფორმით შემოდის, მათი განვითარება არ ხდება. ვითარდება მხოლოდ განწყობილება, ემოცია, რიტმი, აზრი. ჰიმნოგრაფიული კანონის ზოგად განწყობას, მის არქიტექტონიკას, სტრუქტურას თანმიმდევრულად წარმოაჩენს აზრისა და განცდის თანდათანობითი აღმავლობა. პირველი გალობიდან იწყება როგორც თემატური, ისე აზრობრივ-ემოციური განვითარება ჰიმნოგრაფის ძირითადი სათქმელისა და მთავრდება მეცხრე გალობაში. ყოველ გალობას კი, როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, აქვს თავისი ძლისპირი, რომლებიც აჩვენებენ ტონალობას, განწყობას, რასაკვირველია, თემას. ძლისპირის მიხედვით განისაზღვრება თითოეული გალობის მთავარი აზრი და მელოსი. ერთიანობაში კი იქმნება საგალობელი, მუსიკალური ბგერისა და სიტყვის, აზრის სინთეზი, რომელიც ჰიმნოგრაფის მიზანსწრაფვას, აზრს,



ფიქრს, განწყობას, განცდას წარმოაჩენს მასში აღძრულ ძირითად პრობლე-  
მებზე.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებში კომპოზიციური, სტრუქტურული, აზრობრივ-თემატური სიახლე არ იყო მოსალოდნელი და არც არის: რადგან იგი ემყარება, ერთი მხრივ, ფორმის თვალსაზრისით ბიბლიურ გალობებს, მეორე მხრივ, აზრობრივი და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, საღვ-  
თისმეტყველო ლიტერატურას.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლები შექმნილია ჰიმნოგრაფიული პოე-  
ზიის ტრადიციული გამომსახველობითი საშუალებებით, ოღონდ ავტორი კა-  
ნონიკური აზროვნების ფარგლებში თხზავს მხატვრული და სტილისტიკური  
თვალსაზრისით გამორჩეულ-მუსიკალურ-ლიტერატურულ ნაწარმოებებს. ბიბ-  
ლიურ და საღვთისმეტყველო ლიტერატურაზე დამყარებული მხატვრული სა-  
ხეები, სიმბოლოები, პოეტური ხატები ავტორის ამაღლებულ განწყობილებას  
ეხამებთან და სიახლის ნიშნით აღბეჭდილნი სულიერად ზრდიან, ზნეობრივი  
სიწმიდისაკენ წარმართავენ მსმენელ-მკითხველის გულსა და გონებას. არსენის  
საგალობლებში გამოყენებული მხატვრული აქსესუარი ემსახურება ძირითადი  
სათქმელის გამოხატვას: მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის დიდების წარმო-  
ჩენას.

არსენ ბულმაისიმისძე თავის საგალობლებში, არა მხოლოდ ხელთუქმნე-  
ლი ხატის თემაზე შექმნილ თხზულებებში, არამედ წმიდა ნინოსა და შიო  
მღვიმელისადმი მიძღვნილ საგალობლებშიც, ხშირად მიმართავს ანაფორის  
მხატვრულ-სტილისტიკური ხერხის სხვადასხვა სახეობებს: ბგერითს, ლექსი-  
კურსს, სინტაქსურს; მეტწილად გვხვდება ლექსიკური ანაფორის პოეტიკური  
ხერხი, როდესაც ჰიმნოგრაფს სურს რომელიმე სიტყვის გამეორებით მასზე  
ყურადღების კონცენტრაცია. ანაფორული კომპოზიცია არსენის ყველა საგა-  
ლობლის ორგანული და ძირითადი გამონსახველობითი საშუალებაა. ამგვარ  
პოეტიკურ-მხატვრულ ხერხს ნაწილთა პარალელიზმი განაპირობებს. ხსენებუ-  
ლი ხერხის, ანაფორული კომპოზიციის პრინციპებითაა აგებული და სინტაქ-  
სური ანაფორის საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ლიტურგიკულ-ჰიმ-  
ნოგრაფიულ განგებაში კანონის შემდეგ მოთავსებული გალობა „აქებდითა“,  
რომელიც ოთხი ტროპარისაგან შედგება და მთლიანად ფსალმუნურ მოტივებ-  
ზეა აგებული. ოთხივე ტროპარის საყრდენია 64-ე ფსალმუნის მეორე მუხ-  
ლის საწყისი სიტყვები: „შენ გშუშნის გალობა“, („ომლითაც მიმართავს  
ღმერთს, ერთარსება სამებას, ყოველთა შემოქმედს, რომელიც თაბორის მთა-  
ზე განცხადდა, რომლის ხატე უხრწნელი მიემადლა მის მორწმუნე ერს. მთელი  
გალობა ამაღლებული სტილითაა შეთხზული (მოვიყვანთ ტროპართა მხოლოდ  
დასაწყისებს):

„შენ გშუშნის გალობაჲ, ღმერთო წმიდათაგან შენთა სამყაროჲსა თუთმპყრობელო...

შენ გშუშნის გალობაჲ, ნესტჳსა კმებითა და ფსალმუნთა ებნითა...

შენ გშუშნის გალობაჲ, ღმერთო, მწყობრთაგან ბობლხათა ორღანოთა ძნობითა...

შენ გშუშნის გალობაჲ, ღმერთო, წინწილებთაგან სულისათა მორთულთა...“.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლები გამოირჩევიან რიტმული თვალსა-  
ზრისით. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს პირველივე ტროპარი: „მამულსა  
არსებასა, განუცდელსა ხატებასა, ძალსა მიუთხრობელსა“... ასე იწყება მარ-  
ტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობელთა ციკ-  
ლი. ამგვარი დასაწყისი მთელ საგალობელს აძლევს რიტმულობის მაგალითს,  
ტონს და ამგვარადვე, შინაგანი რიტმით გამდიდრებული, გრძელდება მთელი  
თხზულება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტროპარში საყრდენი  
სიტყვის მოძებნას, რომელიც რამდენჯერმე მეორდება და არა მხოლოდ მო-

ცემულ ერთ რომელიმე ტროპარს, არამედ მთელ საგალობელს განუმეორებელს ხდის. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში შემობრძანება განსაკუთრებული შემთხვევაა ერისათვის, მისი შემოსვლით უნდა იხაროს და განათლდეს ერი, რასაც ზეაწეული ინტონაციით გადმოგვცემს ჰიმნოგრაფი: „იხარებდ დღეს, იხარებდ, ქართველთა სამეუფოო, ერო მორწმუნეთაო“ (278v); „განათლდი დღეს, განათლდი, მისრაჴლო ახლო, გახარებთ, ღმრთისა მხილველო“ (279v). ამ ტროპარებში უდიდესი მხატვრული ფუნქცია ეკისრება ლიტურჯებს „იხარებდ“ და „განათლდი“, რომლებშიც ხარებისა და ნათლისღების სემანტიკური და რელიგიური მნიშვნელობაცაა გათვალისწინებული.

არსენის საგალობლებში ანაფორის მხატვრული ხერხი ყველა ტროპარს კომპოზიციურად კრავს და იგი ერთიან სრულყოფილ პოეტურ ნაწარმოებად გვევლინება. ყველა ტროპარი ერთსა და იმავე აზრს გამოხატავს, ემოციის აღძვრაც მკითხველსა თუ მსმენელში ძირითადად განმეორებაზეა დამყარებული. თავის მხრივ, განმეორება გრადაციის ეფექტს ქმნის და ნათელი ხდება ტროპარის ექსპრესიულობაც.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებში გამოიყოფიან ტროპარები, რომელთა ძირითადი საყრდენი სიტყვაა „დღეს“, რომელსაც კონკრეტული დროის ფუნქცია გამოცლილი აქვს და ზოგადად აჩვენებს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში დამკვიდრების დღესასწაულის მნიშვნელობას:

„დღეს სიხარულითა აღვივსნეთ,  
დღეს წყალობაჲ ღვთისაჲ მოგუჴნიჭა,  
დღეს ცხორებისა წინდი მოგუჴცა,  
დღეს სულნელ იქმნა ეკლესიაჲ და ჴეზი და ფარფირი შეიმოსა და მეუფებრივი პატივი მიიღო“ (279r).

ტროპარი ლექსიკური ანაფორის საუკეთესო ნიმუშია.

„დღეს არე სულნელებისაჲ,  
დღეს ნავი ცხორებისაჲ მოეფინა ქართველთა ერსა ჴედა...“ (279v).  
... დღეს წყალობაჲ ღმრთისაჲ გარდაეფინა ჩუენ ჴედა მდიდრად,  
დღეს ეკლესიაჲ შეიმკვეთის ბრწყინვალედ და მღღელთმოდუარნი მადლსა შეიმოსენ,  
დღეს მეფენი ჴეგარდამო ძალსა მოიღებენ და მთავარნი ღმრთისა ჴიერ განდიდნებიან,  
დღეს ყოველი დაბადებული განსცხრების შემოსლვასა ქრისტეს ხატისასა ჩუენდა“ (279 v).

„დღეს ყოველი მკვდროვანი ერთა თანა ცისათა თანადძღვევის მგალობლობს,  
დღეს პირმეტყუჴლთა თანა ყოველნი იძრვისნი სიხარულით ძნობენ“ (292v).

ასევე, თეოლოგიური და მხატვრული ფუნქცია ეკისრება ნაცვალსახელს „რომელი“, რომელიც საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ღმერთის სინონიმი და, ცხადია, აქაც ღმერთს აღნიშნავს არსენ ბულმაისიმისძის მცირე ფორმის საგალობელი „წარდგომასჲ“ ორივე ტროპარი „რომელით“ იწყება:

„რომელი იგი უხილავ არს ძალთაგან ჴეცისათა...  
რომელი ეჩუჴნე პირველ მთასა ჴედა მოწაფეთა შენთა“... (280v).

ამ თვალსაზრისით ძალზე მაინტერესოა „თვთძლისპირნის“ მერვე გალობა „აკურთხევდითსა“, რომლის შვიდი ტროპარი იწყება ამ ნაცვალსახელით და თანმიმდევრულად აჩვენებს ძე ღმერთის, ქრისტეს, მაცხოვრის მიწიერი, აღამიანის ბუნებით ცხოვრების მთავარ მომენტებს, ხოლო სიტყვის „რომელი“ გამოყენება მთელ გალობას რიტმულად გამოარჩევს:

„რომელი-იგი ქალწულმან მკლავითა იტურთა ქრისტე, მისგან შობილი ძე ღმრთისაჲ...  
რომელი-იგი სვეონ მკლავითა იტურთა ტაძრად მოყვანებულნი...“



რომელი იორდანეს\* იოვანეს კელთაგან თავ-დადებულ იქმნა და მამაჲ ზეცით წამებდაჲ  
ქედ საყუარელად...

რომელი თაბორს ექუშნა ბუნებითთა მით ნათლითა მოწაფეთა...

რომელი ჭუარსა ამაღლდა ნეფსით განზრახვითა; ღმერთი და კაცი...

რომელმანცა ჯერ-იჩინა საფლავსა დადებდა ჩემთვის ცოდვითა მკვდრისა“...

(291v—292r).

ერთ-ერთი მცირე ფორმის საგალობელი, ძლისპირით „ჰ სასწაული“, გამოირჩევა საინტერესო მიმართვებით, რომლებითაც ჩანს თანდათანობითი აზრობრივი გადასვლები: ქრისტე → ხელთუქმნელი ხატი → ანტონ მარტომყოფელი. ამავე დროს იგი ბგერითი ანაფორის საუკეთესო ნიმუშიცაა:

„ჰ სიმდაბლესა შენსა, ქრისტე...“

ჰ ხატო ყოვლად საშინელო...

ჰ მამაო დიდო ანტონი...“ (280r).

ტროპართა დასაწყისი სიტყვებითვეა მონიშნული ის მიზეზი, რის გამოც შეიქმნა საგალობლები — ქრისტეს განკაცება კაცობრიობის სულის სახსნელად სიყვარულითა და სათნოებით, ქრისტეს ხატის შექმნის ისტორია და კეცზე დატვიფრული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ანტონ მარტომყოფელის მიერ საქართველოში მოტანა.

შთამბეჭდავია მაცხოვრის ხელთუქმნელი სასწაულთმოქმედი ხატისადმი მიმართვები:

„ჰ დიდო სალხინებელო,

ჰ შესავედრებელო, მაღალო და მტკიცეო,

ჰ გამოუთქუმელისა ქრისტეს ღმრთისა ნიშო“ (293r).

აქაც ბგერითი ანაფორის მხატვრული ხერხითაა გამოხატული ავტორის დამოკიდებულება, სასთებითი მზერა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი.

ზოგჯერ საგალობელში ღმერთისადმი მიმართვისას თავმოყრილია აპოფატური სახელები, ატრიბუტები ღვთისა: „შეუძრველო ძალო, უქცეველო საზღვარო, უთქუმელო სიმტკიცეო“ (292r).

არსენ ბულმაისიმისძის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები იშვიათი ევფონიური სინატიფით გამოირჩევიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია სიტყვათა და ბგერათა ალიტერაციები, რომელთაგან ნათლის სიმბოლურ მნიშვნელობასა და სიტყვიერ-ბგერობრივ ალიტერაციას გამოვყოფთ: „ნათელთა ნათელსა ნათელთ მფლობელსა ცხოველთა და ცხოველსა ცხოველთმოქმედსა ღმერთ-მთავრობითსა სიმტკიცესა უგალობ...“ (287r); „ნათლითა მისითა ყოველნი განვნათლდით“ (292v); „განვვნათლენ გონებანი, ნათელო სოფლისაო“ (293r).

უჩვეულო ალიტერაციული მხატვრული ხერხითაა გამორჩეული ის ტროპარი „თუთძლისპირისა“, რომელშიც საღმრთო ხილვისა და ნათლის მხატვრული ფუნქციებია არეკლილი: „მომეც მე მაღლი, ღმერთ-მთავრობითო დამბადებელო ყოველთა არსთაო, და განმინათლე მიმხედველობითი, რაათა ნათლითა შენ ნათელი გიხილო საცნაურად“ (285r). ზემოთ აღვნიშნეთ ტროპარის მსგავსება დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ ტროპართან, ორივეგან საყრდენი სიტყვებია „ნათელი“ და „ხილვა“, ხოლო „ნ“ და „თ“ ბგერების ალიტერაციით ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი სულიერების ნათლისავენ, ვითარცა უზენაესი არსებისავენ, სწრაფვაა გამოხატული.

სიტყვათა ალიტერაციის ჩინებული ნიმუშებია: „დიდებულ ხარ დიდებით“ (285v); „იხარებდინ აგებული, რამეთუ ამგებელმან შენმან... არა უღირს იჩინა მონისა ხატისა მიღებაჲ“ (292v); „ახალსა ძღუშნისა ახალი ერი არსთა არს-ქმნისა მიზეზო სიტყუაო“ (285v); „უხრწნელად, განვხრწენ“ (285v);

„კაც იქმნა ღმერთი არაჲ საუცრად და ღმერთ ყო სხეული არაჲ ლიტონად“ (285v); „აღგვკოცენ ცოდვანი, აღუკოცველო ხატო ყოველთა მკსნელისა ქრისტეს ღმრთისაო“ (293r); ამ უკანასკნელში იშვიათ თანხმობანთა — „კ“ და „ღ“ — ალიტერაციასთანაც გვაქვს საქმე. ასეთივეა: „კმაჲ ფერჯთა შენთაჲ ესმა რაჲ ადამს, მოესწავა, მკსნელო“ (286r), აქ აქცენტირებულია „კ“ და „დ“. „ღ“-ს საყრდენ ბგერად გამოყენებამ განსაკუთრებული თეოლოგიური და მხატვრული ფუნქცია დააყისრა ტროპარებს: „პატივი ხატისაჲ პირმოღ ხატად-მი აღვალს, მოძღურებისაებრ ღმრთივ-განბრძნობილისა“ (287r); „აღდგა ღმრთეებრ ღმრთივ-შუენიერად და თანა აღმიყვანა“ (292r). პირველში მხოლოდ „ღ“-ს ალიტერაცია არ არის, აქ აქცენტი გაკეთებულია სხვა ბგერებზეც.

„თვძლისპირნის“ „ლაღადყავსაში“ სამებისადმი მიძღვნილი ტროპარი ღმერთს წარმოაჩენს როგორც ერთარსება სამებას და ამას მხატვრული ხერხის გამოყენებითაც აღწევს, როდესაც ყურადღება გადააქვს ერთზე, როგორც ყოველივეს დასაბამზე: „ერთსა ბუნებითა, ერთ ღმრთეებად ვკმონებთ, ერთ უფლად, ერთ ძალად“ (293r).

ერთარსება სამების ზემხილვარე ბუნება გამოხატული „ზეშთა-ზესთა“ სიტყვების თამაშით იშვიათი ბგერწერით გამორჩეულ სამებისადმი მიძღვნილ ტროპარში: „ზეშთა მთავარსა სამებასა, ზესთ სახიერსა, ზეშთა გამოუთქუმელსა, ზესთ ძალსა, ზეშთ კელმწიფესა, ზესთ დასაბამსა, ზეშთ არსსა და ზეშთა აღმატებულსა, ზეშთა ცნობისა სამგუამოვნებით და ერთბუნებად ღმრთის-ვემეტყუშლებდეთ“ (288r). ასევეა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარიც ასეთივე იშვიათი ბგერწერით გაჯერებული: „ზეშთ წმიდასა, ზეშთ უხრწნელსა, ზეშთ აღმატებულსა მიწისაგანთა, ზეშთ პატიოსანსა სძალსა, ზეშთ გამოთქუმისა ზეციერისა ღმრთისა დამტევნელსა ზეცისა ძალთა თანა გალობითა ვაქებდეთ: ვიხაროდენ, მარიაჲ“ (288r). მარიაჲ ღვთისმშობლის ღმერთისაგან გამორჩეულობა „ზეშთა“ სიტყვითაა სიმბოლიზებული.

საგალობლებში სიტყვათქმნადობის იშვიათ ფორმებთანაც გვაქვს საქმე. მაგ., „ემაცხოვრებოდა რაჲ ავგაროზს“ (287r); „ხოლო ღმრთეებაჲ საკვრველებდა“ (288r).

ამრიგად, არსენ ბულმაისიმისძის მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები, ორი ჰიმნოგრაფიული კანონი და რამდენიმე მცირე ფორმის საგალობელი, დატვირთულია ღრმა თეოლოგიური აზრით, რომელიც, ცხადია, დოგმატურ-კანონიკურ ფარგლებს არ სცილდება. ისინი უადრესად მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებებია, რომლებშიც ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებებითა და ზერხებითა გამოხატული ძირითადი აზრი — ქება მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა. საგალობლები საინტერესოა ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით მასში გამოყენებული ტერმინის „ფერთმოქმედების“ გამო. არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ როგორც ისტორიული, ასევე ლიტერატურულ-მხატვრული და ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით.



Н. В. СУЛАВА

О ГИМНОГРАФИЧЕСКОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ АРСЕНА  
БУЛМАИСИМИСДЗЕ

## Резюме

В грузинской научной литературе широко известно имя Арсена Булмаисимисдзе, выдающегося государственного деятеля I половины XIII века, католикоса Грузии и одного из лучших грузинских гимнографов. Он является блестящим писателем-гимнографом, мыслителем и богословом, которому принадлежат многочисленные значительные песнопения. К сожалению, его гимнографические произведения монографически не изучены и пока еще не опубликованы.

Используя художественные аксессуары гимнографической традиции, Арсен Булмаисимисдзе создал оригинальные песнопения, посвященные Марткопской нерукотворной иконе Иисуса Христа Спасителя.

В данном исследовании изучаются вышеупомянутые гимнографические памятники как литературные произведения, которые являются плодом глубочайшего богословского мышления. В статье рассматриваются те божественные имена, которые стали художественными эпитетами, метафорами. Особое внимание уделяется структуре и композиции песнопений Арсена Булмаисимисдзе.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთაველოლოგიის განყოფილება.

წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა.

## კითხვან ელავილი

## ხე-მცენარის სახე ქართულ საისტორიო პროზაში (V—XII სს.)

ხე-სიმბოლოს გააზრება ძველ ქართულ მწერლობაში მეტად ორიგინალურად წარიმართა. ხე აქ ისეთი ფილოსოფიური დატვირთვით მოგვევლინა, რომ უკვე აუცილებელი შეიქნა ლიტერატურული ძეგლების უანრობრივი გამიჯვნაც, რის გათვალისწინების საფუძველზეც ხე-მცენარე მთელი თავისი მრავალფეროვნებით წარმოგვიდგა.

მაგალითად, ქართულ ჰაგიოგრაფიაში ხის სიმბოლიკა ძირითადად ბიბლიურია, მაგრამ ამავე დროს შეიმჩნევა ეროვნული განწყობაც ზოგიერთი მცენარის მიმართ.

რაც შეეხება ქართულ საერო ლიტერატურას, აქ ხე-სიმბოლო მოგვევლინა რაღაც შუალედური ფორმით რელიგიურ სიმბოლოსა და პოეტურ გამოსახვის საშუალებას შორის. ამასთან „ამირანდარეჯანიანში“ წარმოდგენილი ხე გაცილებით უფრო ესადაგება ბიბლიურ სიმბოლიკას, მაშინ როცა „ვისრადიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ ხე პოეტური გამოსახვის საშუალებაა და ქმნის ნაწარმოების ემოციურ ფონს.

საერო ლიტერატურა მარტო ეპოსით არ იფარგლება და სწორედ ამიტომ საინტერესოა იმის ჩვენება, თუ როგორ არის გააზრებული ხე-მცენარე საისტორიო პროზაში. საისტორიო პროზაში ძალზე იშვიათად გვხვდება ჩვენი საკვლევი მასალა, აქ ხის სიმბოლიკის ელემენტების მიკვლევაც კი ჭირს.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ერთი და იმავე ავტორის მიერ შექმნილი ორი სხვადასხვა უანრის ნაწარმოები, ხე-მცენარის წარმოდგენისას რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კერძოდ, ლეონტი მროველი „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ ჭარბად იყენებს ხის სიმბოლიკას, მაშინ როცა ამ მხრივ საკმაოდ სიტყვაძუნწია „მეფეთა ცხოვრების“ შექმნისას.

„მეფეთა ცხოვრების“ შესახებ კ. კეკელიძე წერდა: „თქმულებათა ლიტერატურული დამუშავება წარმოდგენილია ლეონტი მროველის სახელით ცნობილ „მეფეთა ცხოვრებაში“. „ვახტანგ გორგასალის ცხოვრების“ ჩათვლით. ეს ძეგლი იმდენად ისტორიული ნაწარმოები არაა, რამდენადაც ქართველების თავისებური *Chanson de geste*, რომელშიც მოცემულია ლეგენდარულ „საქმეთა საგმიროთა“ ფეოდალურ გემოვნებაზე გადაამუშავების ცდა“<sup>1</sup>.

და მით უფრო საკვირველია ის ფაქტი, რომ ამ საგმირო პროზაში ეპოსისათვის დამახასიათებელი ხის ნიშნებიც კი არ გვხვდება. ეს მხოლოდ შეიძლება აიხსნებოდეს იმით, რომ ამ ნაწარმოებში ისტორიული ფაქტების აღწერისას ავტორები მხატვრულ ეფექტს ქმნიან ძირითადად არა სიმბოლოებითა და სიმბოლოური აზროვნებით, არამედ უშუალოდ გარკვეული ფაქტებით. მაგალითად, „მეფეთა ცხოვრებაში“ ლეონტი მროველმა საჭიროდ მიიჩნია, მეფე ნირიანის ცხოვრების აღწერისას დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით დაერთო „წმ. ნინოს ცხოვრება“, რომელიც თავისი სახისმეტყველებით ძირითადად ემიჯნება „მეფეთა ცხოვრებას“.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, გვ. 15.



ლეონტი მროველს „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ საოცრად სრულყოფილად აქვს დახატული ხე — დატვირთული ბიბლიური სიმბოლიკით. იგივე ლეონტი მროველი, როგორც უამთაღმწერი, გვაძლევს ისტორიულ მოვლენების გარკვეულ წილად „მხატვრულ“ აღნუსხვას. ამ შემთხვევაში მისთვის უკვე უცხოა მოვლენათა სიმბოლური სახით წარმოდგენა და არც მხატვრული ეფექტის მისაღებად არ მიმართავს ხის ტროპულ სახეებს.

ლეონტი მროველი „მეფეთა ცხოვრებაში“ ასევე იშვიათად იყენებს ბიბლიურ სიუჟეტებსა და ციტატებს. ამიტომ ამ ნაწარმოებში ხის სიმბოლიკის იმ ელემენტებსაც ვერ წავაწყდით, რისი მიკვლევის იმედიც ჩვენ გავაჩნდა.

თითქმის ანალოგიური სურათია „ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში“, „არჩილ მეფის ცხოვრებაში“, „მატიანე ქართლისაში“, „ცხოვრება მეფეთა-მეფისა დავითისაში“, „ლაშა გიორგის დროინდელ მატიანეში“. მცირედი გამონაკლისის გარდა.

ზოგიერთ შემოჩამოთვლილ ნაწარმოებში შევძელით ჩვენი ნაშრომისათვის მეტ-ნაკლებად საინტერესო მასალის მიკვლევა. თუმცა ეს რამდენიმე მაგალითი არ ცვლის ჩვენს შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ისტორიულ პროზაში ხის სიმბოლიკის ელემენტები თითქმის არ მოგვეპოვება.

ერთ-ერთი ასეთი ელემენტია „ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში“:

„ვითარცა იტყვის სახარება, ვითარმედ: „არა დაშრიტო პატრუკი მგზნებარე: არცა განსტეხო, ლერწამი დაჩეჩქვილი. ხოლო შენ ჰვინებ ვითარცა შენითა სივერაგეთა ჩვენ დაგუცადენ სიყვარულისა ქრისტესსა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 197).

„ლერწამი შემუსრვილი არა განტეხოს და პატრუკი მბრდნვარე არა დაშრიტოს ვიდრემდე გამოიღოს ძლევად საშჯელი“ (მათე, 12,20).

ჯუანშერს „ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში“ მრავალი ბიბლიური ციტაცია აქვს გამოყენებული. ეს ამ ავტორის ხელწერაა, რომ ისტორიული მოვლენები და სიტუაციები მიუსადაგოს ბიბლიურ სიუჟეტებს. სწორედ, ბიბლიური ციტატების მეშვეობითაა წარმოჩენილი ავტორის შეხედულებანი. ამიტომ გარკვეულად კანონზომიერია, რომ სწორედ ამ ნაწარმოებში გვხვდება ხის ბიბლიური სიმბოლიკის ელემენტიც.

„ლერწამი — ქრისტიანულ-მითოლოგიური გააზრებით სიმბოლოა მორჩილების, ადამიანური სისუსტის“<sup>2</sup>.

ხის სიმბოლიკა რომ ელემენტების სახითაა გაბნეული ისტორიულ პროზაში, ჩვენ ამას მოველოდით, მაგრამ ვფიქრობდით, რომ თუნდაც უტილიტარული მნიშვნელობით მაინც იქნებოდა ხე წარმოდგენილი ქართულ საისტორიო პროზაში. ხეს მსგავსი გააზრებით შევხვდით მხოლოდ და მხოლოდ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან: „და ვინმე ადვილის ბორცუსა ზედარსმე გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა თუ ხესა, ვითარცა ზაქე“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 354).

ჯუანშერის მსგავსად ამ ნაწარმოების ავტორიც, როცა ერთგვარ შეფასებას აძლევს დავითის სამეფო მოღვაწეობას და მოგვითხრობს, რომ დავითმა სამეფო კარზე შემოიკრიბა ერთგული და მამაცი ხალხი, ნაცვლად უპირო და უღირსი თანამოძმეებისა, და მსჯელობის ერთგვარ განსამტკიცებლად და თავისი აზრის უფრო საცნაურად წარმოდგენისათვის ისიც მოიშველიებს ბიბლიურ ციტატას. კერძოდ, „ხილვისაებრ ნაბუქოდონოსორისა „ვხედევდიო იტყვს, ხესა შორის ქუეყანასა, სიმაღლედ ცისა მიწოდებისა და რტოთა მისთა კიდემდე ქვეყნისა ფურცელნი მისნი შუენიერნი, ნაყოფი მისი ფრიად და საზრდელი ყოველთა მათ შორის“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 360).

<sup>2</sup> Мифы народов мира, т. II, гв. 370.

ხის სიმბოლიკის ერთი ფრაგმენტული მოხმობა გვხვდება ლაშა-გიორგის ღროინდელ მატეანეშიც, სადაც ჩვენთვის უცნობი ავტორი ლაშას სრულყოფილი სახის შექმნისას მიმართავს სასულიერო მწერლობაში საკმაოდ ხშირად გამოყენებულ ნერგის სიმბოლოს — ანალოგიური გააზრებით: „თორმეტისა წლისა იყო, ოდეს მეფედ დაჯდა ნერგი კეთილ-მოზარდი და ყუთავილი ყოველთა ფერთაგან შემკობილი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 370).

ამ სიმბოლოს მისადაგება თამარ მეფის ძისადმი შემთხვევითი არ არის, რადგანაც სწორედ თამარ მეფის შესახებ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობი ავტორი ასე წერდა: „ესე შვილ იქმნა მშობელთა ძირ-რტობთა, შესატყვისთა და შეზავებულთა, ვითარმედ საცნაურ არს ხე ნაყოფისაგან“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 4). „თითოეული ხე (ხე) თვისისაგან ნაყოფისა საცნაურ არს.“ (ლუკა 6.44).

ჰაგიოგრაფიული მწერლობის წმინდანთა ატრიბუტული სიმბოლოების გამოყენება ისტორიულ პროზაში და თანაც ხაზგასმით მხოლოდ და მხოლოდ თამარ მეფესთან და მის ძესთან მიმართებაში კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს თამარის წმინდანთა რანგში აყვანის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საისტორიო პროზა ხშირად საკმაოდ ღრმა და დასრულებულ მხატვრულ სახეებს შეიცავს, მასში მაინც ნაკლებადაა ხის სიმბოლიკა. მაგრამ მაინც საინტერესო იყო ამ თვალსაზრისით საისტორიო პროზის დეტალური შესწავლა, რადგანაც შეგვიძლია იგი შევაპირისპიროთ ხის სიმბოლიკასთან ჰაგიოგრაფიასა და საეპოქ მწერლობაში.

ჰაგიოგრაფიაში ხის ბიბლიური სიმბოლიკაა, ხოლო საერო ლიტერატურაში, მცირე გამოჩენის გარდა, თითქმის არ მოგვეპოვება ხის სახის ბიბლიური გააზრება, ხოლო მოგვიანებით მოხდა ხის სიმბოლური სახის პოეტურ სახეში გადაზრდა.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქართულ მწერლობაში ხის სიმბოლიკა ძირითადად ბიბლიურ საფუძვლებს ემყარება.

К. З. ЭЛАШВИЛИ

## ОБРАЗ ДРЕВА РАСТЕНИЯ В ГРУЗИНСКОЙ ИСТОРИЧЕСКОЙ ПРОЗЕ (V — XII вв.)

### Резюме

В исторической прозе встречаются довольно законченные художественные образы; но эта художественность достигнута употреблением не самих символических образов, а непосредственно, упоминанием определённых фактов.

В этих произведениях символ дерева используется только фрагментами.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილება.

წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა.



## ნ ის ტ ა ნ ჩ ხ ი ვ ა მ ი

ქართულ-ბიზანტიური სალიტერატურო ურთიერთობების  
ისტორიისათვის

„ავგაროზის ეპისტოლე“ ქართულ სამწიგნობრო ტრადიციაში

ქართულ-ბიზანტიური სალიტერატურო ურთიერთობების ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ქრისტიანული მწერლობის ძველი ქართული თარგმანების წარმომავლობისა და მათი რედაქციული სხვაობების საკითხებს. სასულიერო მწერლობის ძველ ქართულ თარგმანებში დაცული თავისებურებანი, არქაული თუ თანადროული იდეოლოგიური ტენდენციების ამსახველი ტექსტები დიდ მნიშვნელობას იძენენ არა მარტო ქრისტიანული მწერლობის ქართულ თარგმანთა ისტორიისათვის, არამედ თავად აღმოსავლური და გვიანბიზანტიური კულტურულ-ისტორიული პროცესების ევოლუციის სურათის აღსადგენადაც, მით უფრო, რომ სასულიერო მწერლობის ამა თუ იმ ძეგლის წარმომავლობა, მისი ქართული თარგმანის ჩამოყალიბება საფუძველს იღებს იმ მთარგმნელობითი სკოლებისა თუ კერების საერთო მიმართულებიდან, სადაც გადაიწერა აღნიშნული თხზულების შემცველი ნუსხები. შავი მთის, პალესტინის, სინისა თუ ათონის მთის ქართულ სავანეებში მოღვაწე მწიგნობრები ინტენსიურად თარგმნიდნენ თანადროულ კანონიკურ ძეგლებსა და ადგენდნენ მათ შემცველ კრებულებს. საინტერესოა ერთი გარემოებაც, ქართული მწერლობის ბიზანტინიზაციის ეპოქაშიც, ათონელთა პერიოდიდან მოყოლებული, ძველი ქართული კრებულები ინარჩუნებენ როგორც იერუსალიმური ტრადიციის ამსახველ ტექსტებსა და კალენდარს, ასევე ამა თუ იმ თხზულების ადრეულ, აღმოსავლურ რედაქციებს, რომელნიც განდევნა გვიანბიზანტიურმა სამწერლობო ტრადიციამ. ამავე დროს ამ არქაულ მასალას ქართული კრებულების შემდგენელ-რედაქტორები უხამებენ კონსტანტინეპოლურ პრაქტიკაში დამკვიდრებულ ტენდენციებს.

სასულიერო მწერლობის ჩვენამდე მოღწეული ქართული თარგმანები საშუალებას გვაძლევენ აღვადგინოთ ბიზანტიური ლიტერატურული ტრადიციების არქაული ეტაპი, წარმოვიდგინოთ როგორც ცალკეული ძეგლის, ასევე მთელი ტრადიციის თანდათანობითი შევსების სურათი. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი ეკისრება „ავგაროზის ეპისტოლის“ ქართულ რედაქციებს.

„ავგაროზის ეპისტოლის“ ქართულ რედაქციათა ისტორიის სრული სურათის წარმოსაჩენად საჭიროა ყურადღება შევაჩიროთ იმ ნუსხათა თემატურ რაობაზე, რომლებშიც წარმოდგენილია აპოკრიფის ქართული რედაქციების ადრეული ტექსტები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აპოკრიფული დარგის თხზულებათა მნიშვნელობა და მათი კანონიკური ხასიათი განისაზღვრებოდა იმ სარწმუნოებრივ-დოგმატური შინაარსით, რის საფუძველზეც ყალიბდებოდა ცალკეული ძეგლი. ქრისტიანული მწერლობის ამ დარგის ნიმუშები უმეტეს შემთხვევაში იქმნებოდა, არა როგორც დამოუკიდებელი მხატვრული ქმნილებები, არამედ,

როგორც ქრისტოლოგიური თხზულებები, საღვთისმეტყველო ლიტურატიურის შემავსებელი თხრობები, რაც განსაზღვრავდა კიდევ მათ ადგილს შესაბამის თემატურ კრებულებში.

„ავგაროზის ეპისტოლე“ ჩამოყალიბდა ორი, თანაბრად ღირებული მოტივის — მიმოწერისა და ხელთუქმნელი ხატის საკვირველმოქმედი ძალის ერთობლიობის საფუძველზე. მართალია, ორივე მოტივს გაცილებით ადრე ვხვდებით, მაგრამ მათი გაერთიანება და თხზულების დამოუკიდებელ, კანონიკურ ძეგლად გაფორმება XI ს. 30-იანი წლებისათვის ივარაუდება. ამ პერიოდთან „ავგაროზის ეპისტოლე“ ქალკედონური დოქტრინის დამადასტურებელ თხრობად იქცა პარალელურად. კონსტანტინოპოლურ ლიტურგიკულ პრაქტიკაში დაკანონდა 16 აგვისტოს, როგორც ხელთუქმნელი ხატის კონსტანტინოპოლში გადასვენების დღესასწაული. მაგრამ, როგორც ჩანს, „ავგაროზის ეპისტოლე“, მიუხედავად მისი კანონიკური მნიშვნელობისა, არ იქნა გააზრებული, როგორც ამდღეს საკითხავი ტექსტი, კონსტანტინოპოლური სინაქსარის მიხედვით 16 აგვისტოს დაიდო ფსევდო კონსტანტინე პორფიროგენეტის თხრობის („იმპერატორ კონსტანტინეს თხრობა ხელთუქმნელი ხატის შესახებ“) საფუძველზე ჩამოყალიბებული სინაქსარული და ვრცელი ტექსტები<sup>1</sup>. სამწუხაროდ, ჩვენ ვერაფერს ვიტყვით „ავგაროზის ეპისტოლის“ ბერძნული რედაქციის ადგილზე ლიტურგიკულ პრაქტიკაში, რადგან ჩვენ ხელთ არსებული ლიტურატიურა ამ კუთხით არ განიხილავს აპოკრიფის ისტორიის საკითხს. თხზულების პრაქტიკული საღვთისმსახურო ფუნქციის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ქრისტიანული არქეოლოგიისა და ლიტურგიკის ლექსიკონი, სადაც აღნიშნულია, რომ „ავგაროზის ეპისტოლეს“ სირიულ პრაქტიკაში ათავსებდნენ მარხვის ციკლის ლიტურგიკაში. ლექსიკონი მიუთითებს პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის სირიული ფონდის № 56 ხელნაწერს — ლექციონარს<sup>2</sup>.

საინტერესოა, რა ადგილი ეთმობა აღნიშნულ თხზულებას ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში? „ეპისტოლის“ ქართულ რედაქციათა ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად სავსებით ნათელი გახდა, რომ აპოკრიფის ჩვენ ხელთ არსებულმა ქართულმა ტექსტებმა შემოგვინახეს ძეგლის განვითარების ქრონოლოგიურად განსხვავებული რედაქციები. ქართული თარგმანები წარმოადგენენ არა მთარგმნელ-რედაქტორთა ინდივიდუალური, პიროვნული პოზიციის საფუძველზე სახეცვლილ ტექსტებს, არამედ მიჰყვებიან კონკრეტულ კულტურულ გარემოში გავრცელებულ რედაქციებს, გვაწვდიან თხზულების კანონიკურ ვერსიებს. მოსალოდნელია, რომ ამგვარი მიდგომა გამომქლავნდებოდა „ეპისტოლის“ ქართულ თარგმანთა ფუნქციის განსაზღვრისა და კრებულებში მათი განთავსების საკითხშიც. ამ მხრივ საგანგებო მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ თხზულების შემცველ ადრეულ ნუსხებს.

„ავგაროზის ეპისტოლის“ ქართული მოკლე და ვრცელი რედაქციების პირველი თარგმანები დაცულია XI—XIII საუკუნეთა ხელნაწერ წიგნებში, რომელთაგან სამი—A 484, Q 908, A 496—ოთხთავია. როგორც კალიბოსზე გადაწერილი ალავერდის (A 484), ასევე გელათის (Q 908) ოთხთავთა ნუსხები წარმოადგენენ საგანგებოდ შედგენილსა და მდიდრული მინიატურებით შეკაზმულ ხელნაწერ წიგნებს, რომელთა მხატვრული გაფორმების ერთიანი

<sup>1</sup> H. Delehaye, Synaxarium ecclesiae Constantinopolitanae. Propylaeum ad Acta Sanctoym Novembris. Bruxelles, 1902, 894 — 901.

<sup>2</sup> Dictionnaire d'archeologie et de liturgie, publié par Le R. P. Dom Fernand Cabrol, Paris, 1907, t. I, par. 2, col. 908; პარიზული ნუსხის აღწერილობა უქონლობის გამო ვერაფერს ვიტყვით მის თარიღსა და შედგენილობაზე.



სისტემა თვალნათლივ მიგვანიშნებს, რომ აღნიშნულ კრებულებში „ავგაროზის ეპისტოლის“ არსებობა წარმოადგენს თავიდანვე გამიზნულ და გააზრებულ ფაქტს. მინიატურათა შესრულების ერთიანი, გეგმაზომიერი სურათი აპოკრიფს ოთხთავის განუყოფელ ნაწილად აქცევს.

ალავერდის, გელათისა და ლარგვისის ოთხთავებისათვის აღნიშნული აპოკრიფის დართვა, შესაძლოა, წარმოადგენდეს საქრისტიანო მწერლობაში დამკვიდრებული ტრადიციის ანარეკლს. პროფ. კ. კეკელიძე აღნიშნავს: „რაც შეეხება ავგაროზს, მას ზოგიერთ ეპოქაში და ზოგიერთ წრეში კანონიკურ ღირებულებასა და მნიშვნელობასაც კი აძლევდნენ, რის გამოც... მას სახარებაში ათავსებდნენ“<sup>3</sup>.

ისმის კითხვა: რის საფუძველზე აერთიანებდნენ ნუსხათა შემდგენლები ჩვენთვის საინტერესო თხზულებას სახარების ტექსტთან? თუ იგი ასრულებდა ქრისტეს ცხოვრების შემავსებელი თხრობის ფუნქციას, მაშინ გაუგებარია, რატომ რჩება ოთხთავთა გადამწერებისა და შემდგენლების ყურადღების მიღმა ქრისტეს ცხოვრებისადმი მიძღვნილი სხვა აპოკრიფები. საქმე ისაა, რომ ამ რიგის არც ერთი თხზულების ქართული თარგმანი („სიყრმე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი“, „კითხვა-მიგება იესუსი და განრღუეულისაჲ“, „საკითხავი ვნებისათჳს და სიკუდილისა, მოსახსენებელი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, თქუძული ანანია ებრაელისაჲ, დასისაგან შჯულის — მეცნიერისა“, „საკითხავი ჭუარისათჳს და პოვნაჲ წმიდათა სამშუქუალთაჲ“) არ დასტურდება ოთხთავის ქართულ ნუსხებში.

ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხს თვითონ ალავერდული ტექსტის ბოლოს დართული მინაწერი იძლევა. ტექსტის ხელით შესრულებულ მინაწერში ვკითხულობთ: „იესუ ქრისტე, მფლობელო ყოველთა საუკუხეთაო, აღიდგ სულითა მადიდებელი შენ სიმონ მღვდელი და ურცხვენლად ღირს-ყავ ხილვად ყოვლად უხრწნელისა ხატისა შენისა, ვითარცა ავგაროზ მთავარი, ამენ“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გადამწერი — იოანე დვალი საკუთარ მინაწერს ნუსხურით ასრულებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სიმონ მღვდლის მოსახსენებელი მინაწერისა და ტექსტის ერთი ხელითა და დაწერილობით (მრგვლოვანი) შესრულებას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება აპოკრიფის ინტერპრეტაციისა და მისი დანიშნულების განსაზღვრისათვის ჩვენი აზრით, გადამწერი გარკვეულ უხერხულობას გრძნობს „ეპისტოლის“ ალავერდული ტექსტის აღმოსავლური, არავონსტანტინოპოლური ელფერის გამო და თხზულების კანონიკურობისა და ბიზანტიურ პრაქტიკაში დამკვიდრებული 16 აგვისტოს დღესასწაულის ხაზგასასმელად ურთავს მას ზემოთ მოყვანილ მინაწერს.

ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არაა ყურადღება შევჩაერთოთ აპოკრიფის მხატვრულ გაფორმებაზე. როგორც აღვნიშნეთ, „ავგაროზის ეპისტოლის“ ძველ ქართულ თარგმანთა შორის ორი — ალავერდული და გელათური — ილუსტრირებულია. სხვაობა ამ ორ რედაქციას შორის მათ მხატვრულ გაფორმებაშიც ვლინდება. ალავერდული და გელათური ტექსტების მინიატურათა შესწავლა, სამხატვრო სკოლებისა თუ სტილის თავისებურებათა კვლევა, რა თქმა უნდა, სცილდება ჩვენი კვლევის სფეროს და პროფესიონალთა დაკვირვების საგანს წარმოადგენს<sup>4</sup>. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ

<sup>3</sup> კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1980, გვ. 197.

<sup>4</sup> ქართულ ოთხთავთა მინიატურულ მხატვრობას იკვლევს ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ელ. მაჭავარიანი; მის მიერ შესწავლილი და გამოსაცემად მომზადებულია ქართული ოთხთავების მინიატურების კატალოგი, რომლის დაბეჭდვა ავსტრიაშია ნაპირაუდგევი.



ტექსტების მხატვრული გაფორმებისა და თხზულების სიუჟეტს შორის არსებულ კავშირზე, რაშიც, ჩვენი აზრით, ვლინდება აპოკრიფის ქართული თარგმანების წარმოშობის მთავარი მიზეზი, მისი კულტურულ-სარწმუნოებრივი საფუძველი. აზრის ნათელსაყოფად დავძენთ, რომ გელათის ოთხთავში დაცული კონსტანტინეპოლური რედაქციის ტექსტის ქართულ თარგმანს ახლავს 12 სიუჟეტური მინიატურა, რომელიც თხზულების შესაბამისი ეპიზოდის ილუსტრაციას ემსახურება; ხოლო ალავერდის ოთხთავზე დართულ აღმოსავლური ელფერის მოკლე ქართულ რედაქციაში, რომლის სხვაენოვანი დედანი უცნობია, წარმოდგენილია მხოლოდ ხუთი მინიატურა, რომელიც სცილდება თხზულების ამა თუ იმ ეპიზოდის ილუსტრაციის ფარგლებს და გარკვეული იდეოლოგიური აქცენტირების ხასიათს იძენს. ამ ხუთი მინიატურიდან ტექსტში ჩართულია მხოლოდ სამი: იესო ქრისტეს ეპისტოლის დასაწყისში—მაცხოვარი სწერს ავგაროზს. მის წინ დგას თავდახრილი მალემსრბოლი (318r); წმინდა მანდილი მაცხოვრის გამოსახულებით (320v); წმინდა ტაძარი (321v)—აპოკრიფის სიუჟეტური ქარგა არაფერს ამბობს უფლის ტაძრის შესახებ, ამდენად მინიატურას სიმბოლური შინაარსი აქვს; თხზულების ფინალში წარმოდგენილ მინიატურაზე მაცხოვარი აკურთხებს ავგაროზს (323v). საინტერესოა, რომ ბოლო მინიატურაში წარმოდგენილი სიუჟეტიც სცილდება „ავგაროზის ეპისტოლის“ ფინალური ეპიზოდის შინაარსს და მის სიმბოლურ გაგრძელებას წარმოადგენს.

თხზულების ქარგის მიხედვით ედესის მთავარი არ წარმდგარა მაცხოვრის წინაშე. ავგაროზის თხოვნაზე, ჩასულიყო მასთან და განეკურნა იგი, მაცხოვარმა უპასუხა: „მოსწერე ჩემდა, რაჟთა მოვიდე შენდა მომართ. და მე რომლისათვის-იგი მოვივლინე, განმზადებულ არს და აღვალ მამისა ჩემისა, რომელმან მომავლინა მე. და მე ოდეს აღვიდჭ, მოგივლინო შენ ერთი მოწაფეთა ჩემთაგანი და ტკივილი იგი, რომელ გაქუს, მან განკურნოს და ყოველნი, რაოდენნი გყვანან, მოაქციენს ცხოვრებასა მიმართ საუკუნოდასა“.

ამდენად, აპოკრიფის სიუჟეტური ქარგის მიხედვით, ავგაროზისა და იესო ქრისტეს შეხვედრა შესაძლებელი იყო არა ედესის მთავრის ხორციელი, მატერიალური არსებობის დროს, არამედ მისი სულიერი განკურნებისა და საუფლო სამყაროსთან მიახლების შემდგომ. ამაში ვლინდება „ავგაროზის ეპისტოლის“ სიმბოლური შინაარსი. აპოკრიფის ალავერდული ტექსტის ბოლო მინიატურა ამ შინაარსის გათვალისწინებითაა შედგენილი. ამიტომაცაა, ალბათ, რომ ნუსხის მხატვარი ედესის მფლობელს გამოსახავს ნიშბით, როგორც ამკვეციანთ ვნებებზე ამალღებულსა და სულიერად განწმენდილ პირს.

ახლა შევჩერდებით აპოკრიფის პირველ მინიატურაზე. იგი წინ უძღვის ტექსტს და მოთავსებულია ცალკე ფურცელზე (316v). საინტერესოა თვით წარწერა, რომელიც ახლავს გამოსახულებას. მდიდრულად შესრულებულ კამარაში ტექსტის ხელით ჩაწერილია: „ავგაროს, სამეუფოა მეფისაჲ“. კამარებს ქვემოთ კი მოთავსებულია გამოსახულება: სნეული, მწოლარე ავგაროზისა და მის წინაშე მდგომი პირისა (მასზე ქვემოთ შევჩერდებით). ედესის მფლობელი აქაც შემკულია ნიშბით. ავგაროზის ფიგურის ზემოთ იკითხება ბერძნული წარწერა: „Αβγαρος“. რაში დასჭირდა მის ავტორს ამგვარი მინიშნება? როგორც ჩანს, წარწერის შემსრულებელს კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული თავად ალავერდული ტექსტის ის თავისებურება, რომ აქ აპოკრიფის მთავარი პერსონაჟი — ედესის მეფე მოხსენებულია, როგორც ავგაროზ „შავი“. თხზულების კონსტანტინეპოლური ბერძნული და შესაბამისად ქართული ვრცელი რედაქცია არ იცნობს ამ პირს. ესაა სირიული ლეგენდასა და



შემდგომ მაგიურ ტექსტებში დაფიქსირებული ზედწოდება მეფე ავგაროზისა. ბუნებრივია, რომ ხელნაწერის მხატვარი აღმოსავლური ელფერის მქონე ამ პერსონაჟის კანონიერებას მისი მხატვრული ფორმით, სიწმინდის დამადასტურებელი ატრიბუტით — ამ შემთხვევაში ნიშნით — შეეცდებოდა. მინიატურაზე აღბეჭდილია უკვე განკურნებული და სულიერად ამალღებული ავგაროზი, საუფლო სამყაროს წევრი. ამასვე, ვფიქრობთ, უნდა მიგვანიშნებდეს კამარაში ჩაწერილი „სამეფუფო მეფისა“ — ანუ ავგაროზი, როგორც გზა საუფლო სამყაროსაკენ.

ამდენად, ალავერდული ნუსხის პირველი მინიატურაც უნდა წარმოადგენდეს არა კონკრეტული ეპიზოდის მხატვრულ ილუსტრაციას, არამედ მთელი თხზულების სიმბოლურ გამოსახულებას. ამ შემთხვევაში კამარაში ჩაწერილი მთავრული წარწერის სიტყვა „ავგაროზ“ სწოზადო სახელის ელფერს იძენს.

შევჩერდებით ერთ გარემოებაზეც. ჩვენი აზრით, პირველ მინიატურაში ავგაროზთან ერთად გამოსახულია თადეოზ მოციქული, გელათური ტექსტი, რომელსაც 12 ილუსტრაცია ახლავს, აპოკრიფის დასაწყისში წარმოგვიდგენს ავგაროზს, მალემსრბოლსა და მხატვარს. ედესის მფლობელი ექვს მინიატურაზეა გამოსახული, მათ შორის ნათლისღების ეპიზოდში, მაგრამ არსად არ ჩანს მისი სიწმინდის დამადასტურებელი იმგვარი მხატვრული ატრიბუტი, რომელსაც წარმოგვიდგენს ალავერდული ნუსხის მხატვარი. აპოკრიფის შინაარსის მიხედვით ავგაროზის სულიერი განწმენდა თადეოზ მოციქულის წყალობით მოხდა (პირველად მისი ჩამოსვლისა და შემდგომ ნათლისღების მეშვეობით). ამიტომაც, ვვარაუდობთ, რომ ალავერდული ტექსტის მინიატურაზე ნიშნით შემკული ავგაროზის გვერდით გამოსახულია თადეოზ მოციქული და არა მალემსრბოლი მეფისა, როგორადაც ამას წარმოგვიდგენს გელათური ხელნაწერი.

ამრიგად, ალავერდის ოთხთავის მინიატურებზე ზემოთ მოყვანილი მსჯელობა იმისათვის მოვიხმეთ, რათა აღგვენიშნა, თუ რაოდენ ორგანიზებულ და გააზრებულ ხასიათს იძენს აპოკრიფული თხზულების მოკლე ქართული რედაქციის შეტანა საგანგებოდ მოკაზმულსა და კონსტანტინოპოლური ტრადიციების ამსახველ ალავერდულ ოთხთავში. მართალია, აქ ფიქსირებული „ავგაროზის ეპისტოლე“ სცილდება აპოკრიფის დაკანონებულ ვერსიას, მაგრამ ნუსხის გადამწერ-მომგებელიცა და მხატვარიც ყოველ მხრივ უზრუნველყოფენ თხზულების კანონიერ ხასიათს და როგორც მინაწერებით, ასევე მინიატურებით უქვემდებარებენ მას ბერძნულ-ბიზანტიურ კულტურულ პროცესებს.

როგორც ჩანს, 1054 წელს კალიპოსზე გადაწერილი ალავერდის ოთხთავი თვალნათლივ ასახავს XI საუკუნის ნახევრიდან ქართული მწიგნობრობის საზღვარგარეთულ ცენტრებში დამკვიდრებულ ტენდენციას, რაც გულისხმობდა ლოკალური კულტურულ-ისტორიული გარემოს გათვალისწინებით კონსტანტინეპოლური ტრადიციისაკენ გეზის აღებას.

რაც შეეხება გელათის ოთხთავში დაცულ „ავგაროზის ეპისტოლეს“, აქაც იგი ხელთუქმნელ ხატთან დაკავშირებული თხრობაა. მართალია, ტექსტს არ ახლავს არავითარი მინაწერი, მაგრამ თავად „ეპისტოლის“ ტექსტში შეტანილი სწორება (გგულისხმობთ მისი კომპოზიციური მთლიანობის დარღვევასა და ცალკე დასათაურებით ხელთუქმნელი ხატის ისტორიის ამსახველი მონაკვეთის გამოყოფას) თვალნათლივ მიგვანიშნებს ძველის დანიშნულებას. ამ საკითხზე არ შევჩერდებით, ვინაიდან მას შევეხეთ ქართულ რედაქციითა წარმომადგენლობაზე მსჯელობისას. აქვე დავძენთ, რომ გელათის ოთხთავის 280r—286r-ზე წარმოდგენილია „ხანდუკი სახარებისა საძიებლისა“, რომელშიც 16 ავგისტოს აღინიშნება საკითხავი ლუკას თავისა IX, 44—60 (285v). საინ-



ტერესოა, რომ ამავე დღეს ლუკას ამ თავისა და მუხლთა ტექსტი საგანგებოდ და გამოტანილი დღესასწაულის მითითებითურთ გიორგი ათონელის რედაქციის საწელიწოდო სახარებაში — sin. 74, 190v—191v-ზე გვითხულობთ: «თა აგვისტოსა ივ, თაყუანის-ცემამ წმიდისა ქრისტეს ხატისაჲ, რომელი-იგი გამობრწყინდა საუფლოსა მის პირსა მისისაგან მანდილსა ზედა.—სახარებაჲ ლუკასი» (IX, 44—45, 51—55; X, 3—4, 8—9).

ამრიგად, „ეპისტოლის“ პირველი ქართული თარგმანები — ალავერდისა და გელათის ოთხთავებში დაცული ტექსტები, განურჩევლად მათ წყაროსა რედაქციულობისა, ქართულ მწერლობაში სწორედ ხელთუქმნელი ხატის მოტივთან დაკავშირებით ჩნდება. ალავერდული და გელათური ტექსტების შემოთ დადასტურებული თავისებურებანი უნდა მივიჩნიოთ აპოკრიფული თხზულების კანონიკური შინაარსის განმსაზღვრელ არგუმენტებად და არა მითითებად მათ პრაქტიკულ დანიშნულებაზე.

„ავგაროზის ეპისტოლის“ ოთხთავზე დართვის ტრადიცია არც ისე მყარი აღმოჩნდა. ქართულ სამწერლობო პრაქტიკაში იგი მხოლოდ სამ ნუსხაში გამოვლინდა, სამივე თარგმანი ქართულ-ბიზანტიური სალიტერატურო ურთიერთობის საკვანძო ეტაპზე იქნა შესრულებული და, ბუნებრივია, ადგილი დაიკავა საგანგებოდ შედგენილსა და მხატვრულად გაფორმებულ ნუსხებში.

„ავგაროზის ეპისტოლის“ ალავერდული, გელათური და ლარგვისული თარგმანების პარალელურსა და თანდართულ ტექსტს წარმოადგენს აპოკრიფის სინური ვარიანტი. იგი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ტექსტია „ეპისტოლის“ ქართულ თარგმანთა შორის. რამ განაპირობა ამ თარგმანის ამგვარი პოპულარობა მაშინ, როდესაც გიორგი ათონელის ხელიდან გამოსული, გელათის ოთხთავში დაცული ტექსტი არ გვხვდება არცერთ ადრეულ ნუსხაში? უნდა ვივარაუდოთ, რომ სინური თარგმანის გავრცელებას ხელი შეუწყო თვითონ ამ ვარიანტის შემავალი ხელნაწერის — sin 78-ის რაობა: იგი წარმოადგენს ლიტურგიკული კრებულის ნაწილს, რომელმაც ფურცლების დაკლების გამო არასრული სახით მოაღწია. ლიტურგიკული დანიშნულებისა აგრეთვე სინური ვარიანტის შემცველი სხვა ნუსხები: A 1110, H 1352, H 1352, H 3027, S 2684. საინტერესოა, რომ „ავგაროზის ეპისტოლის“ ამ თარგმანს შეიცავს პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ბერძნულ-ქართული ნუსხა (ფონდი, — სხვადასხვა — 0158). აღნიშნული კრებულების ზუსტ რაობასა და მათში „ავგაროზის ეპისტოლის“ შეტანის მიზანს ქვემოთ შევვხებით. ახლა დავუბრუნდეთ კვლავ ამ თხზულების, როგორც კანონიკური ძეგლის, ჩამოყალიბების ერთ საკითხს.

როგორც აღვნიშნეთ, „ავგაროზის ეპისტოლის“, როგორც ქალკედონური დოქტრინის ამსახველი თხზულების, საბოლოო ჩამოყალიბება უკავშირდება XI საუკუნის პირველი მესამედის კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებსა და ბიზანტიის წარმატებულ პოლიტიკას აღმოსავლეთში. თხზულების კანონიკურ ძეგლად აღიარებაც კონსტანტინოპოლური ტრადიციის საფუძველზე უნდა მომხდარიყო. მაგრამ „ეპისტოლე“ არ იქნა გააზრებული, როგორც 16 აგვისტოს — ხატის კონსტანტინოპოლში გადასვენების — დღესასწაულზე საკითხავი ტექსტი. ამ ფაქტის ახსნაც თვითონ თხზულების შინაარსს უკავშირდება. მართალია, „ეპისტოლემ“ კანონიკური შინაარსი კონსტანტინოპოლურ ტრადიციაში პოვა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აპოკრიფის ძირითადი ადრეული ქარგა ეყრდნობოდა აღმოსავლეთში მეტად გავრცელებულ, მაგრამ ფორმულის მნიშვნელობით გამოყენებულ მიმოწერას ედესის მთავარ ავგაროზსა და იესო ქრისტეს შორის, სადაც ხაზგასმული იყო მაცხოვრის და მისი ეპისტოლის სამკურნალო ძალა. ამდენად, თხრობის თავდაპირველ მნიშვნელობა



ქრისტიანულ სიბრტყეზე სიმბოლური შინაარსი შეიძინა და განკურნება იქცა არა კონკრეტულ სენთაგან განთავისუფლების, არამედ სულიერი მანკიერებისა და ვნებებისაგან დახსნის პირობად აპოკრიფი ხაზგასმით ადასტურებს ამგვარ ინტერპრეტაციას: ედესელთა და მათი მთავრის განკურნება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენისაკენ შემობრუნების შემდგომ, ოღონდ აქაც დაცული უნდა ყოფილიყო ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი საიდუმლოს — ნათლისღების აღსრულების პირობა. სწორედ კერასას წყაროზე თადეოზის მეშვეობით სულიერად განბანილი ავგაროზი და მისი სახლეული გათავისუფლდა მანკიერებათაგან „ეპისტოლის“ ალავერდული თარგმანი მოგვიტნრობს:

„და ვითარცა უქადაგა მას (ავგაროზს თადეოზმა) სახარებად უფლისაჲ, შთაიყვანა იგი წყაროდ, რომელსა ეწოდების კერასაჲ. და ნათელსცა მუნ მოციქულმან ავგაროსს და ცოლსა და შვილთა მისთა, და ყოველთა სახლეულთა მისთა მის თანა, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. და იხარებოდეს ყოველნი და განწმიდნა იგინი ყოველისაგან ვნებისა და აღიდებდა ღმერთსა, რომლისაჲ არს ღიდებდა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ“.

ჩვენ საგანგებოდ მოვიყვანეთ მაგალითად აპოკრიფის ალავერდული თარგმანი, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, იგი განსხვავდება თხზულების დღეისათვის ცნობილი და გავრცელებული ბერძნული ტექსტისაგან და ქართულ თარგმანთა შორის ყველაზე მეტად ასახავს ადრეულ, აღმოსავლურ ვერსიას, რაც გამოიხატება სწორედ იესო ქრისტეს, როგორც მკურნალის, ძალმოსილების ხაზგასმაში. ზემოთ მოყვანილი ფინალი კი აქარწყლებს თხზულების მაგიურ ელფერს და სძენს მას ქრისტიანული სიმბოლოს — სულიერი განკურნების შინაარსს. ამგვარი ინტერპრეტაციის საფუძველი ისევ კონკრეტულ ისტორიულ გარემოში უნდა ვეძიოთ. ესაა ქრისტიანული აღმოსავლეთი — სირია-მესობოტომია, რომელიც საკუთარი უფლებამოსილების დამამტკიცებელ საბუთად ჭეშმარიტი რწმენის მიმდევრობას მიიჩნევდა და კონსტანტინოპოლის იდეოლოგიური თუ პოლიტიკური ზეწოლისაგან თავის დახსნის მიზნით თავადვე უზრუნველყოფდა ადრეულ, ტრადიციულ თხრობათა ქრისტიანიზაციის პროცესს. ამდენად საავსებით გასაგები ხდება ის ფაქტი, რომ ბიზანტია საკუთარი წარმატებული პოლიტიკის აღსანიშნავად დადგენილ დღესასწაულზე საკითხავად გამოიყენებდა არა სირიული გარემოდან შემოტანილ აპოკრიფს, არამედ საკუთრივ ბერძნულ სინამდვილეში ჩამოყალიბებულ თხზულებას. ამგვარი თხზულება კი სწორედ კონსტანტინე პორფიროგენეტის ავტორობით ცნობილი აპოკრიფია.

„ავგაროზის ეპისტოლის“ პრაქტიკული საღვთისმსახურო შინაარსის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა თვითონ ძეგლის ძირითადი იდეური ქარგა. როგორც ვხედავთ, ორი მოტივის საფუძველზე გაერთიანებულ აპოკრიფში მნიშვნელობა ენიჭება ქრონოლოგიურად ადრეულ განკურნების მოტივს. საინტერესოა, რომ თხზულებაში ხელთუქმნელი ხატის საკვირველმოქმედი ძალაც ავგაროზისა თუ კოჭლი ყრმის ლენთაგან გათავისუფლებაშია დანახული. თხზულების ამგვარი იდეური ქარგა არ ეწინააღმდეგება ორთოდოქსული ქრისტიანული მწერლობის ძირითად პრინციპს — მიიღოს და განავითაროს მხოლოდ კანონიკური მოტივები და თემები. ქრისტიანული სიმბოლიკის საფუძველზე განკურნების მოტივის გააზრებას სახარების ტექსტთან მიყვევართ, სადაც მაცხოვრის საკვირველქმედებათა მნიშვნელოვანი ნაწილი სნეულებათა და არაწმინდა სულთაგან მოკვდავთა დახსნითაა გამოხატული. ყველა ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება



რწმენას, სულიერი სიწმინდისაკენ მისწრაფების უნარს. გავიხსენოთ სახარების ერთი მონაკვეთი:

„და ვითარცა შევიდა იესო სახლსა, მოუჯდეს მას ბრმანი იგი, და ჰრქუა მათ იესო: **გრწამსა**, ვითარმედ ძალ-მიეც ესე ყოფად? ჰრქუეს მათ: **ჰე, უფალა**. მაშინ შეახო თულთა მათთა და რქუა მათ: **სარწმუნოებისა თქვენისაებრ გავაჴნ თქუენ!** და მიესუელად აღეხილნეს თულნი მათნი“ (მათე IX, 28—30).

სახარებისეულ სიმბოლიკასთან აპოკრიფის ამგვარმა კავშირმა, როგორც ჩანს, განაპირობა თხზულების პრაქტიკული მნიშვნელობაც და იგი დაუკავშირა არა კონკრეტული შინაარსითა და თარიღით განსაზღვრულ დღესასწაულს, არამედ მიანიჭა ზოგადად სულიერი განწმენდისა და ხსნის შინაარსი.

დავუბრუნდეთ კვლავ თხზულების შემცველ ქართულ ლიტურგიკულ კრებულებს. მათდამი ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ აპოკრიფის ქართულ თარგმანთა შორის ყველაზე გავრცელებული და, ამავე დროს, ერთ-ერთი ადრეული ვერსია სწორედ ამ კრებულებშია დაცული. საინტერესოა ერთი გარემოებაც: „ეპისტოლის“ ეს თარგმანი, მართალია, მიჰყვება თხზულების ბერძნულ რედაქციას, მაგრამ მასში არსებული ცალკეული სხვაობები გვაფიქრებინებს, რომ თარგმანის ტექსტი და შესაბამისად მისი დედანი ასახავენ სირია-პალესტინაში გავრცელებულ კანონიკურ ტექსტს. საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სამწერლობო ტრადიციაში „ეპისტოლის“ დამკვიდრება უკავშირდება ქრისტიანული ორთოდოქსული ეკლესიის მიერ დადგენილ ნორმებს. ქართველი მთარგმნელ-რედაქტორები „ეპისტოლეს“ მას შემდეგ აქცევენ ყურადღებას, რაც თხზულების კანონიკური შინაარსი მიღებული იქნა კონსტანტინეპოლური ტრადიციის მიერ. მაგრამ ქართულ თარგმანთა წარმომავლობის ადგილი, კულტურულ-ისტორიული გარემოს ზეგავლენით ჩვენმა სამწერლობო ტრადიციამ შემოინახა აპოკრიფის ადრეული, აღმოსავლური ელფერის მქონე ტექსტები.

და მაინც, „ეპისტოლის“ ქართულ თარგმანთა არსებობა შედეგია ჩვენი ლიტერატურის ბიზანტინიზაციის პროცესისა. ამ ფაქტს ადასტურებს ისიც, რომ ქართულმა ორიგინალურმა მწერლობამ (სახულიერომ თუ საისტორიომ) არავითარი ყურადღება არ დაუთმო აღმოსავლეთში საკმაოდ გავრცელებულ სირიულ ლეგენდას ედესის მოქცევისა და ავგარზთა დინასტიის შესახებ, სპარსთა შემოსევების დროს იესო ქრისტეს ხელთ უქმნელი ხატის საკვირველ-მოქმედი ძალის წყალობით ედესის დაცვისა და გადარჩენის ამბავს. მართალია, „ქართლის ცხოვრებაში“ ვხვდებით ლეგენდის ამ მონაკვეთის ამსახველ თხრობას, მაგრამ საისტორიო კრებულში იგი დაცულია გვიანდელი (XVII ს.) ჩანართის სახით. ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ ლეგენდის ეს მონაკვეთი შეტანილია XVII საუკუნეში სწავლულ კაცთა კომისიის მიერ<sup>5</sup>. ჩანართის წყაროდ კი გამოყენებულია ანტონი მარტყოფელის სვინაქსარული „ცხოვრების“ ტექსტი, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ გვიანდელი რედაქციით (XVII—XVIII სს. მიჯნა)<sup>6</sup>. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ტექსტი დადებულია 16 აგვისტოს სათაურით: „თუესა აგვისტოს ივ სვინაქსარი ხატისა მარტომყოფელისა და წმინდისა მამისა ანტონი მარტ-

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ხელნაწერის მიხედვით ნ. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბლისი, 1950, გვ. 212—213.

<sup>6</sup> აღნიშნული თხზულების ტექსტი შესწავლილი და გამოცემულია; იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, გამოსაცემად მოამზადა და გამოკლავდაურთო ენრიკო გაბიაშვილმა, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბლისი, 1968, გვ. 218—225, 395—399.



ყოფელისა“. როგორც ვხედავთ, გვიანდელი ქართული ტრადიცია ხელთუქმნელი ხატის ედესიდან კონსტანტინოპოლში გადატანის დღესასწაულს ავსებს ახალი მასალით და უძღვნის „ხატისა მარტყოფელისა“ დღეს. რა ხატია ეს? როგორც ტექსტიდან ირკვევა, თხრობა ეძღვნება ანტონი მარტყოფელის მიერ ედესის ხატის პირის საქართველოში ჩამოტანის ფაქტს, სირიული ლეგენდის ეპიზოდი აღნიშნულ თხრობაშია დაცული. ეპიზოდის გვიანდელი წარმომავლობის ფაქტს მივყავართ კვლავ 16 აგვისტოს ხატის პირის საქართველოში ჩამოტანის მოტივამდე იგი სათავეს XIII საუკუნიდან იღებს და უკავშირდება ქართლის კათალიკოსის არსენი ბულმაისიმისძის საგალობელს: „ხატისა უხილავისაჲ ამასვე გალობითა თქმული არსენი ბულმაისიმისძისაგან, ქართლისა კათალიკოსისა“. (A 85). თუ ვივარაუდებთ, რომ 16 აგვისტოს მარტყოფის ხატის დღესასწაულის დაკანონებას XIII საუკუნესთან მივყავართ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლეგენდის ეპიზოდის ქართული თარგმანის წარმოშობაც აღნიშნულ ეპოქას უნდა დაუკავშირდეს, მით უფრო, რომ სწორედ XIII საუკუნიდან ჩნდება ჩვენი კონსტანტინე პორფიროგენეტის ავტორობით ცნობილი თხზულება, რომელიც საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს სირიული ლეგენდის ხატთან დაკავშირებულ ეპიზოდს. მაგრამ XVII საუკუნის სვინაქსარული ტექსტი განსხვავდება აღნიშნული თხზულებისაგან. ეს კი გვაგვარაუდებინებს, რომ ისტორიულ ქრონიკაში დაცული ფრაგმენტი გვიანდელია. მისი წარმომავლობა უკავშირდება ლეგენდის გვიანდელი ინტერპრეტაციის საკითხს, რაც სცილდება ჩვენი კვლევის საგანს. ზემოთ მოყვანილი მაგალითი მოვიხმეთ მხოლოდ იმისათვის, რათა კიდევ ერთხელ დაგვედასტურებინა „ავგაროზის ეპისტოლის“ ქართულ თარგმანთა მჭიდრო კავშირი ბიზანტიურ კულტურულ-სალიტერატურო პროცესებთან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე სავსებით ნათელია, რომ აპოკრიფის ქართულ თარგმანთა პრაქტიკული შინაარსის განსაზღვრისას თხზულების მთარგმნელ-რედაქტორები დაეყრდნობოდნენ ქრისტიანულ მწერლობაში გავრცელებულსა და დამკვიდრებულ ტრადიციას და თხზულებას მოათავსებდნენ შესაბამის თემატურ კრებულებში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს sin 78, როგორც ყველაზე ადრეული ხელნაწერი თხზულების შემცველ ლიტურგიკულ კრებულთა შორის. ნუსხა დათარიღებულია XI საუკუნით. მისი ზუსტი რაობის განსაზღვრა ძალზე რთულია, ვინაიდან კრებული თავნაკულია, მას არ ახლავს თანადროული ანდერძი<sup>7</sup>. კრებულის შედგენილობა გვაფიქრებინებს, რომ იგი უნდა წარმოადგენდეს გარკვეული პრაქტიკული შინაარსის გათვალისწინებით შედგენილ ნუსხას. „ავგაროზის ეპისტოლის“ საღვთისმსახურო ფუნქციის განსაზღვრისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება სინური ხელნაწერის შედგენილობის განხილვა. კრებულში წარმოდგენილია შემდეგი თხზულებები:

1. [ლოცვაჲ ზიარებისათჳს თქუმილი წმიდისა ბასილისი]—1r—8v. „გმადლობ შენ, უფალო, მამაო მოწყალებისაო და ღმერთო ყოვლისა ნუგეშინისცემისაო...“

2. ლოცვაი ზიარებისათჳს თქუმილი წმიდისა იოვანე აქროპირისაჲ შემდგომად უმეტესად კითხვასა—8v—12r.

„უფალო, არა ვარ ღირს, რათა სართულსა სახლისა ჩემისა ქუჭუშე შემოხუჭედ...“

3. შემდგომად ზიარებისა წმიდისა იოვანე აქროპირისაჲვე — 12v—13r.  
„მკუღარ იყავ შეცოდებითა და აწ განსცხოველდი მოღებითა პატიოსნითა

7 აქ და ყველგან სინურ კრებულში ვგულისხმობთ sin. 78-ის პირველ მონაკვეთს (1r—30v).

ქრისტეს საიდუმლოთა უხრწნელისა ჯორცისა ჭეშმარიტისა და პატიოსნისა სისხლისა მისისა...“

4. სხუად ლოცვაჲ ოქროპირისაჲჲე—13r—14r.

„გმაღლობ შენ, უფალო კაცთმოყვარეო, რამეთუ მრავლითა სახიერებითა შენითა ღირს მიჩინე ზიარებად უხრწნელისა ჯორცისა და სისხლისა შენისა...“

5. } „ავგაროზის ეპისტოლე“ — 14v—23v.  
6. }

7. ლოცვაჲ წმიდისა გრიგოლისი—23v—24v.

„გაფუცებ შენ სამებით ერთარსებით ზრახვათა გამოუთქუმელთა სამებისა წმიდისათა, რომელი ხარ და ვინცა ხარ, მართლუკუნ იქეც და განეშორე...“

8. სხუად ლოცვაჲ წმიდისა გრიგოლისი — 24v—26r.

„და თქუა წმიდიმან გრიგოლი კელვანპყრობით ღმრთისა მიმართ ვედრებით: „ღმერთო დამბადებელო, რომელი ზი საყდართა ზედა დიდებისა შენისათა და გამსახურებ შენ...“

9. საქმე წმიდათა მოციქულთა საკითხავი (1,1—8)—26r—27v.

10. სახარებაჲ იოვანეს თავი 5 (1,1—17)—27v—29r.

11. სახარებაჲ მათესი (X,1,5—8)—29r—30r.

12. სახარებაჲ მარკოზისი (1,23—27)—30r/v.

ამრიგად, სინური კრებული აერთიანებს ღვთისმსახურების ორ მნიშვნელოვან ელემენტს: ლოცვებსა და სახარება-სამოციქულოს საკითხავებს. „ავგაროზის ეპისტოლე“ ჩართულია ზიარების ლოცვათა შორის. როგორც ჩანს, თხზულების ადგილი შემთხვევით ხასიათს არ ატარებს. შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ აპოკრიფი უკავშირდება ზიარების რიტუალს, რომელიც ლიტურგიის მნიშვნელოვანი ელემენტია? აქ კვლავ უნდა დავუბრუნდეთ სინური კრებულის შედგენილობას და ყურდლება გავამახვილოთ მასში ჩართულ ლოცვებზე, რომელთაგან პირველი ოთხი ბასილი კესარიელსა და იოანე ოქროპირს ეკუთვნის.

ქართული ლიტურგიკული პრაქტიკის ისტორიაში ბასილი კესარიელისა და იოანე ოქროპირის ლოცვათა მნიშვნელობა, მათი გამოყენების სიხშირე გაიზრდებოდა მას შემდგომ, რაც ჩვენში განმსაზღვრელ ადგილს დაიკავებდა ამ წმინდა მამათა ჟამისწირვები. ეს კი უნდა მომხდარიყო ქართული კულტურის ბიზანტიურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის შემდგომ, როგორც პროფ. კ. კეკელიძე მიიჩნევს, უკვე IX საუკუნიდან<sup>8</sup>. საინტერესოა, რომ X საუკუნის შუა წლებით დათარიღებულ სინურ ლიტურგიკულ კრებულში sin. 34 ვხვდებით ბასილი კესარიელის ჩვენთვის საინტერესო ლოცვას: „ლოცვაჲ ზიარებისათჳს, თქუმული ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარიელისაჲ — გმაღლობ შენ, უფალო, მამაო მოწყალებისაო...“ (2v—4r). ლოცვას წინ უსწრებს კრებულის შემდგენელ-რედაქტორის, იოვანე-ზოსიმეს, შენიშვნა: „ოდეს ჟამსა ეზიარებოდი წმიდისა საიდუმლოსა ჯორცსა და სისხლსა, ქრისტესსა, უკუეთუ შაბათი და კვრიაკჳ იყოს, ყოველი ჟამი სამხრისაჲ აღსარულო წესისაებრ და მისა შემდგომად ესე ლოცვანი ზიარებისანი წართქუნე, რომელ აქა დამიწერიან“<sup>9</sup>. ამრიგად, ბასილი კესარიელის ჩვენთვის საინტერესო ლოცვა X საუკუნის ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში იკითხებოდა განსაკუთრებით შაბათ-კვირის მსახურებაში. XI საუკუნიდან ბასილის ლიტურგია სავსებით

<sup>8</sup> კ. კეკელიძე. ძველი ქართული, I, გვ. 582—583.

<sup>9</sup> იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ც. ქანკიევმა, ლ. ხევსურიაძმა, ლ. ჭლამაიაძე, თბილისი, 1978, გვ. 95.



განსაზღვრულ ადგილს იკავებს. ამის თაობაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ეფთვიმე ათონელის პასუხი თევდორე საბაწმინდელისადმი. ამ უკანასკნელის კითხვაზე—„რად არს იაკობის ჟამისწირვა; ჭეშმარიტი არს, ანუ თუ არა?“— ეფთვიმე უპასუხებს: „... ოდეს წმინდამან ბასილი და ნეტარმან იოანე ოქროპირმან ჟამისწირვანი გამოთქუნეს, სიმოკლისათჳს ერმან იგი აიძრია და წმიდისა იაკობისა მივიწყდა და ყოველნი ოქროპირისასა სწირვენ და დიდთა მარხვათა — ბასილისასა“<sup>10</sup>.

ბასილი კესარიელის ჟამისწირვის ადგილი ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში საკმაოდ მყარი აღმოჩნდა. ეკლესიის ამ თვალსაჩინო მოღვაწის შემოქმედება, მისი ქართული თარგმანები შეისწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტის უფრ. მეცნიერ-თანამშრომელმა ნ. ქაჯაიამ. ბასილი კესარიელის ლიტურგიკული თხზულებების განხილვისას მკვლევარი აღნიშნავს: „...ბასილი დიდის ჟამისწირვას, როგორც ყოველდღიურ ლიტურგიას, ძალიან ხანმოკლე ჩიიცოცხლე ჰქონდა. მართალია, მან იოანე ოქროპირის ფორმულართან ერთად შეცვალა იაკობის ვრცელი ჟამისწირვა, მაგრამ ყოველდღიურ ხმარებაში დიდი ხნით დამკვიდრება ვერ მოასწრო, დათმო პოზიციები იოანე ოქროპირის კომპაქტური ფორულარის სასარგებლოდ. ხმარებიდან თანდათანობით გამოდევნის მიუხედავად, მან მაინც ვააგრძელა არსებობა ხელნაწერებსა და გამოცემებში. ბასილი დიდის ლიტურგია დღესაც გამოიყენება ლვთისმსახურებაში შემდეგ დღეებში: მარხვის კვირა დღეები (გარდა ბზობის კვირისა), წმ. ხუთშაბათს, წმ. პარასკევს, შობის ღამეს, განცხადების ღამეს და პირველ იანვარს, ბასილის მოსახსენებელ დღეს“<sup>11</sup>.

რა თქმა უნდა, ჟამისწირვის ადგილის მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ საერთოდ ამა თუ იმ ავტორის ცალკეული ლოცვისა და მისი შემცველი კრებულის რაობაზე. მაგრამ ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვაგარაუდებინებს, რომ X—XI საუკუნეების ქართველი მთარგმნელ-რედაქტორები თუ კრებულის შემდგენლები ბასილი კესარიელის ლიტურგიკული შინაარსის თხზულებებს საგანგებო, სადღესასწაულო ფუნქციას აკისრებდნენ. ამ ზოგადი თვალსაზრისის საფუძველზე ვერაფერს ვიტყვით „ავგაროზის ეპისტოლის“ საღვთისმსახურო ფუნქციაზე. ამ მიმართებით საჭიროდ ვცანით თვალი გაგვედევნებინა sin. 78-ში შესულ სახარება — სამოციქულოს საკითხავებისათვის, რომელთაგან ორი — საქმე მოციქულთა (1,1—8) და იოანეს თავის (1,1—17) საკითხავები ისრულიად განსაზღვრულ ადგილს იკავებენ საღვთისმსახურო კალენდარში კონსტანტინოპოლური რედაქციის სვინაქსრისა და საწელიწდო სამოციქულოს მიხედვით საქმე მოციქულთას 1,1—8 მუხლები დადებულია აღვსების კვირას (sin. 10,1r—6r), ზატიკის მე-6 ხუთშაბათს, ანუ იესო ქრისტეს ამალღების დღეს (sin 10,31r—35r, დიდი სვინაქსარი); ამასვე ადასტურებს ადრეული, X საუკუნის სინური ლიტურგიკული კრებული sin. 12(252v—255r); ხოლო იოანეს 1,1—17 საკითხავი დადებულია აღვსების კვირას სამხრად Q 908,275r; XI საუკუნის აპრაკოსი Ath. 60,3r/v); ტექსტი მეორდება ზატიკის პირველ ორშაბათს.

როგორც ჩანს, „ავგაროზის ეპისტოლე“ გარკვეულად დაუკავშირდება მარხვის შემდგომი კვირის ლიტურგიას. ამგვარი ვარაუდის აღბათობას ზრდის თავად ტექსტის სიმბოლური ქარგაც. ავგაროზის ნათლისღება და მისი სუ-

<sup>10</sup> К. К е к е л и д з е, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис, 1908, გვ. 152.

<sup>11</sup> ნ ი ნ ო ქ ა ჯ ა ი ა, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბილისი, 1992, გვ. 116.

ლიერი განკურნება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იესო ქრისტეს ჯვარცმის, აღდგომისა და ამალლების შემდგომ. ედესის მთავრის თხოვნაზე, დაიხსნას იგი სნეულებისაგან, მაცხოვარი უბასუხებს: „ხოლო რომელ მოსლვისათვის ჩემისა მოგეწერა ჩემდა, ჯერ-არს ძისა კაცისა მიცემად ჯელთა კაცთა ცოდვილთასა **ჯუარცუმად და მესამესა დღესა აღდგომად**“.

და შემდგომ:

„ჯერ-არს ჩემლა პირველად **აღსრულებად განგებულებისა ამის**, რომლისათვისცა მოვლინებულ ვარ მომავლინებელისა ჩემისა და აღვასრულო, რაათა **ავმალდე** ზეცად. და შემდგომად ამალლებისა ჩემისა მოგივლინო შენ ერთი მოწაფეთა ჩემთაგანი, სახელით თადეოზ, რომელმან განგკურნოს შენ და შენთანანი, და ცხორებად მოგცეს შენ...“

საინტერესოა ერთი გარემოებაც: როგორც ბერძნული, ასევე ქართული ვრცელი რედაქციის გელათურსა და ლარგვისულ თარგმანებში ზემოთ მოყვანილი ეპიზოდამდე ვხვდებით იესო ქრისტეს მიმართვას ავგაროზისადმი: „ნეტარ ხარ შენ ავგაროზ..“ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი კი მაცხოვრის ეპისტოლეში მოგვიანებითაა წარმოდგენილი, ხოლო სინური თარგმანი (sin. 78-ის ტექსტი) და მისი გვიანდელი განმეორებანი (A 1110, H 3027; H 1331; H 1352) იწყება სწორედ ჩვენ მიერ დამოწმებული მონაკვეთით ანუ ტექსტში ყურადღება გამახვილებულია მაცხოვრის აღდგომისა და ამალლების, როგორც ადამიანის ცოდვთაგან გათავისუფლებისა და ხსნის აუცილებელ პირობაზე. აპოკრიფში იესო ქრისტე თავისი მოსვლის მიზანს ასე განმარტავს:

„რამეთუ მე მოვდრიკენ ცანი და გარდამოვკედ ნათესავისათვის კაცთაჲსა, და საშოჲ ქალწულისაჲ დავიმკდრენ. რაათა გარდასლვაჲ-იგი მცნებისაჲ, რომელ იქმნა სამოთხესა შინა, აღვკოცო, თავი თჳსი დავიმდაბლე, რაათა თქვენ გადიდნე“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოებაც, აპოკრიფის ქართულ თარგმანთაგან მხოლოდ სინური ტექსტი საუბრობს აღდგომის, როგორც ამალლების წინაპირობის, შესახებ.

თუ მთლიანობაში თვალს გადავაკვლავებთ sin. 78-ში დადასტურებული მასალის შინაგან კავშირს, გავიხსენებთ იოანე-ზოსიმეს ზემოთ დადასტურებულ განმარტებას ბასილი კესარიელის ზიარების ლოცვის საკვირაო დანიშნულების შესახებ, ამავე დროს, ყურადღებას მივაქცევთ საქმე მოციქულთასა და იოანეს თავის სინურ კრებულში შესული საკითხების თანხვედრას (აღსვების კვირა), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ავგაროზის ეპისტოლე“ გარკვეულად დაკავშირებულია აღდგომის ლიტურგიასთან. ჩვენ ვერ შეგუდგებით დაბეჭდვით მტკიცებას ამ ვარაუდისა, ვინაიდან ამის საფუძველს არ გვაძლევს „ავგაროზის ეპისტოლის“ შემცველი გვიანდელი (XIV—XVII სს.) კრებულები — კურთხევანები (A 1110, H 1352, H 3027) და მათ ყაიდაზე შედგენილი კრებულები — H 1331, სადაც ეპისტოლის ადგილი განისაზღვრა სამკურნალო ლოცვათა და შელოცვათა შორის.

ვიდრე შევხებით ამ ნუსხებს, დავუბრუნდეთ კვლავ სინური კრებულის შედგენილობას. მის ორ ბოლო ლოცვას წარმოადგენს სახარების — მათე X, I 5—8 და მარკოზ 1,27—27 — საკითხავები. საინტერესოა, რომ სახარების საკითხავთა საწელიწადო არცერთი ნუსხა, როგორც ადრეული, X საუკუნისა, ასევე გიორგი ათონელის რედაქციისა, არ უკავშირებს გარკვეულ დღესასწაულს სინურ კრებულში დადასტურებულ მათესა და მარკოზ მახარებელთა მუხლებს. sin. 78-ში მათი ჩართვა გვაფიქრებინებს, რომ კრებულში ისინი შეტანილია სწორედ „ავგაროზის ეპისტოლესთან“ მჭიდრო შინაარსობრივი კავშირის საფუძველზე, ვინაიდან ამ საკითხავებში საუბარია სნეულთა და



არაწმინდა სულთაგან შეპყრობილთა ხსნაზე (ამავე შინაარსისაა „ლოცვაჲ წმიდისა გრიგოლისი — გაფუცებ შენ...“, სადაც ავტორი მიმართავს და განდევნის სატანას). საინტერესოა, რომ შემდეგდროინდელ კურთხევანებში „ეპისტოლესთან“ ერთად დადასტურებულია სახარების ამავე შინაარსის მუხლები განვიხილოთ ეს ნუსხები.

ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეული კრებული (სინური ნუსხის შემდგომ) არის XIV—XV საუკუნეებით დათარიღებული კურთხევანი A 1110. მასში გაერთიანებულია 39 ლოცვა. ჭრებულის აღმწერელი ქ. შარაშიძე ეხება მის მნიშვნელობას და აღნიშნავს: „ხელნაწერის ნაკლული ტექსტი მნიშვნელოვანია თავისი სიძველით. აქ აღბეჭდილია შუა საუკუნეების საქართველოს ზოგიერთი დღემდის უცნობი ყოფ-ცხოვრებითი მოვლენა და წესი... „კურთხევანში“ ჩართულია აგრეთვე იშვიათი სამკურნალო რეცეპტები და მრავალი არქაული შელოცვები“<sup>12</sup>. სწორედ ამ რიგის ლოცვათა შორისაა დაცული „ეპისტოლის“ ტექსტიც. საინტერესოა, რომ სწორედ ეს კრებული უდებს სათავეს თხზულების თილისმად ან შელოცვად გააზრებას. კრებული ცალკე გამოყოფს ამ ფუნქციის მატარებელ ტექსტებს, რომელთაც, გარდა ჩვენთვის საინტერესო აპოკრიფისა, განეკუთვნება იოანეს, 1,1—17 და მათეს, 8,14—23 მუხლები. „ეპისტოლე“ ჩართულია ამ საკითხავებს შორის. სინგურით გამოყოფილ სათაურს — „აქა იწყებს ავგაროზი ყოვლისა და ყოვლისა ჭირისა და სენისაგან მკურნალი“ — მოსდევს ჯერ იოანეს თავის ზემოთ აღნიშნული მუხლები, შემდგომ „ავგაროზის ეპისტოლის“ სრული ტექსტი და ბოლოს — მათეს თავის საკითხავი. აქ უკვე სიტყვა „ავგაროზი“ საზოგადო სახელია და გულისხმობს თილისმას. იგი თანაბრად ეკუთვნის როგორც ჩვენთვის საინტერესო აპოკრიფს, ასევე სახარების თავთა საკითხავსაც. როგორც ჩანს, სწორედ აღნიშნულ ეპოქასა და ნუსხას უნდა დაედო საფუძველი ქართულ ტრადიციაში „ავგაროზთა“ შეტანისა და გავრცელებისათვის. ჩვენამდე მოაღწია ამგვარმა არაერთმა ხელნაწერმა, რომელთა შედგენილობაც ხშირ შემთხვევაში განსხვავებულია<sup>13</sup>. მათზე ქვემოთ შევჩერდებით. აქ კი დავძენთ, რომ sin. 78-ში „ეპისტოლისა“ და სახარების საკითხავთა კავშირი შემდგომდროინდელ ნუსხებში მკვეთრად გამოხატულ მთლიანობაში გამოვლინდა, რასაც ადასტურებს A 1110. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ამავე ნუსხაში მოთავსებულ „ჭირვეულთა ლოცვას“ ახლავს მარკოზის 1,23—28 მუხლები, წმინდა გრიგოლის ლოცვას — „აჰა, ესერა, გაფუცებ თანა მავნებელთა სულთა უკეთურთა! ანუ ხარ საღმობაჲ...“ — ლუკას 7,1—10 მუხლები, ხოლო თავ-ბოლო ნაკლულ არაწმიდა სულთა მოტეხელ ლოცვას — მათეს 8,8—10 მუხლები, როგორც ვხედავთ, სინური ნუსხისაგან განსხვავებით, აქ დამატებულია ლუკას თავის საკითხავი, ხოლო მათეს 10,1, 5—8 შეცვლილია ამავე თავის 8,14—23 (და დამატებულია 8, 8—10) მუხლებით. ყველა ამ საკითხავში მოთხრობილია სწულთა განკურნების, არაწმიდა სულთაგან შეპყრობილთა განთავისუფლებისა და მკვდართა აღდგინების ამბავი.

ზემოთ განხილული კურთხევანის თანდართულ ნუსხას წარმოადგენს კრებული — H 1331 (XIV—XV სს.). მასში გაერთიანებულია 20 ლოცვა და შელოცვა. კრებულის პირველი ექვსი სტატია სწორედ სახარების საკითხავებსა და „ავგაროზის ეპისტოლის“ სრულ ტექსტს წარმოადგენს და შემდეგი თანმიმდევრობითაა დალაგებული:

<sup>12</sup> საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), ტ. IV, თბ., 1954, გვ. 8—9.

<sup>13</sup> ყველა „ავგაროზი“ XIX საუკუნით თარიღდება.

1. სახარება იოვანესი 1,1—17.
2. სახარება მათესი 8,14—23.
3. სახარება მარკოზისი 1,23—28.
4. სახარება ლუკასი 7,1—10.
5. } „ავგაროზის ეპისტოლე“ — სრული ტექსტი.
6. }

ჩვენ არ შევჩერდებით ნუსხის დაწვრილებით აღწერაზე. სურათის ნათელსაყოფად დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს: „ლოცვაა წმიდისა კვირიანესი, მოტებელად ეშმაკთა“, „ლოცვაა წმიდისა ბასილისა, მოტებელად ეშმაკთა“, „ლოცვაა იოანე ოქროპირისა, კაცსა ზედა ჭირვეულისა“ და სხვა.

როგორც ვხედავთ, ამ კრებულშიც აპოკრიფი თილისმის ფუნქციითაა გააზრებული. მას უკავშირდება სახარების საკითხავთა ტექსტიც, თუმცა ამ ნუსხაში ვერ ვხვდებით ზოგად სახელს — „ავგაროზი“.

მნიშვნელოვანი სიახლე „ავგაროზის ეპისტოლის“ გააზრებაში შემოაქვს XVI—XVII საუკუნეთა კურთხევანს H 3027. თუ აქამდე თვითონ „ეპისტოლის“ ძირითადი განწყობილება განაპირობებდა მის თანმხლებ თხზულებათა რაობასაც და კრებდა შესაბამისი შინაარსის (განკურნება თუ ეშმაკეულის დათრგუნვა) მქონე თხზულებებს, კურთხევანის ამ ნუსხაში უკვე „ეპისტოლე“ გვევლინება მისი წინამორბედი ტექსტის თანმხლებ თხზულებად. საქმე ისაა, რომ აღნიშნულ კურთხევანში „ავგაროზის ეპისტოლეს“ წინ უსწრებს ვედრება წმ. გიორგისადმი. აპოკრიფიც ამ წმინდანის სახელს უკავშირდება. თავად ტექსტში შეტანილია შესაბამისი ცვლილება, კერძოდ, იესო ქრისტეს ეპისტოლეში, სადაც მაცხოვარი ასახელებს თუ რა შემთხვევაში დაიცავს მისი ეპისტოლე მავედრებელს გასაჭირისაგან, ჩამატებულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფრაზა:

**„ხოლო ეპისტოლე ესე ჩემი სადაცა იბოვოს+გინა თუ იყოს, გინა იღვას მაცოთური ეშმაკი ყოველი განქარდეს ღმრთისა ბრძანებითა, მოწამებითა წმიდისა გიორგისათა...“**

ამ ერთი ფრაზის ჩართვით თხზულების მთელი განწყობილება უკავშირდება წმ. გიორგის სახელს. იესო ქრისტეს ეპისტოლის საკვირველმომქმედი ძალის რეალიზება აქ შესაძლებელი ხდება სწორედ ამ წმინდანის მეოხებით. ეს არაა შემთხვევითი მოვლენა და მისი არსებობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ნუსხის გადამწერისა თუ შემდგენელის ნება-სურვილით. აპოკრიფულ თხზულების დაკავშირება წმ. გიორგის სახელთან განაპირობა თავად ქართული ერის შეგნებაში დამკვიდრებულმა ძლიერმა ფენომენმა—წმ. გიორგის, მხსნელისა და მფარველის, კულტმა, რომელმაც მკვეთრად იჩინა თავი როგორც ქართულ ხალხურ შემოქმედებაში, ასევე სასულიერო თუ საერო მწერლობაში<sup>14</sup> რატომ მივიჩნევთ, რომ კურთხევანის H 3027 ნუსხაში გამოვლენილი ცვლილება ქართულ ნიადაგზე მოხდა? წმ. გიორგი ანუ გიორგი კაპადუკიელი ქრისტიანულ სამყაროს პოპულარული წმინდანია. ქართულმა ნათარგმნა სასულიერო მწერლობამ და კალენდარმა X საუკუნიდან შემოინახა ამ წმინდანისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული თუ ჰიმნოგრაფიული მასალა. მაგრამ „ავგაროზის ეპისტოლის“ ქართული თარგმანებით დაინტერესებულ მკვლევარებსა თუ პირებს XVI—XVII საუკუნეებამდე არცკი უცდიათ დაეკავშირებინათ თხზულება წმ. გიორგის სახელთან.

<sup>14</sup> წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და კომენტარი დაურთო ენრიკო გაბიაშვილმა, თბილისი, 1991, გვ. 3—33.



ვფიქრობთ, ამას გარკვეული მიზეზი ეძებნება. თავად „ავგაროზის ეპისტოლე“, როგორც კანონიკური ძეგლი, XI საუკუნის პირველ მესამედში ყალიბდება. ამ დროსვე ჩნდება მისი პირველი ქართული თარგმანები, რომლებიც განსხვავებულ კულტურულ-ისტორიულ გარემოში იქმნება. ქართველი მთარგმნელები ცდილობენ თხზულება გადმოიტანონ და დაამკვიდრონ კონსტანტინოპოლური ტრადიციის შესაბამისად, გაითვალისწინონ ორთოდოქსული ეკლესიის მიერ დაკანონებული ნორმა. ამიტომაც თავდაპირველად „ეპისტოლის“ ქართული თარგმანები ზუსტად ასახავენ საქრისტიანო სამყაროში (სირია-პალესტინა. ბიზანტია) გავრცელებულ შინაარსობრივსა თუ პრაქტიკულ მხარეს. ჩვენ ხელთ არსებული წყაროების მიხედვით არა ჩანს, რომ ბერძნულ სინამდვილეში აღნიშნული ტექსტი წმ. გიორგის სახელთან იყო დაკავშირებული. თხზულებისადმი ქართველ მთარგმნელთა ამგვარი დამოკიდებულება ვლინდება არა მარტო ჩვენს მწერლობაში მისი გავრცელების პირველ ეტაპზე, არამედ მოგვიანებითაც. XIV—XV საუკუნეებში საფუძველჩაყრილი ძეგლის თილისმის მნიშვნელობით აღქმის ტრადიციაც არ წარმოადგენს ქართულ მოვლენას. ამგვარი შინაარსი თხზულებამ მიიღო სლავურ მწერლობაშიც<sup>15</sup>, ბიზანტიური კულტურის გავრცელების არეალში მყოფ სხვა ქვეყნებშიც<sup>16</sup>. ბუნებრივია, რომ ამ მოვლენის საწყისიც თავად ბიზანტიურ სამყაროში უნდა ვეძებოთ.

რაც შეეხება ქართულ ტრადიციაში „ეპისტოლის“ დაკავშირებას წმ. გიორგის სახელთან, აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება: ქართული ორიგინალური მწერლობის ინტერესი ამ წმინდანისადმი ძლიერდება XVI—XIX საუკუნეებში. დღეს შეიძლება დავასახელოთ ამ პერიოდში შექმნილი არაერთი თხზულება, რომელიც ეძღვნება წმ. გიორგის<sup>17</sup>.

გვიანდელმა XIX საუკუნის ტრადიციამ გააერთიანა როგორც XIV—XV, ასევე XVI—XVII ს-თა ცვლილებანი და „ავგაროზის“ სახელწოდებით შემოგვინახა არაერთი მაგიური შინაარსის მქონე ხელნაწერი, რომელთაგან ზოგი საინტერესოა თავისი ფორმითაც — მას გრაგნილის სახე აქვს (მაგ., H 173, წმ. გიორგის გამოსახულებით). „ავგაროზთა“ შედგენილობა მრავალფეროვანია. აქ ვხვდებით: ა. „ეპისტოლეს“, იოანეს 1,1—17-სა და წმ. გიორგისადმი მიძღვნილ ლოცვებს (S 5106, H 173); ბ. მხოლოდ წმ. გიორგისადმი მიძღვნილ ლოცვებს (H 2421, H 2422, S 5138, S 5139); გ. მხოლოდ „ეპისტოლეს“ (H 321, H 322, H 799, Q 283, S 1604) დ. „ეპისტოლესა“ და იოანეს 1,1—17 (H 779, S 1441ე, S 5159); ე. იოანეს 1,1—17 და წმ. გიორგისადმი მიძღვნილ ლოცვებს (H 505, H 911, S 2310).

აღნიშნულ ნუსხათა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ჩვენ გვინდოდა მხოლოდ აღგვნიშნა, რომ ჯერ კიდევ XI საუკუნეში „ეპისტოლესთან“ იოანეს თავის 1,1—17 დაკავშირება მეტად მტკიცე აღმოჩნდა. თხზულების საფუძველშივე ჩადებულმა განკურნების მოტივმა დროთა განმავლობაში ეს აპოკრიფი კვლავ პირვანდელ, ჯერ კიდევ ლეგენდისეულ აპოტროპეულ (მაგიურ) ფუნქციას დაუბრუნა, მაგრამ ეს იყო არა ადრეული ვერსიის გახსენება, არამედ ქრისტიანობის საფუძველზე ჩამოყალიბებული და ქალკედონური დოქტრინით შევსებული თხზულების გამოყენება თილისმის დანიშნულებით. აპოკრიფის პერსონაჟის — ედესის მთავარ ავგაროზის სახელი ზოგადი ში-

<sup>15</sup> Е. Мещерская, Легенда о5 Авгаре-раннесирийский литературный памятник, Москва, 1984, с. 89 — 91.

<sup>16</sup> Dictionnaire d'archéologie, t. I, par. 2, col. 98.

<sup>17</sup> წმინდა გიორგი, გვ. 27—33.

ნაარსის მატარებელ სიტყვად იქცა. წმინდა გიორგის სახელთან თხზულების დაკავშირებამ მას ახალი სასიცოცხლო ძალა შესძინა.

ამგვარია „ავგაროზის ეპისტოლის“ იდეური შინაარსის განვითარებისა და ცვლის ისტორია. ჩვენამდე მოღწეულია XIX საუკუნის არაერთი შერეული ნუსხა, რომლებშიც შესულია „ეპისტოლეც“. მაგრამ არც ტექსტოლოგიური და არც პრაქტიკული თვალსაზრისით ისინი ახალს არაფერს გვაწვდიან. ესაა ძველი დედნებიდან ამოღებული ტექსტები, რომელთაც არავითარი ახალი შტრიხი არ შემოაქვთ.

Н. Ш. ЧХИКВАДЗЕ

## ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-ВИЗАНТИЙСКИХ ОТНОШЕНИЙ

### „ПОСЛАНИЯ АВГАРА“ В ГРУЗИНСКОЙ ПИСЬМЕННОСТИ

Резюме

Древнегрузинские переводы христианской духовной литературы занимают немаловажное место в изучении истории византийской и восточно-христианской письменности, в прояснении соотношений двух различных, но в то же время тесно связанных культур. С этой точки зрения интересным представляется изучение древнегрузинских редакций апокрифического сказания „Послание Авгара“.

Грузинские переводы сказания выполнены в XI—XII вв. в центрах христианской письменности (Черная Гора, Синай) и отражают как Константинопольское, так и восточно-христианское толкование памятника: в Алавердском (1054 г.) и Гелатском (XII в) четвероглавах памятник представлен как повествование о нерукотворном образе Спасителя, а в синайском сборнике Sin. 78 (XI в) подчеркнута целительная сила „Послания“, исцеление толкуется как духовное очищение, и апокриф включен в ритуал причастия пасхальной литургии.

В поздней традиции „Послание“ выступает в роли амулета, слово „Авгарози“ становится именем нарицательным (А. 1110, XIV—XV вв.), обозначающим вообще талисман. На грузинской основе с XVII в. апокриф связан с именем св. Георгия (Н 3027).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილება.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. მეტრეველმა.



## მანანა შირაძაძე

## ლექსიკონთა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საკითხისათვის

(ლექსიკონბრაშის თეორია და პრაქტიკა)

ლექსიკოგრაფიის თეორია გამოყოფს რამდენიმე ძირითად პრობლემას. ესენია: — ლექსიკონის ტიპის (კლასიფიკაციის), სტრუქტურის, ერთეულისა და მეტაენის პრობლემები. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

## I. ლექსიკონის ტიპის პრობლემა

ლექსიკონის ტიპის პრობლემა გულისხმობს ლექსიკონთა კლასიფიკაციის „ინფორმაციის რაგვარობის“ მიხედვით. კლასიფიკაციის პრობლემა განსაკუთრებით ვრცლად მუშავდება რუსული ლექსიკოგრაფიული სკოლის მიერ და სათავეს იღებს ლ. შჩერბას ნაშრომიდან, რომელმაც გარკვეულად შეაჯამა და განაზოგადა რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის პროცესში ჩამოყალიბებული პრაქტიკული გამოცდილება და თეორიული მიმართულება. შემდგომში ამ პრობლემას რამდენიმე სპეციალური ნაშრომი მიეძღვნა. კლასიფიკაციის პრინციპების შესახებ სისტემური კონცეპტუალური გამოკვებითობა ჯერჯერობით მაინც არ ჩანს, რაც განპირობებულია ობიექტური (თეორიული ლექსიკოგრაფიის განვითარების სხვადასხვა ეტაპი) და სუბიექტური (ცალკეული ავტორის იდეური პოზიცია) მიზეზით. თვალსაზრისთა სიჭრელის მიუხედავად, ვცადოთ ძირითადი საკლასიფიკაციო დაჯგუფებების ჩამოთვლა და მათი შეფასება:

ა. **ფილოლოგიური-არაფილოლოგიური** — ეს დაჯგუფება ლ. შჩერბას ნაშრომიდან მომდინარეობს და მას იზიარებს მთელი რუსული ლექსიკოგრაფიული სკოლა (შდრ. 1:33). იგი გულისხმობს სხვაობას „ენობრივსა“ (განმარტებითი, თარგმნითი) და „ცნებებრივ“ (ტერმინოლოგიური, ენციკლოპედიური) სახეობებს შორის. „ენობრივად“ მიიჩნევა ლექსიკონი, რომლის მიზანია სალექსიკონო ერთეულის — ლექსიკემის — ლექსიკური მნიშვნელობის ახსნა, ანუ მისი, როგორც ლექსიკურის სისტემის ელემენტის, ღირებულების განსაზღვრა. „ცნებებრივად“ მიიჩნევა ლექსიკონი, რომელიც მიზნად ისახავს ლექსიკემით სახელდებული ცნების მნიშვნელობის ახსნას, ანუ მისი, როგორც ცოდნის მოცემული სფეროს ცნებათა სისტემის ელემენტის, ღირებულების განსაზღვრას. შესაბამისად, სხვაობა ფილოლოგიურსა და არაფილოლოგიურ ლექსიკონებს შორის აღწერის ობიექტის რაგვარობაშია — ფილოლოგიური ლექსიკონის აღწერის ობიექტია სიტყვა, როგორც ენობრივი ფორმა, არაფილოლოგიურისა — ცნება (სახელდებული სიტყვით, როგორც ენობრივი ნიშნით).

ბ. **კრებვითი-კერძო** — ეს პრინციპიც ლ. შჩერბას დადგენილია და გულისხმობს სხვაობას „ლექსიკის მოცულობის“ მიხედვით: ლექსიკური სისტემის რომელიმე ქვესისტემის ფარგლებში აღწერილი კერძო-დარგობლივი ლექსიკა და მომიჯნავე დარგთა (ქვესისტემათა) ერთობლივი ლექსიკა. შესაბამისად, სხვაობა „კერძო“ და „კრებვით“ ლექსიკონებს შორის აღწერის ობიექტის ოდენობაშია. იმავე პრინციპით გამოიყოფა „საერთო“ და „სპეციალური“ სა-

ზეობანიც: „საერთო“ გულისხმობს ეროვნული ენის ლექსიკური ფონდის მთელ ნოცულობას (მაგ. აკადემიური განმარტებითი ლექსიკონი), „სპეციალური“ — ცალკეულ ლექსიკურ ქვესისტემას (დიალექტურს, დარგობლივს, ისტორიულს, ეტიმოლოგიურსა და ა. შ.).

გ. **ნორმატიული-არანორმატიული** — ნორმატიულად მიიჩნევა ლექსიკონი, რომელიც ლექსიკოგრაფიულად აღწერს: 1. სალიტერატურო ენის ფორმებს — ორთოგრაფიას, ორთოეპიას, აქცენტოლოგიას და ა. შ.; 2. ენის სტრუქტურას — მორფოლოგიურ, მორფოლოგიურ, სიტყვათშეხამებით, სიტყვათწარმოებით და ა. შ. სისტემებს; 3. ლექსიკური სისტემის სემანტიკურ მნიშვნელობათა სისტემებსა და მათ შესიტყვებებს სხვა ენებზე. არანორმატიულად მიიჩნევა ისტორიული, ეტიმოლოგიური, დიალექტური, სიხშირული და ა. შ. ლექსიკონები. ნორმატიულია აგრეთვე ენციკლოპედიური და საცნობარო ლექსიკონები.

დ. **დესკრიპტორული-თეზაურუსული** — ეს პრინციპი გულისხმობს ლექსიკონთა სხვაობას სალექსიკონო ერთეულთა განლაგების მიხედვით: დესკრიპტორული — ანბანურ რიგზე გაწყობილი ლექსიკონია, თეზაურუსული — იდეოგრაფიული პრინციპით გაწყობილი, შესაბამისად, „დესკრიპტორულსა“ და „თეზაურუსულ“ ლექსიკონების სხვაობა სიტყვანის სტრუქტურაშია.

ე. **სასწავლო-ზოგადი** — ცნობილია, რომ ლექსიკონის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი არის დიდაქტიკურობა. ამრიგად, ყველა ლექსიკონი მეტ-ნაკლებად ასრულებს „სასწავლო“ (საგანმანათლებლო) ფუნქციას. ამ დაჭრულების საფუძველია ლექსიკონის ლინგვოპედაგოგიური ფუნქციის წინაპლანზე წამოწევა: ლექსიკონი იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო, ზოგადკულტურული (შდრ. 7:224) მოთხოვნისგან ან კონკრეტული სასწავლო ამოცანის — უცხო ენის შესწავლის (სასწავლო-თარგმნითი, იდიომური, წარმოთქმისა, ფრაზეოლოგიური, ორთოგრაფიული, სინონიმური), მშობლიური ენის სწავლების პროგრამის რომელიმე ასპექტის განხილვის ან ცოდნის რომელიმე სფეროს დაუფლების (სახელმძღვანელო-ცნობარი) — შესრულების მიზნით. სხვაობა ამ ლექსიკონებს შორის აღწერის ობიექტის ოდენობასა და აღწერის მეტაენის (ახსნილობის ხარისხი, ილუსტრირება — კონტექსტური და ვიზუალური) რაგვარობაშია.

ვ. **კვლევითი-ინვენტარული** — ეს პრინციპი გულისხმობს ლექსიკონთა სხვაობას აღწერის ობიექტის მიხედვით: „კვლევითი“ გულისხმობს ენობრივი ნიშნის შინაარსის პლანის აღწერას (ეტიმოლოგია, მორფოლოგია და ა. შ.), „ინვენტარული“ — ენობრივი ნიშნის გამოხატულების პლანის აღწერას (სიტყვათშეხამებითი კონკორდანსები, თეზაურუსები, სიხშირული ლექსიკონები და ა. შ.).

ლექსიკონთა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საკითხებს ეძღვნება ვ. დენისოვის სადოქტორო დისერტაცია (4), რომლის ძირითადი კონცეპტუალური პოზიცია შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: შემდეგი სახით. ლექსიკონთა მეცნიერული ტიპოლოგიური კლასიფიკაციისათვის ამოსავალია „წმინდა ტიპის“ იდეალური მოდელი, რომელიც მოცემული ენის რეალურად მოქმედ რომელსამე ქვესისტემას აღწერს<sup>1</sup>; იგი თვლის, რომ ლექსიკონთა ტიპოლოგიამ უნდა ასახოს ენის ლექსიკური შედგენილობის ტიპოლოგია. ტიპის განსაზღვრისათვის მას შემოაქვს კოორდინატთა ოთხი ურთიერთდაკავშირებული სისტემა: ლინგვისტური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და სემიოტიკური (4:26). რას გულისხმობს, თითოეული მათგანი?

<sup>1</sup> შდრ. „ლექსიკონთა ტიპოლოგია — მეცნიერული კლასიფიკაცია ემყარება იდეალიზებულ ლექსიკონის, როგორც ტიპის, ინვარიანტის ცნობას“ (3:101).



**ლინგვისტური კოორდინატების სისტემა** გულისხმობს სიტყვათა ჯგუფებს, რიგებს, მათ ფორმობლივ ნიშნებსა და სემანტიკურ კატეგორიებს.

**ფსიქოლოგიური კოორდინატების სისტემა** გულისხმობს ლექსიკონის ფუნქციურ დანიშნულებას — ვისი საჭიროებისათვის შედგება იგი — ენის მატარებელთათვის, უცხოელთათვის თუ ეგმ-სათვის.

**სემიოტიკური კოორდინატების სისტემა** გულისხმობს ლექსიკონის მეტაენის (ნიშნებისა და სიმბოლოების) შერჩევას ფუნქციურ-თემატური დანიშნულების შესაბამისად.

**სოციოლოგიური კოორდინატთა სისტემა** გულისხმობს სალექსიკონო პოლიტიკას — ლინგვისტური, სემიოტიკური და ფსიქოლოგიური ასპექტების განხილვას დროსა და სივრცეში განსაზღვრულად — ადგილისა და დროის საჭიროების შესაბამისი სოციალური შეკვეთის მიხედვით. აგრეთვე, გულისხმობს სალექსიკოგრაფიო სამუშაოს ორგანიზაციასა და საგამომცემლო საქმეს.

ვ. გერდმა გააკრიტიკა დენისოვის თეორიული პოსტულატი „ლექსიკონის ინვარიანტის, ანუ იდეალიზებული ტიპის“ შესახებ იმ მოტივით, რომ სტრუქტურულ ენათმეცნიერებში ინვარიანტის ცნება გულისხმობს მეტყველების (ტექსტის) დონეზე ვარიანტების  $n$  რაოდენობას, რომელიც დაიყვანება ინვარიანტზე, როგორც გავრცობის, ისე შეკვეცის ოპერაციათა ჩატარებისას, ხოლო ლექსიკოგრაფიის სფეროში ასეთი იდეალიზებული ინვარიანტს შექმნა, რომელზედაც დაიყვანება თანამედროვე და ისტორიული, ტერმინოლოგიური, დარგობლივი, ეტიმოლოგიური, სინონიმური, ფრაზეოლოგიური ლექსიკონები — შეუძლებელია. ვ. გერდის აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ ფონოლოგია-სა და მორფოლოგიაში წარმატებით გამოყენებული სტრუქტურული ანალიზის მეთოდის ლექსიკოგრაფიაში პირდაპირ გადმოტანა მიზანშეწონილი არ არის (8:106—107).

ვიდრე პ. დენისოვის კონცეფციის შესახებ ვიტყვოდეთ რაიმეს, საჭიროა ვ. გერდის თვალსაზრისის შესახებ ითქვას შემდეგი: სტრუქტურული ანალიზის მეთოდის ლექსიკოგრაფიაში გამოყენების მიზანშეუწონელობის მოტივირება შესწავლის სფეროს სირთულითა და მრავალპლანიანობით, რა თქმა უნდა, უსაფუძვლოა: დენისოვის „ლექსიკონის ინვარიანტული მოდელის“ იდეის ადვილად გაკრიტიკება ვ. გერდმა იმიტომ კი არ შეძლო, რომ ამგვარი თეორიული მოდელის აგება (ლექსიკოგრაფიის შესწავლის საგნის ცნებებრივი განსაზღვრა) შეუძლებელია, არამედ იმიტომ, რომ საქმარისად მყარი და არ-გუმენტირებული არ იყო ის კრიტერიუმები, რომლებიც საფუძვლად ედებოდა ამ მოდელის აგებას: პ. დენისოვის მიერ გამოყოფილი კოორდინატთა ოთხი „ურთიერთგადაკვეთი“ სისტემა ვერ უზრუნველყოფს ლექსიკონის, როგორც ლინგვისტიკის სპეციალური დარგის შესწავლის საგნის (ერთეულის) ცნებებრივი განსაზღვრულობისათვის აუცილებელ პირობებს: გამოყოფადობას, მთლიან-გაფორმებულობას, შეუვალობასა და „ჩასმის მაქსიმუმის“ არსებობას (შდრ. 9). ავტორის მიერ „ლინგვისტურ კოორდინატთა სისტემად“ წოდებული პრინციპი ლექსიკონის ტიპოლოგიური კლასიფიკაციისა გულისხმობს ენის ლექსიკური სისტემის ქვესისტემათა ფორმობლივ-სემანტიკურ განსხვავებას, ე. ი. შინაარსეულ (თემატურ) დაჯგუფებას „ცოდნის სფეროს“ რავგარობის მიხედვით. „ფსიქოლოგიურ კოორდინატთა სისტემის“ პრინციპით მოხდება ლექსიკონთა დაჯგუფება „ლექსიკის მოცულობის“, ანუ აღწერის ობიექტის ოდენობისა და მეტაენის როგორობის მიხედვით (აქ მას ერწყმის „სემიოტიკურ კოორდინატთა სისტემა“). იგივე ფუნქციები ეკისრება „სოციოლოგიურ კოორდინატთა სისტემას“ ტიპოლოგიური კლასიფიკაციის თვალსაზრისით, მით



უმეტეს, რომ მასში შედის „სალექსიკონო პოლიტიკა“, ლექსიკოგრაფიული სამუშაოს ორგანიზაცია და საგამომცემლო საქმე, (იხ. ზემოთ), ბუნებრივია, ამ კოორდინატთა სისტემების გადაკვეთაზე ჩამოყალიბებული თეორიული მოდელი ვერ დააკმაყოფილებს ლექსიკოგრაფიას, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინის შესწავლის საგნის ცნებებრივი გახვითარებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პ. დენისოვის თეორიული დებულებები ლექსიკონთა ტიპოლოგიურ-საკლასიფიკაციო პრინციპთა შესახებ შინაარსით („გამოხატულების პლანის“ ანუ სიტყვიერი განსხვავებულობის მიუხედავად) დიდად არ სცილდება რუსული ლექსიკოგრაფიული სკოლის მიერ ადრევე შემუშავებულ საკლასიფიკაციო პრინციპებს.

შესაძლებელია თუ არა „ლექსიკონური ინვარიანტის“, ანუ ლექსიკოგრაფიის შესწავლის საგნის სიტყვიერი აღწერითი მოდელის აგება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც გამოიყოფა ლექსიკონის, როგორც სისტემური მთლიანობის, ფორმობლივი აღწერისათვის საჭირო მახასიათებელთა სრული ნუსხა, ელემენტების ფორმობლივი აღწერის მეშვეობით განისაზღვრება სტრუქტურული შედგენილობა და აიგება ერთიანი საკლასიფიკაციო სისტემა. ახლა ვცადოთ საკლასიფიკაციო სისტემის სავარაუდო მოდელის აგება.

ლექსიკონის ტიპოლოგიური კლასიფიკაციისათვის გამოიყოფა კლასიფიკატორთა ორი რიგი — „ინფორმაციის როგორობის“, ანუ სალექსიკონო ერთეულთან მიმართებისა და „კოდნის სფეროს რავგარობას“, ანუ ლექსიკონის მოცულობისა და როგორობის მაჩვენებელი (ამსახველი).

სალექსიკონო ერთეულთან მიმართების მიხედვით ლექსიკონთა ტიპოლოგიური დაჯგუფება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

**ინვენტარული-ინტერპრეტაციული:** ინვენტარული გულისხმობს ისეთ ლექსიკონს, რომელშიც სალექსიკონო ერთეული წარმოდგენილია ოდენ ნუსხის, ჩამონათვალის სახით. ამგვარ ლექსიკონთა ტიპს განეკუთვნება სიხშირული, ორთოგრაფიული, ორთოეპიული, აქცენტოლოგიური, ინვერსიული, ციტატათა, სიმფონია-ლექსიკონები, დარგობლივი (თემატური) თეზაურუსები და ტერმინოლოგიური ლექსიკონები<sup>2</sup>. ინტერპრეტაციული ტიპი კი გულისხმობს ისეთ ლექსიკონს, რომლის აღწერის ობიექტია სალექსიკონო ერთეულის სემანტიკური ღირებულება. ინტერპრეტაციის როგორობის მიხედვით გამოიყოფა ექსტენსიონალური და ინტენსიონალური ტიპები. ექსტენსიონალურ ტიპს განეკუთვნება ინტერპრეტაციული ლექსიკონების ის ტიპები, რომლის აღწერის ობიექტია მნიშვნელობათა სისტემის გამოხატულების პლანი (მორფემათა, მოდალურ ელემენტთა, ფუძეთა და მისთ. ლექსიკონები). ინტენსიონალურ ტიპს განეკუთვნება ლექსიკონი, რომელიც აღწერს მნიშვნელობათა სისტემის შინაარსის პლანს — განმარტავს, ხსნის ან თარგმნის მას. ინტენსიონალურობის ნიშნით განირჩევა თარგმნითი და განმარტებითი ტიპები. თარგმნითში გამოიყოფა ორენოვანი და მრავალენოვანი, ხოლო განმარტებითში — სემასიოლოგიური და ონომასიოლოგიური ტიპები. სემასიოლოგიური იქნება ის განმარტებითი ლექსიკონები, რომელთა აღწერის ობიექტია სალექსიკონო ერთეულის ლექსიკური მნიშვნელობა, ხოლო ონომასიოლოგიურია ის ლექსიკონი, რომლის აღწერის ობიექტია სალექსიკონო ერთეულით (გოკაბულათი) სახელდებული ცნებების მნიშვნელობა. ონომასიოლოგიურ ლექსიკონთა ტიპს განეკუთვნება ენციკლოპედია და ცნობარი.

ლექსიკონის მოცულობისა და როგორობის მიხედვით ლექსიკონთა დაჯგუფება განხორციელდება შემდეგი თანამიმდევრობით:

<sup>2</sup> შდრ. ტერმინოლოგიური ლექსიკონის ფუნქციაა ლექსიკონის აღნუსხვა“ (10:198).



**საერთო-სპეციალური:** საერთო გულისხმობს ლექსიკონის იმ ტიპს, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული ენის ლექსიკური ფონდის სრულ აღწერას, ან მოცემული საზოგადოების სოციალურ-კულტურული ცხოვრების სრულ ცნებებრივ აღწერას (აკადემიური განმარტებითი ლექსიკონი და უნივერსალური დიდი ენციკლოპედია). სპეციალური გულისხმობს ლექსიკონის იმ ტიპს, რომელიც მიზნად ისახავს ენის ლექსიკური სისტემის რომელიმე ქვესისტემის აღწერს იდეოგრაფიული, მეტაფორული ან ისტორიული თვალსაზრისით.

იდეოგრაფიულ ლექსიკონებში გამოიყოფა შემდეგ თემატური ჯგუფები: ფილოლოგიური, ტერმინოლოგიური, დიალექტური, ონომასტიკური; მეტაფორულობის ნიშნით ლექსიკონებში გამოიყოფა პირდაპირმნიშვნელობიანი და გადატანითმნიშვნელობიანი (მეტაფორული) ტიპები. მეტაფორულში შევა იდიომების, ფრაზეოლოგიზმებისა და მხატვრული მეტყველების სხვა თავისებურებათა აღმწერი ლექსიკონები. ისტორიული თვალსაზრისით გამოიყოფა სინქრონული (რომელიმე ცალკეული ეპოქისა ან პერიოდის ვითარების აღმწერი) და დიაქრონული (ისტორიულ-შედარებითი, ეტიმოლოგიური, სემანტიკური) ლექსიკონები. იდეოგრაფიული ჯგუფის ყოველ ქვეჯგუფს გამოეყოფა საერთო მახასიათებელი — კრებისითი — კერძო (დარგობლივი, კილოური, თემატური) რაც შინაარსეულად იმეორებს პირველი საფეხურის დაყოფას — საერთო-სპეციალური.

ლექსიკონთა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია										
ინფორმაციის როგორობა		ინვენტარული		ინტერპრეტაციული						
		აღწერითი	აღრიცხვითი	ინტენსიონალური				განმარტებითი		
				ექსტენსიონალური	თარგმნითი		სემასიოლოგიური		ონომასიოლოგიური	
საერთო	დიდი	+			+	+	+	+		+
	მცირე				+					
სპეციალური	იდეოგრაფიული	ტერმინოლოგიური				+		+	+	
		ფილოლოგიური	+		+			+		
		დიალექტური						+		
		ონომასტიკური						+		
	ისტორიული	ისტორიულ-შედარებითი							+	
		ეტიმოლოგიური, სემანტიკური				+			+	
	მეტაფორული	პირდაპირმნიშვნელობიანი			+					
		მეტაფორული	+							

თუ კლასიფიკატორთა ამ ორ რიგს კოორდინატა სიბრტყეზე განვალაგებთ, გადაკვეთის წერტილში მივიღებთ რეალურად არსებულ კონკრეტულ

ლექსიკოგრაფიულ ტიპს, რომელიც ადვილად ექვემდებარება ფორმობლივ განსაზღვრას. მაგალითად: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ განისაზღვრება, როგორც ქართული ენის საერთო ლექსიკური შედგენილობის, ინტერპრეტაციული, ინტენსიონალური, სემასიოლოგიური განმარტების შემცველი ლექსიკონი, ან: „ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონი“ — ქართული ენის მეტაფორული ლექსიკის ინვენტარული აღწერითი ლექსიკონი.

ქვემოთ წარმოდგენილ ლექსიკონთა საკლასიფიკაციო ცხრილის დაშტრინული უჯრები აღნიშნავს ნიშანთა ამ კომბინაციის მატარებელი ლექსიკონის ტიპის შეუძლებლობას, თავისუფალი უჯრები — ამგვარი ტიპის შესაძლებლობას, ხოლო შევსებული უჯრები — ქართული ლექსიკოგრაფიის მიერ შედგენილ ლექსიკონებს.

1. Л. В. Ш е р б а, Опыт общей теории лексикографии, Избранные работы по языкознанию и фонетике, т. I, Л., 1958, стр. 54—91.
2. Толковый словарь русского языка, под редакцией А. С. Ушакова, т. I—IV, М., 1935.
3. П. Н. Д е н и с о в. Системность и связанность в лексике и система словарей. Проблематика определений терминов в словарях разных типов, Л., 1976, стр. 63—73.
4. П. Н. Д е н и с о в, Практика, история и теория лексикографии в их единстве и взаимообусловленности, Проблема учебной лексикографии и обучения лексике, М., 1978, стр. 25—33.
5. Совещание, посвященные проблеме описаний терминов в словарях, М., 1974.
6. В. П. П е т у ш к о в, В. Н. С н е г и р е в., О классификации словарей, Проблема определений терминов в словарях разных типов. Л., 1976, стр. 13—19.
7. В. И. К о д у х о в, Введение в языкознание, М., 1979.
8. А. С. Г е р д. Терминологический словарь среди других типов словарей, Современная русская лексикография, М., 1980, стр. 106—112.
9. ნ. ს ტ უ რ უ ა, სიტყვა, როგორც ენობრივი ერთეული, თბ., 1975.
10. არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შდარბუთი ლექსიკონი. თბ., 1938.
11. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას მთავარი რედაქტორობით, ტ. 1—8, თბ., 1950—1962.
12. თ. ს ა ხ თ კ ი ა, ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონი, ტ. 1—4, თბ., 1959.
13. ა. დ ა ვ ი თ ი ა ნ ი, სვანური ანდაზები (მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის), თბ., 1973.

ЧИРАКАДЗЕ М. Г.

## К ВОПРОСУ ТИПОЛОГИЧЕСКОЙ КЛАССИФИКАЦИИ СЛОВАРЕЙ (ТЕОРИЯ И ПРАКТИКА ЛЕКСИКОГРАФИИ)

Для типологической классификации словарей выделяются классификаторы двух порядков, отражающие корреляцию по категории области знания (т. е. по лексическому составу) и по виду информации (т. е. словарной единице). Поместив данные классификаторы на системе координат, сумма точек пересечения выявит конкретные типы словарей, легко поддающихся формальной дескрипции. В статье предлагается опытная таблица типологической классификации словарей, заштрихованные ячейки которой указывают на невозможность сочетания данных формальных показателей, незаштрихованные — возможность сочетания данных формальных показателей, а ячейки с плюсом — реально существующие в грузинской лексикографической практике типы словарей.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა



## გიორგი ცოცანიძე

## ქორბელელა

(თუშური დიალექტური ლექსიკონიდან)

„ქორბელელა“, თავისი ძირითადი (აქტიური) მნიშვნელობით, თუშური ქორეოგრაფიული ტერმინია. აღნიშნავს იგი სარიტუალო ფერხულის გარკვეულ სახეობას, რომელიც იმართება საზაფხულო სახალხო რელიგიურ დღესასწაულებზე, როგორც ამ სადღესასწაულო ცერემონიალის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, იგი ორსართულიანი ფერხულია.

ამას გარდა ეს სიტყვა თუშურ დიალექტში კიდევ ორ საგანს აღნიშნავს: ერთი — მორის მოკლე-მოკლე გადანაჭრებისაგან ერთიმეორეზე კვადრატული წყობით აგებული სვეტები, რომლებზედაც სახლის სახურავის ხიდების თავბოლოები ეყრდნობა და მეორე — შეშის დამზადების ადგილზე სქელი ნაჭრების მალე გამოშრობის მიზნით ამგვარივე სახის ნაწყობი.

ფონეტიკური სახე, რომლითაც ეს ტერმინია წარმოდგენილი თუშურ დიალექტში, ასეთია: **ქორბელელაჟი**. აღნაგობით იგი ერთცნებიანი კომპოზიტია, შედგება **ქორ-** და **-ბელელ** კომპონენტებისაგან და აფორმებს **-აჟ** სიტყვაწარმოებითი (სადერეივაციო) სუფიქსი. იგი თუშურ დიალექტში აქტიურად მოქმედი ფორმანტია, შეესაბამება სალიტერატურო ქართულის **-ა** სუფიქსს და მისი ერთ-ერთი ფუნქცია ისაა, რომ სახელს აძლევს მქონელობის, რისამე მსგავსების, ნაირობის მნიშვნელობას<sup>1</sup>. ამგვარად ნაწარმოები სახელები თუშურ დიალექტში საძებნი არაა: **ნაცარაჟი** — ნაცრისებური, ნაცრის ფერისა; **მჭადაჟი** — სოკოა ფშვნადი. მჭადის ასოციაციას იწვევს; **ქუქუმაჟი** — კაბა ქუქუმებიანი; არის კომპოზიტებიც: **პირსპატივაჟი** — კარგი საქმლის მოყვარული, პირს რომ პატივს სცემს, უპატივებს; **ყელქედუნაჟი** — ყელზე ქედნის მსგავსად ღია ფერის ზოლწემოვლებული ცხოველი (დათვი, ძაღლი...). აქედან გამომდინარე, ტერმინის თავდაპირველი (ტერმინიზაციამდელი) მნიშვნელობა ასეთი უნდა ყოფილიყო: ქორი ბედლური, ბედლისნაირი ან ბედლის მქონე.

ამ სიტყვის ამგვარი ეტიმოლოგიური გააზრებისათვის თუშური დიალექტის ლექსიკური მარაგის გადაჩხრეკა არაფერს გვაძლევს. პირველი ნაწილი — **ქორ-** თუშურშიც, როგორც საერთოდ ქართულ ენაში, დღეს მხოლოდ და მხოლოდ ცნობილი მტაცებელი ფრინველის სახელად გვხვდება. მეორე ნაწილი — **ბელელ** — აქაც იმასვე აღნიშნავს, რასაც სალიტერატურო ქართულში: მარცვლეულის შესანახი სამეურნეო ნაგებობა ან გარკვეული დანიშნულების სათავსი მთიანეთის საკულტო ნაგებობათა კომპლექსში. ამათი შეერთება და ამ შენაერთის მისადაგება იმ მოვლენისათვის, რასაც იგი დღეს აღნიშნავს, უაზრობაა. უეჭველია, დიალექტის გარეთ მოგვიწევს გახედვა.

დასავლურ დიალექტებში — აჭარულში, გურულში, რაჭულში, ლეჩხუმურში — იმ კუთხეების მეტყველებაში, სადაც სახლის სახურავად ყავარი გამო-

1 შდრ. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988, გვ. 14.

იყენება, არის ტერმინი „ბეღელი“, რომელიც აღნიშნავს ყავრის, ზოგან აგრეთვე დახერხილი ფიცრის, გარკვეული ტიპის წყობას მისი სწორი გამოშრობის მიზნით<sup>2</sup>. წყობა ისეთია, როგორცაა თუშეთში სახლისა და შეშის „ქორბეღელაში“. თვით მოქმედება კი — შეშისა თუ ყავრის „ბეღლად“ დაწყობა — არის „დაბეღლვა“, ისევე, როგორც თუშეთში „აყარი“ — „დააყრვა“, კახეთში „საუენი“ — „დასაუენვა“. „ბეღელი“ ქართული ენის უძველესი პლასტებიდან მომდინარე სიტყვა ჩანს — აქვს შესატყვისები მეგრულსა და ლაზურ ენებში: **ბაღ-უ, ო-ბაღ-იღ-ე, ბაღ-გრ-ე, ბაღ-ირ-უ<sup>3</sup>**. სავარაუდოა, რომ იგი ოდესღაც თუშურ დიალექტშიც იქნებოდა ამ მნიშვნელობით. კომპოზიტის მეორე ნაწილი „-ბეღ-ელაჲ“ — ციმდროინდელი უნდა იყოს და აღნიშნავდეს ბელლისნაირს, ბელლურს. ე. ი. სახლის გადახურვისას გამოყენებული ბელლურად, ბელლისნაირად გაკეთებული სვეტია.

კომპოზიტის პირველი ნაწილი „ქორ“ ძველ ქართულ ტექსტებში დადასტურებული ტერმინია და აღნიშნავს სახლის ზედა სართულს. ქორედი — სახლი ზედა სართულიანი, ქორედ-ქორედი — სართულებიანი<sup>4</sup>. ესეც უძველესი ფენის კუთვნილებაა, რადგან აქვს შესატყვისი სვანურ ენაში სწორედ სახლის მნიშვნელობით. ძველი ქართულის ტექსტებში დადასტურებული მნიშვნელობა უნდა იყოს შემონახული თუშურ დიალექტში კომპოზიტ „ქორბეღელაჲს“ პირველ ნაწილად. ძველი თუშური საცხოვრებელი სახლის ის ნაწილი, სადაც ქორბეღელა არის გამოყენებული სახურავის საყრდენ სვეტებად. ფუნქციურად იგივეა, რაც იყო ძველ ტექსტებში სახლის „ქორ“ ტერმინით აღნიშნული ნაწილი. „სიპსკევედა“, „საცხორაჲ ჭერხო“ ოჯახის საზაფხულო სამყოფი იყო თუშეთში. ამგვარად შესაძლებელი ხდება ტერმინ „ქორბეღელაჲ“-ის ეტიმოლოგიის გააზრება: ქორის ბეღელაჲ — ქორის, იგივე ჭერხოს, გინდა სიპსკევედას ბელლური სვეტი (თხზულ სახელთა მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის წარმოება, როცა მსაზღვრელი გაუფორმებელი ფუძით შედის კომპოზიტში, მაგრამ ვენტიკული მნიშვნელობა შენარჩუნებული აქვს, თუშური დიალექტისთვის ორგანულად დამახასიათებელი მოვლენაა: **ბიძოწყარო-ბიძოს წყარო, ირემსათამაშო-ირემთა სათამაშო, ხოლიკბოსელი-ხოლიკის ბოსელი**).

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონების ავტორებს: ზ. სარჯველაძეს, ჰ. ფენრიხს, გ. კლიმოვს სიტყვა **ბეღელი** მიმდებარე წარმოების სახელად მიაჩნიათ **ბეღ-ძირითა** და **-ელ** მაწარმოებელით. ძირის მნიშვნელობა საძიებელია. თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, მაშინ **ბეღელ, ბეღლვა, ქორბეღელა** სიტყვების მნიშვნელობათა განვითარება ასე წარმოგვიდგება: 1. ბეღელ — შეშის, კუნძების, ფიცრების გარკვეული წესით დაწყობა კუბი. 2. ბეღელი — მარცვლეულის შესანახი სათავსო. სახელი პირველისაგან აქვს მიღებული მასალობრივი და ფორმობრივი მსგავსების ნიადაგზე — ცნობილია, ბეღელი ძირითადად ჯარგვალური წესით იყო ნაგები, სქელი, მრგვალი ძელების ერთმანეთზე დალაგებით. ფორმაც კუბისა ჰქონდა. 3. დაბეღლვა, დაბეღლავს — შეშისა თუ ყავრის ბელლისებურად დაწყობა. 4. **ბეღელაჲ** — ბელლისებური,

<sup>2</sup> ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბილისი, 1987, გვ. 20; შ. ნიქარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, თბილისი. 1971, გვ. 107; პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი, ტექსტები, ლექსიკონის მასალები, თბილისი, 1977, გვ. 70; ალ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I, თბილისი, 1974, გვ. 70; მ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი.

<sup>3</sup> ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1990, გვ. 52.

<sup>4</sup> ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 445;



ბელლურად ნაგები და აქედან 5. „ქორბელაჲ“ — ქორის ანუ სასლის ზედა სართულის ბელლაჲ. თუშურ დიალექტში ტყეში გასაშრობად ბელლურად ნაწყობ შემაზე „ქორბელა“ ტერმინი ალბათ მას შემდეგ გადავიდა, რაც „ბელელის“ თავდაპირველი მნიშვნელობა დაიწრდილა.

„ქორბელაჲ“ ტერმინის გამოყენება გარკვეული ფორმისა და დანიშნულების ფერხულის აღსანიშნავად მეორეული ჩანს. სახელდება მოხდა, ალბათ, ასოციაციური მეტონომიის ნიადაგზე — ორსართულიანი ფერხულის წყობა იწვევს ძელის გადანაჭრებისაგან აგებული ქორბელელას ასოციაციას.

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, საფერხულო ქორბელელა საზაფხულო რელიგიური დღესასწაულების ცერემონიალის ორგანული ნაწილია. ამ მოვლენის ეთნოგრაფიულ ასპექტში ჯეროვანი გააზრება მოითხოვს მის რელიგიური რწმენა-წარმოდგენების და სარიტუალო წეს-ჩვეულებათა ერთიან კონტექსტში განხილვას.

ცნობილია, რომ საქართველოს მთიანეთში, მათ შორის, ცხადია, თუშეთშიც, თავისებურია რელიგიასთან დამოკიდებულება. მთაში ეკლესიები არ იყო და არ არის. ასე რომ მთიელი ეკლესიაში ვერ მიდის, ვერ უსმენს ყოველ კვირას ღვთისმსახურებას, არა ჰყავს მოძღვარი, რომლის მეშვეობითაც დაამყარებს ის უზენაესთან კავშირს. მისი საყოფაცხოვრებო გარემოა არც იძლევა ამის საშუალებას: მეცხვარის სამუშაო დღე ოცდაოთხსაათიანია, წლის ყველა დროს ერთნაირად დატვირთული, დასვენებისა და კვირა-უქმე დღეების გარეშე. არანაკლებ დატვირთულია შინა მეურნის — ქალის სამუშაო დროც. ალბათ ამანაც შეაპირობა ის გარემოება, რომ ქრისტიანობამ თავისი ორთოდოქსალური ფორმით მთაში ფეხი ვერ მოიკიდა — თუმცა ქართველი მთიელი ისტორიის მთელი თვალსაწიერის მანძილზე თავს ქრისტიანად თვლიდა და ამით უკავშირდებოდა ერთიან საქართველოს, როგორც მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. ასევე მის აუცილებელ სულიერ მოთხოვნილებას წარმოდგენდა უზენაეს ღვთაებასთან, ღმერთთან კავშირი, რის დასამყარებლადაც მას ჰყავდა თავისი სალოცავები, ჯვარ-ხატები, იქაური ტერმინოლოგიით, რომელთაც იგი ღვთიშვილებს უწოდებდა. მთიელის წარმოდგენით ღვთაებათა იერარქია ასეთია: ცაშია მორიგე ღმერთი, არსთა გამრიგე, ცა-ქვეყნისათვის რიგის მიმცემი. ამას აღნიშნავს ტერმინიც „მორიგე“. მის კარზე არის კვირა — „კვირაჲე კარავიანი“, „ღვთის პირის მელვინე, ღვთის მესამსახურე“. და ბოლოს მორიგე ღმერთის მიერ საყმოს საშველად და მასთან კავშირის დასამყარებლად ქვეყნად გამოგზავნილი ღვთიშვილები — მთიელთა ჯვარ-ხატები. ამ ღვთიშვილებს შორისაც სხვაობაა: არიან ნახოცივლარები, ე. ი. კაცადყოფილნი, მიწიერი გმირები, შემდეგ ღვთაებებად გადაქცეულნი, ღმერთთან „წილნაყარნი“, რომელთაც თავიანთი ამქვეყნიური საქმეებით მოიპოვეს ღმერთთან კავშირის უფლება — დღევანდელი სიტყვახმარებით, წმინდანად შერაცხილნი („ადიდეს დიდი თამარი, ის ღმერთთან წილნაყარია“, ვაჟა, „ბახტრიონი“) და „ციოთ სვეტად მოსულნი“ — ციდან ჩამოსულნი, ე. ი. უზენაესის მიერ გამოგზავნილი. აი ამ ღვთიშვილების დამშველბელი ძალების იმედით დაიარება ამ ქვეყნად მთიელი და მათზევე ამყარებს უზენაესთან შუამავლობის იმედსაც. აი ამ ღვთაებებს არ უნდა დააკლოს თავისი ძღვენი და სამსახური კაცმა, რომელთა საშუალებითაც უკავშირდება არსთა უზენაეს გამრიგეს — ღმერთს. იგი თავის სალოცავებს — ჯვარ-ხატებს სწირავს მსხვერპლს, სძღვნის ძღვენს და დარწმუნებულია, რომ ისინი, თავის მხრივ, მორიგეს შესწირავენ, მის წილწყალობას გამოსთხოვენ ამ სამსახურის აღსრულებისათვის.

თავისი ჯვარ-ხატებისა და მათი მეშვეობით უზენაესი მორიგე ღმერთის წინაშე ყმური ვალის აღსასრულებლად წელიწადში ორჯერ იცლის მთიელი:



ზამთარში, ახალი წლის ციკლის დღესასწაულებში ანუ წელწდობებში, როგორც იქ ამბობენ და ზაფხულში, ზაფხულის რელიგიურ დღესასწაულებზე, ე. ი. ათნიგენობებში. ეს ის დღეებია, როცა აქაური სამეურნეო-საყოფაცხოვრებო პირობები რამდენადმე შეღავათს აძლევს მოსახლეობას და ისიც არ აყოვნებს, რათა მთელი არსებით მიეცეს სულიერ განწმენდილებას. ღმერთთან ურთიერთობის ამადლებულ განცდას.

მაინც ტრადიციული თუშური კულტმსახურებითი რიტუალები ძირითადად ზაფხულის რელიგიურ დღესასწაულებზე სრულდება. თითოეულ სოფელს, თითოეულ თემს, თითოეულ საგვარეულოს ჰყავს გვარის, თემის, სოფლის მფარველი ღვთაებები — ჯვრები, თითოეული მათგანის სახელზე იხარშება ლუდი, იკვლის სამსხვერპლო საკლავი და ყოველი მათგანისათვის განკუთვნილ დღეს იმართება ზეიმი ამ სალოცავის წინის კარზე. ღვთიური მოკრძალებით აღვსილი მლოცავი, დიდი და პატარა, ხნიერი თუ ახალგაზრდა — უკლებლივ ყველა მოიყრის თავს ჯვარის — საერთო სალოცავის კარზე და აღასრულებენ ღვთაებრივ რიტუალებს მის სადიდებლად, მის წინაშე სამსახურისა და თავისა და მუხლის მოდრეკის ნიშნით. დაილოცება ლუდიანი კოდი, მოიხარშება სამსხვერპლო საკლავის საწესო წილობები, დაიგება სარიტუალო სუფრა და ამ სუფრაზე ხუცესი, ანუ ხელოსანი, ლუდის ნათავედიანი სახელოსნო თასით ხელში წარმოთქვამს სადიდებელს, რითაც ხატს აქ თავმოყრილ მლოცავს ავედრებს. ხელოსნის მიერ აქ წარმოთქმულ ლოცვაში — „სადიდებულში“, როგორც აქ იტყვიან, — არის გაცხადებული სამი ცა-ქვეყნიური არსის — ადამიანის ბუნების, ანუ ადამიანის საარსებო გარემოსა და ღმერთის — საკრალური ერთობა. ესაა საყმოს მიერ მწყობრად ჩამოყალიბებული და ხელოსნის პირით გამოთქმული ის სავედრებელი, რასაც იგი შესთხოვს თავის ჯვარსა და მისი მეშვეობით მორიგე ღმერთს. სადიდებლის ტექსტი ძირითადად ერთია, კანონიკურია, მაგრამ რაკი ზეპირი გზით გადადის ხელოსნიდან ხელოსანზე, თაობიდან თაობაზე, ვარიანტული სხვაობები საკმაოდ მნიშვნელოვანია. ერთი ვარიანტთაგანი ასეთია: „დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, ღმერთო, გაუმარჯვე ღმერთსა-დ კვირაყესა, ღმერთო, გაუმარჯვე დღეს დღესინდელსა, დღეს ნაჯსენებ ღვთიშვილებსა; ღმერთო, გაუმარჯვე გმირს კოპალეს კარატისასა, დევთა მეომარსა, ცმელეთის გადამრჩენელსა, ღმერთო, გაუმარჯვე ლალს იაქსარსა, ლახტიანს, მათრავიანსა, ქაჭუეთის დამჭერსა; ღმერთო, გაუმარჯვე სანებას სავარისასა, ვიორგის გომეწრისასა, ვიორგის სავეოსასა, ვიორგის ლაშარისასა, ვიორგის მუხროვნისასა, ისრიელ კიწუყურთისასა, მიქაელ ხვავგორისასა... ლალს ბიჭეხელსა, ღვთის პირის მეღვინესა, ღვთის მესამსახურესა. ჩამოითვლებ-ბა მთელი თუშეთის სალოცავები.

დიდნო ღვთიშვილნო, დიდად სადიდებელნო, ძვირად საჯსენებელნო, თქვენ გეხვეწებთან. თქვენ გევედრებთან თქვენნი მლოცავნი. თქვენდ შემოუწირავ საფუჯრის თავი, ცეფისკვერი, ქაჯანგიანი. სადიდებელი თქვენი იყოს, სამწყალოზნო იმათი. თქვენ მორიგე ღმერთს შესწირიდითა, წყალობა გამოუთხოვიდითა, თქვენ ღმერთი გადიდებსთ, გაგიმარჯვებსთა; ნუ ჩამოავდებთ ამათ სახლ-ყუდროში მტრის ჭკვასა, სიკვდილის ჯმასა; მთას გაუჭირდეს — მთას დაეშველნიდითა, ბარს გაუჭირდეს — ბარს დაეშველნიდითა, ზე კალთა დააფარდითა, დაიჯსნიდით, დაიფარნიდით მწარის სიკვდილისაგანა, ალაღებულის მტრისაგანა, ადევებულის წყლისაგანა, მთის ზვავის, მთის ნაპრალისაგანა, ჭალაის ალთოყინულისაგანა; თუ რა სარჯიელ ეხედვებოდეს ან ცითა ჩამოსული. ან ზღვითა გამოსრული, ჯმელეთზედ მორიალვი, თავის კალთაის ქვეშ შეიფარნიდითა, აქკაცს, აქქარს, აქკვალს მოლრიდიდითა, გზაუკულმ გაუბრუნნიდითა, თქვენ ღმერთი გადიდებსთ, გაგიმარჯვებსთა. კაცს, კაცრიელო-



ბას უმატიდითა, ქალს, ქალის წულს უმატიდითა, ფურს, ფურის ჯმოს უმატი-  
დითა, ცხვარს, ცხვრის კრავს უმატიდითა, ჯვარ დაუწერიდითა ჯარსა, ჯარის  
ნაწნავსა, ცხენსა, ცხენის მკედარსა; ბარაქა დაუდევნიდითა ნაწველსა, ნაღვებ-  
სა, ნათბისა, ნამკალსა; თოფ აიღონ, სახელ მისციდითა, ჯოხ აიღონ — ვაჯვამ  
გაუჩინიდითა; მიზღვედენ — მისწივნიდითა, მოზღვედენ გამაახრწივნიდითა;  
ძალთაგან ძალ ნუ მოღრიდითა, სწორთაგან სამართალ ნუ დაუკარგიდითა,  
ამათა ამჯობნიდითა ამათ მტრისასა, შინ მშვიდობა, ველს გამარჯვება ნუ მო-  
უშალიდითა; თავის ნამათრავალზე ლხინის წამალ დააყარიდითა, ცხვათ ნა-  
მათრავალზე შუააკად ჩამოუხვიდნიდითა, თქვენ ღმერთა გადიდებსთ, გაგი-  
მარჯვებსთა.

იქნებიამც მცველნი, მფარველნი, მწყალობელნი!“.

ესაა ის სავედრებელი, რასაც შესთხოვს საყმო თავის ღვთაებებს. ამის  
შემდეგ მლოცავი სუფრაზე დასხდება — კაცები ცალკე, ქალები ცალკე. ან კა-  
ციები ცალ მხარეს, ქალები ცალ მხარეს. ახლა უკვე საერთო ტრაპეზზე წარ-  
მოთქვამენ თავისი სალოცავისა და მის მოდებ-მოძმე ოთხივ კუთხივ მთა-ბა-  
რის სალოცავების სადიდებელს, მოიხსენიებენ წინაპართა და ახალგარდაცვ-  
ლილთა — დაკლებულთა სულებს, მტრის ხელით ნახოცებს, ზვავ-წყალ ნა-  
ღვებებს, მაქც-ფატერავის მსხვერპლებს, ცოდვილა-უმატრონობებს, შინმძა-  
ხეგაწყვეტილებს და სხვ. ამქვეყნიდან წასულთა ხსენება ასეთი სუფრების  
აუცილებელი ჩვეულებათაგანია.

პურობა რომ დამთავრდება და ხალხი წასასვლელად აიშლება, მაშინ გა-  
მართავენ ახალგაზრდა კაციები ქორბელელს: კაცების საჯარეში რამდენიმე  
ჯანმგარი ჯელი მხარიმხარს გადახვეული წრედ დადგება. მათ მხრებზე შე-  
ადგება ამდენივე ყმაწვილი აგრეთვე მხარიმხარს გადახვეული, შუაში ჩადგება  
ერთი კაცი ხელში ფანდურით და ეს ორსართულიანი ფერხული წალმა ტრი-  
ალით და ჯვარულის სიმღერით ნელა დაიძვრის ჯვარის მიმართულებით. სიმ-  
ღერას ამბობს შუაში მდგომი და მას იმეორებენ დანარჩენები მუხლობრივად.  
სიმღერის ტექსტი ასეთია:

„დღესამ დღეობა ვისია? წმიდისი გიორგისია,  
გიორგი ვალავანზედა უსართყოლდ იარებოდა  
იმისი-დ გადმონავალზედ ხე აღვად ამოსრულიყო,  
ზედა მოსხმიყო ყურძენი, საკმელად მოწეულიყო,  
იმის შემცოდე ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულიყო.  
ყმათღ უმატე. გიორგი, თუ გინდან მოსახელენი,  
ცხვარსად უმატე, გიორგი, თუ გინდა ქაჯანგანი,  
პურსად უმატე, გიორგი, კოდნი თუ გინდან სამსენი“.

ქორბელელა, როგორც დასკვნითი ეტაპი კულტმსახურების მთელი რი-  
ტუალისა, ერთგვარად ამოწმებს, თუ რამდენად უნაკლოდ აღასრულა საყმომ  
თავისი ვალი სალოცავის წინაშე. ქორბელელა ციხის სიმბოლოა — ქორბელე-  
ლას შუაში მდგომ კაცს მეციხოვნე ჰქვია. ქორბელელაში მდგომთა მიზანია,  
რომ ეს ორსართულიანი ფერხული დაუშლელად მიიტანონ დანიშნულ ად-  
გილამდის. თუ ქორბელელა გზად დაეშლებათ, ეს იმის ნიშანია, რომ საყმომ  
რალაც სამსახური დააკლო სალოცავს და მან მისი ძღვენი არ შეიწირა — თემ-  
სოფელს ხიფათი ელის. თუ ქორბელელა დაუშლელად მივიდა ზატის კარზე,  
ეს იმას ნიშნავს, რომ საყმოს ძღვენი და სამსახური მიღებულია და მფარ-  
ველმა ღვთაებამ გადმოავლინა მასზე თავისი წყალობა — განამტკიცა სათემო  
ციხე, თემის გაუტეხლობის გარანტია. ამიტომაც, რომ ქორბელელას მსვლე-

ლობის განმავლობაში ხალხი ფეხზე დგას და პირვერის წერით ევედრება სალოცავს მის დაუშლელობას.

ღრმა მითოლოგიურ გააზრებას მოითხოვს სიმღერის ტექსტი. მისი რამდენადმე სისტემური ანალიზი ქართულ ფოლკლორისტიკაში თითქოს არა ჩანს. ამის პრეტენზია არც ამ წერილს აქვს. ქორბეგელას რიტუალის კონტექსტში მისი სავარაუდო ინტერპრეტაცია კი შეიძლება ასეთი იყოს: საყმო თავისი სალოცავის წინაშე ერთგული სამსახურით განამტკიცებს თემის ძლიერების სიმბოლოს — ციხე-გალავანს, სადაც „უსარტყლოდ“, ე. ი. საომარი საჭურჭლის გარეშე ისადგურებს თემის მფარველი ღვთაება, როგორც თემ-სოფლის მშვიდობით არსებობის გარანტი. ციხე-გალავანი, სადაც სალოცავი სუფევს, წმიდაა, ამოდის წმიდა ხე, ალვა, ზედ მოსხმული წმიდა ნაყოფით — ყურძნით, რომლის შებღალვა — „შეცოდება“ არავის ეპატიება. ციხე გალავანზე ალვის ხე, ალბათ, უზენაესთან საკრალური კავშირის სიმბოლო უნდა იყოს. საყმო ღვთაებას ევედრება — ყმათა სიმრავლეს, რომელიც მას სამსახურს არ დააკლებს: „ყმათად უმატე, გიორგი, თუ გინდან მოსახელებნი“; ცხვრის გამრავლებას, სადაც საქსხვერბლო ჭქაჯანგიანი მისია: „ცხვარსად უმატე, გიორგი, თუ გინდა ქაჯანგიანი“; პურის დოვლათის მომატებას, რომელიც უზრუნველყოფს მისი სადიდებელი ლუდიანი კოდების სისავსეს: „პურსად უმატე, გიორგი, კოდნი თუ გინდან სამსვენნი“.

Г. И. ЦОЦАНИДЗЕ

## КОРБЕГЕЛА

ИЗ ТУШИНСКОЙ ДИАЛЕКТНОЙ ЛЕКСИКИ

### Резюме

1. Термином «корбегела» в тушинском диалекте грузинского языка обозначается своеобразный групповой обрядовой танец, исполняемый на летних религиозных празднествах в Тушети.

2. Этимологически «корбегела» является композитом, первая часть которого связана со словом «кор», обозначающим в древнегрузинских текстах верхний этаж дома, вторая же часть — с термином «бегели», которым в западногрузинских диалектах обозначается особый способ укладывания досок для просушки.

3. Сам ритуальный танец «корбегела» является символом боевой башни, об усилении мощи которой просят божество собравшиеся участники праздника.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლინგვისტური ატლასის ლაბორატორია.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გვახარიაშვილმა.

5 შტრ. ვ. ბარდაველიძე. ქართველი ტომების ასტრალურ. ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველეს საფეხურთაგანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. V, თბილისი, 1959, გვ. XI; თ. ჭაყელი, საუფლო ხე ალვა, „ჯვარი ვახისა“, № 2, 1990, გვ. 29.



## მიხეილ ჭურღინი

საერთო-ქართველური ლირიკული (ლაპიდარული) ლექსის  
სტროფიკა და ზოგიერთი მხარი სალექსო ფორმის განეზისის  
კროზლემა

ქართველური ენების (ქართული, სვანური, ზანური) ფოლკლოლური ვერსიფიკაციული მოდელების კომპარატივისტული კვლევის შედეგად საერთო-ქართველური ეპოქისათვის შეიძლება მოვახდინოთ სტრუქტურის ყველა იერარქიულ დონეზე განსხვავებული ორი ვერსიფიკაციული სისტემის რეკონსტრუირება:

1. ლირიკული (ლაპიდარული) ლექსი და 2. ეპიკური (ნარატიული) ლექსი.

ეს ვერსიფიკაციული სისტემები იმავდროულად ორ სხვადასხვა ლიტერატურულ გვარს წარმოადგენენ.

ქართველურ ენათა პოეტური ფოლკლორის შედარებითი ანალიზი საფუძველს იძლევა საერთო-ქართველური ქრონოლოგიური დონის ვერსიფიკაციული სისტემების თეორიული მოდელირებისათვის (მ. ქურდიანი, 1984). ამჯერად წარმოდგენილია საერთო-ქართველური ლირიკული (ლაპიდარული) ლექსის მოდელი.

საერთო-ქართველური ლირიკული (ლაპიდარული) ლექსი წარმოადგენს სტრუქტურას (L), რომელიც შედგენილია ორი, A და B ნაწილებისაგან. ისინი წარმოდგენილი არიან სალექსო სტრიქონების ან სტრიქონთა ბლოკების სახით. A-სა და B-ს მიმართება მუდმივია:  $A=B$  ან  $A < B$  თავისი შემადგენელი ელემენტების (მარცვლების, სტრიქონების) რაოდენობის მიხედვით ( $a_1, a_2; b_1, b_2, b_3...$  შესაბამისად აღნიშნავენ A და B ბლოკებში შემავალ სტრიქონთა რაოდენობას).

შენიშვნა: მიმართება  $A > B$ , როგორც სისტემის თვალსაზრისით, ასევე ფაქტობრივად წარმოადგენს ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდგომდროინდელ ინოვაციას და საკუთრივ ქართულში მისი, დოკუმენტურად დადასტურებული ევოლუციისთვის თვალის გადავლება შეიძლება ჩასახვის მომენტიდან (ა. სილაგაძე, 1987, 92—113).

საერთო-ქართველური ლირიკული (ლაპიდარული) ლექსის სტრუქტურული მოდელი ბინარულია. ის შეიძლება ასე ჩაიწეროს:  $A, B \in L$ , სადაც  $A \leq B$ . კონკრეტული შემთხვევებისთვის:

ა) ორსტრიქონედი (დისტიქი):  $A \leq B$ ,

ბ) სამსტრიქონედი (ტრისტიქი):  $A < B$ ,

სადაც  $\begin{cases} A = a \\ B = (b_1 + b_2), \text{ ხოლო } b_1 \geq b_2. \end{cases}$

გ) ოთხსტრიქონედი (ტეტრასტიქი):  $A \leq B$ ,

$$\text{სადაც } \begin{cases} A = (a_1 + a_2), \text{ ხოლო } a_1 = a_2, \\ B = (b_1 + b_2), \text{ ხოლო } b_1 \geq b_2. \end{cases}$$

დ) ხუთსტრიქონედი (პენტასტიქი):  $A < B$ ,

$$\text{სადაც } \begin{cases} A = (a_1 + a_2), \text{ ხოლო } a_1 = a_2, \\ B = (b_1 + b_2 + b_3), \text{ ხოლო } b_1 = b_2 = b_3. \end{cases}$$

A ზღვრულ სიმრავლეს წარმოადგენს. ის არ შეიძლება აღმატებოდეს  $a_1 + a_2$ -ს, ე. ი. ორ სტრიქონს, მაშინ როდესაც B ნაკლებ მკაცრად არის განსაზღვრული და შეიძლება რამდენჯერმე აღმატებოდეს A-ს, თუმცა B-ც შესაძლებელია ლირიკული (ლაპიდარული) ლექსის ფარგლებით.

საერთო-ქართველური ლირიკული (ლაპიდარული) ლექსი უპირისპირდებოდა საერთო-ქართველურ ეპიკურ (ნარატიულ) ლექსს, აგრეთვე როგორც რითმიანი ლექსი, ე. წ. ალიტერაციულ ლექსს.

რითმა გენეტიკურად ბინარული სტრუქტურაა: მისი მინიმალური საკვადიფიკაციო ერთეული — სარიტმო წყვილია.

საერთო-ქართველური ლირიკული (ლაპიდარული) ლექსის რითმა, შეიძლება, ასე ჩაიწეროს:

$$r_1 (\geq K_1), r_2 (\geq K_2) \dots r_n (\geq K_n) \in R_L.$$

სადაც რითმა წარმოადგენს სტრუქტურას (R), რომელიც შედგენილია სარიტმო ერთეულებისაგან (r). ეს სარიტმო ერთეულები, თავის მხრივ, მუდმივ მიმართებაში არიან სარიტმო კლავზულებთან (K):  $r = K$  ან  $r > K$ , ხოლო

$$K_1 \cong K_2 \cong K_n.$$

საერთო-ქართველური ლირიკული (ლაპიდარული) ლექსის რითმისთვის ასეთი მარკერი  $r \geq K$  რეგლევანტურია და არა ჭარბი, ამით ის უპირისპირდება უკვე ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდგომ ცალკეული ენის ეპიკურ (ნარატიულ) ლექსში, პარალელური ალიტერაციის სტრიქონის ბოლოს კონცენტრაციის გზით წარმოქმნილ რითმას, რომელიც ასე ჩაიწერება:

$$r_1 (= K_1), r_2 (= K_2) \dots r_n (= K_n) \in R_E.$$

ლირიკული (ლაპიდარული) და ეპიკური (ნარატიული) ლექსების რითმები არა მხოლოდ დიაქრონიულად არამედ სინქრონიულ დონეზეც თვისობრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ქართველურ ენათა ფოლკლორში: ეპიკური ლექსისთვის შემთხვევითია — მდიდარი, ღრმა და შედგენილი რითმები, ესოდენ ნიშანდობლივი ლირიკული ლექსისათვის (ჯ. ბარდაველიძე, 1979, 138).

შენიშვნა: ეს ფორმულები მართებულია რითმის სტრუქტურის პოზიციიდან. რაც შეეხება რითმის ოდენ მეტრულ მახასიათებელს, ცალსახად უნდა ითქვას —  $A < B$  ორსტრიქონედში სალექსო (რიტმულ) სტრუქტურას განსაზღვრავს სარიტმო ერთეულთა იდენტურმახვილიანობა.

საერთო-ქართველური ლირიკული (ლაპიდარული) ლექსი მონორიმზეა აგებული, რომლის რაოდენობა და ადგილიც განსაზღვრავს მის სტროფიკას:

ა) ორსტრიქონედი (დისტიქი):

$$A \text{ _____ } a (r_1),$$

$$B \text{ _____ } a (r_2).$$



ბ) სამსტრიქონედი (ტრისტრიქი):

$$A \text{ _____ } a (r_1),$$

$$B \begin{cases} b_1 \text{ _____ } - \\ b_2 \text{ _____ } a (r_2). \end{cases}$$

შენიშვნა: სამსტრიქონედის უინტერვალო გარითმვის წესი:  $a(r_1), a(r_2), a(r_3)$  ინოვაციაა სისტემის პოზიციიდან.

გ) ოთხსტრიქონედი (ტეტრასტრიქი):

$$A \begin{cases} a_1 \text{ _____ } a (r_1), \\ a_2 \text{ _____ } a (r_2). \end{cases}$$

$$B \begin{cases} b_1 \text{ _____ } - \\ b_2 \text{ _____ } a (r_3). \end{cases}$$

შენიშვნა: 1. ოთხსტრიქონედის უინტერვალო გარითმვის წესი:  $a(r_1), a(r_2), a(r_3), a(r_4)$  ინოვაციაა სისტემის პოზიციიდან.

2. სისტემა გამორიცხავს ოთხ სტრიქონში სამზე ნაკლები სარითმო ერთეულის არსებობას.

დ) ხუთსტრიქონედი (პენტასტრიქი):

$$A \begin{cases} a_1 \text{ _____ } a (r_1) \\ a_2 \text{ _____ } a (r_2) \end{cases} \left| \begin{array}{l} a (r_1) \\ a (r_2) \\ - \\ a (r_3) \\ a (r_4) \end{array} \right.$$

$$B \begin{cases} b_1 \text{ _____ } a (r_3) \\ b_2 \text{ _____ } - \\ b_3 \text{ _____ } a (r_4) \end{cases}$$

შენიშვნა: ხუთსტრიქონედის უინტერვალო გარითმვის წესი:  $a(r_1), a(r_2), a(r_3), a(r_4), a(r_5)$  ინოვაციაა სისტემის პოზიციიდან.

ორსტრიქონედზე გრძელ წყვილსტრიქონიან ლექსებში სისტემა გამორიცხავს ოდენინტერვალიანი რითმის არსებობას მაგ.:

$$\begin{array}{l} \text{_____} - \\ \text{_____} a \\ \text{_____} - \\ \text{_____} a \text{ და ა. შ.} \end{array}$$

ეს სისტემის პოზიციიდან ინოვაციას წარმოადგენს და შედეგია ლირიკული (ლაბიდარული) ლექსის ბინარული სტრუქტურის

$$A \begin{cases} a_1 \text{ _____ } a (r_1) \\ a_2 \text{ _____ } a (r_2) \end{cases}$$

$$B \begin{cases} b_1 \text{ _____ } - \\ b_2 \text{ _____ } a (r_3) \\ b_3 \text{ _____ } - \\ b_4 \text{ _____ } a (r_4) \\ b_5 \text{ _____ } - \\ b_6 \text{ _____ } a (r_5) \end{cases}$$

რღვევისა, რაც გამოიხატება A-ს დაკარგვაში.



საერთო-ქართველური ლირიკული (ლაპიდარული) ლექსის სტრუქტურა ბინარულია, არსებობს საფუძველი სალექსო სტრუქტურათა ბინარულობა მიეკუთვნოს ვერსიფიკაციულ უნივერსალიათა რიგს.

მყარი სალექსო ფორმების წარმოქმნა (იგულისხმება მონორიმული სალექსო ფორმები) უშუალოდ არის დაკავშირებული ამ უნივერსალიასთან.


ამჯერად შევეხები სპარსულ (აღმოსავლურ) პოეზიაში გავრცელებულ მყარ სალექსო ფორმას ყაზხლს (ლაზელს), რომლის წარმოშობის გზისა დადროის შესახებ განსხვავებული (და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი) მოსაზრებები არსებობს ლიტერატურათმცოდნეობაში (იხ. ა. მირზოევი, 1958; ა. გვახარია, 1995, 28—40; ყაზალის ფორმის შესახებ ქართველურ ფოლკლორსა და ქართულ ლიტერატურაში იხ. მ. თოდუა, 1967, 130—139).

ტრადიციულად ითვლება, რომ:

ა) ყაზალი (ლაზელი) მომდინარეობს ყასიდიდან (კასიდიდან) და წარმოადგენს მის ნასიბს (შესავალს).

ბ) ყაზალი (ლაზელი) შეიქმნა დაახლოებით X საუკუნეში.

გ) ყაზალი (ლაზელი) შემდეგი სტრუქტურისაა:



(ყაზალის სარიტმო სტრუქტურის შესახებ იხ. აგრეთვე ნ. თარგამაძე — 1990).


ყაზალის პირველ ორსტრიქონედს (ბეითს) რომლის ორივე სტრიქონი (მისრა) გართიმულია „მათლა“ ეწოდება.

არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად პირველი ბეითის მისრების გართიმვა რელევანტური კი არა, ჭარბი მოვლენაა ყაზალისთვის:

„რადგანაც სალექსო ერთეულს წარმოადგენს ბეითი (და არა მისრა), ამიტომ მთავარ, ძირითად სარიტმო რიგს ქმნის ბეითის ბოლოს მოთავსებული სარიტმო სიტყვები. პირველ მისრაში მოთავსებული რითმა ბეითის შუაშია



მოქცეული და ამიტომ იგი ძირითადი სარიტმო რიგს გარეთ იმყოფება. თვალ-საჩინოებისათვის უმჯობესია სქემას მივმართოთ და მოვახდინოთ სარიტმო სიტყვების ნუმერაცია (სქემა იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ სპარსული დაწერილობის შესაბამისად):




როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში მთავარ სარიტმო რიგს, ე. ი. მონორიმულ სისტემას, ქმნის  $a_2, a_3, a_4, a_5, a_6, a_7$  და ა. შ. ხოლო  $a_1$  განცალკევებით დგას, იგი ძირითადი სარიტმო რიგის დანამატს წარმოადგენს“ (ვ. კოტეტიშვილი, 1986, 120).

მეცნიერი ასეთ დასკვნამდე ტავტოლოგიურ რითმაზე დაკვირვებამ მიიყვანა („პოეტები, როგორც ჩანს, ბეითების ბოლოს, ე. ი. ძირითად სარიტმო რიგში, ტავტოლოგიური რითმის ხმარებას ერიდებოდნენ, ხოლო პირველი ბეითის შუაში მოთავსებულ რითმას კი უფრო იოლად იმეორებდნენ, ვინაიდან იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც ყურს, ასევე თვალს ნაკლებად ზღვებოდა“ (ვ. კოტეტიშვილი, 1986, 120—121).


ტავტოლოგიური რითმა, ისევე როგორც ბეითის ერთ ხაზად ჩაწერა ყაზალისათვის ტრადიციულია და არა ნორმატიული, არა რელევანტური.

რელევანტური ყაზალისათვის მისრებგარითმული პირველი ბეითის „მათლა“-ს არსებობა და მომდევნო ბეითების ინტერვალური (ლუწმისრებგარითმული) მონორიმია, მათლა წარმოადგენს ბინარული სტრუქტურის A ნაწილს, ყველა დანარჩენი ბეითი კი B-ს.

ყაზალის სტრუქტურა ასე წარმოგვესახება ( $A < B$ ):



ყაზალი არ შეიძლება იყოს 6 სტრიქონზე (სამ ბეითზე) ნაკლები (წინააღმდეგ) შემთხვევაში ის დაემთხვევა „როზაის“ ( $A = B$ ):




კლასიკურ სპარსულ პოეზიაში არსებული საგანგებო საზომი რობაისთვის, მისი ჭარბი მახასიათებელია. მიუხედავად იმისა, რომ ყველა რობაი სპარსულ პოეზიაში სწორედ ამ საგანგებო საზომითაა დაწერილი, ეს მოვლენა თუმცა ძველია, მაგრამ იმ ეპოქასთან შედარებით, რომელშიაც მე ვგულისხმობ ამ მყარი სალექსო ფორმების ჩამოყალიბებას, მაინც საკმაოდ გვიანდელი.

ყველა დანარჩენი აკრძალვა ან მარკერი (მაგ., თორმეტბეითს არ უნდა აღემატებოდეს, ბოლო ბეითში — „მაყტა“-ში ავტორის თახალუსი ანუ ფსევდონიმი უნდა ფიგურირებდეს. ყაზალის ყველა ბეითი, მათლას გარდა, სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს და უპრობლემოდ სერხდებოდეს მათი ურთიერთჩანაცვლება და ა. შ. და ა. ა) ასევე ჭარბია და ვერსიფიკაციული სტრუქტურის თვალსაზრისით-არაარსებითი.

რაც შეეხება ყაზალის (ღაზელის) წარმოშობას ყასიდის (კასიდის) ნასიბიდან (ე. ბერტელსი) ან მათს ერთმანეთისგან დამოუკიდებელ წარმოშობას და შემდეგ უკვე ყაზალის გავლენას ყასიდის ნასიბზე (ა. ბოლდირევი), ლირიკული (ლაპიდარული) ლექსის სტრუქტურის წინამდებარე თეორიით გამორიცხულია.

ყასიდა თავად არის წარმოქმნილი ყაზალისაგან და არა პირიქით.

ყასიდა ფაქტობრივად მრავალთემიანი ყაზალია, რომლის B ნაწილი (სიმრავლე) თავად შედგება ნაწილებისაგან (ქვესიმრავლეებისაგან):





ეს თემატურადაც კარგად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ლირიკული თემა ანუ ნასიბი ყასიდისთვის სავალდებულო იყო, დანარჩენი თემები (resp. თავები) — მადიპი, ვასაფი, მუფახარა, ჰაჯა ხამრია, ტარდი, ჰიქმა — არჩევითი, როგორც რაოდენობრივად, ასევე შინაარსობრივად, თუმცა მათი რაოდენობა აუცილებლად ერთზე მეტი უნდა ყოფილიყო, ჩვეულებრივ 2—4 (ნ. ფურცელაძე, 1985, 6), რადგან სწორედ ამაში იყო არსებითი განსხვავება ერთთემიან ყაზალსა (ლაზელსა) და მრავალთემიან ყასიდას (კასიდას) შორის.

ყასიდა (კასიდა) ლირიკულ-ეპიკური ჟანრია, ის შექმნილია ლირიკული პოეზიის და არა ეპიკური სტრუქტურული პრინციპებით და წარმოშობითაც სწორედ ლირიკულ (ლაბიდარულ) ლექსს უკავშირდება (თუმცა საკუთრივ ყაზალი ყასიდისაგან განსხვავებით არაბულ პოეზიაში დადასტურებული არ არის. ნ. ფურცელაძე, 1985, 6).

ასევე ყაზალიდან (ლაზელიდან) არის მიღებული სპარსული ყითა//ყეთ'ე (არაბ. კიტ'ა ანუ მაკტუ'ა). მისი წარმოშობის გზა განსხვავდება ყასიდის წარმოშობის გზისაგან ყითა//ყეთ'ე ბინარულ სტრუქტურა მოშლასი ლექსია (ყაზალია), სადაც A ნაწილი დაკარგულია და მხოლოდ B ნაწილია დარჩენილი.

ამ ნიშნის მიხედვით იმისი დაშვებაც შეიძლება, რომ ყასიდა უფრო ადრეა შექმნილი, ვიდრე ყითა, რადგან პირველის შემთხვევაში ბინარული სტრუქტურა, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია.

და ბოლოს, რაკი ლირიკული (ლაბიდარული) ლექსის ბინარული სტრუქტურა რეკონსტრუირდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასწლეულით წინმსწრები ეპოქისათვის (თუნდაც საერთო-ქართველურ დონეზე), უნდა ვივარაუდოთ, რომ ისეთი სალექსო ფორმები, როგორიცაა „ყაზალი (ლაზელი)“ ( $A < B$ ) და „რობაი“ ( $A = B$ ) მათ დაფიქსირებამდე ბევრად ადრე არსებობდნენ თავისი ყველა რელევანტური ნიშნებით. ისინი უძველესი (ორსტრიქონედთან და სამსტრიქონედთან ერთად), ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სალექსო ფორმებია და რაც მთავარია, ისინი ეროვნულია და ორგანული როგორც ქართველური, ასევე არაბული, სპარსული, თურქულენოვანი თუ ჩინური ლიტერატურისა და ფოლკლორისათვის; მეტიც, სავარაუდოა მათი რეკონსტრუირება. ფუძე-ენათა ქრონოლოგიურ დონეზე.

### ლიტერატურა

1. ბარდაველიძე, 1979 — ჯონდო ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსი, თბილისი, 1979;
2. გვახარია, 1995 — ალექსანდრე გვახარია, ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. I, თბილისი, 1995.
3. თარგამაძე, 1990 — ნინელი თარგამაძე, ლაზელის რითმული სპირალი — მოამბე, ტ. 106, № 2, 1982.
4. თოდუა, 1967 — მაგალი თოდუა, „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, თბილისი, 1967.
5. კოტეტიშვილი, 1986 — ვახუშტი კოტეტიშვილი, სპარსული რითმის სტრუქტურა, თბილისი, 1986.
6. მირზოევი, 1958 — А. М. Мирзоев. Рудаки и развитие газели в X—XV в.в. Сталинабад, 1958.
7. სილაგაძე, 1987 — ა. სილაგაძე, ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ, თბილისი, 1987.
8. ფურცელაძე, 1985 — მულაქები, არაბულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ნანა ფურცელაძემ, თბილისი, 1985.
9. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1996, № 1—4.

მ. ქურდიანი, 1984 — მიხეილ ქურდიანი, მასალები ქართველურ ენათა ვერსიფიკაციის გენეზისისათვის, კრებულში „ქაშნიკი, ქართული ლექსმცოდნეობის საკითხები“, თბილისი, 1984.

М. КУРДИАНИ

СТРОФИКА ОБЩЕКАРТВЕЛЬСКОГО ЛИРИЧЕСКОГО (ЛАПИДАРНОГО) СТИХА И ПРОБЛЕМА ГЕНЕЗИСА НЕКОТОРЫХ УСТОЙЧИВЫХ СТИХОТВОРНЫХ ФОРМ

Резюме

В статье излагается бинарная теория общекартвельского лирического (лапидарного) стиха, согласно которой он является структурой (L), составленной из двух А и В частей, представленных стихотворными строками или блоками строк. Отношения А и В постоянны:  $A \leq B$ .

Рифма общекартвельского лирического (лапидарного) стиха формулируется как:

$$r_1 (\geq K_1), r_2 (\geq K_2) \dots r_n (\geq K_n) \in R_L.$$

В статье установлена строфика общекартвельского лирического (лапидарного) стиха:

а) двустихие ( $A \leq B$ )

$$A \text{ _____ } a (r_1),$$

$$B \text{ _____ } a (r_2).$$

б) трехстишие ( $A < B$ )

$$A \text{ _____ } a (r_1),$$

$$B \begin{cases} b_1 \text{ _____ } - \\ b_2 \text{ _____ } a (r_2). \end{cases}$$

в) четверостишие ( $A \leq B$ )

$$A \begin{cases} a_1 \text{ _____ } a (r_1), \\ a_2 \text{ _____ } a (r_2). \end{cases}$$

$$B \begin{cases} b_1 \text{ _____ } - \\ b_2 \text{ _____ } a (r_3). \end{cases}$$

и т. д.

В статье также представлена новая точка зрения о путях и времени происхождения некоторых устойчивых стихотворных форм (газель, касида, кыта, рубай) в фольклоре и литературе восточных народов.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არხ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გვახარამმა.



## მანა მელიქიძე

მრავლობითი რიცხვის სახელოვანობაში მდგარი ობიექტი  
ფუძემდონაცვლე ზმნებითან

ცნობილია, რომ როგორც სუბიექტის, ისე პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა ზმნაში სათანადო აფიქსებითაა წარმოდგენილი (აკ. შანიძე, 1976, გვ. 64—67). არის კატეგორია ზმნებისა, რომლებიც რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით გარკვეულ თავისებურებებს ავლენენ, რაც მდგომარეობს ფუძის შეცვლაში. აკაკი შანიძის სიტყვებით, ასეთი ზმნები „ერთნია ლექსიკური მნიშვნელობით, მაგრამ განსხვავდებიან ხმარების თვალსაზრისით“ (აკ. შანიძე, 1976, გვ. 130). მაშასადამე, „ზის“ და „სხენან“ ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან არა ლექსიკური მნიშვნელობის, არამედ გრამატიკული რიცხვის მიხედვით, ე. ი. ერთი ფუძე გამოყენებულია „ოდენმხოლობითის“ და მეორე — „ოდენმრავლობითის“ გადმოსაცემად.

მართალია, გრამატიკულ რიცხვს მორფოლოგიური საშუალებები გამოხატავს (იგულისხმება აფიქსები), მაგრამ ეს არ ნიშნავს ამ ტიპის ზმნების ძირეულ მორფემათა ლექსიკური მხარის უგულებელყოფას. ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით ერთიანობა არ გულისხმობს იმას, რომ საერთოდ უარგვოთ ცალკეულ ფორმათა ლექსიკურ-სემანტიკური მხარე (ივ. ქავთარაძე, 1954, გვ. 216—218). მაგალითად, არის ზმნები, რომლებიც მხოლოდ პირდაპირი ობიექტის მრავლობითის გადმოსაცემად გამოიყენება. შესაძლებელია, ძირეული მორფემით მრავლობითობის გადმომცემ ზმნებს სათანადო გრამატიკული სუფიქსიც ჰქონდეთ შეთანხმების წესით, თუკი პირდაპირი ობიექტი **ნარიანი** მრავლობითით იქნება გამოხატული. მაგალითად:

ღ ვ რ ა: „მისთა ნაცვლად **სისხლნი** მათნი **მიედვარნა** და ველთა ასნა“ (ვეფხ. 622,3), ვარ.: **სისხლი** HJKOR', **სისხლი** მათი (მისი E) EFGL, **მოღვარნა** IFHOYA'R' კაკ, **მოღვარა** GL.

„თვალთა ვითა მარგალიტი **ცრემლი** ცხელი **გარდმოღვარა**“ (იქვე, 161,2), ვარ.: ცხელნი (ული CW) ცრემლნი CWZ ბ ჩ ქ კარ, **გარდმოღვარნა** C.

„თუთი იცი, თუ რაზომნი **ცრემლნი** დაღუარენ“ (ვისრამ., 171, 16—17).

„ღვრა“ ზმნასთან შეწყობილი პირდ. დამატება (სისხლი, ცრემლი) ნივთიერება „წყალ“ სიტყვის მსგავსად მხოლობითი რიცხვის შინაარსს ვერ ჰგუობს, მაგრამ მრავლობითობის გასაძლიერებლად გრამატიკულ მორფემასაც იმატებს.

**მოსრვა**: „... სპანი, მისნი რომელნიმე **მოსრნეს**...“ (ქართ. ცხ., II, 513,11).

„და რაც ოდენი შეიპყრეს **ყირიშნი**, **მოსრნეს** პირითა მახულისათა“ (იქვე, II, 388, 11—12).

„და **მოსრნეს** ყოველნი ნათესავნი მათნი...“ (იქვე, I, 61, 19—62,1), ვარ.: **მოსრნეს** ყოველი ნათესავი მათი PRbd. მართალია, „ყოველი ნათესავი“ მხოლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ შინაარსობრივად სიმრავლეს გამოხატავს და ზმნასაც ამ შინაარსით შეიწყობს, მიუხედავად იმისა, რომ ფორმა მორფოლოგიურად არ აღნიშნავს მრავლობითობას. როგორც მორფოლოგიური, ისე ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით ზმნა-შემასმენელი და დამატება-ობიექტი ერთმანეთს ეთანხმება რიცხვში.

„ჩვილნი **მოსრნა**, ვით ჰეროდემ, მოწიფულნი თან წაასნა“ (არჩილი, 449,2).

**ამოწყუთება**: „ამოსწყუდნეს მრავალნი **სპანი** ოსმალთანი, და შეიპყრნეს ურიცხუნი“ (ქართ. ცხ., II, 528, 3—4), ვარ.: ამოსწყვიდეს d, ამოსწყვიტეს Bp, ამოსწყვიტნეს cet.

„... ყიზილბაშნი მრავალნი ამოსწყუნდეს...“ (იქვე, II, 513, 24), ვარ.: ამოსწყვიტნეს Bbps.

„მონანი იგი მოსწყვიდნეს მახვილით, ჯარის მრავლობით“ (თემ. II, 21, 169—3).

„ჩემი — ეთქვა — უღირსი ძმა, ამოსწყვიტა მწიფით მკვანნი“ (არჩილი, 688, 2).

„ღახოცნეს და ამოსწყვიტნეს, არათ გვანდეს დანაზოგსა“ (იქვე, 554, 2).

შეკრება: „დღესე ერთსა შეკრიბნა დიდებულნი ხანთა მეფემან...“ (ამირანდ., 185, 2), ვარ.: შეკრიბა O, დიდებული O] — Q. ის, რომ ამგვარი ფუძეები გვხვდება საპირისპირო რიცხვის ფორმაში (შდრ.: შეკრიბა დიდებული O), მიგვანიშნებს მის „მეორეულ ხასიათზე“ (ივ. ქავთარაძე, 1954, გვ. 218), რაც სავსებით დასაშვებია.

„მაშინ ვირშელმან შეკრიბნა მცირედნი იგი ლაშქარნი...“ (ქართ. სამ. ძეგ., II, 108).

„შემოუკრიბენ მამულნი და უჩინე მზღვარი...“ (იქვე, II, 140).

„შეკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მდღელთმოდღუარნი...“ (ისტ. საბ., 33).

„... შენცა აღმვლელმან მიჰკრიბენ უფლისად უნჯნი ქებადგნობითა...“ (ბესიკი, 102, 16).

სამეცნიერო ლიტერატურაში რიცხვნაკლი ზმნები ძირითადად ორ ჯგუფადაა დაყოფილი (ივ. ქავთარაძე, 1946, გვ. 141—142; 1945, გვ. 7—8):

ა) მარტივი ფუძის მქონენი (აგდებს / ჰყრის, ვარდების / ცვვის...) და ბ) შედგენილი ფუძის მქონენი, რომელთაც ობიექტის მრავლობითობის უძველესი ხ სუფიქსი აქვთ დართული. ამ სუფიქსის ძირთან შეხორცების გამო ეს ფუძეები ახალ ლექსიკურ ერთეულებადაა გააზრებული. ხ-ის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ვ. თოფურიას აზრით, იგი მრავლობითის სუფიქსია და განხილული უნდა იყოს -ყე ნაწილაკთან და კავკასიურ ენებში (ჩერქეზულში, აფხაზურში...) ანალოგიური ფუნქციით აღჭურვილ მსგავს ფორმანტებთან დაკავშირებით (ვ. თოფურია, 1967, გვ. 9). ს. ჯანაშია მრავლობითის სუფიქსად მიიჩნევს მას და აღნიშნავს, რომ სვანურის გარდა როგორც სახელში, ისე ზმნაში მრავლობითის ნიშნად -ხ სუფიქსს იყენებენ ადიღურ ენებშიც (ს. ჯანაშია, 1942, გვ. 265). სვანურის მსგავსად, ზმნაში იგი გამოხატავს როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის მრავლობითობას. ნ. მარმა იგი პლურალობის მაჩვენებლად აღიარა ტოპონიმიკურ და ეთნიკურ სახელებში (H. Mapp, 1913, გვ. 33). ივ. ქავთარაძე მრავლობითის სუფიქსად მიიჩნევს მას და იქვე აღნიშნავს, რომ „-ხ მოქმედ მორფოლოგიურ სუფიქსს აღარ წარმოადგენს კლასიკური ქართულის დასაწყის პერიოდში... იგი ფუძის ინტეგრალურ ნაწილად იქცა“ (ივ. ქავთარაძე, 1946, გვ. 144).

ლექსიკური მნიშვნელობა, ისევე როგორც გრამატიკული ფუნქცია, გამოიხატება არა ენობრივი ნიშნით, არამედ ენობრივი ფორმით. ცნობილია, რომ გამოხატვის დროს არ არის სავალდებულო, ყოველ ფუნქციას თავისი გამომხატველი ჰქონდეს, რადგან გამოხატავს არა მხოლოდ ფორმის შემადგენელი ელემენტები, არამედ ამსახველად გვევლინება მათი ურთიერთმიმართებანიც (ბ. ჯორბენაძე, 1980, გვ. 39).

ვფიქრობთ, ფუძემონაცვლე ზმნების ოდენმხოლობითისა და ოდენმრავლობითის ფორმების დაპირისპირებაც არა ენობრივი ნიშნით (მრავლობითის -ხ სუფიქსით, როგორც მიუთითებენ), არამედ ენობრივი ფორმით გამოიხატება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში მხოლობითისა და მრავლობითის ფუძეები უპირისპირდებიან ერთმანეთს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რიცხვში მონაცვლეობა ხდება სუბიექტური ან პირდაპირი ობიექტური პირის მიხედვით (აკ. შანიძე, 1976, გვ. 130). როგორც მეცნიერი მიუთითებს, „თუ პირდაპირი ობიექტი მრავლობით რიცხვშია და ზმნა II სერიის მწკრივში, აუცილებელია, რომ ზმნაში ობიექტის რიცხვი აისახოს (ენ/ნ): ადვილე ქვაჲ — ადვიზუნ ქვანი...“ (აკ. შანიძე, 1976, გვ. 130).



რაც შეეხება თავად -ხ'ს, ვფიქრობთ, რომ არათუ კლასიკური ქართულის დასაწყის პერიოდში, არამედ ძველ ქართულშიც არ წარმოადგენს იგი მრავლობითობის გამომხატველ მორფოლოგიურ სუფიქსს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასახსნელი იქნება ერთდროულად ზმნაში ობიექტური პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი ორი სუფიქსის (ხ და ენ/-ნ-ხ) თანაარსებობა.

ქვემოთ წარმოვადგენთ მასალას, რომელიც, ჩვენი აზრით, საინტერესოა ობიექტის მრავლობითობის ზმნაში გამოხატვის თვალსაზრისით ფუძემონაცველ ზმნებთან.

მრავლობით რიცხვში -ნ ნიშნით გაფორმებული პირდაპირი დამატება II სერიაში რიცხვნაკლი ზმნის ძირეული მორფემის მონაცვლეობასთან ერთად ზმნაში აჩენს მრავლობითი რიცხვის -ენ/-ნ სუფიქსს. ამგვარი ფორმები ჩვენს მიერ დამუშავებულ წერილობით ძეგლებში საკმაოდ ხშირია.

ლ-//ხუ-; ა) გაღება-გახსნა: „რა ნახნეს, კარნი გაახვნეს ქალაქით გაზდა ზრიალი“ (ვეფხ., 1413,2), ვარ.: კარი EHNT, გაახვენს N, გააღეს H, გაუღეს L, გახვნენს I'.

... გაახუნეს კარნი კლდისანი...“ (ამირანდ., 97, 9—10), ვარ.: გაახვენს A, გაიხვენს FS, გაეხვენს H, გახუნეს KQR.

... აღვძრავ კლიტესა ჩემსა ენისასა და აღვახუამ ბაგეთა ჩემთა...“ (ქართ. სამ. ძეგ., II, 337).

„თუღანი აახუნა მსწრაფლ და ვითარცა უვნებელი წამოჭდა“ (ქართ. ცხ., II, 225, 25). „მოიხუნენით ბჳენი მართალნი...“ (ექვ. თაყაიშ., სამხ. საქ. მოგზ., 24).

„და გაახვენს ყოვლგნით გალავნის.“ (არჩილი, 912,4). „... მათ განახვენს საყდრის კარნი“ (იქვე, 111,2).

„განვახვნა, ლართა ზარდახშა, გაუყო ყოველსა სოფელსა“ (იქვე, 69,2). „მაშინ განახვნა სარკმელნი დახშულნი კიღობნისანი“ (თეიმ. II, 11,85—3).

„და თვალნი აახვნა აბრაჰამ...“ (იქვე, 12, 94—4). „განუხვენ კარნი გულს დანაკარნი“ (ბესიკი, 78,9).

„აღუხვენ შემქდარჲან ლომსა, მზეო, პირნი...“ (იქვე, 403, 25).

ბ) აღება, წაღება-წართმევა: „ქებანი წაუხმან დევთათვის, სრულად გაჰმეისსლობია“ (ვეფხ. 998,1), ვარ.: წაუხემან A, წაუხმნა IX, წაუხემან I' Z წ, წაუთავანს JRT კარჲ კაკ.1

„და აბრამ ადგა და აიხუნა ორნი ჳიქანი...“ (ამირანდ., 553, 10), ვარ.: აიხვნა A, აიხვნა Q. „შეეკახშა და ხიშტნი აიხუნა...“ (იქვე, 592, 4). ვარ.: აიხვნა A] აიღო (+ და Q) FIQS.

„თუ მე ლომთა სულისა წამღები ვარჲ მიჯნურობასა ჩემთუნ წაუხმან სულნი“ (ვისრამ, 132,17).

... გამოიხუნიაან ფერჯნი მისნი, და იგი პირდაღმა დაეცის...“ (ქართ. ცხ., II, 233,19), ვარ.: გამოიხუნიაან T, გამოუხუნიაან V.

„ამათ წაიხუნეს ხიხანი, მტერთა ზედა გაცემულნი...“ (აბუს. ტბელი, 67, 160). „და ყურად იხვენით სიტყვანი ჩემნიო...“ (თეიმ. II, 44, 355, 4).

სუ-//ხხ-: „არ ავიხვნა, არცა დაგვხვნა, ყოლა არად არ მოგვეკრიფნა“ (ვეფხ., 208,3), დაგვდვა IR, არც დაგვიხვნა T.

ქვემოთ დასხნა ავთანდილ და ცოლი მისი მათად სწორად“ (იქვე, 1554,3), ვარ.: დასხნა N, დასხდეს (-დნენ J)HJT, დასვა Z.

„გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარი“ (იქვე, 35, 4), ვარ.: დაისხნა FTUR' კაკ დაისვა FG.

„დაისხნა ბუმბერაზნი და ფალავანი მრავალნი“ (ამირანდ., 731,17). „დაჲდა ამირან მუნ და დაისხნა დიდებულნი...“ (იქვე, 660, 17,2).

... დაისხნა გუერდით მნათობნი ქალნი მისნი და დაისხნა დიდებულნი მისნი...“ (იქვე, 230,3).

„ორნივე უქმნა, თავისა წინა დაისხნა“ (ვისრამ., 55,34). „ვირცა ქუე-სდლომასა დირს იყვენს, ქუე დასხნეს“ (იქვე, 35,23).

„დედოფალნი და ხათუნნი აწუვივენს, საპატიოდ დასხნეს“ (იქვე, 35,25). „... მათ წილ საღმრთონი კაცნი დასხნეს...“ (ქართ. ცხ., II, 119, 2—3).

„და დასხნა წუნდას შინა კაცნი მკეცნი...“ (იქვე, I, 44,16), ვარ.: დაასხნა A. „... ხხალნი ებისკოპოსნი დასხნეს...“ (ქართ. სამ. ძეგ., II, 537).

„და დაგვხვენით წინაშე ჩუენსა და წვიკეთხენით...“ (იქვე, II, 8). „... ღმერთმან მეფენი ქვეყანასა ზედან თავის სახედ დასხნა...“ (თეიმ. II, 199,34).

- დგ-//სხ-: „დასხნეს საჯდომნი...“ (ამირანდ., 660,17), ვარ.: დასხდეს BO, დასხდეს და დასხნეს F და დაისხნეს I, დადგნეს N, დაისხნეს Q, საჯდომნი] სელნი N.
- „... დასხნეს საჯდომნი ოქრო-ქსოვილისანი...“ (იქვე, 554, 9—555,1), ვარ.: დასხეს და A] დასხნეს BEGKLMNR, დასხნეს (დაისხნეს F) დადგეს სვეტები DFIS, დაისხნეს H...
- „ამათ თანა დასხნა მუნვე დიდითა და ხოსროანთა შეფეთა ტახტნი და საყდარნი...“ (ქართ. ცხ., I, 330,6).
- ღვ-//სხ-: „...საგანძურნი ქართლისა და ჯავახეთისანი დასხნა ვორს...“ (ქართ. ცხ., I, 233,2).
- „და დასხნა ველნი მისნი წმიდანი მკართა მისთა ზედა...“ (იქვე I, 79,17), ვარ.: დაასხნა ACER bd.
- „და დაისხნეს წმიდანი ნაწილნი მისნი...“ (ქართ. სამ. ძეგ., II, 369).
- „მიბრძანა..., რათამცა წესსა ზედა სუმონწმინდისსა დავეხენ მონასტრისა მღვმისა წესნი...“ (იქვე, II, 13).
- „...დაწერილნი მათნი თქუენს წინაშე დაგუისხმან...“ (იქვე, II, 57).
- „ესე ძილის-პირნი და სტიქარონნი მე დავეხენ...“ (აბუს. ტბელი, 68, 172).
- „...ვითა თუთ დაწერილნი მათნი თქუენს წინაშე დაგუისხმან“ (ისტ. საბ., 146), ვარ.: დავეისხმან S.
- „მახსენ სხივნი დღედ-ღამედ მველსა“ (ბესიკი, 77,9).
- ყვან-//სხ-: როგორც ცნობილია, ყვან-//სხ. ფუძიანი ზმნა მხოლოდ სულიერთა კლასის სახელებთან იხმარება:
- „ნაძლევი დავდვთ, მოვასხნეთ მოწმად თქვენნივე სპანია“ (ვეფხ., 68,2), ვარ... მოვასხათ DEFGHJ...
- „მოასხნეს კაცნი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა“ (იქვე, 116,1), ვარ.: მოასხნეს J, მოასხეს FGHI'R'.
- „...წასხნა მეფემან ორნივე თავისა კარავსა...“ (ამირანდ., 562,3—4), ვარ.: წასხნა DHQ...
- „მერმე წავიდა იგი დიაცი, თავისნი შვილნი მოასხნა“ (იქვე, 426,8), ვარ.: თავისი შვილი მოაყვანისა R, შვილი D, მოიყვანა DQ, მოიყვანა FKLS.
- „მოასხნეს მრავალფერნი და კარგნი მუტრბინი...“ (ვისრამ., 35,25).
- „...ყმანი ჯვართა პატიოსნითა მოასხნენ...“ (ქართ. სამ. ძეგ., II, 370).
- „...მოვასხენით ყოველნი მუნებურნი ევეისბერნი და ჰეროვანი...“ (იქვე, I, 401).
- „...დარჩეს ველთა ულოსათა, რომელნი ტყუედ წარისხნეს ურდოს“ (ქართ. ცხ., II, 243,23).
- „მუნით გამოასხნა ორბელნი მეფემან...“ (იქვე, I, 367,3), ვარ.: გამოასხნეს A.
- „ღედამა ჩუენმა მისდითა ძმათასა წაგუასხნა“ (ისტ. საბ., 188).
- „მოგუასხნეს ჩუენც ბნავისს“ (იქვე, 188).
- „იგინიცა მომიხსენით, არ ემოვნოს საქონელი“ (უცნ. ავტ., იოსებზილბ, 105,3).
- ბმა-//სხ-: „...რომლისაგან შეისხენ გორცნი ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან...“ (ქართ. სამ. ძეგ., II, 28).
- „... მოისხნა ფრთენი და აფრინდა...“ (ქართ. ცხ., II, 13,10), ვარ.: მოისხნა E.
- „... გამოუჩნდა საოცარი სახითა საზარელისა გუელისათა, რომელსა ესხნეს თუალნი დიდისა დარაკისა ოდენნი“ (აბუს. ტბელი, 58, 57).
- „შენსა ცას ასხენ ვარსკვლავნი შავნი“ (ბესიკი, 72,4).
- გდ-ებ(ძევ-) — //სხ-: „...განასხნა ყოველნი უსჯულონი საზღვართავან საქართველოსათა“ (ქართ. ცხ., II, 473,23).
- „მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლისმსახურნი საზღვართავან ქართლისათა“ (იქვე, I, 140,4).
- გდ-//ყრ: „ღილ-ჩახსნილი საამბობლად დაჯდა, მხარნი ამოყარნა“ (ვეფხ., 310,1), ვარ.: ჩამოჰყარნა I'.
- „მერმე სულთქვნა, დაიხახნა, ცრემლნი ცხელნი გარდმოყარნა“ (იქვე, 310,4), ვარ.: ცხელი ცრემლი (-ლნი) LDFGHJKLOT. გარდმოღვარნა FJKOT კაკ.
- „და წილნი ყარნის მოყურისა სახელსა ზედა...“ (ვისრამ., 72,27).
- „გზასა გარდუქცია, ლაშქარნი დაყარნა“ (იქვე, 227,24).
- „... მუკლნი მომიყარნა და ეგრე მარქუა“ (ამირანდ., 394,3), ვარ.: მუხლი BDEM, მოყარნა ADEHKLMPRT, მოიყარა BGNO.
- „დაყარნა დედა და დიდებულნი მისნი თვალცრემლიანი...“ (იქვე 749,13).
- „...მახვილმან მისმან შეყარნოს ცეცხლნი რისხვისა მისისანი...“ (ქართ. სამ. ძეგ., II, 356).
- „დაუყარნეს მუკლნი კათალიკოზსა...“ (იქვე, II, 52).
- „...და თორმეტნი ყმან... ჰოეთის ციხიღამე გარდმოყარნა და დაჯოცნა...“ (ქართ. ცხ., II, 382,7).



- „... არა ჩაუშენა ომად, არამედ განყარნა ყოველნი თავისთავ...“ (იქვე, II, 445,17).
- „... თუ აღარა ცოცხალ ვიყო, ჩემნი ძუალნი ძაღლთა მიუყარენ...“ (ისტ. საბ., 147).
- „აქათ გუზან აბულის-შემ შეიყარნა ტაოელნი“ (არჩილი, 794,3).
- „... მან ისრაელნი ნათლის წილად შთაიყარნა ბნელსა“ (იქვე, 27, 3 —4).
- „... მშვენიერის შავის თვალით ცრემლნი გარდმოყარნა...“ (იქვე, II, 198,15).

**-ნ ნიშნით გაფორმებული პირდ. დამატება სუბლექტურ ზმნა-შემასმენელთან**

**1. სუბლექტური ზმნა-შემასმენელი წარმოდგენილია -ენ/-ნ სუფიქსის გარეშე.**

ჩვენი მასალის მიხედვით საკმაოდ ხშირია ისეთი წარმოებაც, როცა -ნ ნიშნით გაფორმებული პირდაპირი დამატება სუბლექტური ზმნის ფორმაში ვე-  
ლარ აჩენს მრავლობითობის -ენ/-ნ სუფიქსს:

- „... დავსხით ვეზირნი და ეპისკოპოზნი...“ (ქართ. სამ. ძეგ., I, 401).
- „... წამოასხეს პყრობილნი კახნი დარბაისელნი...“ (ქართ. ცხ. II, 527,23), ვარ.: წარ-  
მოასხნეს d.
- „... და გამოასხეს მცველნი ყაზანისანი“ (იქვე, II, 316,15). ვარ.: გამოასხნეს ხ.
- „უბრძანა მონათა და გამოასხმევინა საჯდომნი ორნი...“ (ამირანდ., 683,9), ვარ.: გამო-  
იხუნა D, გამოასხენევინა FQS, გამოასხმევინა I, გამოიხვნეს N.
- „შემოიყარა სპანი ქართველთანი...“ (ქართ. ცხ., II, 532,4).
- „და კულად მოიყარონ მუჯლნი და თაყუანისცენ“ (ქართ. სამ. ძეგ., II, 52).
- „ფიცხლავ მოასხეს, გაგზავნეს საძებრად კაცი ბრძენია (თეიმ. II, 89, 724—3),
- „მკლავს, უცხოდ-რე ჩამოსხმულსა თითნი ბროლნი ზედ მოესხა“ (არჩილი, 39,1).
- „სპანი ბევრი უამრავი ერანიდამ მან მოასხა“ (იქვე, 449,1).
- „გაეაბრჰვე, დავსხი სრულ კახნი, არ მარტო ეს პატიო“ (იქვე, 991,1).

**2. სუბლექტური ზმნა-შემასმენელი წარმოდგენილია მხოლობითის ფორ-  
მით**

შევგვხვდა პირდ. ობიექტისა და ზმნის რიცხვითი დამოკიდებულების ისე-  
თი შემთხვევაც, როცა -ნ სუფიქსით გაფორმებული პირდაპირი ობიექტი არა-  
თუ ვერ აჩენს მრავლობითობის სუფიქსს ზმნაში, არამედ სუბლექტური ზმნა-  
შემასმენელი მხოლობითისათვის განკუთვნილი ფუძისეული მორფემითაა წარ-  
მოდგენილი:

- „მოვედით.. და განაძეთ სპანი ესენი...“ (ქართ. ცხ., II, 353,26), ნაცვლად ფორმისა  
„განასხენ“.
- „განაგდე მწუხარებანი, დაცემის ვინ გელამოდა“ (არჩილი, 50,2).
- „ეკლავლა ბრძანა: „მოიღეთ სრულნი საჭურჭლეთ კლიტენი“ (უცნ. ავტ., იოსებზილის.,  
149,1).

დარღვევებზე იხ. ქვემოთ.

**კრებითი ან ნივთიერებათა აღმნიშვნელი სახელით გამოხატული პირდ.  
დამატება სუბლექტურ ზმნა-შემასმენელთან**

ფუძის მონაცვლეობას იწვევს კრებითი ან ნივთიერებათა აღმნიშვნელი  
სახელით გამოხატული პირდ. დამატებაც — სუბლექტურ ზმნა-შემასმენელს  
მრავლობითის ფუძით წარმოგვიდგენენ:

- „ქვეყანა ჩავსხი, ვუბრძანე: იყენით თქვენ უკრძალავად“ (გეფხ., 462,3), ვარ.: ჩავსხენ I. „ქვე-  
ყანა“ აქ შინაარსობრივად მრავლის გამოხატველია: შდრ.: ქვეყანა, ხალხი: ბევრი ხალხი.
- „თვალთა ვითა მარგალიტი გარდმოყარა ცრემლი ხშირი“ (იქვე, 1176,1), ვარ.: გარდმო-  
ყარნა I, ცრემლნი R'. აქაც „ცრემლი“ სიმრავლეს გამოხატავს.
- „მაშინ დაასხა წუმა მძაფრი“ (ქართ. ცხ., I, 21,24), ვარ.: დასხა Tc, დასხნა m.
- „მას ეამსა ქუემო, დვალთა წაასხეს ზროხა...“ (ქართ. სამ. ძეგ., II, 112).
- „... წაასხეს ღუღით ზროხა...“ (იქვე, II, 111).
- „დასხა უმჯობესი ლაშქარი მზისად ღამე...“ (იქვე, II, 106).
- „წამოასხეს რემა და წამოვედით“ (ამირანდ., 509,6).
- „მარგალიტი ხოვრიელად ამარტასა ზედა დაასხეს“ (ვისრამ., 144,12).
- „... მარგალიტი ღორსა წინა აღარა დაყარა“ (იქვე, ,106,22).

- „... შიშუელაზედ ზედ შემოაყარეს ლურსმანი გაჭურვებული“ (ქართ. ცხ., II, 402,4).  
 „ლურსმანი“ აქ გაგებულია როგორც რკინა, უკეთ: რკინის ნაკეთობანი.  
 „თმა აღიბარსა თავისა, დაისხა მიწა თავსა-და“ (თეიმ. II, 22, 179—1).  
 „... იმის თვალთ ნაცარი ვაყაროთ...“ (იქვე, 160, 11).  
 „მათ სიცილი უხდებოდათ — ჰგავს თუ,, ვარდი გარდმოყარეს (თეიმ. I, 128,2).  
 „რა ეს ესმა იოსებსა, ცხელი ცრემლი გარმოღვარა“ (უცნ. ავტ., იოსებზილბ., 367,1).  
 „ალონში ცხენი წამექცა, თავს მტვერი გარდავიყარე“ (არჩილი, 709,1).  
 „მარგალიტთა მეპატრონეს კარად ლალი დაეყარა“ (იქვე, 30,1).  
 „და გარსევანც ლევი შეიპყრა...“ (იქვე, 750,4).  
 „ქმარს მომაკვდავი ეგონა, ცხელ-ცხელი ცრემლი ყარა მან“ (ბესიკი, 156,49—1).

### ძირეულ მორფმათა რიცხვში მონაცვლეობის რღვევა

საკმაოდ ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, სადაც ძირეულ მორფმათა რიცხვში მონაცვლეობა დარღვეულია. მიუხედავად იმისა, რომ პირდ. დამატება წარმოდგენილია -ენ/-ნ სუფიქსით, ზმნაში არათუ აჩენს მრავლობითობის სუფიქსს, არამედ მხოლოდობის ფუძით წარმოგვიდგენს მას:

- „... და აღიღო ციხენი და სიმაგრენი მათნი...“ (ქართ. ცხ., II, 506,2).  
 „... რომელმანცა მიიღო ძულანი მისნი...“ (იქვე, II, 537,4).  
 „... წარმოგზავნეს კაცი და წარიღეს ყოველნი“ (იქვე, II, 289,20).  
 „... და აღიღო სამნი ლოდნი“ (იქვე, I, 210,5).  
 „... წარიღო მრავალნი საქმარნი წმიდათა ეკლესიათანი...“ (იქვე, II, 465,3).  
 „... ორნიც ზე აღო, მიწაზე დასენა“ (ამირანდ., 776,9).  
 „... ისინი ყუელანი თან წაიღო“ (იქვე, 749,9), ვარ.: ყველა LR.  
 „... ორნი ჭიქანი აიღო...“ (იქვე, 786,1), ვარ.: აავსო LR.  
 „ფიცხლა წავუღეთ ქლაქი, არ თავნი გავაზანტენით“ (ვეფხ., 621,2), ვარ.: ქლაქნი T.

### -ებ ნიშნიანი დამატების ურთიერთობა სუბლექტურ ზმნა-შემასმენელთან ..

აქაც შეიძლება რამდენიმე მომენტი გავარჩიოთ:

1. -ებ ნიშნით გაფორმებული პირდ. ობიექტი არ მოითხოვს არც მრავლობითობისათვის განკუთვნილ ფუძეს და არც -ენ(-ნ) ნიშანს ზმნაში:

- „... აღმოიღეს ჩუგლუგები და იწყეს ბრძოლად ჩუგლუგებითა“ (ქართ. ცხ., I, 34,8).  
 „ხოლო მათ აღიდეს მახვილები...“ (იქვე, II, 415,6).  
 „და აღიღო ქუაბები ლორისა...“ (იქვე, II, 374,2).  
 „... აღდეს საქურველები და ჩაიცივეს“ (ამირანდ., 652,7—8).  
 „ცხენებსა შესხდეს, აიდეს მათ მათი ჩაბალახები“ (ვეფხ., 1407,4).  
 „გარეუშე კაცები შეეგდოთ“ (ქართ. სამ. ძეგ., II, 325).  
 „... ვახთ ბატონობისა და უფროსობისათვის ხრლმები ჩამოვარდნიათ...“ (იქვე, II, 513).  
 „წარიღო წიგნები და წარვიდა“ (ქართ. ცხ., I, 125,8).  
 „... აიდეს ზოგი კოშკები“ (არჩილი, B, 761,1).

2. ძალიან იშვიათად, მაგრამ -ებ-იანი პირდ. დამატება მაინც აჩენს ზმნაში მრავლობითი რიცხვის: ენ/-ნ სუფიქსს, ამასთანავე ზმნური ფუძეც მრავლობითს გადმოსცემს.

- „ქვე დაუყრია მოყმები, ვინც უფრო გულოვანია“ (ვეფხ., 1241,3), ვარ.: დაუყრია ET.  
 „თანაშემოქცეულთა აიხუნეს ციხენი და სიმაგრენი“ (ქართ. ცხ., II, 56,5), ვარ.: ციხეები Mm.

„შემომაყარენ მიწა-ყორები“ (ბესიკი, 156,46—5).

3. -ებ ნიშნიანი პირდ. დამატება შეიწყობს მრავლობითისათვის განკუთვნილ სუბლექტურ ზმნა-შემასმენელს -ენ(ნ) ნიშნის გარეშე:

- „... ორი საქციევი ფარეველთ, ქუები ჩაგვისხამს“ (ქართ. სამ. ძეგ., II, 325).  
 „... დროშა და ვალი მოგუართუი და აზნაურიშვილები მოგვისხით“ (იქვე II, 221).  
 „წამოასხეს მძევლები“ (ქართ. ცხ., II, 118, 18—20), ვარ.: წამოასხეს Mm, წამოასხნა Bdps, წამოასხა cet.  
 „და მისი თავადები მეგლიშში დასხეს...“ (იქვე, II, 512,11).  
 „თუ ამხანაგმა ამხანაგს... ჩაყარევისნოს კბილები... ათასი დრამა ვერცხლი წაართვან...“ (ქართ. სამ. ძეგ., I, 389).



- ... ჩვენ ახლა ჯარები უნდა შემოვიყაროთ...“ (იქვე, II, 529).
- ...და მე ამისთვის ჩემი შვილები ესრეთ შევყარეთ საუკუნოთ და ასე გავჰყარე თავთა-ვეთის წილით“ (იქვე, II, 513).
- ... საქართველოს მეფეს თავისი შვილები გაუყარია...“ (იქვე, II, 513).
- ... და გარდაყარა ფიცრები ჯიდისა სრულიად...“ (ქართ. ცხ., II, 387,9—10).
- ...ძალიან დამცა მიწასა, მაჯები ამოვიყარე“ (იქვე 709,2).
- ...და თოფი ჰკრეს, ორივე თვალები წაყრევიანეს ქვაზედა“ (იქვე, 777,4).
- ...და ჩამოგიყარე ყურები ჯობნისა შენ დანაპირეს“ (იქვე, 373,4).
- ...ყმაწვილები შეყარა და ესრეთ უთხრა...“ (თეიმ. II, 162,5).

ხშირად ვხვდებით შეთანხმების არასწორ შემთხვევებს, კერძოდ, დამატება-ობიექტი წარმოდგენილია მხოლოდით რიცხვში, სუბლექტური ზმნა-შემასმენელი კი შეწყობილი აქვს მრავლობითის ფუძით:

- ...გულისა წადილმან ცნობისა ძალი განაღამცა მიულო...“ (ვისრამ., 235,29—30), ვარ; მიუხვანა F.
- ...შესტყორცა იგი ვეშაბისა ტყავისა საგდებელი და მზისა ჭაბუკისა ფეთრსა ცხენსა ფავსა გარდაყარა...“ (ამირანდ., 789,16), ვარ.: გარდაცვა L, გარდაცვა R.
- ...დასუ საყდართა ღმრთაებისათა, რაჟამს ავასხენ ღმერთსა ბუნებაჲ ადამისი...“ (ქართ. სამ. ძეგ., II, 176).
- ... ნუსხა ესე ჩვენ მიერ ნაქმარნი, წინა დაისხენ...“ (იქვე, II, 383)..
- ...ფეხიდან სალტე წამყარა და წაილოო“ (თეიმურაზ II, 187,33).
- ...ლომმან აღვირი წაიყარა და წავიდა“ (იქვე, 190,28).
- ...აღუპურნე ბაგე სამკობლად ენითურ კაცთ საქებელთა“ (არჩილი, 97,2).

სუბლექტური ზმნა-შემასმენელი მრავლობითის ფუძითაა წარმოდგენილი, როცა პირდ. დამატებას ახლავს მსაზღვრელად რიცხვითი სახელი (ორივე მხოლოდითშია):

- ...ველა ბრძანა: „მონა თორმეტი შევსხათ ჩვენ თანა მარბლად (ვეფხ., 71,1).
- ...მემათრავეს ორი ოქროთ შეკაზმული ცხენი მოასხმევენა, ორნივე ზედ შესხა“ (ამირანდ., 775,18).
- ...დაჯდა და დაისხა ხუთასი დიდებული...“ (ამირანდ., 114,7), ვარ.: და დაისხნა ACHKMNS, დაისხნა BEG, იგი და დაისხნა OJ—R, დიდებულნი AFGHOQS.
- ...და დაიპურა შვიდივე სამეფო ლიხთ ამიერთგან იმერად“ (არჩილი, 786,4).

**დამოწმებული წყაროები**

1. ვეფხ. — „ვეფხისტყაოსანი“, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, I, თბ., 1966.
2. ვისრამ. — „ვისრამიანი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ალ. გვახარიაშვილმა და მ. თოდუამ, თბ., 1962.
3. ამირანდ. — „ამირანდარჯანიანი“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა, თბ., 1967.
4. აბუ ს. ტბელი — აბუსერიძის ძეგლები, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატთანე, 1233 წ., ტექსტი გამოსცა ლ. მესხიშვილმა, თბ., 1941.
5. ქართ. ცხ. — „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემით, ტ. I, თბ., 1955; ტ. II, თბ., 1959.
6. ქართ. სამ. ძეგ. — „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963.
7. ქართ. სამ. ძეგ. — „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X—XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965.
8. ისტ. საბ. — ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები IX—XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.
9. ექვ. თაყაიშვილი. — ექვთიმე თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.

10. ბესიკი — ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, შენიშვნები, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1962.
11. არჩილი — არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1936; ტ. II, თბ., 1937.
12. თეიმ. I — თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1933.
13. თეიმ. II — თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, გიორგი ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბ., 1939.
14. უცნ. ავტ. — უცნობი ავტორი, „იოსებზილიხანიანი“, გ. ჯაკობია, იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიები, კრიტიკული ტექსტი ლექსიკონისა და საძიებლების დართვით, ტფ., 1927.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. თოფურია ვ., სვანური ენა, I. ზმნა, შრ. I, 1967.
2. შანიძე აკ., ძველი ქართული ენა, თბ., 1976.
3. ქავთარაძე ივ., რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში, იკე, I ტ., 1946.
4. ქავთარაძე ივ., ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.
5. ქავთარაძე ივ., დეფექტური ზმნები ძველ ქართულში (საკანდ. შრომის თეზისები), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. შარის სახელობის ენის ინსტიტუტი, 1945.
6. ჯანაშია ს., სვანურ-ადიღური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები (ქართველურ-ადიღური ბარალელები), I, ენიმკის მოამბე, XII, 1942.
7. ჯორბენაძე ბ., ქართული ზმნის ფორმობლივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.
8. М а р р Н., Из поездок в Сванию, X В, III, СПб., 1913.

М. Л. МЕЛИКИДЗЕ

### ОБЪЕКТ, СТОЯЩИЙ В ИМЕНИТЕЛЬНОМ ПАДЕЖЕ МНОЖЕСТВЕННОГО ЧИСЛА С КОРНЕЗАМЕНЯЕМЫМИ ГЛАГОЛАМИ

Резюме

Объект, стоящий в именительном падеже множественного числа с корнезаменяемыми глаголами, образуется характерно как для древнего, так и современного грузинского языка.

Глагол, употребляющийся только в одном числе, с корневой морфемой во множественном числе с суффиксом -ბ (-ნ) с прямым дополнением во II серии даёт как суффикс -ენ/-ბ (-ენ/-ნ), так и глагольную форму вне форманта множественного числа. Также не однозначно взаимоотношение дополнения, образованного суффиксом -ებ (-ებ) с супплетивными глаголами.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გვახარიაშვილმა.



## ლიანა ჟღინტი

## მყოფადის ხოლმეობითის ფუნქციურ-სემანტიკური მნიშვნელობანი მარტივ წინადადებაში

წარსული დრო ძლიერი გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც უფრო გამოკვეთილია, ვიდრე არაწარსული. წარსულის სფეროში უფრო ნათლად გამოიხატება ენის სისტემის მიდრეკილება ობიექტური სინამდვილის პროცესების დროთა ლოკალიზაციის მკაფიოდ, ნათლად გადმოცემისაკენ.

აკად. ა. შანიძე თავის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ წერს: „ეხლანდელსა და მომავალს შორის მტკიცე ფორმობლივი ზღვარი ყოველთვის არ არის დადებული“<sup>1</sup>. წარსული დროის შესახებ აქვე ვკითხულობთ: „ქართულში წარსულის ფორმები მკაფიოდ გამოირჩეულია სხვა დროთა ფორმებისაგან“<sup>2</sup>.

წარსული დროისათვის პირველადი და ძირითადი მოქმედების საუბრის მომენტთან წინამავლობის ნიშანი. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ წარსულის გაგება გრამატიკაში განუყოფელია. მას დასაბამი არა აქვს, მაგრამ დასასრულია უბნობის მომენტი<sup>3</sup>, ე. ი. შეიძლება მოქმედება უბნობას ერთი წუთით თუ საუკუნით უსწრებდეს, იგი მაინც წარსულია. წინამავლობის ნიშანი ქართულშიც, და, როგორც აღნიშნავენ, ინგლისურშიც გრამატიკულადაა გამოხატული<sup>4</sup>.

წარსული დრო გამოირჩევა ყველა სხვა დროისაგან თავისი მრავალფეროვნებით. არც ერთი დრო არ გამოიხატება იმდენი მწკრივით ქართულში, როგორც წარსული დრო. წარსული დროის ფორმები ფართოდ არის გავრცელებული ქართულში ყველა ტიპის წინადადებაში და სხვადასხვა ნიუანსს გამოხატავს. მათი საშუალებით შეიძლება გადმოიციეს: დაუსრულებელი, უწყვეტი, განგრძობილი, ერთგზისი ან მრავალგზისი, დასრულებული, შეწყვეტილი, უნახავი მოქმედებანი, რომელთა შედეგი ჩანს აწმყოში ან რომლებიც სხვა მოქმედების წინამავალია: ვწერდი, დავწერდი, ვწერე, დავწერე, დამიწერია, დამეწერა...

საერთოდ, დროთა მიმართებების გამოხატვას წინ უძღოდა ასპექტის კატეგორიის ჩამოყალიბება. წარსული დროის გამოხატვაც. ბუნებრივია, ქართულში მჭიდროდ არის დაკავშირებული ასპექტის კატეგორიასთან, რადგანაც წარსული დროის ფორმები შეიძლება იყოს როგორც უსრული, ასევე სრულ-ასპექტისანი. უსრული ასპექტისანი არიან წარსული დროის მწკრივები: უწყვეტი, უპრევერბო წყვეტილი, I და II თურმეობითები: აკეთებდა, აკეთა, უკეთებია, ეკეთებინა. სრულ ასპექტს გამოხატავს წარსული დროის მწკრივები: მყოფადის ხოლმეობითი, წყვეტილის პრევერბიანი ფორმები, აგრეთვე I და II თურმეობითების პრევერბიანი ფორმები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, წარსული დროის მწკრივები მეტად საინტერესო ფუნქციურ-სემანტიკური მნიშვნელობების შემცველიც იქნება.

ნაშრომში საუბარი იქნება წარსული დროის გამოხატველ ერთ-ერთ მწკრივზე მყოფადის ხოლმეობითზე და მის ფუნქციურ-სემანტიკურ მნიშვნელობებზე მარტივ წინადადებაში. დ. ყიფიანი თავის გრამატიკაში მყოფადის ხოლმეობითს უწოდებს „დროს გავლილს, გათავებულს“<sup>5</sup>.

1 აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 204.

2 იქვე, გვ. 204.

3 იქვე, გვ. 202.

4 მ. მეგრელიშვილი, ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში, თბილისი, 1986, გვ. 270.

5 დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, სანკტ-პეტერბურდი, 1882, გვ. 70—88.

როგორც ცნობილია, ქართულში მრავალგზისობის კატეგორიის გამოხატვა სწორედ ხოლმეობითს ეკისრება. მრავალგზისობა ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული ფორმისაგან: მრავალგზისობა-ერთგზისობისაგან შედგება. მყოფადის ხოლმეობითი, როგორც მწკრივი, დღევანდელი ქართულის კუთვნილებათაა. ძველ ქართულში იგი ცალკე არ იყო გამოყოფილი. ასპექტის ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ, როდესაც I სერია ორ ქვესერად გაიყო, უზმნისწინო ფორმები აწმყოს წრეში მოთავსდნენ, ზმნისწინიანები კი — მყოფადისაში. ხოლმეობითი, როგორც ზმნისწინიანი, ცალკე მწკრივად გამოიყო, დაიკავა ადგილი მყოფადის წრეში და სრული ასპექტის გაგება შეიძინა. მრავალგზისობის გამოხატვით იგი განსხვავდება სხვა დანარჩენი მწკრივებისაგან. მას სახელწოდებაც სწორედ ამ ნიშნის გამო აქვს შერქმეული. „მრავალგზისობა ამ მწკრივს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ კილო თხრობითია და ნახმარია ამბავში, რომელიც რამდენსამე მოქმედებას შეიცავს“<sup>6</sup>.

მყოფადის ხოლმეობითი იწარმოება უწყვეტლის ფორმაზე ზმნისწინის დართვით, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც (საშუალი გვარის ზმნები, თავისებური ზმნები): ვსწავლობდი — ვისწავლიდი, ტიროდა — იტირებდა... სავრცობები ამ მწკრივშიც დაცულია: შევეკრავდი, დაიბადებოდა...

თხრობითი კილოს გარდა ხოლმეობითმა შეიძლება პირობით-შედგობითი კილოც გამოხატოს, ოღონდ ამ შემთხვევაში მას მრავალგზისობის გაგება არ ექნება და დასტურდება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში: მაგ.: „შეხიზნულყმას ველარავინ წაართმევდა, თუ ბატონი მას შვიდ წელიწადზე მეტს შეინახავდა“ (ჯავ.).

მე-18 საუკუნეში ქართულ ზმნებში მრავალგზისობის მნიშვნელობა გამოიხატა ანალიტიკური ფორმების საშუალებით, ე. ი. ზმნის პირიანი ფორმების შეერთებით ნაწილაკთან „ხოლმე“, მაგ.: „ლუარსაბი რაღაც დაღლილის სიამოვნებით წამოიძახებდა ხოლმე“ (ჯავ.).

მაგრამ ქართულში ხოლმეობითის ფორმებს მრავალგზისობის მნიშვნელობა გააჩნია „ხოლმე“-ს გარეშეც: „მხოლოდ თავს გაიქნევდა უარის ნიშნად“ (ბარნ.)

ა. ქუთათელაძე ხოლმეობითის მწკრივს დროს უწოდებს. მისი აზრით, სავსებით ბუნებრივია ამ მწკრივის ფორმასთან „ხოლმე“-ს დართვა<sup>7</sup>. ეს მწკრივი გვხვდება როგორც „ხოლმე“ ნაწილაკდართული, ისე მის გარეშე.

ა) „ხოლმე“ ნაწილაკის გარეშე ზოგჯერ იგი არ გამოხატავს მრავალგზისობას, არამედ უფრო უარყოფით ნაწილაკთან ერთად ნახმარი აღნიშნავს მომავალში შესასრულებელ მოქმედებას, რომლის ასოცირებაც ხდება წარსულის თვალსაზრისით: მაგ.: „სასმელს რაღა წავეკარებოდი“ (იოს.) „შეიარაღებული ხალხი ადვილად არ დანებდებოდა“ (ყაზ.).

ბ) აღნიშნავს მრავალგზის მოქმედებას, როგორც ნაწილაკით, ისე მის გარეშე: „ზღვის პირას პირქვე დაწვებოდა ხოლმე“ (ო. ჭილ.). „მხოლოდ თავს გაიქნევდა უარის ნიშნად“ (ბარნ.). „მედევას ცივი ოფლი დაასხამდა ხოლმე თვალდათხრილი ქმრის წარმოდგენაზე“ (ო. ჭილ.).

ეს მწკრივი დროის აღმნიშვნელი დამხმარე ლექსიკური საშუალებებიდან შეიწყობს მხოლოდ ზოგიერთს:

1. დროის ამა თუ იმ მომენტის აღმნიშვნელ ერთეულებს: შარშან, წინათ, უწინ, წინა დღეს, იმ დროს, გუშინ, მაშინ და ამგვარ სიტყვათშეხამებებს: „ამ საქმეს ის შარშან გააკეთებდა“. „იმ წუთას მისი სახის წარმოდგე-

6 ავ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 219.

7 ა. ქუთათელაძე, ქართული ზმნების კლასიფიკაცია. 1897, გვ. 3—4.



ნაც გაუჭირდებოდა“ (თ. ჭილ.). „ბაბუა გუ შინ ჩამოვიდოდა სოფლიდან“.

ამ შემთხვევებში ამ მწკრივს — ა) წარსულში შესრულებული სავარაუდებელი მოქმედების მნიშვნელობა აქვს და არ გამოხატავს მრავალგზისობას. ამ დროს მყოფადის ხოლმეობითი შეიძლება აღნიშნავდეს წარსულის მოქმედებას, რომელიც, მთქმელის ვარაუდით, უნდა მომხდარიყო. ამ ვარაუდს უფრო ხაზს უსვამს დამატებითი ლექსიკური საშუალებანი: ალბათ, უთუოდ, ყოველმიზეზგარეშე: „ის ბიჭი უთუოდ დაიგვიანებდა“ თუმცა ზოგიერთ შემოჩამოთვლილ ზმნიზედასთან მას შეიძლება მრავალგზისობის ელფერიც დაჰკრავდეს: „წინა დღეს გააკეთებდა საჭმელს“. „იმ დროს მოიყვანდა ბავშვს“. აქ მნიშვნელობა ენიჭება ზმნიზედის სემანტიკურ მხარესაც.

ბ) დროის აღმნიშვნელ ზოგიერთ ზმნიზედასთან კი, როგორც ნაწილაკიანი, ისე ნაწილაკის გარეშე, ეს მწკრივი მრავალგზისობის მნიშვნელობას იძენს, თუნდაც მრავალგზისობის მაჩვენებელ დროის ერთეულებთან არ იყოს შეწყობილი: „გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ხ ე... ნალექს მიწაში ჩახნავდა“ (ლორთქ.). „დ რ ე დარეკავდა ხოლმე“ (გ. ხუხ.). „უ წ ი ნ ა დვილად შენიშნავდა ამ ნაკლს“.

2. როგორც მრავალგზისობის გამოხატველი მწკრივი, მყოფადის ხოლმეობითი თავისუფლად შეიწყობს მრავალგზისობის მაჩვენებელ დროის ერთეულებს: ხშირად, ყოველდღამე, წამდაუწყუმ, რეგულარულად...

ამ შემთხვევაში ეს მწკრივი „ხოლმე“-ს გარეშეც მრავალგზისობის აღმნიშვნელია, რადგანაც მრავალგზისობაზე მიუთითებენ თვით ზმნიზედები: „ს ა ლ ა მ ო ბ ი თ დარეკანი... გამოიპრანჭებოდა ხოლმე“ (ჭავ.), „დ ა მ ღ ა მ ო ბ ი თ მგლები შემოიჭრებოდნენ ხოლმე ქალაქში“ (გამს.) „დ ი ლ ა ო ბ ი თ დაუყვირებდა ფანჯრიდან“.

3. მოქმედების არარეგულარულად და განსაზღვრული განმეორებადობის მაჩვენებელ ზმნიზედებს: ზოგჯერ, დროდადრო, ხანდახან, ერთხელ კიდეც, ორჯერ... ამ შემთხვევაში ეს მწკრივი აღნიშნავს განმეორებად მოქმედებას: „ვანოს ზედმეტად დაღარული ფიქრიც წამოუვლიდა ხ ა ნ დ ა ხ ა ნ (გ. დოჩ.). „დ რ ო გ ა მ ო შ ვ ე ბ ი თ გაირინდებოდა“ (გამს.). „დღეში ო რ ჯ ე რ მაინც გაიწვევდა ბუჩქნარში კარპიჩას“ (ჯავ.).

4. ეს მწკრივი თავისუფლად იგუთებს მოქმედების ტემპის მაჩვენებელ დროის ერთეულებს — სწრაფად, ნელა, რომლებთანაც შეიძლება ჰქონდეს მრავალგზისობის ნიუანსი: „ს წ რ ა ფ ა დ ამოივლიდა აღმართს“. „ბებია ნ ე ლ ა წამოვიდოდა ჩემს შესახვედრად“.

ზმნიზედებთან — გვიან, მალე ნაწილაკის გარეშე მყოფადის ხოლმეობითი შეიძლება აღნიშნავდეს სავარაუდებელ მოქმედებას. ამ შემთხვევაში მთქმელი ვარაუდობს, რომ იგი მოხდა. ამ ვარაუდს კიდეც უფრო აძლიერებს ზმნიზედები: ალბათ, უთუოდ, ამ ზმნიზედებთან ეს მწკრივი ნაწილაკს ვერ იგუთებს, ხოლო მათ გარეშე ნაწილაკიანი ფორმა აღნიშნავს მრავალგზისობას: „ის გ ვ ი ა ნ შეხვდებოდა იმ მეგობარს“. „მამა ა ლ ბ ა თ მ ა ლ ე დაბრუნდებოდა შინ“. „დღეა უ თ უ ო დ მ ა ლ ე მიაკითხავდა ბავშვს“. „გოგონა მ ა ლ ე წავიდოდა ხოლმე სახლში“.

5. დროის ხანგრძლივობის მაჩვენებელ ზმნიზედებს: ერთ კვირაში, ორ დღეში... მაგ.: „ე რ თ კ ვ ი რ ა შ ი მოითავებდა ხოლმე საჭმელს“. „ე რ თ წ ა მ შ ი ჩაღვრიდა მიწაში წლობით მოგროვილ სისხლს“ (ჭილ.).

„ხოლმე“ ნაწილაკდართული ეს მწკრივი ამ შემთხვევაში განმეორებად მოქმედებას გამოხატავს, ნაწილაკის გარეშე კი შეიძლება გამოიხატოს წარსულში შესრულებული სავარაუდებელი მოქმედებაც.

6. ამ მწკრივის ფორმები შეიწყობენ უცაბედობის გამომხატველ ზმნიზედებსაც და მრავალგზისობის გაგება აქვთ: უეცრად **გაჩერდებოდა** იმ წამსვე **ეტყოლა**.

ამრიგად, მყოფადის ხოლმეობითის მარტივ წინადადებაში ხმარების შემთხვევების განხილვის შედეგად გამოიკვეთა მისი შემდეგი სემანტიკური მნიშვნელობანი:

მარტივ წინადადებაში მყოფადის ხოლმეობითი შეიძლება შეგვხვდეს როგორც „ხოლმე“ ნაწილაკით, ისე მის გარეშე.

1. ნაწილაკდართული ფორმა ძირითადად მრავალგზისობის მაჩვენებელია. ზოგჯერ მრავალგზისობაზე აღნიშნავს იგი ნაწილაკის გარეშეც: „თავს **გაიქნევა** უარის ნიშნად“.

2. „ხოლმე“ ნაწილაკის გარეშე უფრო უარყოფით ნაწილაკთან ერთად ამ მწკრივმა შეიძლება გამოხატოს მომავალში შესასრულებელი მოქმედება, რომელიც ასოცირდება წარსულის თვალსაზრისით: „ხალხი არ დანებდებოდა“.

3. მრავალგზისობისა და არარეგულარული განმეორებადობის აღმნიშვნელ **ზმნიზედებთან ხმარების დროს** ეს მწკრივი ნაწილაკის გარეშეც მრავალგზისობას გამოხატავს, რადგანაც მრავალგზისობაზე მიუთითებს თვით ზმნიზედები.

4. სხვა ზმნიზედებთან (დროის ზმნიზედები) ნაწილაკის გარეშე მყოფადის ხოლმეობითს შეიძლება ჰქონდეს წარსულში სავარაუდებელი მოქმედების მნიშვნელობა. ამ ვარაუდს კიდევ უფრო ხაზს უსვამს ზმნიზედები: ალბათ, უთუოდ...

5. მრავალგზისობის ნიუანსი აქვს ამ მწკრივის ნაწილაკის გარეშეც მოქმედების ტემპის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებთან (სწრაფად ამოივლიდა აღმართს), ხოლო ზმნიზედებთან — გვიან, მალე ნაწილაკის გარეშე ეს მწკრივი შეიძლება აღნიშნავდეს წარსულში შესრულებულ სავარაუდებელ მოქმედებას. ნაწილაკდართული ფორმა ამავე ზმნიზედებთან მრავალგზისობის მოქმედების გამომხატველია.

6. დროის ხანგრძლივობის ზმნიზედებთან მყოფადის ხოლმეობითის ნაწილაკიანი ფორმა აღნიშნავს მრავალგზისობას, ხოლო ნაწილაკის გარეშე კი შეიძლება გამოხატავდეს სავარაუდებელ მოქმედებას. უცაბედობის ზმნიზედებთან იგი მრავალგზისობის მოქმედებაზე მიუთითებს.

ზემოდასახელებული მაგალითების განხილვამ გვიჩვენა, რომ მყოფადის ხოლმეობითის ერთსა და იმავე ფორმას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობა. ნაწილაკიანს და მის გარეშე ნახმარს (მაგ.: „ანკეებს ვინ **მოგვაშავებდა**“ შდრ. „ანკეებს **მოგვაშავებდა ხოლმე**“).

Д. Г. ЖГЕНТИ

## ФУНКЦИОНАЛЬНО-СЕМАНТИЧЕСКИЕ ЗНАЧЕНИЯ ФОРМ МНОГОКРАТНОГО В ПРОСТОМ ПРЕДЛОЖЕНИИ

Один из рядов, выражающий прошедшее время многократное, в грузинском языке употребляется как вместе с частицей «cholme», так и без неё и указывает в основном на многократность действия. В простом предложении к формам многократного могут прилагаться наречия, обозначающие: продолжительность времени, темп, многократность... Употреблённые с ними формы многократного приобретают различные значения.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გვახარამმა.



## დონარა ბრიგორაშვილი

‘ხოლო’ ‘კი’ კავშირების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი  
(რთული თანწყობილი წინადადებაების მიხედვით)

ქართული ენის გრამატიკებში ‘ხოლო’ ‘კი’ კავშირები კვალიფიცირებულია როგორც მაპირისპირებელი ([1], [2], [6] და სხვ.). მაგრამ რას ნიშნავს კონკრეტულად ‘მაპირისპირებელი’ ან რითი განსხვავდებიან კავშირები ერთმანეთისაგან (მაგალითად, ‘მაგრამ’ კავშირი ‘ხოლო’-საგან, ‘თორემ’ ‘მაგრამ’ კავშირისაგან და ა. შ.) ცნობილი არ არის. რაც შეეხება საკუთრივ ‘ხოლო’ და ‘კი’ კავშირებს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ([4], [5]) განიხილავს მათ როგორც სინონიმურს. მაგრამ არის ეს ყოველთვის ასე?!

ჩვენ შევეცადეთ რთული თანწყობილი თხრობითი წინადადებების მასალის საფუძველზე გაგვეანალიზებინა ‘ხოლო’ და ‘კი’ კავშირების სემანტიკა და ფუნქცია. განხილული მასალის მიხედვით დადგინდა წინადადება-კომპონენტებს (წკ-ებს) შორის მიმართებათა ოთხი ჯგუფი: 1. შეპირისპირებითი, 2. დაპირისპირებითი, 3. ჩამოთვლითი და 4. მიერთებითი.

**შეპირისპირებითი მიმართება** არსებობს  $S_1$ -ისა და  $S_2$ -ის კორელაციურ წევრებს შორის, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში უკავიათ პირველი პოზიცია წინადადებაში. ამ კორელაციას<sup>2</sup> შეიძლება წყნოდ სინტაქსური. მას განაპირობებს ან შეპირისპირებულ წევრთა სემანტიკა, ან წკ-თა რემის შინაარსი, ან ორივე ერთად. **შეპირისპირება გულისხმობს**  $S_1$ -ში  $X$  ელემენტის შედარებას  $Y$ -თან  $S_2$ -ში განსხვავებულობის გამოყოფის მიზნით (ამასთან ერ-

1 ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა გ. მაჭავარიანის ნაშრომი „სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგიერთი საკითხი“ [3], რომელიც სინონიმის საკითხს იხილავს სალიტერატურო ნორმისთან მიმართებით. იგი განიხილავს ორი სინონიმური სიტყვის „პაპა“ და „ბაბუა“-ს გამოყენების შესაძლებლობებს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ „... სემანტიკურად ტოლფასი ორი ფორმა ენობრივი ანალიზის სინტაქტიკურ ანუ კომბინატორულ დონეზე შეიძლება ეკვივალენტური არ აღმოჩნდეს“ [3, 127]. გ. მაჭავარიანი აყალიბებს ენათმეცნიერის შემდეგ ამოცანას: „ენათმეცნიერის ვალია არა გრამატიკულ-სემანტიკურად ეკვივალენტური მოდელებიდან ერთ-ერთის დაკანონება და მეორის უკუგდება, არამედ ალ-ნიშნული მოდელების კომბინატორულ და სტილისტიკურ ფუნქციათა გულდასმით გამოკვლევა ლინგვისტური ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით“ (გვ. 130). (ხაზი ჩვენია.—დ. გ.).

2 შეპირისპირებული წევრების კორელაციურ წყვილებად მიჩნევის საფუძველს გვაძლევს რ. იაკობსონის მიერ [7] მორფოლოგიური კორელაციის განსაზღვრა: „ფონოლოგიური კორელაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ კორელაციური წყვილის ორივე წევრი არაა თანაბარი: ერთს აქვს სათანადო ნიშანი, მეორეს — არა: პირველი განისაზღვრება როგორც ნიშნის (მარკირებული), მეორე როგორც უნიშნო (არამარკირებული). იგივე განსაზღვრება შეიძლება იყოს საფუძველი მორფოლოგიური კორელაციების დახასიათებისათვის“ (გვ. 210). და შემდეგ: „სინამდვილეში კი კორელაციური კატეგორიების ზოგადი მნიშვნელობები ნაწილდება სხვანაირად: თუ I კატეგორია მიუთითებს A-ს არსებობაზე, მეორე კატეგორია არ მიუთითებს A-ზე, სხვა სიტყვებით, ის არ ადასტურებს. არის A თუ არა. II კატეგორიის ზოგადი მნიშვნელობა I კატეგორიასთან შედარებით შემოსაზღვრება A-ს სიგნალიზაციის უქონლობით“ (გვ. 210). (ხაზი ჩვენია.—დ. გ.).

თად მეტად მნიშვნელოვანია პრაგმატული ფაქტორი, კერძოდ, ავტორის პოზიცია, რომელიც შესაძლებლად თვლის X-ისა და Y-ის განსხვავებულ მოქმედებას, ან მათ განსხვავებულ რეაქციას ერთსა და იმავე ფაქტზე, ან რაიმე ნიშნის ფიქსაციას, რომელიც შეიძლება განსხვავებული არ ყოფილიყო X-ისა და Y-ისათვის). მარკირებული წევრი სტაბილურად  $S_2$ -შია (მისი მარკერია ან კავშირი, ან კავშირი+ინტონაცია).  $S_2$ -ში მას აუცილებლად უკავია პირველი პოზიცია. ხოლო  $S_1$ -ში მისი კორელატი — წევრი პირველი: **მხოლოდ საკუთრივ  $S_1$ -ის წევრებს შორის**. ( $S_1$ -ში შეიძლება იყოს წევრები, რომლებიც შინაარსობრივად ეკუთვნის ორივე წკ-ს. კორელატი წევრი  $S_1$ -ში ყოველთვის ნეიტრალურია.

**დაპირისპირებითი მიმართების** დროს სათანადო წევრები არ ქმნიან სინტაქსურ კორელაციას. დაპირისპირების მიმართებას შეიძლება ქმნიდეს ან მხოლოდ კავშირი, ან დაპირისპირება შეიძლება იყოს წკ-ების წევრებს შორის, მაგრამ არ იყოს მათი ერთმანეთთან შედარების მომენტი. ამის მიზეზი შეიძლება იყოს წკ-თა სინტაქსური სტრუქტურა, აქცენტუაცია ან კიდევ სხვა რაიმე მიზეზი.

**ჩამოთვლითი მიმართების** დროს პირველი წევრები არ ქმნიან კორელაციურ წყვილს და კავშირსაც არა აქვს დაპირისპირების სემანტიკა.

**მიერთებითი მიმართების** დროს ერთი და იგივე ფაქტი გაშუქებულია სხვადასხვა რაკურსში—1. თვით ფაქტიდან გამომდინარე და 2. ამ ფაქტის შესახებ მკითხველის ცოდნის დონის გათვალისწინებით.

### § 1. შეპირისპირებითი მიმართება

1. 'გლეხები ზელს მოიჩრდილებდნენ და ცხენოსნებს მოურიდებლად აკვირდებოდნენ, ქალები კი თავს იკავებდნენ და გზას ნამალევად, ქვეშ-ქვეშ ზვირაგდნენ' (რ. ჯაფარ. 98).

'კი' კავშირ-ნაწილაკი იძენს **შედარების მნიშვნელობას**. ის იმპლიციტურად მიუთითებს იმაზე, რომ დენოტატი, რომელსაც ის ასლავს, რაღაცით განსხვავდება იმავე კლასის დენოტატისაგან, რომელიც ადრე იყო ნახსენები. ეს ასახავს ავტორის პოზიციას, მის დამოკიდებულებას აღწერილი ფაქტებისადმი. ამგვარად, 'კი' მიუთითებს კორელატი-წევრის არსებობაზე  $S_1$ -ში. კორელატი წევრები ( $m_1(S_1)$  და  $m_1(S_2)$ ) უპირისპირდებიან ერთმანეთს თავიანთი მნიშვნელობითაც. სიტყვაში 'გლეხები' ამ რთული წინადადების კონტექსტში აქტუალურდება 'მამაკაცის' მნიშვნელობის სემა, ვინაიდან 'გლეხი' შეიძლება კაციც იყოს და ქალიც. ამავე დროს  $S_1$  და  $S_2$  შეიცავენ საპირისპირო შინაარსის რემებს, რაც ასევე ასახავს ავტორის მიერ მოქმედებათა შედარებას ამ კონტექსტში.

'კი' ამ კონტექსტში გულისხმობს იმპლიციტურ სემანტიკურ კომპონენტს: 'მამაკაცები თავს არ იკავებდნენ'. ეს შინაარსი ექსპლიციტურად წარმოდგენილია  $S_1$ -ში. ერთი და იგივე შინაარსის წარმოდგენა ექსპლიციტურად ერთ წკ-ში და მისი გამეორება  $S_2$ -ში იმპლიციტურ დონეზე იმის მაჩვენებელია, რომ რთული წინადადების აგებაც ემორჩილება წინადადების სემანტიკურ კანონს, რომელიც გულისხმობს წინადადების სემანტიკურ ელემენტთა გაერთიანებას.

'ხოლო' როგორც 'კი'-ს სინონიმი შესაძლებელია ამ კონტექსტში გამოყოფის ინტონაციით. ამ შემთხვევაში 'ხოლო' 'კი'-ს **სრული სინონიმია**.

თუ 'ხოლო'-ს გამოვთქვამთ ნეიტრალური ინტონაციით, შედარების მნიშვნელობა ქრება. ადგილი აქვს მხოლოდ დენოტატთა ჩამოთვლას. მაგრამ



რჩება რემათა შინაარსობრივი დაპირისპირება და მიმართებაც გახდება დაპირისპირების.

თუ  $m_1(S_2)$  წარმოდგენილი იქნება არა ერთი ლექსემით, არამედ შესიტყვებით (დავუშვათ,  $m_1$ -ია ასეთი შესიტყვება: 'ეზოში მომუშავე' ლამაზი ქალები') 'კი' შედარებას არ გამოხატავს და აქაც  $S_1$  და  $S_2$  შორის იქნება დაპირისპირების მიმართება მხოლოდ რემების მიხედვით.

2. 'გრ. ორბელიანი საქართველოს განთავისუფლების მომხრე და მოიმედება, ივანე აფხაზს კი არა აქვს იმედი, რომ მათი სამშობლო დამოუკიდებლობას შეინარჩუნებს და ოსმალ-სპარსნი არ შთანთქავენ (ე. მალრაძე, 50).

ისევე, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში, პირველი წევრები (სუბიექტები, გამოხატული საკუთარი სახელებით), ქმნიან კორელაციურ წყვილს. 'კი'  $m_1$ -თან  $S_2$ -ში გულისხმობს პრესუპოზიციას: 'სხვას აქვს იმედი, რომ მათი სამშობლო დამოუკიდებლობას შეინარჩუნებს...'  $S_1$  ამ კონტექსტში ამ პრესუპოზიციის სინონიმური წინადადებაა.

$S_2$  ქვეწყობილი წინადადებაა. სწორედ დამოკიდებული წინადადების სტრუქტურა უშლის ხელს 'ხოლო'-ს გამოყენებას გამოყოფის ინტონაციით. ასეთი 'ხოლო' აქ არაბუნებრივია. ნეიტრალური ინტონაციით წარმოთქმული 'ხოლო' ჩამოთვლის ეფექტს ქმნის, ხოლო რემათა საპირისპირო შინაარსი დაპირისპირების მიმართებას.

მოყვანილი მაგალითების მიხედვით შეიძლება კავშირის მნიშვნელობის ასეთი ინტერპრეტაცია: X და Y სუბიექტები ერთი საზოგადოების წევრებია. ავტორი ადარებს Y სუბიექტს X-ს მათი ქმედობის (ან რეაქციის) მიხედვით, რომელსაც განაპირობებს ერთი და იგივე სიტუაცია (ან მდგომარეობა). ავტორი ხაზს უსვამს, რომ Y-ის მოქმედება (ან რეაქცია) განსხვავდება X-ისაგან'.

3. 'ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ზმირად უღირსებს ჰქონდათ გზა გახსნილი მაღალი სასულიერო წოდებისაკენ, ღირსეულნი კი განზე რჩებოდნენ...' (გ. ჭელიძე, 16).

კორელაციურ წყვილს ქმნიან გასუბსტანტივებული მსაზღვრელები. სუბსტანტივაცია თავისთავად გულისხმობს ვილაციის (ან რაღაცის) გამოყოფას გარკვეული თვისების ან სხვა ნიშნის მიხედვით. კორელატი წევრები ანტონიმური ლექსემებია.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებისაგან განსხვავებით  $S_1$ -ში კორელატ-წევრს არ უკავია პირველი პოზიცია. პირველი სამი ადგილი უკავია  $S_1$  და  $S_2$ -ის საერთო ელემენტებს. ხოლო კორელატ-წევრს ( $m_3$ ) უკავია პირველი ადგილი საკუთრივ  $S_1$ -ის წევრებს შორის.

$S_2$  აზრობრივად დამოკიდებულია. მისი რემა 'განზე რჩებოდნენ' კონკრეტულ უარყოფით შინაარსს იძენს მხოლოდ  $S_1$ -ის კონტექსტში.

'კი' კავშირი ამ კონტექსტში გულისხმობს პრესუპოზიციას, რომელიც ფაქტიურად ემთხვევა  $S_1$ -ს.

ვინაიდან გამოყოფის მნიშვნელობა არის  $m_1(S_2)$ -ის სემანტიკური სტრუქტურის კომპონენტი, ამიტომ, 'ხოლო'-სთან გამოყოფის ინტონაცია არ არის აუცილებელი. 'ხოლო'-ს სინონიმის განსაზღვრას  $m_1$ -ის ( $S_2$ -ში) სემანტიკა. სხვა ვარიანტი შეუძლებელია.

კავშირის ინტერპრეტაცია: X და Y სუბიექტები ერთი საზოგადოების წევრებია. ავტორი ადარებს Y სუბიექტს X-ს მათი ადგილის მიხედვით საზოგადოებაში. ავტორი ხაზს უსვამს, რომ მისი საპირისპირო თვისებები განაპირობებს მათ საპირისპირო სოციალურ მდგომარეობას'.

4. 'ძველ საბერძნეთში რომ დაბადებულიყავით, პოეტები სამიჯნურო ლექსებს შეთხზავდნენ თქვენ სადიდებლად, ხალხი კი მოედანზე დაგიდგამდათ ქანდაკებას' (ნ. აგიაშვილი, 325).

ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითში ის საერთო, რის საფუძველზე ხდება შედარება, ცნობილია მკითხველისათვის წინა კონტექსტიდან.

ამ მაგალითში დამოკიდებული საერთოა ორივე თანწყობილი წკ-თვის და ასახავს არა რეალურ, არამედ სავარაუდო სიტუაციას. ასეთი დამოკიდებული უკვე ქმნის შედარების საფუძველს, მაგრამ არა რეალურ, არამედ ირეალურ სამყაროში. შედარებული სუბიექტები ქმნიან კორელაციურ წყვილს. მათ სემანტიკას აღარა აქვს მნიშვნელობა. წკ-თა რემატული ნაწილები არ შეიცავენ საპირისპირო შინაარსს, მაგრამ საერთო დამოკიდებული ყურადღებას ამახვილებს მათ განსხვავებულობაზე, ანუ ადგილი აქვს ლოგიკურ დაპირისპირებას.

ვინაიდან კორელაციურ წყვილს ქმნის დამოკიდებულის შინაარსი, ამიტომ  $m_1(S_2)$  აქცენტუაციას 'ხოლო' კავშირის დროს განსაზღვრავს არა ავტორის პოზიცია, არამედ რთული წინადადების სტრუქტურა.

მოტანილი ინტერპრეტაციები შეიძლება შევავალოთ ასე: 'X და Y სუბიექტები ერთი საზოგადოების წევრებია. ავტორი ადარებს Y სუბიექტს X-ს ან ა. მათი ქმედობის (ან რეაქციის) მიხედვით, რომელსაც განაპირობებს ერთი და იგივე რეალური ან ირეალური სიტუაცია (ან მდგომარეობა). ავტორი ხაზს უსვამს, რომ Y-ის მოქმედება (ან რეაქცია) განსხვავდება X-ისაგან; ან ბ. მათი ადგილის მიხედვით საზოგადოებაში. ავტორი ხაზს უსვამს, რომ მათი საპირისპირო თვისებები განაპირობებს მათ საპირისპირო სოციალურ მდგომარეობას'.

5. '... I თურმეობითი ემყარება I სერიის ფუძეს, II თურმეობითი კი — II სერიისას (ბ. ჯორბენაძე, 66).

თუ ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითში კორელატი წევრები სუბიექტებია, აქ შეპირისპირებული წევრები ერთი კლასის ობიექტებია. რემატული ნაწილებიც ერთი კლასის ობიექტებს ასახელებენ, რომელთა შორის არ არის დაპირისპირების შინაარსი. დაპირისპირება მხოლოდ ლოგიკურია და ამას მოწმობს  $S_2$ -ის სტრუქტურაც.

$S_2$  ელიფსურია. შემასმენლის ელიფსი იწვევს  $S_2$ -ში პირველი წევრის გამოყოფას. ამგვარად, აქ ხდება  $m_1(S_2)$  გამოყოფის მნიშვნელობის დუბლირება. ერთი მხრივ,  $m_1(S_2) +$  'კი' გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას, მეორე მხრივ, —  $S_2$ -ის ელიფსი აგრეთვე ემსახურება ლოგიკურ აქცენტუაციას. მაგრამ ელიფსი არა მარტო გამოყოფს  $m_1(S_2)$ -ს, არამედ იწვევს ლოგიკურ დაპირისპირებას  $S_1$ -ის რემასთან.

კავშირი კონსტრუქციულია. ვინაიდან  $m_1(S_2)$  გამოყოფა განპირობებულია  $S_2$ -ის სტრუქტურით, ამიტომ იგი სტაბილურია,  $S_2$ -ის სემანტიკური სტრუქტურის აუცილებელი ელემენტია. 'ხოლო' ასეთ კონტექსტში ახლავს გამოყოფილ  $m_1$ -ს და ამდენად იძენს შედარების მნიშვნელობას და 'კი'-ს სინონიმია. ნეიტრალური 'ხოლო' ამ კონტექსტში შეუძლებელია.

6. 'ახლა ნახევარი აივანი ბნელს მოეცვა, ნახევარზე კი გადმოხატულიყო აქვეული ვაზის აჩრდილი' (გ. ბარ., 2, 159).

$S_1$ -ში პირველი წევრი ვითარების გარემოებაა, საერთოა ორივე წკ-თვის. კორელაციური წევრები აღნიშნავენ ერთი დენოტატის ორ სხვადასხვა ნაწილს.  $S_2$ -ში  $m_1$  (ქვემდებარე ობიექტი) გასუბსტანტივებული მსაზღვრელია, რომელიც იმეორებს  $S_1$ -ში კორელაციური წევრის მსაზღვრელს (ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს აქცენტუაციასაც ნიშნავს).



როგორც ვხედავთ, თუ კორელატი წევრები ლექსიკურად ემთხვევიან ერთმანეთს (ნაწილობრივ მაინც), ეს უკვე განსხვავებულ შესადარებელ დენოტატებზე მიუთითებს.

'კი' კავშირიანი შესიტყვება აგრეთვე მიუთითებს იმაზე, რომ მომდევნო რემა განსხვავდება  $S_1$ -ის რემისაგან, ე. ი. ლოგიკურად უპირისპირდება მას.

'კი' კონსტრუქციულია. 'ხოლო' ამ კონტექსტში ნეიტრალურია. იგი არ ქმნის შეპირისპირების მიმართებას და ადგილი აქვს ჩამოთვლას. თუ  $m_1(S_2)$  'ხოლო'-სთან გამოყოფის ინტონაციით წარმოვთქვამთ, 'ხოლო' იქნება არაკონსტრუქციული.  $S_2$  აზრობრივად დამოკიდებულია.

7. ატრიბუტულ მსაზღვრელიანი კომპოზიციის მსაზღვრელი ნაწილი შეიძლება იყოს ბოლოხმოვნანიც და ბოლოთანხმოვნანიც, **ბოლოხმოვნანი კომპონენტი** ფუძის სახით გვხვდება, **ბოლოთანხმოვნანი** კი ზოგჯერ ინარჩუნებს სახელობითი ბრუნვის—ი ნიშანს ან ფუძის სახითაა წარმოდგენილი, (ანტ. კიზირია, 79).

$S_2$ -ში კორელატი წევრი წარმოდგენილია სუბსტანტივებული ანტონიმური მსაზღვრელით. ობიექტთა დენოტატები ერთი კლასის წევრებია.  $S_2$  აზრობრივად დამოკიდებულია. 'კი' არის შედარების სემანტიკის მატარებელი. 'ხოლო' კავშირი შედარების სემას არ გამოხატავს. იგი ცვლის შედარების მიმართებას ჩამოთვლისაზე<sup>3</sup>.

მოყვანილი მაგალითების მიხედვით 'კი' და მისი სინონიმური 'ხოლო' კავშირები შეიძლება განვმარტოთ ასე: 'X და Y დენოტატთა ერთი კლასის ორი ობიექტია (ან ობიექტთა ორი ჯგუფია), ან ერთი ობიექტის ორი ნაწილია. ავტორი ადარებს Y-ს X-ს. ავტორი ექსპლიციტურად წარმოგვიდგენს შესადარებელ ობიექტთა განსხვავებულ ნიშანს ან საფუძველს და აპირისპირებს მათ ამის მიხედვით.

### § 2. დაპირისპირებითი მიმართება

1. 'სტრაბონი ამბობს, რომ ხალიბი ძველი სახელწოდებაა, ხოლო ხალდი — უფრო ახალი' (შ. ძიძიგური, 196).

მოყვანილი მაგალითი ქვეწყობილი წინადადებაა. დამოკიდებული თანწყობილია. თუ გავაანალიზებთ თანწყობილის კომპონენტებს, დავინახავთ, რომ კორელაციურ წყვილს ქმნიან არა ობიექტთა სახელები, არამედ ერთი ობიექტის ორი სხვადასხვა სახელი. ე. ი. **შეპირისპირების ობიექტებია თვით ლექსემები**. ხოლო წინადადების რემატული ნაწილები საპირისპირო კვალიფიკაციას იძლევიან. თუ თანწყობილს წარმოვიდგენთ როგორც დამოუკიდებელ წინადადებას, მის კომპონენტებს შორის ტიპური შეპირისპირების მიმართებაა. იგრძნობა უშუალოდ ავტორის პოზიცია.

დამოკიდებულის დონეზე ავტორი არ ჩანს. ავტორის (მთქმელის) პოზიცია მაშუალედურია. ადგილი აქვს ფაქტების კონსტატაციას. კორელაციური წყვილი არ იქმნება, მათ შორის ჩამოთვლითი მიმართებაა ('ხოლო' ან 'კი')

3 ჩვენ ამ შემთხვევაში არ ვეხებით რიგ საკითხს, რომელიც ცალკე განხილვას მოითხოვს. კერძოდ: ა. სამკომპონენტიანი რთული წინადადების სტრუქტურას, რომელთა წკ-ებს

შორის ასეთი დამოკიდებულებაა  $S_1 \begin{cases} \nearrow S_2 \\ \uparrow \\ \searrow S_3 \end{cases}$  ეს სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს;  $S_2$ -ში,

'ზოგჯერ' ლექსემა გულისხმობს, პრესუპოზიციას 'ზოგჯერ კი არ ინარჩუნებს სახელობითი ბრუნვის—ი ნიშანს' და  $S_3$ -ს აზრობრივად დაუსრულებელ ანუ სინემანტურ წინადადებად აქცევს.

კავშირი ჩამოთვლის მნიშვნელობას იძენს). ხოლო რემატული ნაწილები შინა-არსობრივად უპირისპირდებიან. კავშირი აუცილებელია. 'ხოლო' და 'კი' სინონიმებია.

ამდენად, რთული წინადადების სტრუქტურაში დამოკიდებული წყ-ის პოზიცია ერთ-ერთი ძლიერ მოქმედი ფაქტორია, რომელიც ცვლის შეპირისპირების მიმართებას დაპირისპირებითი მიმართებით.

2. 'ამასთან ის, რაც საქართველოში ხდებოდა, ქვეყნის გაძლიერებას უწყობდა ხელს. ხოლო მტრის სახელმწიფო სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა' (გ. ჭელიძე, 37).

$S_2$  რთული ქვეწყობილი წინადადება ქვემდებარული დამოკიდებულით. ქვემდებარულ ჯგუფს  $S_1$ -ში აქვს კაუზატორის სემანტიკა. ქვემდებარული დამოკიდებული ჩვენებით ნაცვალსახელთან გამოყოფს მას ლოგიკურად.

$S_1$ -ში ლექსემა 'ქვეყანა' არ არის დაკონკრეტებული, მაგრამ წინა კონტექსტიდან და აგრეთვე  $S_2$ -ის შინაარსიდან ვხვდებით, რომ იგულისხმება 'საქართველო' ანუ ავტორისათვის 'სამშობლო'.  $S_1$ -ის იმპლიკაცია: 'საქართველო (სამშობლო) სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა'.

კავშირი  $S_2$ -ში გულისხმობს პრესუპოზიციას: 'საქართველო (ან სამშობლო) ძლიერდებოდა'. როგორც ვხედავთ, ორივე იმპლიციტური კომპონენტი ერთი და იგივეა შინაარსობრივად.  $S_2$  კი ამ ორივე იმპლიციტურ კომპონენტთან შეპირისპირების მიმართებაშია. ექსპლიციტურ დონეზე კი კორელაციური წყვილის გამოყოფა შეუძლებელია, ვინაიდან  $S_1$ -ში შესაძლებელი კორელატი-ქვემდებარე კონკრეტულ დენოტატს კი არ აღნიშნავს, არამედ სიტუაციას. მაგრამ  $S_1$  და  $S_2$ -ის რემებს შორის შინაარსობრივი დაპირისპირება არის. გარდა ამისა, ქვემდებარული ჯგუფი აქცენტირებულია სტრუქტურულად.

კავშირის შესაძლებელი ინტერპრეტაცია: X და Y ერთი კლასის ობიექტებია. ავტორი ადარებს Y-ს X-ს. მაგრამ X არ არის იმავე დონის სინტაქსური ერთეული. X-ის დახასიათება ხერხდება გამომწვევი მიზეზის ექსპლიკაციის მეშვეობით, Y-ისა—უშუალოდ. რემატული ნაწილები შინაარსობრივად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ორივე ცნობა ტოლფასოვანია'.

მამასადამე, კავშირი გამოხატავს არა ექსპლიციტურად არსებულ შეპირისპირების მიმართებას, არამედ იმპლიციტურს. ორივე კავშირი სინონიმურია.

3. 'თინათინი გალახული ბალივით სლუკუნებდა, თამარმა კი არც კი უსაფუძვლოთ იფიქრა, ახლა სწორედ შესაფერი დროა გულახდილი საუბრისათვისო და საქმიანი კილოთი განავრძო...' (რ. ჯაფარი, 74).

$S_2$  ქვეწყობილი წინადადებაა. პირველი წევრები — საკუთარი სახელები (ქვემდებარეები) ქმნიან კორელაციურ წყვილს. რემატული ნაწილები კი შინაარსობრივად არ უპირისპირდება ერთმანეთს. შემასმენლური ჯგუფი  $S_2$ -ში გამოყოფილია 'არც თუ' გამოყოფის ნაწილაკით და ლოგიკურად უპირისპირდება  $S_1$ -ის რემას. 'კი, მხოლოდ შედარების მნიშვნელობის მატარებელია.

'ხოლო' ამ კონტექსტში უფუნქციოა, ვინაიდან  $m_1(S_2)$  არ გამოიყოფა ინტონაციურად. 'ხოლო' არ ქმნის არც დაპირისპირებისა და არც ჩამოთვლის მიმართებას.

ამ კონტექსტში შესაძლებელია და 'კავშირი', რომელიც კაუზალური მიმართების გამომხატველია.

'კი' კავშირის ინტერპრეტაცია: 'X და Y სუბიექტები ერთი საზოგადოების წევრებია. ავტორი ადარებს Y სუბიექტს X-ს. X-ის ქმედობა Y-ის



ქმედობის კაუზატორია. ავტორი ხაზს უსვამს  $S_2$ -ის რემას და ლოგიკურად უპირისპირებს მას  $S_1$ -ის რემას.

4. დროთა ვითარებაში ეს წიგნი დაკარგულა, ხოლო წიგნის შესავალი ნაწილი უფრო მოგვიანებით შედგენილ სამართლის წიგნში ერთ-ერთ მუხლად გადმოსულა' (გ. ჭელიძე, 99).

В воскресенье, 4 ноября 1984 г. состоится поездка участников Научной сессии в родное село Г. В. Церетели Цхруквети (Чиатурский район) для осмотра дома-музея Г. В. Церетели.

Юбилейная комиссия“.

Программа была осуществлена и решено было сборник, не вышедший к 70-летию юбиляра, пополнить материалами юбилея 80-летия и издать. Но и это не осуществилось...

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გვახარამ.



## ბაგოსათოსოვარი

### გაიოზ იმედაშვილი



ოთხმოცდაცხრა წლის ასაკისა გარდაიცვალა ქართული ფილოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მეტად კოლორიტული პიროვნება, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ იმედაშვილის ღირსეული მემკვიდრე გაიოზ იმედაშვილი, რომელმაც ხანდაზმულობაშიც შესაშურად შეინარჩუნა გონების სიცხადე, შრომისუნარიანობა და მამაკაცური ხიზლი.

ბატონი გაიოზი გახლდათ ახლად დაარსებულ უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის სკოლის ღირსეული შეგირდი (თუმცადა პოლიტიკური საბაბით ასპირანტურიდან გარიცხული), და ასევე, უკვე აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბებული ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი, მისი პირველი სწავლული მდივანი, მან თავის დიდ მასწავლებელთან, აკადემიკოს კორნელი კეკელიძესთან ერთად გაიზიარა ახლად ფეხდგმული სამეცნიერო კერის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ყველა სიძნელე და სისარული.

ბატონი გაიოზი წიგნის ტრფიალად ცნობილი კაცი იყო.

ჩვენს თანამედროვეთა შორის გაიოზ იმედაშვილი იყო იმ ბედნიერთაგანი, რომელსაც ნანახი ჰყავდა და პირადი კონტაქტი ჰქონდა აკაკი წერეთელთან და ვაჟა-ფშაველასთან, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა ესაუბრა და უმცროს თანამედროვედ ყოფილიყო ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთელისა და აკაკი შანიძის; ახლო ურთიერთობა ჰქონდა მიხეილ ჯავახიშვილთან, იოსებ გრიშაშვილთან და გიორგი ლეონიძესთან, და ყველა იმასთან, ვინც კი ამშვენებს XX საუკუნის ქართულ მწერლობასა და ფილოლოგიას, ამიტომაც იყო იგი სოციალურად, ფსიქოლოგიურად, მთელი არსებით ლიტერატორი, სწავლული კაცი, ჭეშმარიტი ინტელიგენტისთვის დამახასიათებელი იმ უკომპრომისობით, რაც მას ხელისუფლებისთვის მოუხერხებელ და ვერსამართავ პიროვნებად ხდიდა.

გაიოზ იმედაშვილმა, დამსახურებულად აღიარებულმა შესანიშნავმა ლიტერატურათმცოდნემ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძველი ქართული მწერლობის, განსაკუთრებით კი კლასიკური პერიოდის პოეტური მემკვიდრეებისა და სტილის შესწავლაში, რუსთველოლოგიის ჩამოყალიბებაში, მისი შრომები საყოველთაოდ ცნობილია საკითხების ორიგინალური დაყენებითა და გადაწყვეტით.

გაიოზ იმედაშვილმა, როგორც ნიჭიერმა და ფართო ლიტერატურული დიაპაზონის მკვლევარმა, თავიდანვე მიიპყრო უფროსი თაობის მეცნიერთა ყურადღება, ამიტომაც იყო, რომ ახალგაზრდობაში დაწერილ გამოკვლევას „ვისრამიანისა და ტრისტან-იზოლდას ურთი-

ერთობისათვის“, აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ მეტად მაღალი შეფასება მისცა: „ამგვარი უოველმხრივი და დეტალური შედარებითი ანალიზი რომანებისა, შეიძლება ითქვას, პირველია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ასეთი ფართო მასშტაბით ის არავის უწარმოებია ჩვენში“.

ხოლო გაიოზ იმედაშვილის სადოქტორო შრომა — „ქართული კლასიკური საგალობლის ენისა და პოეტიკის საკითხები“ ეტაპის შემქმნელია ჩვენს მეცნიერებაში, რადგანაც ამ ნაშრომით პირველად მიექცა უშუადად ქართული საგალობლების მხატვრულ მხარეს და ნათელი გახდა, რომ რუსთაველს წინ უძღოდა ქართული პოეტური კულტურის დიდი ტრადიციები. სწორედ ეს მიიჩნია ბატონმა კორნელი კეკელიძემ განსაკუთრებულად დიდ ღირსებად, რის გამოც სიამაყით წერდა, რომ, გაიოზ იმედაშვილმა აჩვენა „უსაფუძვლობა ნ. მარის შეხედულებისა, თითქოს რუსთაველის პოემა მეტეორივით გამოჩნდა ქართულ მწერლობაში და მის წინადროის ქართულ ლიტერატურასთან ორგანული კავშირი არ ჰქონია“.

ასეთ გლობალურ ასპექტებში იკვლევდა ბატონი გაიოზი საერთოდ ქართულ მწერლობას არა მარტო ძველს, არამედ თანამედროვესაც, თავის მოგონებებში აღადგენდა არა მარტო ჩვენს მწერალთა სახეებს, არამედ აწ გარდასულ და განუშეორებელ დროსაც. იგი იკვლევდა ბიბლიას მაშინ, როდესაც ეს სასიფათო საქმე იყო, პროპაგანდას უწევდა იმ ქართველ ემიგრანტ მეცნიერებს, რომელთა ხსენებაც აკრძალული გახლდათ.

ბევრი ნაშრომი აქვს ბატონ გაიოზს, რომელთაც დიდი გამოხმაურება ჰპოვეს არა მარტო ჩვენს, არამედ უცხოეთის სამეცნიერო ლიტერატურაშიც, ზოგი გამოკვლევა დაბეჭდილია საზღვარგარეთის სამეცნიერო კრებულებში, ხოლო სქელტანიანი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი „რუსთველოლოგიური ლიტერატურა“ სამაგიდო წიგნია რუსთაველით დაინტერესებულ ყველა სპეციალისტისათვის. მისი წიგნები დახვეწილი ქართულითა და ნათელი აზრით გამორჩეულნი არასოდეს არ სტოვებს მკითხველს გულგრილად.

გაიოზ იმედაშვილის მეცნიერული მოღვაწეობის ნიშანდობლივი მხარე იყო მკაცრი აკადემიური სტილი, მეცნიერება მისთვის აკადემიური ამოცანა და ზნეობრივი სიწმინდე გახლდათ. ამიტომაც იყო იგი მეცნიერებას შეწირული სწავლული და არასოდეს გაუხდია მეცნიერება უოფთი საკითხების მოსაგვარებელ საშუალებად. პიროვნულადაც უაღრესად კოლორიტული და პრინციპული გახლდათ. მას მეცნიერული თუ ეროვნული პოზიცია საზოგადოებისა თუ პიროვნების წარმმართველ პრინციპად ჰქონდა ჩამოყალიბებული და იგი არასოდეს ერიდებოდა ამ თავისი პოზიციის უშედავთოდ გამოხატვას. ეტუბა ამიტომაც მისკენ მულამ მიისწრაფოდა ახალგაზრდობა.

გაიოზ იმედაშვილი არ იყო საკუთარ კაბინეტში ჩაკეტილი მეცნიერი, დემოკრატიული საქართველოს დაბადებისა და დაცემის თვითმხილველი და განმცდელი დიდი იმედითა და მღელვარებით შეჭურვბდა დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოს წარმატებულ თუ წარუმატებელ ნაბიჯებს. საფლავში იგი საქართველოს დიდი მომავლის რწმენით ჩავიდა.

გაიოზ იმედაშვილის გამოკვლევები ქართული ფილოლოგიის იმ ფონდს ეკუთვნის, რომელსაც ვერც მეცნიერი და ვერც მკითხველი ვერ აუვლის გვერდს, მისი უაღრესად თავისებური და განუშეორებელი თვისებანი კი მულამ გავახსენებს ქართულ სიღარბაისლეს, კაცთმოყვარობასა და სიბრძნეს.


საპარტეზელს მაცნიერებასუ აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება.

შოთა რუსთაველის სახელოზის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი,

საპარტეზელს მფარალთა კავშირი.



## იოსებ მეგრელიძე



ქართულმა მეცნიერებამ მძიმე და-  
წყლისი განიცადა. გარდაიცვალა გა-  
მოჩენილი ენათმეცნიერი, ლიტერატო-  
რი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღ-  
ვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების  
დამსახურებული მოღვაწე, შოთა რუს-  
თაველის სახელობის ლიტერატურის  
ინსტიტუტის უხუცესი წამყვანი მეც-  
ნიერ-თანამშრომელი იოსებ ბართლო-  
მეს ძე მეგრელიძე.

ი. მეგრელიძე დაიბადა 1909 წელს  
ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავ-  
ში. 1931 წ. თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავ-  
რების შემდეგ, აკად. ნ. მარის რეკო-  
მენდაციით ჩაირიცხა რუსეთის მეც-  
ნიერებათა აკადემიის ენისა და აზ-  
როვნების ინსტიტუტის ასპირანტურა-  
ში, სადაც მისი ხელმძღვანელი  
ყოფილი აკად. ნ. მარი. შემდგომში უკვე  
მეგრელიძის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-  
თანამშრომელია. ასპირანტურის დამ-  
თავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდა-  
ტურის დისერტაცია თემაზე: „ლაზურ-  
გორული ფენები გურულში“, რომ-  
ლის შესახებაც აკად. ი. ორბელიძე  
წერდა: „ეს გამოკვლევა სადოქტორო

დისერტაციის მოთხოვნებს აკმაყოფი-  
ლებს“. ი. მეგრელიძემ შეადგინა და  
გამოაქვეყნა იური მარის ორი ტომი  
(1936—39 წწ.) და ნიკო მარის ნაშრო-  
მი „აფხაზური ენის და ისტორიის შე-  
სახებ“ (1938) და სხვ.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ  
ი. მეგრელიძე 1939—42 წლებში სულ-  
ხან-საბა ორბელიანის სახელობის უნი-  
ვერსიტეტში ხელმძღვანელობს ქარ-  
თულ-სომხურ-აზერბაიჯანული ენების  
კათედრას. იგი 1943—47 წლებში ვერ  
გადაურჩა უსამართლო რეპრესიების  
ტალღას. 1959 წლიდან კი შ. რუსთა-  
ველის სახელობის ლიტერატურის ინ-  
სტიტუტში მოღვაწეობდა.

1930 წლიდან მოყოლებული სის-  
ტემატურად ქვეყნდება მისი გამოკვ-  
ლევები, წერილები, რეცენზიები, პუბ-  
ლიკაციები, რომელთა რიცხვი 600-ზე  
მეტს აღწევს. მათგან 30-ზე მეტი ნაშ-  
რომი ცალკე წიგნადაა გამოცემული.  
ამ ნაშრომებით მან ენათმეცნიერებაში  
ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. ისინი  
აშუქებენ ძველი და ახალი ქართული  
ენის ლექსიკის, დიალექტიკის, ტოპო-  
ნიმიკის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის,  
ეპიგრაფიკის მნიშვნელოვან საკით-

ხებს. ბატონი იოსები წარმატებით აგრძელებდა იმ ქართველ სწავლულთა ტრადიციებს, რომლებიც ქართველოლოგიის დარგებს ერთმანეთთან და კავკასიოლოგიის შესაბამის დარგებთან კავშირში შეისწავლიან. სპეციალისტების მალალი შეფასება დაიმსახურა ი. მეგრელიძის გამოკვლევებმა დაღესტნურ ენათა ჯგუფის, დიდოურისა და მის მახლობელ ენათა შესახებ. იგი ამ დარგის ერთ-ერთი ფუძემდებელია, რითაც თავისი წვლილი შეიტანა იბერიულ-კავკასიურ ენათა, შესწავლაში. ამ დღაწლისთვის კავკასიოლოგთა ევროპული საზოგადოების VI საერთაშორისო კოლოქვიუმზე (მაიკოპი, 1992) მიანიჭეს კავკასიისმცოდნეთა პატრიარქის საპატიო სახელი. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, უკრაინულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე, რომელთაც ფართო გამოძახილი პოვეს.

ი. მეგრელიძემ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის განვითარებაში. იგი იყო შოთა რუსთაველის პირველი საიუბილეო კომიტეტის მდივანი (1937) და აქტიურად მონაწილეობდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში ჩატარებულ საიუბილეო ღონისძიებებში. მან აგრეთვე გამოაქვეყნა გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და ლექსიკის საკითხებზე. მონოგრაფიულად შეისწავლა უკვდავი პოემის მიმართება ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან წიგნებში: „გადმოცემები რუსთაველზე“ და „რუსთაველი და ფოლკლორი“. ნაშრომში „რუსთველოლოგები“ გაანალიზებულია ქართველ, რუს და უცხოელ მოღვაწეთა დამსახურება „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. მანვე გამოსცა რჩეული რუსთველოლოგიური ლიტერატურის კრებულები.

იოსებ მეგრელიძემ შეისწავლა და მეცნიერებას შემოუწავა შიდა ქართლის ტერიტორიაზე ლიახვისა და ქსნის ხეობებში არსებული მატერია-

ლური კულტურის ძეგლები და მონოგრაფიულად გამოსცა „სიძველეები ლიახვის ხეობაში“ (1984). ამ წიგნს დღეს განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება ქართულ-ოსური ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობათა მართებულად წარმოჩენისათვის. მის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიები: „იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა“, „ჭოლა ლომთაიძე“, „ევნატე ნინოშვილი“, „იოსებ ორბელი“, „ექვთიმე თაყაიშვილი“, „გუგუშავები“. იგი ავტორია აგრეთვე ისეთი განსხვავებული დარგის ნაშრომებისა, როგორებიცაა: „სახელმძღვანელო ავტორებისა და აღმოსავლური შრიფტების ასოთამწყობათვის“ (ი. მართან ერთად), „მცირე თეატრალური ლექსიკონი“, „ლაზური (ჭანური) სასიმღერო ლექსები“, „აფხაზმცოდნეობის სათავეებთან“. გამოსცა „მიმოწერა ირანისტიკისა და ქართველოლოგიის საკითხებზე“ (ი. მარისა და კ. ჩაიკინის თანავტორობით).

ი. მეგრელიძის კვლევის არეალში მოქცეული იყო ძველი, ახალი და უახლესი ქართული მწერლობის საკითხები, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპიტაფიები, აღმოაჩინა და გამოაქვეყნა საიათნოვას უცნობი ლექსები. მან გადაარჩინა და შთამომავლობას შემოუნახა — სახელგანთქმული ფილოსოფოსის კიტა მეგრელიძის ნაშრომი „აზროვნების სოციალური ფენომენოლოგია“; თავისი კომენტარებით გამოსცა მოსე გოგიბერიძის, ჯემალ ნოღაიდელისა და სხვათა წიგნები, რომლებმაც დიდი სამსახური გაუწიეს ეროვნულ მეცნიერებას. განსაკუთრებით ეს ითქმის ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომთა მიმართ. ამის შესახებ აკად. აკ. შანიძე შენიშნავს: „იოსებ მეგრელიძე არის თანამდგომელი და ერთგული ნიკო მარისა, მისი სიცოცხლის ბოლო წლებში და სიკვდილის შემდეგაც დიდად მზრუნველი მარის დაუბეჭდავი ნაშრომების გამოქვეყნებისათვის“ (აკ. შანიძე, ტ. 1, 1984, გვ. 491).



ო. მეგრელიძის ნაშრომებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ცნობილი მეცნიერები: ვლ. შიშმარიოვი, ი. ორბელი, ვ. აბაევი, ვლ. დონდუა, ფ. ფილინი და სხვები. აკად. ი. კონრადი წერს: „რაც ჩვენ დღეს რუსთაველის შესახებ ფილოლოგიასთან კავშირში ვიცით, ეს ნიკო მარის წყალობითაა, ფილოსოფიასთან კავშირში შალვა ნუცუბიძის, ხოლო ფოლკლორთან კავშირში იოსებ მეგრელიძის წყალობით“ (კრ. „ზაპად ი ვოსტოკ“, 1972, გვ. 268).

აღსანიშნავია, რომ ი. მეგრელიძეს შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგებთან: კალისტრატე და ნინო სალიებთან, ვიქტორ ნოზაძესთან, დევიდ ლანგთან, ჰანს ფოგტთან, უილიამ ალენთან, ლაიოშ ტარდისთან, რენე ლაფონთან, იარომირ იედლიჩკასთან, რობერტ სტივენსონთან, მარტონ იშტვანოვიჩთან, ლეა ფლურთან, იოლანდა მარშევთან, ჟოზეფინა გრაუესთან, რ. ტრიომფთან და სხვებთან.

ბატონ იოსების ნაშრომებს სისტემატურად ეხმაურებიან საზღვარგარეთის ბეჭდვითი ორგანოები: „რევიუ დე კარტველოლოჟი“, „გეორგია“, „ნუველ ეროპ“, „ბიზანტიონ“, „ანა-ლექტა ბოლანდიანა“ და სხვები.

ი. მეგრელიძე კონსულტაციებს უწევდა „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებს: ნ. ზაბოლოცკის, ე. ტარლოვსკაიას, ბ. ბრიკს, დ. გულიას, ბერძენ მიტაფილიდს, ოს გ. ბესთაუთს, იაპონელ ი. ფუკუროს, ებრაელ ბ. გაპონოვს, ყაზარდოელ ზ. თხაჭავჭავაძეს, ბალყარელ ს. გურტუევს და სხვებს.

დიდა იოსებ მეგრელიძის ღვაწლი ახალი თაობის აღზრდაში. მისი ხელმძღვანელობით მრავალ ახალგაზრდას გაეკაფა გზა მეცნიერებაში. წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს საქართველოს სხვადასხვა ინსტიტუტში. არჩეული იყო უნივერსიტეტ „გეორგიას“ საპატიო პროფესორად.

მეცნიერებაში განსაკუთრებული ღვაწლისთვის დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედიკოსთა, ვაჟა-ფშაველასა და იაკობ გუგუბაშვილის სახელობის პრემიებით.

იოსებ მეგრელიძემ დატოვა უდიდესი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელიც ქართული კულტურისა და მეცნიერების აღმავლობას ემსახურება. სახელოვანი მეცნიერის ღვაწლი მუდამ დარჩება შთამომავლობის ხსოვნაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კანდიდატი  
შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველოს საისტორიო საზოგადოება

#### იოსებ მეგრელიძის ნათელ ხსოვნას

წავიდა ჩვენგან ნიკო მარის განუქმელები ენათმეცნიერული დიდი სკოლის კიდევ ერთი სახელოვანი უხუცესი წარმომადგენელი, ყველაზე კოლორიტული ფიგურა ამ სიტყვის ღრმა შინაარსით და მრავლისმომცველობით. იოსებ მეგრელიძის გარეგნულად ახოვან, ძლიერი აღნაგობის სხეულში მეცნიერისათვის უჩვეულო რაინდული სული ბინადრობდა. ეს ანიჭებდა მის

ყოველ ნამოღვაწარს, ნაამაგარს, ნაკვალევს და ნააზრევს რაღაც თავისებურ იერს, გარკვეულ ადგილს და მნიშვნელობას. საილუსტრაციოდ მრავალთაგან აქ მხოლოდ ორიოდ უტრახით შემოვიფარგლებით.

იოსებ მეგრელიძეს, მიუხედავად ახალგაზრდობიდან ენათმეცნიერული პრობლემებით გატაცებისა, არასოდეს უცხოვრია ქართული მწერლობისა და

კულტურის მაღალი ინტერესების, ჩვენი ქვეყნის ისტორიული სვებედის გარეშე. ამ მხრივ აღსანიშნავია 1960 წელს გამოცემული მისი სადოქტორო დისერტაცია „რუსთაველი და ფოლკლორი“, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ხალხური ვერსიების პირველი გამოკვლევა იყო. 40-იანი წლებიდან იგი რუდუნებით იკვლევდა იაკობ გოგებაშვილის თეორიულ-პედაგოგიკურ შეხედულებებს, ქართველი ხალხის სულიერი განვითარების ისტორიაში ქართული ენის როლსა და მნიშვნელობაზე, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართოდ გაჩაღებისათვის მისი ბრძოლების ქრონოლოგიას.

ყოველივე ამან სრულყოფილი გამოხატულება პოვა 1988 წელს გამოცემულ წიგნში „იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა“, რისთვისაც განსვენებულს ი. გოგებაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავად დაწესებული მისი სახელობის გამორჩეული საიუბილეო პრემია მიენიჭა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე და შემდეგაც იოსებ მეგრელიძეს განუწყვეტელი მიმოწერა ჰქონდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველი ემიგრანტების საუკეთესო ელიტასთან — ექვთიმე თაყაიშვილთან, ვიქტორ ნოზაძესთან, მიხაკო წერეთელთან და

სხვებთან, ამარაგებდა მათ საცნობარო ხასიათის უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით. ასე შეიქმნა მეტად საინტერესო, მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომლის მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული „მნათობის“, „განთიადის“ და სხვა უურნალების ფურცლებზე.

რაოდენ კონსპირაციულიც არ უნდა ყოფილიყო, მაშინ ასეთი კეთილშობილური საქმე დიდ რისკთან, გარდუვალ სიფათთან იყო დაკავშირებული. ამიტომ კიდევაც იწვნია რეპრესიის მძიმე განსაცდელი, სუთი წელიწადი ვადასახლებაში იმყოფებოდა.

ჩვენდა სამაყოლ და იოსებ მეგრელიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იქიდან იგი დაბრუნდა არა როგორც მოწუწუნე და შურისმაძიებელი, არამედ შიშნებული თავგანწირვით ჩადენილი დანაშაულისათვის ღირსეულად სასჯელმოსხილი, ჭეშმარიტი რაინდული სულის მეცნიერი-მოქალაქე.

გადასახლებაში ყოფნის დროს იოსებ მეგრელიძემ დაკარგვისაგან გადაარჩინა, თან ჩამოიტანა, წიგნებად გამოსცა და ამით სიცოცხლე დაუბრუნა მოხე გოგიბერიძისა და კიტა მეგრელიძის ღრმაფილოსოფიურ-ესთეტიკური ხასიათის დიდმნიშვნელოვან ხელნაწერებს. და რამდენი ასეთი შეხანიშნავი მაგალითებითაა აღსავსე მისი მუდამ მოუსვენარი, ბოხოქარი ცხოვრების ბიოგრაფია.



**გულნარა ნინუა**



ქართველ ფილოლოგთა რიგებს გამოაქლდა შესანიშნავი მეცნიერი, ღირსეული მოქალაქე და ადამიანი, ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გულნარა (დოდო) არკადის ასული ნინუა.

დაიბადა დ. ნინუა 1938 წელს ბაღდათში, იქვე დაამთავრა სკოლა და 1956 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე (ქართველურ ენათა განხრით). 1961 წელს ჩაირიცხა ქართული ენის კათედრის ასპირანტად (ხელმძღვანელი ა. შანიძე).

ხელნაწერთა ინსტიტუტში დ. ნინუა მოვიდა 1966 წელს. წლების მანძილზე იგი იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი. 1968 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ბრძანებითი კილო ქართულში“, ხოლო — 1985 წელს გახდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

დ. ნინუა ეკუთვნოდა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა იმ თაობას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ინსტიტუტში ძლიერ ფილოლოგიურ სკოლას ილია აბულაძის ხელმძღვანელობით. მისი ძირითადი საკვლევო ობიექტი თავდაპირველად იყო ძველი ქართული ენის საკითხები, ხოლო — შემდგომ ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლების შესწავლა

და მათი პუბლიკაცია. მისი აქტიური მონაწილეობით შესრულდა „დიდი სჯულის კანონის“ გამოცემა, რაზედაც ოცნებობდნენ თავის დროზე ივ. ჭავჭავაძე და მ. ბენეშევიჩი. ამ გამოცემის განხორციელებაში მან კოლოსალური სამუშაო შეასრულა. წლების მანძილზე მუშაობდა იგი ოთხკაციან ჯგუფთან ერთად მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენაზე. ძეგლის ბერძნულ დედანთან შეჭერების საფუძველზე მან ქართული თარგმანის ბევრი ბუნდოვანი და მცდარი წაკითხვა გაასწორა. მასვე ეკუთვნის მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული ამ ძეგლის ლექსიკონი და საინტერესო გამოკვლევა: „დიდი სჯულისკანონი“, სისტემატური ნაწილი (იხ. მრავალთავი, 1973, III, ემკ. 12—20).

ამას მოჰყვა მისი სადოქტორო ნაშრომი — „ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია“, რომელიც წარმოადგენს IV საუკუნის წმინდა მამის მაკარი მეგვიპტელის სახელით ცნობილი თხზულებების ქართული ვერსიის კრიტიკულ გამოცემას სოლიდური გამოკვლევით და ვრცელი სამეცნიერო აპარატით. დ. ნინუამ გამოავლინა და შეისწავლა მაკარის „სწავლანის“ შემცველი ბერძნული, არაბული, სირიული და ეთიოპური ვერსიები, დაადგინა ქართული რედაქციის კრიტიკული ტექსტი. რომელიც აქამდე

უცნობი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში. მანვე გამოავლინა კრებულში IX საუკუნეში თარგმნილი მაკარის სახელით ცნობილი ორი ეპისტოლე, რომელთაც დღეს ბერძნული მოდელი არ ეძებნებათ.

დ. ნინუას ამ ნაშრომმა მაღალი შეფასება დაიმსახურა ევროპის სამეცნიერო წრეებში: ამ პუბლიკაციაზე უცხოეთში გამოქვეყნდა ვრცელი ანოტაცია „Bizantinische Zeitschrift“-ში, ხოლო ასევე ვრცელი რეცენზია დაიბეჭდა „ბედი ქართლისაში“.

ამ ძეგლის გამოცემის შემდეგ დ. ნინუა შეუდგა ერთ-ერთი უძველესი ლიტურგიკული ძეგლის — ათონის მრავალთავის შესწავლას. ხელნაწერთა ინსტიტუტის ახლგაზრდების ერთმა ჩგუფმა მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით მოამზადა „ათონის მრავალთავის“ კრიტიკული ტექსტი ვრცელი და საინტერესო გამოკვლევით.

უკანასკნელ ხანებში იგი ინტენსიურად მუშაობდა ასკეტოკური ლიტერატურის უძველეს ქართულ თარგმანებზე, რათა დაეწერა ასკეტოკის განვითარების ისტორია ძველ ქართულ მწერლობაში. ეს დარგი ჩვენამდე მოღწეულია უძველესი მრავალრიცხოვანი ნიმუშებით; რომელთა ბერძნული დედნები, ხშირ შემთხვევაში, დაკარგულია. დ. ნინუამ მიზნად დაისახა ნაშრომში განესაზღვრა ის ადგილი, რომელიც დაიმკვიდრეს ამ ძეგლებმა ქართულ მწერლობაში, განსაკუთრებით კი ათონურ სკოლაში. სამწუხაროა, რომ მან ეს ნაშრომი ბოლომდე ვერ მიიყვანა.

დ. ნინუას კიდევ ერთი დასრულებული ნაშრომი დარჩა გამოუქვეყნებელი. ესაა ქრისტიანულ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული აპოკრიფული თხზულება „პანკრატ (ბაგრატ) ტავრომენიელის ცხოვრება“ ძეგლი მთლიანად გამართულია მოციქულთა

და საეკლესიო კრებათა კანონებზე დაყრდნობით და მართლმადიდებლური წესის სანიმუშო ილუსტრაციას წარმოადგენს. ამის გამო თხზულება სასწავლო-საგანმანათლებლო მნიშვნელობას იძენდა იმ დროის მკითხველისათვის. სწორედ ამან განაპირობა, როგორც ჩანს, ამ ძეგლის ქართველი მთარგმნელის, ეფთვიმე მთაწმინდელის არჩევანიც.

„ცხოვრება“ თავისი დანიშნულებით ემსახურებოდა ეკლესიის ავტოკეფალიის განმტკიცების საერთო პრობლემასაც, რაც აგრეთვე ძალზე აქტუალური უნდა ყოფილიყო ქართველებისათვის ეფთვიმეს ეპოქაში.

ეს ძეგლი იმითაცაა საინტერესო, რომ მასში თავმოყრილია მთარული ხასიათის უძველესი ლეგენდები, გადმოცემები თუ ეპიზოდები, რომლებიც შორეულ წარსულს შეეხება და საკმაოდ პოპულარულია ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხთა ფოლკლორში. დ. ნინუამ მათ შესწავლასაც საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო თავის გამოკვლევაში.

ასეთია დ. ნინუას მეცნიერული მემკვიდრეობა. მას კიდევ ბევრის გაკეთება სურდა და შეეძლო, მაგრამ არ დასცალდა... ხოლო რასაც აკეთებდა, აკეთებდა დიდი ენთუზიაზმით, საქმის უზომო სიყვარულით და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით.

დღღო იყო საოცრად პრინციპული, მართალი, უკომპრომისო და მთლიანი პიროვნება, სავსე სიკეთითა და კეთილშობილებით. მიუხედავად მძიმე სენისა, რომელსაც ის წლების მანძილზე ებრძოდა, არასოდეს დაუკარგავს სიცოცხლისა და ადამიანის სიყვარული, სიხალისე, ოპტიმიზმი და სიკეთის ქმნის სურვილი — იყო ძლიერი და თან ნაზი და ნატიფი სულის ადამიანი.

ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა ხსოვნაში არასოდეს წაშლება მისი ნათელი სახე.



ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიაში  
1971 — 1995 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთა

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

შეადგინა უფროსმა ლიტერატურულმა თანამშრომელმა  
ლ ე ი ლ ა ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე მ

წერილები — გვ. 207, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — გვ. 247, ცნობები და შენიშვნები — გვ. 251, პოლემიკა — გვ. 253, მოგონებანი — გვ. 253, პუბლიცისტა — გვ. 254, მეცნიერთა უბილგი — გვ. 254, ქრონიკა და ინდორმაცია — გვ. 255, გამოსათხოვარი — გვ. 256.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

1. აბაშიძე ბეჟან, წარმართულ ღვთაებათა საკითხი ქართული ზეპირსიტყვიერების მიხედვით. — 1971, № 3.
2. აბაშიძე ერეკლე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატეანის ქართული წყაროს კვლევის საკითხისათვის. — 1989, № 1.
3. აბაშიძე ზურაბ, ნიკოლას ვილიენის პოეზია კუმის რევოლუციურ გარდაქმნათა პერიოდში (1960-იანი წლები) (რუსულ ენაზე). — 1983, № 1.
4. აბაშიძე მ., საქართველოს შესახებ უცხოური წყაროების პუბლიკაციები (რუსულ ენაზე). — 1977, № 4.
5. აბრამიშვილი ელისო, ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმიროდ“ და „შეგირდი“. — 1973, № 1.
6. აბრამიშვილი ელისო, სატირა და იუმორი ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. — 1974, № 1.
7. აბრამიშვილი ელისო, სატირა და იუმორი ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში („რუმბი“ და „ფეოდალები“). — 1974, № 2.
8. აბრამიშვილი ვლადიმერ, ნიკო ხიზანაშვილის ფსევდონიმები. — 1979, № 4.
9. აბრამიშვილი ვლადიმერ, ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი უცნობი ფსევდონიმის დადგენისათვის. — 1989, № 2.
10. აბულაძე დავით, რითმის ცნებისათვის ზოგად და ქართულ ლექსწყობაში. — 1993, № 2.
11. აბულაძე თამარ, ვახტანგ VI მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესწავლისათვის (ზოგიერთი ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტერმინის შესახებ ვახტანგის მეცნიერულ თარგმანებში). — 1985, № 2.
12. აბულაძე თამარ, ვახტანგ VI მთარგმნელობითი მოღვაწეობის პერიოდიზაციის შესახებ. — 1986, № 2.
13. აბულაძე ლია, მოელენათა რიგის გამომხატველი სიტყვების ერთი წყვილის შესახებ. — 1989, № 1.
14. აბულაძე მირიან, ერთი ფსიქოლოგიური დეტალის შესახებ მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „არსენა მარაბდელი“. — 1974, № 2.
15. აბულაძე მირიან, თაობათა ურთიერთობის საკითხი კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „მთვარის მოტაცება“. — 1975, № 4.
16. ავალიანი გიორგი, სევანეთი რევოლუციამდელ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. — 1981, № 4.
17. ავსაჩანიშვილი ეთერ, ალ ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ ხალხური წყაროების საკითხისათვის. — 1971, № 3.
18. აზარაშვილი ვლადიმერ, სანდრო შანშიაშვილის ლირიკა. — 1990, № 3.
19. ათანელიშვილი ლილი, პირობითი ნიშნების კრიპტოგრაფიული სისტემის ანბანთა ზოგი შემდგენლის შესახებ. — 1979, № 1.
20. ათანელიშვილი ლილი, რამდენიმე კრიპტოგრაფიული წერილის შესახებ. — 1980, № 2.
21. აღანია ნოდარ, ახალი საქართველოს პოეტური ხმა. — 1973, № 3.

22. ალასანია გიული, პაკეოგრაფიისა და საისტორიო მწერლობის შედარებითი შესწავლისათვის. — 1983, № 4.
23. ალასანია გიული, „ქართლის ცხოვრება“ და ჰიმნოგრაფია (კონკრეტული პარალელები). — 1985, № 3.
24. ალექსიძე ლელა, პეტრიწის კომენტარების 41-ე თავის წყაროებისათვის. — 1983, № 2.
25. ალექსიძე მარინე, საკუთარ სახელთა ხმარების ზოგიერთი საკითხი ჰაფეზის ლირიკაში. — 1986, № 2.
26. ალექსიძე მარინე, საკუთარ სახელთა როლი ანტიოტების შექმნაში (ჰაფეზის ლირიკის მიხედვით). — 1986, № 4.
27. ალექსიძე მარინე, ლიტერატურისმცოდნეობის პრობლემების კვლევის ავტომატიზაცია და ფორმალიზაცია. — 1992, № 3.
28. ალექსიძე ნ., სიტყვათა წყობის როგორც აქტუალური. დანაწევრების საშუალების ძირითადი ფუნქციები ადრეულ ახალინგლისური პერიოდის წინადადებაში (რუსულ ენაზე). — 1977, № 1.
29. ალიშბეკოვა ფ., ირანელი მწერალ-განმანათლებელი და დაღესტნელი საზოგადო მოღვაწე აბდურაჰიმ ტალიბოვი (რუსულ ენაზე). — 1989, № 3.
30. ამირხანაშვილი ივანე, ლექსთა იგავი. — 1987, № 1.
31. ანანიაშვილი ნინო, გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ (1884—1906 წწ.). — 1988, № 4.
32. ანანიაშვილი ნინო, გ. თუმანიშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“-ში (რუსულ ენაზე). — 1989, № 2.
33. ანანიაშვილი ნინო, საქართველოს რუსულენოვანი ჟურნალისტიკის სისტემისათვის 1900—1917 წწ. — 1990, № 4.
34. ანანიაშვილი ნინო, გაზეთ „ზაკავასკაია რეჩა“ (1910—1916 წწ.). — 1992, № 1.
35. ანანიაშვილი ნინო, გაზეთ „ვოზროჟდენიეს“ (1905—1906 წწ.) ისტორიის ზოგიერთი ასპექტი. — 1993, № 1.
36. ანდრაზაშვილი მარინე, მონონეგატიურობისა და პოლინეგატიურობის საკითხი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში. — 1982, № 2.
37. ანდრაზაშვილი მარინე, უარყოფის მორფოლოგიურ საშუალებათა სემურ-კონტრასტული ანალიზი და ენობრივი ინტერდერენციის ზოგიერთი საკითხი (გერმანული და ქართული ენების მასალაზე). — 1986, № 4.
38. ანდრონიკაშვილი მია, ერთი ტიპის წინადადებას შესახებ არაბულში. — 1978, № 3.
39. ანდრონიკაშვილი მია, აზ-ზაჯჯანს გრამატიკული ტრაქტატი „ალ-ჯუმალ“. — 1980, № 3.
40. ანდრონიკაშვილი მია, სახელის მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხი აზ-ზაჯჯანის „ალ-ჯუმალში“. — 1983, № 3.
41. ანდრონიკაშვილი მია, არაბული ზმნის გარდამავლობისა და გერის საკითხები აზ-ზაჯჯანის გრამატიკულ ტრაქტატში. — 1989, № 1.
42. ანდრონიკაშვილი მ., მასალები ე. წ. მსხვერვლელი მრავლობითის ტიპების პროდუქტიულობის შესწავლისათვის კლასიკურ არაბულში („ათას ერთი ღამე“) (რუსულ ენაზე). — 1987, № 2.
43. ანდრონიკაშვილი ნიკო, ორი ეტაპი ა. ყაზბეგის შემოქმედებაში. — 1972, № 2.
44. ანდროპოვი ი. ვ., სიტყვა. — 1982, № 4.
45. ანთაძე ია, ვეფხისტყაოსნის პერსონაჟების სახეთა ინტერპრეტაციისათვის დროსა და სივრცის თვალსაზრისით. — 1989, № 3.
46. ანთაძე ია, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული დრო-სივრცის სტრუქტურული ფუნქციონირების ზოგიერთი საკითხი. — 1990, № 4.
47. ანთაძე ია, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სივრცე. — 1991, № 2.
48. ანთაძე მანუჩარ, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სიმართლის საკითხები. — 1977, № 1.
49. ანთაძევა გ., თურქეთის ლინგვისტური საზოგადოება და თურქული სალიტერატურო ენის ზოგიერთი რეფორმის საკითხი (რუსულ ენაზე). — 1975, № 4.
50. ანთაძე ნინო, არაბული ნუსხიკალური ტრაქტატების შესწავლის ისტორიიდან. — 1972, № 2.
51. ანთაძე ნინო, ზოგიერთი საკითხი არაბული მუსიკის ისტორიიდან. — 1973, № 2.
52. ანუბა ა. ა., კამათი ნართული ეპოსის პირველადი ბირთვის წარმოშობის თაობაზე (რუსულ ენაზე). — 1971, № 4.
53. არაბული ავთანდილ, თურქმენობითის ანალიზური წარმოების თავისებურება ქართულ ენათა ზოგ დიალექტში. — 1980, № 1.



54. არაბული ავთანდილ, ერთი ქართველური ძირის აღდგენისათვის. — 1985, № 4.
55. არაბული ავთანდილ, |**შ**| და |**ვ**| ფონემათა კომბინატორული ქცევის ზოგი საკითხი დიალექტში. — 1991, № 3.
56. არაბული ავთანდილ, ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის. — 1992, № 4.
57. არაბული ამირან, ჯვარ-ხატთა ფუნქციები ვაჟა-ფშაველასთან და ხალხურ შემოქმედებაში. — 1982, № 1.
58. არაბული გიორგი, ზოგი რამ ნანუჩას შესახებ. — 1979, № 4.
59. არაბული გიორგი, ნანუჩა და „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციები. — 1980, № 3.
60. არაბული გიორგი, შოთა რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესობის თარიღისათვის. — 1990, № 2.
61. არაბული გიორგი, თემისა და პიროვნების კონფლიქტის გამო ვაჟა-ფშაველას პოემებში. — 1995, № 1—4.
62. არველაძე ბონდო, საიათნოვა და იონა ხელაშვილი. — 1984, № 2.
63. არველაძე ბონდო, აკაკი წერეთელი და სომხეთი. — 1991, № 1.
64. არისთავა შ., წინადადების სტრუქტურული საფუძვლის კომპონენტთა კავშირის შესახებ აფხაზურ ენაში (რუს. ენაზე) — 1978, № 3.
65. ასათიანი ვალერიან, დავით ბაგრატიონის „მითოლოგია“. — 1977, № 4.
66. ასათიანი ირინე, „ბარამურდიანის“ ერთი მოარული სტროფის გამო. — 1988, № 1.
67. ასათიანი მერი, ენობრივი სიტუაციის შესახებ ინდოეთის რესპუბლიკაში. — 1980, № 4.
68. ასათიანი რუსუდანი, მარტივი წინადადების სიღრმისეული სტრუქტურა. — 1979, № 3.
69. ასათიანი რუსუდანი, სახელის სიღრმისეული კატეგორიების ტიპოლოგიური ანალიზი. — 1981, № 1.
70. ასათიანი რუსუდანი, პოლიბერსონალიზმის ძირითადი ფუნქცია ქართველურ ენებში. — 1986, № 2.
71. ასათიანი რუსუდანი, ზმნურ პრეფიქსულ ხმოვანთა ფუნქციონალური კვალიფიკაცია ქართველურ ენებში. — 1987, № 3.
72. ასათიანი რუსუდანი, კულზაცია და კონტაქტი ქართველურ ენებში. — 1989, № 1.
73. ასათიანი რუსუდანი, ერგატივი, როგორც პაციენსის გრამატიკული აქტუალიზაციის ერთ-ერთი საშუალება. — 1991, № 1.
74. ასრათოვი ასრათ, მასალები ინგილოური დიალექტის ლექსიკონისათვის. — 1978, № 2.
75. აფრიდონიძე შუქია, რთული ტომონიმიკის კომპონენტთა შეხამებითი უნარისათვის. — 1977, № 3.
76. აფციაური ჭემალ, იდეოლოგიური ბრძოლის ზოგიერთი მომენტისათვის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. — 1979, № 1.
77. აფციაური ჭემალ, იდეოლოგიისა და მხატვრული სამყაროს ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ჰომონოგრაფიაში (V—XI სს.). — 1981, № 1.
78. აღლაძე თინა, სიტყვათშეთანხმებაზე ზმნის მორფოლოგიური ფორმის გავლენის ზოგიერთი საკითხი (რუსულ ენაზე). — 1972, № 1.
79. ახალაია ვიანორ, უიარაღოს თხზულებათა სტილური თავისებურებანი. — 1980, № 3.
80. ახალაძე ციხანა, მიჰრი ხათუნის სასიყვარულო ლირიკის გავებისათვის (რუსულ ენაზე). — 1980, № 4.
81. ახალკაცი მანანა, ვეფხისტყაოსნის დადებითი გმირის ბუნებისათვის. — 1992, № 1.
82. ახვერდიანი რ., ალექსანდრე ამილახვრის შემოქმედების ზოგიერთი პრობლემა (რუსულ ენაზე). — 1985, № 3.
83. ახვერდიანი გივი, ფოლკლორი „ქართლის ცხოვრებაში“ (XII—XVII სს.) — 1975, № 3.
84. ახვერდიანი გივი, ფოლკლორი თეიმურაზ ბაგრატიონისა და პლატონ იოსელიანის ისტორიულ შრომებში. — 1976, № 4.
85. ახვერდიანი გივი, შელოცვები ძველ ქართულ ხელნაწერ ანთოლოგიებში. — 1978, № 4.
86. ახვერდიანი გივი, ფოლკლორული მასალები დიმიტრი ბაქრაძის ისტორიულ ნაშრომებში. — 1980, № 4.
87. ახვერდიანი გივი, ივანე ჯავახიშვილი „ამირანის“ თქმულების შესახებ. — 1986, № 1.
88. ახვერდიანი ვ., ტერმინ „შაჰრ“-ის მნიშვნელობისათვის (რუსულ ენაზე). — 1972, № 3.
89. ახოზაძე ლიანა, ევრემ ასურის თხზულებათა ქართული თარგმანების ურთიერთმიმართებისათვის. — 1981, № 2.
90. ახოზაძე ლიანა, ევრემ ასურის თხზულებები ქართულ მრეალოავებში. — 1982, № 3.
14. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1996, № 1—4.

91. **ბაკაშვილი თამარ**, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. — 1987, № 1.
92. **ბაკაშვილი თამარ**, „მაკრინას ცხოვრების“ ჟანრული განსაზღვრისათვის. — 1990, № 4.
93. **ბაბაევი აკვინ**, რესპუბლიკური პერიოდის თურქული დრამატურგიის ისტორიის შესახებ (რუსულ ენაზე). — 1981, № 1.
94. **ბაბალიკაშვილი ნანა**, „არასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამის“ ფორმის ევოლუცია სხვადასხვა ეპოქის მხატვრულ პროზაში. — 1986, № 3.
95. **ბაბლუანი ლამარა**, ჩქამიერ თანხმობანთა მიმდევრობები სვანურ ენაში. — 1985, № 1.
96. **ბაბლუანი რუსუდან**, რთვა-ქსოვის ლექსიკის შესწავლისათვის სვანურში. — 1990, № 4.
97. **ბადრაიშვილი ცირა**, ფრანგულ და ქართულ ხმოვანთა შეპირისპირებითი არტიკულაციურ-აქუსტიკური გამოკვლევა. — 1977, № 1.
98. **ბარამიძე ალექსანდრე**, ლიტერატურათმცოდნეობა საბჭოთა საქართველოში. — 1971, № 1.
99. **ბარამიძე ალექსანდრე**, ამიერკავკასიის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ლიტერატურული ტრადიციები (რუსულ ენაზე). — 1972, № 4.
100. **ბარამიძე ალექსანდრე**, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის როლი ქართული მეცნიერების განვითარებაში. — 1974, № 2.
101. **ბარამიძე ალექსანდრე**, ავეტიქ ისაიანის დაბადების 100 წლისთავი. — 1976, № 1.
102. **ბარამიძე ალექსანდრე**, გეორგიევსკის ტრაქტატის იდეურად და ფსიქოლოგიურად შემზადება. — 1983, № 3.
103. **ბარამიძე ალექსანდრე**, მესხი მელექის გარშემო. — 1984, № 1.
104. **ბარამიძე ალექსანდრე**, ილია ჭავჭავაძე და ინდო-ხატელთა ამბავი. — 1988, № 3.
105. **ბარამიძე ალექსანდრე**, ვიქტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური ნააზრევებიდან. — 1988, № 4.
106. **ბარამიძე ალექსანდრე**, ვეფხისტყაოსნის დიალოგი. — 1991, № 1.
107. **ბარამიძე ალექსანდრე**, ისევ „საკარგავის“ გამო. — 1993, № 1.
108. **ბარამიძე ალექსანდრე**, ისევ და ისევ ვეფხისტყაოსნის პროლოგის გარშემო. — 1993, № 2.
109. **ბარამიძე ალექსანდრე**, ისევ ვეფხისტყაოსნის დევნის საკითხის გარშემო. — 1986, № 3.
110. **ბარამიძე ლილი**, გარდაუვალ ზმნათა ერთი ტიპის აღწერითი ფორმების შედგენილობისათვის ქართული ენის დასავლურ კილოებში. — 1977, № 1.
111. **ბარამიძე რევაზ**, ქალის უფლებებისა და მდგომარეობის საკითხები ძველ საქართველოში. — 1972, № 1.
112. **ბარამიძე სანდრო**, მოქმედ პირთა სტრუქტურული მოდელი ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში და მისი მიმართება არაცნობიერ ფსიქიკურ კომპლექსთან. — 1991, № 4.
113. **ბარამიძე ცირა**, თაბასარანული ენის ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები. — 1989, № 4.
114. **ბარბაქაძე რუსუდან**, „ვეფხისტყაოსანი“ და შუასაუკუნეების ლიტერატურული ტრადიციები ფერთი სისტემების გააზრების თვალსაზრისით. — 1978, № 3.
115. **ბარბაქაძე რუსუდან**, ფერი — მხატვრული აზროვნების ელემენტი. — 1979, № 2.
116. **ბარდაველიძე ბეჟან**, დ. კლდიაშვილის შემოქმედების საწყისებთან. — 1980, № 2.
117. **ბარდაველიძე ჭონდო**, ლიტერატურამდელი ქართული ხალხური ლექსის ფორმა. — 1992, № 2.
118. **ბართაია ევგენი**, რეალიზმი მიხეილ ჭავჭავაძის ნოველებში. — 1982, № 2.
119. **ბარნოვი ნინო**, თანხმობანთა კომპლექსები ანდიურ ენებში. — 1981, № 1.
120. **ბასილაია ლილი**, ა ასოს დაწერილობის საკითხისათვის XI—XIII საუკუნეთა მხედრულ წერილობით ძეგლებში. — 1979, № 4.
121. **ბასილაია ლილი**, ნაცვალსახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული თავისებურებანი XI—XIII საუკუნეების მხედრულ ისტორიულ საბუთებში. — 1982, № 1.
122. **ბასილაშვილი ეთერ**, „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ ავტორი და წარმომავლობა. — 1973, № 1.
123. **ბედიანიძე დალილა**, პასტორალური ფორმის ზოგიერთი საკითხისათვის დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსში“. — 1984, № 3.
124. **ბედიანიძე დალილა**, წიგნი „ქება ქებათა“ და პულ ცელანის „სიკედლის ფუგა“. — 1991, № 2.
125. **ბედიანიძე დალილა**, წიგნი „ქება ქებათა“ და დ. გურამიშვილის „ქაცვია მწყემსი“. — 1991, № 4.



126. ბედიანიძე დალილა, წიგნი „ქება ქებათა“ და ქართული პოეზია. — 1993, № 1.
127. ბედიანიძე დალილა, ძველი ქართული პოეზიის უნგრული თარგმანები. — 1995, № 1 — 4.
128. ბედოშვილი გურამ, ერწო-თიანეთის მაკროტოპონიმიკის საკითხები. — 1972, № 2.
129. ბედოშვილი გურამ, „შუმანიკის წამების“ ერთი სადავო ადგილის გაგებისათვის. — 1978, № 3.
130. ბეზარაშვილი ქეთევან, გრიგოლ ნაზიანზელის ერთი ჰიმნის ძველი ქართული თარგმანის ინტერპრეტაციისათვის. — 1982, № 4.
131. ბეზარაშვილი ქეთევან, სიმბოლურ სახეთა ტრანსფორმაცია ჰიმნოგრაფიაში. — 1983, № 3.
132. ბეზარაშვილი ქეთევან, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში. — 1986, № 3.
133. ბეზარაშვილი ქეთევან, იოანე სინელის „კლემაქსის“ უცნობი ქართული ვერსია. — 1987, № 4.
134. ბეზარაშვილი ქეთევან, ანტონის, თეიმურაზ ბაგრატიონის, პლატონ იოსელიანის ცნობები გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული თარგმანების შესახებ. — 1993, № 3—4.
135. ბეზარაშვილი ქეთევან, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებანი და ქართული სამწერლობო ტრადიციები. — 1994, № 1—4.
136. ბეზარაშვილი ქეთევან, ოთხმეწური თამარ, ბიზანტინისტიკის საზღვარგარეთული ცენტრები (ბელგია, ბულგარეთი). — 1995, № 1—4.
137. ბეილი ჰ. ვ., ირანული — ზაკ ციგნა — „საბუთი“ — ქართულ „წიგნი“. — 1982, № 4.
138. ბეილი ჰ. ვ., მულაზანზარი. — 1989, № 4.
139. ბელენიციკი ა., ორი ხატოვანი გამოთქმის შესახებ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ (რუსულ ენაზე). — 1978, № 2.
140. ბელთაძე მურმან, „ნათურქაის“ გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში“. — 1973, № 2.
141. ბენაშვილი ცაცა, დემონის მხატვრული ინტერპრეტაცია გალაკტიონთან და ბაირონთან. — 1994, № 1—4.
142. ბენდიანიშვილი სოფიო, მედეას მითი XIX—XX სს. ფრანგულ დრამატურგიაში. — 1986, № 2.
143. ბეპიევა ნაირა, გრიგოლ ბაგრატიონის ანთოლოგიები. — 1980, № 2.
144. ბეუტიძე მარინე, მოტივთა ბუნებისთვის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. — 1982, № 4.
145. ბერიძე გრიგოლ, ქართული ენის ჯავახური კილო. — 1972, № 4.
146. ბერიძე გრიგოლ, სულხან-საბა ორბელიანის ზოგიერთი იგავ-არაკის ხალხური პარალელები ჯავახეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით. — 1980, № 3.
147. ბერიძე მარინე, „ჰეგეს“ ტიპის ზმანათა დაბოლოების საკითხისათვის. — 1994, № 1—4.
148. ბერიძე მერაბ, ტოპონიმ „ვარძის“ ეტიმოლოგიისათვის. — 1977, № 2.
149. ბერიძე ოლღა, პავლე სილენციარისის პოემათა სტილისტური თავისებურებანი. — 1988, № 1.
150. ბერძენიშვილი ლალი, ფოლკლორული ჩანაწერები „აკაკის კრებულში“. — 1971, № 1.
151. ბიტ-ბაბიკი ო. გ., ბგერობრივ-ფერთი შესატყვისობანი ი. ანენსკის პოეზიაში (რუსულ ენაზე). — 1992, № 3.
152. ბიტ-ბაბიკი ო. გ., აკუსტიკური ფორმის დამოუკიდებლობა ს. ესენინის ზოგიერთ ლექსში (რუსულ ენაზე). — 1993, № 3—4.
153. ბიჩინაშვილი ციალა, გერმანული რთული სიტყვები და მათი ქართული შესატყვისობები. — 1981, № 3.
154. ბოედერი ვინფრიდ, ძველი ქართული თხრობის ერთი ტექსტლინგვისტური თავისებურება: დაკავშირებულება და არადაკავშირებულება. — 1994, № 1—4.
155. ბოლქვაძე ნანა, ჩაგუნავა რაულ, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის ერთ-ერთი წყაროსათვის. — 1995, № 1—4.
156. ბოლქვაძე სალომე, ზოგი რამ კილოს შესახებ. — 1992, № 3.
157. ბოჩკოვა ლუიზა, ნ. ბარათაშვილისეული ი. ქაეჭავაძის პოეზიაში. — 1978, № 2.
158. ბოჩკოვა ლუიზა, ალექსანდრე ცაგარელი — პროზაიკოსი. — 1984, № 3.
159. ბოჭორიშვილი ცირა, XVIII საუკუნის ძეგლის „მირიანის“ ენობრივი თავისებურებანი. — 1976, № 4.
160. ბოჭორიშვილი ცირა, ზმნის გრამატიკულ ფორმათათვის „მირიანში“. — 1978, № 2.

161. ბრეგაძე დავით, „აბო ტფილელის მარტვილობის“ ზოგიერთი საკითხი. — 1974, № 4.
162. ბრეუწევი ლეონიდ ილიას ძე, „ყამირი“. — 1978, № 4.
163. ბუაჩიძე დარეჯან, ანტანას ვენცლოვას ქართული პოეზიის ნიმუშების თარგმანები და კონტაქტები საქართველოსთან. — 1988, № 3.
164. ბუაჩიძე დარეჯან, საქართველო ი: სკულტუტუსკის შემოქმედებაში. — 1989, № 3.
165. ბუაჩიძე დარეჯან, ქართულ-ლიტვური ლიტერატურული ურთიერთობების სათავე-ებთან. — 1990, № 3.
166. ბუაჩიძე მ., სიტყვის სემანტიკისა და გამოთქმის სემანტიკის ურთიერთმიმართების საკითხისათვის (რუსულ ენაზე). — 1977, № 1.
167. ბუზოლდი მ., სიტყვიერების სარმატიული თეორიებს კრიტიკა ვ. გ. ბელინსკის მიერ (რუსულ ენაზე). — 1984, № 3.
168. ბუზოლდი მ., ვერლიბრი და პოეზიისა და პროზის ურთიერთკავშირის პრობლემები (რუსულ ენაზე). — 1988, № 1.
169. ბურჭულაძე გენადი, გემინატა პოზიციური ცვლილებისათვის ლაკურში. — 1974, № 3.
170. ბურჭულაძე გენადი, გრძელი ხმოვნები ლაკურში. — 1976, № 2.
171. ბურჭულაძე გენადი, გარდამავლობა-გარდაუვალობის გარჩევისათვის ლაკურში. — 1979, № 2.
172. ბურჭულაძე გენადი, ძირითად ბრუნვათა შესახებ ლაკურში. — 1983, № 1.
173. ბურჭულაძე გენადი, ბრძანებითი კილოს აკრძალვით ფორმათა შესახებ ლაკურში. — 1985, № 1.
174. გაბაშვილი ვალერიან, ერთი სტრიქონი აღმოსავლური კულტურის ისტორიიდან. — 1978, № 2.
175. გაბაშვილი ვალერიან, ქართულ-სპარსული კულტურული ურთიერთობანი (X ს.). — 1983, № 4.
176. გაბაშვილი ვალერიან, მახლობელი აღმოსავლეთის ფეოდალური ეკონომიკა („ვეფხისტყაოსნის“ მონაცემების მიხედვით). — 1987, № 3.
177. გაბაშვილი კონსტანტინე, სემანტიკური კვლევის ზოგიერთი საკითხი. — 1974, № 4.
178. გაბედავა ვენერა, ქართული რეალისტური პროზა და სალიტერატურო ენის ზოგი-ერთი საკითხი (XIX ს. 50-იანი წლები). — 1973, № 2.
179. გაბედავა ვენერა, ალ. ბესტუჟევის მოთხრობების თარგმანები „ცისკრის“ ფურცლებ-ზე. — 1977, № 4.
180. გაბესკირია შალვა, იუნუს ემრეს თურქული წარმომავლობის ლექსიკა. — 1974, № 4.
181. გაბესკირია შალვა, უცხო წარმომავლობის ლექსიკა იუნუს ემრეს ნაწარმოებებში. — 1975, № 3.
182. გაბესკირია შალვა, ძველი თურქული ლექსიკის შესახებ რუნუს ემრეს ნაწარმოებებ-ში. — 1977, № 3.
183. გაბიძაშვილი ენრიკო, ასურელი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე. წ. არქეტოპების ურთიერთმიმართებისათვის. — 1982, № 4.
184. გაბოძე ჭულიძე, აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის ისტორია და ტექსტო-ლოგიური ანალიზი (70—80-იანი წლები). — 1988, № 4.
185. გაბუნია გიორგი, სანდრო შანშიაშვილი — მეტეხის ციხის ტუსალი. — 1983, № 4.
186. გაბუნია კახა, ზმნისართთა და თანდებულთა ურთიერთმიმართების საკითხი ქარ-თულში. — 1988, № 2.
187. გაბუნია კახა, დეიქტურობის სისტემა და ხმოვანთა განაწილების საკითხი ქართუ-ლურ ენებში. — 1991, № 1.
188. გაბუნია კახა, წინადადების წევრთა განსაზღვრის სინტაქსური კრიტერიუმებისათვის ქართველურ ენებში. — 1992, № 2.
189. გაბუნია სალომე, ერთი ბასკური ტოპონიმის გამო. — 1986, № 1.
190. გაგლოითი ი., ნართული ეპოსის გენეზისის პრობლემისათვის (რუსულ ენაზე). — 1974, № 1.
191. გაგნიძე ჭუმბერ, პროლოგი ვეფხისტყაოსნის უნგრულ თარგმანებში. — 1973, № 2.
192. გაგუა იამზე, ოვიდიუს ნაზონის ბიოგრაფიისათვის. — 1974, № 2.
193. გაგულაშვილი ილია, ძველი ქართული ტერმინის გამო (სახრვა). — 1974, № 3.
194. გაგულაშვილი ილია, ფერთა სიმბოლიკის საკითხისათვის ქართულ შელოცვებში. — 1979, № 1.
195. გადილია ქ., კალკები „ღარი“ ენის ინტერნაციონალური ლექსიკის სისტემაში (რუ-სულ ენაზე). — 1986, № 3.



196. გადილია ქ., მაცალკეებელი არტიკლი და რიცხვითი სახელი „ერთი“ სპარსულ ენაში (რუსულ ენაზე). — 1993, № 1.
197. გავაშელი გურამ, შემოქმედებითი გარდასახვა (რუსულ ენაზე). — 1977, № 4.
198. გამსახურდია ზვიად, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე. — 1972, № 2, № 4.
199. გამსახურდია ზვიად, ვეფხისტყაოსნის „ერთარსება“ და „მზე — მისი ხატი“. — 1975, № 3.
200. გამსახურდია ზვიად, რუსთაველი და ანტონი. — 1984, № 1.
201. გამსახურდია ზვიად, რუსთაველი და ანტონ I. — 1984, № 3.
202. გამსახურდია ზვიად, რუსთაველი და ანტონ I (რუსთაველის სარწმუნოებრივი იდეალები). — 1984, № 4.
203. გამსახურდია ზვიად, თამარიანი და ვეფხისტყაოსანი. — 1987, № 4.
204. გამსახურდია ზვიად, ვეფხისტყაოსნის სრულყოფილი გამოცემისათვის. — 1989, № 4.
205. გაფრინდაშვილი ქეთევან, ადამიანის იდეალი „დავით გარეჯელის ცხოვრების მიხედვით“. — 1981, № 3.
206. გაფრინდაშვილი ქეთევან, „სული უღალატა ამათ და უღალატა გზათა სლვად“ (სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ მიხედვით). — 1991, № 3.
207. გაჩეჩილაძე გივი, სსრ კავშირის როლი მოძმე ხალხების ლიტერატურათა დაახლოებასა და განვითარებაში. — 1972, № 4.
208. გაჩეჩილაძე ივლიტა, რომანტიზმის თეორიის ზოგიერთი საკითხი. — 1977, № 2.
209. გაჩეჩილაძე მყვალა, ვ. კოტეტიშვილი ლიტერატურის კრიტიკოსი და მკვლევარი. — 1984, № 2.
210. გაჩეჩილაძე მყვალა, ლიტერატურის საკითხები ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარში“. — 1986, № 1.
211. გაჩეჩილაძე ოთარ, ხმაბაძეთი სიტყვები ქართულში. — 1972, № 2.
212. გაწერელია აკაკი, ავგუსტინე ჰიმნოგრაფიისა და ლექსთწყობის საკითხებზე. — 1983, № 3.
213. გაწერელია აკაკი, ავგუსტინე და საქართველო. — 1984, № 1.
214. გაწერელია აკაკი, ავგუსტინე და საქართველო. — 1984, № 2.
215. გეგეჭკორი ლამარა, სუგესტოპედია როგორც ექსპერიმენტული სუგესტოლოგიური მეთოდი. — 1975, № 2.
216. გეგუჩაძე ლეილა, დროთა თანმიმდევრობის საკითხისათვის მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში. — 1974, № 2.
217. გელაშვილი ეთერ, მახვილის ზოგიერთი საკითხის შესახებ ინგლისურ და ქართულ ენებში. — 1971, № 4.
218. გელაშვილი ლალი, შეიხის „ხოსროვ-შირინის“ პროლოგის სტრუქტურის გაგებისათვის. — 1989, № 1.
219. გელაშვილი ლალი, შეიხის ტროპულ სისტემაში შედარების გაგებისათვის. — 1991, № 2.
220. გელენიძე ლატავრა, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის პრობლემები. — 1988, № 1.
221. გეურქოვა ეთერ, კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში. — 1971, № 2.
222. გვაზავა გიორგი, ჰანს ფალადას ექსპრესიონისტული რომანები. — 1976, № 4.
223. გვანცელაძე თეიმურაზ, უარყოფის არატიპური წარმოება აფხაზურ-აბაზურ ზმნებში. — 1981, № 3.
224. გვარამაძე ლამარა, პეტრე უმიკაშვილი — რედაქტორ-გამომცემელი. — 1971, № 2.
225. გვახარია ალექსანდრე, იური მარი და ვლადიმერ ფუტურიძე. — 1993, № 2.
226. გვახარია ალექსანდრე, ფიქრები დავით გურამიშვილზე. — 1993, № 3—4.
227. გვახარია ალექსანდრე, კიდევ ერთხელ „სარაჯის“ შესახებ „ვეფხისტყაოსანში“. — 1994, № 1—4.
228. გვახარია ვაჟა, მარტივობა შუშანიკისა და ქართული ჰიმნოგრაფიის საკითხები. — 1981, № 1.
229. გვენეტაძე გურამ, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი პროცესის ისტორიიდან. — 1980, № 3.
230. გვენცაძე ალექსანდრე, ადამიანის სოციალური მდგომარეობის გამომხატველი „სინონიმები ილია ჭავჭავაძის ენაში“. — 1974, № 4.
231. გვენცაძე მზია, კვლავ ტექსტის შინაგანი დანაწევრების შესახებ. — 1988, № 3.

232. გვენცაძე მ., საგაზეთო ჟანრების ტექსტის ლინგვისტური ტიპოლოგია და კლასიფიკაცია (რუსულ ენაზე). — 1982, № 4.
233. გვერდწითელი გურამ, დიდი სამამულო ომი და ქართული მწერლობა. — 1975, № 2.
234. გვერდწითელი ლ., მწერლის ენის ლექსიკონის ტიპოლოგია (რუსულ ენაზე). — 1985, № 4.
235. გვეტაძე ომარ, დიალოგი ქართულ ჰავიოგრაფიაში (V—XI სს.). — 1980, № 4.
236. გიგაური ნ., ელემენტარული ზმნური ნომინაციის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ინგლისურ ენაში (რუსულ ენაზე). — 1979, № 1.
237. გიგაშვილი ქეთევან, ე-პრეფიქსიანი ენებთების I სერიის მწკრივთა წარმოებისათვის საშუალო ქართულში. — 1992, № 3.
238. გიგინეიშვილი ბაქარ, ქართველური ეტიმოლოგიები. — 1972, № 3.
239. გიგინეიშვილი ბაქარ, ხმოვანთა სიგრძე და აუსლაუტის საკითხი სვანურში. — 1973, № 2.
240. გიგინეიშვილი ბაქარ, ეტიმოლოგიური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. — 1979, № 1.
241. გიგინეიშვილი ბაქარ, მასალები ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის. — 1981, № 2.
242. გიგინეიშვილი ბაქარ, შრ კონსონანტური ჯგუფის სუპერაციისათვის ჭანურის ათი-ნურ კილოკავში. — 1982, № 2.
243. გიგინეიშვილი ბ., საერთოდადესტნურ მკვეთრ აფრიკატთა სპონტანური ცვლა დარგულ ენაში (რუსულ ენაზე). — 1975, № 4.
244. გიგინეიშვილი ივანე, ვეფხისტყაოსნის ერთი სტროფის წაკითხვისა და გაგებისათვის. — 1971, № 3.
245. გიგინეიშვილი ივანე, მრავლობითი რიცხვის ფორმათა ზოგი თავისებურების შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში. — 1972, № 3.
246. გიგინეიშვილი ივანე, რთული წინადადების ერთი თავისებური სახეობა „ვეფხისტყაოსნის“ ენაში. — 1974, № 4.
247. გიგინეიშვილი მანანა, კიდევ ერთხელ არტიკლის თაობაზე. — 1988, № 1.
248. გიგოლოვი გიორგი, მ. გორკის პოემის „ადამიანის“ პრობლემატიკა მისი თანადროული ლიტერატურული კრიტიკის შუქზე (რუსულ ენაზე). — 1972, № 3.
249. გიგოლოვი მ., თ. მ. დოსტოევსკის „ციმბირის“ პერიოდის მოთხრობების მოთხრობელთა ტიპები (რუსულ ენაზე). — 1983, № 4.
250. გიორგაძე თამარ, ივანე მაჩაბლის ერთი თარგმანის გამო. — 1922, № 3.
251. გიორგაძე მარინე, ქართული ხალხური კალენდარული საწესჩვეულებო პოეზიის ერთი თემატური ციკლი. — 1988, № 3.
252. გიორგაძე ოთარ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები ა. წერეთლის თანამედროვეობის ამსახველ პროზაში. — 1975, № 2.
253. გიორგაძე ოთარ, ა. წერეთლის ისტორიული მოთხრობების თემატიურ-იდეური სამყარო. — 1976, № 3.
254. გიორგაძე ო., „ოთარაანთ ქვრივის“ მთავარი პრობლემის შესახებ. — 1971, № 4.
255. გიორგობიანი თინა, გვარის კატეგორიისათვის ძველ ბერძნულში. — 1972, № 3.
256. გიუნაშვილი ლ., გლეხობის საკითხის ასახვა ამინ ფაყირის შემოქმედებაში (რუსულ ენაზე). — 1975, № 4.
257. გიუნაშვილი ლ., შენიშვნები სამად ბეჰრანგის შემოქმედების შესახებ (რუსულ ენაზე). 1976, № 3.
258. გიუნაშვილი ჭეშშიდ, აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. — 1987, № 3.
259. გოგატიშვილი გუბაზ, ფშაური ლექსიკის დარგობრივად შესწავლის მნიშვნელობისათვის. — 1993, № 1.
260. გოგლიჩიძე ცისანა, პასივობის გამომხატველი არსებითი სახელები თანამედროვე გერმანულ ენაში და მათი ქართული შესატყვისობანი. — 1979, № 1.
261. გოგოლაური თაშილა, ფშაველი მოლექსე ქალი პელაგია ზურაბაშვილი. — 1979, № 4.
262. გოგოლაური თებრო, ფშაური კილოს თავისებურებანი. — 1978, № 3.
263. გოგოლაშვილი გიორგი, ნამყო ძირითადის წარმოება ახალ ქართულში. — 1980, № 3.
264. გოგოლაშვილი გიორგი, ერთი ზმნური ძირის (ცემა) შედგენილობისათვის ქართულში. — 1985, № 1.
265. გოგოლაშვილი გიორგი, -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა ენებითი გვარის ფორმათა შესახებ ახალ ქართულში. — 1987, № 2.



266. გოგოლაშვილი გიორგი, აკაკი და ვაჟა. — 1991, № 3.
267. გოგოლაძე თამარ, ეროვნული საკითხი ს. მგალობლიშვილის პროზაში. — 1980, № 1.
268. გოგუაძე ლიანა, მეხსიერების კონტექსტი და პროპოზიციული მიმართების ზმნათა ფუნქციონირება თანამედროვე ინგლისურ ენაში. — 1990, № 1.
269. გოგუაძე ნარგიზა, სეითი — მრავალთავის ერთ-ერთი მთარგმნელი. — 1971, № 4.
270. გოზალიშვილი შალვა, ხალხის სიკეთისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი მწერალი. — 1973, № 4.
271. გოზალიშვილი შალვა, ილია ჭავჭავაძე, „ივერია“ და მისი ცენზურა. — 1987, № 3.
272. გონიაშვილი თინათინ, თანხმომანთა ზოგი კომპლექსი ნახური ჭგუფის ენებში. — 1973, № 1.
273. გონიაშვილი თინათინ, ბატურ-ჩეჩნურ-ინგუშური ზმნის პრეფიქსული აგებულების ისტორიიდან. — 1986, № 3.
274. გორბაჩოვი მიხეილ სერგის ძე, — 1985, № 1.
275. გორდელაძე მედეა, ნიკოლოზ ყიფიანის პუბლიცისტიკა. — 1983, № 1.
276. გოქსაძე ლილი, გიგინეიშვილი მანანა, ივანიძე ნანა, ლინგვისტური ფარდობითობის თეორია და პრაგმატიკის ზოგიერთი საკითხი. — 1987, № 2.
277. გოქსაძე ლილი, ბოლქვაძე სალომე, მოდალობის კატეგორიის სემანტიკისა და სინტაქსის თაობაზე. — 1988, № 2.
278. გოქსაძე ლილი, დემეტრაძე ირინე, მიერთებულების წვლილი შეტყობინების სრულ დეკოდირებაში. — 1992, № 3.
279. გოქსაძე ლილი, დემეტრაძე ირინე, ფატიკური კომუნიკაცია და ბრიტანულ-ქართული ყოფის თავისებურებანი. — 1992, № 4.
280. გოცირიძე მანანა, „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანი როგორც თანამედროვე ებრაული ენის ლექსიკის გამდიდრების წყარო. — 1984, № 3.
